

باين علت كه كيسه بنده در كام اژدها افتاده بود از اين كتاب كه نتيجه زحمت شصت ساله است فقط شش نسخه را چاپ ميكنم. و اين تعداد به اين ترتيب تقسيم شد: يك نسخه به كتابخانه رئيس جمهوري اسلامي ايران يك نسخه به كتابخانه رئيس گرجستان دو نسخه به تربيت كننده بنده كتابخانه ملي گرجستان يك نسخه به نوه گراميم ايرانشناس جوان تamar ليكوه يشويلى و يك نسخه به بنده

ماگالی تودوا

ხელმოკლეობის გამო ამ წიგნს, რომელიც სამოცი წლის ჯაფის შედეგია, მხოლოდ ექვს ცალად ვბეჭდავ. ეს ექვსი ცალი ასე განაწილდა: ერთი ცალი – ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ბიბლიოთეკას, ერთი ცალი – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკას, ორი ცალი – ჩემს გამზრდელს, საქართველოს ეროვნულ (თბილისის საჯარო) ბიბლიოთეკას, ერთი ცალი – ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ახალგაზრდა ირანისუ თამარ ლეკვეიშვილს და ერთი ცალიც – მე.

მაგალი თოდუა

شاهکارهای شعر  
فارسی

ترجمه از فارسی به گرجی

ماگالی تودوا

تفلیس

۲۰۰۸

# სპარსული პროზის შედევრები

სპარსულიდან თარგმნა

მაგალი თოდუამ

თბილისი

2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-407-5

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში ზოგი ირანელი პოეტის შემოქმედება ვრცლად არის წარმოდგენილი, ხოლო ზოგს, თვით ისეთს, რომელსაც დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა, მხოლოდ ერთი ლექსით ვაცნობ მკითხველს; ძალიან ბევრი კლასიკოსისა კი საერთოდ არაფერი მომაქვს.

კრებულში მარტო ჩემი თარგმანებია თავმოყრილი, თანაც ის თარგმანები, პირადად მე უფრო რომ მომწონს და არა მაინცდამაინც ისინი, რომელთა მოტანა სპარსული პოეზიის გაცნობის თვალსაზრისით შეიძლება, მკითხველისთვის უფრო სასარგებლო ყოფილიყო. წიგნს “სპარსული პოეზიის შედეგები” კი დავარქვი, მაგრამ მკითხველი ადვილად მიუხვდება, რომ ეს აქ მოტანილი ლექსების ორიგინალებია, შედეგები რომ არის, თორემ ჩემი თარგმანებით გადმოცემული მათი ქართული ადექვატები კი არა. თანაც სპარსულ პოეზიაში ხომ შედეგური სხვაც უამრავია.

კლასიკური სპარსული ლექსის გაგება ჭირს. აქ მარტო ენა კი არ ქმნის დაბრკოლებას, არამედ მეტწილად – ნაწარმოების მხატვრული სამყარო, აღმოსავლურ რეალებსა და ლიტერატურულ ინფორმაციებზე დაფუძნებული პოეტური ხატები. ირანელ კლასიკოსთა დიდი ნაწილი ღრმა განათლების მქონე მკითხველისთვის წერდა (აქ ნუ შევალთ იმის განსჯაში, რამდენად გამართლებული იყო ეს). იყვნენ პოეტები, რომლებიც თავიანთ მხატვრულ სახეებს ენციკლოპედიური ცოდნის ფლობის პრინციპზე აგებდნენ. ეტყობა, მათი კონცეპციით, ღრმა და ფართო განათლება არა მარტო სწავლულთათვის უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მოვლენა, – მაგალითად, ომარ ხაიამი (გ.1123წ.) იყო დიდი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ექიმი, პოეტი, – არამედ გარკვეული მოცემულობით – მკითხველთათვისაც. არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ რჩება შთაბეჭდილება, ზოგი ირანელი კლასიკოსი, სულო ცოდვილი, განგებ ისე ართულებდეს თავის პოეტურ ფიგურებს, თითქოს მით უფრო დიდ შემოქმედებით სიამოვნებას ღებულობდეს, რაც უფრო აწვალებს მკითხველს თავისი რებუსების გაშიფრვის დროს. მრავალთაგან აქ ორ გენიალურ პოეტს, ხაყანისა (გ.1199წ.) და ნიზამის (გ.1203წ.), დავასახელებდი. ამდენად, სპარსული ლექსის თარგმნა ერთდროულად შემოქმედებაცაა და კვლევაც, – ხშირად მთარგმნელს უწევს არა მარტო, ჩვეულებისამებრ, სიტყვის, ფრაზის ან შინაარსის ერთი ენიდან მეორე ენაზე ლექსად გადატანა, არამედ ორიგინალის ურთულესი პოეტური სახეების ქვეტექსტებში გარკვევაც, რაც იოლი საქმე არ არის და ღრმა და ფართო ირანისტიკულ განათლებას მოითხოვს.

ამიტომ არც ისე იშვიათად ნახავთ სპარსული პოეზიის თარგმანებს, მხატვრული იქნება ის თუ ფილოლოგიური, ტექსტის გაგების თვალსაზრისით კურიოზებისგან დაზღვეული რომ იყოს. ამ მოვლენას ისე უმტკივნეულოდ და უცნაურად მიეჩვივნენ ირანისტიკაში, რომ არც ავტორთა მიერ დაგებული ხაფანგში გაბმული მთარგმნელები წითლდებიან თავიანთი უსუსურობის შედეგად დაშვებული შეცდომების გამო და ათასში ერთხელ ზოგი ასეთი კურიოზი ვინმემ თუ გაასწორა, არც მას უკრავენ ტაშს. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი: ნამდვილი ტექსტის უქონლობა. თითქმის ყველა ირანელი კლასიკოსის ამა თუ იმ თხზულების ათობით (ზოგჯერ – ასობით) ხელნაწერს ღრმა ძილით სძინავს მსოფლიოს უამრავ მუზეუმსა და გვიან მიგნებულ თუ ჯერაც მიუგნებელ (თანაც – ზერელედ აღწერილ თუ საერთოდ აღუწერელ) კერძო კოლექციებში. მათი ვარიანტების შესწავლა, ურთიერთშეჯერება და ამის საფუძველზე კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური ტექსტების დადგენა იმდენად შეუძლებელი საქმეა, რომ ამაზე მეცნიერები არც კი ოცნებობენ. ვთქვათ, მოხდა სასწაული და შეიქმნა ეს აკადემიური კორპუსი. ჩიხიდან გამოსავალი მაინც არ არის, რადგან აკადემიური გამოცემა მწერლის ავტოგრაფს ვერ შეცვლის და არ არსებობს იმისი თეორიული შესაძლებლობაც კი, ვიცოდეთ, რომელი ტექსტია სანდო.

ამის გამო, რა თქმა უნდა, შეუსაბამობანი ჩემს თარგმანებშიაც იქნება და მე სპარსული ენის ღრმა მცოდნე და ირანულ ყოფასა და მხატვრულ სამყაროში კარგად ჩახედულ ახალგაზრდა მკვლევართ (ასეთები კი, არ ვკარგავ იმედს, გამოჩნდებიან) ვურჩევ, ჩემი თარგმანები სპარ-

სული ორიგინალების ტექსტებს შეუდარონ. ამით ისინი მამიდასაც მონახულებენ და კვიცსაც გახედნიან, – ჩემი თარგმანების აკარგვიანობას ხომ გაარკვევენ და გაარკვევენ, თავადაც აიძალ-ლებენ სპარსული პოეტიკის ცოდნის დონეს.

დღეს ლექსის მთარგმნელისგან შეუძლებელ საქმეს ითხოვენ: მას სათარგმნი ტექსტის შინაარსობრივად ზუსტი ადექვატის მოცემასაც ავალევენ და ორიგინალის შესაფერისი მხატვრული ეფექტის შექმნასაც ემართლებიან. ეგრე სადაა! ასეთ ცის გახსნას კაცი ათასში ერთხელ თუ შეესწრება.

საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეობა დაფიქრებულა კი იმაზე (იქნებ, დაფიქრებულა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხმა იმდენად არ აღუმაღლებია, შედეგი ჩანდეს), რომ ძველად თარგმნა, როგორც ეს ტერმინი დღეს გვესმის, არ ხდებოდა? დიდი მწერლები, ჰომეროსიდან (ძვ.წ. VIII ს.) მოკიდებული ჯოისამდე (1882-1941), აიღებდნენ მათი ინტერესების შესაბამისი და სიცოცხლისუნარიანი, სხვათა მიერ განახლებული (და არა შეთხზული) პოემების ფაბულებს (ზოგჯერ კიდევ მეტი, – სიუჟეტებს), აღნობდნენ მათ საკუთარ ქურაში და ამით ზუსტ თარგმანებს კი არ იძლეოდნენ, არამედ თავისი დროის მკითხველთა სულის, მისწრაფებისა და გემოვნების შესაბამის ვერსიებს ქმნიდნენ. სწორედ ეს იყო ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი პროცესი. მაგრამ ამგვარი ქმედება ადვილი როდი გახლავთ, საამისოდ კარგი ქურა უნდა გედგას და გიზგიზა ცეცხლი უნდა გენტოს. თუ ეს პრობლემა მოგვარებული გაქვს, ნაკურთხი შემოქმედი გამოდიხარ, თუ არა – მიმბაძველი. აქ მოქმედებს კანონი, რომელსაც მე ასე ჩამოვყალიბებდი: “ბავშვი დედის გარეშე ვერ გაჩნდება”. ასე ლებულობდა კაცობრიობა ძველი ფაბულების წიაღიდან ახალ და ახალ ქმნილებებს. მუშაობდა ე.წ. “ნაცნობის ესთეტიკა” (ამ თემაზე აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ. ვისაც ეს ბანალური საკითხი აინტერესებს, სხვათა გამოკვლევებზე ხელი თუ არ მიუწვდა, მივუთითებ ჩემს მონოგრაფიაზე: “ვეფხისტყაოსნის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს”). დღევანდელი გაგებით არსებული ლექსის თარგმანის, ამ მაჯლაჯუნის, გაჩენის ცოდვა ძირითადად XIX-XX საუკუნეების კისერზეა, ისე როგორც ამ საუკუნეების კისერზეა ე.წ. საბავშვო ლიტერატურის შექმნის დანაშაული, – ბავშვებს წიგნებიდან ენას რომ ვუჩლიქო და ნაცვლად იმისა, რომ ხელი არ შეეუშალოთ, უფლის მიერ მათთვის დედის სამოდან გამოყოფილი უნარით ცხოვრებისათვის თვალის გასწორება თავად ისწავლონ, ყალბი გულაჩუყებით ვეჟურტულებით და მათი ასაკისთვის უკვე შეუფერებელ ტიტინს ვაჩვენოთ (ნეტა, იმ „საბავშვო წიგნებში“ ჩამახელა, არისტოტელეს და სერვანტესს რომ უკითხავდნენ მათი მშობლები!).

ერთი ენიდან მეორე ენაზე ლექსის ლექსადვე თარგმნის პრაქტიკა ძველად ჩვენშიაც იყო. ამიტომ წერდა ჯერ კიდევ თითქმის სამასი წლის წინ ვახტანგ VI (1675-1737): “ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვაო”. ვახტანგს სპარსული ლექსის ქართულად თარგმნის პრობლემა აწუხებდა, თავის გასაჭირზე ჩიოდა და მხოლოდ ამიტომ ასახელებდა კონკრეტულად სპარსულ ლექსს, თორემ ძალიან კარგად იცოდა, რომ სპარსული ლექსი აქ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მას გავლილი ჰქონდა ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის მწარე გაკვეთილები: მისმა წინამორბედმა პოეტებმა “შაჰ-ნამეს” ვერსიები, – ე.ი. თვითონ ფირდოუსის (X-XI სს.) გენიალური პოემა კი არ გალექსეს, არამედ მისი მიბაძვით შექმნილი ოპუსები თარგმნეს გარითმული ლექსით და მაინც დამარცხდნენ, – ვერც ერთმა მათგანმა მიახლოებითაც კი ვერ მიუახლოვა თავისი ნახელავი ორიგინალის მხატვრულ დონეს.

ჩვენი წინაპრის სიბრძნეს, ერთდროულად რითმოვანი ლექსის გარითმული ლექსითვე ზუსტად თარგმნაც და ორიგინალის მხატვრული დონის შენარჩუნებაც შეუძლებელი საქმე რომ არის, კაცობრიობა ძალიან გვიან მიუხვდა, – დღეს კლასიკურ პოეზიას ძირითადად ურითმო ლექსით თარგმნიან. ამ საქმის მესვეურებმა კარგად იციან, რომ გამოსავალი ესეც არ არის, მაგრამ რა ქნან! გარითმისაგან თავის შეკავება კეთილშობილურ მიზანს ასე თუ ისე მაინც ემსახურება. რითმა ოხერი რამაა! – გარითმული ლექსის გარითმულ ლექსადვე თარგმნის გამო მთარგმნელს ორიგინალის მხატვრული ქსოვილის დარღვევა უხდება. დანაშაულს ჩავდივართ, – ორიგინალის ძირის ჩვენეულ სუროგატში ვაზავებთ, ოჯალეშში ადესას ვურევთ. საბედნიეროდ, ისტორიულად ქართული ლიტერატურა მარტო გარითმული ლექსის გარითმული ლექსითვე გად-

მომტანი პოეტების ანაბარა არ ყოფილა, იგი ღვთივკურთხეულ გზას ჯერ კიდევ XII საუკუნეში ადგა. ერთი ქართველი მწერალი (ბედის ირონიით მისი სახელიც კი არ ვიცით), რომელიც არა მარტო ძალიან ნიჭიერი შემოქმედი, არამედ ძალიან ჭკვიანი კაციც აღმოჩნდა, ცთუნებას არ აპყვავდა. მან გენიალური სპარსული პოემა “ვისი და რამინი” ლექსად კი არ გააწყო, არამედ პროზით თარგმნა და ამის შედეგად დაგვიტოვა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შედეგური – “ვისრამიანი”.

კრებულში სპარსული ლექსის სამი სახის თარგმანი მაქვს მოტანილი: 1) მარცვალთა რაოდენობა დაცული და რითმით გაწყობილი. 2) მარცვალთა რაოდენობა დაცული, მაგრამ ურითმო და 3) პროზით გადმოცემული. რომელმა უფრო გაამართლა, ეს თითქოს აშკარაა – პროზით მოთხრობილმა. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ! შეიძლება, ზოგადად ეს ასეც იყოს, მაგრამ აქ მოქცეული ჩემს მიერ ადაპტირებული ტექსტი, “ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი”, ამის მაგალითად არ გამოდგება, რადგან მისი მომხიბლველობის მხოლოდ ჩემთვის მოწერა უსამართლობა იქნებოდა, – რაც მასში ტკბილქართულია, სულ იმ ცხონებული ანონიმი მთარგმნელისგან მაქვს მოპარული. ცალი თვალი ორიგინალისკენ მეჭირა, მეორე კი მისი თარგმანისკენ გამიბოდა. ასე რომ, ეს ტექსტია სწორედ თარგმანი (ჩვენი წინაპრებისეული, ტრადიციული და მართებული, გაგებით) და მე თავხედობა რომ მყოფნიდეს, დღევანდელ ჭკუაზე მდგარ მკითხველს არ დავუშლიდი, იგი “ვისრამიანის” ახალ, ჩემულ ვერსიად მიეჩნია.

დაახლოებით XI საუკუნიდან მოკიდებული აგერ ჩვენს დრომდე მთელი სატრფიალო სპარსული პოეზია (განსაკუთრებით ლირიკა), მცირე გამონაკლისის გარდა, გამსჭვალულია სუფიური (ზერელედ რომ განვმარტო, ისლამური ნეოპლატონიზმის) დოქტრინით: ყველაფერი, რაც ამქვეყნად არსებობს, მათ შორის, ბუნებრივია, ადამიანიც, აბსოლუტის ემანაციაა. ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია და გვმართებს კიდევაც პირველსაწყისისკენ ლტოლვა. ჩვენი იდეალი უნდა იყოს ისევე უფალთან დაბრუნება, ოღონდ მასთან მხოლოდ ახლო დგომა კი არა (როგორც ამას, ვთქვათ, ქრისტიანობა ისახავს მიზნად და რაც, ეტყობა, უდიდესი ნეტარებაა), არამედ – მასში განზავება, ისევე იმად გადაქცევა, რაც ადრე ვიყავით. ამიტომ დომინირებს სპარსულ პოეზიაში ქრისტეს კულტი, – მაცხოვარი ხომ დედამიწაზე ადამიანად მოვიდა და ისევე თავის საწყისს დაუბრუნდა, ღმერთი იყო და ისევე ღმერთად იქცა! მთელ სპარსულ პოეზიაში, გაგიკვირდებით, ისე აქებენ და აღიღებენ ქრისტეს. განა პარადოქსი არ არის? – მსოფლიოში არც ერთ ქრისტიანულ საერო (ხაზს ვუსვამ: საერო) ლიტერატურას არ მიუძღვნია იმდენი ჰიმნი იესო ქრისტესთვის და ისეთი სიყვარულით არ დაუხატავს იგი, როგორც ეს მუსულმანურმა სპარსულმა ლიტერატურამ გააკეთა. ირანელი პოეტების დახასიათებით, ქრისტე არის: მკურნალი, მომაკვდავთა გადამრჩენელი, მკვდართა მკვდრეთით აღმდგენელი, მოწყალე, გულუხვი, ერთგულების ეტალონი, კეთილშობილების განსახიერება, ყოველგვარ ფასეულობას მოკლებულ მოვლენასა და საგანში გარკვეული ღირსებების დამნახველი, თავმდაბალი, მჭევრმეტყველი, მუსიკოსი, ლამაზი, მომხიბლველი ღიმილის მქონე, ფშვადი, ფეროვანი, ფერთა მომნიჭებელი, უფლის მოსავი, ჯვარცმის შედეგად ცად აღმსვლელი და ა.შ.

ირანელ პოეტებს, გარდა უშუალოდ ადამიანად მოვლენილი ქრისტეს სასოებით ასახვისა, აბსოლუტი მეტაფორებითაც ჰყავთ წარმოდგენილი. აქ კი უმთავრესი ადგილი ღვინოსა და ქალს უჭირავს. ამიტომაც ეტრფიან თავიანთ ლექსებში ირანელი სუფი პოეტები მათ. და აქ საგანგებოდ აღნიშვნის ღირსი არის ამ მწერლობის იშვიათი თავისებურება, კერძოდ ის, რომ მთელ სპარსულ ლირიკულ პოეზიას ორი ფოკუსი გააჩნია: მკითხველთაგან ვინც აბსოლუტისკენ ილტვის, ამ მეტაფორულ ხოტბებს მიიჩნევს უზენაესისადმი მიძღვნილ ჰიმნებად და უფალში განზავებისკენ მოწოდებად, ხოლო მას, ვინც ფაქიზ მეტაფორულ ხელოვნებას ვერ სწვდება, ამ პოეზიაში ხორციელი ტკობის ამსახველი ლიტერატურული მასალა ხიბლავს. ჩვენი აზრით, აქ უცნაურ და თითქოს შეუძლებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ერთი და იგივე მხატვრული ძეგლი საერო ნაწარმოებიც რომ გამოდის და სასულიეროც. სპარსული პოეზიის ეს სრულიად უნიკალური თავისებურება საგანგებო და ღრმა კვლევის საგანი უნდა გახდეს!

პირველ ხანებში ისლამი ასეთ პოეტებს, ბუნებრივია, ერეტიკოსად მიიჩნევდა და სასტიკად დევნიდა. მაგალითად, 922 წელს ხალიფის ბრძანებით კოცონზე დაწვეს სუფი მანსურ ჰა-



ლაჯი, რომელიც სახალხოდ გაიძახოდა: “მე ვარ ღმერთიო!” მაგრამ შემდეგ და შემდეგ (რაგინდ უცნაურად მოგვეჩვენოს ეს) ისლამმა სუფიზში იმდენად იგუა, რომ იმამი ხომეინი (1902-1989) კი, რომელმაც ირანის ორი ათასი სუთასწლოვანი მონარქია დაამხო და ეს ქვეყანა ისლამურ რესპუბლიკად აქცია, როგორც პოეტი, სუფი იყო და წერდა: მე მანსურივით გავიძახი, რომ ღმერთი ვარ; მომბეზრდა მედრესე და მეჩეთი; გულში ქალწული მყავს ჩახუტებული; ღვინო მინდა; მერიქიფევე, ოღონდ შენ მეჩვენე და მექისკენ სულაც არ გავიხედავო და ა.შ.

ამასთან ერთად, არ შეიძლება, მივჩქმალეთ ერთი თვალში საცემი მოვლენაც: ირანელი პოეტები მუსულმანები იყვნენ და, უნდოდათ ეს თუ არა, ისინი “ყურანს” ვერ უგულვებლყოფდნენ. ამის გამო ზოგ, თვით უკიდურესად სუფი კლასიკოსს, ქრისტე მათი ოფიციალური საღვთო წიგნის მიხედვითაც ჰყავს ჩვენთვის დახატული (მაგალითად, მაცხოვარი მათ ცის მეოთხე სფეროში, მზის გვერდით დავანებულად რომ ეგულებათ და სხვა).

აქ მოქცეული ლექსების თარგმნა სტუდენტობის დროს დავიწყე, როცა არც სპარსული ვიცოდი ხეირიანად (ახლა ვიცი?) და არც ქართული. ვთარგმნიდი ისე, როგორც მიხერხდებოდა. მაგრამ, რაც არ უნდა მექნა, მაინც ვერ ავსცდებოდი თარგმნის შესახებ არსებულ სამად სამ მოცემულობას: რომ ფრანგები ამბობენ, ლექსის თარგმანი ცოლსა ჰგავს, თუ ძალიან ლამაზია, ეჭვიანობ, ხომ არ მღალატობსო; რომ ომარ ხაიამის რობაიების ინგლისური სენსაციური ადექვატის შემქმნელმა ელუარდ ფიტცჯერალდმა (1809-1883) თარგმნის დროს მიმართა პარადოქსულ მეთოდს: თუ გინდა, ორიგინალს დაუახლოვდე, უნდა დაშორდე მას; რომ დონ კიხოტმა სანჩოს განუმარტა: თარგმანი ნოხის უკანა მხარეს ჰგავს, რომელზედაც მისი ყველა ფერი და მოხატულობა კი ჩანს, მაგრამ ნოხის პირივით ხასხასა არაა, მკრთალიაო.

კლასიკური ხანის სპარსული ლირიკული ლექსი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დასათაურებული არ არის. კრებულში მოტანილი ლირიკული ლექსების (თუ ფრაგმენტების) სათაურები მე მეკუთვნის და პირობითია.

12.VIII. 2007წ.

**თარგმანები**

## რაბია ყაზდარის ასული

(IX–X სს.)

### ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვ

ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვ  
(ღე, ეს თხოვნაც  
ძველ თხოვნას ერთოს!):  
მე რომ მიყვარხარ, შეგიყვარდეს  
შენც ისე ერთ ღროს  
ისეთი ვინმე, ტრფობა რაა,  
არც კი იცოდეს,  
შენსავით მასაც გულის ნაცვლად  
მკერდში ქვა ედოს;  
გაიგო, სატრფოს მონატრება  
თუ რა ყოფილა,  
ტრფიალის მისის ცეცხლი გულში  
გენტოს და გენტოს!  
როგორც მე შენი სიყვარულით  
ვიგრინხები დღეს,  
იგრინებოდე სიყვარულით  
შენც მისით (ღმერთო!),  
ვინძლო გაიგო, ვისაც სატრფო  
ზედ არც უყურებს,  
მას ვაებისგან ვით ემხობა  
თავზე ცის ერდო!

### ვხვდები

ვხვდები, ჩემზე ეჭვიანობ,  
გლალატობდე ჩუმად თითქოს.  
ცეცხლში რომ მწვავ, ღმერთს რა პასუხს  
აძლევ, როცა განგსჯის თვითონ?!  
განზე ცქერა ქალს სულიან-  
ხორციანა წყმედს და ლუპავს,  
მე შენ აქ რომ გილალატო,  
იქ რა ვუთხრა (მითხარ!) უფალს?  
მე უშენოდ ჯოჯოხეთად  
მიჩნს სამოთხე, იცის ღმერთმა,

და სამოთხედ ვთვლი ჯოჯოხეთს,  
შიგ თუ ვიწვი შენთან ერთად.  
შენ მე ისევ ისე მალხენ,  
ვით მალხენდი (ჰაი!) უწინ.  
თაფლს უშენოდ თუ ვჭამ, გესლს ვსვამ,  
შენთან კი შხამს, ვით ყანდს, ვწუწნი.

## ისევ ავტროკდი

ისევ ავტროკდი და სიყვარულის  
ქამანდში თავი ამოვყავ ისევ.  
რად არ ვიჩქარე და ეს ქამანდი  
რად არ მოვიძრე ყელიდან მყისვე!  
უკიდევანო ზღვას ჰგავს ტრფიალი,  
ვერვინ შეუდგამს თვალს მის ნაპირებს  
და რომ შეტოპე შიგ, ქალბატონო,  
გაღმა გაცურვას როგორ აპირებ?  
გულის ნებაზე ეს სიყვარული  
გსურდა, შეგერგო, მაგრამ, ნეტა, რით?  
ათასი ჭირი გულს გიჭამს, შენ კი  
კიდევ გსურს, შეგერჩეს ყოფა ნეტარი?  
მაშინ ლამაზად უნდა გეჩვენოს  
ის ჯოჯო, შენ რომ ეტრფი და ესაგ;\*  
უნდა გეგონოს, პირს თაფლით იტკობ  
მაშინ, როდესაც საწამლავ გესლს სვამ!  
გაუხედნავი კვიცივით განზე  
რომ გახტი, აწი ამაოდ ხვნეში,—  
უნდა გცოდნოდა: რაც შორს იწევი,  
ყულფი მით უფრო მოგიჭერს ყელში.

## წალკოტში

წალკოტში იმდენ ყვავილებს ვხედავ,  
ვითვლი მათ ფერთ და ვერ ვითვლი, ვერა!  
აქ ალბათ მანი\* იჯდა და კელი  
თავისი ყალმით წერა და წერა.  
ღრუბელი წუხელ მაჯნუნის\* მსგავსად  
სისხლის ცრემლებით ტიროდა, მჯერა,  
თორემ ამ ვარდებს, ვით ლეილის\* ღაწვით,  
არღავენის\* ფერი ვინ მისცა ფერად!  
ტიტაც წითელი ღვინით სავსე თასს  
ჰგავს, ხელთ თუ მისი მოგიწევს ჭერა.  
ნარგიზი ფერად კეისრის გვირგვინს  
ამსგავსა, შორით ვინც იგი ზვერა.

იას ისეთი ლურჯი ჩაუცვამს  
კაბა,  
იფიქრებ, შედგაო ბერად.

### **ყოჩაღ, ნიაჰო!**

ვარდსა და სოსანს, ნიაჰო, როცა  
მოსტაცე ოქროს და ვერცხლის ფერი,  
ყოჩაღ, ნიაჰო, გაქებ და გლოცავ,  
მანის\* ნახატის რომ გვატკობ ცქერით!..  
კეთილმოწყალე იესოს მადლით  
ხარობს ქვეყანა, ერი და ბერი.  
წვიმის ხოშორა მარგალიტებით  
აგვეესო ეზო, ბანი და ჭერი.  
ხორშაკისაგან დაგვაღულ ხეებს  
ისევ სიცოცხლის დაუღათ ჯერი.

## შაჰიდ ბალახელი

(IX-X სს.)

### გონება და ქონება

ნარგიზი და ვარდია  
გონება და ქონება,  
ერთად რომ არ ხარობენ,  
აღბათ გაგეგონება.  
ის, ვინც გონიერია,  
მას ქონება არა აქვს,  
ხოლო ვინც მდიდარია,  
მას ცოტა აქვს გონება.

### დარღს რომ ცეცხლივით კვამლი სდიოდეს

საწუთრო წვედიადს  
მიეცემოდა,  
დარღს რომ ცეცხლივით  
კვამლი სდიოდეს,—  
ქვეყნად ვერ ნახავ კაცს,  
ჭკუა ჰქონდეს  
და გულში რამე  
რომ არ სტკიოდეს.

### გაზაფხული

ბაღი იცინის ქალწულივით,  
ჰყვავის და ბრწყინავს,  
ღრუბელი ტირის, თითქოს მისი  
ტრფიალი ჰქონდეს;  
ქუხილი გრგვინავს ისე ძლიერ,  
როგორც მე ვგმინავ  
განთიადისას, სიყვარულზე  
როდესაც ვგოდებ.

## **ვაი ამ ყოფას!**

ვაი ამ ყოფას! – ჩვენს ღზინს ისევ  
ყადალა ადევს, –  
ვერა და ვერა, ვერ ვიცილებთ  
სევდებს და დარდებს.  
ისე არ გავა დღე, ვინმე რომ  
არ გამოგვაკლდეს ...  
ღმერთო, ასეთი გაღუხდელი  
რა ვალი გვმართებს?

## **ამნაირ გზაზე**

მაკედონელის\* საფლავთან ერთ  
ბრძენს უთქვამს წყნარად:  
“ამ კაცს სად და სად არ უვლია  
გზაზე მდგარს მარად,  
მაგრამ ამნაირ გზაზე, ახლა  
რომ დადგომია,  
არც არსად  
და არც არასოდეს  
იგი არ მდგარა”.

## **ცოდნა**

ცოდნავ,  
დარდს მისევ, დღეს შენ ფასი  
დაგიგდეს ისე,  
თუმცა ყველაფერს ფასს შენ ადებ  
ისევ და ისევ.  
მე კი უშენოდ ქვეყნის განძიც  
რომ მომცენ, არ მსურს, –  
ლატაკი ვიყო და შენ გფლობდე,  
მწაღია ისე.  
მარტოკაცს ცოდნა თუ აქვს, შეკრებს  
სპას და სძლევს მომხედურს,  
ხოლო სპის მყოფს თუ ცოდნა არ აქვს,  
მოიგრეხს კისერს.

## **სიცოცხლე შენი დავიფიცე მე**

სიცოცხლე შენი დავიფიცე მე  
და დავიმარხე გულში ის ფიცი.

ფიციც არის და ფიციც, რა მტკიცე  
ფიცი მოგეცი, შენც კარგად იცი.  
ათასი ვინმე ათას რაღაცას  
მირჩევს, მაგრამ მე ზნეს განა ვიცვლი  
(ისლა მაკლია, ასეთი ფიცით  
შეკრულმა ყური ვუგლო სხვის ღლიცინს)!  
ედემში მხოლოდ იგი მოხვდება,  
ვინც გულდამწვართა წამებით იწვის.  
ასი კაკაბი ერთ შევარდნობას  
ვერ იზამს, ასე თავს ვერვინ იცვლის!  
ასი მონის გულს თუ ერთი მეფის  
გულს სურს, ეტოლოს, ამაოდ იღწვის.  
ხატება შენი ხატაელთ\* მეფემ  
რომ ნახოს (იმდენ ტურფას ფლობს ის, ვინც),  
ტფილ ტერფთა შენთა ერთხელ კოცნისთვის  
ქვეყნის საგანძურს ქარს მისცემს ისიც.  
კუპრივით შავი ზილფები შენი  
რომ დაენახა შაჰს ზანგთა მიწის,  
კერპთა სიყვარულს ამოიძრობდა  
გულიდან, თითქოს სობოდა ხიწვი.  
სუყველა შენკენ, ვით ქაბისკენ,\*  
რომ იყურება და შენკენ იძვრის,  
ვინ ხარ ასეთი ან ის რა ვარდის  
ფურცლები იყო, ტანზე რომ იცვი?

## ცაში

ცაში ჭონი\* და ფეიქარი  
იქმონენ საქმეს  
და იქ მათ პირზე ოფლის ზვითქი  
გადასდით ასე:  
ერთი ხელმწიფეთ უკერავს და  
უკერავს გვირგვინთ,  
ხოლო მეორე ღარიბთ უქსოვს  
და უქსოვს ფლასებს.

## ვეზირს

ვეზირო, კვლავ რომ აღარას მჩუქნი,  
მიტომ განსენებ თავს ვაი-ვიშით,  
რადგან სანამდე ტირილს არ იწყებს,  
დედა ბავშვს ძუძუს არ უღებს პირში.



## რუდაქი

(გ. 941 წ.)

### ამას რას ვხედავ!

ამას რას ვხედავ, შენი მშვენივლით  
თვითონ მშვენიება არა ჩანს მშვენიად!  
ვინც ზილფთა შენთა ფშვენა ისუნთქა,  
გადაავიწყდა მუშკ-ამბრის ფშვენა.  
გული კი არა, ქვა გიდევს მკერდში,  
ქვაზე ათასჯერ ცივი და მძიმე,  
კარგად ვიცი მე და მაინც (ხედავ?)  
ისე გიფიცავ, ვითარცა ზენას.  
შენ არ გეგონოს, მე შენგან რამე  
წყალობას ანდა სიკეთეს ველი, –  
სად გაგონილა, გულქვას უღბობდეს  
გულს გულდამწვართა გულების ქშენა!  
შენზე ათასჯერ შევჩვივლე გამჩენს  
და იმას შველა ათასჯერ ვთხოვე,  
მაგრამ რა ვპოვე?! თურმე ღვთაებას  
არ ეპუები, ღვთაებავ, შენ აქ!  
მე თუნდ ათასი მეფე მამონონ,  
რა თავში ვიხლი ასეთ წყალობას,  
შენ ამიყვანე ყურმოჭრილ მონად  
და ეს იქნება რუდაქის შველა!

### შენმა, შენმა სილამაზამ

განშორების ქარიშხალმა,  
ტანწერწეტა ჩემო საროვ,  
ძირფესვიან ამომთხარა  
და შენს ახლოს ველარ ვხარობ.  
შენს გრძელ დალალს შეუძლია,  
თქვას: ქამანდი მართლაც ვარო, –  
კაცი მისგან მოთოკილი  
ვერ მოგლიჯო ქროლვით, ქარო!  
ასი თავი ვის აბია,  
მოგიკითხოს: როგორ ხარო?

გაკოცონო? აქედანვე  
უჯობთ, მიწა გაითხარონ.  
შენმა, შენმა სილამაზემ  
დამწვა, ცრემლი უნდა ვლვარო.  
დაგშორდი და ეს ქვეყანა  
მეჩვენება, როგორც ხარო.

### **შავ მთაზე თეთრად დაუთოვია**

შავ მთაზე თეთრად დაუთოვია,  
მშვილდს მიგავს უკვე წერწეტა სარო.  
რაც შევბას მგვრიდა, დღეს იგი მტანჯავს  
და რაც მიყვარდა, დღეს იმას ვზარობ.

### **რა იციან**

სადაც ტრფობით წამებულმა  
გაიარა გულის ურვით,  
მიწა წუწა ცრემლის წურვით,  
ცა დაქუფრა ჯანდის ბურვით.  
ჩვენ, მიჯნურებს, მაჯნუნები\*  
ძლივს გვიგებენ, თორემ, აბა,  
ლეილებმა\* ჩვენი დარდი  
რა იციან, რას ვემდურით!

### **ეს სიყვარული**

ეს სიყვარული მე, რუდაქის,  
ისე მაწამებს,  
რომ სისხლის ცრემლი მალე მარჯნად  
მიქცევს წამწამებს.  
ისე დამწვა მე განშორებამ,  
რომ ჯოჯოხეთიც –  
“ჩემებრ ცხელ ცეცხლში არ იწვისო!” –  
ცილს ვერ დამწამებს.

### **დავანებულა გაზაფხული**

აჰა ესერა, დაჭირხლული  
ზამთრის თოშითა  
მოლი და ნემო რომ არ ჩანდა,

ხმელი ჩალა –კი,  
დავანებულა გაზაფხული  
და მანის\* ხელით  
არჟანგის\* მსგავსად მოუხატავს  
ველი, ჭალაკი.  
ფრთხილად იყავი,  
ნუ ენდობი დინებას სოფლის,  
თორემ ნიანგთა ბუნავი არს  
ესე ალაგი!

## რა არის წუთისოფელი?

რა არის წუთისოფელი,  
ეს ჩვენი იწი-ბიწია?  
სიზმარი არის, ძმობილო,  
თორემ ეს სხვებმაც იციან.  
ვინც აქ სიავე დათესა,  
სიამე იმან იწვნია,  
ხოლო სიკეთის მოქმენი  
გოგირდის ცეცხლში იწვიან.  
შენ აქ სიმშვიდეს ეძებდი,  
ამქვეყნად მიტომ დასახლდი?  
იცია,\* ვინც ის იძია,  
თავზე რა ჭირი იწია?  
საჭვრეტად არის საამო,  
თორემ ბუნებით უნდოა,  
იერთ არის კეთილი,  
თორემ გუნებით ბილწია.

## ხვალ

წუთისოფელში სტუმრად მოხვედი  
და აქ დარჩენის არა გაქვს ნება,  
დღეს თუნდაც თბილი ლოგინი გეგოს,  
ხვალ ცივი მიწა გეგება ლებად.  
დღეს აქ რად გინდა მოყვრის მოგება,  
ხვალ თუ იქ ობლად მოგიწევს ვლება?!  
ჭიები გელის ტოლ-მეგობრებად,  
მატლები კიდევ – დებად და ძმებად.

## ღმერთს დაუმაღლე

მე ამ ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა  
და მაზიარა სიმართლეს ნამდვილს  
(რალა მართო მე, ყოველ ნაბიჯზე  
შენც ასეთ დასკვნას გამოიტანდი):  
ვისაც არა აქვს დარდი, მას უთხრა:  
არ გაიკარო ნალველის ლანდიც;  
ღმერთს დაუმაღლე, ბევრია, ვისაც  
შენი არჩივი ჰგონია ყანდი!  
ფრთხილად! გირჩევდი, გადაგეტანა  
ბოლმა (ამ ბოლმას თუ აიტანდი), –  
ვისაც ენაზე კლიტე არ ადევს,  
იმას ფეხებზე დაადეს ბანდი.

## ოთხი რამე

ნალველისგან ოთხი რამე  
დაგიფარავს, შენთან თუა:  
ჯანმრთელობა, სათნოება,  
სახელი და მერმე ჭკუა.  
ის, ვინც ღმერთმა არ დასწყევლა:  
(„ეს ოთხი რამ შენთან ნუა!“),  
გაიხარა, არ ჩავარდა  
სიმძიმის და ნალველს შუა.

## კეთილი რჩევა

დრო მზიარულად გაატარე  
შავთვალა ქალთან, –  
ცხოვრება ზღაპრის მაგვარია,  
მსგავსია ქართა;  
ის რაც წავიდა, არასოდეს  
არ გაიხსენო,  
მომავლისაგან სხვას ნუ ელი  
კეთილის გარდა!  
მივდივარ მასთან, ვისაც უდის\*  
სურნელი უდის,  
მივდივარ მასთან, – სილამაზით  
ფერიის გვართან.  
ბედნიერია ის, ვინც გასცა  
და ჭამა თავად,  
უბედურია, ვინც ცხოვრება  
ასე არ მართა.  
ქართა და ღრუბელთ მსგავსად უთქვამთ

საწუთრო ჩვენი, –  
მოიტა ღვინო, რაც გვეწევა,  
გვეწიოს მთვრალთა!

## ქვეყანა მეფის ნებისად იყოს!

ქვეყანა მეფის ნებისად იყოს  
და თვითონ მეფე სუფევდეს მარად,  
ბედის ავღარი და ყიამეთი  
მას შეეცვალოს ყოველთვის დარად;  
ღვთაების დარად სიკეთე თესოს  
და სათნოებას ედგეს კვლავ ფარად!  
„თუ ერთი კარი გადაგვიკეტა,  
ათასი კარი დაგვიგდო კარად“.  
და რად ვემდუროთ, თუკი განგებით,  
ერთ გუნებაზე ყველა არ მდგარა, –  
ყოფა ჭრელია, ამ ქვეყანაზე  
ზოგჯერ ვნეტარებთ და ზოგჯერ – არა.

## სამი პერანგი

გამიგონია,  
იოსებს\* თურმე  
გაჭირვების თუ დაღბნის ჟამად,  
სამი პერანგი  
ჰქონია, ტურფავ,  
რა მოუვიდა, თუ იცი, ამათ?  
ერთი მუხთლობის  
სისხლმა შეღება,  
მეორე ცილმა დაფხრიწა სამად,  
ხოლო მესამემ  
მისი პატრონის  
თვალდავსებული განკურნა მამა.  
იმ პირველ პერანგს  
ჰგავს ლოყა ჩემი,  
მეორის მსგავსად ეს გული დამაქვს.  
ახლა მესამეს,  
ეგებ, ვინ იცის,  
შვება მაღირსოს, დავეძებ ამად.

## აბა რა მოხდა?

ამ სასახლეში  
მიქეიფია,  
სმით და ღრეობით შემძირავს თალი,  
ამირათა და მეფეთა მსგავსად  
მეგონა თავი დიდი და ლალი.  
დღეს იგივე ვარ,  
სასახლეც – იგივე,  
იგივე ქალაქი და იგივე ბალი.  
აბა რა მოხდა,  
სანაცვლოდ შევების  
საიდან გაჩნდა ეს ვნების დალი?

## ჭირისუფალი

თმას რომ ვიღებავ,  
ჭაბუკობას მე განა ვლამობ  
ან მსურს, კვლავ ცოდვა  
ჩავიდინო გულისთვის ამო?!  
არა! ისე, ვით  
ძაძას იცვამს ჭირისუფალი,  
ჩემს სიყრმეს ვგლოვობ  
და ვიშავებ წვერს ამის გამო.

## ამირა მოდის

მულიანიდან\* ზეფირი მოდის  
(სად მომაგონდი, სად მომაგონდი!),  
აბრეშუმით გვეგება ფეხქვეშ  
ამუდარიის რიყე და ლოდი.  
წელამდე სწვდება ჩვენს ბედაურებს  
ჯეონის\* ზვირთნი წამრღვენელი კბოდის.  
ჰეი ბუნარავ, ამირა მოდის,  
იმხიარულე, დატკბი და ცხონდი!  
შენ ზეცა ხარ და ამირა – მთვარე,  
მთვარე აღმოხდა როდის და როდის!...  
შენ ბალი ხარ და ამირა – სარო,  
საროს მოუნდა სავანე ოდის.  
თუნდაც დაეცე და გავკერანდე,  
მანც ღირსი ხარ ხოტბის და ოდის!

## ტკბილი იყო?

- მოვიდა ჩემთან...
- ვინა?
- სატროფო,
- ეს როდის?
- დილით.
- კრთებოდა?
- მამა!
- რად კრთებოდა?
- მამა ჰყავს ფრთხილი.
- სულ დაფუკოცნე.
- რა?
- ტუნები.
- ტუნები?
- არა
- მაშ?
- იაგუნდი.
- ტკბილი იყო?
- თაფლივით ტკბილი.

## იესომ ბრძანა

სადმე რომ ხელში ჩაიგდო დანა,  
კაცს უნდა ყელში ატაკო განა!  
ასეთი ავი თავის შექცევა  
არ მოსწონთ უფლის წიაღთა თანა.  
მახვილი განა მიტომ გაჭედეს,  
რომ სისხლისმსმელმა აილოს ხელში  
ან ყურძენს განა მისთვის წურავენ,  
ღვინოს მუშტრები რომ  
ბლომად ჰყვანან!  
გამიგონია, იესომ ერთხელ  
მოკლულის გვამი იპოვა გზაზე.  
ჯერ შეკრთა, პირში იტაცა თითი,  
მერე ჩაფიქრდა და ასე ბრძანა:  
„დღემდე სხვებს ჰკლავდი,  
შე უბედურო,  
დღეს კი, ხომ ხედავ,  
სხვამ მოგკლა აგერ;  
ხვალ იმ შენს მკვლელსაც  
სხვა ვინმე მოკლავს.  
უნდა გცოდნოდა ეს ანაბანა!“

## კვირობდეს ხალხი

მეფევ, გაშალე ისეთი სუფრა,  
არ მოუჩანდეს არსად სამანი;  
ხასხასა ვარდით დახატე იგი,  
დახუნძლე მძიმე იასამანით;  
ისეთი საქმე ქმენ, ჰე მეფეო,  
დღემდე ამქვეყნად არავის ექნას,  
მოყვასს სიამით აღევსოს სული,  
ხოლო მტერს გული მახვილით ექნას;  
ფარჩით და დიბით დამოსილები  
დასხი სტუმრები ძვირფას ნოხებზე;  
იქით მიმხედველთ თვალი ახარონ  
და შვება იგრძნონ აქეთ მომხედველთ;  
ჩანგზე დაუკრან ისე, მსმენელი  
გაბრუვდეს მისი საამო ბანგით;  
კვირობდეს ხალხი: ხომ არ გვესმოდ  
ციდან იესოს ბარბითის ჰანგი!<sup>1</sup>



# ქესანი მარაველი

(დ. 953 წ.)

## ცრუ სოფელს ვინდა

სამას ორმოცდაერთი  
წელი დგა  
ჰიჯრული\* წელთაღრიცხვით ჩვენით,  
დღით ოთხშაბათი,  
სამი დღე აკლდა,  
მიწურვილიყო შავალის\* დღენი.<sup>2</sup>  
რისთვის მოვედი  
ამქვეყნად? საქმით  
რა უნდა მექნა ან მეთქვა ენით? –  
უნდა მეძლერა  
და დღენი ჩემნი  
უნდა განმეგლო შვებით და ლხენით.  
მერე ვით განვვლე?  
ამ წუთისოფელს  
მივათრევ, როგორც ჯაგლაგი ცხენი.  
ოჯახის ტყვე ვარ,  
ცოლ-შვილის მონა,  
დამდაბლების და დამცრობის მომენი.  
ორმოცდაათი  
წელი გავლიე.  
რა შემრჩა ხელში, რისი ვარ მძენი?  
ხელთ მაქვს ანგარიშსწორების  
წიგნი  
ათასი წყენის, სენის და ტკენის.  
როგორ მოვაბამ  
თავს ანგარიშის  
სწორების ამ წიგნს, რომც ვიყო ბრძენი,  
როცა სიცრუე  
მიძევს საძირკველად,  
ხოლო სირცხვილმა ამივსო სხვენი?!  
თავი სინარბეს  
ჩავუგდე ხელში,  
სიწუწუკისაგან მივიღე ძღვენი;

ცრუ სოფელს ვენდე,  
მათხოვრად ვიქეც  
და ამაზრზენი საქმენი ვქენი!  
ლერწამს ვემსგავსე  
ამდენი ჯაფით,  
ამდენი შრომით, წყრომით და წყენით.  
თმა რძისფრად მექცა,  
ლაწვები – ლილის,  
გულში კი ნალველს ვტენი და ვტენი.  
ვით გასაწკეპლი  
ბავშვი წკეპლის წინ  
კანკალებს, ახლოს არ ჩანან მწენი,  
სიკვდილის შიშით  
ვძრწი დღე და ღამე  
და ვერ მშველიან ადამის ძენი.

### **ვარდის გამყიდვლის გამკვირვება**

ვარდი სამოთხის  
საჩუქარია  
და უფლის განლავთ წყალობა დიდი,  
ვარდის სიკეთით  
კეთილშობილი  
გახდება კაცი, რომც იყოს ფლიდი.  
ვარდის გამყიდვლის  
გამკვირვებია,  
ასეთ ზარალზე თვითონ რომ მიდის:  
ვარდზე უკეთესს  
სხვას რას იყიდის  
ფულით, რაზედაც ის ამ ვარდს ყიდის!

### **თმას რომ ვიღებავ**

თმას რომ ვიღებავ  
და ეს მოხუცი  
ყრმასავით შავი წვერით დავდივარ,  
თქვენ რა გგონიათ,  
რისთვის ვიღებავ,  
ამ საძრახ საქმეს რატომ ჩავდივარ?  
რატომ და, ხალხი  
თეთრწვერა მოხუცს  
ბრძენ კაცად რაცხავს და ჭკუას ჰკითხავს,  
მეც ვშიშობ, ვინმემ  
ჭკუა არ მკითხოს, –  
მე ხომ ცეტი და ჭკუამჩატე ვარ!

## გამოზაფხულდა

გამოზაფხულდა და სადაც ზამთრის  
ავდარი იდგა, ახლა დარია.  
ზეებმა მწვანე კაბა ჩაიცვეს,  
სიოა, რომ ქრის, განა ქარია!  
წუხელ გაბრიელ მთავარანგელოზს  
ხომ არ აექცა, ნეტა, მხარი აქ, –  
ეს ნემო მან ხომ არ გამოასხა  
ბაღებს გამხმარს და ეკალ-ნარიანს  
ისე, ვით ერთ დროს ყრმა ჩაუსახა  
მუცელში ყოვლადწმიდა მარიამს?!

## დაყიყი

(გ. 977 წ.)

### და იმ ორს მონებს ერი და ბერი

ქვეყანას ორი  
რამით იპყრობენ  
და იმ ორს მონებს ერი და ბერი:  
ერთს ლეგა ფერი  
გადაჰკრავს ფარჩის,  
მეორეს აძევს ზაფრანის ფერი.  
ერთი ოქროა,  
ზედ რომ ტვიფრავენ  
სახელს, მეფობის ვისიც ღვას ჯერი,  
ხოლო მეორე  
იემენური  
რკინაა ბასრი და რისხვით მზერი.\*  
მეფობის ჟინმა  
თუ აგიტანა,  
თუ მეფის სკიპტრის გსურს, იყო მჭერი,  
განგებაც უნდა  
გწყალობდეს, მაგრამ  
ვერას იქმ მარტო განგების ცქერით.  
პირით ბადაგი  
უნდა გდიოდეს,  
ხელით – ბაჯაღლო დინარის\* ჩქერი.  
გულში მოყვრობაც  
გედვას და მტრობაც, –  
მოყვასს ეფერო და მუსრო მტერი.  
ორი რამ გინდა,  
თუ გსურს, ქვეყანამ  
გმონოს და მოგცეს ხარკი და ზვერი:\*  
პირველი იგი  
ოქროს ქისაა,  
ხოლო მეორე – მახვილის წვერი.

## ორდიბეჰეშტი\*

შეხე, ძვირფასო,  
სამოთხის ღრუბელს  
როგორ მოურწყავს ედემის ველი,  
როგორ მოუსხამს  
მთას და ბარს ირგვლივ  
ორდიბეჰეშტის ხალათი ჭრელი!  
ველი შორიდან  
როგორ ჭიატებს,  
ვით დიბა სისხლის შხეფებით სველი!  
ეს ლილისფერი  
ცაა თუ ფარჩა  
ლივლივებს, გახდა გარჩევა ძნელი.  
ნუკრის თვალივით  
კამკამა წყარო  
ჩეროში შედის და ჩვენც იქ გველის.  
ერთი გასინჯე,  
მასზე საამო  
სასმელის თუ ხარ ოდესმე მსმელი!  
ბაღს ედემისას  
დამგვანებია  
განახლებული წალკოტი ძველი  
და ტანწერწეტა  
კვიპაროზთ გზებზე  
ქალწულებივით ერწევათ წელი.  
ირგვლივ ისეთი  
მშვიდობა სუფევს,  
არვის სჭირდება შემწე და მშველი,  
თხას და მგელს ერთად  
დაუდევთ ბინა,  
ვეფხვს სასეირნოდ დაჰყვება შველი.  
მიწას ვარდისწყლის  
სურნელი ასდის,  
როცა უბერავს ნიავი ნელი.  
ეს თიხა ვარდის  
წყალში ვინ ზილა? –  
საოცარია და საკვირველი!  
კარგია ახლა  
ამ გუნებაზე  
მზისლაწვებიანს თუ აქვე ელი  
(მზე ვთქვი? ქალს მთვარედ  
ვიტყვით მგოსნები,  
კაცის ხატად კი მზე უთქვამთ მწველი).  
ამ ქვეყანაზე  
ყველაფრისაგან,  
საყვარელია თუ საძულველი,  
დაყიციმ ოთხი  
რამ აირჩია,

სხვაზე ყოველზე აიღო ხელი:  
ლალ-იაგუნდის  
ტუჩები ქალის,  
ჩანგის ქვითინი ჟრუანტლის მგვრელი,  
ღვინო – წითელი,  
როგორც სისხლი და  
ზარღუშთის\* რჯული ძველი და ქველი.

## შენ რომ არ იყო

ნეტავი, მუდამ  
ღღე ყოფილიყო,  
არ დამდგარიყო არასდროს ღამე,  
მე ბაგეთაგან  
შენთა, ძვირფასო,  
მომწყვეტდა მაშინ ამქვენად რამე!  
შენს ბროლის ღაწვზე  
მუშკის\* კულულებს  
ღრიანკლის\* მსგავსად რომ არ ეცოცათ,  
მე ღრიანკალი  
არ დამგესლავდა  
და იქნებ ერთხანს კიდევ მეცოცხლა!  
შენი ვარსკვლავის  
ბადალი ხალი  
რომ არ გვიხმობდეს ტუჩების ქვემოთ,  
ვარსკვლავი ჩემი  
მეხვაშიადე\*  
არ იქნებოდა, ძვირფასო ჩემო.<sup>3</sup>  
მე რა მიშავდა,  
შენ რომ არ იყო  
სათნობით და სიკეთით სავსე,  
მაშინ სულ ასე  
ვერ დამავსებდა  
სოფლის სიავე, ახლა რომ მავსებს.  
თუ მე უშენოდ  
უნდა ვიცოცხლო,  
განგშორდე შენ და კვლავ ველარ გერთო,  
მაშინ სოფელი  
ჩალად არ მიღირს,  
ანდა სიცოცხლეს რას ვაქნევ, ღმერთო!

# ფირდოუსი

(X–XI სს.)

## შაჰ-ნამე

(მეფეთა წიგნი)

### ნაწყვეტები პოემიდან

#### დასაწყისი

იმის სახელით, ვინც განაგებს<sup>\*</sup>  
სულს და გონს ჩვენსას,  
რომელზე მაღლა თავად აზრიც  
რომ ვერ ასულა;

ვინც მეუფეა სახელის და  
სამკვიდრებელის,  
საზრდოს ვინც გვიჩენს და ეტიკად<sup>\*</sup>  
წინ მიგვიძღვება;

ვინც უფალია ამ ქვეყნის და  
მბრუნავი ცარგვლის,  
ვინც არის, ნათელს რომ ანიჭებს  
მთვარეს, ერმს<sup>\*</sup> და მზეს;

ვინც სახელს, ნიშანს და გუმანსაც  
ვერ აუსახავს,  
თავად კი ვისაც მოუსახავს  
ყოველი არსი;

ვის თვალს ვერ ჰკიდებ, შენ რომ გასხენ,  
იმ თვალთა ხედვით  
(მას ვერ იხილავ, თვალს ნუ იტკენ  
ტყუილუბრალოდ!);

---

\* ორიგინალის ტექსტი დადგენილი არ არის, რის გამო თარგმანში ხშირად შეგვხვდება შინაარსობრივი შეუსაბამობანი.

ვისკენაც, აზრიც რომ აზრია,  
გზას ვერ გაიკვლევს,  
რადგან სახელის და სამკვიდროს  
იმეორ სუფევს;

ჩვენ, კაცთა, სიტყვა სოფლის ნივთთა  
გაღმაც გაგვიცდეს,  
ვის არსს ვერც სულით ჩავწვდებით და  
ვერც გონით ჩვენით.

გონი კი, საგანს დიახაც რომ  
შეურჩევს სახელს,  
მაგრამ იმ საგანს მხოლოდ, ჩვენთვის  
რაც ხილულია.

კაცმა არ უწყის, ვით შეესხას  
მას უნდა ქება,  
ემონო უნდა, ერთია გზა,  
სხვა გზა არ არის!

გონის ჩვენის და სულის ჩვენის  
ამწონ-დამწონი  
აწონ-დაწონილ ჩვენს აზრში გსურს,  
რომ ჩაატო?!  
რომ ჩაატო?!

განსჯის, სულის და ენის იმგვარ  
საშუალებით,  
ჩვენს ხელთ რომ არის, მისი შესხმა  
ვით შეიძლება?!

აღმსარებელი უნდა ვიყოთ  
მისი, მორჩა და  
გათავდა, და ფუჭ რომეებს თავი  
უნდა ვანებოთ!

იქნები მისი მესავი\* და  
გზას გასდევ მართალს  
და ნებით მისით განჭვრეტ სიღრმეს  
მისი მცნებისას.

ვისაც ცოდნა აქვს, შემძლებელი  
იგია მხოლოდ,  
ცოდნის წყალობით ყმაწვილდება  
ბეზრეკის გულიც.

ამ ფარდის იქით აღარ არის  
ადგილი სიტყვის,  
იმის იმიერ აზრს გზები აქვს  
გადაკეტილი.



## გონის შესხმად თქმული

ჰე გონიერო, ახლა უკვე  
დაგვიდგა ჯერი,  
მე და შენ გონის თაობაზე  
ვილაპარაკოთ.

გვასმინე, ერთი, საგანბურში  
რა გიძევს გონის,  
ნაყოფით შენი გონებისა  
დაგვიტკბე სმენა!

ყველაზე კარგი, რაც უფალმა  
მოგვცა, გონია.  
შესხმა გონისა სიმართლის გზას  
აღემატება.

გონია, სულ რომ წინ მიგვიძღვის  
და სულ რომ გვხიბლავს,  
იგი გვყავს შემწედ სააქაოს  
და საიქიოს.

ეს მისგან გვიღვინს, თუკი გვიღვინს,  
და მისგან გვიჭირს,  
ეს მისგან მოგვდის აღზევებაც  
და დამდაბლებაც.

კაცს, თუნდაც სულმნათს, გონი ბნელი  
თუ გამოჰყვება,  
წუთი რა არის, ქვეყნად წუთით  
ვერ გაიხარებს.

ერთი ისეთი რამე უთქვამს  
ერთ გონიერ კაცს,  
რომ, მცოდნე თუ ხარ, უსათუოდ  
სიამეს მოგგვრის:

“იგი, ვინც თავის საქციელში  
გონს ვერ მოუხმობს,  
ნაქნარით თვისით თავისვე გულს  
დაიკოდავსო!”

ჭკვიანი კაცი ასეთ უგნურს  
დამთხვეულს უხმობს,  
ხოლო მოყვასი მას, ვით უცხოს,  
ისე ვერ ჰგუობს.

გონი ვისაც აქვს მრთელი, სუფევს  
ორსავე სოფელში,  
ხოლო რომელსაც ის დაეხშო,  
ბორკილებში ზის.

გონი თვალთა სულის შენის,  
თუ მიუხვდები.  
თვალის თვინიერ კი, თვით იცი,  
რა შვებაც გელის!

ესეც იცოდე: უპირველეს  
გონი შეიქმნა  
და გონით გივის სულის მცველი  
სამი დარაჯი.

ეს დარაჯები გახლავს: ყური,  
თვალი და ენა.  
მათგან გეწევა შენ სიკეთეც  
და ბოროტებაც.

ვინ კადნიერი გაუბედავს  
გონს და სულს ქებას,  
მე რომ მექნა ეს, ვინ თავხედი  
მომისმენდა მას!

თუ არვინ არის, ბრძენო, აზრი  
აქვს თქმას რაიმე?  
და ამის შემდეგ შემამეცნე  
ქმნილების არსი!

ქვეყნიერების შემოქმედის  
შექმნილი შენ ხარ,  
აშკარაც კარგად უწყი, რაა  
და დაფარულიც.

დასთურად\* მუდამ გონი გყავდეს,  
მას აპყარ ყური  
და უკეთური შენს სულს ახლოს  
ვერ მოუდგება!

მცოდნეთა მცნების გზას მიჰყევი  
მხოლოდ და მხოლოდ,  
იარე სოფლად და ეს მცნება  
ქვეყანას ამცნე!

ცოდნას ყოველგვარს მიაპყარი  
ყოველთვის ყური;  
არ მოისვენო და სულ სწავლის  
ხარბი იყავი!

ცოდნის ხის ტოტზე როცა თვალი  
აგეხილება,  
იქ მიუხვდები, არ ჰქონია  
ამ ხის ფესვთ ბოლო.

## სამყაროს შექმნის შესახებ

უპირველესად ყოვლის კარგად  
უნდა უწყოდე,  
რა იყო ნივთთა დასაბამი  
და საფუძველი.

რაობა შექმნა შემოქმედმა  
არარაისგან,  
რათა შეძლება თვისი ნათლივ  
გამოეჩინა.

მისგან შეიქმნა დასაბამი  
იმ ოთხთა ნივთთა  
ჯაფის თვინიერ და გარეშე  
ჟამთა სრბოლისა.

და აღეტკინა მაშინ ერთი  
მხურვალე ცეცხლი  
აყალო მიწის, ნიავის და  
წყლის რასმე წიაღ.

უპირველესად მოძრაობამ  
წარმოშვა ცეცხლი  
და სიმხურვალით მისით იქვე  
ხმელეთიც გაჩნდა.

ამის შემდეგ კი მყუდროებამ  
რომ დაივანა,  
აგრილდა, ხოლო სივრილეში  
ტენმა იმატა.

და როცა ოთხი ნივთი ესე  
ერთად შენივთდა,  
შეიქმნა მათგან ჩვენი ხრწნადი  
სამკვიდრებელი.

შემდგომ ამისა შეეზავნენ  
ერთურთს ეს ნივთნი,  
ნაირ საგანთა დააყენეს  
კორიანტელი.

და წარმოიქმნა ცის გუმბათიც  
სწრაფად მბრუნავი,  
ანალთახალის გამოჩენი  
საოცრებების.

მაშინ დაუდგა თორმეტს შვიდი  
მამასახლისად<sup>4</sup>  
და ყოველივეს მიეკუთვნა  
ადგილი თვისი.

გაბოდების და მინიჭების  
ნიჭი გამოჩნდა  
და მცოდნეს იგი ეწყალობა,  
რაც ეკუთვნოდა.

რა სფერო ცისა დაესართა  
ზედ სფეროს ცისას,  
იგიც დაიძრა, როცა მიდგა  
საქმე საქმეზე.

და აჰა, გაჩნდა ზღვა, მინდვრები  
და მთიანეთი  
და აელვარდა ეს ხმელეთი,  
ვით ჩირაღდანნი.

ზე აიწივნენ მთანი, წყალნი  
კი ქვე დაქანდნენ,  
მიწის უბიდან მცენარეთაც  
ამოჰყვეს ყური.

თვით დედამიწის თავს ზემოთ კი  
არარა იყო  
ცის ერთი ბნელი და უსახო  
ჭიბის თვინიერ.

იქ კი ვარსკვლავი აკიაფდა  
(საკვირველებავ!)  
და მოემატა დედამიწას  
სინათლე მისგან.

მალლა ვიდოდა ცეცხლის ალი,  
წყალი კი – დაღმა  
და დედამიწის ირგვლივ იწყო  
შემოვლა მზემაც.

მოლი ამწვანდა და კორომმაც  
ფეხი აიდგა, –  
გახარების და ტანის აყრის  
დაუდგათ ჟამი.

მხოლოდ ადგილზე ძალუძთ იმათ,  
გაშალონ მხრები,  
თორემ დაძვრა და სიარული  
არ შეუძლიათ.

ამის შემდეგ კი, როს ცხოველიც  
გაჩნდა, ამქვეყნად  
მცენარეული რაც კი იყო,  
მან მოიჩრდილა.

მისი თვისება ნეტარებას  
დანატრებაა,  
ამიტომ უყვარს ჭამა, ძილი  
და მოსვენება.

უტყვი აქვს ენა (პირუტყვია),  
არ შესწევს გონი  
და თავი გააქვს მიწით მოსულ  
ბალახ-ბულახით.

კარგს ავისაგან ვერ გაარჩევს,  
საქნელს ვერ განსჯის,  
მესაობასაც\* შემოქმედი  
არც თხოვს ამიტომ.

რადგან მცოდნეა, ყოვლისშემძლე  
და მართმსაჯული,  
სასწორ-სამართლით განურიგა  
თავის ქმნილთ არსი.

ასეთი არის ქვეყნის ამის  
საქმე და ბოლო.  
მაგრამ ვუწყით კი, რას გვიმაღლავს  
ის ან რას გვიჩენს?!

### ადამიანის შექმნის შესახებ

ამის შემდგომ კი გაჩნდა თვითონ  
ადამიანი  
და ყოველ დახშულს კლიტე თვისი  
გამოენახა.

წერწეტა საროს აიყარა  
მან მსგავსად ტანი,  
მჭევრად დაიწყო ლაპარაკი  
და გონს მოეგო.

გონებას უხმო, შეიწია  
აზრი და ჭკუა  
და ამით მხეცი და პირუტყვი  
დაიმორჩილა.

აბა, დაფიქრდი და ეს საქმე  
ისე განსაჯე,  
თუ მნიშვნელობა რაა სიტყვის:  
„ადამიანი“!

ახირებულად ნუ უყურებ  
შენ ადამიანს!  
მასში სხვა ნიშან-თვისებები  
ვერ შეამჩნიე?

ორი სამყაროს წიაღიდან  
შეგანივთეს შენ  
და ამ პირობით გაგაჩინეს  
ამ ქვეყანაზე.

პირველშექმნილის ღირსება სცან  
შენ ნაბოლარად,  
ეს შენ ხარ, რაც ხარ, თავის შენის  
ყადრი იცოდე!

ამაზე სულ სხვა თვალსაზრისიც  
მომისმენია,  
მაგრამ არ ვიცი ხვაშიადი\*  
ჭეშმარიტების.

წინ გაიხედე და იფიქრე  
შენს აღსასრულზე  
და საქნელთაგან ის ქმენ, რაიც  
სიკეთეს ქმნიდეს!

შენს ტანს თუ ჯაფას დააყენებ,  
არ ითაკილო,  
რადგანაც ჯაფა (აზრის მქონე)  
უპრიანია.

და თუ გწადია, ყოველგვარ ავს  
ხელით დაუსხლტე  
და არ გაება ფათერაკში  
ორივე ფეხით;

თუ გსურს, ზეობდე არხეინად  
ორსავ სოფელში  
და შემოქმედმაც მიითვალოს  
ნალვაწი შენი, –

ამ სწრაფად მსრბოლავ გუმბათს შეხე  
და დაიხსომე:  
მისგან გვეძლევა ჩვენ სალბუნიც\*  
და სატკივარიც!

არც ჟამთასვლისგან იცვითება,  
იცოდე, იგი  
და არც ეს ჯაფა და ტანჯვა გვრის  
მას რამე ვნებას.

იგი სულ ბრუნავს, არ ისვენებს  
ერთი წუთითაც,  
მე შენ გეტყვი და, ჩვენდა დარად  
განიორწყლდება!

იმისგან მოგვდის აღზევებაც  
და დამდაბლებაც,  
ავის და კარგის გარდმოვლენა  
იმის ხელთაა.

## მზის შექმნის შესახებ

ცისფერი ჩარხი იაგუნდის  
გახლავთ წითელის,  
ქარით, წყლით, მტვრით და კვამლით  
შეთხზულს  
ნუ იგულისხმებ!

იმდენი ჭაღით და ჩირაღით  
არის მორთული,  
კაცი იფიქრებს, ნავრუზობის\*  
ბალი არისო.

და თვალსაამოდ შიგ სეირნობს  
მზე – მარგალიტი,  
ნათელი თვისი დღეს ვისგანაც  
მინიჭებია.

იგია, ყოველ განთიადზე  
ოქროს ფარივით  
აღმოსავლეთით მოელვარე  
თავს რომ წამოსწევს.

მიწა შექისგან (ვიშ!) შეკერილ  
პერანგს ჩაიცვამს  
და განათდება არემარე  
ბნელით მოცული.

ხოლო როდესაც დასავლეთში  
დაეკანება,  
აღმოსავლეთით თავს წამოჰყოფს  
ახლა წყვდიადი.

გზას არასოდეს გაღუჭრიან  
ერთიმეორეს  
(ამაზე უფრო კეთილი ზნე  
რა უნდა იყოს!).

შენ მოგმართავ, შენ! შენ, ვინც ნათელს  
ჰყვენ მთელ მსოფლიოს:  
მე რომ არა და არ მინათებ,  
რა დავაშავე?!

## მთვარის შექმნის შესახებ

შენ რა გგონია, კუნაპეტი  
ღამე ჩირალს ფლობს  
(სანამ შეგეძლოს, არასოდეს  
ავს არ მისდიო!).

პირს არ გვაჩვენებს ის ორი დღე  
და ორი ღამე,  
ამდენ ტრიალში, იტყვი, ალბათ,  
დაილიაო.

და სწორედ ამ დროს გამოჩნდება  
პირყვითელი და  
ლანდად ქცეული დარდით მოხრილ  
მიჯნურთა დარად.

და ის-ისაა, მას შორიდან  
დალანდავს კაცი,  
რომ თვალებს კაცთა იგი ისევ  
მიეფერება.

მეორე ღამეს გამოჩნდება  
უფრო თვალნათლივ  
და ნათელს ახლა წინანდელზე  
უფრო მეტს მოჰყენს.

ორ კვირაში კი სულს მოითქვამს  
და აღიესება  
და ისევ იმად გარდიქმნება,  
რაც ადრე იყო.

ამის შემდეგ კი ისევ იწყებს  
ფერ-ხორცის დაყრას  
და მზეს, გიზგიზას, კიდევ უფრო  
უახლოვდება.

არსთა გამრიგემ მას ასეთი  
ბუნება მისცა  
და ეს ბუნება ექნება მას,  
სანამდის ჰკვიეს.\*



## „მეფეთა წიგნის“ შექმნის შესახებ

დამასწრეს სიტყვა და სათქმელიც  
ითქვა ჩემამდე,  
ახლა მე ერთხელ უკვე ნათქვამს  
მოვეყები ისევ.

რასაც მე ვიტყვი, ყველაფერი  
თქვეს ჩემზე აღრე,  
ბალი ცოდნისა დაკრეფილი  
დამიხვდა, რა ვქნა!

ამ მსხმოიარე ხეზე ფეხს თუ  
ვერ მოვიკიდებ,  
მის კენწეროზე თავს მოვლება  
თუ წილად არ მხვდა,

არც ინდისხურმის ძირს ყოფნაა  
ურიგო საქმე,  
იმის ჩეროში მოჩრდილებაც  
ნეტარებაა!

მაგრამ რა იცი, მოვიკიდო  
როგორმე ფეხი  
ამ მაღალი და ჩრდილოვანი  
ხის ტოტზეც იქნებ;

მორჭმული მეფეთ წიგნით  
ამით სახელოვანით  
დავტოვო იქნებ ქვეყნად ჩემი  
სახსენებელი!

შენ არ გეგონოს ზღაპარი ეს  
ან მოჭორილი,  
ან მაგალითი სიცრუის და  
თვალის ახვევის!

რაც მასში თქმულა, ყველაფერი  
გონს ეფერება  
და აზრი თვისი უდევს ყოველ  
ნართაულს მისას.

ძველი დროიდან არსებობდა  
ერთი რამ წიგნი  
და წიგნი იგი შეიცავდა  
ამბავს უამრავს.

მხოლოდ მობედებს\* შერჩენოდათ  
იგი აქა-იქ  
და სარგებლობდა იმით, ვინც კი  
ჭკვიანი იყო.

ყოფილა ერთი ფალავანი\*  
დეჰყანის\* მოღმის,  
გულადი, ქველი, გონიერი  
და დიდებული.

უძველეს დროთა მკვლევარი და  
მწიგნობელი იყო  
და იძიებდა გატაცებით  
ძველთაძველ ამბებს.

ყოველი ქვეყნით მოიწვია  
მან ხანდაზმული  
მოხედები და მოუყარა  
ამ წიგნებს თავი.

გამოიკითხა მათგან ქაის\*  
მოღმის ამბავი  
და ვინაობა სახელოვან  
და ქველთა გმირთა.

თუ როგორ ეპყრათ (მერე როდის!)  
ქვეყანა ესე,  
რომელიც ახლა შეგვრჩენია  
ასე ვაგლახად.

როგორ გარდახდნენ ანდა მათი  
ცხოვრების დღენი  
ეგრე მორჭმულად, გონივრულად  
და სვესვიანად.

იმ დიდებულმა მოხედებმაც  
ამცნეს იმ დეჰყანს  
მეფეთა ქველთა ამბავი და  
საწუთროს ბრუნვა.

და რა იუნჯა სეფაჰბოდმა\*  
მათი ნათქვამი,  
ერთ სახელგანთქმულს ჩაუყარა  
წიგნს საფუძველი.

ასე დაიდვა მან მარადი  
სახსენებელი  
და ხოტბას ასხამს დღეს მას ქვეყნად  
დიდიც და მცირეც.

## დაყიყი მოშაირის ამბავი

როცა ამ წიგნში თავმოყრილი  
ამბების კითხვას  
შეუდგა ხალხი და განივრცო  
ის და განითქვა,

სუყველას გულზე მოეჭიდა  
ეს წიგნი ქვეყნად,  
ყველა გონიერს, ყველა მორჭმულს\*  
და გულით ალაღს.

და აჰა, ერთი ახალგაზრდა  
კაცი გამოჩნდა,  
ნათელგონება, მჭევრმეტყველი  
და ოქროპირი

და განცხადა: „ამ წიგნს ლექსად  
გარდავთქვამ მეო!“  
და გაახარა ხალხის გული  
ამ დაპირებით.

უკეთური ზნე მოდგამდა მის  
ყმაწვილკაცობას  
და დღენიდაგ ამ ავ ზნესთან  
ბრძოლაში იყო.

მაგრამ სიკვდილი მოუვარდა  
ანაზღეულად  
და თავზე შავი მუზარადი  
დაარქვა\* საწყალს.

და განუტევა ტკბილი სული  
იმ უბედურმა  
ისე, რომ ქვეყნად ერთი დღეც  
არ გაუხარია.

და შეაქცია მას იღბალმა  
ზურგი ამგვარად, –  
გამოსალმა წუთისოფელს  
ის ერთმა მონამ.

წავიდა ის და დარჩა წიგნი  
დაუწერელი.  
ასე მიეცა ძილს მღვიძარე  
მისი ყისმათი.

უფალო ღმერთო, შეუნდე მას  
ცოდვანი მისნი  
და აღაზევე ის მეორედ  
მოსვლის დღეს უფრო!

## ამ წიგნის შექმნის შესახებ

ახლა ვიბრუნებ იმისგან პირს  
და ჩემს გულს მართალს  
ქვეყნის მეუფის ტახტის მიმართ  
მივაქცევ კდემით.

ამ წიგნს მოვკიდებ მე ხელს ახლა  
და შევუდგები  
ჩემი სიტყვებით გადმოტანას  
იმ ძველი დავთრის.

თვლა აღარ ჰქონდა, იმდენ ვინმეს  
კვითხე ამაზე, –  
საწუთროს ბრუნვა მაშინებდა,  
მართალი ვითხრათ.

იქნებ იმდენი არ დამცლოდა,  
რომ ეს მომესწრო  
და დარჩენოდა სხვას ეს საქმე  
მოსათავებლად!

სანდო არ არის ცის განგება  
და საიმედო,  
ვინ არის ანდა ჯაფის შენის  
დამფასებელი!

ავი დრო გახლდათ, სულ ომი და  
სისხლისღვრა იყო,  
სადაც გინდოდათ, შემოქმედ ხალხს  
ცუდი დღე ადგა.

ასეთ ყოყმანში კარგა ხანი  
გავიდა კიდევ,  
მე კი ხვაშიადს\* ვინახავდი  
სათუთად გულში.

კაცი ვერ ვნახე შესაფერი,  
რომ ამ საქმეში  
გვერდით მყოლოდა და წერის დროს  
დამხმარებოდა.

სიტყვაზე (ლექსზე) უკეთესს რას  
დამისახელებ?  
ვინ არის, მას რომ არ აქებდეს,  
დიდი თუ მცირე?!

უფლის კეთილი სიტყვა რომ არ  
არსებულებოდა,  
მოციქულს\* ჩვენსას ვით შეეძლო  
ჩვენი გაძლოლა!

მყავდა ქალაქში გულითადი  
მოყვასი ერთი,  
ყველაზე უფრო ახლობელი  
ჩემს ახლობლებში.

მან ასე მითხრა: „მომეწონა  
განზრახვა შენი,  
აქედან ვატყობ, დიად კარგ გზას  
გინდა, დაადგე.

მე შენ მოგიტან ფალაურად\*  
დაწერილ ამ წიგნს.  
და დანარჩენი კი შენ იცი,  
შეუდექ საქმეს!

ენა წყლიანი ხომ გაქვს და გაქვს,  
ჭაბუკიცა ხარ  
და ფალავნებზე\* ლექსის წერა  
შენი ნიჭია.

მიდი, გარდათქვი ეს მეფეთა  
წიგნი და ამით  
დიდებულებში მოიხვეჭე  
პატივი შენო!“

როცა ეს წიგნი მომიტანა  
და მას შევხედე,  
ბნელით მოცული სული უცებ  
გამიცისკროვნდა.

### აბუ მანსურ იბნ მუჰამედის ქება

იმ დროს, როდესაც წიგნის ამის  
შექმნა დავიწყე,  
ცხოვრობდა ერთი გმირი ვინმე  
დიდგვაროვანი.

ჭაბუკი იყო, ფალავანთა  
ჩამომავალი,  
კეთილშობილი, გამჭრიახი  
და გონიერი.

საზრიანი და კდემით სავსე  
იყო ის კაცი,  
ტკბილმოუბარი და საამო  
რამ ხმის პატრონი.

ერთხელ მან მითხრა: „რითი გინდა,  
შეგიწყო ხელი,  
ლექსის სათხზველად აღმაფრენა  
რომ არ მოგაკლდეს?“

ხელს მოგიმართავ და მხარს მოგცემ,  
როგორც შევიძლებ  
და შევეცდები, გაჭირვება  
შეგიმციროლო!“

როგორც დამწვარ თითს, მივლიდა მე  
ის ქველი კაცი,  
არ მომცემოდა რამე ვნება  
და საზრუნავი.

და აღმაზევა კრონოსამდე\*  
კაცი ბეჩავი  
მისივე ხელით ტალახიდან  
ამოყვანილი.

დიდებას ისე მოეკიდა  
მის არსში ფესვი,  
მის თვალში ერთი ფასი ჰქონდა  
თიხას და ოქროს;

ჩალის ფასადაც არ მიაჩნდა  
საწუთრო შენი,  
ჯომარდი იყო, ერთგული და  
მისანდობელი.

და დაგვეკარგა ეს ვაჟკაცი  
სახელოვანი,  
ბალში გრიგალმა საროს ხე რომ  
მოთხაროს, ისე.

ვერც მკვდრისას ვხედავ, ვერც ცოცხლისას  
მე ნიშანს მისას,  
ასეთ ბედს სწიეს კაცისმკვლელმა  
გველეშაპებმა.

აფსუს, სამოსელმოკვართული  
და ტანწერწეტა,  
ქამარშეკრული ახოვანის  
მეფური რიხი!

უმისოდ გულში ადარ მიკრთის  
იმედის სხივი  
და ტირიფივით მიქანავებს  
კანკალი სხეულს.

ერთ დარიგებას მე იმისას  
ვიგონებ ახლა:  
ლიტონი გული სამართლისკენ  
რომ მომიბრუნა,

ასე მირჩია ერთხელ: „შენ ამ  
შენს „მეფეთა წიგნს“  
თუ დაასრულებ, იგი ისევ  
მეფეთ უძღვენო!“

დამიშოშმინა ვნებისაგან  
შეძრული გული,  
გამახალისა, გამახარა  
და დამაწყნარა.

და ჰა, მოვკიდე ხელი წიგნის  
ამის შექმნას მე,  
სახელგანთქმული და ლომგული  
შაჰის სახელით.<sup>5</sup>

ტახტის პატრონი და გვირგვინის  
მპყრობელი მეფე  
მორჭმით\* განაგებს ამ ქვეყანას  
ქუღბედნიერი.

## გაიუმართი

### (იმეფა ოცდაათი წელიწადი)

აი, რა უთქვამს ამბის ამის  
მომთხრობელ ღეჰყანს\*,  
რომელსაც ქვეყნად ხელთ უგდია  
დიდების თავი\*.

ვინ იყო იგი, ვინც პირველმა  
გვირგვინი ირქვა\*,  
არავინ უწყის, წარუხოცავს  
დროს ხსოვნა მისი.

ესაა მხოლოდ, შვილი ჰყვება  
ნაამბობს მამის,  
რომლისთვის იგი თავისთავად  
პაპამისს უთქვამს,

თუ ვინ ყოფილა, ვინც დიდების  
სახელს ეწია  
და სხვებისაგან ვინც პატივით  
რჩეული გახდა.

მხოლოდ ეს არის, ძველისძველი  
წიგნის მკვლევარი,  
რომელიც წარსულ ფალაგანთა\*  
ამბავს გვიყვება,

მოგვითხრობს: თავში ვინც თავს ირქვა  
სამეფო თავი  
და ტახტზე დაჯდა, ის იყო  
გაიუმართი.

ერთხელ, როცა მზე ვერძის ბურჯში  
შესულა და როს  
გამოზაფხულის მისცემია  
ქვეყანას ეშხი,

გაიუმართი მოვლენია  
ქვეყანას მეფედ;  
პირველ ხანებში მთის კალთაზე  
დამკვიდრებულა.



მისი ტახტის და ბედის ძირი  
მთა იგი იყო.  
ტყავი ვეფხვისა თვით ჩაიცვა  
და სხვებსაც აცვა.

ის იყო და ის, ამის შემდეგ  
აზრზე მოვიდა  
ხალხი და იწყო საჭმლისა და  
ტანსაცმლის რჩევა.

ამ საწუთროში ოცდაათი  
წელი იმეფა.  
სიკეთით ისე ასხივებდა,  
ვით მზე მნათობი.

სამეფო ტახტზე ისე ტურფად  
ჩანდა, იტყოდი:  
წერწეტა საროს თავზე მთვარე  
ჩამომჯდარაო.

რაგინდა მხეციც ყოფილიყო  
ან სხვა ხვადაგი,  
მას რომ ნახავდა, თვინიერი  
ხლებოდა მყისვე.

იმის ტახტის წინ ქელს იღრეკდა  
ყოველი ერი  
და ბრწყინვალება იყო მისი  
ძლევა მოსილი.

და მოდიოდნენ მის წინ მისდა  
თაყვანისცემად.  
რწმენა და რჯულის წესი თვისი  
მისგან ისწავლეს.

ერთი ვაჟი ჰყვა ტანადი და  
კალმით ნახატი.  
ყოველი ნიჭით შემკულს მამას  
ადრიდნენ მისას.

ამ მორჭმულ\* ყმაწვილს სიამაქი  
ერქვა სახელად,  
გაიუმართის იგი იყო  
სული და გული;

მისი შეხედვით იხარებდა  
ამ ქვეყანაზე,  
ნაყოფით ასე დახუნძლულ ტოტს  
შვებით შემზერდა.

მაგრამ ეს იყო, სულ შვილის მზეს  
დაჰკანკალებდა  
და განშორების მისის შიში  
უბუგავდა გულს.

გამოხდა ერთი ხანი კიდევ  
და ამ ხელმწიფეს  
სამეფო უფრო აუყვავდა  
და გაუბრწყინდა.

ამ ქვეყანაზე სხვა ღუმშიანი  
მას არ ჰყოლია  
გარდა ფარული მტრის – ცბიერი  
აპრიმანისა.\*

ავის მზრახველმა აპრიმანმა,  
შურისგან ხელმა,  
ისურვა, მისთვის დაემართა  
ბელითი\* საქმე.

მასაც ერთი ძე ესვა, გულით  
მძვინვარე მხეცი  
და ისიც უნდა ითქვას, მძიმე  
ლაშქარი ჰყავდა.

ერთ დღეს აჰყარა ეს ლაშქარი  
და მისკენ დაძრა, –  
სამეფო ტახტის და გვირგვინის  
ხელთ გდება ჰსურდა.

ღვეის ნაშობი თვალში ველარ  
იხედებოდა  
სიამაქის და მისი მამის  
სიკეთის ბოღმით.

დროს არ ჰკარგავდა, სხვებს ანდობდა  
თავის ბილწ ზრახვას  
და დააყენა ერთი  
ვაი-უშველებელი.

გაიუმართს კი აბა როგორ  
უნდა გაეგო,  
რომ ავი სული მას მეფობას  
ეცილებოდა!

მისი მფარველი ანგელოზი  
ეწვია ერთ დღეს  
ფერიის სახის, ვეფხვის ტყავით  
ტანშემოსილი

და ჩუმად ამცნო: „ფრთხილად იყავ,  
აპრიმანი და  
მისი მემკვიდრე ბოროტის ქნას  
გიპირებენო!“

### სიამაქის სიკვდილი

როცა სიამაქს ამცნეს, ზემოთ  
რაც უკვე ითქვა,  
შესახებ ბილწი დევის ავი  
საქმის და ზრახვის,

განრისხდა ფრიად უფლისწული,  
ჯარი შეჰყარა  
და გამოისხა ასი თვალი  
და ასი ყური.

ტანზე მოიგლო ვეფხვის ტყავი  
(იმ დროს ჯერ კიდევ  
ჯაჭვი არ ეცვათ, არც იცოდნენ  
ჯავშნის ხმარება).

და ჰა, ურთიერთ შესაბამელად  
გამზადებული  
ორი ლაშქარი ერთმანეთის  
პირისპირ დადგა.

გავიდა ველზე სიამაქი  
დედიშობილა  
და აპრიმანის ვაჟს შეება  
ორთაბრძოლაში.

მაგრამ აქ შავმა დეემა თვისი  
კაუჭა ჭანგი  
გამოიწვავდა და უფლისწულს  
წელი მოსწყვიტა.

მიწაზე დასცა ძე მეფისა,  
არ დაახანა  
და ახლა იმის გულ-მუცელს სწვდა  
ბასრი ბრჭყალებით.

ასე არჯალი\* დევის ხელში  
სიამაქს აბა  
რა უნდა ექნა! დაიღუპა.  
დაობლდა ჯარი.

შვილის სიკვდილის ამბავი რომ  
აცნობეს მეფეს,  
თვალთ დაუბნელდა საშინელი  
მწუხარებისგან.

ტახტიდან ზარით გადმოიჭრა,  
ღრიალი მორთო,  
გმინავდა მწარედ და ფრჩხილებით  
იგლეჯდა სხეულს.

ლოყები სისხლით მოეთხვარა  
გულღვიძლამწვარ კაცს.  
საწუთრო ესე, მწარე, უფრო  
გამწარებოდა.

ჯარისკაცები ქვითინებდნენ  
გულდათუთქულნი,  
ურვის ღაღარზე იწვოდნენ და  
იხრუკებოდნენ.

ატყდა ლაშქარში მწუხარების  
ზათქი და ზარი.  
მერე ჩამწკრივდა ეს ლაშქარი  
თვისი მეფის წინ.

ფირუზისფერად დამოსილი  
იყო სუყველა,  
თვალეები სისხლისფერი ჰქონდათ,  
ლოყა – ზაფრანის.

და ასე ზარით და გოდებით  
გასწიეს მთისკენ.  
ღარდით და ურვით გვემულემა  
და მგლოვიარეთ.

მიადგნენ მეფის სრა-სახლს. დადგნენ.  
და ადგა მტკერი.  
ერთ სრულს წელიწადს იგლოვეს ის,  
ხოლო წლის ბოლოს

შემოქმედისგან მოუვიდათ  
შემოთვლილობა, –  
მეფეს მფარველი ანგელოზის  
პირით აუწყეს:

„გეყოფა გლოვა, ნულარ გოდებ,  
მოითქვი სული,  
ჯარი შეკრიბე, წაიყვანე,  
როგორც მე გეტყვი

და მტრების შენის თავზე რისხვით  
აღინე მტკვერი;  
იმ უწმინდური დევისაგან  
გაწმინდე მიწა

და მით შენც ჟინი მოიკალი  
შურისგებისო!“  
მეფემ ცას ავისმოსურნეზე  
ძლევა შესთხოვა,

თაყვანისცემის ნიშნად დიდის  
ღვთის, იაზღანის,\*  
დავარდა ძირს და წამწამებით  
გახვეტა მიწა.

შემდეგ კი შვილის სისხლის ძებნის  
საქმეს შეუდგა,  
ძილი რა იყო, დაივიწყა  
და მოსვენება.

## უშანგისა და გაიუმართის ომი შავ დევთან

სიამაქს ერთი გაჟი დარჩა,  
ნეტარხსენებულს,  
რომელიც პაპის თვისის კარზე  
ვეზირად იყო.

სახელად უშანგს უხმობდნენ ამ  
ღირსეულ ყმაწვილს,  
ყველა სიკეთით შემკულს, განთქმულს  
ჭკუა-გონებით.

მამის სახელის სახსენებლად  
და სახედ მისად  
ზრდიდა მას პაპა და მზე მასზე  
ამოსდიოდა.

და ჰყავდა ახლა პაპას თვისი  
შვილის სანაცვლოდ,  
ის იყო მისი თვალისჩინი  
და სასოება.

შურისძიებად და საომრად  
აღტყინებულმა  
ერთ დღეს ღირსებით სავსე იგი,  
უშანგი, იხმო

და მას გაანდო ხვაშიადი  
თავის გულის.  
რაც კი სათქმელი და საქნელი  
იყო, გააცნო:

„მინდაო, – უთხრა, – ავიყვანო  
ერთი ლაშქარი,  
დავიძრა ომად და საბრძოლო  
ყიჟინა დავსცე.

შენ გმართებს, ლაშქარს რომ უსარდლო,  
რადგან შენა ხარ  
ხვალის იმედი, მე კი უკვე  
წამსვლელი ვარო!“

ომში მეშველად უნმო ვეფხვებს,  
ლომებს, ფერიებს,  
მხეცთაგან მგელი და გულადი  
ბაბრიც აწვია.

მხეცთა, სირთა\* და ფერიათა  
შედგა სპა ერთი,  
რომელსაც სარდლად ჰყავდა გმირი  
ძლევაბოსილი.

ამ სპის ზურგს უკან თავად მეფე  
გაიუმართი  
იდგა, ხოლო სპას შვილიშვილი  
მიუძღვებოდა.

აჰა, გამოჩნდა შავი დევიც,  
შიშის მომგვრელი.  
ცად ადიოდა, ირგვლივ ისეთ  
ბუქს აყენებდა,

მაგრამ მხეცებმა იმდაგვარი  
ღრიალი მორთეს,  
ქვეყნის პატრონი მიუხვდა, რომ  
მტერს გატენავდა.

შეება ერთურთს ორი ჯარი  
მოპირდაპირე  
და მართლაც სძლიეს დევთ მხეცებმა  
და ნადირებმა!

გამოიწვავდა, როგორც ლომმა,  
უშანგმა ჭანგი  
და დაუმოკლა მამაც შავ დევს  
საწუთრო მისი.

წელში სწვდა, ფიცხლად დაითრია,  
მიწაზე დასცა  
და სწორუპოვარს დევთა შორის  
თავი მოაჭრა.

შავ ღვეზე როცა ამდაგვარად  
იყარა ჯავრი,  
გაიუმართსაც თავად დიდხანს  
არ უცოცხლია.

წავიდა იგი და საწუთრომ  
ის მტვრად აქცია.  
აბა, მაჩვენე ქვეყნად ვინმე,  
მან რომ უხათროს!

## უშანგი

### (იმეფა ორმოცი წელიწადი)

სიმართლითა და გონივრული  
საქმით ქებულმა  
უშანგმა პაპის ნაცვლად თავზე  
დაირქვა\* თავი\*.

ორმოცი წელი ჩარხის ბრუნვას  
შეესწრო ცისას  
მეფობა ჭკუით და სამართლით  
სავსე ამ შაჰის.

როდესაც ადგილს აღზევებულს  
დაეპატრონა,  
სამეფო ტახტზე ნებიერად  
მჯდარმა თქვა ასე:

„შვიდი სამეფოს მბრძანებელი  
მე ვარ ხელმწიფე,  
ძლევაშოსილი ვარ და ყველგან  
მე მმონებენო!“

ძლევის მომცემი შემოქმედის  
ბრძანებისამებრ  
თავად სამართალს მსახურებდა  
და გულუხვობას.

სამეფო თვისი ააყვავა  
კიდით კიდემდე  
და მიწის პირზე სამართალი  
გააბატონა.

უპირველესად ეს სიკეთე  
ეწია: ცოდნის  
ცდით და უნარით სიბ ქვას რკინა  
გამოარიდა.

სწორედ იმ ლურჯმა რკინამ იყო,  
რაც ქნა, იმ რკინამ,  
როყო ქვისგან კაცის ჭკუით  
მოძიებულმა!



რაკილა რკინა გაჩნდა, იქვე  
გაჩნდა მჭედელიც  
და გამოჭედა რკინით: ცული,  
ხერხი და ეჩო.

ამას რომ მორჩა ის, მოწყალე  
ექმნა უწყლობას  
და დაარწყულა მდინარის წყლით  
ხრიოკი მიწა.

არხები გასჭრა და რუები  
ადინა ველზე.  
მეფის სიკეთემ ხალხს სიძნელე  
გაუადვილა.

შემდეგ კი უფრო გონს მოეგო,  
ისწავლა თესვა,  
ყანის გათოხნა და აღება  
ჭირნახულისა.

არსობის პურის მოპოვება  
დაიწყო ხალხმა,  
დაიდო ფუძე და მამული  
შემოიმიჯნა.

სანამ მოწევას მოსავლისას  
შეისწავლიდა,  
ხილის თვინიერ სხვა საჭმელი  
კაცს არ ეგემნა.

ტანისამოსიც არაფერი  
ეცვათ მანამდის,  
მხოლოდ ფოთლებით იფარავდნენ  
ტანს და ეს იყო.

უშანგს კვლავ პაპის თვისის ეპყრა  
სარწმუნოება,  
იზადის\* იყო მესავი და  
თაყვანისმცემი.

როგორც არაბებს ქაბის ქვა\*  
აქვთ სალოცავი,  
ამათ გიზგიზა ცეცხლი ენთოთ  
სააჯებელი.

## სედეს დღესასწაულის დანესება

ერთხელ ხელმწიფეს მთიანეთში  
მოუხდა გავლა,  
ამალა ახლდა, გარს ეხვივნენ  
დიდებულები.

უცბად შენიშნეს, უსაშველოდ  
გრძელი რაღაცა,  
შავი რამ ტანად, გამოუხტათ  
ფიცხი და მკრჩხალი.

თვალების ნაცვლად ნაკადულნი  
სდიოდა სისხლის,  
კვამლით, პირიდან მონახრჩოლით,  
მზეს აბნელებდა.

მაგრამ უშანგი, საზრიანი,  
არ დაბნეულა,  
ხელი დაავლო მყისვე ქვას და  
გველს შეუტია.

ისე ვით დევგმირს შეჰფეროდა,  
გაშალა მკლავი,  
მაგრამ პირიდან ცეცხლისმფქრვევი  
გველი გაექცა.

ეს პატარა ქვა გველეშაპის  
ტანით ტალს მოხვდა,  
ქვა კი მიეფშენა, მაგრამ ტალსაც  
ნატეხი ასხლტდა.

და გაიელვა უცებ შუქმა  
ქვათა მათ შორის  
ისე, რომ ტალი გაღვივებულ  
ცეცხლს დაემგვანა.

მოკვლით ვერ მოკლა გველეშაპი,  
მაგრამ ქვისაგან  
ცეცხლის გაჩენის საიდუმლოს  
კი მიაკვლია.

მას შემდეგ მუდამ რკინას ქვას რომ  
გაჰკრავდნენ ხოლმე,  
ტალისგან ცეცხლის ნაპერწკალი  
გადმოსცვიოდა.

ქვეყნის მპყრობელმა შემოქმედის  
ქვეყნის წინაშე  
ქება-დიდება აღავლინა,  
ადიდა იგი,

რომ მან კეთილად უბოძა კაცთ  
სინათლე ცეცხლის.  
და ცეცხლი იგი სალოცავი  
შეიქმნა მათი.

ბრძანა: „იზადის\* გველირსა ჩვენ  
ღვთიური ცეცხლი  
და ვინც გონზეა, იმ ცეცხლს უნდა  
თაყვანი სცესო!“

როცა დაღამდა, მთისოდენი  
ცეცხლი დააგზეს  
და კოცონს ირგვლივ მიეფიცხა  
მეფე და ერი.

ღღესასწაული დააწესა.  
იმ ღღესასწაულს  
უწოდა სედე. იმ ღამეს კი  
სვა და ილხინა.

და აი, ღღეს რომ სედეს ზატიკს\*  
ვღღესასწაულობთ,  
მან დაგვიწესა. ნეტავ, ბევრი  
მეფე ჰგავდეს მას!

კეთილნაშენი დაგვიტოვა  
ქვეყანა ესე  
და ამით თვისიცი დაიმკვიდრა  
სახსენებელი.

იზადის ფარრით\* და ჩვეული  
დიდებულებით  
მეფემ სხვა ტყიურთ – კანჯრის რემას  
და ჯოგს ირმისას

გამოარიდა: ძროხა, ვირი  
და კიდევ ცხვარი, –  
რაც სასარგებლო იყო, იგი  
გამოიყენა

და გონიერმა კაცთა მოდგმას  
დაგვიდო მცნებად:  
ეს ცხოველები დაწყვილებით  
იყოლიეთო!

სხვა ტყიურებს კი, ვისაც ბეწვი  
ჰქონდა ძვირფასი,  
ხოცავდა ხოლმე მეფე და ტყავს  
გულდაგულ ხდიდა.

სინჯაფი იყო ეს, ყარყუმი  
გინა თუ მელი,  
ან კიდევ მათებრ თბილბეწვება  
სიასამური.

ამრიგად ფაფუკ ბეწვთა მქონე  
ტყიურთა ტყავით  
თბილად შემოსვა შეასწავლა  
ადამიანებს.

უხვად გასცემდა, თავად ჭამდა,  
სხვასაც აჭმევდა  
და წარიტანა თან კაცური  
კაცის სახელი.

რამდენი ჯაფა ჰქონდა ამ კაცს  
თავს გადახდილი,  
რამდენი ფიქრი დაუხარჯავს,  
რამდენი ხერხი!

მაგრამ როდესაც დაუდგა დრო  
ამ ქვეყნით წასვლის,  
დიდებულების ტახტი თვისი  
ოხრად დაურჩა.

საწუთრომ ერთი წუთით მეტი  
არ დააცალა  
და მიიცვალა ჭკუით სავსე  
მეფე უმანგიც.

ასეთი არის ეს ქვეყანა,  
გულს არ გაგინსნის  
და არც აშკარად გვიჩვენებს პირს  
მიუნდობელი.

## თეიმურაზი

### (იმეფა ოცდაათი წელიწადი)

ერთი ვაჟი ჰყვა საზრიანი  
უშანგს, სახელად  
თეიმურაზი, მეტსახელად  
კი – დევთმპყრობელი.

მოდგა და ტახტზე დაჯდა მამის  
თვისის მაგიერ  
და მოემზადა სამეფოდ და  
ქვეყნის სამართად.

თავისთან იხმო ყველა კუთხის  
ყველა მობელი\*  
და მათ წინაშე სეფესიტყვა  
წარმოთქვა მეფემ:

„დღეს მე ვიფერებ ამ სამეფო  
ტახტს და სასახლეს  
და დავიმშვენე თავს გვირგვინი.  
ჯარიც მე მმონებს.

განზრახული მაქვს, სანამ ცლით და  
გამჭრიახობით  
ქვეყანას ბიწს არ მოვაშორებ,  
არ დავისვენო.

უნდა აღვკვეთო, აღთქმული მაქვს,  
დევთა პარპაში.  
მე უნდა ვიყო ქვეყნის სრული  
ბატონ-პატრონი.

ამ ქვეყანაზე თუკი რამე  
სასარგებლოა,  
მსურს, იმას კვალში ჩავუდგე და  
აშკარა ვყოლი!“

ცხვრისა და კრავის კრეჭას მიჰყო  
ხელმწიფემ ხელი,  
ხალხს შეასწავლა ძაფის დართვა,  
და ჩააგონა

მას, თუ ვით უნდა მოექსოვა  
ტანისამოსი  
ანდა საფენი ნოსი როგორ  
უნდა ებოჭა.

სახედარ პირუტყვს განუმწესა  
თავის სარჩო  
(ბალახი, ჩალა და ქერი თქვა  
იმათ საკვებად).

შემდეგ გარეულ ცხოველთა რიგს  
მიხედა მეფემ, –  
აქ სიაგუმს\* და ავაზას ხვდა  
მეტი პატივი.

მთებში იჭერდნენ ამ ტყიურებს  
ანდა ველებში  
და შინაურქმნილთ მერე სახლში  
იმსახურებდნენ.

ფრინველთაგანაც რაც კი ნახა  
გამოსადეგი,  
ქორი იყო ის ან ამაყი,  
ვთქვათ, შევარდენი,

ხელში ჩაიგდო და ნებაზე  
გაწვრთნა ისინი.  
მთელი ქვეყანა გააკვირვა  
ამ საქციელით.

ბრძანება გასცა, მოპყრობოდნენ  
ამ სირთ\* აზიზად  
და დაყვავებით მოქცეოდნენ,  
როცა იხმობდნენ.

ამას რომ მორჩა, დააბუდრა  
დედალი მეფემ.  
მამალიც ჰყავდა (გათენებას  
რომ გვამცნობს თანაც).

ყოველ მხეცს საქმე მიუჩინა  
უნარისამებრ  
და ჰყო ისინი კაცისათვის  
სარგებლიანი.

ხალხს კი უბრძანა: „ხამს, მიაგოთ  
პატივი ამათ,  
ქვეყნის შემოქმედს კი თაყვანი  
ეცით თქვენ კდემით,

რადგან მან მოგვცა ტყიურებზე  
ჩვენ ბატონობა;  
დიდება უფალს, წინ ჩვენ იგი  
მიგვიძლოდაო!“

ამ მეფეს ერთი ღვთისნიერი  
დასთური\* ჰყავდა,  
შორს იყო იგი ყოველგვარი  
ავი ზრახვისგან.

შიდასფი ერქვა სათნოებით  
განთქმულ ამ ვეზირს,  
ფენს მხოლოდ ქვეყნის სასიკეთო  
გზაზე რომ დგამდა.

მთელი დღე ისე გავილოდა,  
პირში ნაწილსაც  
არ ჩაიდებდა, ღამე კი ღმერთს  
ელგა მსახურად.

ბედის ვარსკვლავი ხელმწიფისა  
მისით ნათობდა  
და აღეკვეთა მასვე საფრთხე  
უკეთურობის.

მეფეს სიკეთის გზაზე ღვთის  
შეასწავლიდა  
და დღენიადაგ სამართლის ქნას  
ჩასჩინებდა.

მეფესაც ისე განეწმინდა  
ბიწისგან გული,  
ღვთიური ფარრი\* დიდებულად  
ბრწყინავდა მისგან.

რალაცა გრძნებით აპრიმანი\*  
მოთოკა მეფემ  
და მასზე ერთ დღეს, როგორც ცხენზე,  
ისე ამხედრდა.

შემდეგ დრო და დრო შეადგამდა  
უნავირს უნასს  
და სადაც ჰსურდა, ყველგან იმას  
დააგელვებდა.

როცა დევებმა დაინახეს  
მეფის ეს საქმე,  
ურჩი შეექმნენ და დაიწყეს  
განზე ყურება.

მოგროვდნენ ერთად და იღუმლად  
მოითათბირეს,  
ტანხტიდან როგორ ჩამოევდოთ  
თეიმურაზი.

მაგრამ დევების შეთქმულებას  
უგრძნა ხელმწიფემ,  
განრისხდა ძლიერ და მტრებს ზრახვა  
გაუნიორწყლა.

შეირტყა წელზე შემოქმედის  
ფარრით\* ქამარი  
და მძიმე გურზი გადაიღო  
მხარზე საომრად.

საცა კი იყო ხვალი დევი  
და ჯადოქარი,  
მოგროვდა ერთად და გრძნეულთა  
ლაშქარი შედგა.

წინ მოუძლოდა შავი დევი  
ამ ჯარს მძვინვარე.  
ზეცას სწვდებოდა დევთ ღავლაჳი  
და ღრიანცელი.

ველი, სახტად რომ დარჩებოდი,  
ისე დაბნელდა,  
მტვერმა და ბულმა ჰაერიც კი  
გადააშავა.

ქვეყნის მპყრობელი და მძლეეთამძლე  
თეიმურაზიც  
მზად იყო მტერთან საბრძოლველად  
და რისხვის გებად.

იქით ჩნდა დევთა მძვინვარების  
ცეცხლი და კვამლი,  
აქეთ კი ქვეყნის მეფის მძიმე  
ლაშქარი იდგა.

შეება დევებს ფიცხელ ომში  
მეფე მორჭმული.\*  
ძალიან დიდხანს ბრძოლა როდი  
გაგრძელებია, –

დევთაგან ორი წილი იქვე  
გრძნებით გათოკა,  
დანარჩენებს კი მძიმე გურზით\*  
მოუღო ბოლო.



დამარცხებულმა და ტყვექმნილმა  
ღვევებმა მეფეს  
მუდარით თხოვეს პატიება  
და შეეხვეწნენ:

„ოღონდ ნუ დაგვხოც, ფიცი მოგვეცე,  
და შეგასწავლით  
ისეთ რაღაცას, ძალიან რომ  
გამოგადგესო!“

სახელოვანმა გმირმა ღვევებს  
მისცა პირობა:  
„მასწავლეთ იგი და, ფიცს გაძლევთ,  
არ დაგხოცავთო!“

სიკვდილისაგან რაკი სული  
გამოისყიდეს,  
სხვა რა გზა ჰქონდათ, მას მიემხრნენ  
და პირი მისცეს.

წერა და კითხვა შეასწავლეს  
ღვევებმა მეფეს  
და გული მისი ცოდნის შუქით  
გააჩირაღდნეს.

თან: შეასწავლეს წერა-კითხვა  
ერთი კი არა,  
ოცდაათამდე: არაბული,  
ბერძნული, ჩვენი,

სოღღური\* იყო, თუ ჩინური,  
თუ ფალაური\*,  
თუ სხვა, რაიც კი იწერება  
და იკითხება.

ქვეყნის მპყრობელი ოცდაათი  
მეფობდა წელი  
და რაოდენი ქველი საქმე  
მოიმოქმედა!

წავიდა, რაკი აღესრულა  
საწუთროს დღენი,  
მაგრამ ნაღვაწი დარჩა, მისი  
მოსაგონარი.

საწუთროვ, მომკას თუ გვიპირებ,  
რად გვაჯეჯილებ  
და თუ გვახარებ, მაშინ მომკას  
რას გვემართლები!

## მჭედელი ქავეს აჯანყება

არაბთა მეფე ზააქს კაცის სახე მიღებული ეშმაკი მოსამსახურედ დაუდგა და მას მხრებზე კოცნის ნება თხოვა. აკოცა თუ არა, ზააქს მხრებზე ორი გველი ამოუვიდა. რამდენიც არ აჭრეს, არ ეშველა. ბოლოს ხელახლა გამოეცხადა ექიმის სახით და მეფეს ასწავლა: ამ გველებს კაცის ტვინი უნდა აჭამო! მეფეც ასე იქცეოდა. ყოველდღე ორ კაცს კლავდნენ. ზააქმა ირანიც დაიპყრო. ამასობაში ირანის ტახტის კანონიერი პატრონი ფარიდუნი (ფრიდონი) გამოჩნდა. ზააქი განსაცდელში ჩავარდა.

გადის დღეები, ზააქს დარდი  
ალარ ასვენებს  
და დღე და ღამე სულ ფრიდონის  
სახელს ახსენებს.

ზააქის გულში დაბინავდა  
ძრწოლა და შიში  
და ხშირად ისმის ბაგით მისით  
ვაი და ვიში.

ერთ დღეს ზააქმა ტახტი დადგა  
(სულ სპილოს ძვალი),  
ეზურა თაჯი\* შემკობილი  
ძვირფასი თვალთ.

იხმო სამეფოს თავკაცები  
და ოხვრა-ახით  
დაეთათბირა მათ ირანის  
მტარვალი შაჰი.

ნაზირ-ვეზირებს და მობედებს\*  
მიმართა ასე:  
„ჰე მეცნიერნო, ხართ სიბრძნით და  
გონებით სავსე,

მაშ, მომისმინეთ, – მე ფარული  
მტერი მყავს ერთი.  
არ ვიცი, მისგან რას მიმზადებს  
ბედი თუ ღმერთი.

მინდა, ლაშქარი გარდაიქმნას  
ჩვენი უღვევი,  
შეივსოს იგი ქაჯებით და  
ავი სულელებით.

თქვენ დაგიძახეთ, მაქვს იმედი,  
კარგ რჩევას მასმენთ,  
ვერ მოვისვენებ, თუ ეს საქმე  
არ ვქენი ასე.

თანაც ახლავე დამიბეჭდეთ  
სიკეთის მთესავს  
სიგელი ესე, რომ ეშმაკს ვგმობ  
და უფალს ვესავ!“

ზააქის შიშით გულდელაღმა  
მისმა კაცებმა,  
დასტური დასცეს და შეიქნა  
კალმის ტაცება.

რასაც ითხოვდა მათგან მათი  
მეფე ვერაგი,  
დაუდასტურეს. და ვერ დასძრა  
კრინტიც ვერავინ.

ამ დროს მოისმა მეფის კარზე  
ყვირილი დიდი.  
ვილაც ზააქთან მოიწვედა,  
არ ჰქონდა რიდი.

ჩანდა, სამართალს ეძიებდა  
მტარვალის კარზე;  
შემოიყვანეს კაცი ბოლმით  
და რისხვით სავსე.

დასვეს შაჰის წინ, გარს მოერტყა  
მეფის კრებული.  
ზააქმა ჰკითხა: „ვისზე ხარო  
განრისხებული?“

ამბოხებულმა წაიშინა  
ხელები თავზე:  
„მე მჭედელი ვარ, მეფევ, შენგან  
ვაებით სავსე.

ო, განმიკითხე და მიშველე,  
გემუდარები!  
შენ ამომწყვიტე, დამიგმანე  
სახლის კარები.

მიზეზი ჩემი დალუპვისა  
შენ ხარ, იცოდე!  
შენ არ დამინდე, შენ გამწირე,  
შენ არ მიცოდე.

მითხარ, მეფეო, ულმობელო,  
ვინ მოგცა ნება,  
რომ შვილებს მიკლავ და მაცენებ  
ტანჯვას და ვნებას?!

თვრამეტი ვაჟი მყავდა, გესმის?  
და ღღეს კი მათგან  
ერთი-ღა შემრჩა,  
ღამიხოცე ყველანი რადგან.

სულ ნუ დამღუპავ, შემომხედე  
მოწყალე გულით;  
ცეცხლი მინთია, მეფევე, გულში.  
გამივე თქმული!

თუ დავაშავე შენს წინ რამე,  
მითხარი ჩქარა  
და თუ არა და, რაღას მერჩი?  
მეყოფა, კმარა!

მე წელში გავწყდი და მოვხუცდი,  
შავი ღღე მადგას,  
ბოლმით და სევდით ავსებული,  
მაქვს გული რადგან.

თავად რომ უძღურს მემატება  
სნება და ჭირი,  
შვილებსაც მიკლავ, მომითხარე  
თესლი და ძირი.

ერთი საწყალი მჭედელი ვარ  
წყნარი და მშვიდი,  
შენ კი ტანჯვა და მწუხარება  
მარგუნე დიდი.

სულ შენ გეკუთვნის დედამიწის  
შვიდივე მხარე  
და ჩვენ რად გვტანჯავ, რად გვადინე  
ცრემლები ცხარე?

ვაჟიშვილს, – ისიც უკანასკნელს, –  
მიკლავენ ახლა,  
რათა შენს გველებს ტვინი მისი  
მიართვან სამხრად!“. .

მეფემ ისმინა, რასაც ქავა  
მწარედ ჩიოდა  
და ბოლოს ბრძანა, თითქოს მისთვის  
გული სტკიოდა,

რომ ვაჟი მისი არ დაეკლათ  
გველთა სადილად.  
მაგრამ მჭედელი ვინ გაუშვა  
აგრე ადვილად!

და ბრძანებს მეფე ხალხთა ცრემლის  
და სისხლის მღვრელი,  
რომ ქავამ სიგელს მოაწეროს  
ახლავე ხელი.

ქავამ ზააქის საქებ სიგელს  
კარგად დახედა,  
გახელდა კაცი,  
მოეჩვენა მეფე თავხედად

და მერე იქ მდგარ დიდებულებს  
მიმართა მკვახედ:  
„ჰეი თქვე მხდალნო! ერთი ამათ  
საქციელს დახეთ!

მიგიყიდიათ ეშმაკისთვის  
სული, ეს არის.  
გიწამებიათ აჰრიმანის\*  
განამწესარი.

აღრიალდება ამ სიტყვებით  
მჭედელი ქავა,  
დახევს მათ სიგელს, დაყრის იქვე  
და გარეთ გავა.

მჭედელი როცა სასახლიდან  
გარეთ გავარდა,  
მთელმა ქალაქმა მოიყარა  
თავი ქავასთან.

ყვიროდა ქავა, ახლა უკვე  
როდი გოდებდა,  
ხალხს და ქვეყანას სამართლისკენ  
მოუწოდებდა.

მოიძრო მჭედლის ფეშტამალი  
(თან ჰქონდა ახლაც),  
ააგო შუბზე, და ვით დროშა  
აღმართა მაღლა.

ერთი წადილით, – რომ მოესპო  
მტარვალი მტერი, –  
წამოდგა ხალხი, აიშალა  
ბუქი და მტკერი.

და ხელში დროშით ქადაგებდა  
მჭედელი ქავა:  
„თუ კი არ გინდათ, ხალხო, ქვეყნად  
გვახსენონ ავად,

თუ ხართ გულადი და გრძნობთ, საქმე  
როგორ გაჭირდა,  
იხსენით თავი გველემების  
ბასრი კლანჭიდან!

ფრიდონის, მეფის ჩვენის, ძებნად  
წავიდეთ ყველა! –  
მხოლოდ მას ძალუძს მართო ჩვენი  
დახსნა და შველა.

ახლა ხომ იცით, რომ ზააქი  
ჩვენი მტერია,  
რომ ტახტი ჩვენი დღეს ბელზებელს\*  
დაუჭერია!“

არ გაწყდა დენა ქავასაკენ  
მომავალ ხალხთა,  
ახლა მას უკვე უთვალავი  
ლაშქარი ახლდა.

ქავამ იცოდა, თუ სად იყო  
ფრიდონის სახლი.  
ხელთ ეპყრა დროშა, ხოლო უკან  
მისდევდა ხალხი.

## ზურაბი

### როსტომის წასვლა სანადიროდ

დეჰყანისაგან\* გაგონილი  
ამბავი ერთი  
ძველ თქმულებათა გადმოცემას  
ამგვარად ერთვის.

მობედისგან\* კი ეს დასთან  
თქმულა ამგვარად:  
გმირი როსტომი ერთ ღღეს თურმე  
ადრე ამდგარა.

ფალავნის\* გულის საწადელი  
კანჯრის მწვადია.  
კაპარჭი\* ისრით გაიტენა  
დილაადრიან, –

ნადირობისთვის აირჩია  
ველი თურანის\*  
და იქით დასძრა გულმძვინვარე  
თვისი ქურანი.

როცა როსტომი თურანის ველს  
დაადგა თავზე,  
ნახა მინდორი კიდით კიდე  
კანჯრებით\* სავსე.

სიამისაგან აუყვავდა  
ალისფრად ლოყა  
და თაჰამთანიც\* ნადირობას  
მოჰყვა და მოჰყვა.

დაანთო ცეცხლი, ხეს შეაჭრა  
ვეება ტოტი  
და ზედ კანჯარი წამოავო  
ლომისებრ ტოტით.

შეიწვა მწვადი და როსტომიც  
დანაყრდა ძლივსლა.  
არც ეყო ხორცი და მოუხდა  
გამოხრა ძვლისაც.

ჭამა და იქვე მიემინა  
მაძლარს მაშინვე.  
რამი კი მისი იქვე ძოვდა,  
იმ შამბნარშივე\*.

და სწორედ ამ დროს თურქმა მგზავრმა  
შვიდმა თუ ათმა  
იქ გაიარა და როდესაც  
თვალემა მათმა

ნახეს, რომ რაში თვალწარმტაცი  
რონინებს ველად,  
მისი დაჭერის საწადელმა  
აცლუნა ყველა.

ახლო დაუდგნენ – სითავხედე  
ნახეთ ამათი! –  
შემომართნენ და ესროლეს  
ფიცხი ქამანდი.

როცა ქამანდი ნახა რაშმა  
ნასროლი მისკენ,  
აღბორგდა იგი, ძუ ლომი რომ,  
აღბორგდეს, ისე.

ზოგს წიხლის ცემით გაუცუდა  
ფუჭი გარჯა მან,  
ზოგსაც გადასწვდა და კბილებით  
თავი წასჭამა.

ასე, ამგვარად, სამი კაცი  
გაფუჭდა ისე.  
რომ ვერ მიუგდეს საგდებელიც  
ტაიჭის კისერს.

მერე მოხეშა ყველამ ერთხმად  
ქამანდი ხელში.  
დაიჭირეს და წაიყვანეს  
ოხვრით და ხვნეშით.

ფიცხლავ ქალაქში გააქანეს  
როსტომის რაში.  
ყველას უნდოდა წილი თვისი  
ჰქონოდა მასში.

როცა ინათა, გაეღვიძა  
მძლეთამძლე როსტომს.  
მოუნდა რაში. თვალთ ისარი  
მინდორ-ველს მოსდო,

მაგრამ რამდენიც აქეთ-იქით  
ატარა თვალი,  
ვერ ნახა ცხენი, ვერ იპოვა  
იმისი კვალიც.



დალონდა მეტად, თითქოს თავზე  
დაეცა მეხი  
და სამანგანში\* მიმავალ გზას  
დაადგა ფეხით.

მიაბოტებდა და ბუტბუტით  
იტყოდა ასე:  
ქვეითმა როგორ ვიარო, ეს  
სირცხვილი მავსებს!

აღკაზმული ვარ მშვილდით, ისრით,  
გურზით, ქამარით,  
თორქით\*, მახვილით. ტვირთი ესე  
მცირე რამ არის,

მაგრამ უდაბნო ვით გავლიო  
და თუ ეგების  
მოსისხლე შემხვდეს, ასე როგორ  
შევეგებები!

ანდა თურქებიც რას იტყვიან,  
ხომ გაეცინათ,  
რომ ჩემი რაში მომპარეს და  
მე კი მეძინა!

აწ ძებნად უნდა გავემართო,  
ესლა ეგების,  
საღმე წავაწყდე რაშის ჩემის  
ნიშანს ეგების!“

წავიდა ასე, გმირი სავსე  
ბოლმით და წყენით.  
სწუხდა ძალიან, რომ დაკარგა  
თავისი ცხენი.

### როსტომის ჩასვლა სამანგანში

როცა როსტომმა მიაღწია  
სამანგან-ქალაქს,  
ერთი ამბავი დაატყდა თავს  
სამეფო ალაგს:

„მოდის როსტომი ხელმწიფეთა  
მოსარჩლე გმირი,  
ნადირობაზე დაუკარგავს  
რაში და გმინვით

ჩვენთან დაეძებს, აქ ვნახო  
იგი ეგება”.  
მთელი სასახლე როსტომს გზაზე  
გამოეგება.

ფეხქვეშ ეგება და ბუტბუტებს  
ხალხი მღელვარე:  
„კაცია ეს თუ მზე გვიდგასო  
თვალწინ ეღვარე!“

ჩამოქვეითდა მის წინ შაჰი  
სამანგანისა,  
მოაწყდა როსტომს ხალხი ქვეყნის  
სამან-განისა.

მოვიდა მეფე, როსტომის წინ  
თავი დახარა  
(მეფემ როსტომის ახლო ხილვით  
თვალი ახარა).

“ამ ჩვენს ქალაქში ყველა შენთვის  
კარგის მდომი ვართ,  
რასაც გვიბრძანებ, იმ გზაზე და აზრზე  
მდგომი ვართ.

შენ გაქებს ენა, ჩვენი ჭკუა,  
ჩვენი გონება.  
მიიღე ძღვენად, რამე თუა  
ჩვენი ქონება!“

გმირი როსტომი მეფის ამგვარ  
მოქცევას ენლო  
(ჩანდა, ღალატი მას ნამდვილად  
გულში არ ელო).

და ბოლოს უთხრა: „თქვენს მიწაზე  
შემოველ რაშით.  
დავკარგე იგი, დაღლილს როცა  
მეძინა, მაშინ.

გამოვეკიდე მის ნატერფალს  
გავლიე ტევრიც  
და კვალმა თქვენთან მომიყვანა,  
რომ ვსდიე ბევრი.

თუ მომიძებნი, საქები ხარ,  
მეფეო, მაშინ  
და თუ არადა, თუ დავკარგე  
მე ჩემი რაში,

იცოდეს ყველამ, საქმეს ვიზამ  
თქვენთვის საშინელს  
და თავს, არ ვიცი, ვის წავაჭრი  
რისხვით მაშინ მე!“

შეშინდა მეფე, მოეფერა  
როსტომს და ამცნო:  
„შენს საწყენს ქვეყნად ვინ გაბედავს,  
მძეთამძლე კაცო?!

აქ დარჩი სტუმრად, ჩვენი მრჩენი და  
ჩვენი მშვენი;  
შენს ნებისამებრ აღსრულდება  
სურვილი შენი!

ამაღამ ერთად ვიქეიფოთ  
ჩანგით და ღვინით,  
გულიდან დარდი მოვიშოროთ,  
ვიხაროთ ღვინით.

არ გაგვაწბილოთ, ნუ გვიწყრებით,  
ქეიფი გველის“  
(ტკბილად თქმულ სიტყვას ხვრელიდანაც  
გამოჰყავს გველი).

„რაშუე რომ ამბობ, ფასუდები,  
ელვისთვალება  
როსტომის რაში აბა ვისთან  
დაიმალება!

ამაზე მძიმე არ მოგვეცეს  
საქმე ნეტავო,  
ჰე ფალავანო მძლეეთამძლეც და  
რკინის მკენეტავო!“.

დაამოშმინა, როგორც იქნა,  
როსტომი მწყრალი,  
რისხვისგან იხსნა თავი თვისიც  
და მიწა-წყალიც.

შემდეგ სასახლეს წაიყვანა  
დიდი სტუმარი,  
დასვა როსტომი, წინ დაუდგა  
თვითონ მღუმარი.

აწვია ხალხი და საქნელიც  
იქნა სეფური,\*  
გააშლევინა დიდებული  
სუფრა მეფური.

დასხეს მუტრიბნი, დაფა-ზურნის  
დამკვერელნიც დასხეს  
(როსტომის გულის მძვინვარება  
იქნება დაცხრეს!).

დათვრა როსტომი და წამოდგა  
სუფრიდან მთვრალი,  
ეხუჭებოდა უძილობით  
დაღლილი თვალი.

დასასვენებლად წაბარბაცდა  
ძილის მსურველი.  
ლოგინი დახვდა რბილი, სავსე  
მუშკის\* სურნელით.

### სამანგანის მეფის ასულის თაჰმინეს მისვლა როსტომთან

როდესაც ბნელი ღამის ერთი  
ჟამი გამოხდა,  
გმირი როსტომის სავანეში  
აი რა მოხდა:

ფრთხილად და ჩუმად შემოიღო  
ოთახის კარი  
და ერთი მონა ანთებული  
სანთლით თუ კვარით

შევიდა შიგნით და გმირ როსტომს  
დაადგა თავზე.  
ხოლო მას შემდეგ პირ-მთვარე და  
მზის შუქით სავსე

შემოდგა ქალი, ტანად იყო  
კენარი სარო.  
ნაწნავ-ქამანდა, წარბ-წამწამი –  
სამშვილდისარო.

ჰქონდა ლოყები იაგუნდთან  
შედარებული,  
ტუჩები ვიწრო – როგორც გული  
შეყვარებულის.

როსტომმა ეს რომ დაინახა,  
წამოხტა ზეზე,  
ქალის წინაშე დგა, ვით კაცი  
გასული მზეზე

და ბოლოს ჰკითხა: „ქალიშვილო,  
ვინ ხარ, რა გქვია,  
ჩემთან აქ გვიან რას დაეძებ,  
რა დაგკარგვია?“

ქალმა მიუგო: „თაჰმინე ვარ,  
მეფის ასული,  
მე შენმა ნდომამ გამომტაცა  
გული და სული.“

მე მეფეთაგან გულისტოლად  
არვინ შემფერის,  
რადგან ამქვეყნად არსად არის  
ქალი ჩემფერი.

უთავსაბუროდ და უჩადროდ  
ჯერ არცერთ მნახველს  
არ დაუნახავს ჩემი შუქის  
მფრქვეველი სახე.

რამდენი რამე სამიჯნუროდ  
ოცნების მშლელი,  
გამიგონია ზღაპრის მსგავსი  
ამბავი შენი.

რომ არც ნიანგის, არც ლომების  
და არც ვეფხვების  
არ გეშინია, გაგირბიან  
მათ რომ შეხვდები.

წკვარამ ღამეში მარტო დახვალ  
ველზე თურანის,  
როცა ხმაღს იძრობ, ზეცას ესხმის  
თავზე ბურანი.

შენ რომ გიხილავს, მტერი გარბის  
ვაით და ვიშით  
და შენი ბასრი ხმლის ნახვისგან  
აღძრული შიში

არწივებს აფრთხობს ცაშიც თურმე,  
ამაყ არწივებს,  
ღრუბელი მიწას შიშით შენით  
ცრემლებს აწვიმებს.

შენმა ამბებმა მე შორიდან  
მდაღეს და მდაგეს,  
შენ გნატრულობდი და კბილებით  
ვიკვნეტდი ბაგეს.

დიაცურ ვნებას აუშლია  
ჩემთვის გონება,  
ქალი ვარ და მსურს შენს გულმკერდზე  
შემოკონება!

შენი ვარ ახლა, თუ კი შენიც  
იქნება ნება.  
ხედავ, ძვირფასო, კლემა როგორ  
წამართვა ვნებამ!

ძლივს მოველ შენთან სიყვარულის  
ბნელით და რეტიტ.  
მარუქე შეილი, სათხოვარი  
სხცა არ მაქვს მეტი!

მას შენს ღირსებებს მიანიჭებს  
ზეცის არსება,  
ძალით და ღონით თავის მამას  
დაემსგავსება!“

თაჰმინეს სურვილს მოუსმინა  
როსტომმა სრულად,  
ახელ-დახედა ქალს და ცნო ის  
სამოთხის სულად.

ვნებისგან მთვრალი ქალწულისგან  
მოელო აღი.  
...და მთელი ღამე ერთად დარჩნენ  
გმირი და ქალი.

ქვეყნის მნათობი შუბისტარზე  
იყო ასული,  
როსტომს ცრემლებით რომ დაშორდა  
მეფის ასული.\*

მოვიდა მეფე, მოიკითხა  
როგორც მოყვარე  
და რაში მისი უვნებელად  
როსტომს მოჰკვარეს.

მივიდა ცხენთან, მოეფერა,  
დაუწყო კაზმა,  
აღარ ისურვა დროის მეტ ხანს  
სამანგანს\* დაზმა.

სურვილი ჰქონდა ადრიანად  
ზაბულში\* მისვლის.  
წავიდა. კაცს არ გაუგია  
ამბავი მისი.

როსტომმა თაჰმინეს ნიშანი დაუტოვა, – თუ ვაჟი შეგეძინოს, მკლავზე შეაბი და მით ვიცნობო.

\* ეს სტროფი სახალისოდ ვათარგმნინე ჩემს მეგობარსა და მასწავლებელს აპოლონ ბასილაიას.

## ზურაბის დაბადება

ცხრა თვე გავიდა და თაჰმინეს,  
ხელმწიფის ასულს,  
ეყოლა ვაჟი. ჰგავდა ბავშვი  
მთვარეს ცაღ გასულს.

რომ შეხედავდნენ, მამამისი  
ელგათ სულ თვალწინ.  
ზედ ეტყობოდა, რომ საამი  
ჰყვა პაპად ყმაწვილს.

რომ წინაპრები მისი იყვნენ  
ლომებრ მძვინვარე.  
ზურაბი არქვეს ბავშვს პირბადრს და  
ბაგემცინარეს.

ბავშვი თვეობით იზრდებოდა  
გასაზრდელს წლისას,  
ზედ ეტყობოდა, რომ ძე იყო  
ზაალის ძისა.

ათი წლის ზურაბს გმირობა და  
ბრძოლა ეწადა,  
არვის შეეძლო, მასთან ძალა  
გამოეცადა.

ერთ დღეს ზურაბმა დედას უთხრა:  
„მისმინე, დედა,  
ვით დავლომკაცდი და დავმშვენდი,  
შენც კარგად ხედავ.“

მე კი არ ვიცი, ვისი ძე ვარ  
და ვნაღვლობ ამას,  
რა ვუპასუხო, ვინმემ მკითხოს:  
“ვინ გყავსო მამა?”

ამბავი ჩემი წინაპრების  
და ჩემი მამის  
მითხარი, თორემ არ გაცოცხლო  
თუნდ ერთი წამი!“

თაჰმინემ ზურაბს დაუყვავა:  
„დაწყნარდი, შვილო! –  
მამა-პაპათა გზას მისდიო,  
მეც ამას ვცდილობ.“

მამაშენი კი როსტომია,  
გმირი ძლიერი.  
შენ ნარიმანის და საამის  
ხარ ნაშიერი.

ქვეყნის გაჩენის დღიდან დღემდე  
თვალით მხედვართ  
არვის უნახავს როსტომივით  
ფიცხი მხედარი“.

თვალ-მარგალიტი და წერილი  
უჩვენა. „ამას  
შეხედე, შვილო, შენ გიგზავნის  
ამ ნობათს მამა.

მხოლოდ გაფრთხილებ, ეს არ იცის  
ქვეყნად არავინ.  
აფრასიაბი მტარვალა  
გულთამზარავი.

იგი როსტომის მტერი არის  
ლაუძინარი,  
ხალხი ჰყავს მტარვალს ტანჯული და  
გაუცინარი.

ის გეშს აგილებს და სიავს  
იფიქრებს შენზე,  
როსტომის შურით უსათუოდ  
ჩამიქრობს შენს მზეს.

ან მამაშენმაც რომ გაიგოს,  
რომ ვაჟი მისი  
ხმალს ასე იქნევ, გურზს\* ასე ფლობ  
და ასე ისერი,

თავისთან გინმობს, მე დავრჩები  
უშენოდ მარტო.  
მე რამ მაცოცხლოს! ჰაი მაშინ  
სევდავ და დარდო!“

ზურაბმა უთხრა: „დედავ, ჭკუას  
არ ვხედავ აქ მე,  
მიწის პირზე ხომ ყველამ იცის  
როსტომის საქმე!

დიდებულებს და ფალავნებს\* ხომ  
დიდი ხანია,  
როსტომის ქებით გული ვეღარ  
მოუფხანიათ.



როცა მძვინვარე ომის ბული  
დატრიალდება,  
ამის დამალვა ჩამეთვლება  
მე დიდ ბრალდებად.

ახლავე შევეყრი გამოჩეულ  
თურქთაგან ლაშქარს,  
იმდენს, რომ ჩემს სპას დასასრული  
არ ჰქონდეს არსად.

მსურს, ქაიქაოსს დავატეხო  
ელვა და მეხი  
და თავხედ თუსსაც აღვუკვეთო  
მიწიდან ფეხი!

მერე გოდერძი და ნავზარი  
და მერე გივი,  
მერე გურგენი და გოსთაჰმი  
და ბაჰრამ-ნივი, –

ყველა ისინი უნდა მოვსპო  
გურზით და ლახტით,  
რომ შემდეგ როსტომს ჩავაბარო  
ირანის ტახტი.

აფრასიაბის მზეს ჩავაქრობ  
ქაოსის შემდეგ  
და ჩემს შუბის წვერს ავამაღლებ  
ზეცაში, მზემდე.

ხალხში გადავა საქმე ჩემი  
გასაკვირველი,  
შენ კი გახდები დელოფალი  
ქვეყნად პირველი.

როსტომს ჩემს მამად იგულვებენ,  
მეც მცნობენ, ვინ ვარ.  
არ მოგაკლდება ელვარება  
და მზისებრ ბრწყინვა“.

### **ზურაბი ცხენს ირჩევს**

შემდეგ ზურაბმა დედას უთხრა:  
„ჰე დედაჩემო,  
ჩემი ომი და ლომკაცობა  
უნდა გაჩვენო.“

მაგრამ ჯერ მინდა, ავირჩიო  
საბრძოლო რაში,  
თორემ ომი რომ მომიხდება,  
რას ვიზამ მაშინ!

მე მინდა ცხენი ფეხ-ფიცხელი,  
ფრთამარდი რაში.  
კლდეზე ჯიხვივით გადიოდეს,  
თევზივით – წყალში,

ფიცხლად ატაროს აღჭურვილი  
მისი უფალი  
ბრტყელი მხარ-ბეჭით, ჯაჭვ-ჯავშნით და  
მძიმე გუფალით\*.“

მოვიდა რემა და ნისლივით  
დაფარა ველი.  
აჰა, ზურაბშაც ქამანდ-სასროლს  
დაავლო ხელი.

გასცადა ყველა, მაგრამ ერთიც  
არ მოხვდა თვალში.  
შეწუნდა. მაგრამ ვილაც კაცი  
წარუდგა მაშინ.

„მე მყავსო, – უთხრა, – ერთი ცხენი  
რაშის გვარისო,  
ძალა აქვს ლომის და სისწრაფე  
შესწევს ქარისო.

კვიცია ტანად მთის ოდენა,  
კლდე-ღრის მლახველი.  
მისებრი მერნის ჯერ არაა  
კაცი მნახველი.

სიფიცხე ელვის აქვს და ტანად  
მსგავსია ქედის,  
ფრინავს, ვით მტრედი და დაცურავს  
წყალში, ვით გედი.

მისებრი სწრაფი ისარი თუ  
იქნება ოდენ,  
მის ტორთა ცემით ცაში მთვარეც  
შიშისგან გოდებს!“

გამხიარულდა ყმაწვილკაცი  
და მყისვე მაშინ  
ბრძანა, სასწრაფოდ მოეყვანათ  
იმ კაცის რაში.

მოჰგვარეს. ნახა. მოეწონა.  
ამხედრდა მასზე,  
აჭენა დიდხანს და შემდეგ კი  
წარმოთქვა ასე:

„ღმერთმა ინება, რომ მეშოვნა  
ასეთი ცხენი,  
აწი კი შევძლებ, გავუშავო  
შაჰ ქაოსს დღენი“.

სახლში მობრუნდა და საომრად  
ჯარი აწვია.  
მოვიდნენ გმირნი. ტანზე რვალის  
ჯაჭვი აცვიათ.

პაპამისს ჰკადრა: „თუ, პატრონო,  
ინებებ ამას,  
წავალ ირანში და მოვძებნი  
საკუთარ მამას“.

სამანგანის შაჰს გაუბრწყინა  
ამან გონება,  
უბოძა ზურაბს გვირგვინი და  
დიდი ქონება.

## აფრასიაბი ბარმანს და ომანს გზავნის ზურაბთან

და აფრასიაბს მიუვიდა  
ამბავი მაშინ:  
„შეაცურაო ნავი თვისი  
ზურაბმა ზღვაში!“

მეფის ბრძანება, ფალავნებზე\*  
ნახმოვანები,  
მოელო თურანს, მოდგენენ ახლოს  
ახოვანები.

მოითათბირეს, ვით მოიქცნენ  
და ვით ჯობია:  
„ჯერ ვილაც ყმაწვილს პირს დედის რძე  
არ შეშრობია

და ომი უნდა. აულია  
ხმალი და ქოსი,\*  
უნდა, ტახტიდან გადმოაგდოს  
ქაიქაოსი.

მოდის მახვილით და ლაშქარი  
მოჰყავს უთვლელი.  
მკლავშია ძალა აქვს, ასე თქვეს,  
ენით უთქმელი“.

როს აფრასიაბს ეს მაცნემაც  
დაუდასტურა,  
ადუღდა, მაგრამ გაიღიმა  
შემდეგ მაცდურად.

მოლაშქრეთაგან სულ ლომგული  
და ომში მკაცრი  
ამოარჩია ათორბეტი  
ათასი კაცი,

ომანს და ბარმანს ჩააბარა  
და დაარიგა:  
„არიქა, ახლავ გაემურეთ  
და ის არ იქნას,

რომ შეიღმა მამა თვისი ნახოს  
და იგი იცნოს,  
მამამ და შეიღმა ერთმანეთი  
დახოცონ ვინძლო!

ეს საიდუმლო გულში ჩუმად,  
გებრძანებთ, იდოთ;  
მამა და შეიღი, ხამს, ერთმენტს  
რომ გადაკვიდოთ!

და თუ როსტომი მოვიშორეთ  
ზურაბის ხელით,  
ვეომოთ ირანს, სისხლით მოვრწყათ  
ირანის ველი.

ჯერ ქაოს მეფეს დღე ნათელი  
ვუქციოთ ღამედ,  
შემდეგ ზურაბსაც სასიკვდილოდ  
ვუღონოთ რამე!“

გაგზავნა ორი ფალავანი  
ლომკაცის მიმართ.  
მეფემ საჭურჭლე\* გაატანა  
ზურაბთან იმათ:

ათი ჯორი და ათი ცხენი  
მძიმედ მავალი,  
ტახტი და თაჯი,\* ოქრო-ვერცხლი  
ბევრზე მრავალი.

დაწერა წიგნი\* ზურაბისთვის  
და ომანს მისცა:  
„დევემდრო, ოლონდ დაიპყარი  
ირანის მიწა

და ჯარს გაშველებ, ოლონდ მისი  
პატრონი გახდი.  
ავის მდომელი დაიმონე,  
დაიდგი ტახტი!

გიგზავნი ორ გმირს, სახელგანთქმულს  
მთელს ჩვენ მხარეში.  
მათი ხელობა ომია და  
ბრძოლით თარეში.

მიიღე სტუმრად, ეპატრონე,  
აომე მტერთან!“  
და ეს წერილი საჩუქრებთან  
და ძღვენთან ერთად

გავზავნა მასთან. ზურაბმა რომ  
ნახა ისინი, –  
ასეთი ძღვენი და ლაშქარი  
მდგარი ნისლივით,

გულმხიარული ჩამოვარდა  
მათთან ქარივით.  
ომანმა მისი მხარ-მკლავი და  
ბეჭის განივი

რომ ნახა, სახტად დარჩა კაცი  
და მეფის ძღვენი,  
თვალ-მარგალიტით დატვირთული  
ჯორი და ცხენი,

მიართვა ზურაბს, მეფემ მისმა  
უხვად რომ გასცა.  
ზურაბმა ჯარი შემოჰყარა  
და ქოსებს\* დასცა.

აივსო ველი ლაშქრითა და  
ლაშქრის ძახილით,  
ირანისაკენ გაემართნენ  
ხმლით და მახვილით.

თაჰმინემ ლშქრობის წინ ზურაბს მკლავზე როსტომის ნიშანი შეაბა.

## ზურაბი ირანის საზღვარს მიადგა

ირანის ზღვარზე ციხე შეხვდა  
ამაყად მდგარი,  
შიგ იდგა ჯარი და ეს იყო  
ირანის ფარი.

ჯარს უფროსობდა გმირი ბევრი  
ბრძოლის მნახველი,  
ჰაჯირი იყო ამ მძვინვარე  
კაცის სახელი.

მეფე გაჟღაპამს ეკუთვნოდა  
ის მხარე მაშინ,  
ციხეც მას ჰქონდა, აზიდული  
ამაყად ცაში.

საფიდის ციხეს რომ მიადგა  
ზურაბი ჯარით,  
ეს შეამჩნიეს და ჰაჯირიც,  
ვითარცა ქარი,

გავარდა მისკენ. ზურაბმა რომ  
ჰაჯირს გახედა,  
აღშფოთდა მეტად, მოეჩვენა  
იგი თავხედად.

შესძახა: „ვინ ხარ? შენი ქცევა  
მაკვირვებს მეტად.  
საბრალოვ, ასე სასიკვდილოდ  
ვინ გაგიმეტა?“

მიგიჩნევია თავი თვისი  
ლაშქრად და ჯარად.  
მოსწი სადავე და ადგილზე  
გაქვავდი ჩქარა!

მითხარი, ვინ ხარ, ჩემთან მოსვლას  
მარტო რომ ბედავ,  
ვისი გვარის ხარ, ვისი უნდა  
ატირდეს დედა?“

ჰაჯირმა უთხრა: „მე ვარ გმირი  
ტოლუნახველი,  
დიდი სპასპეტი.\* ჰაჯირია  
ჩემი სახელი.

მოველ, ჩემს მეფეს მიუუტანო  
ძღვნად შენი თავი,  
ხოლო შენს ტანზე ვაყაშყაშო  
სვავი და ყვავი.“

ზურაბმა ერთი ჩაიცინა  
და შუბაწვდილი  
ჰაჯირისაკენ გაექანა  
გმირი ყმაწვილი.

გეგონებოდათ, დედამიწა  
თითქოს დაიქცა.  
მაგრამ ჰაჯირიც როდი შედრკა,  
როდი გაიქცა.

ატაკა შუბი, მაგრამ ჯაჭვი  
ვერ შეუმტვრია.  
აქ კი ზურაბმა ღრო იხელთა  
და შეუტია.

აძგერა შუბი და მოსწყვიტა  
უნავირს მყისვე,  
გრიგალმა მიწას მჩატე მტვერი  
მოსტაცოს, ისე.

მძიმე ლოდივით დაეცა ძირს  
გმირი ჰაჯირი.  
წახდა მხედარი, თავს სიკვდილის  
ადგა აჩრდილი.

ზურაბი ჰაჯირს მიეახლა  
ბასრი დანით და  
უნდოდა, მისთვის წაეცლია  
თავი ტანიდან.

ჰაჯირმა იგრძნო განსაცდელი  
და სული სთხოვა,  
მისმა ვედრებამ კეთილ გულში  
ადგილი ჰპოვა.

ტყვედ წაიყვანა და ბორკილით  
შეუკრა ფეხი.  
დაატყდა ირანს ეს ამბავი  
ვითარცა მეხი.

ირანისა და თურანის ჯარები ბრძოლის ველზე დაბანაკდნენ, ომი უნდა დაიწყოს.

## ზურაბი ჰაჯირს გამოჰკითხავს ირანელთა ლაშქრის ამბავს

როდესაც ცაზე აიტანა  
მზემ ოქროს ფარი  
და გაანათა სხივმა მისმა  
ზეცა და ბარი,

ადგა ზურაბი, დაიხურა  
ჩაჩქანი თავზე,  
ამხედრდა ცხენზე, ფერად ნილოს  
მდინარის მსგავსზე.

ჯაჭვი ემოსა და ეკიდა  
მახვილი მჭრელი,  
შუბლმოდულშულმა მიმოზვერა  
ჯერ ბრძოლის ველი

და მერე ბრძანა, მოეყვანათ  
ჰაჯირი მასთან.  
უთხრა: „თუ პირით რამე ერთი  
ტყუილი დაგცდა,

თუ მომადორე და პასუხი  
სწორი არ მითხარ,  
თუ დამიძალე რამე ერთიც,  
რასაც მე გკითხავ,

შენი სავანე კვლავ იქნება  
საკანი ბნელი.  
თუ მართალს მეტყვი, შეგეცვლება  
სიცოცხლე ძნელი.

მოგცემ საჩუქრებს და გულუხვად  
გიბოძებ განძებს,  
გაგიშვებ შენთვის და შეგინდობ,  
რაც ცოდვა გაძევს.

ირანის ჯარზე რაც კი იცი,  
მითხარ ყოველი.  
თავს იხსნი, თუ მას მეტყვი, შენგან  
რასაც მოველი!“

ჰაჯირმა ჰკადრა: „ირანის სპა  
არის როგორი,  
ყველაფერს მართალს მოგახსენებ,  
არა მოგონილს;



გეტყვი, რაც ვიცი და გაგაცნობ  
მის ძლიერებას,  
არ მეკადრება მე სიცრუე  
და ცბიერება.

ჩემთან კაცს მეტი რა უნახავს  
სიმართლის გარდა,  
დღეს მით უმეტეს, როცა ვდგავარ  
განკითხვის კართან.

ადამისძისთვის სინდისი და  
მართლის მთქმელობა  
ხომ თავიდანვე ცნობილია,  
როგორც ქველობა.“

ზურაბმა უთხრა: „ძლიერ კარგი,  
უარზე არ ხარ,  
მაგრამ გაფრთხილებ, საიდუმლოს  
ნუ დაიმარხავ!

სახელოვანი დევგმირები  
როგორც გივია,  
როგორც თუსია, გოდერძი და  
ბაჰრამ-ნივია,

ვით როსტომია, მტრის მმუსვრელი  
და სხვები კიდევ, –  
მაჩვენე, ვინძლო, რაც დათესე,  
მხოლოდ მას მკიდე!

ერთ ღროშას ვხედავ მთვარის მსგავსს და  
ოქროსწვერიანს.  
ფერადაც იგი, კარგად ვარჩევ,  
მთვარის ფერია.

იგი ვინ არის, იქ რომ მოჩანს  
იმ ლაშქრის შუა?“  
„არ ვიცი კარგად – თქვა ჰაჯირმა –  
ეს მეფე თუა!“

ზურაბმა ჰკითხა: „აი იქით  
მარჯვენა კიდეს  
დიდი ჯარი ჩანს, სპილოებსაც,  
მგონი, თვალს ვკიდებ.

ვხედავ, კარავი დაუციათ,  
დიდი და შავი,  
ხოლო მის ირგვლივ მოუყრიათ  
მეომრებს თავი.

მათ გარეშემო დაუთვლელი  
კარვები დგანან,  
იქით რომ ჩანან, სპილოები  
არ არის განა?

ეს ვინ მოსულა სპილოს სახე  
დახატულ დროშით,  
ვისია ის სპა, ჯაჭვ-ჭავჭავანი  
და ოქროს ქოში?“

ჰაჯირმა უთხრა: „ეს თუსია,  
შვილი ნავზარის.  
დროშა რომლისაც მტრის რისხვაა,  
შიშის თავზარი“.

ზურაბმა ჰკითხა: „აი აქეთ,  
წითელი ფერის  
კარავი მოჩანს, ახვევია  
მხედარი ბევრი,

მთელი ლაშქარი მის ზურგს უკან  
ფეხზე მდგარია,  
ლომდახატული დროშა მოაქვთ,  
თქვი, ვინ არიან?“

ჰაჯირმა ჰკადრა: „ეს გოდერძი  
ვატყობ, მოსულა,  
საცა შესულა საბრძოლველად,  
მტერი მოსრულა.

ოთხმოცი დევის მამა არის,  
გმირთა დიდება,  
ლომი გაურბის და ვერც სპილო  
შეეჭიდება.“

ზურაბმა უთხრა: „აქეთ შეხე  
მოლისფერ კარავს;  
შეხედე ლაშქარს, მის წინ გაშლილ  
მინდორს რომ ფარავს!

ერთი ტახტი დგას, ამკობს ბროლი,  
სათი და მინა,  
ხოლო ტახტის წინ ქაიანთა\*  
ვარსკვლავი ბრწყინავს.

ტახტზე დამჯდარა ფალავანი\*  
მძლეთამძლე ერთი,  
მის გამოხედვას დევგმირული  
იერი ერთვის.

მის წინ დგას რაში ალკაზმული,  
მაღალფეხება,  
ქამანდი მას რომ ზედ ჰკიდია,  
მიწას ეხება.

ღრიალებს, დრდვინავს, რაღაც ბრაზი  
გულში ჰქონია,  
მის ხმას რომ ვისმენ, ზღვის გრგვინვა და  
ზათქი მგონია.

ველარ წყნარდება, ვერც ადგილზე  
მოუსვენია,  
ირანელებში ასეთ გმირზე  
არრა მსმენია.

სპილონი მისნი მინდორ-ველმა  
ველარ დატია,  
შეხედე ღრომას: გველეშაპი  
დაუხატია.“

ეს რომ ისმინა, გაიფიქრა  
ჰაჯირმა გულში:  
„ამ კაცს როსტომის ვინაობას  
თუ გადავუშლი,

გამძვინვარდება ეს დევგმირი  
კეთილი გულის  
და გაირკვევა, როსტომს სვე რომ  
ჰქონია კრული.

არ გავსცემ როსტომს, თუ ვიპოვე  
რაიმე ხერხი.  
„არ ვიცი – უთხრა – ერთი ვინმე  
ჩინეთის ქვეყნით

ჩვენდა მაშველად წამოვიდა,  
იგი თუ არის“.  
„სახელი მითხარ!“ „არ გეკუთვნის  
თუმცა უარი,

მაგრამ ვერა ვცნობ, რადგან მათთან  
არ ვარ მე ახლა.  
დილეგში ვიჯექ, როცა იგი  
მეფეს ეახლა“.

ზურაბი მეტად დააღონა  
პასუხმა მისმა,  
ჰაჯირის პირით რომ „როსტომი“  
სმენით არ ისმა.

მამის ნიშანი მას ამგვარი  
ასწავლა დედამ,  
მონახა იგი და საკუთარ  
თვალთაც ხედავს.

მაგრამ ჰაჯირს კი არ წამოსცდა  
მისი სახელი  
(ალბათ ეს იყო მისი ბედი  
ავის მზრახველი).

ისევ იკითხა: „აი, იქით,  
მოედნის თავზე  
ვისი ჯარია, ბუკის ხმით რომ  
მთას და ბარს ავსებს?“

მათი ღროშის ფრთა ცაში ღრუბელს  
ეპოტინება,  
მითხარ ვისია? – ეს ხომ მაინც  
გეცოდინება“.

ჰაჯირმა ჰკადრა: „ეს გოდერძის  
ვაჟია, გივი.  
მას მეტსახელად დევგმირებმა  
შეარქვეს ნივი“.\*

მაგრამ ზურაბი მამის ნიშანს  
ეძებდა მხოლოდ,  
ჩანს, ვერ იხილავს და ეს არის  
ზურაბის ბოლო.

იღბალი მისი სხვას ფიქრობდა,  
სულ სხვა ეწადა,  
ასრულდებოდა, რა საცდელიც  
უნდა ეცადა.

ნუ მიენდობი ამ საწუთროს,  
თორემ გაგწირავს.  
ნუ, თორემ გიმტრობს, ვარამსა და  
ჭირში ჩაგძირავს!

ზურაბმა ჰაჯირს ისევ ჰკითხა  
მწვანე კარავზე,  
გოლიათ ცხენზე და იმ გმირზე  
მზერით მზარავზე.

ჰაჯირმა ისევ შეაგება  
სიტყვა მზაკრული.  
არ გახსნა მისი საიდუმლო,  
საქმე გზაკრული.

მიუგო ისევ: „იმ ჩინელზე  
არრა ვიციო,  
თუ ვტყუოდეთ, ნება გაქვსო,  
შური იდიო!“

ზურაბმა უთხრა: „მე არ მჯერა  
შენ მიერ თქმული,  
განა გმირ როსტომს მოუთმენდა  
უომრად გული?!“

ტყუი, როსტომი, ის ვინც მუდამ  
ომის მდომია,  
მე შეეჭვება, იქ არ იყოს,  
სადაც ომია!“

### **ზურაბისა და როსტომის ორთაბრძოლა**

ზურაბი ველზე გამოვიდა  
შუბამართული,  
დედის ნათქვამის გამო იყო  
ფიქრში გართული.

ბრძოლის ალაგად გამოძებნეს  
პატარა ველი,  
მოკლე შუბებით ერთმანეთზე  
ამართეს ხელი.

მარცხენა მკლავით დაუჭირეს  
ცხენებს აღვირი,  
დაუტყდათ შუბი და იშიშვლეს  
ბასრი მახვილი.

ინდური ხმლები დააღწიეს  
ერთმანეთს როცა  
(ო, როგორ სცემდნენ, დააყენეს  
მეორედ მოსვლა!),

დააგდეს ხმლები და აიღეს  
ლახტები შემდეგ.  
ერთხანს იმასაც უზოგველად  
ერთმანეთს სცემდნენ.

იყო დარტყმისგან მძიმე ლახტთა  
ღრეკა და ღუნვა,  
ფალავანთ\* ჭბუნვა, რაშთა ხტუნვა  
და მტვერში ბრუნვა.

ცხენთ და ფალავანთ შემოემსხვრათ  
ტანზე ჯავშანი,  
დაცვივდნენ ცხენნი და გმირებიც  
დადგნენ მაშვრალნი.

პირი მტვრით სავსე. ტანზე ოფლის  
ნიაღვრის დენა.  
წყურვილისაგან დახეთქილი  
გამშრალი ენა!

და მაშინ ერთუროს ჩამოეხსნენ  
შმაგი დევები.  
დალლილნი იყვნენ ერთმანეთზე  
ბოლმის მტევებნი.

ჰოი საწუთროვ, მე მაკვირვებს,  
რა ზნე გჭირს ოდით!  
კარგიც სულ შენგან გვაქვს, სიავეც  
სულ შენგან მოგვდის.

არ აღმოაჩნდა არც მამას, არც  
ძეს სიყვარული,  
მათთვის გონი და სიყვარული  
გახდა ფარული.

ყოველი მხეცი თავის პირმშოს  
გაარჩევს სხვაში:  
ველზე კანჯარი\*, გინა თევზი  
მცურავი ზღვაში,

მაგრამ კაცი კი, ვნებით სავსე  
მძვინვარე მამა,  
თავის შვილს მტრისგან ვერ გაარჩევს,  
ვერ იზამს ამას!

როსტომმა გულში გაიფიქრა:  
„ამას რას ვხედავ! –  
არ დამხვედრია მე ნიანგიც  
ასე თავხედად.

გამისრესია დიდ ბრძოლაში  
მძვინვარე დევი,  
დღეს კი დაკვარვე იმედი ამ  
ფალავანის\* ძღვევის.

ჩემთვის ასეთი ძნელი საქმე  
არვის უქნია,  
დღეს ვილაც ღლაპმა, ვისთვის ხმალი  
არვის უქნია,

გამოუცდელმა, უსახელო  
ვილაც ყმაწვილმა  
ორი ლაშქრის წინ შემარცხვინა  
და გამაწბილა!“

როცა ბრძოლისგან მეომრებმა  
მოითქვეს სული,  
სირცხვილეულნი კვლავ მიეცნენ  
ჭიდილის სურვილს.

პირისპირ დადგნენ ერთმანეთის  
თვალთ მრისხაენი,  
მოიგდეს მშვილდი და ერთმანეთს  
ტყორცნეს ისარი.

მაგრამ ორთავეს ჯავშანი და  
ეცვა ხაფთანი, \*  
ისარმა აბჯარს ვერ აჯობა,  
და ვით აფთარი

გაავებულნი და სიბრაზის  
ბოლმით ხელები  
ერთიმეორის ქამარ-სარტყელს  
მისწვდნენ ხელებით.

პიტალო კლდისთვის რომ წაეველო  
თაჰამთანს \* ბრჭყალი,  
დაფშენიდა მასაც, იქნებოდა  
თუ კი ის მწყრალი.

ასეც იფიქრა მტრის ხელთ გდება  
გულით ცხელით და  
იწადა, ზურაბს რომ სწვდომოდა,  
რათა ცხენიდან

გადმოეთრია და მოეშოთ  
რისხვის მთესავი,  
მაგრამ ვერ უქნა ძვრაც, ზურაბი  
დახვდა კლდესავით.

დაშვრა როსტომი, დაელაღა  
მკლავი და მუხლი  
(ეს ვინ ყოფილა, თვით როსტომსაც  
მკლავებს რომ უღლის!).

ვერ გაძლნენ ბრძოლით და რკინებით  
ავი ლომები,  
თუმც დაიქანცნენ, როდი იყვნენ  
ზავის მდომები.

და იერიში მიიტანა  
ზურაბმა ახლა,  
უნაგირიდან მძიმე გურზი  
აღმართა მალლა

და თავზე ლეწა როსტომს, მან კი  
არ იწყო გმინვა,  
თუმც დაიკლაკნა, აიტანა  
ტკივილი გმირმა.

ზურაბმა ერთი გაიღიმა  
და უთხრა ასე:  
„არ შეხვედრიხარ, ფალავანო,\*  
გატყობ, ჩემს მსგავსებს.

სახედარია შენი ცხენი,  
რაში კი არა,  
და შენი მკლავიც ვერ პატრონობს  
კარგად იარაღს.

მოხუცი გმირი სწორედ მაშინ  
არის სულელი,  
როცა განდება ჭაბუკური  
საქმის მსურველი“.

შერცხვათ ერთურთის, ეცოტავათ  
სადგომად მიწა,  
იქციეს ზურგი და გასცილდნენ  
ერთმანეთს იმ წამს.

გმირი როსტომი დაერია  
მტრის ჯარს მახვილით,  
თურანელები დაირეკა,  
როგორც ნახირი.

აქ კი ზურაბმაც ირანის ჯარს  
უსწორა მზერა,  
სადავეები მიანება  
ფეხფიცხელ მერანს.

ირანელთაკენ ბოლმით სავსეს  
და რისხვით მავალს  
ვერვინ დაუდგა, მოუსწრაფა  
სიცოცხლე მრავალს.

სპა ირანელთა დაარბია,  
ვით ფარა – მგელმა.  
როსტომი შიშმა აიტანა  
ჟრუანტლის მგვრელმა:



მანდ ქაოს მეფეს არ უქნასო  
რამე ამ შლეგმა! –  
და ის-ის იყო, პირი მისკენ  
რომ უნდა ექნა,

შეხედა, ზურაბს დაეხია  
ლაშქარი მისი,  
მიწა ლალისფრად შეელება  
ირანელთ სისხლით.

სისხლში მოსვროდა გრძელი შუბი,  
ჯაჭვი და ხელი,  
თელავდა ლაშქარს ლომი სისხლით  
მთვრალი და ხელი.

ზურაბის ქცევამ და მის მიერ  
ირანელთ ულეტამ  
გმირი როსტომი განარისხა  
ზომაზე მეტად.

უყვირა: „თურქო, უღმობელო  
და მსმელო სისხლის,  
უცოდველ ლაშქარს რას ერჩი, რა  
ჯავრი გჭირს მისი?“

რად არ დაგტეხე ის მკლავები  
ჩემივე ხელით,  
რომ ცხვრის ფარაში შევარდნილხარ,  
მძვინვარე მგელი!“

ზურაბმა უთხრა: „რად გგონია  
ეს საკვირველი?  
თურანის ლაშქარს დაერიე  
შენ ხომ პირველი;“

ეს ხომ შენ იყავ მათი სისხლის  
და კვდომის მდომი.  
თურანელთ არც კი უფიქრიათ  
ბრძოლა და ომი!“

მაშინ როსტომმა უპასუხა:  
„სალამო დადგა  
და დღეს ცოცხალი გადამირჩი  
ბრძოლაში რადგან,

ხვალ შევხვდეთ ერთურთს, როცა ქვეყნად  
სინათლე მოვა,  
ენახოთ, ვის ლაშქარს მოუწევს ხვალ  
მოთქმა და გლოვა“.

## როსტომი და ზურაბი თავ-თავიანთ ბანაკებში ბრუნდებიან

ბნელი ღამეა და დაბრუნდა  
ზურაბი ჯარში  
დამსხვრეულ ბეგთრით, დაღეწილი  
ჯაჭვით და ჯავშნით

და ომანს უთხრა: „ჰეი ომან,  
ღღეს ბედის სურვილს  
მოუტანია ჩვენთვის ომი,  
მტრობა და შური.

თქვენ რა გარდაგხდათ, მომიყევი  
თქვენი ომისაც,  
რა გიქნათ იმან, ვისაც ჭანგი  
მოჰყვა ლომის აქ?

როგორ გეტაკათ ის დევგმირი  
და ვით გეომათ,  
რომლის ბადალსაც მე არ ვიცნობ  
ქვეყნად მეომარს?

ერთი მოხუცი კაცი არის,  
მაგვარი ლომის,  
ვისაც ვერ აძლებს მძვინვარება  
ბრძოლის და ომის.

ის ქვეყანაზე უძლეველი  
გმირი რამ არის.  
არვის შეუკრავს, ვითარცა მას,  
რისხვის ქამარი“.

ომანმა ჰკადრა: „ერთი ვილაც,  
ღღეს რომ იტყვიან,  
ისეთმა კაცმა მძიმე ლაშქარს  
შემოგვიტია.

გეგონებოდა, გამოსულა  
ღვინით მთვრალით  
და ახლა უნდა, მეომართა  
სისხლიც დალიოს.

შემოგვერია და დაგვეფანტა  
თურანის ხალხი,  
ბევრიც დახოცა, გაუნადა  
იღბალი თაღხი,

მერე დაბრუნდა, სადაც  
იღგა ირანის ჯარი,  
მიაქროლებდა ბედაური,  
ფრთამალი ქარი“.

ზურაბმა ჰკითხა: „ის ისეთი  
მძლავრი გმირია,  
ფალავანთაგან\* არავინ არ  
განუგმირია?

ირანელები მე საკმაოდ  
ბევრი დაეხოცე  
და სისხლის მათის ღვარით მიწის  
პირი აეხოცე.

ხვალ მოგვიხდება გადამწყვეტი,  
ომანო, ბრძოლა,  
ხვალ გადაწყდება, ვის მოუწევს  
მიწაში წოლა.

ო, ღმერთო, ქვეყნის შემოქმედო,  
წყალობა მომეც  
და არ დავტოვებ ქვეყნად დუშმანს და  
ავის მდომელს!

ახალა კი სუფრა, თავშექცევა,  
მღერა და ლხინი!  
მოდი, ჩამოვსხდეთ და ვარამი  
ჩავიკლათ ღვინით!“

იქით როსტომმაც ალოდინა  
ლაშქარი დიდხანს,  
გვიან დაბრუნდა, გვიის ბრძოლის  
ამბავი ჰკითხა.

გვიმ მიუგო: „ბრძოლის ველზე  
ასეთი კაცია  
მე არ მინახავს. თუსს მიაპყრო  
მან მზერა მკაცრი

(გრიგალზე იჯდა და ხელთ ეპყრა  
გურზი\* ვეება).  
დაიდრიალა ლომის ხმაზე  
და თუსს შეება.

აბგერა გურზი ისე მძლავრად,  
რომ მისმა ძალამ  
გმირ თუსს თავიდან მუზარადი  
გადააცალა.

გაიქცა თუსი, ვერ დაუდგა  
მხედარს მხედარი,  
დატოვა ველზე ჩვენთანა  
ბევრი ცხედარი“.

ამის გაგებამ დააღონა  
როსტომი მწარედ,  
დააგდო გივი და გულმწერალი  
გავიდა გარეთ.

ქაიქაოსთან გამოცხადდა  
და უთხრა პატრონს,  
რაც მან ზურაბთან განიცადა  
ბრძოლაში მარტომ:

„ასეთი გმირი არ უნახავს  
ქვეყნად არავის,  
ასეთი მძლეეთამძლე, რისხვა და  
გულის მზარავი.

ის დედამიწას ზნექს, როდესაც  
მიწაზე დადის,  
თავით კი ვარსკვლავთ ებჯინება,  
მაღალი ცამდის.

ვერ დავამარცხე ის მახვილით,  
გურზით და ისრით,  
მერე მინდოდა, გადმომელო  
ცხენიდან კისრით,

გავცეცხლდი კაცი და ვუტაცე  
კიდევ ქამარი,  
მაგრამ, მეფეო, ის დევგმირი  
და კლდე რამ არის.

იდგა მთასავით, ჩემს ძალას ის  
არც გრძნობდა, ვგონებ,  
დავეხსენ, რადგან აღარ მქონდა  
კვლავ ბრძოლის ღონე.

ასე გავცუდდი, გამოვბრუნდი,  
ვერ ვუქენ რამე.  
დაღამდა კიდევ და უმთვარო  
ჩამოწვა ღამე.

ხვალ გამჟღავნდება ჩვენს ჭიდილში  
განზრახვა უფლის.  
არ ვიცი, ვისი შეიმოსვის  
ცა ლეგა ღრუბლით.

ო, ხვალ რომელსაც გაუმარჯვებს  
განგების ნება,  
მან კეთილ სულებს და ცის მნათობს  
შეასხას ქება!“

ქაოსმა უთხრა: „ღმერთს შევსთხოვოთ,  
მოვიგოთ ომი.  
მან დაამარცხოს ჩვენი ცუდის  
და ავის მდომი.

მე კი ამაღამ მას მივმართავ  
მხურვალე ლოცვით,  
შენს თავს ღვთაებას შევავედრებ  
მუხლებზე ცოცვით.

ნუ შიშობ, გმირო, და თავმდები  
ამისი მე ვარ,  
რომ ხვალ უთუოდ მოგიხდება  
იმ თურქის ძლევა.

მჭკნარი იმედი აყვავდება  
და ამის შემდეგ  
სახელი შენი ამაღლდება  
ზეცაში მზემდე“.

გმირმა მადლობა მოახსენა  
შაჰ ქაოსს, რადგან  
გულში იმედი ჩაუსახა  
და მერე ადგა.

თავის ბანაკში გაეშურა,  
იქით ქნა პირი,  
გულდარდიანი მიდიოდა  
გამწყვრალი გმირი.

ზავარი თავის ძმას ეახლა,  
სულით იწვოდა,  
დღეს როსტომს თავზე რა გარდახდა,  
ჯერ არ იცოდა.

როსტომმა პური მოითხოვა,  
დაიცხრო გული  
და მერე ზავარს ასე უთხრა:  
„გამიგე თქმული!

იყავ ფხიზელი, მე ვით გეტყვი,  
ისე ჰქენ, ზავარ:  
ხვალ მე აქედან ბრძოლის ველზე  
როდესაც გავალ,

ჩემი ლაშქარი აიყვანე  
ამ ჩემი დროშით.  
წაიღე ჩემი ოქროს ტახტი  
და ოქროს ქოში.

იქ დამიცადე, სადაც არის  
ჩემი კარავი  
მანამდე, სანამ მზის პირი ჩანს  
დაუფარავი.

თუ გამარჯვება მე მერგუნა,  
უკანვე მოვალ  
და თუ არა და, თუ ბრძლაში  
სიკვდილმა მპოვა,

ნუ მომაკითხავთ, მიატოვეთ  
თქვენც ბრძოლის ველი  
და ჩემი სისხლის აღებაზეც  
აიღეთ ხელი!

ზაბულისთანში ყველა ერთად  
დაბრუნდით უკან,  
ჩემი ამბავი ამცნეთ დასთანს,  
და რიდი ნუ გაქვთ;

შენ ანუგეშე დედაჩემის  
გული მწუხარე,  
მოკვდა-თქო იგი, ვის სახელით  
ჰქონდა მქუხარე.

უთხარი, ჩემზე ნუ იღარდებს,  
წუხილი კმარა,  
ყველა მომკვდარა, ვინც შობილა,  
ვინ ცოცხლობს მარად?

ბევრი ნიანგი, ბევრი ვეფხვი  
და ბევრი ლომი  
მომიკლავს ქვეყნად, გარდვისადე  
მრავალი ომი.

ვიყავი ბევრზე ბევრი მტკიცე  
ციხის მნგრეველი,  
არ შემხვედრია ქვეყნად კაცი,  
ჩემი მძლეველი.

ზეცას სიკვდილი მოაქვს ბოლოს,  
ასე აქვს წესად,  
თუნდაც ათასმა წელმა განვლოს,  
ვერ წახვალ ვერსად.

აბა ჯამშიდი\* გაიხსენე,  
ის მძლეოთა მძლევი,  
თეიმურაზი\* მოიგონე,  
მბოჭველი ღვეის,

ქვეყნად სხვა მეფე სად ყოფილა  
მათი სადარი,  
მაგრამ შეხედე, დღეს ჯამშიდი  
აბა სად არის!

როდესაც მოვა კაცის თავზე  
სიკვდილის ჯერი,  
უნდა წავიდეს, ყრმა იქნება  
იგი თუ ბერი.“

ბანაკს გაუტყდა ღამის ძილი  
ტკბილი და ამო  
და მთელი ღამე საუბრობდნენ  
ზურაბის გამო.

### **ზურაბმა როსტომი წააქცია**

როცა კაშკაშა ფრთა გაშალა  
ბრწყინვალე მზემან,  
ხოლო პირბნელი ფრთა დაკეცა  
ფრინველმა ბნელმა,

წამოდგა ზეზე თაჰამთანი\*  
და ტყავი ვეფხვის  
ჩაიცვა ტანზე. (დაქუხებას  
იწყებდა მეხი).

ამხედრდა ცხენზე. გამოვიდა  
ველზე მღელვარე.  
რკინის ჩაჩქანი დაეხურა  
მზეზე ელვარე.

ზურაბს ეძებდა, მისკენ ეპყრა  
თვალი და მზერა.  
შეხედა, ზურაბს ჰქონდა ლხინი,  
ცეკვა და მღერა.

ზურაბმა ომანს ასე უთხრა:  
„აი, ის გმირი,  
ვისთანაც გუშინ ბრძოლა მქონდა  
სათქმელად ძვირი.

სიმაღლით იგი როდი არის  
ჩემზე პატარა,  
მაგრამ ბრძოლაში ჩემთან კარგი  
დრო ვერ ატარა.

აქვს მას მხარ-ბეჭი და მკლავები  
ჩემი ბადალი  
და ცხენოსნობით მეც მაჯობებს,  
გითხრა მართალი.

მე მის ნიშნებში მელანდება  
ხატება მამის,  
ვუყურებ ამ კაცს და ეჭვებმა  
დამჭამონ ლამის.

იგი როსტომი უნდა იყოს.  
ომან, ვგრძნობ ასე  
და ახლა კი მას თუ შევები  
კვლავ რისხვით სავსე.

მითხარი, განა კარგს ჩავიდენ?  
ვით განსჯი ამას,  
როგორ იქნება, უმეცრებით  
ვებრძოლო მამას?“

ომანმა ჰკადრა: „თუმც არ ვიცნობ  
როსტომს ახლოდან,  
მაგრამ ის ომში მე მრავალჯერ  
მომიახლოვდა.

მაზანდარაში რა ამბები  
დაატრიალა,  
გურზით და ლახტით მტერი როგორ  
გაატრიალა!

მგონი, ის არის, მე მეცნობა  
როსტომის რაში.  
თუმც უფრო იყო მძვინვარე და  
ფიცხელი მაშინ“.

ზურაბმა მყისვე მუზარადი  
თავზე იხურა,  
გულმხიარული წამოიჭრა  
ზეზე ჯიქურად,

ველზე გავარდა სიხარულის  
დიდი ძახილით.  
ხელში ეჭირა მძიმე ლახტი,  
როგორც მახვილი.



როსტომთან შედგა, მიესალმა,  
შესცინა ტკბილად,  
თითქოს ის ღამე ძინებოდა  
ამ კაცთან წყვილად.

ჰკითხა: „ხომ ღმერთმა დილას მშვიდად  
აგაყენაო,  
ბრძოლის შესახებ გულმა რა გზას  
დაგაყენაო?“

მო, გადავაგდოთ მტრობის ხმალი,  
მტრობის ისარი,  
ნულარ ვიქნებით კვლავ მოქიშპე  
და მოსისხარი;

გადავივიწყოთ ის, რაც ღმერთთან  
შევეცოდეთ გუშინ,  
არ ვიქონიოთ ერთმანეთის  
ქიშპობა გულში!

რატომღაც ძლიერ შეგიყვარე,  
როგორც კი გნახე,  
ნახე, სირცხვილის ცრემლი როგორ  
მირეცხავს სახეს!

მითხარი, გმირო, ხვაშიადი\*  
გამანდე შენი.  
სახელის მალვა განა შენებრ  
ფალავანს\* შვენის?!

ნუთუ შენ სისხლი საამისა  
არ გიდგას ტანში,  
როსტომი არ ხარ შენ, განთქმული  
ზაბულისთანში?!”\*

ზურაბის სიტყვა მოისმინა  
როსტომმა და თქვა:  
„ჩვენ არ გვქონია, ყმაწვილკაცო,  
ასეთი დათქმა,

შებრძოლებაზე ერთურთს სიტყვა  
მივეციოთ გუშინ,  
გავტეხო იგი, ეს იმედი  
არ გქონდეს გულში!

შენ თუ ბავშვი ხარ, მე არა ვარ  
ყმაწვილი აწი,  
ველზე საომრად გამოვსულვარ,  
ამხელა, კაცი.

უნდა შევიბნეთ. გაიმარჯვოს  
ჩვენს შორის ერთმა,  
დაე, აღსრულდეს ის, რაც ჩვენთვის  
ისურვა ღმერთმა!

გამოცდილი ვარ, ბევრი კარგი  
და ავი ვიცი,  
არ მიყვარს კაცის მოლორება,  
გატეხა ფიცის!“

მაშინ ზურაბმა უპასუხა:  
„ვით გატყობ, შენ აქ  
ჩემს დარიგებას არც კი გინდა,  
მიაპყრა სმენა.

მე კი მინდოდა, ბერო კაცო,  
ასე გლომოდა,  
თავის დროს სული შენს ლოგინში  
ამოგხდომოდა.

უკვე აკლდამებს იშენებენ  
შენი ხნისანი  
და სულის ხსნისთვის ზრუნვა არის  
მათი მიზანი.

შენ კი ბრყეულად მიცემიხარ  
სისხლის ღვრის სურვილს.  
მეწიოს ღმერთი, ამოგხადო  
ახლავე სული!“

ჩამოხდნენ ცხენით, მოისინჯეს  
აბჯარი ტანზე  
(ავი ზრახვებით ჰქონდა გული  
ორივეს სავსე).

ვეფხვივით ერთურთს დაეძგერნენ  
გულგაცხარებით,  
ოფლის ნაკადულს შეურიეს  
სისხლის ღვარები.

ალიონიდან საღამომდე  
გაგრძელდა ბრძოლა,  
მაინც არ ჰქონდათ გულში მცირე  
შიში და ძრწოლა.

ზურაბმა დიდი დაიძახა,  
შეინძრა მიწა,  
ეძგერა როსტომს, – და როსტომიც  
მიწაზე იწვა.

წაქცეულ მხედარს ზედ დააჯდა  
მაშინვე გმირი.  
როსტომს სულ მიწით დაეტენა  
ცხვირი და პირი.

ზურაბმა მყისვე ბასრი დანა  
ამოიწვავდა.  
მიხვდა როსტომი, რას უზამდნენ,  
კარგად იცოდა.

აყვირდა: „გმირო, შემიწყალე,  
გფარავდეს ღმერთი!  
ვიდრე მომკლავდე, მათქმევინე  
სათქმელი ერთი“.

ცბიერმა როსტომმა ზურაბი მოაუწყა: ჩვენში ასეთი წესია, პირველ წაქცევაზე ფალავანი დამარცხებულს ცოცხლად გაუშვებს, მეორედ თუ წაქცია, მაშინ ჭრის თავსო.

მის მაცდურ სიტყვებს დაუჯერა  
ყმაწვილის გულმა,  
კეთილი კაცი დაარწმუნა  
ცბიერად თქმულმა.

შეუნდო როსტომს, არ მოექცა  
ძღუელს ავად და  
ამ დროს კი ველზე ნიამორმა  
გაინავარდა,

გამოეკიდა მას ზურაბი,  
შექცევის მდომი,  
არც გაიხსენა იმ დღეს თვისი  
რკენა და ომი.

ნადირობიდან კი ბანაკში  
დაბრუნდა ღამე.  
ომანმა ბრძოლის არ იცოდა  
ჯერ კიდევ რამე.

ზურაბმა უთხრა ომანს მათი  
ამბავი სრულად,  
თუ ვით აჯობა მტერს, მაგრამ ვით  
არ სძლია სულმა.

ომანმა თავში ხელი იცა,  
ცეცხლებრ აღენტო:  
„ასეთი მტერი (ღმერთო!) როგორ  
უნდა დაგენდო!“

ვაიმე, ამ კაცს რა უქნია,  
შეხედეთ ერთი!  
გაგბანებია ვაჟკაცობა,  
გამწყრალა ღმერთი.

ეს რა გიქნია, ხალხო, ამის  
საქციელს დახეთ!  
უზამბარისთვის\* აგინსნია  
შენ თვითონ მახე.

სხვა დაგინსნია, ხოლო თავი  
წაგინდენია,  
მოსალოდნელი დიდი საფრთხე  
აგინდენია!

რად დაივიწყე, გმირთაგმირო,  
ანდაზა ძველი:  
„შემცდარხარ, ჯაბან მტრისგანაც თუ  
ხიფათს არ ელი“.

ეს თქვა ომანმა, გამწყრალმა და  
გაოცებულმა.  
მაგრამ ზურაბმა მშვიდად უთხრა:  
„ნუ ღელავ, ომან,

გულარხეინად იყავ, არ ხამს  
შიში და ძრწოლა!  
ხვალ მე ხელახლა მომიხდება  
იმ კაცთან ბრძოლა

და მას გაჩვენებ ბორკილებში,  
გჯეროდეს თქმული!“  
თქვა და კარავში გაემართა  
მძვინვარე გულით.

რაკი როსტომმა დაიგულა  
სიკვდილი შორად,  
მოითქვა სული, დაემსგავსა  
ფოლადის გორას.

შემდეგ ძლივს შესძლო, მდინარისკენ  
ბიჯი გაედგა.  
დალია წყალი და ხელახლა  
სული ჩაედგა.

თავი და ტანი დაიბანა  
ანკარა წყლით და  
ქვეყნიერების შემოქმედი  
ახსენა წმინდა.

მოთქმით და ცრემლით ძლიერება  
მისი ადიდა,  
ჯერ არ იცოდა, ბედისწერა  
რას უქადიდა.

თავიდანვე როსტომს ღმერთმა იმდენი ძალა მისცა, რომ მას ეს ძალა მოძრაობაში ხელს უშლიდა. ღმერთს სთხოვა: ცოტა ძალა მომაშორე და როცა დამჭირდება, მაშინ დამიბრუნეო! ღმერთმა მას ეს სურვილი შეუსრულა. როსტომს სწორედ ახალა დასჭირდა ის გადანახული ძალა და ღმერთს სთხოვა: იგი უკანვე დაებრუნებინა. ღმერთმაც დაუბრუნა.

## ზურაბის სიკვდილი

ჩამოქვეითდნენ ცხენებიდან  
სარკენად ისევ.  
და მოიწია ავის ნდომად  
განგება მქისე.

თუკი გაბრაზდა ბედი ავის  
და შავის მდომი,  
გჯეროდეს, კაჟიც დარბილდება,  
ვითარცა ცომი.

ზურაბმა როსტომს ხელი ისე  
დაავლო ძლიერ,  
თითქოს შეიკრა ის ციური  
ძალების მიერ.

ამან კი უფრო გააშმაგა  
როსტომი მწყრალი  
და ქედ-კისერში ზურაბს მძლავრად  
დაავლო ბრჭყალი,

ორად მოკეცა ახალგაზრდა  
მისმა ძალამ და  
აჰა, ზურაბიც ამ ცხოვრებას  
დაესალამა.

დასცა მიწაზე, მაგრამ კი არ  
იმედოვნებდა,  
თუ ძირს ზურაბი ასე დიდხანს  
დააყოვნებდა.

ბასრი ხანჯალი ამოიღო  
ხელით სწრაფით და  
თავისი ღვიძლი შვილის გული  
ხანჯლით დაფლითა.

ზურაბმა ერთი დაიგმინა  
და ძირს დაეცა,  
მიუხვდა, რომ მას ამ ბრძოლაში  
ბედი დაეწვა.

უთხრა: „დღეს მე რაც მომივიდა,  
ჩემ თავს ვაბრალებ,  
სიცოცხლის ჩემის გასაღები  
შენ ჩაგაბარე.

შენ ჩემს სიკვდილში არ მიგიძღვის,  
დანაშაული, –  
რაც ბედისაგან დაგვეწესა,  
გვერდს ვერ ავუვლით.

აფსუს, იქნება ჩემზე კიდევ  
იცინოს მტერმა,  
ჩემი მხარ-ბეჭი რომ დასვარა  
მიწამ და მტვერმა!

გამოვყოლილვარ მამის თვისის  
მოძებნის სურვილს,  
ვერ ვნახე იგი, მის ძებნაში  
ამომხდა სული.

ვიარე ქვეყნად, რათა მამის  
მეხილა სახე  
და ამ ქვეყნიდან მივალ ისე,  
იგი ვერ ვნახე.

ვაი, რომ მაინც თან მიმყვება  
ოცნება ამის  
და ისე ვკვდები, რომ მნახველი  
ვერ გავხდი მამის!

შენ კი, მოხუცო, თუნდაც თევზად  
ჩახვიდე წყალში  
ან ცას ვარსკვლავად რომ გაეკრა,  
როცა გსურს, მაშინ,

ანდა სიბნელეს შეენივთო  
შენ თვითონ ბნელი,  
მოსტაცო მიწას მზის სხივები  
სინათლის მგვრელი,

მაინც მოგისპოს შენ როსტომმა  
ქვეყნად ბოგინი,  
როცა გაიგებს, რომ მიწაა  
ჩემი ლოგინი.

ვინმე მოლაშქრე წავა მასთან  
ამბის მბობელი,  
შენც ეს მოგელის, გახდე მისგან  
ბედის მგმობელი!“

როცა როსტომმა ეს ისმინა,  
გაშტერდა მეტად,  
თვალთა სინათლე დაუბნელა  
დასხმულმა რეტმა.

რა უნდა ექნა, რა პასუხი  
უნდა გაეცა!  
მოეჭრა მუხლი და უგონოდ  
იქვე დაეცა.

ტირილით ჰკითხა, რა მოვიდა  
როსტომი გრძნობას:  
„სად გაქვს ნიშანი, რითაც მე შენს  
შევძლებდი ცნობას?“

როსტომი მე ვარ, სიცოცხლის და  
თავის მგმობელი.  
ჩემზე შავებში ჩამჯდარიყვეს  
ჩემი მშობელი!“

სხეულში სისხლი აღუშფოთდა  
როსტომს მღულარე,  
თმა დაიგლიჯა მყვირალმა და  
გულით მწუხარემ...

როცა ზურაბმა ამ ყოფაში  
როსტომი ნახა.  
უთხრა: „გოდება გვიანია,  
მოხუცო, ახლა,

მართლა და შენ თუ მამა იყავ  
ჩემი ფარული,  
რა იქნა შენგან ან დანდობა,  
ან სიყვარული?“

მე ხომ ვცდილობდი, მომეყვანე  
აზრსა და ცნობას!  
შენ გულში რატომ არ შეუშვი  
კაცური გრძნობა?“

როცა აქეთკენ მოვდიოდი  
ბუკ-დაფის ცემით,  
ჩემთან მოვიდა გულმწუხარე  
მშობელი ჩემი.

ატირებულმა და კაემნით  
აღსავსე დედამ  
თვალმარგალიტის მძიმე მძივი  
შემაბა ზედ და

მითხრა: ვინ იცის, აწი შენთვის  
რა ღლე დადგესო,  
ეს მამის ნიშნად გქონდეს,  
ვინძლო გამოგადგესო!

ახლა გახსენი ბანდი ჩემი  
ჯაჭვის პერანგის  
და გამიცანი – შვილი ვარ თუ  
მტერი ვერავი!“

როცა როსტომმა ნიშნეული  
მძივი იხილა,  
აყვირდა, ტანზე სამოსელი  
შემოიხია.

ღრიალი ძორთო: „ჩემივ ხელით  
მოგკალი, შვილო,  
ლომგულო გძირო, ვარდის რტოო,  
სათუთად შლილო!“

დიდხანს გოდებდა საკუთარი  
სიცოცხლის მტერი,  
თმა დაიგლიჯა, თავს იყარა  
მიწა და მტვერი.

და მაშინ მამის სანუგეშოდ  
აღმოხდა ყმაწვილს:  
„ცრემლების ფრქვევა და ტირილი  
ფუჭია აწი.

რა მაქნისია თავის გვემა  
და მოკვდინება!  
რაც მოხდა, მოხდა! ბედმა ჩემმა  
ასე ინება“.

შუქისმთოველი მზე გუმბათის  
კიდეში ჩადგა,  
დაღამდა, მაგრამ თაჰამთანი\*  
კიდევ არ ჩანდა.

ოცმა მძლეუთამძლე ფალავანმა\*  
ირანის ლაშქრით  
როსტომისაკენ გააქანა  
ფეხმარდი რაში.

ნახეს მინდორში ორი ცხენი  
უმხედროდ მდგარი,  
მტერში ასვრილი; ერთს ეკიდა  
როსტომის ფარი



და არ მოჩანდა უნაგირზე  
წამომართული  
მძლე პილოტანი\*, მუდამ ბრძოლის  
საქმით გართული.

თვალთ დაუბნელდათ, თავს დაეცათ  
მეხი და ზარი.  
გმირი როსტომი რომ კერ ნახეს,  
ეგონათ მკვდარი.

მეფეს ეახლნენ მძიმე ამბით  
შედრწუნებულნი:  
„დაგვიქვრივდით თაჰამთანის  
ტახტი ქებული!“

ამოხდა ლაშქარს ყვირილი და  
გოდება მწარე,  
თითქოს შეინძრა დედამიწის  
ოთხივე მხარე.

ზურაბმა უთხრა გულდამწვარ და  
საბრალო მამას:  
„მე არ მეგონა, თუ განგება  
მიზამდა ამას.

დღეს, როცა ჩემს ბედს დაძინებულს  
აწევს ბურანი,  
განსაცდელშია ჩავარდნილი  
მთელი თურანი.

ეს მაინც ქენი, დანარჩენი  
რაც არის, არის:  
თურანის ზღვარზე ნუ გადავა  
ირანის ჯარი!

მათ ქვეყნად ჩემი იმედილა  
გააჩნდათ მხოლოდ,  
ის კი არა და, – აი, როგორ  
მოვიდა ბოლო!

ნებიერობას მყავს დაჩვეული  
თურქი მხედრები,  
არ განურისხდე, მხოლოდ ამას  
შეგევედრები!

ციხეში ერთი სარდალი მყავს  
ირანელთ ტომის,  
მე დავატყვევე, როცა თქვენთან  
დავიწყე ომი.

შენი აქ ყოფნა დამიფარა  
მზაკვრული ზრახვით,  
არ გამანარა შენი ცნობით  
და შენი ნახვით.

ღმერთმა მიუზღოს მას ამისთვის  
სამაგიერო!  
მაგრამ შენ თვითონ ხელს ნუ ახლებ,  
გმირო ძლიერო!

რა ვუყოთ ახლა, თუ საწუთრო  
განაგებს ამას;  
თუ საკუთარი ხელით უნდა  
მოვეკალ მამას!

მოველ, ვით ელვა და მივდივარ,  
ვითარცა ქარი,  
ღმერთმა ინებოს, რომ გამელოს  
სამოთხის კარი!“

ამოიკვნესა და შესწყვიტა  
სათქმელი ამით,  
გული აევსო მწვავე ცეცხლით,  
თვალეები – ნამით.

როსტომი მყისვე ცხენს მოახტა  
ფიცხი და ჩქარი,  
გულში ხანძარი ბობოქრობდა,  
ტურეზზე – ქარი!

მთავარბანაკში გაექანა  
გულით მწუნარე,  
შეიჭრა ჯარში და გაისმა  
სიტყვა მქუნარე.

ირანელებმა გაიხარეს  
როსტომის ნახვით,  
მაგრამ როსტომის რომ მოესმათ  
კვნესა და ახი,

ჰკითხეს: „რა მოხდა, გმირთაგმირო,  
რა ამბავია?  
როგორც ეტყობა, ბედი ჩვენი  
მანც ავია!“

როსტომმა თვალთ გადაჰყარა  
ცრემლები ცხარე,  
მერე შესძახა: „ხალხო, გვეყო,  
რაც სისხლი ვღვარეთ!

ვუბრძანებ ლაშქარს, ერთ ისარსაც  
ნულარ ისვრიან,  
საშინელება, რაც მე ვქენი,  
საკმარისია!“

მოდის ზავარი, ტანზე  
ჯავშანშემოხეული,  
ხელყოფილი აქვს სამოსივით  
თვითონ სხეულიც.

ძმა როცა ნახა საბრძოლველად  
გაფიცხებული,  
როსტომმა უთხრა მას შვილისგან  
დაფიცვებული:

„მე ახლა ვნანობ ჩემს სისხლიან  
საქმეს, საქციელს,  
ცოდვათა ჩემთა საცოდავად  
გადამაქციეს.

ჰე ძმაო ზავარ, ხედავ? გულში  
ჩამესხა გესლი,  
ამომეთხარა სამუდამოდ  
ფესვი და თესლი!...“

როსტომმა ომანს გაუგზავნა  
შიკრიკი მალი:  
„შურისძიების და ქიშპობის  
ჩავაგე ხმალი.

მე დღეის შემდეგ თქვენი მტერი  
არა ვარ წამით,  
შევწყვიტოთ ომი და ყოველი  
დამთავრდეს ამით!

თუმცა შენ თვითონ ცოდვებში ხარ  
გამოხვეული,  
ცეცხლს რომ მიეცი ჩემი სული,  
ჩემი სხეული.“

ომანმა მტკიცედ იუარა  
ბრალდება მისი:  
„მე ზურაბს გვერდში ისე ვედექ,  
ვით ძმა და თვისი.

მე რა ბრალი მაქვს, დამნაშავე  
არის ჰაჯირი  
და ეს ცოდვებიც მის კისერზე  
არის დაჯრილი.

ეს მან დაღვარა უცოდველი  
ზურაბის სისხლი,  
ჩემთან რა გინდათ, ჰაჯირია  
სიკვდილის ღირსი!“

როსტომმა ეს რომ გაიგონა,  
გაშმაგდა მეტად,  
თვალთ დაუბნელდა და დაიწყო  
ტუჩების კვნება.

ფიცხლავ ამხერდა,  
საომარი დააგლო ველი,  
მიეჭრა ჰაჯირს, საყელოში  
დაავლო ხელი,

მიწაზე დასცა და უნდოდა,  
თავი მოეჭრა,  
მაგრამ აქ როსტომს დიდებულთა  
გუნდი მოეჭრა

და სიკვდილისგან დაიფარა  
ფლიდი ჰაჯირი.  
როსტომმა ისევ ინახულა  
შვილი დაჭრილი...

საცოდაობის იმ ადგილზე  
მოგროვდა ყველა:  
გოდერძი, თუსი, გოსთაჰამი –  
უნდოდათ შველა,

ყოველგვარ ღონეს ეძიებდა  
ჯარი და ხალხი,  
ავიცდინოთო იქნებ ბედი  
შავი და თალხი!

ამ დროს ვიღაცას როსტომისთვის  
თვალი მოეკრა,  
ხანჯალი ეძრო და უნდოდა,  
თავი მოეკლა.

მყისვე მისცვივდნენ უბედურ და  
საცოდავ მამას,  
შეკრეს (თავადაც ტიროდნენ, როს  
შვრებოდნენ ამას).

გოდერძმა უთხრა: „რას უშველი  
შენს საქმეს ამით,  
თუნდ მიწის პირზე ააყენო  
მტვერი და კვამლი!“

აწი თავს თუნდაც მიაყენო  
ზიანი ასი,  
ამას ზურაბის დასახსნელად  
არა აქვს ფასი.

თუ კი საწუთროს ქვეყნად მისი  
დარჩენა უნდა,  
არ მოგიკვდება და შენც მასთან  
იცოცხლე მუდამ!

და თუ მას ჩვენგან წასასვლელად  
ამზადებს ღმერთი,  
რას ვიზამთ?! კაცის ძე უკვდავი  
მაჩვენე ერთი!

სიკვდილი ყველას ინადირებს,  
ვისაც კი ხედავ.  
სიკვდილი ელის ყოველ სულდგმულს,  
მეფეს თუ მხედარს.

ვინ არ ვლონდებით, როცა იგი  
მოგვაგონდება,  
აქედან გემართებს ჩვენს საკუთარ  
თავზე გოდება!“

### **დედამ ზურაბის სიკვდილის ამბავი გაიგო**

მოიცვა მიწა თურანისა  
გლოვამ და ძრწოლამ:  
„გმირი ზურაბი იმსხვერპლაო  
როსტომთან ბრძოლამ!“

სამანგანის შაჰს ეს ამბავი  
როგორც კი ესმა,  
ატეხა ზრუნი\* და გოდება,  
მოთქმა და კვნესა.

დედას აცნობეს ეს ამბავი  
ჟრუანტლის მგვრელი:  
„ზურაბი როსტომს მოუკლავსო  
საკუთარ ხელით!“

საბრალო დედას მეხი ეცა,  
გაისვა ბრჭყალი  
და დაიხოკა პირისახე –  
ბროლი და ლალი.

მანამ ჰკიოდა, სანამ ბნედა  
შეეყრებოდა.  
მერე დაეცა, მიცვალებულს  
შეედრებოდა.

თმის ზილფ-კაკები ქამანდივით  
გრეხილ-ხვეული  
თვისივე ხელით დაიწეწა.  
მისი სხეული

სისხლის ნაკადულს აჩქეფებდა  
და სისხლის ღვარსაც.  
ისევ დაეცა, დაემგვანა  
საბრალო მკვდარს და

ისე გახელდა, თავზე მიწა  
იყარა შავი,  
ისე გაშმაგდა, დაიჭამა  
კბილებით მკლავი.

მერე ადგა და თმაზე ცეცხლის  
ალი დაინთო,  
მუშკის დაღალი დაიტრუსა, –  
თმაც არ დაინდო.

მწარედ მოთქვამდა: „ვაი შვილო,  
სულო დედისავ,  
სად გდინარ ახლა გადამყრელი  
შავი ბედის? სად?

უშენოდ ყოფნა დღემდეც ჭირზე  
უფრო მეჭირა,  
შენს მოლოდინში თვალი მუდამ  
გზაზე მეჭირა.

მეგონა ბეჩავს, მოძებნიდი  
მეგონა მამას,  
რას ვიფიქრებდი, თუ იღბალი  
მიზამდა ამას!

რას ვიფიქრებდი, რომ საკუთარ  
მამას ნახავდი  
და თავს კი, ვაი, მისი ხელით  
დაიმარხავდი!

სულწაწყმედილმა, ვინც იყავი,  
თუ არ იცოდა,  
შენი სინორჩე მაინც რატომ  
არ შეიცოდა?!

შენთვის მეწვოდა სული  
დარდებშემოსული.  
განა მიწისთვის ვასათუთე  
შენი სხეული?

არავინ არ მყავს, რომ შევჩვილო  
გულის ნალველი,  
ნუთუ ხელახლა ვერ გიხილავ,  
ისე წახველი?

შენი სახელით ვის მივმართო,  
ვიღას ვუწოდო?  
დარდით, ნალველით აწი ხელი  
ვიღას ვუწოდო?

აწ ლაშქრობიდან გამარჯვებით  
ველარ მომიხვალ,  
მამას ეძებდი და სამარეს  
გადაწყდომიხარ...

ჰე შვილო, მანამ, სანამ გულში  
დაგცემდა დანას,  
სანამ სიცოცხლეს მოვისპობდა  
შენივე მამა,

რად არ აჩვენე ნიშანი, რაც  
წესით და რიგით  
მე გაგატანე? შენ იმ ნიშნით  
გიცნობდა იგი.

ლაშქრობის ჯაფა რატომ მეც არ  
გავიზიარე,  
მამაშენისკენ შენთან ერთად  
რად არ ვიარე!

მე რომ მნახავდა, ეწეოდა  
საწადელს მით ხომ!  
გაგვიტკებებოდა, როგორც ამას  
აღათი ითხოვს.

გადაადებდა მოღერებულ  
ხმალსაც და შუბსაც,  
დაგვიკოცნიდა საცოდავი  
თვალსა და შუბლსა...“

ასე მოთქვამდა და გოდებდა  
საბრალო დედა,  
არ შეირჩინა სამოსელი  
სხეულსა ზედა.

მის შემხედვარეთ შემოეგზნოთ  
ცეცხლის ალები.  
გულები სევდას ვერ იტევდნენ,  
ცრემლებს – თვალები.

ისევ დავარდა, წაუვიდა  
გონი სრულებით.  
გოდებდნენ სხვებიც, სევდით  
გულებდაისრულები.

გონს რომ მოვიდა (რა სიმშვიდე,  
რა სულის მოთქმა!),  
ისევ დაიწყო შეცხადება,  
გმინვა და მოთქმა.

ეჰ, ცრემლი იყო ის თუ სისხლი  
გულით წურვილი?  
„შვილის გვირგვინი მომართვითო!“  
იყო სურვილი.

შვილის გვირგვინზე დაანთხია  
ცრემლების ღვარი.  
გამოიტირა შვილის ტახტი,  
მეფური გვარი.

გამოიყვანა ცხენი იგი,  
ფრთამალი რაში,  
ზურაბს რომ ჰყავდა, მზე მისი რომ  
ბრწყინავდა, მაშინ.

ქურანის თავი მიიხუტა  
დაკოდილ გულზე  
(ვით უძლებს გული მას, ვინც ასეთ  
სანახავს უმზერს!).

შუბლი და თვალნი გადაკოცნა  
ზურაბის ცხენის,  
ცხენს ფლოქვებამდე ჩასდიოდა  
ცრემლები ცხელი.

თუმცა რა ცრემლი! – ნაკადული  
ჩქარი და მალი.  
სულ დაუკოცნა ცხენს მუხლები,  
ფოლი და ნალი.

გამოიტანა მკვდარი შვილის  
კაბა და ჩონა,  
გულს ჩაიხუტა, მაგრამ გული  
ვერ მოიოხა.



გამოიტანა მისი ხმალი,  
ჯაჭვი და შუბი,  
მის ხარისთავა გურზს\* ანეთქა  
თავი და შუბლი.

მერე ლაგამი და ქამანდი  
ამოიჟინა,  
მისი ლაგამი ზედ სახეზე  
წამოიშინა.

გამოიტანა დალუპული  
შვილის ჩაჩქანი  
(ისევ გოდება, ცრემლის ჩქერი  
ისევ ჩქარ-ჩქარი).

გამოიტანა ფარი, შვილის  
ტანზე ნაფარი...  
მისივ ბასრი ხმლით ცხენს  
დააჭრა ძუა-ფაფარი.

ოქრო და ვერცხლი არ ისურვა  
დასადებად და  
ღარიბებს მისცა, რაც სად ჰქონდა  
და სად ებადა.

გაასაჩუქრა უამრავი  
ცხენი და რახტი.  
გამოიგმანა სახლის კარი,  
დალეწა ტახტი,

გადმოუნგრია სრა-სასახლეს  
ბანი და ბურჯი,  
თვითონ კი ძაძა შეიკერა  
შავი და ლურჯი.

დღე-ღამ მოთქვამდა, გულზე ცეცხლი  
ეკიდა მწველი,  
ზურაბის შემდეგ კიდევ ერთი  
იცოცხლა წელი

და წლის ბოლოს კი, რაც საბრალოს  
სურდა ძალიან,  
იგი აუხდა, – გოდებაში  
სული დალია. <sup>6</sup>

## გივის მიერ ქაიხოსროვის ჩამოყვანა ირანში

ესიზმრა გოდერძს: ვითომ ხვატით  
დამზრალ ირანში  
მოვიდა წვიმა და დაადლო  
წყლით დედამიწა.

ნახა, ღრუბელზე ანგელოზი  
ჩამომჯდარიყო.  
და ანგელოზმან მან ფალავანს\*  
ხმა უყო ასე:

„თქვენ როგორ გინდათ, გადაურჩეთ  
ამ გაჭირვებას  
ან თურქ გველეშაპს, როგორ ფიქრობთ,  
გაუსხლტეთ ხელით?

მისმინე: თქვენი უფლისწული  
თურანში\* ცხოვრობს.  
ქაიხოსროვი ეწოდება  
იმ ყრმას სახელად.

სიაუშის ძე არის ქველი  
ხელმწიფე იგი.  
გარდა გვარისა სხვა ათასი  
ღირსებაც ამკობს.

ის სიაუშის თესლის კია,  
მაგრამ დედის მხრით  
თურის,\* ირაჯის\* ძმის, მოდგამს მას  
ჩამომავლობა.

როცა ირანში დაბრუნდება  
კეთილი ფეხით,  
ზეცას რაც უნდა ჰკითხოს, მისგან  
პასუხს მიიღებს.

ის მამის სისხლის საძიებლად  
აისხამს რკინას  
და ნაცარტუტად გადააქცევს  
თურის ქვეყანას.

შურისგების ჯაჭვს არ გაიხდის  
ტანთ, უნაგირზე  
დაუღამდება, უნაგირზე  
გაუთენდება.

დიდებულთაგან და გმირთაგან  
გივის თვინიერ  
მის კვალს ვერავინ ვერ მიაგნებს  
ამ ქვეყანაზე.

ასეთი არის განაგები.  
კეთილი თვალთ  
უმზერს მას ზეცა და უსაზღვრო  
სიყვარულით“.

როცა გოდერძმა ძილისაგან  
გამოიღვიძა,  
უფალს თაყვანი სცა, მაღლობა  
უძღვნა მრავალი.

თეთრი წვერებით მიწა ხვეტა  
მონობის ნიშნად,  
ირანის მეფის სასოებით  
აევსო გული.

ხოლო როდესაც მზე გამოჩნდა  
მთიანეთიდან  
და ზე აღმოხდა, ვით ჩირალი  
მანათობელი,

სპილოსძვლის ტახტზე ნებიერად  
დაჯდა მორჯმით\* და  
დაადგმევინა სასახლეში  
სანდლის სკამები.

ფიქრით მოცულმა  
შვილი თვისი გამოიბარა  
და მას მოუყვა ის სიზმარი  
თავით ბოლომდე.

უთხრა: „დღე შენი და ნაბიჯი  
კურთხეულია.  
ვარსკვლავი არის გზათა შენთა  
მანათობელი.

შენ რომ დედაშენს დაეხადე,  
ისეთი იყავ,  
მთელი ქვეყანა შენ ქებას და  
ხოტბას იტყოდა.

უფლის განგებით, წუხელ ძილში  
როცა ვიყავი,  
სიზმრად კეთილი ანგელოზი  
გამომეცხადა.

ღრუბელზე იჯდა მაწვიმარზე  
ქარსა და თქემში  
და ხვატით დამხვრჩავალ ხალხს  
სიმძიმის განუქარვებდა.

რომ დამინახა მე, ეს მითხრა:  
„იცი თუ არა,  
ეს მწუნარება და ეს ხვატი  
თუ რისგან არის?“

იმისგან, რომ თქვენს შაჰს ფარრი\* აქვს  
სულ დავსებული  
და ხელმწიფეთა წესისამებრ  
არ ირჯებაო.

აიო, – მითხრა, – თურანიდან  
ქაიხოსროვი  
რომ დაბრუნდება, ირანის მტრებს  
მუსრს გაავლებსო.

ვერვინ მიაგნებს მას და ვერვინ  
ვერ ჩამოიყვანს  
ძე ხორციელი შენი შეილის,  
გივის გარდაო.

მაღალმა ზეცამ გადმოგვხედა  
მოწყალე თვალთ,  
რადგან შენ გერგო, განსაცდლისგან  
იხსნა ირანი.

ფიცხელ ბრძოლაში დაეძებდი  
დიდებას მუდამ.  
ახლა კი აგერ უკვდავ სახელს  
იხვეჭ იჩქითად.

მერე რა სახელს, – ქვეყანაზე  
კაცი და სიტყვა  
სანამ არსებობს, შენც ყოველთვის  
რომ იხსენები!

წუთისოფელში რადგან მუდამ  
არ ცოცხლობს კაცი,  
ისევ სახელის ხელთ გდება სჯობს  
ამ სოფლად გდებას.

ქვეყანას მეფეს დაუბრუნებ,  
რა გინდა მეტი  
და სიკეთის ხეს შენსას ტოტებს  
დაუხუნძლავო!“

გივიმ მიუგო: „მამაჩემო,  
მონა ვარ შენი,  
სანამდის ვცოცხლობ, რასაც მეტყვი,  
იმას ვეცდები.

თუ შევიძელი, შევუდგები  
ამ საქმეს დღესვე  
ლოცვა-კურთხევით შენით, ჩვენო  
წინამძღოლო!“

დაბრუნდა შინ და მაშინათვე  
წასვლის სამზადისს  
შეუდგა გივი მამის სიზმრით  
გაოგნებული.

მეუღლე ჰყავდა გივის რჩეულთ  
შორის რჩეული.  
თვითონ როსტომის ქალიშვილი  
გახლდათ ის ქალი.

ბანუ გოშაფის ყურს რომ ესმა  
გივის ამბავი  
(გასამგზავრებლად უკვე ცხენი  
შეუკაზმავსო),

წერწეტი წელის რწევით თავის  
ქმართან მივიდა  
და უთხრა: „გმირო, სულ სახელის  
მაძიებელო,

როგორც გავიგე, თურმე თურანს\*  
მიემგზავრები,  
ვინძლო იქ სადმე მეფის ჩვენის  
კვალს მიაკვლიო.

თუ ნებას დამრთავ, ფალავანო  
სახელოვანო,  
როსტომთან წავალ, მისი ნახვა  
მინდა ძალიან.

დანატრებული ვარ მამისთვის  
თვალის შევლებას,  
მას რომ ვერ ვხედავ, ძლიერ ვწუხვარ  
შეჭირვებული.

ნახვამდის, კარგად გნახე გმირო,  
სახელგანთქმულო!  
ფალავანთ ზურგი იყავი და  
იქნები კვლავო.“

გამოითხოვა ქმრისგან ნება,  
გაბრუნდა მისგან  
და სიისთანის\* გზას დადგა  
გახარებული.

### გივის ნასვლა თურანში ქაიხოსროვის საძებნელად

როცა აღმოხდა მზე, ამ ქვეყნის  
მანათობელი  
და არემარე ვარდისფერად  
ააელვარა,

მოვიდა გივი მოკაზმული  
და შეჭურვილი,  
ნიაგქარივით ფრთამალ ცხენზე  
ამხედრებული.

გოდერძმა ჰკითხა: „ამხანაგად  
ვინ მიგყავს, შვილო,  
გრძელ და ძნელ გზაზე ვინ მოგყვება  
თანამდგომადო?“

გივიმ მიუგო: „ფალავანო  
სახელგანთქმულო,  
თავაწეულო, გულოვანო  
და გონიერო,

ქამანდი არის ამხანაგი,  
ჩემი და ცხენი.  
იმ მხარეს სხვისი დახმარება  
მე არ მჭირდება.

ჯარი იმ გზაზე რომ ვიახლო,  
არ გამოდგება, –  
ჯარს რომ ნახავენ, თავადაც ჯარს  
მომაგებებენ.

უნაგირს ჩამოკიდებული  
ქამანდი მინდა,  
ცხენი და ტანზე ტალავარი  
ინდური\* მხოლოდ.

ველზე მომელის ხეტიალი  
და მთებში ბობლვა.  
იქ კი ვინ უნდა გამიწიოს  
მე მეგზურობა!

ხოლო როდესაც რომელსამე  
ქალაქს გავივლი,  
ვერავენ უნდა მიცნოს, თორემ  
ხიფათს ვეწევი.

ქვეყნად განთქმული ფალავანო,  
კურთხევით შენით  
და ბედით შენით მე უვნებლად  
დაგიბრუნდები.

პატარა ბეჟანს შენ გაბარებ,  
მას მომიარე,  
არ დამიღონო და მკერდიდან  
არ მომიშორო!

მისწავლე ჩემს ბიჭს ომის რიგი,  
რომ თავის ღროზე  
ბრძოლაც შეეძლოს  
და მოლხენის წესიც იცოდეს!

ბავშვია ის ჯერ, მაგრამ უკვე  
კოჭებზე ვატყობ,  
სახელოვანი და გულადი  
კაცი დადგება.

მშვიდობით იყავ, მამაჩემო,  
გახსოვდე, მაგრამ  
ჩემზე ფიქრებმა თავი შენი  
არ დამიღონოს!

არ ვიცი, ერთურთს კვლავ ოდესმე  
ვნახავთ თუ არა;  
ქვეყნის შემოქმედს, ჩვენ რა ვუწყით,  
რა უღევს გულში!

როდესაც მის წინ ლოცვად მდგარი  
გაირეცხავ ღაწვთ,  
გთხოვ, ჩემი თავიც შეავედრო  
მეუფეს ჩვენსას,

რადგან ის არის უზენაესთ  
უზენაესი  
და სხვა ყოველი სულიერი  
მას ემონება.

ეს მხოლოდ ნებით მისით ბრუნავს  
წუთისოფელი  
და მცნებით მისით გაგვიჩნდა ჩვენ  
სარჩო და ბინა.

მან შექმნა მიწა, მან შექმნა დრო,  
მან შექმნა ყოფა,  
მან განაჩინა ძლიერებაც  
და უძლურებაც.

იმედი მხოლოდ მისი გვაქვს ჩვენ,  
შიშიც მისი გვაქვს.  
ცეცხლის, ჰაერის, წყლის და მიწის  
ის არის ღმერთი.

ვინ უნდა იყოს შემწე ჩემი  
და წინამძღოლი  
სხვა, წუთისოფლის ჩვენის,  
მამავ პატრონო, წინო?!”

გოდერძს მოხუცის თავი ჰქონდა,  
ჭაბუკის გული,  
ვეფხვივით იყო შემართული  
მუდამ ბრძოლისთვის.

კიდევ ნახავდა შვილს თუ არა,  
ეს არ იცოდა  
და ამის გამო გულ-მუცელი  
ეწვოდა მამას.

ჩამოხდა ცხენით გივი, გმირი  
სახელოვანი  
და ეამბორა თავის ლომის  
მსგავს მამას მკლავზე.

მამამ კი მძლავრად ჩაიხუტა  
ბე თვისი გულში,  
გზაზე დამდგარი შვილი დიდხანს  
კოცნა და კოცნა.

შემდეგ იაზდანს\* სცა თაყვანი  
მოხუცმა კაცმა:  
„ჰე მოწყალეო, გეხვეწებები,  
შენ შემეწიე!

ღღეს შენ გაბარებ ჩემს სულს, ჩემს გულს  
და ჩემს გონებას,  
ჩემს ვაჟს, ჯერ კიდევ ყმაწვილს, მაგრამ  
სახელმოსხვეჭილს.



თუ ჩვენს ქვეყანას ეღირსება  
თავისუფლება,  
ეს ჩემი შვილი ხელმეორედ  
მაჩუქე მეო!“

ამქვეყანად ბევრმა ბევრი ტანჯვა  
და ჯაფა ნახა,  
დიდების გამო მოითმინა  
მრავალი ჭირი.

ბოლოს კი მაინც მიწა არის  
კაცის ლოგინი.  
სამსალას შევსვამთ, სალბუნი რომ  
არა აქვს, ისეთს.

როდესაც იცი, არ დარჩები  
ამ ქვეყანაზე,  
წრესგადასული წადილის თავს\*  
რას ირქვამ,\* ნეტა!

ერთი დღე მოვა და, იცოდე,  
მიწაში ჩახვალ  
იმ შენი ზომიერადსული  
წადილიანად.

ნეტარებად და შვებად ქვეყნად  
ის უნდა გქონდეს,  
სხვისი შვებისთვის შენ რომ ვნებას  
დაიმსახურებ.

შენ გტანჯავს ვნება, ნაცვლად კი სხვა  
ედლევა შვებას,  
საფლავს და ჭურჭელს\* შენსას  
რომც არ უყურებს, ისე.

დადგება დრო და მის შვებასაც  
ექნება ბოლო,  
ბოლოსდაბოლოს ისიც მიწის  
კერძად იქცევა.

გახსოვდეს მუდამ, რომ სოფელი  
დატოვო უნდა.  
თაყვანისცემა ამის გამო  
იცოდე უფლის!

თესე სიკეთე და არავინ  
არ შეაჭირვო, –  
აი, ეს არის ერთადერთი  
გზა სამართლისა.

ამ ჭრელი სოფლის არ გაცდუნოს  
ორომტრიალმა,  
მას არ შერჩები შენ ყოველთვის,  
ეს დაისხსომე!

დიდხანს თუ შერჩი, ნუ იფიქრებ,  
სულ შევრჩებიო,  
წახვალ და უკან კერასოდეს  
ვერ მობრუნდები.

ეჰა ჭკვიანო და გონებაგახსნილო  
კაცო,  
ნუ გძლევს ცდუნება და ამოდი  
ამ ტალახნიდან!

პატრონი შენი ხომ ის უნდა  
იყოს, ვინც შეგქმნა?  
მამასადამე, შემოქმედის  
მონა ყოფილხარ.

ფიქრში წასული როდესაც თავს  
ძირს დახრი, ფუჭად  
ნუ უკირკიტებ არსობის არსს! –  
მას ვერ ჩასწვდები.

არ გაეკარო ახლოს, არ სვა,  
არ ჭამო მასთან,  
უფალს, იაზდანს\*, ვინც არ ესავს,  
სულით და გულით!

ასეთ არსებას ყრუ აქვს გული,  
ტვინი კი – ლაყე,  
ჭკვიანი კაცი მას არც კი თვლის  
აღამიანად.

წყალსა და მიწას ზედ არსობის  
ნიშანი აძევს,  
ცოდნით იმდენი არ ქნა, ხრამში  
გადაიჩეხო!

ყოვლის შემძლე და ყოვლის მქონე  
და ყოვლის მცოდნე  
იგია, იგივე არის სულის  
და გონის მთხზველი.

როდესაც მეფემ თურანისამ\*  
ამპარტავანმა  
გულში იფიქრა, სახელს უფრო  
აღვიმალლებო

და მოკლა, ახალმოწიფული  
ხელმოწიფიშვილი,<sup>7</sup>  
ის სწორედ მაშინ შეეყარა  
მძიმე განსაცდელს:

ქვეყნის შემქმნელმა ყოვლის შემძლებ  
იმ უფლისწულის  
ხეს იმნაირი რამ ნაყოფი  
მოასხმევინა,

რომ მას სანაცვლოდ დამართა ის,  
რაიც მართებდა,  
მტკვერი აღინა იმის თავს და  
სასახლეს რისხვის.

მეუფის ჩვენის, მთვარის, მზის და  
ერმის\* პატრონის,  
რომლისგან გვაქვს ჩვენ გამარჯვება  
და მორჭმულება;

უფლის, არსისა და სამართლის  
მეუფის ქვეყნად,  
რომლისგან არის აღზევებაც  
და დაკნინებაც;

გზა არ არსებობს, რომლის არსის  
და ნების იქით,  
ვერც მზე, ვერც მთვარე ვის სიბრძნეს ვერ  
ვერც მისწვდომია,

აი, ამ უფლის ნებით გვიმ  
აისხა რკინა  
და გზას გაუდგა, როგორც ლომი  
დაუდგრომელი.

მარტო ვიდოდა, კაციშვილი  
არ იახლა თან,  
უფალს მიანდო ტანი თვისი  
სათუთად ზრდილი.

ასე ვლო, სანამ ჩააღწევდა  
თურანის\* მხარეს.  
გზად მარტო მავალს თუკი ვინმე  
შემოხვდებოდა,

გამოჰკითხავდა თურანელ თურქს  
თურქულ ენაზე:  
ქაიხოსროვის ამბავს ხომ ვერ  
მეტყვი რამესო?

თუკი ეტყოდა: არაფერი  
ვიცი, მისიო,  
ამოიწვდიდა ხმაღს და იქვე  
თავს წააცლიდა.

გადაათრევედა მაშინათვე  
გზიდან და მიწას  
მიაბარებდა, კვალი თვისი  
რომ დაემაღა,

რათა ვერავინ მიმხვდარიყო  
მის ნამოქმედარს  
და ირანელის ვინაობა  
არვის შეეტყო.

ერთხელაც ასე ერთი კაცი  
გაიყოლია,  
გზის მასწავლებლად ჰყავდა (მკვიდრი  
იყო იმ თემის).

ამ კაცთან ერთად კარგა ხანი  
იარა გზაზე,  
დიდხანს თავისი სვაშიადი\*  
არ გაუშვილა.

ბოლოს კი უთხრა: „შენთვის ერთი  
საკითხავი მაქვს,  
საიდუმლოა, შემიწახო  
უნდა პირმტკიცედ!

მე რასაც გკითხავ, იმის პასუხს  
სწორედ თუ გამცემ,  
გულნამცევობას შენ ვერავინ  
ვერ დაგაბრალებს.

რასაც ისურვებ, შეგისრულებ  
სამაგიეროდ,  
სულიც რომ მთხოვო, თვითონ სულსაც  
არ დაგიჭერო!“

თურქმა მიუგო: „ცოდნა თავად  
აუწყავია,  
მაგრამ სხვაგან და სხვაგან არის  
ის გაფანტული.

მკითხე, რაც გსურდეს და თუ ვიცი  
პასუხი მისი,  
მას რომ არაფრით არ დაგიჭერ,  
ეს გჯეროდესო!“

მაშინ ჰკითხა მას გივიმ: „მეფე  
ქაიხოსროვი  
სად არის ახლა? ვიცი, იცი  
და მითხარიო!“

იმ თურქმა ასე უპასუხა:  
„მე ეს სახელი  
პირველად მესმის და ვერაფერს  
მოგახსენებო.“

როცა ასეთი მოისმინა  
პასუხი გივიმ,  
იძრო მახვილი და თურქს თავი  
გააგდებინა.

### ქაიხოსროვის პოვნა

ეხეტებოდა გივი ასე  
თურანის ველზე,  
ეგების სადმე ხელმწიფის შვილს  
გადავაწყდეთ!

ამასობაში შვიდი გრძელი  
წელი გავიდა.  
ხმაღმა და რკინამ გაუხეხა  
ფეხი და წელი.

კანჯრის\* ხორცს ჭამდა, ტანზე კანჯრის  
ტყავი ემოსა,  
ხან შამბს\* ლეჭავდა, ხან მლაშე წყლით  
იკლავდა წყურვილს.

სერავდა ველებს და მთაგორებს  
გადადიოდა.  
შავი დღე ადგა ჭირს გადაყრილს  
და მარტო შთენილს...

როცა როსტომმა თურქთა მეფის  
ტახტი დააგლო  
და გადიყვანა ჯარი თვისი  
ჯეიჰუნს\* გაღმა,

აფრასიაბი მდინარე ქანგს\*  
იყო მომდგარი;  
ბრძოლით ეწადა დაბრუნება  
თურანის ქვეყნის.

ფირანს უბრძანა თურქთა მეფე  
აფრასიაბმა:  
„ახლავე წადი და მომგვარე  
ქაიხოსროვი!

დედასთან ერთად მოიყვანე  
მაჩინის\* ქვეყნით  
და გასაქცევი გზა ყოველი  
შეუკარიო!“

ფირანმა წამსვე ერთი სანდო  
კაცი აფრინა  
ქაიხოსროვთან, ფრთამალ ცხენზე  
ამხედრებული.

გამოიბარა სიავანში\*  
ვაჟი სასწრაფოდ  
(რას შეხედავდა კაცის თვალი  
მასზე უკეთესს!).

მოაყვანინა და დედამისს  
მიჰგვარა იგი.  
და გაიარა ერთმა ხანმა  
ამ ამბის შემდეგ...

გივი კი ისევ იმდაგვარად  
თურანის\* ველზე  
ეხეტებოდა დაღლილი და  
ხელმოცარული.

ერთ დღეს, შემთხვევით,  
რომ ვიდოდა გულჯავრიანი,  
თვალად საამო და გულწარმტაც  
ჭალაკს მიაღვა.

გულდაბოღმილმა შეაბოტა  
შიგ, ყველაფერი  
ყვოდა ირგვლივ, მხოლოდ გივის  
გული ჭკნებოდა.

ხასხასა მოლზე ხალისობდა  
კამკამა წყარო;  
იქ სულის მოთქმას ან რა სჯობდა  
და წამოწოლას!

ჩამოხდა ტევრში\*, საძოვარზე  
გაუშვა ცხენი,  
თავად კი მოლზე წამოწვა ღრმა  
ფიქრში წასული.

გულში ამბობდა: „ალბათ თვითონ  
ემმაკი იყო  
მამაჩემს თარსად სიზმარში რომ  
გამოეცხადა,

თორემ ამდენი ხანი არის,  
ჩამოვწყდი კაცი,  
მეფის ნაკვალევს კი ვერა და  
ვერ მივაგენი.

ტოლთავან ჩემთა ახლა ზოგი  
ცხარე ომშია,  
ზოგი კი იშვებს და ქეიფით  
იქარვებს დარდებს.

ერთი დიდებას ეძებს, ხოლო  
მეორე – შვებას;  
ბუდი ჩემი კი კაკალია  
კედელს შეყრილი.

რა ვქნა, არ ვიცი, გავწყდი წელში,  
მეტი აღარ ვარ,  
უდრეკი სული გამიდრკა დღეს,  
ვითარცა მშვილდი.

არ გაჩენოდა ჩემდა ჭირად  
ნეტავი დედას  
ქაიხოსროვი ან განგებას  
იქვე მოეშო!

მეტს ველარ გავძლებ; ნეტა იმ კაცს,  
ვინც ერთხელ დაღევს  
სამსალას და ჭირს სამუდამოდ  
დაეხსნებაო!“

ასეთ საზიზღარ გუნებაზე  
დამდგარი გივი  
დააბოტებდა იმ ჭილაკში  
მეფის მძებნელი.

უცბად კორომში წყაროს რასმე  
შეავლო თვალი,  
წყაროს პირზე კი ალვისტანა  
მოყმე შენიშნა.

ღვინით აღსავსე ჯამი ეპყრა  
იმ ყმაწვილს ხელში,  
ხოლო ქოლაჰზე\*  
თაიგული ჰქონდა გაყრილი.

ტანადს და თვალადს  
თავზე ადგა იზადის\* ფარრი\*  
და სიბრძნის დროშა სამზეოზე  
უფრიალებდა.

რომ შეხედავდი, იფიქრებდი:  
სპილოსძვლის ტახტზე  
ზის სიაუში და ფირუზის  
თაჯი\* ადგასო.

გულში გაივლო გივიმ: „თუა,  
ხელმწიფეა ეს.  
ასეთი სახე აბა სხვას ვის  
უნდა ჰქონდესო!“

ადგა და მისკენ გაემართა  
ქვეითად გივი  
და წყაროს პირას მჯდარ ყრმასთან რომ  
ახლოს მივიდა,

ფომფლო შეიქნა მისი ტანჯვის  
ბაწრის ნასკვი და  
მიუხვდა, თავის დაბეჭდილ განძს  
რომ მიაკვლია.

წყაროს პირს მჯდარმა ყმაწვილმა კი  
გივი რომ ნახა,  
ხალისით გული აუბგერდა  
და გაიღიმა.

გულში თქვა: „თუა, გივი არის  
ეს გმირი, თორემ  
სხვა ამის მსგავსი ფალავანი\*  
ვინაა ჩვენში?!“

ჩემს საძებნელად წამოსული  
არის ამ მხარეს,  
ჰსურს, დამაბრუნოს ირანს და იქ  
გამამეფოსო!“

უთხრა: „კეთილი იყოს, გივი,  
ჩამოსვლა შენი!  
გულდაგულ ისეთ დროს გვეწვიე,  
რომ ეგებოდა.

ამ ქვეყანაში, გმირო, როგორ  
გამოატანე?  
თუსის, გოდერძის და ქაუსის  
რა იცი, მითხარ!



ყველანი კარგად ზომ არიან  
და ნებიერად,  
ქაიხოსროვი, მეფე მათი,  
ახსოვთ თუ არა?

როსტომი როგორ გვყავს, დეკემბერი  
სახელგანთქმული,  
ზაალი რას იქმს, სხვა გმირებიც  
ვით არიანო!“

როდესაც გვიმ ეს ისმინა,  
განცვიფრდა კაცი,  
ადიდა ქვეყნის შემოქმედი:  
„ეს რა მესმისო!“

შემდეგ მიუგო: „ჰოი გმირო  
სახელოვანო,  
საწუთროს ჩვენის გულის ყურო  
და თვალის ჩინო,

შენ, ასე ვფიქრობ, სიაუშის  
ბე უნდა იყო,  
ქაიან\* მეფეთ დიდუბული  
ჩამომავალი.

მითხარი, ბრძენთა და სამართლის  
გამჩენთა თავო,  
საიდან იცი შენ, გოდერძი  
თუ ვინ არიო?“

ქაიხოსროვმა უპასუხა:  
“ლომგულო კაცო,  
დელისგან ვიცი ეს, დედას კი  
მამამ უამბო.

იზადის\* ფარრზეც\* უთქვამს მამას  
დედაჩემისთვის  
მაშინ, როდესაც უტოვებდა  
მეუღლეს ანდერძს.

მამამ დედაჩემს ყველაფერი  
წინასწარ უთხრა:  
ასე და ასე მოხდებაო  
ჩემს თავზე ძალე.

შემდეგ ბე ჩემი გაგიჩნდება,  
ქაიხოსროვი,  
და ამ დახშულ კარს გასაღებს ის  
მოუნახავსო.

ზოლო როდესაც შვილი ჩემი  
დავაჟკაცდება,  
გივი ჩამოვა ირანიდან  
სახელოვანი.

წაიყვანს იგი ქაიხოსროვს  
ჩემს ქვეყანაში  
და მას ირანის სახელოვან  
ფალავნებს\* მიჰგვრის.

ის კი გმირობას გამოიჩინოს  
ისეთს, სამყაროს  
მოიქცევს ფეხქვეშ და ჩემს სისხლსაც  
ის იძიებსო.“

გივიმ შეჰკადრა: „ჰოი თავო  
სახელოვანთა,  
მეფეთა ფარრი\* გმოსავს ირგვლივ,  
ეს ცხადი არის,

მაგრამ ნიშანი სიაუშის  
ძეს უნდა აჩნდეს  
მკვეთრად ისე, ვით კუპრის წვეთი  
ვარდის ფურცელზე.

გადაიწიე კაბა, შენი  
მიჩვენე მხარი,  
ნიშანი იგი – ხალხისათვის  
თვალსაჩინო!“

ამოიყარა მაშინ მეფემ  
კაბიდან მხრები  
და ნიშანს მისას, შავს, დახედა  
გოდერძის ვაჟმა.

ქაიყოზადის\* მეფობიდან  
მოკიდებული  
ქაიანების\* ჩამომავალთ  
ამ ნიშნით ცნობდნენ.

რა ცნო ნიშანი, თაყვანი სცა  
გივიმ ხელმწიფეს  
და ხვაშიადი\* გაუმხილა  
ატირებულმა.

ირანის მეფემ გივი მაგრად  
მიირქვა გულზე,  
გახარებულმა შეასხა გმირს  
ქება-დიდება.

ირანისა და ტახტის თვისის  
ამბავი ჰკითხა  
და კვლავ როსტომის და გოდერძის  
ხსენებას მოჰყვა.

„ქიანელთა ხელმწიფეო, –  
მიუგო გვიმ, –  
მორჭმულო\* ბრძენო, ნებიერო  
და ბედნიერო,

საჭეთმპყრობელო, კარგად მცოდნე  
კარგის და ავის,  
თუნდაც სამკვიდროდ დამიმტკიცო  
სამოთხე მთელი,

შეიდი სამეფოს ხელმწიფობა  
მიბოძო თუგინდ,  
თავზე დამარქვა\* ახლავ თუნდაც  
დიღების თავჯი\*, –

ეს მოწყალება მე იმგვარად  
არ გამახარებს,  
როგორც თურანში შენთან შეყრამ  
გამახარა მე.

რაც ირანიდან წამოვედი,  
არავინ იცის  
იქ, რა მჭირს ამდენ ხანს, მკვლარი ვარ  
თუ ცოცხალი ვარ.

მადლობა უფალს, ამ განსაცდელს  
და გაჭირვებას  
მოელო ბოლო და ბედს კეთილს  
შევეყარეო!“

იმ ჭალაკიდან გამოვიდნენ.  
ხოსროვმა გზაში  
გვივის ქაოსის, პაპის მისის,  
ამბავი ჰკითხა.

ისიც, ამდენ ხანს თავად თუ რა  
ვარამში იყო,  
როგორ ცხოვრობდა ან რას ჭამდა,  
ან ვით ეძინა.

გვიმ უამბო დაწვრილებით  
თავის ხელმწიფეს,  
ქვეყნის შემქნელმა ყოფა მათი  
როგორ წარმართა.

რა დაესიზმრა გოდერძს ძილში,  
თვით ვით იტანჯა;  
თუ რა უჭირდა მას ამდენ ხანს  
ან რა ულხინდა.

უამბო პაპის მისის, ქაოს  
მეფის ამბავიც,  
შვილის სიკვდილის შემდეგ როგორ  
დაჩაჩანაკდა.

სასახლეც როგორ გავერანდა  
და გაპარტახდა,  
როგორ დაკარგა ძველი ეშხი  
სამეფო კარმა.

საცოდაობით მათით ხოსროვს  
დაეწვა გული.  
ცეცხლის ალმური წამოენთო  
ყმაწვილს სახეზე.

გივის ეფერა: „რაც შენ ტანჯვა  
გამოიარე,  
გაკმარა ბედმა. ინეტარებ  
ამიერიდან.

მამად მეგულვი. მაგრამ ამას  
ნურავის ეტყვი!  
ნახავ, საწუთრომ რა სიკეთეს  
შეგვასწროს ჩვენო!“

### გივის და ქაიხოსროვის გამგზავრება სიაუშგარდში\*

ეს თქვა და გივის ცხენზე შეჯდა  
ხელმწიფისშვილი.  
ლომგული გივი წინ ქვეითად  
გაუძღვა პატრონს.

ხელში ინდური ხმალი\* ეპყრა  
ამოწვართული  
და ვინც კი გზაზე მომავალი  
შემოხვდებოდა,

შემოუქნევდა საზრიანი  
გივი ხმალს მყისვე  
და თავს იმ საწყალ კაცს მიწაზე  
აგდებინებდა.

სიავანშგარდის\* გზას დაადგა  
ორივე გმირი,  
როგორც კი ცოტა მოიკრიფეს  
ძალი და გონი.

ფარანგისს უნდა განდობოდნენ,  
ხოსროვის დედას.  
გაენდვნენ. შემდეგ ითათბირეს  
და გადაწყვიტეს,

რომ სამივენი ირანს ჩუმად  
გაპარულიყვნენ  
ისე, რომ მათი იქ არყოფნა  
არვის გაეგო.

ჩქარობდა ქალი, ეშინოდა  
დედის გულს: „ჩვენი  
აქ დაყოვნება საშიშია  
და სახიფათო!

აფრასიაბის ყურს რომ ჩასწვდეს  
ჩვენი ამბავი,  
ყველაფერს იქვე დააგდებს და  
აქეთ წამოვა.

მოგვივარდება, როგორც თეთრი  
ღვეი და მაშინ  
გამოვეთხოვოთ სამივენი  
სიცოცხლეს უნდა.

ეს მხარე ჩვენი მტრებით არის,  
შვილო, სულ სავსე,  
ემშაკთ და ავსულთ უპყრიათ ხელთ  
ეს სახელმწიფო.

შენ, ძეო ჩემო, ქებულო და  
ფარით\* მოსილო,  
ერთ რჩევას მოგცემ და გულდასმით  
დამიგდე ყური:

აქედან ცოტა მოშორებით  
იალალია  
ცხენოსან თურქთა გზა-შარიდან  
მოშორებული.

ხვალ უნაგირი და ლაგამი  
მამისეული  
აიღე ხელთ და გასწიე იმ  
იალალისკენ!

მთა შემოგზვდება, იქ რომ მიხვალ,  
ისე მაღალი,  
რომ ლოყას თვისას მის კეფაზე  
იფხანს ღრუბელი.

მთაზე რომ ახვალ, თვალსაამო  
წალკოტს შეხვდები,  
აყვავებული გაზაფხულის  
ბალივით ტურფას.

იმ მთიდან ერთი ცივი წყარო  
მოედინება,  
ერთი შეხედვა მისი კაცს რომ  
სულს მოუბრუნებს.

სალამოს, როცა მზე მაღალი  
მთის თავზე ჯდება  
და დაძინებას მოინებებს  
აფრასიაბი,

იალადებზე თუკი სადმე  
ცხენები ძოვენ,  
წყლის დასალევად იმ წყაროსთან  
მოგროვდებიან.

ეს უნაგირი და ლაგამი  
ბეჰზადს\* აჩვენე  
და თვინიერად თუკი შეგზვდა,  
მისკენ გასწიე;

მიუხლოვდი და ეჩვენე  
გულდაგულ კარგად,  
შენთან მოიხმე და სახეზე  
მოუალერსე!

როცა სიაუმს წარეკვეთა  
ამქვეყნად სასო  
და როცა ბოლოს დაუბნელდა  
სიცოცხლის დილაც,

ასე მიმართა მან შავ ტაიჭს:  
„დამიგდე ყური,  
ბრძანება ჩემი ქარს და ნიავს  
არ გაატანო!

მანამ იყავი იალალზე,  
სანამდის შენთან  
ქაიხოსროვი მოვიდოდეს  
და შევლას გთხოვდეს;

შენი მხედარი ის იქნება,  
ატარე იგი  
და ფლოქვით შენით გადათქერე  
მისი მტერიო!“

### ქაიხოსროვის მიერ ბეჰზადის დაჭერა და მასზე ამხედრება

კვლავ გივის ცხენზე შეჯდა მეფე  
ქაიხოსროვი,  
თავად გივი კი კვლავ ქვეითად  
წარუძღვა პატრონს.

იმ იალალის გზას დაადო  
თავი ორთავემ,  
განსაცდელიდან გამოსავლის  
მაძიებელმა.

სალამოს წყალზე ჩამოვიდა  
ცხენების რემა,  
დალიეს წყალი და დასიცხულთ  
მოითქვეს სული.

ქედაწეულმა და გულადმა  
ქაიხოსროვმა  
იმ წყაროს ნაპირს მიატანა  
ისე თუ არა,

ბეჰზადს შორიდან დაანახა  
მამისეული  
შავი ლაგამი (როგორც უთხრეს)  
და უნაგირი.

ცხენმა უფლისწულს რომ შეხედა,  
მიხვდა, ვინც იყო  
და ცივი ოხვრა ამოუშვა  
ცხელი გულიდან.

ის გრძელუზანგა უნაგირიც  
იცნო, ის ფრთებიც\*  
და ის ლაგამიც სიაუშის  
დანატოვარი.

წყალში შესული იყო, როცა  
ხოსროვს შეხედა,  
არ მოუცვლია ფეხი, სადაც  
იღგა, იქიდან.

რაკი ტაიჭი ასე მშვიდად  
დახვდა, ხოსროვმა  
მისკენ გასწია უნაგირით  
ხელში მაშინვე.

იღგა წყაროში და უცდიდა  
პატრონს მერანი  
და თვალებიდან წყაროსთვალის  
წყალი სდიოდა.

იტირეს მისმა შემხედვარე  
მეფემ და გივიმ,  
ცეცხლად ეკეთათ გულში მისი  
მხედრის სიკვდილი.

თვალთაგან ცხელი ცრემლის ჩქერი  
გადმოდიოდათ  
და აფრასიაბს წყევლა-კრულვას  
უთვლიდნენ გულში.

მეფე ეფერა ცხენს, თვალთ ნები  
სათუთად უსვა,  
ძუა-ფაფარზე უფათურა  
ხელი და ფხანა.

მერე შეკაზმა, პირს ლაგამი  
ამოსდო შავი,  
ზურგზე დაადგა უნაგირი  
მამისეული.

როგორც კი შეჯდა და ფეხები  
შეჰყო უზანგში,  
მაშინვე ადგილს მოსწყდა რაში  
ქარიშხალივით.

თვალს და ხელს შუა გაჰქრა უცებ  
ცხენი და კაცი  
ისე, რომ გივიმ ვერც მოასწრო  
თვალის შევლება.

გაოგნებული იღგა გივი  
სახტად შთენილი,  
ღმერთი ახსენა, შეწყალება  
ითხოვა მისგან.

ასე ამბობდა: „ალბათ ცხენის  
სახე მიიღო  
ემშაკმა და ზედ აიმხედრა  
ქაიხოსროვი.



ბოლო მოედო ხოსროვსაც და  
ტანჯვასაც ჩემსას,  
კრული ყოფილა ბედი ჩემი  
და ეს არისო“!

როდესაც მეფემ ნახევარი  
განვლო იმ ქედის,  
შავი ლაგამი დაუმოკლა  
ცხენს და შეჩერდა.

იქ იდგა მანამ, სანამ გვიმ  
არ მოატანა  
და რა ეახლა გივი, უთხრა  
ქაიხოსროვმა:

„გინდა თუ არა, გამოვიცნო,  
თუ ფალავანმა  
რა გაიფიქრა გულში, მარტო  
როცა დარჩაო?“

გივიმ მიუგო: „ხელმწიფეო  
სახელოვანო,  
მეკუთვნის, გულის სვაშიადი,  
რომ გაგიმხილო.

იზადის\* მადლის, მეფის ფარრის\*  
და კვერთხის მქონეს  
ანდა რა უნდა დაგემალოს  
ქვეყანაზეო!“

ქაიხოსროვმა ასე უთხრა:  
„ამ ბედაური  
ცხენის შესახებ გულში ცუდი  
ფიქრი გაივლე.

შიშმა შეეიპყრო, ფალავანო\*  
სახელგანთქმულო:  
ხელმწიფის შვილი ავმა სულმა  
შეისვა ზურგზე,

წავიდა და წყალს გამიტანა  
ამაგი ჩემი,  
მე გულგვემული აქ დამაგლო,  
ის კი იშვებსო.“

ჩამოხდა ცხენით გივი  
ათასჭირგამოვლილი  
და ახალგაზრდა ირანის შაჰს  
ხოტბა შეასხა:

„დე, ბედნიერი იყოს შენი  
დღე და მოსწრება,  
მტერი და ავის მდომი შენი  
კი – შემუსრული!

კვერთხი, სასახლე, ტახტი, ფარრი  
უნარი, გვარი  
სულ იაზდანმა\* მოგანიჭა  
და შენიაო!“

ეს თქვა თუ არა, სასახლის გზას  
დაადგეს თავი.  
გამოსავალი რა ენახათ,  
ეს აფიქრებდათ.

რა ფარანგისთან შემოიქცნენ,  
ბჭობა დაიწყეს,  
ძნელი და გრძელი გზა თუ როგორ  
გადაელახათ.

ქვეყნად არავის არ ცოდნოდა  
ეს საქმე უნდა  
და ხვაშიადი\* მათი არვის  
უნდა გაეგო.

რა ფარანგისმა კარზე მომდგარ  
ბეჭზადს შეხედა,  
ისე იტირა, ღაპა-ღუპით  
სდიოდა ცრემლი.

ლოყებით ცხენის თავს და კისერს  
ეკვროდა ქვრივი  
და სიაუშის, თავისი ქმრის,  
სულს ახსენებდა.

როდის და როდის, როცა ტირილს  
მორჩა, თვალები  
ამოიმშრალა და წავიდა  
საგანძურისკენ.

ქალს სასახლეში განძი ჰქონდა  
გადამალული  
ისე, რომ ქვეყნად კაციშვილმა  
ეს არ იცოდა.

გამოძებელი იყო განძით  
ის საგანძური, –  
ოქროს დინარით\*, მარგალიტით  
თუ იაგუნდით.

შიგ რა არ ჰქონდა შენახული, –  
ბარგასთუანი\*,  
გუფალი\*, ხმალი, თუ ხანჯალი,  
თუ მძიმე გურზი.\*

თვალცრემლიანმა და ვაებით  
გულდათუთქულმა  
შვილს ფარანგისმა საგანბურის  
კარნი განუხვნა.

გივის კი უთხრა: „გმირო  
მრავალჭირგამოვლილო,  
მოდი, რაც გსურს და რამდენიც გსურს,  
აიღე განძი!

აჰა დინარი\* და ობოლი,  
ჰა მარგალიტი,  
აჰა გვირგვინი, იაგუნდი  
და თვალნი სხვანი!

განძი შენია, ჩვენ კი მისი  
მცველნი ვართ მხოლოდ,  
თავის განწირვა ჩვენთვის რადგან  
შეიძელ შენო.“

აკოცა მიწას ფარანგისის  
წინ ფალავანმა  
და უთხრა: „ეჰე ბანოვანთა  
შორის რჩეულო,

სადაც გაივლი შენ, იქ მიწა  
სამოთხედ ჰყვავის,  
შენით გვიგზავნის ცა ზეგარდმო  
ავსაც და კარგსაც.

დაე ქვეყანა შვილის შენის  
მონა შეიქნეს,  
ავის მდომი და მტერი შენი  
კი მოისპოსო!“

შემდეგ საგანბურს გადაავლო  
ზერელედ თვალი  
და შიგ ჯავშანი სიაუშის  
ამოარჩია.

ძვირფას თვალთავან კი, რაც იმათ  
თვალთ მოუვიდათ,  
გადაალაგეს და შეხვიეს  
წამოსალეზად...

ისევ დაკეტეს საგანძურის  
მძიმე კარები.  
დრო იყო უკვე, უდაბნოსთვის  
მიეცათ თავი.

### ფარანგისის, გივისა და ქაიხოსროვის ირანში გაქცევა

მორჩნენ თუ არა გზის თადარიგს,  
შეკაზმეს ფიცხლად  
ნიავეკარივით ფრთაშესხმული  
ცხენები თვისი.

თავზე ჩაჩქანი ფარანგისმა  
ირქვა კაცივით.  
და გრიგალივით მოსწყდნენ მყისვე  
იქაურობას.

ირანისაკენ მიმავალ გზას  
დაადვეს თავი,  
არვის უგრძენია თითქოს, ისე  
ჩუმად გაიქცნენ.

მაგრამ ეს საქმე დამალული  
ვით დარჩებოდა! –  
ფირანს ეახლა ერთი კაცი  
და მოახსენა:

„აქ ირანიდან ჩამოვიდა  
გულადი გივი  
და სახელოვან ხელმწიფიშვილს  
დაუკავშირდა.

ახლა კი ადგნენ და ირანში  
გაიქცნენ ერთად  
სამივე: გივი, ფარანგისი  
და მეფის ძეო.“

ეს რომ მოესმა, ელდა ეცა  
ფირანს. შეძრწუნდა,  
ცახცახი იწყო, ვით ნიავეზე  
ვერხვის ფოთოლმა.

გულში ამბობდა: „ასე ჩქარა  
როგორ ამიხდა,  
რაც თვისი პირით მაუწყა მე  
უფალმა ჩემმა?!“

რა ვუთხრა ახლა აფრასიაბს,  
რითი ვიმართლო  
თავი მეფის წინ ან რა მეტქმის  
ამის შემდეგო!“

ამოარჩია ლომგულთაგან  
ორი მამაცი  
(გულბათს ხმობდნენ ერთს,  
მეორეს კიდევ—ნასთიჰანს),

უბრძანა: „ფიცხლად აიყვანეთ  
სამასი თურქი  
და გაქცეულებს ახლავ უკან  
გაუდექითო!“

ლაშქარს კი უთხრა გზაზე დამდგარს:  
„გაფრთხილებთ მე თქვენ,  
კეფის ფხანის და მთქნარების დრო  
არ არის ახლა;

უნდა მომართვათ გივის თავი  
აცმული შუბზე,  
ხოლო ფარანგისს ბინად მიწა  
უნდა არგუნოთ!

ის კი, ის ტლუ და ბედისაგან  
დევნილი მოყმე  
დატყვევებული და შეკრული  
აქ მომითრიეთ!

მან რომ გაგვასწროს და გაცუროს  
წყალი, არ იცის  
კაცმა, რა ხიფათს და განსაცდელს  
შევეყრებითო!“

ის ორი გმირი წინ წარუძღვა  
იმ სამას მხედარს  
და ჯარი იგი გაქცეულთა  
კვალს გამოუღვა.

ფარანგისი და ვაჟი მისი,  
ჯაფაგავლილნი,  
მიწვნენ ცოტა ხნით, ეგებ თვალი  
მოვატყუოთო.

გივი ფხიზლობდა, მცველად იღვა  
და დარაჯობდა  
ძილად მიგდებულთ—ქაიხოსროვს  
და დედას მისას.

ემინა ორ სულს, ხოლო რისხვით  
სავსე გივის კი  
გზაზე ეჭირა თვალი, – მღვერებს  
დაგვაწვევინო.

ჯავშანი ეცვა, მუზარადი  
ეხურა თავზე.  
მზად იყო გმირი, მღვერებისთვის  
შეეკლა თავი.

ცხენიც მზად ჰყავდა (ზედ ემოსა  
ბარგასთუანი) \*,  
ასეთი გახლდათ გულოვანი  
ვაჟკაცის ჩვევა.

### გივიმ გულბათი და ნასთიჰანი გააქცია

როდესაც შორით ჯარის აშლილ  
მტვერს მოჰკრა თვალი,  
ლომგულმა გივიმ ხმალზე იკრა  
ხელი მაშინვე.

დაიდრიალა ქუხილივით  
ისე ძლიერად,  
გაუხეთქავდა გულს მძვინვარე  
ლომსაც ხმა მისი.

შემოხვეული მტრის ლაშქარში  
ისე ბრუნავდა,  
ვერ გაარჩევდი ერთურთისგან  
ლაჟვარდს და მიწას.

ხან ბასრი ხანჯლით მუსრავდა მტერს,  
ხან – მძიმე გურზით, –  
ხმლისა და კვერთხის წვიმა წვიმდა  
მომხველურთა მხრებზე.

იმდენი ურტყა გურზი\* თავზე  
მტრის ლაშქრისთავეს,  
ალარ შემორჩა აღარავის  
კვლავ ბრძოლის თავი.

ისე გახელდა ბრძოლის ველზე  
და გამძვინვარდა,  
ზღვა ბობოქარი წყაროსთვალად  
ერვენებდა.

ტალღად და ტალღად აწყდებოდა  
ირგვლივ ლაშქარი  
იმ ლაშქრისმფრეწელს, ხვად ლომს, ომში  
დაუღლეელ ვაჟკაცს.

შუბთა სიმრავლემ ლერწმის ჭალად  
აქცია ველი,  
მზესა და მთვარეს დაუბნელა  
თვალეები მტკვერმა.

გული ლომისა ლერწმიანში  
შეიჭირებდა.  
სისხლმა საწნახელს დაამგვანა  
ის ლელის ჭალა.

ბევრი მომხვედური ჩამოაგდო  
ცხენიდან გვიმ.  
შედრკნენ თურქები, გაუჭირდათ  
დეკემირთან ბრძოლა.

და გულბაათმა გადასძახა  
ნასთიჰანს: „ძმაო,  
ამ კაცს მხარ-ბეჭი და გულ-მკერდი  
ტინის კლდისა აქვს.

იცოდე, ფარრი\* იფარავს მას  
ქაიხოსროვის.  
გივისთვის ჩვეულ გურზის დაკვრას.  
არ ჰგავს ეს დაკვრა.

არა ვიცი რა, უნდა გითხრა,  
რა გველის მისგან  
ან იაზდანის\* შემწეობით  
ვინ გადირჩენს თავს.

ვარსკვლავთმრიცხველთა მიერ ერთხელ  
წინასწართქმული  
ცუდად აგვიხდა და ეს არის  
ჩვენ და თურანსო!“

ლომების დარად, გულუშიშრად  
და შეუპოვრად,  
თურქმა მხედრებმა შეუტიეს  
ირანელ გმირს კვლავ.

ველზე ღნაოდა ყვიროსტვირი.\*  
ისეთი იდგა  
ჭექის ხმა, მთასაც გაღუქანდა  
ელდისგან გული.

აივსო ირგვლივ მინდორ-ველი  
მკვდარი თურქებით,  
სისხლმა შეღება დედამიწა  
არღავნისფერად.\*

ველარ დაუდგნენ და იბრუნეს  
თურქებმა პირი.  
ვერ გაუშკლავდა ასე მძიმე  
სპა ერთ კაცს, გივის.

ვინც მოკვდა, ბრძოლის ველზე დარჩა  
და ვინც გადარჩა,  
ძლივს მიიტანა დაკოდილმა  
თავი ფირანთან.

მამაცი გივი კი უფლისწულს  
ეახლა კდემით  
(სულ სისხლში ჰქონდა ამოსვრილი  
ლომის თათები)

და მოახსენა: „ნებიერად  
იყავ, მეფეო,  
გონება შემწედ გყავდეს, თვით კი  
შვებით სუფევდე!

ერთი ლაშქარი დაგვაწიეს  
მოულოდნელად  
გულბათმა და ნასთიჰანმა  
ჭანგმომახულმა.

მაგრამ იქცია ყველამ პირი,  
ვინც ცოცხლად დარჩა,  
აფსუსი იყო მხარ-ბეჭი და  
გულ-მკერდი მათი.

როსტომის გარდა მთელს ირანში  
არ მეგულება  
მხედარი, ჩემთან გამკლავება  
რომ შეეძლოსო!“

ქაიხოსროვმა გაიხარა,  
ეს რომ ისმინა.  
ქება შეასხა გივის ბევრი  
და ხოტბა უძღვნა.

სახელდახელოდ წაიხმსეს,  
შემდეგ კი აღგნენ  
და მაშინათვე გადიხვეწნენ  
იმ ადგილიდან.



თურქები ფირანს დაუბრუნდნენ  
თავსლაფდასხმულნი.  
ძლივს მიიტანეს მასთან სული  
ისეთ ყოფაში.

ცეცხლი მოედო მათ შემხედველ  
ფირანს, გულბათს  
უყვირა: „საქმე ამისთანა  
სად გაგონილა!

გივის რა ჰქენით, რა უყავით  
ქაიხოსროვი?  
მითხარი ჩქარა, არაფერი  
დამიძალოო!“

აქ გულბათმა ფირანს უთხრა:  
„ჰე ფალავანო,  
მე რომ ავიდგა ენა და შენ  
წვრილად გაიბზო,

სახელოვანმა გივიმ ჩვენს გმირთ  
რა ღლე აწია,  
ბრძოლის ველისკენ არ გაგიწევს  
აროდეს გული.

მადლობა უფალს, გინახივარ  
ლაშქარში თავად,  
ფიცხელ ომშიაც ალბათ ბევრჯერ  
მოგწონებივარ.

მე ჩემებურად ვეცი გივის,  
გულში ვფიქრობდი,  
ძირს დავცემ-მეთქი მას, სხვაც ბევრი  
ვით დამიცია.

ათასზე მეტ კაცს, ფალავანო  
სახელოვანო,  
თავს დასტეხია გურზი\* ჩემი,  
ვითარცა მეხი.

მაგრამ მას გრდემლი ადგას მხრებზე  
თავი კი არა,  
ხოლო მხარ-მკლავი და გულ-მკერდი.  
სპილოსძვლისა აქვს.

თავად მინახავს ბრძოლის ველზე  
როსტომი ბევრჯერ,  
ამბავი მისი სხვებისგანაც  
ხშირად მსმენია,

მაგრამ არ ვგონებ, დარტყმას ისიც  
იტანდეს ასე  
და ბრძოლის ველზე ტრიალებდეს,  
როგორც ეს კაცი.

გურუები ჩვენი თუნდაც ცვილის  
რომ ყოფილიყო,  
შუბები კიდევ – ვეფხვის რბილი  
ტყავით ნაკერი,

არ იქნებოდა საკვირველი,  
მაინც მხარ-ბეჭი  
რომ დმსხვრეოდა ამდენი და  
ასეთი დარტყმით.

ის კი უფრო და უფრო ღრჭენდა  
და მძვინვარებდა,  
უფრო და უფრო ღრიალებდა  
ომახიანად.

იმდენი ჟლიტა ხალხი, გორად  
აქცია ველი,  
გაწყდა ლაშქარი წელში, გმირნიც  
დაუძღურდნენო“.

ფირანი ამან გააცოფა  
და იღრიალა:  
„კმარა, სირცხვილით ასეთ ამბავს  
ნუ ჰყვები მაინც!“

ერთ კაცს ებრძოდით, მეტს ხომ არა,  
ამდენი ხალხი!  
და კიდევ ომის ამბავს ყბელობ  
აქ უსირცხვილოდ.

შენ იქ იყავი, ნასთიჰანიც  
სახელოვანი,\*  
ხვადი ლომების დარნი გახლდნენ  
თან მეომრები.

მძვინვარე სპილოდ დაგვისახე  
გივი ამ ომში,  
ხოლო შენ თავად გაგებახა  
გმირის სახელი.

აფრასიაბი რომ შეიტყობს  
ამ ამბავს, ვიცი,  
ძირს დაანარცხებს სიბრაზისგან  
სამეფო გვირგვინს,

ორმა ასეთმა ფალავანმა,  
ორმა მხედარმა,  
ამდენი ლაშქრით ერთ კაცს ბრძოლა  
რომ ვერ მოუგო;

რომ ერთმა კაცმა გააფუჭა  
ამხელა ჯარი,  
ზოგი დახოცა, ზოგი კიდევ  
წინ გაირეკა!

არამი არის საომარი  
აბჯარი შენთვის;  
ღროშის, გურზის და ქოსის\* ღირსი  
არა ხარ შენო!“

## გოდერძისა და ზირანის ომი

არც სიავეა ქვეყნად მყარი  
და არც სიკეთე,  
ასეთ არის ამ ცხოვრების  
წესი და რიგი.

გულის სიხარბე კაცს როდესაც  
აგიყოლიებს,  
აგეწეწება ეს უხანო  
წუთისოფელი.

დიდებას სდიო უნდა კვალში,  
დიდება იგი  
თუნდაც ურჩხულის ყბაში იყოს  
გამომწყვდეული!

ღვარძლის დამთესი და სიხარბის  
კერძი კაცის ძე  
ამ ქვეყანაზე არავისგან  
ჯერ არ ქებულა.

თუ ღროებით ვართ მასში, მაშინ  
რა ბედენაა,  
ეს ძველი სახლი ვიწრო არის  
თუ განიერი!

როდესაც წელში მოიხრება  
წერწება სარო,  
მას მეტად ვეღარ უაღერსებს  
ჩირაღის შუქი.

ტოტი უჭკნება, უსუსტდება  
თანდათან ფესვი  
და ტანი მისი წასაქცევად  
მიიწურება.

რაც აღმოცენდა მიწით,  
მიწად იქცევა ისევ.  
ყოველ სულიერს გულს უქანებს  
სიკვდილის შიში.

ზნეშენახულის საფიქრალი  
ეს უნდა იყოს:  
არ მიაყენოს სხვას ზიანი  
და სატანჯველი.

ამ ქეყანაზე ყოფნა დიდხანს  
თუ დაგიყოვნდა,  
სიკვდილს ინატრებ, იმნაირად  
დაუძლურდები.

ღრმა და უძირო ზღვას მაგონებს  
წუთისოფელი  
და ხვაშიადის\* მისის კლიტე  
ვერ გვიპოვნია.

რაც მეტს მიიღებ, უფრო მეტი  
მოგეკითხება;  
რაც მეტი ჭამე, ერთ ღღეს უნდა  
წამოანთხიო.

სამი რამეა, უსათუოდ  
კაცს რომ სჭირდება  
(მიტომაც არის ალალი და  
უყვედრებელი):

საჭმელი არის ეს, საწოლი  
და ტანსაცმელი.  
ესენი თუ გვაქვს, სხვა რამეზე  
ნუ დაიჩივლებ!

და თუ ინდომებ ამაზე მეტს,  
ხარბი ხარ, ხოლო  
რა გაჭირვებას მოუკლიხარ  
და რა სიხარბეს!

როდესაც იცი, ეს ცხოვრება  
რომ არ შეგრჩება,  
რატომ იტანჯავ სულსა და გულს  
სიხარბით შენით?!

ჭამე ის, რაც გაქვს, და რაც არ გაქვს,  
იმას ნუ ეძებ,  
რადგან სიხარბით ილახება  
ღირსება ღირსთა!

### **ქაიხოსროვი გოდერძს აგზავნის თურანელებთან საომრად**

ამბავი ამცნეს ძლევა მოსილ  
ირანის მეფეს:  
„თურანელების ჯარი ირანს  
შემოესია.

იმ ზნეწამხდარს და მტარვალს,  
თურქთა თავს, აფრასიაბს,  
ბოლმისგან ძილიც დაუკარგავს  
და მოსვენებაც.

ჩვენთან ბრძოლაში რაც სირცხვილი  
ჭამა, იმისგან  
ჰსურს, გამოვიდეს და ყოველმხრივ  
ჯარი მოუსხამს.

შუბის წვერს თურმე საწამლავეში  
ავლებს უნასი,  
ირანისაკენ რომ მოუშვას  
აღვირი ჰუნეს.

მოჰყავს მხედარი თან სამასი  
ათასი კაცი  
და ჯეიჰუნის\* გადმოლახვა  
აქვს განზრახული.

ისეთს ამბობენ იმ მხედრობას:  
ომში რომ შევა,  
ჯეიჰუნისგან ცის თალამდე  
შხეფს აადენსო!

აფრასიაბის სასახლეში  
თურმე ისეთი  
ისმის ბუკის ხმა, რომ ვაჟკაცებს  
ლამეც არ სძინავთ.

შეიფურის\* და ზარის ცემა  
უდგათ იმგვარი,  
მსმენელს რომ გული საგულეში  
არ უჩერდება.

თუ ჯარი იგი ჩვენს ქვეყანას  
შემოესია,  
თურქების შიშით ლომიც  
თავს ვერ გამოჰყოფს გარეთ.

ირანისაკენ თურმე გმირი  
ფირანი მოდის,  
უკან მოჰყვება მძიმე ჯარი  
აბჯარასმული.

ხორეზმისკენაც სხვა  
ორმოცდაათი ათასი  
მებრძოლი კიდევ, საბრძოლველად  
გამზადებული,

შიდეს მოჰყვება, თურქთა მეფის  
ძეს, ვისაც ძალუძს,  
მახვილით თვისით თვითონ ფიცხი  
ცეცხლიც გატეხოს.

მთვრალთა სპილოთა ჯარი მოდის  
მეფევ, ისეთი,  
მთას რომ ეძგეროს, მთას მიწასთან  
გაასწორებსო!“

ქაიხოსროვმა რომ საქმეში  
ჩახედულ კაცთა  
ასეთი ცნობა მოისმინა,  
მძიმედ ჩაფიქრდა.

შემდეგ კი ბრძანა ქველმა მეფემ:  
„დარბაისელნო,  
მობეღებისგან ასეთი რამ  
მახსოვს ნათქვამი:

თურქების მთვარემ თუ გაბედა  
ცაზე ამოსვლა,  
ირანის მზისგან მთვარე იგი  
დაივსებაო.

გველს როცა თვისის მოუნდება  
თავის გაჭეჭყვა,  
გამოვა სვრელით და თავს ჯონთან  
თვითონ მიიტანს.

თუკი ხელმწიფემ ნერგი დარგო  
უსამართლობის,  
მას ხელმწიფობაც შეაქცევს ზურგს  
და იღბალიცო!“

ეს რომ თქვა, თვისი მობეღები\*  
მოიხმო მეფემ  
და მათ უამბო, რაც მაცნისგან  
თავად ესმინა.

გაიხალვათეს ხელმწიფესთან  
საქმის სარჩევად  
ომის ხელობის კარგად მცოდნე  
დიდებულებმა,

დასთან\* იყო ის, როსტომი,  
გოდერძი, გივი  
თუ შეიღუში თუ ფარჰადი  
თუ მძლე როჰამი.

ბეჟანიც ეჯდა წინ, აშქაშიც  
და გოსთაჰამიც,  
გორგინი, ზანგე, გეჟდეჰემი  
ძლევაძმოსილი,

თუსი, ძარღვებში ვისაც ედგა  
ნავზარის სისხლი  
და ფარიბორზიც, შვილი თვითონ  
მეფე ქაოსის.

სხვებიც აქ იყვნენ, თუკი ვინმე  
სახელოვანი  
იყო ირანის სპის მშვენება  
და ძლიერება.

ასე მიმართა თვის მძლეეთამძლე  
ფალაგნებს\* მეფემ:  
„თურქებს ყოველთვის სისხლის ღვრა და  
ომის სწადიათ.

მტერი საომრად მოდის ჩვენზედ  
ხმალამართული,  
ჩვენც დასახვედრად გემართებს  
სწრაფად მოვემზადოთ!“

ეს თქვა და ბრძანა, ჩაებერთ  
საყვირისათვის,  
ყვიროსტვირებმა\* საყვირის ხმებს  
აუბეს მხარი.

სრა-სასახლიდან მოედანზე  
გავიდა მეფე,  
სპილოზე ტურფა ტახტრევანი  
დაუდგეს ხოსროვს.

ცა გადაშავდა და ლილისფრად  
იქცა ხმელეთი,  
მოლაშქრები ვეფხვებივით  
მოდგნენ მეფესთან.

ხელთ გურზი ეპყრათ,  
ხოლო გულში ბრაზი ემწყვდიათ,  
ველზე ზღვასავით ბობოქრობდა  
შეყრილი ჯარი.

გაისმა უცებ სასახლიდან:  
„ეჰე ლომგულნო,  
შეუდრეკელო ფალაგანნო  
ირანელთ ლაშქრის!



ვისაც კი გული ერჩის მართლა  
და მხედარია,  
ისეთი დღეა, შინ რამ უნდა  
გააჩეროსო!“

ბრძანა ხელმწიფემ: „რუმიდან\* და  
ინლოეთიდან  
მხედრები გვინდა, მოგვივიდნენ  
გულოვანები!

არაბთა ქვეყნით ლომებს უხმეთ  
მკრჩხალთა და მამაცთ,  
ფიცხელ ბრძოლებში გამობრძმედილთ  
და შეუპოვართ!

სამასათას კაცს ვითხოვთ მებრძოლს  
იარაღასხმულს.  
შუბოსან მხედართ ველებიდან  
მეომრებს ველით.

ვინც ორმოც დღეში მეფეს თვისას  
არ ეახლება,  
იცოდეს, თავზე მას ქოლაპი\*  
არ შერჩებაო!“

დაწერეს წიგნი საწვეველი  
ომში და იგი  
სხვადასხვა მხარეს გააქანეს  
მალესმსრბოლებმა.

ლაშქრის წვევიდან ორი კვირაც  
არ გასულიყო,  
რომ იწყო ჯარმა მეფის მათის  
კარებთან მოჯრა.

მთელი ქვეყანა აივსო სპით.  
ბორგავდა ჯარი.  
ცას აყრუებდა ზრიალი და  
ყიჟინა მისი.

ხოლო როდესაც ირიჟრაჟა,  
მამლის ყივილზე,  
გაისმა ქოსის\* დაგა-დუგი  
აქეთ და იქით.

ყოველი კუთხის თავნი თვისით  
წამოდგნენ ლაშქრით  
და დაირაზმნენ სასახლის წინ  
ქაიხოსროვის.

განახენა მეფემ ირანისამ  
საგანძურთ კარნი  
და მოზღვავებულ სპას დაუწყო  
ღირემის\* ფრქვევა.

არ დარჩა კაცი, მეომარი,  
განძით ყელამდე  
აღსავსეს ოქროს ქოლაპი\* რომ  
არ დაეხურა.

ბარგასთუნში\* და აბჯარში  
ჩამჯდარი ჯარი  
ისე შეიკრა, რკინის ქელი  
გეგონებოდათ.

როცა დამთავრდა სპის აღჭურვა  
და გამზადება  
და ამ საქმისგან მოიცალა  
ირანის მეფემ,

მოლაშქრეთაგან პირველ ყოვლის  
გამოარჩია  
ფიცხი მხედარი, ოცდაათი  
ათასი კაცი,

სპა იგი როსტომს ჩააბარა  
და ასე უთხრა:  
„ეჭე დევგმირო, ლომგულო და  
სახელოვანო,

გზას სიისთნისას\* დაადექი  
ამ მძიმე ლაშქრით,  
ხოლო იქიდან ინდოეთის  
ქვეყნებში გადი!

ის მხარეები, ღაზნინიდან  
მოკიდებული,  
დაიპყარ და შენ მიიკუთვნე  
ტახტი და თაჯი\*!

ხოლო, როდესაც ერთ სამეფოდ  
შეკრავ იმ ქვეყნებს  
და თხა და მგელი წყლის სასმელად  
ერთად ივლიან,

გულად ფარამორზს ჩააბარე  
ტახტი და თაჯი,  
რამდენი კაცი სჭირდებოდეს,  
მას დაუტოვე,

შენ კი შემოჰკარ რვალის ქოსს და  
ნაის\* ჩაჰბერე, –  
არ შერჩე დიდხანს ქაშმირის და  
ქაბულის ქვეყნებს!

აფრასიაბთან გველის ომი,  
შენც კარგად იცი,  
ჭამის, ძილის და დასვენების  
დრო არ გვრჩებაო!“

ალანისა\* და ლორჩის\* მხარე  
ლუარსაბს მისცა  
და ასე უთხრა: „გმირთაგმირო  
კეთილშობილო,

ერთი ლაშქარი შეადგინე,  
შეკრული ვით მთა,  
ვინც მოგივიდეს თვალში,  
მიდი, ამოარჩიე!

ფიცხელ ცხენოსანთ აიყვანე  
რაზმი და თურქებს  
რა დღეს დააყრი, შენ იცი და  
შენმა ჯარმაო!“

ემქაშს უბრძანა: ოცდაათი  
ათასი კაცი,  
სულ დარჩეული ცხენოსანი  
რკინის მკენეტელი.

ხორეზმისაკენ წარეგრაგნა  
ვეება ქოსით  
და იმ ქვეყანას თავს დასხმოდნენ,  
ვით ფარას – მგლები;

ქალაქის თავზე დაეტეხათ  
რისხვა და მეხი  
და შიდეს ლაშქარს გულუშიშრად  
შეტაკებოდნენ!

მეოთხე ჯარი ჩააბარა  
ხელმწიფემ გოდერძს,  
უთხრა: „ფალავანთ ნაშიერო,  
ლომგულო გმირო,

ირანის ქვეყნის თავკაცებს შენ  
მოჰკიდე ხელი,  
თან წაიყვანე გომსთაჰამი,  
გორგინი, ზენგე;

ლომი ხორადი, შეიღუში,  
ფარჰადი, გივი,  
ქველი გორაზე და როჰამი  
გმირთა გმირიო!“

შემდეგ უბრძანა მეფემ დევგმირთ  
ზემთ ხსენებულთ,  
აესხათ რკინა და თურანის\*  
გზას დადგომოდნენ.

მთავარსარდალი მძლე გოდერძი  
ქეშვადიანი  
და ფალავნები და სპის მათის  
წარჩინებულნი

მეფის ბრძანებით მყისვე ჰუნეთ  
მოახტნენ იქვე.  
ხოლო სარდალი წინ დაუდგა  
მხედრებს, გოდერძი.

გოდერძს დაუწყო დარიგება  
ირანის მეფემ:  
„აბჯარასხმული საბრძოლველად  
როდესაც წახვალ,

უნდა ეცადო, არ მისდიო  
უსამართლობას  
და მით სასახლე არ დაამხო  
კეთილნაშენი!

ესეც იცოდე, კაცი წინ თუ  
არ აღდგომია,  
არ უნდა ავნო იმ კაცს  
ომში გამარჯვებულმა!

არ მოგვიწონებს სიავის ქნას  
გულთამხილავი,  
ჩვენ წუთისოფლის სტუმრები ვართ,  
ეს დაიხსომე!

როცა თურანის თემში შეხვალ  
ძლევაგამოსილი,  
გაცხარებული მტერთან ომში  
ნუ გაცეცხლდები!

ნუ გაფიცხდები შენც, თუსი რომ  
ფიცხდება ისე  
და წარამარა ხელი ხმალზე  
არ დაიჭირო!

ყოველთვის იყავ განკითხვის დროს  
სამართლიანი,  
ღმერთი გახსოვდეს სულ, სიკეთის  
მომნიჭებელი!

შენს ამაღლაში გამოცდილი  
და საზრიანი  
მონახე კაცი და ფირანთან  
გაგზავნე იგი;

ათასნაირი დარიგებით  
აღუხვენ თვალნი  
და სიყვარულის რიდე პირზე  
დააფარეო!“

ლაშქრის სარდალმა უპასუხა:  
„ხელმწიფეკ ჩემო,  
ბრძანება შენი უფრო მაღლა  
დგას, ვიდრე მთვარე.

როგორც შენ ბრძანებ,  
მოვიქცევი მე მხოლოდ ისე,  
ქვეყნის პატრონი შენ ხარ, მე კი  
ყმა ვარ შენით!“

ეს რომ თქვა, ლაშქარს შეუძახა  
გმირმა გოდერძმა  
და საყვირის ხმამ დედამიწა  
გამოაყრუა.

დაეწყო ჯარი და დაიწყო  
ლაშქარმა დენა  
და დააბნელა ცხენთ ფლოქვების  
მტვერმა ის მხარე.

სამოცი სპილო მიუძღოდა  
წინ მძიმე ლაშქარს,  
გააფთრებულნი მთასა და ბარს  
თელავდნენ ფეხით.

ნამეტურ ოთხი სპილო ჩანდა  
რჩეული მათში  
მეფის საჯდომად საგანგებოდ  
გამოწყობილი.

ზედ ოთხივეზე გაემართათ  
სამეფო ტახტი  
გვირგვინისა და ფარის\* მქონე  
ხელმწიფისათვის.

შაჰმა მოიღო მოწყალება,  
რომ აღმხდარიყო  
გმირი გოდერძი მეფის ტახტით  
მორთულ სპილოზე.

დაიდრა რაზმი სპილოების  
და აღდგა ბუქი  
და ბედის ვარსკვლავს მიმართა იმ  
ბუქში გოდერძმა:

„ვინძლო მტერს ჩვენსას, ფირანს, ზურგზე  
ვადინო ბოლი,  
სპილოთა კვალზე მტვერი რომ დგას,  
ამდაგვარიო!“

და ჯარი იგი გამოსული  
მეფის ნებაზე  
გზას მიკეცავდა და გუგუნით  
მთა-ბარს იკლებდა.

### **გოდერძი გივის აგზავნის ფირანთან მოციქულად**

როცა გოდერძი მიეახლა  
რაიბედის\* თემს,  
მოლაშქრეთაგან გამოიხმო  
მხედართმთავრები.

ათასი კაცი შეარჩია  
შუბოსანთ შორის,  
ყველა მამაცი და ბრძოლაში  
შეუპოვარი.

ათი მხედარი გამოიხმო  
მათგან სარდალმა,  
ხმალიც და ენაც რომ უჭრიდათ  
კარგად, ისეთი.

შემდეგ კი გივი დაიბარა,  
თავისი ვაჟი,  
და მას უამბო მეფისაგან  
დავალებული.

უთხრა მას: „შვილო,  
გონიერო და საზრიანო,  
გამოჩენილო გმირთა შორის  
გამოჩენილთა,

სხვადსხვა ქვეყნის თავკაცთაგან  
ერთი ლაშქარი,  
შენ რომ შეგფერის იმისთანა  
შეგიდგინე მე.

ფირანთან მინდა, გაგაგზავნო, –  
სათქმელი ჩემი  
მას მიუტანო და პასუხი  
მისი მომართვა.

ასე უთხარი მას: „ბრძანებით  
ხელმწიფის ჩემის  
შემოვადექი რაიბედის  
სანახებს სპით-თქო.

შენ თვითონ იცი, რაც გითქვამს და  
გიქნია ჩვენთვის,  
რა განსაცდელი განგიცდია  
და რაც გიცდია.

იცი, თუ თურმა\* ვით გვიმტრო და  
გვიმუხანათა,  
როცა მოგვიკლა მეფე ჩვენი  
სახელოვანი.<sup>7</sup>

დარდი და დალი დააჭდიეთ  
თქვენ ფრიდონს გულზე  
და სიბერეში ტირილი და  
გმინვა არგუნეთ.

ირანი გლოვის ზარს მიეცით,  
მეფე – ვაებას.  
ირაჯზე\* მტირალთ ცაზე მთვარეც  
არ გვინათებდა.

გითვლის ხელმწიფე: თურქთა შორის  
ერთი შენა ხარ,  
კაცის გატანას რომ ჩემულობ  
და ჩვენს ატანას.

სულ ტყუილია ყოველი ეს, –  
ჩემგან უთხარი, –  
ჯერ არ მინახავს დანდობილი  
მე შენგან კაცი.

მაგრამ რას ვიზამ, მეფემ ჩვენმა  
კეთილშობილმა  
მე დამავალა, ღმობიერად  
რომ მოგექცე-თქო.

რადგან ბრძანა მან,  
რომ სიკვდილში სიაუშისა  
არ მიუძღვისო ფირანს მცირე  
დანაშაულიც.

დიდად გიმადლის იმის გამო,  
რომ მამამისის  
სისხლში არა გაქვს შენ გასვრილი  
ხელი სხვებისით.

და სწორედ ამის შედეგია,  
ყველა ცოდვაზე,  
რაც შენ მიგიძღვის ირანელთა  
წინაშე, ფირან,

მეფე თვალს ხუჭავს და ივიწყებს  
შენს დანაშაულს  
და სულ გაპატიობს შენს სიავეთ  
კეთილი გულით.

არც მე ვიკადრებ, რომ მოგკითხო  
ძველი ცოდვები  
და ახლა გიზლო იმათ ნაცვლად  
სამაგიერო,

თუ, რა თქმა უნდა, არ აუბამ  
მხარს აფრასიაბს  
და საკუთარ თავს შენვე თვითონ  
თუ არ წააგებ!

ასე უთხარი: ირანელი  
დიდებულების  
და შვილის ჩემის პირით ამას  
გითვლი-თქო თვითონ:

რაც სათქმელი გაქვს, მათ უთხარი,  
ხოლო ისინი  
რასაც გეტყვიან, იმაზედაც  
პასუხი გაეც!

თუ დაარწმუნებ ჩემს მოციქულთ  
შენს სიმართლეში,  
გადურჩები-თქო განსაცდელს და  
სულსაც შეირჩენ;

მამულს და ფუძეს მოიმრავლებ  
და მოიშენებ,  
თავსაც ააცდენ მოქნეულ ხმაღს  
და თვისიანთაც.



მაგრამ თუ ცოდვას მიუსართავ  
კიდევ შენს ცოდვებს,  
იცოდე, მაშინ მეფეს ჩვენსას  
ვერ გაღურჩები!

არ დავისვენებ შურისგების  
გზაზე; რას ვუზამ  
თქვენს მეფეს ომში, ეს მე ვიცი  
და ჩემმა გურზმა.

ბევრი ლაშქარი არ სჭირდება  
ხელმწიფეს ჩვენსას,  
რომ აფრასიაბს მოუგრიხოს  
კისერი ომში.

კეთილი რჩევა შეისმინე  
ჩემი, ფირანო,  
და შეასრულე უყოყმანოდ,  
რასაც მე გეტყვი!

პირველი, რასაც ვითხოვ შენგან,  
აი, ეს არის:  
ვინც იმთავითვე დასაბამი  
მისცა ჩვენს მტრობას;

ვინც სიაუშის დაანთხია  
უმანკო სისხლი  
და ამაზრზენი ჩაიდინა  
დანაშაული,

ყველა ძალღივით უპატიოდ  
გაბაწრე, ვით ტყვე,  
და ჩემ წინაშე მოათრიე  
პატივყრილი,

რათა ისინი გავუგზავნო  
მეფეს; ენებოს,  
თავები დაჭრას და ენებოს,  
ცოდვა შეუნდოს!

ვიცი, ისინი ვინც არიან  
(ყველა იმათი  
ჩაწერილი მაქვს ხელმწიფისგან  
სახელი წიგნში).

შენ ეს ამბავი არ გსმენია,  
საყოველთაოდ  
ცნობილი: ლომმა მძვინვარემ რომ  
მგელს უთხრა თურმე? –

ის, ვინც მეფეთა სიცოცხლეზე  
აღმართავს ხელს, მას  
ბედკრულს საწუთრო ნაცარ-ტუტად  
გადააქცევსო!

ახლა მეორე: რაც ქონება  
გაქვს დაგროვილი  
და სულის შენის კიდევ უფრო  
გიბნელებს წყვდიადს,

ცხენები არის ის, თუ არის  
თვალ-მარგალიტი,  
დინარი\* არის, დიბაა ის  
თუ გვირგვინია,

ხმალია იგი, ზუჩია თუ  
ბარგასთუანი\*,  
ხაფთანი\* არის თუ ინდური  
ხანჯალი ბასრი,

აღჭურვილობა ლაშქრის შენის,  
ოქროც და ვერცხლიც,  
სუყველაფერი აქ მომართვი,  
რაც გაბადია!

ის, რაც ხალხისთვის  
უსამართლოდ წაგიგლეჯია  
და მოგიბოჭავს აკაკობით  
და ანგარებით,

გადმომილაგე ყველაფერი  
აქეთ, მით ვინძლო  
უშველო თავს და ტკბილი სული  
შეირჩინო-თქო!

ის, რაც ხელმწიფეს ეკადრება  
იმ ქონებიდან,  
ძღვნად გავუგზავნი  
ძლევაძმოსილ ირანის მეფეს

და რაც დარჩება, მას ჩვენს მხედრებს  
გავუწილადებ  
იმის საზღაოდ, რა სიმწარეც  
შენ მას აწვნიე.

ხოლო მესამე ასეთია  
პირობა ჩემი:  
შენი რჩეული ვაჟი (ბეჭდის  
და ტახტის ღირსი)

და ორი შენი ძმა, ორივე  
მხედართუფროსი,  
ქედს რომ მორჭმით და ახოვნებით  
მთვარეს უწევენ,

სამივე გმირი, თურქთა ქვეყნის  
სამი მშვენება,  
როგორც მძევალი, აქეთ უნდა  
გამომიგზავნო,

რათა არ მქონდეს მოლოდინი  
ლალატის შენგან  
და ერთგულების ხემან შენმან  
ხილი მოისხას!

კარგად იფიქრე და ორიდან  
ერთი ქმენ, ფირან:  
ან ჩვენ ხელმწიფეს შეეწყნარე  
და შეევერდომე, –

ადექ და შენი სახლეულით  
ეახელ ხოსროვს  
და ჩეროს მისას შეაფარე  
მშვიდობით თავი;

ამოიკვეთე გულიდან ეგ  
აფრასიაბი  
ისე, რომ იგი სიზმარშიაც,  
არ მოგეჩვენოს

და მე პირობას გაძლევ მტკიცეს,  
რომ ქაიხოსროვს  
შენს თავს დიდებით მზის ბურჯამდე  
აღვაზევინებ!

თავადაც იცი, რომ მოწყალე  
გული აქვს ჩვენს შაჰს  
და სიამის მეტს რომ ვერაფერს  
ვერ ნახავ მისგან.

მაგრამ მეორე გზას თუ არჩევ  
და თუ თურქების  
ხელმწიფის შიშით ირანის შაჰს  
არ ეახლები,

მაშინ დააგდო, გიჯობს, ახლავ  
თურანის\* ზღვარი,  
ჩაჩში\* გახვიდე და იქ საჯის\*  
ტახტი დაიდგა.

ხოლო თუ გულზე გეჭიდება  
აფრასიაბი,  
წადი, ეახელ, მაგრამ ომში  
წინ არ შემომხვდე.

თორემ, ხომ იცი, თუ ბრძოლაზე  
მივარდა საქმე,  
მე ლომის გული მაქვს, კეთილო,  
და ვეფხვის ჭანგი!

გადაგავიწყებთ თურქებს ტახტის  
სახსენებელსაც, –  
გოდერძის მშვილდი ღრუბელს ჰგავს და  
სიკვდილს აწვიმებს.

თუ მეტი განსჯის და გაგების  
არ შეგწევს ძალი  
და თავში ომის ჭინკა გიზის  
მაინცლამაინც,

მაშინ შენ იცი, ჰა ბურთი და  
ჰა მოედანი,  
მძვინვარე ლომთან ბრძოლის თავი  
თუ გაქვს, გამოდი!

მაშინ, როდესაც დაეწყობა  
ჯარი პირისპირ,  
იქ გამოჩნდება, ვინ მრუდია  
და ვინ – მართალი.

მე ჩემი ვითხარ, ხოლო შენ თუ  
ჩემს კეთილ რჩევას  
ყურად არ იღებ, შენს საქციელს  
მწარედ ინანებ.

მაგრამ ეგ შენი სინანული  
რალას გიშველის,  
როდესაც თავი მხრებზე აღარ  
შეგრჩება შენ-თქო!“

უთხრა გოდერძმა ეს თავის ვაჟს  
და თან დასძინა:  
„ეს ყველაფერი ფირანს ასე  
გადაეციო!“

## გივის გამგზავრება ფირანთან ვისეგარდში

ადგა გოდერძის ძე და ბალხის  
თემს გაეშურა.  
მკვანე სიტყვები მიჰქონდა თან  
თურქთა სარდალთან.

ბალხს რომ ჩავიდა, ჩამოხდა და  
კაცი გაგზავნა  
ფირანთან, როგორც დაარიგა  
მამამ, გოდერძმა.

იქ გაითენა ერთი ღამე,  
ხოლო დილაზე  
ჯარი აჰყარა და გაუდგა  
ვისეგარდის გზას.

როდესაც გივის კაცი ფირანს  
ეწვია, თურქთა  
სარდალმა ნახა, ირანის სპა  
კარს მოსდგომოდა.

გივის დესპანმა მოახსენა  
ფირანს: „გმირებით  
და ლომგულებით ბალხის ბჭესთან  
იცდის გივიო!“

ეს რომ ფირანმა მოისმინა  
ყურება ცქვიტა  
და ატყდა ირგვლივ ერთი  
ვაი-უშველებელი.

ბრინჯაოს საყვირს ჩაჰბერეს და  
ქოსს\* რომ სცეს, ცხენტ ფლოქვთ  
თქარუნმა მიწა აბანოზის\*  
ფერად აქცია.

ასათი ათას მხედარს უხმო  
ფირანმა მყისვე  
და საბრძოლველად დაირაზმა  
თურქის ლაშქარი.

იმ ლაშქრის ორი მესამედი  
იქვე დატოვა.  
თავად კი ჯარი აიყვანა  
გამორჩეული,

ჯეიჰუნისკენ\* გაესწრაფა,  
მიაღვა წყალს და  
ჯარისკაცებით ამოხერგა  
მდინარის პირი.

მაგრამ ირანის ლაშქარს ყურზე  
როდი ეძინა, –  
გრძელი შუბებით ჯეიჰუნი  
შემოესარა.

დაიწყო დესპანთ მიმოგზავნა  
ორ ბანაკს შორის.  
ორ კვირას ბჭობდნენ, –  
ავიცდინოთ იქნებ ომიო!

ირანელებმა თავისი თქვეს,  
თურქებმა – თვისი.  
ყველაფერს თურქებს აბრალებდნენ  
ირანელები.

მოდგნენ და მოდგენენ ფირანს თურქთა  
ქცევით გამწყრალნი.  
ალარ გაჩერდნენ ერთხელ გუდას  
რომ მოხსნენს თავი.

ფირანმა საქმის გადაწყვეტა  
თავზე ვერ იღო,  
თურქთა თავს კაცი გაუგზანა  
და შეუთვალა:

„აღზევებული და მორჭმული  
ქეშვადიანი  
გოდერძი კარზე გვეყავს მომდგარი  
ვეება ლაშქრით.

გამომიგზანა მოციქულად  
თავისი ვაჟი,  
ლომგული გივი, ფალავნებში\*  
გამორჩეული.

გული და ყური მოპყრობილი  
შენკენ მაქვს, მეფევ.  
როგორ მოვიქცე, მიბრძანე და  
ისე ვიზამო!“

თურანის მეფემ ეს ამბავი  
რომ მოისმინა,  
ურიცხვი სპისგან შეადგინა  
ლაშქარი ერთი.

ფირანს მამაცი და ბრძოლაში  
შეუღრეკელი  
გამოუგზავნა ოცდაათი  
ათასი კაცი.

შემოუთვალა: „შურისგების  
იმიშვლე ხმალი  
და პირისაგან მიწის  
მტერი აღგავე ჩვენს!

ბრძანება ჩემი ასეთია:  
ბოლო მოუღე  
მტრებს, გივის, მამას მისას, ფარჰადს,  
გორგინს და როჰამს!

თვლა აღარა აქვს, მოგვივიდა  
იმდენი ჯარი,  
ირანის ტახტის დამხობა გვსურს  
და ძალაც შეგვწევს.

მინდა, წავასხა ეს ურიცხვი  
ლაშქარი ირანს  
და მიწა მათი მათივ სისხლის  
რუებით მოვრწყა.

ამ გამჭრიახი ჭკუით ჩემით  
და ჩემი ლაშქრით  
გაჩვენებთ, მეფე ქაიხოსროვს  
ბღღვირს ვით ვადენო!“

როცა ფირანმა მძიმე ლაშქარს  
შეხედა მომდგარს  
(ყოველ ჯარისკაცს, როგორც აფთარს,  
სისხლი სწყუროდა),

აღივსო რისხვით მეფისაგან  
გულმოცემული.  
დაჰყვა მის ნებას და მიეცა  
სისხლისღვრის ვნებას.

გულით კეთილ კაცს ჩაუსახლდა  
სიავე გვამში  
და ომისა და კაცთა ჟლეტის  
ცდუნებამ სძლია.

გივის კი უთხრა: „ადექი და  
იმასთან წადი,  
ვინც გამოგზავნა და მას ჩემგან  
ასე უთხარი:

ნუ ჰგონებ შენ-თქო, მაქნევინო  
რაც არ შემფერის  
და საკადრისი რაც არ არის,  
ის მარჩევინო!

ჯერ ერთი ის, რომ დიდებული  
მომხენი თვისი  
კაცმა მტერს ხელში რომ ჩაუგდოს,  
სად გაგონილა!

მეორე: რაც კი გვაბადია –  
ქონება, ჯარი,  
აბჯარი, ცხენი, სახელმწიფო  
ტახტი და თაჯი\*;

თვალთა სინათლე ჩემი,  
ორი ძმა გულოვანი  
და მათთან ერთად ღვიძლი შვილი  
გმირი რჩეული –

როგორ იქნება, რომ გულიდან  
ამოვიკვეთო  
და მოსისხლე მტერს ჩაუგდო ხელთ  
მუხანათივით?!

მბრძანებელი ვარ და ყურმოჭრილ  
მონად გადავიქცე?  
ნაზრახ სიცოცხლეს ღირსეული  
სიკვდილი მიჯობს!

განა ამაზე არ იყო, რომ  
ვეფხვმა უთხრა ლომს,  
როდესაც თურმე ერთხელ მასთან  
შებმა მოუხდა? –

თუ სახელოვნად დავეცემი  
შენთან ბრძოლაში,  
ეს მიჯობს, ვიდრე შერცხვენილი  
ცოცხლად დავრჩეო!

ესეც არ იყოს, მომივიდა  
მეფის ბრძანება,  
მიგზავნის ლაშქარს და მავალებს  
თქვენთან შებმასო!“

როდესაც გვიმ ეს ისმინა,  
უკან გაბრუნდა  
ამაღლით თვისით, – გმირებით და  
დიდებულებით.



როგორც კი გივი მიეფარა  
თვალს თურქთა სპისა,  
ყიჟინა დასცა საომარი  
ფირანმა იქვე.

ქენაბედისკენ\* გაიყვანა  
მძიმე ლაშქარი  
და იქ, მთის ძირში, ერთ მინდორზე  
დაიბანაკა.

### **ბეჟანი გივისთან მიდის და თხოვს, თურანელებთან ვიომოთო!**

ორი ლაშქარი ერთმანეთის  
პირისპირ იდგა  
თავისი ბრძოლად ატეხილი  
ჯარისკაცებით.

უკვე სამი დღე მიიწურა  
და სამი ღამე,  
სულგანაბულნი რომ შემზერდნენ  
ერთიმეორეს.

ასე ფიქრობდა ირანელთა  
მთავარსარდალი  
გოდერძი: “მე რომ იერიშზე  
გადავიყვანო

ლაშქარი, მყისვე მტერი ზურგში  
მომეპარება  
და დამარცხება მაშინ, ვიცი,  
არ ამცდებაო!”

იდგა გოდერძი დღე და ღამე  
ლაშქართან ერთად  
და ცაზე მთვარეს, მზეს და ვარსკვლავთ  
აკვირდებოდა.

ელოდა, როდის დადგებოდა  
ვარსკვლავი ისე,  
რომ გამარჯვების ყოფილიყო  
მანიშნებელი.

თანაც იქნება, დაუბეროს  
აქედან ქარმა  
მტერმა მტერისაგან  
რომ თვალები ვერ გაახილოს!

აი, მაშინ კი დამიდგება  
საამო ჟამი  
და გრიგალივით დავაცხრები  
თავზე თურქებსო!

მეორე მხარეს კი ფირანიც  
ამას ნატრობდა:  
ნეტავ, გოდერძმა ბოლმა მეტად  
ველარ მოთოკოს

და იერიშზე გადმოვიდეს,  
რომ მაშინათვე  
მის ჯარს ზურგიდან მოვუარო  
და გავჟუჟო!

მეოთხე დღეც რომ მიიწურა,  
მტრის შუაგულში  
მოვარდა ზურგში მღვარი გივის  
ვაჟი ბეჟანი.

შესძახა მამას: „გამოცდილო  
მშობელო ჩემო,  
რაღას უდგახარ ასე უქმად,  
მითხარი, ერთი?!

გავიდა ოთხი დღე და ოთხი  
ღამე, რაც აგერ  
ამდენი ხალხი გაუნძრევლად  
ვერივართ კუნძივით.

მზეს ვერ ვადირსეთ ხმალთა ჩვენთა  
ლაპლაპის ხილვა,  
ვერც ის შევძელით, ავკვდინა  
ველზე მტვრის ბუქი.

მხედრები თვლემენ ჯავშანსა და  
ჩაჩქანში მსხდარნი.  
ძარღვებში არვის არ უჩქროლავს, –  
ვერ ხედავ? – სისხლი.

როსტომის\* შემდეგ მთელს ირანში  
გოდერძის მსგავსი  
მხედარი არვის არ უნახავს  
და არც სმენია,

მაგრამ მას აქეთ, რაც ფეშანთან  
წააგო ომი  
და ამაზრზენი რაც იხილა  
იქ ხოცვა-ჟლეტა;

ლადენში თვალწინ რაც მოუკლეს  
იმდენი შვილი  
და ირანელთა თავს დამტყდარი  
ღვთის რისხვა ნახა,

გული მოკლული აქვს და თავ-გზა  
აბნეული აქვს,  
აღარ ჰსურს ომი, ბრძოლა აღარ  
ეხალისება.

ხომ გასხენ თვალნი, – ვერ ხედავ, რომ  
დაბერდა კაცი  
და ბრძოლის ნაცვლად ღვას და მალლა  
ცას რომ შეჰყურებს?!

მთავარსარდალი, იმის ნაცვლად,  
რომ სპა აღრიცხოს,  
როცა ვარსკვლავებს რიცხავს ცაზე  
მთვარესთან შეყრილს,

რად უნდა თქმა, რომ მას არ უჩქევს  
ძარღვებში სისხლი  
და აღარა აქვს მტერთან ბრძოლის  
და ომის თავი.

თავად გოდერძის საქციელი  
მე არ მაკვირვებს,  
რადგანაც ვიცი, აღარ არის  
ამქვეყნად კაცი,

შენი ქცევაა, მამაჩემო,  
რომ მანცვიფრებს მე,  
შენი, რომელსაც ველარ გიძლებს  
მძვინვარე ლომიც.

ორი ლაშქარი ახლა თვალში  
შენ შემოგცქერის.  
მაშ, გაანძრე კარგად ტვინი,  
რა გემართება?!

სანამ თბილია მიწა, სანამ  
ღღის სინათლეა,  
სპას შეუძლია, საომარი  
დასცეს ყიჟინა.

მაგრამ თუ ცოტა დააყოვნე,  
ქარ-ყინვისაგან  
პირი მიწისა შეიკვრება  
როგორც ფოლადი.

როდესაც ხელი კაცს ზედ შუბზე  
მიეყინება,  
ზურგზე რომ ბუქი მოეყრება,  
მკერდზე – ისარი,

რომელ მეომარს მოუნდება,  
მითხარი, ერთი,  
ისეთ ამინდში ბრძოლის ველზე  
რომ გამოვიდეს?!

ხოლო თურქები რომ არიან  
ჩასაფრებულნი  
და ბუსუნდანი,\* შიშობთ, ზურგში  
მოგვივლიანო,

ათასი კაცი მომეცით მე,  
გულით მამაცი  
(ოღონდ ისინი სპიდან თავად  
ამარჩევინეთ)

და მე გაჩვენებთ, რა ვუყო მათ, –  
თავს დავესხმები  
მტრის საბუსუნოს და ზედ ბუქს და  
მტვერს ავადენო!“

გივის ბეჟანის ამ სიტყვებზე  
ჯერ გაეცინა,  
ქება-დიდება შეასხა შვილს,  
შემდეგ კი ასე

მიმართა უფალს: „მაღლობელი  
ვარ შენი, ღმერთო,  
რომ ამისთანა ღირსეული  
შვილი მაჩუქე!

არ დააკელი მას გონება,  
ღონე და რწმენა,  
ბრძოლაში ძალას იჩენს, ხოლო  
საქმეში – ჭკუას.

მაღლობას გწირავ, რომ ძე ჩემი  
მე დამამგვანე,  
ისეთი დადგა ის, ფალავნის\*  
შვილს ვით შეჰფერის.

გამიგონია, ხვადმა ლომმა.  
ცოლს უთხრა თურმე:  
თუ შვილი ჩემი არ გამოვა  
ჩემებრ მამაცი,

მომიკვეთია მაშინ იგი  
გულიდან, მამად  
მდინარის წყალი ჰყავდეს, ხოლო  
ღელად – მიწაო!

მაგრამ შენ მაინც, შვილო ჩემო  
ენამზიანო,  
პაპაშენს ასე უდიერად  
ნუ იხსენიებ!

გამოცდილება აქვს მას დიდი  
და ამის გამო  
ჭკუაც მეტი აქვს ჩვენზე,  
მიტომ გვყავს უფროსადაც.

თუ ცხოვრებაში არის კაცი  
გამოჯვებილი,  
მას წარამარა სხვისი რჩევა  
ალარ სჭირდება.

შენ მართალი ხარ, ჩვენს მხედრობას  
მძიმე ღლე ადგას,  
მაგრამ არც თურქთა ლაშქარია  
დალხინებული.

ჭირში არიან ჩაცვინულნი.  
თურანელებსაც,  
თვალეში ცრემლი უდგათ, ხოლო  
გულებში – ბოღმა.

ჩვენს მოხუცს ერთი სურვილი აქვს  
ამჯერად მხოლოდ:  
უნდა, რომ თურქთა სპამ პირველმა  
დაიწყოს ბრძოლა.

ჰსურს, ზურგი თურქთა სპის მოსცილდეს  
მთას ერთ მანძილზე,  
რომ შემდეგ ლაშქარს შეუძახოს  
ერთბაშად თვისას.

მაშინ იხილავ შენ გოდერძის  
გუფალის\* ტრიალს  
და გაგაოცებს კვლავ სიფიცზე  
და ხაფი მისი.

ცას რომ შესცქერის, ეს მიტომ, რომ  
კარგ ვარსკვლავზე ჰსურს  
თურანელებთან შებმა, შვილო,  
და არა ნავსზე.

როგორც კი ნახავს შესაფერის  
ღროს, ეცემა და  
თურქთაგან ამბის წამლებ კაცსაც  
არ დატოვებსო.“

ასე მიუგო მაშინ თავის  
მამას ბეჟანმა:  
„ჰე ფალავანო, ქვეყანაზე  
სახელგანთქმულო,

რადგან პაპაჩემს ომში შესვლა  
არ ერქარება,  
აქ რისთვის ვდგავართ, რად გვაცვია  
ბერძნული კაბა?

წავალ, გავიხდი ტანზე ჯავშანს,  
ავიყრი რკინას  
და ლაწვებს ღვინით, ვით არღავანს \*  
ავიღალანებ.

ხოლო როდესაც დავჭირდები  
გოდერძს ბრძოლაში,  
აბჯარასხმული ვეახლები  
მაშინათვეო!“

### **ომანი ფირანს თხოვს, ბრძოლის ნება მომეციო!**

ამდენი ხანი თურქის სპაში  
დგომით ომანიც  
გაბეზრებული მიუვარდა  
ფირანს ლომივით.

„ჰე, ფალავანო გულოვანო,  
აფრასიაბმა  
აქეთკენ ჩვენ ხომ ფხოჭა-გლეჯით  
გამოგვაგზავნა!

მეხუთე დღეა, ამოდენა  
მხედრობა აგერ  
რკინაასხმული ველოდებით  
ბრძოლის დაწყებას.

წელი აბჯარმა დაგვიგლიჯა,  
ჯიგარი – ბოდმამ,  
თვალეები კიდევ გაგვიშტერდა  
მტრის მხარეს ცქერით.

ასე პირისპირ რომ უღგახარ  
მტერს, რას უღგახარ;  
მითხარი მაინც, რა გაქვს გულში  
ჩაფიქრებული?

თუ საბრძოლველად ხარ მოსული,  
დაიწყე ბრძოლა,  
ხოლო თუ უკან გაბრუნება  
გინდა, რას უცდი?

ვერ ხვდები მაინც, სამარცხვინოდ  
რომ ითრევ ფეხებს,  
ზურგს უკან ყველა რომ დაგცინის,  
ვერა გრძნობ განა?

ეს ხომ იგივე სპაა, ჩვენ რომ  
წინ ვერ დაგვიდგა  
და სამარცხვინო დამარცხება  
იწვნია ჩვენგან?!

მთელი ლაშქარი ამოვჟუჟეთ,  
ხომ გახსოვს, მაშინ  
და ბრძოლის ველი მათი სისხლის  
რუებით მოვრწყეთ.

მაშინ რომ გვყავდა, ახლაც არ გვყავს  
ჯარი ნაკლები  
და არც როსტომი იმყოფება  
ირანელთ სპაში.

შენ თუ სისხლის ღვრის ხასიათზე  
არა ხარ, ანდა  
სურვილი არ გაქვს ირანელთა  
ლაშქართან შებმის,

ამომირჩიე მაშინ ერთი  
რაზმი მამაცთა,  
მომეცი მე და როგორ უნდა  
ომი, ნახეო!“

როცა ფირანმა მოისმინა  
ომანის თქმული,  
ასე მიუგო: „ნუ ჩქარობ და  
ნუ ცხარობ, ძმაო!

იცი თუ არა, რომ ეს კაცი,  
რომელიც აგერ  
პირისპირ გვიდგას ირანელთა  
ვეება ლაშქართ,

გახლავს რჩეული ხოსროს\* ლომგულ  
ფალავანთ\* შორის  
და გმირთა მათთა თავკაცი და  
თვალისჩინია?!

სხვაც გითხრა ბარემ. ერთი ის, რომ  
ირანის მეფე  
ხელმწიფეს ჩვენსას სახელით და  
დიდებით ჯაბნის.

მეორე: შორის ფალავანთა  
ქაიხოსროვის  
გოდერძის მსგავსი გულოვანი  
არ მეგულება

(მას რომ მოჰკავდეს ვაჟკაცობით  
და ქედმაღლობით,  
საზრიანობით, ჭკუითა და  
გონების ძალით).

მესამეც გითხრა: ჯიგარი აქვს  
დამწვარი გოდერძს, –  
იმდენი შვილის ერთად სიკვდილს  
ვერ ხარშავს გული.

ჩვენ დავუხოცეთ ის შვილები.  
გადაგაეწყდა,  
მისი ვაჟების სისხლით მიწა  
რომ დავარწყულეთ?

სანამდის პირში სული უდგას,  
შურისძიების  
ბოლმით გველივით იკლაკნება  
და ვერ ისვენებს.

მეოთხე ის, რომ ორ ჯარს ირგვლივ  
ორი მთა აკრავს  
და მათ შუაა მოქცეული  
მხედრობა მთელი.

ირანის ლაშქარს კერსაიდან  
ვერ მიუდგები.  
შენ როგორ ფიქრობ, იოლია  
მათზე თავდასხმა?

უნდა ვეცადოთ, ვაიძულოთ  
სპა ირანელთა,  
როგორმე იმ მთას გამოსცილდეს  
ცოტაზე მაინც,



ვინძლო ლოდინით დაიქანცნენ  
და დაუძღურდნენ,  
წაძლიოთ სულმა და დაიწყონ  
პირველმა ომი!

როგორც კი იმ მთას ჯარი მათი  
გამოშორდება,  
მე დროს ვიხელთებ და მაშინვე  
ისრებს დავაყრი.

შემოვევლებით კედელივით  
სპას ირანისას  
და მუსრს გავავლებთ მათ მძვინვარე  
ლომების მსგავსად.

მტერს ის მოუვა, რასაც ვნატრობთ,  
ხოლო სახელი  
ჩვენი მზესავით აღზევდება  
დიდებისაგან.

კაცი თურანელთ სპის ზურგი ხარ,  
სარდალი მეფის,  
დიდებით თავი ცას გიწვდება,  
რა გინდა მეტი?

სახელისათვის ვისაც ბრძოლა  
აღარ სჭირდება,  
იმას რად უნდა გულის ნების  
აყოლა კიდევ?!

ესეც იცოდე, რომ არც ერთი  
სახელის მქონე\*  
შენსავით ვეფხვთან საბრძოლველად  
აქ არ გამოვა.

ყველაზე ნაკლებ გულოვანი  
ვინც არის ჯარში  
და შენებრ ვისაც გმირთან ბრძოლა  
ესახელება,

მას გამოგიყვანს გოდერძი იმ  
ორთაბრძოლაში.  
ასეთ მეომარს ბრძოლის ველზე  
თუ დაამარცხებ,

შენს სახელს ამით არაფერი  
მიემატება  
და არც ირანელთ დააკლდება  
რაიმე ამით.

ზოლო თუ იგი გძლევს ბრძოლაში,  
ვინიცობაა,  
შენი დაკლებით დაკნინდება  
თურანის სპაო!“

რაც თქვა ფირანმა, მოისმინა  
ჭაბუკმა კარგად,  
მაგრამ ჭკუაში არ დაუჯდა  
მისი ნათქვამი.

ასე მიუგო ძმას ომანმა:  
„ირანელთ ჯარში  
ვინ უნდა იყოს, რომ მან ჩემთან  
ბრძოლა გაბედოს?!

თვინიერებას და სიყვარულს  
თესავ შენ გულით,  
მე კი ბრძოლის და სისხლისღვრის ჟინს  
ველარ ვიოკებ.

შენ ომისა და რისხვის ნთხევის  
თუ არ გაქვს თავი,  
ბრძოლის გიზგიზა ცეცხლი თუ არ  
გინთია გულში,

მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ, –  
შეეჯდები ცხენზე  
და უთენია ბრძოლის ველზე  
მარტო გავალო!“

### ომანი როჰამს ინვეს ორთაბრძოლაში

თავის ბანაკში რომ დაბრუნდა,  
განრისხებული,  
ვით გარეული ტახი, კბილებს  
აღრჭიალებდა.

როგორც ინათა, მაშინათვე  
შეკაზმა ცხენი,  
მძვინვარე ლომმა თარჯიმანი  
იახლა ერთი,

ირანელების ჯართან ჯიქურ  
მიიჭრა, გული  
აღსავსე ჰქონდა ბრძოლით, თავი  
კი – შაჰის მტრობით.

ფირანს რომ უთხრეს, ბრძოლის ველზე  
ომანი მარტო  
გაეშურაო, შეუღონდა  
კინალამ გული.

ძმის საქციელმა მოუკიდა  
ჯიგარზე ცეცხლი  
და დარიგება მოაგონდა  
მამისეული:

„არ აჩქარდება არასოდეს  
ჭკვიანი კაცი  
და განსაცდელში არ ამოჰყოფს  
თავს თავის ნებით.

საქმეში ცეტი სულსწრაფობას  
რომ გამოიჩინს,  
მას საქმე იგი უკუღმართად  
წარემართება.

თუ თავში ტვინი არ უდევს კაცს,  
ფასი არა აქვს,  
პირიდან თუნდაც მარგალიტებს  
აფრქვევდეს სულო!”

ომანმა ომში სულსწრაფობა  
გამოიჩინა  
და რას მოიგებს, მე არ ვიცი,  
თავისი ქცევით.

ქვეყნის შემქმნელი იყოს აწი  
მისი მფარველი! –  
ვეჭვობ, ღვთის გარდა  
მისი შველა ვინმემ შესძლოსო.“

ამასობაში ვისეს ვაჟი,  
გმირი ომანი  
გამოუვარდა ირანელთა  
გაწყობილ ლაშქარს,

რათა ბრძოლაში გამოეხმო  
ვინმე გულადი.  
წინ ირანელთა სპის დარაჯი  
შემოეყარა.

ომანს რომ ახლდა თარჯიმანი,  
მასთან მივიდა  
(ზედ ეტყობოდა, რომ არ ჰგავდა  
სამოყვროდ მოსულს).

ჰკითხა იმ თანმხლებს მან: „რომ ასე  
აულერია  
ამ კაცს თავი და ბრძოლის ველზე  
რომ გამოსულა,

რისთვის მოსულა ანდა საით  
აპირებს წასვლას  
აბჯარასხმული და ხელში  
გურზაპყრობილიო?“

ასე მიუგო თარჯიმანმა  
ირანელ დარაჯს:  
„გურზის, მახვილის და მშვილდის დრო  
დამდგარა უკვე.

ამ სახელგანთქმულ გმირს,  
ამ ლომგულ მეომარს თქვენთან  
სწყურია ბრძოლა და ამისათვის  
არის მოსული.

ვისეანთ ომანს უხმობენ მას,  
ქარქაშში ბასრი  
მახვილი უდევს, ხოლო მკერდში –  
ლომის გულიო!“

ირანელებმა რომ შეხედეს  
მის გურზს\* ვეებას,  
მისი აბჯარი და მეფური  
ტანი რომ ნახეს,

ხელიდან შუბი გაუვარდათ,  
შეუდრკათ გული  
ამ ახოვანი ყრმის და ფარრის\*  
მისის წინაშე.

ომანისაგან მაშინათვე  
იბრუნეს პირი,  
თარჯიმანს მისას მიუბრუნდნენ  
და ასე უთხრეს:

“წადი და ომანს მოახსენე  
თურქულ ენაზე  
სუყველაფერი, რაც ჩვენი მისი  
პასუხი გითხრათ:

არ ვაპირებ-თქო შენთან ბრძოლას  
ჩვენ, ვინაიდან  
გოდერძისაგან საამისო  
არა გვაქვს ნება.

თუ ბრძოლა გინდა, ვინ დაგიშლის,  
ოღონდ რადგანაც  
ამდენს გარჯილხარ, გაისარჯე  
ერთხელაც ბარემ,

გოდერძთან წადი, ჩვენი ლაშქრის  
მთავარსარდალთან,  
და საამისო დასტური მას  
გამოთხოვე-თქო!“

ჯარის მათის და თვითონ ჯარის  
თავის შესახებ  
სუყველაფერი დაწერილებით  
მოუთხრეს ომანს.

ისიც უამბეს, თუ ლაშქარში  
ვინ ჰყავდათ გმირი,  
სპის მარჯვენა ფრთას ვინ სარდლობდა  
და ვინ – მარცხენას.

მბობით ეს ომანს კი უამბეს,  
მაგრამ გოდერძთან  
სასწრაფოდ მაცნის გაგზავნაც არ  
დავიწყებიათ:

„მოგვიხტა, როგორც ვეფხვი, თურქის  
სპიდან ომანი,  
ბრძოლა სწყურია და თანხმობა  
თქვენი უნდაო!“

ომანმა ზურგი შეაქცია  
ირანელთ დარაჯს  
და როჰამისკენ დააღირა  
პირდაპირ თავი.

მასთან რომ მოდგა, უღრიალა,  
რაც კი შეეძლო:  
„ჰე, ნებიერო ვაჟიშვილო  
მთავარსარდლისავ,

აქეთ მოსწიე ცხენს აღვირი  
ბრძოლის ველისკენ,  
ორი ლაშქარი შემოგქცერის  
გალმა-გამოლმა.

სპის მარცხენა ფრთას შენ ფლობ,  
ლომის შენ გასხენ ჭანგნი,  
სარდლობა შენ გაქვს ირანელთ სპის  
და მცველიც შენ ხარ.

შენ გამოხვიდე უნდა! სადაც  
გსურს, იქ ვიბრძლოლოთ,  
გინდა – მთის ძირში, გინდა – ველზე,  
გინდა – წყლის პირად.

ხოლო თუ თვითონ ვერ გაბედავ  
ჩემთან გამოსვლას,  
მაშინ გოსთაპემს უხმე თვისი  
ფარუჭელითურთ.

რითაც არ უნდა შემებრძოლოს  
მე მეომარი,  
შუბით იქნება ეს, მახვილით  
თუ მძიმე გურზით,

სულერთი არის: ვინც გამოვა  
ჩემთან ბრძოლაში,  
საწუთრო მიწას განუმზადებს  
საწოლად საწყალს.

მე რომ ხმალს ვიძრობ, ლომს შიშისგან  
უსკდება გული  
და შეუპოვარ ვეფხვს ეხევა  
ტანზე ტყავიო!“

როჰამმა ასე უპასუხა  
ამაზე ომანს:  
„ჰოი ვაჟკაცო, გულადო და  
სახელოვანო,

მეგონა, თურქთა შორის ჭკუით  
იყავ რჩეული,  
მაგრამ ვცდებოდი თურმე,  
როგორც ახლა შევიტყვე.

მარტოკა კაცი ბრძოლის ველზე  
რომ გამოსულხარ  
და ამოდენა სპას რომ ასე  
უდგახარ ჯიბრში,

როგორ გგონია, შენისთანა  
გულადი კაცი  
ამ ქვეყანაზე სხვა არავინ  
მოიძებნება?!

მაშ დაატანე ჭკუას ძალა  
და გაიხსენე,  
რაც ძველი ღროის დიდებულებს  
უთქვამთ ოდესღაც:

ის, ვინც პირველი დაიწყებს ომს,  
უნდა იცოდეს,  
რომ დასახევი უკან გზა მას  
მოჭრილი აქვსო!

შენ რომ გმირები ჩამოთვალე  
აქ, ყველა მათგანს  
ჭანგი საომრად მომახული  
აქვს, ეს იცოდე,

მაგრამ გოდერძის, მთავარსარდლის  
ჩვენის, დასტური  
თუ არ მიიღეს, ისე ბრძოლის  
ველზე ვერ გავლენ.

თუ ჩვენ გმირებთან ბრძოლა ასე  
გულით გწადია,  
წადი და თხოვნით ჩვენს ფალავანს\*  
მიმართე თვითონ!

მისგან აიღე ჯერ ნებართვა  
მის დევ-გმირებთან  
ბრძოლის და ჩვენთან საბრძოლველად  
მერე მოდიო!“

მაგრამ ომანმა როჰამს ასე  
შემოუღრინა:  
„რაებს ბუუტურობ! გეშინია  
და მიზეზს ეძებ.

შენ რა კაცი ხარ, შე დედალო!  
შუბი კი არა,  
ხელში, ვით დიაცს, თითისტარი  
უნდა გეპყრასო!“

### ომანი ფარიბორზს ინვევს ორთაბრძოლაში

ომანმა ეს რომ უთხრა როჰამს,  
მყისვე ნიშანში  
სპის შუაგული ამოიღო  
და იქ გასწია.

ახლა ფარიბორზს მიუვარდა  
ისე, ვით სპილო,  
გაცოფებული გმირი თვისი  
თარჯიმანითურთ.

დაუღრიალა: „ფარიბორზო,  
შე უბადრუკო,  
თავში ჩარტყმულო მუდამ  
გმირთაგმირებისაგან,

ფლობდი სპას, ფლობდი ოქროს ქოშს და  
ფლობდი სპილოებს,  
სამეფო დროშას ქავასას\* ხომ  
ფლობდი და ფლობდი,

მაგრამ ჩაუგდე თურქებს ხელში  
ეს ყველაფერი  
და დღეს ირანში კაცს  
არავინ აღარ გეძახის.

პატრონი იყავ, ახლა თვითონ  
საპატრონო ხარ.  
მონის ქამარი უნდა გერთყას,  
შე გლახავ, წელზე!

შენ ხომ ღვიძლი ძმა ხარ ბრწყინვალე  
სიაუმ მეფის,  
ჩამომავლობით ხომ გოდერძზე  
მალლა ხარ მდგარი?

მე ვარ თურანის\* მეფის,  
თურის\* ჩამომავალი,  
ძირი და მოდგმა ხელმწიფური  
მაქვს მეც შენსავით,

ამიტომ ჩემთან შერკინება  
შენ გმართებს სწორედ,  
ორთაბრძოლაში შენ გეკუთვნის  
ჩემთან გამოსვლა.

მაშ რას ვუცადოთ, ჰა ბურთი და  
ჰა მოედანი,  
გამოდი და სპის თვალწინ ერთურთს  
შევებათ ბარემ!

თუკი შენ ჩემთან აქ გამოსვლას  
გაბედავ ახლა,  
სახელი შენი აღზევდება  
კაშკაშა მზემდე,

ხოლო თუ ამის გეშინია,  
მაშინ ეგების  
ეს მაინც მითხრა: ზავარე სად  
გყავთ ან გორაზე?



ისეთი ვინმე გამოძინებ  
ოლონდ, იცოდე,  
გმირის სახელი რომ უქუხდეს  
მთელს ირანშიო!“

ასე მიუგო ფარიბორზმა  
ამაზე ომანს:  
„მძვინვარე ლომთან ცუდად შებმას  
არ გირჩევ, ვეჟო!

ასეთი არის ბრძოლის ბოლო:  
გამარჯვებული  
გამოდის ერთი, მეორე კი –  
დამარცხებული.

მაგრამ სიფათის შიში მართებს  
გამარჯვებულსაც,  
რადგან ცარგვალი ერთნაირად  
არ ბრუნავს მუდამ.

რისხვას და წყრომას შეუძლია,  
ისე აღზევდეს,  
გაუვერანოს კაცს მამული,  
სახლი და კარი.

კარგად მოიქცა მეფე, როცა  
სამეფო დროშა  
და სპილოები და სპა, ვისაც  
ჰსურდა, მას მისცა.

ქაიყობადის ნაშიერი,  
გვარს ქაიანთა\*  
ვინც ემსახურა და დიდების  
თავჯი\* თავს ირქვა:

ვინც ეს ქვეყანა ააყვავა  
თავისი გარჯით, –  
გოდერძი გახლავს სწორედ,  
ჩვენი მთავარსარდალი.

წინ მიუძღვება ირანის სპას  
ბრძოლებში იგი,  
მამა-პაპანიც სპათა თავნი  
ჰყოლია მუდამ.

დაიმანსოვრე, რასაც გეტყვი:  
დადგება დღე და  
გოდერძის გურზი თქვენს სპასალარს  
თავს გაუხეთქავს.

ლაშქრის სახელი და სირცხვილი  
მას ეკითხება,  
ბრძოლის დაწყების ის იძლევა  
ბრძანებას მხოლოდ.

თუ ნებას დამრთავს, შენ გამოგყვე  
ორთაბრძოლაში,  
სალბუნს\* დამადებს იარაზე  
თავისი ხელით.

თავადაც ნახავ, ბრძოლის ველზე  
რომ არ ვჭამ სირცხვილს  
და სახელს ჩემსას აღვაზევებ  
ცის თაღამდო!“

ომანმა ასე უპასუხა  
ფარიბორზს: „კარგად  
ვხედავ ძალიან, რომ ქაქანში  
ხარ მხოლოდ მარჯვე.“

ერთი ვიცოდე ნეტა, ამ ხმლით,  
ზედ რომ გკიდია,  
თუ დაგიჭრია მაინც ვინმე,  
შე დაფეხვილო!

ეს უვარგისი გურზი რისთვის  
გიპყრია ხელში,  
მეომრის ჯავშანს და ზუჩს მითი  
რას დააკლებო!“

### ომანი გოდერძისგან ითხოვს ორთაბრძოლის ნებართვას

ეს რომ თქვა, ისე მოტრიალდა  
და გაექანა,  
გაავებული ლომიანო,  
იტყოდა კაცი.

ირანელებთან საბრძოლველად  
რკინაასხმული  
ქეშვანდიანი გოდერძის წინ  
დაერჭო ახლა.

ირანის ლაშქრის მთავარსარდალს  
უყვირა მყიფედ:  
„ჰე დიდებულო გმირთა გმირო  
ღევთა მბოჭველო,

გაგებული მაქვს ის, რაც შენი  
მეფისთვის გითქვამს  
და ისიც, ჩვენკენ ირანის სპა  
რად წამოასხი.

ისიც მსმენია, შაჰმა როგორ  
დაგასაჩუქრა  
და ფირანისგან არსაქნელის  
ქნას რომ ითხოვდი.

თურანში\* კაცი მოციქულად  
გამოგვიგზავნე  
(თავად შენი ძე იყო, გივი,  
უბადლო გმირი).

ხოლო მას შემდეგ, რაც შენ თვითონ  
ფიცი დადევი  
ხელმწიფის, ტახტის, თავის\*, მზის და  
მთვარის სახელით

და დაიქანე: ბრძოლის ველზე  
სადმე თუ ფირანს  
მოგკარი თვალი, გაუუხეთქავ  
მას გურზით თავსო!

მძვინვარე ლომთა ხროვის მსგავსი  
სპა შეადგინე  
და მოგვადექი ბრძოლის ყინით  
აღტყინებული.

ახლა კი აგერ კლდესა და ღრეს  
გულგახეთქილი  
შეფარებიხარ, გმირო, მფრთხალი  
ნიამორივით.

ისე იქცევი, ვით ნადირი,  
რომელიც ძლივას  
დაუსხლტა ხვად ლომს  
მას ფეხდაფეხ გამოკიდებულს,

ვიწრო ჩიბეში, როგორც იქნა,  
შემალა თავი –  
ოღონდ გადარჩეს და სირცხვილს და  
სახელს არ ჩივის.

რად გყავს ლაშქარი მთების კალთებს  
შეფარებული,  
რად არ გამოგყავს ბრძოლის ველზე  
საომრად ჯარი?

განა ხელმწიფეს ამისთანა  
მიეცი სიტყვა,  
საომრად წავალ და თავს მთაში  
დავიმაღლო?“

გოდერძმა ომანს უპასუხა:  
„ჭკუას მოეგე  
და უფრო კარგად მოიფიქრე  
სალაპარაკო!

არ იცი საქმის არსი, ისე  
ყბელობ ჰაერზე,  
არვინ არ აგყვა და ახლა აქ  
მე მებაზრები.

როცა მოვედი აქ მე ჩემი  
ვეება ლაშქრით  
(სულ დარჩეული დევგმირები  
მახლავს ირანის),

თქვენ მოიქეცით, ვით იქცევა  
ბებერი ძეგლი,  
მონადირეთა შიშით ტყეში  
რომ იმალება.

სულ ხრიკებში ხართ, ფანდებსა და  
მანქანებაში  
ჩვენი ქამანდის, ჩვენი ხმლის და  
ხელშუბის შიშით.

ვაჟკაცობაზე ნუ ღებ ჩვენთან  
თავს, მოგვერიდე!  
სასაცილოა, ძეგლი გზაზე  
ლომს დაუდგესო!“

რა ეს სიტყვები მოისმინა  
გმირმა ომანმა,  
ლომივით იწყო ბრაზისაგან  
ბრუნვა და დვრინვა.

გოდერძს უყვირა: „ჩემთან შებმას  
თავს რომ არიდებ,  
იმიტომ კი არ შერები ამას,  
რომ გერცხვინება

ომანთან ბრძოლა პირდაპირი,  
არამედ მიტომ,  
რომ კარგად გახსოვს, იქ, ფეშანში  
რა ღლე გაყარეთ.

თუ როგორ ვიბრძვი მე, ლადენში  
გინახავს, მგონი,  
ჩემ ლომგულობას როცა თავად  
ასხამდი ხოტბას!

რაც შენ მითხარი, თუ სწორია  
და თუკი მართლა  
შენს სიტყვებს შენივ საქციელი  
ესატყვისება,

ამომირჩიე მთელს ლაშქარში  
ერთი დევგმირი,  
რომ გამოვიდეს და შემებას  
ორთაბრძოლაში!

თქვენს ფარიბორზთან და როჰამთან  
ვიყავი უკვე,  
გამოვიწვიე სათითაოდ  
ორივე ხმალში.

სულ დავიარე ჯარი შენი,  
მაგრამ თქვენთაგან  
ვერაჟინ ბედავს ჩემისთანა  
ვეშაბთან შებმას.

ტყუოდა ყველა და ერთ მიზეზს  
იმიზეზებდა:  
გოდერძმა თუ არ დაგერთო ნება,  
ვერ ვიბრძოლებთო.

შენ ის არა ხარ, რომ ამბობდი  
მე რომ ვიომებ,  
მთაში ტიტასაც შევუცვლიო  
წითელ ფერს ყვითლად?!

ამდენ ლაშქაში ერთ კაცს როგორ  
ვერ გამოძებნი,  
აილოს ხელში გურზი და მე  
რომ შემებრძოლოს?!

თავადაც ბევრი ვაჟიშვილი  
გყავს გულოვანი,  
ჩვენთან საომრად რკინა რომ აქვს  
ასხმული ყველას.

ერთი მათგანი გამოუშვი,  
რომ შემებას მე!  
თუ მეომარი ხარ, ომს  
რატომ გაურბიხარო?“

მაშინ ჩაფიქრდა ფალავანი\*  
გოდერძი მძიმედ:  
„ვინ მყავს ისეთი, ომანს ბრძოლა  
რომ გაუმართოს?“

ვთქვათ, გამოვუშვი რომელიმე  
ჩემ ლომგულთაგან  
და სიავისთვის ატეხილ ამ  
ღვევმირს შევაბი,

ორთაბრძოლაში რომ დაეცეს  
ომანი, მაშინ  
თურანელთაგან ბრძოლის ველზე  
არვინ გამოვა.

დაიზაფრება ამ ზარალით  
მათი სარდალი  
და ჩვენთან ომზე იქნებ სულაც  
ხელი აიღოს!

ქენაბედიდან\* არ გამოვა  
ლაშქარი მისი  
და ჩვენც დავრჩებით პირში  
ჩალაგამოვლებული.

ხოლო ომანმა თუ მომიკლა  
ორთაბრძოლაში  
გასული გმირი, გამიტყდება  
სარდლის სახელი.

გული დასწყდებათ ჩემს მეომრებს  
და მოითხოვენ,  
რომ იერიშზე გადავიდეთ  
დაუყონებლივ.

ისევ აჯობებს, არ მივუშვა  
არვინ ომანთან  
და სხვანაირად მოვუარო  
როგორმე საქმეს,

რომ ვაიბულო თურქი, მეტი  
ვერ მოითმინოს,  
ვიწროებიდან გამოვიდეს  
და შეგვებასო!”

ომანს კი ასე უპასუხა:  
„წადი აქედან!  
ქაქანი იცი, მაგრამ საქმე  
არ გემარჯვება.

როგორც კი პირი დააღე შენ,  
მაშინვე მივხვდი,  
ვინც ხარ და რაც ხარ (გაიყიდე  
თხასავით თავი).

არ გაჩენილა ჯერ თურქებში  
ისეთი კაცი,  
რამე გზიანი მოისაზროს  
და მოიფიქროს.

არ იცი განა, რომ მძვინვარე  
ლომი ბრძოლის დროს  
ჭანგებს ჯაბანი ძელის სისხლით  
არ დაითხუპნის!

ესეც არ იყოს, აღჭურვილა  
ორი ლაშქარი,  
ერთი სული აქვთ გმირებს, ერთურთს  
როდის ეძგერონ.

ცოდვია ჯარი, – რომ შეხედავს  
ორი მეომრის  
ურთიერთ ბრძოლას, მასაც ომის  
ჟინი მოუვლის.

ჯარი ჯარს უნდა დაეტაკოს,  
ასეა წესი,  
ომი ომია, რკინა რკინას  
უნდა ერკინოს!

შენ ახლა წადი და დაბრუნდი  
ბანაკში უკან,  
შენს მთავარსარდალს წარუდექი  
და მოახსენე:

ირანელთაგან ვის არ ვთხოვე  
ხმალში გამოსვლა,  
მაგრამ პასუხად მხოლოდ ცივი  
ოხვრა გამცეს-თქო!

რა გინდა მეტი? ამით სახელს  
გაითქვამ ომში  
და ფასიც მეტი მოგეცემა  
სარდლის თვალშიო!“

ეს რომ ისმინა, იღრიალა  
ომანმა: „თქვენში  
ვინ არის გმირი ან სარდალი  
რამდენი მოგყავთ?“

ქვეყნის მპყრობელი მეფეთ მეფის  
გამონათქვამი  
მაგონდება სულ, თქვენს საქციელს  
როცა შევცქერი:

დიდების ტახტს და თაჯს\* ნუ ეძებ,  
მაგრამ თუ ეძებ,  
არ დაიხიო უკან, წინ თუნდ  
ცეცხლიც შეგვხვდესო!

ომის სურვილს და ბრძოლის ხალისს  
არ გატყობ მე შენ,  
თორემ უეკლოდ ვარდი როდის  
მოუკრეფიათ!

ირანის ჯარში ვერ მონახე  
ერთი ლომგული,  
ჩემთან ბრძოლა და  
შერკინება რომ შეძლებოდა?

ტყუილად ფიქრობ, გამაბრუნო  
ხრიკებით უკან.  
არსად არ წავალ! გეტყობა, შენ  
მე არ მიცნობო“.

გულოვანთაგან ვინც ისმენდა  
ომანის ნათქვამს,  
სუყველამ ერთხმად მთავარსარდალს  
მიმართა თხოვნით:

„ამოარჩიე ერთი ვინმე  
გმირი ჩვენ შორის  
და ის ომანთან შესაბამელად  
გაიყვანეო!“

მაგრამ გოდერძმა არ ისმინა  
მათი ვედრება:  
„დღეს არ ეგების, რომ შეეხას  
ვინმე ომანსო!“

თავად ომანს კი როცა ყელში  
ამოუვიდა  
ამდენი თხოვნა, როგორც ლომი,  
ისე გახელდა.

ჯერ გაიცინა, მერე გოდერძს  
ზურგი აქცია  
და დააღირა თავი ჯიქურ  
დარაჯებისკენ.



მოიგდო მშვილდი, კაპარჭიდან\*  
ისარი იძრო  
და ოთხი კაცი გააგორა  
იქვე მათ თვალწინ.

სხვა დარაჯებმა როცა ნახეს,  
ომანი მათკენ  
რომ მოიწვედა  
ლარზე ისარგადადებული,

უტიეს გზა გმირს და მოკურცხლეს,  
როგორც შეეძლოთ,  
თავს ძლივს უშველეს ველზე  
თავქუდმოგლეჯილებმა.

ბოლმისგან მთვრალი თურქი ფიცხლად  
ავარდა მთაზე  
და ის მთა ბართან გაასწორა,  
ისე იყვირა.

იღგა და მალლა იქნევა შუბს  
თავის გარშემო:  
„უძლეველ ომანს ვინც არ იცნობთ,  
მე გახლავართო!“

მთის თავზე შუბი აღიმართა  
მალლა თუ არა,  
ბრძოლის ველიდან საყვირის ხმა  
გაისმა მყისვე.

სიხარულისგან ცას ეწივნენ  
თურანელები,  
თურქი მხედრები მუზარადით  
მთვარეს ხეხავდნენ.

იქით ომანი ბობოქრობდა  
გულზე მოსული,  
აქეთ კი გოდერძს გული ბოლმით  
ეგუდებოდა.

სირცხვილში იყო ჩავარდნილი  
მთავარსარდალი,  
სიბრაზისაგან არ იცოდა,  
რა უნდა ექნა.

იწურებოდა ოფლში თვისი  
მხედრობის თვალწინ  
და რაც იქ მოხდა, მხოლოდ ზეცის  
განგებით ახსნა.

„ვარსკვლავის ნებით იყო ასე  
გადაწყვეტილი,  
მისივე ძალით ავის მდომელს  
ავს მიუზღვაო!“

შემდეგ კი მასთან მოჯრილ გმირებს  
ახედ-დახედა, –  
ვინ გამოეშვა მათგან თურქთან  
ორთაბრძოლაში?

### ბეჟანმა ომანის ამბავი გაიგო

ბეჟანს ამბავი მიუტანეს:  
„ომანი როგორც  
მძვინვარე ლომი მიუვარდა  
პაპაშენს, გოდერძს,

ლაშქრის მარცხენა ფრთაზეც მოდგა,  
მარჯვენა ფრთაზეც,  
ორთაბრძოლაში ჰსურდა, ვინმე  
გამოეწვია.

არავინ აჰყვა. ჩვენგან ხმალში  
არავინ გაჰყვა.  
გაგვლანძლა მაგრად და წავიდა  
გაშმაგებული.

მოლაშქრეთაგან ოთხი კაცი  
გამოგვაცალა,  
ვაგლახად ყრიან მტვერში  
ისრით განგმირულნიო“.

ეს რომ ისმინა, როგორც ვეფხვი,  
წამოხტა ზეზე  
(საომრად ჰქონდა ალესილი  
ბასრი ჭანგები).

ბრძანა ბეჟანმა, შეეკაზმათ  
სასწრაფოდ ცხენი,  
სპილოს სიმაღლე ბედაური  
ქარივით მალი.

რკინის პერანგი გადაიცვა  
ტანზე ბერძნული,  
შავს მოსართავი მოუჭირა  
და ზედ მოეველო.

როგორც უხორცო გაჩნდა უცბად  
მამის წინაშე  
და პაპამისზე წამოუწყო  
კვლავ საუბარი.

ასე მიმართა გივის შვილმა:  
„მე, მამაჩემო,  
გულში რაც მედო, ერთხელ უკვე  
მოგახსენე შენ!

აკი გითხარი, დაუსუსტდა  
გოდერძს გონება,  
გამოცვლილია კაცი, განა  
ვერ ხედავ-მეთქი?!

გული შიშით აქვს სავსე, ხოლო  
ჯიგარი – სისხლით  
მკვდარი შვილების გამო ზარის  
და მოთქმისაგან.

იმდენი ვაჟი გაუჟუჟეს  
კაცს, საშინელი  
ის ხოცვა-ჟლეტაც საკუთარი  
თვალით იხილა.

ახლა ხომ ხედავ, თურქი როგორ  
გაგვითამამდა!  
ამხელა ლაშქარს ერთი კაცი  
გვეცა, ვით ლომი.

თავად პაპაჩემს მიუვარდა  
შუბშემართული  
და როგორც მთვრალმა, სულ უყვირა  
და უღრიალა.

ამხელა სპაში არ აღმოჩნდა  
ერთი გულადი,  
რომ გაჰყოლოდა იმ თავხედ თურქს  
ორთაბრძოლაში,

შებმოდა ომანს გულუშიშრად  
და წამოეგო  
იგი ზედ შუბზე, ვით შამფურზე  
ქათამს აგებენ.

ჭკუით ქებულო მამავ, ამას  
გთხოვ: სიაუშის  
თორი რომ გაქვს შენ, ის თორი მე  
ჩამაცვა ტანზე!

ომანთან ბრძოლა მე მეკუთვნის,  
უნდა გავყვე მას  
და უნდა დავსცე იგი  
ორთაბრძოლაში მეო!“

გივიმ შვილს ასე უთხრა: „ჩემო  
ჭკვიანო ბიჭო,  
დამიგდე ყური და ისმინე,  
რასაც მე გეტყვი!

ნუ ფიცხობ-მეთქი, აკი ერთხელ  
გირჩიე უკვე,  
ისიც გითხარი, გოდერძის ძვირს  
ნუ იტყვი-მეთქი!

ის გამოცდილი კაცი არის,  
ჭირგამოვლილი,  
მიტომაც მისცეს ირანის სპის  
მთავარსარდლობა.

განა გულადი დევგმირები  
აკლია გოდერძს  
(შეხე, მძვინვარე სპილოს როგორ  
ჰგვანან ისინი!),

მაგრამ არავინ არ გაუშვა  
ორთაბრძოლაში.  
ჯერ ჭაბუკი ხარ და ვერ ხვდები  
მოხუცის სიბრძნეს.

შენ მკლავი გერჩის, ბრძოლა გინდა  
და ამის გამო  
მოდისარ ჩემთან და მთხოვ, ჭაბუკს  
მხარი აგიბა,

მაგრამ არა ვარ ამის მომხრე,  
გითხარი ერთხელ,  
ახლაც იმასვე გიმეორებ.  
მეტს ნუღარ მთხოვო!“

ბეჟანმა მამას უპასუხა:  
„რადგან ჩემს წადილს  
წინ აღუდექი და სახელსაც  
ჩემსას არ ჩივი,

წავალ, სპასალარს ვეახლები  
რკინაასხმული  
და თავად მას ვთხოვ, ნება მომცეს  
ორთაბრძოლისო!“

ეს რომ თქვა, ცხენი მიაბრუნა  
ბეჟანმა ფიცხლავ  
და გაეშურა პაპის მისის  
გოდერძისაკენ.

თაყვანი სცა მას, ხოლო შემდეგ  
ჯავრიან გულზე,  
სუყველაფერი უთხრა, რაც კი  
სათქმელი ჰქონდა:

„ეჰე ამ ქვეყნის მეფის დიღო  
მთავარსარდალო,  
ყველაფრის მცოდნეც და სამეფოს  
ტახტის მშვენიერბავ,

ერთი რამ მიკვირს, ფალავანო\*,  
შენი მე, თუმცა  
თავად ამ ქვეყნად სხვაც ბევრი რამ  
არ გამეგება:

ეს ამოდენა სპა საომრად  
რომ წამოასხი,  
ომს რად არ იწყებ, რატომ არ გსურს  
თურქებთან ბრძოლა?

მეშიდღე დღეა, რაც ამ კელზე  
უსაქმოდ ვყრივართ,  
უქმად ვალამებთ დღეს და ღამეს  
ფუჭად ვათენებთ.

მზეს ვერ ვადირსეთ ხმალთა ჩვენთა  
ლაპლაპის ხილვა,  
ვერც ის შევძელით, აგვედინა  
კელზე მტერის ბუქი.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი,  
მე ეს მანცვიფრებს:  
ერთი ვილაცა ვიგინდარა  
თურქი მოგვიხტა.

თავად იზადმა\*,  
მან, კეთილისმყოფელმან ჩვენმან  
ხოლო იმ თურქის მოძულემ და  
ავისმლომელმან

გამოიტყუა თურანელთა  
ლაშქრიდან იგი  
და აქ მოგვეგვარა, რათა მისთვის  
თავი მოგვეჭრა.

შენ კი მახეში გაბმულ კანჯარს\*  
ვერ ეპატრონე.  
ეს რატომ ჰქენი, სწორი გითხრა,  
ვერ გამიგია.

შენ ასე ფიქრობ: ომანის სისხლს  
თუ დავღვრით, მაშინ  
ფირანი ჩვენთან საბრძოლველად  
არ გამოვაო.

ტყუილად ფიქრობ ასე! მისი  
სიკვდილი ფირანს  
უფრო აღანთებს საომრად  
და შურის საგებად.

მე აგერ სისხლში მაქვს ჭანგები  
ამობანილი  
და ასხმული მაქვს რკინა მტერთან  
შესარკინებლად.

თუ ნებას დამრთავს ფალავანი\*,  
მაშინ ახლავე  
გავუვარდები ომანს, როგორც  
მძვინვარე ლომი.

ვინძლო უბრძანოს გივის ჩვენი  
ლაშქრის სარდალმა,  
რომ ის აბჯარი გმირთაგმირის  
სიავახშისა

(ბერძნული თორი და ჩაჩქანი)  
მე მომცეს აქეთ,  
კეთილინებოს და მოაბას  
საქმეს თავიო!“

როცა გოდერძმა მოუსმინა  
ბეჟანს, ლომგული  
რომ იყო ის და ქველი, ერთხელ  
კიდევ ირწმუნა.

სინარულისგან გაიბადრა  
და უძღვნა ქება:  
„დაე, გფარავდეს მარად შენი  
თანმხლები ბედი!

მას აქეთ, რაც კი ვეფხვის უზანგს  
შეადგი ფეხი.  
ჭანგი დაუცვდა ლომს და ურჩხულს  
ხახა დაეხშო.

არ იცი, რაა შესვენება  
და ჩამუხლება,  
ომი იქნება თუ სხვა საქმე,  
პირველი შენ ხარ.

ყოველ ბრძოლაში გულუშიშრად  
შედიხარ მუდამ  
და გამოდიხარ, როგორც ლომი,  
გამარჯვებული.

მაგრამ არ იცნობ მას, უნასს და  
სიავის მოქმედს,  
აპრიმანის\* აქვს ომანს ქცევა,  
კაცის კი არა.

ჯერ ჭაბუკი ხარ, განგებისგან  
გამოუცდელი  
და ჩალის ფასად შეგიძლია,  
სიცოცხლე დათმო.

შენ აქ იყავი, მასთან კი მე  
ომებში ნაცადს  
მივუშვებ ვინმეს, ლომს მეხივით  
თავს რომ დაატყდეს.

ვითარცა სეტყვა, დააყაროს  
ისრები ომანს  
და დააკეროს მუზარადი  
თავზე ისრითო!“.

ბეჟანმა პაპას უპასუხა:  
„ჰე ფალავანო,  
გულუშიშარი და მამაცი  
ხამს ახალგაზრდა.

შენ თუ ფორუდთან ბრძოლას ჩემსას  
არ შესწრებიხარ,  
ახლა გეძლევა დრო, ხელახლა  
რომ გამომცადო.

ფეშანთან, გახსოვს, ბრძოლის ველზე  
შევძარი მიწა.  
მტერს ჩემი ზურგი არ უნახავს  
არასდროს ომში.

მაშინ რად მინდა მე სიცოცხლე  
ამ ქვეყანაზე,  
ვაჟკაცობაში თუკი ვინმეს  
ტოლი დავუდე!

შენც თუ დამიშლი ორთაბრძოლას  
და შენც თუ მეტყვი  
ახლა, ომანთან შესაბამელად  
არ გაგიშვებო,

მაშინ ხელმწიფეს ჩაუკვარდე  
ფეხებში უნდა,  
ალარც აბჯარი მინდა, ალარც  
ქოლაჰი \* მსურსო!“

გოდერძმა მეტად გაიხარა  
და გაიღიმა,  
ალვის ხის მსგავსად გაიმართა  
მოხუცი წელში.

ასე მიუგო: „ბედნიერი  
კაცია გივი,  
რომ შენისთანა გულოვანი  
ვაჟიშვილი ჰყავს.

დე, კურთხეული იყოს იგი  
დღე სვესვიანი,  
როცა გაუჩნდი დედას ჩემი  
გულის იმედად!

შენ ომის მდომი ლომი, როცა  
დაიწყებ ბრძოლას,  
მეტოქე ძრწოლას მიეცემა  
მაშინვე შიშით.

გაძლევ ომანთან ბრძოლის ნებას  
და ამ ბრძოლაში  
დაე, გფარავდეს ანგელოზი  
კეთილი ნების!

ქვეყნისმფლობელის იაზდანის\*  
ჩვენის სახელით  
და გულოვანთა გმირთა ჩვენთა  
ხელმწიფის ბედით

ის აპრიმანი ხელით შენით  
განიგმირება.  
შენ შენი სცადე, დანარჩენი  
უფალმა იცის!

მე გივის ვეტყვი ჩემდათავად,  
რომ სიაუშის  
თორი, რომელიც მას აცვია,  
შენ დაგილოცოს.



თუ გაიმარჯვებ შენ ომანთან  
ორთაბრძოლაში,  
მოგემატება პატივი და  
ღიღება ჩემგან

და ალგაზევებ გივიზე და  
ფარჰადზე უფრო  
განძით იქნება, ლაშქრით, ტახტით  
თუ ქოლაჰითო!„\*“

ასეთი სიტყვა უთხრა თავის  
შვილიშვილს პაპამ  
და შვილიშვილიც ცას ეწია  
სიხარულისგან.

ჩამოხდა ცხენით მაშინათვე,  
გოდერძის ფერხთით  
ემთხვია მიწას და აქო და  
ადიდა იგი.

ხოლო გოდერძმა მაშინათვე  
მოიხმო გივი  
და მას დაუწყო საუბარი  
ბეჟანის გამო.

შემდეგ კი სიტყვა ჩამოუგდო  
სამეფო თორზე,  
რომელსაც მისი ძე ითხოვდა  
თურქთან საომრად.

ასე მიუგო მამას გივიმ  
დაფეთებულმა:  
„ჰე ფალავანო, ქვეყანაზე  
გამორჩეულო,

ეს ბიჭი არის ჩემი სული,  
ჩემი სიცოცხლე  
და განა ასე ადვილია  
მისი დათმობა?!“

მითხარი, როგორ მოვიწყვიტო  
მკერდიდან პირშო  
და ვით ჩაუგდო ის პირაშკმულ  
ურჩხულს ყბაშიო?!“

გოდერძმა ასე მიუგო შვილს:  
„ჩემო ძვირფასო,  
შენ, როგორც გატყობ, საკუთარ შვილს  
არ იცნობ კარგად!“

მართალი არის, ჭაბუკია  
იგი ჯერ კიდევ,  
მაგრამ გონება აქვს ფხიზელი  
და საზრიანი.

ესეც არ იყოს, აქ საომრად  
ვართ ჩვენ მოსული,  
რათა გავწმინდოთ დედამიწა  
აპრიმანისგან.

შაჰის ნება და სიაუშის  
ვნება არ გვაძლევს  
ნებას, ნათესავთ შეღავათი  
რომ მივცეთ ომში.

ღრუბელი წვიმის წილ ბასრ მახვილს  
რომ აწვიმებდეს,  
თავს ვერ დავზოგავთ,  
ბრძოლის კელზე უნდა გავიდეთ!

ომით ნუ აფრთხობ ბიჭს და ბრძოლით  
ნუ შეაშინებ, –  
სირცხვილი რაა და სახელი,  
უნდა იცოდეს!

თუ უქნარობას მიეჩვია  
ყმაწვილი კაცი,  
ზნედაცემული გამოვა და  
სულმდაბალიო!“

სხვა რა გზა ჰქონდა გივის  
ამის მოსმენის შემდეგ,  
მაგრამ თვის ურჩ შვილს ერთხელ კიდევ  
ურჩია მამამ,

ომანთან ბრძოლის განზრახვაზე  
აელო ხელი,  
მაგრამ ბეჟანმა ითაკილა:  
„სახელს მიტეხო!“

მაშინ კი გივიმ გოდერძს უთხრა:  
„ჰე ფალავანო,\*  
როდესაც ხედავ, რომ სიცოცხლეს  
სიკვდილი ჯაბნის,

მაშინ კაცისთვის არც შვილია,  
არც განძი, არც სპა,  
არც სირცხვილია, არც სახელი  
და არც ბრძანება.

წინ განსაცდელი მელოდება,  
რატომ გავსწირო  
თავი და ხელი სიცოცხლეზე  
რატომ ავილო?!

თუ ბრძოლა უნდა, საჭურველი  
რატომ არა აქვს  
და თუ აქვს, მაშინ საჭურველს მე  
რატომ მართმევსო!“

ეს რომ ისმინა, ასე უთხრა  
ბეჟანმა მამას:  
„მშვიდად იყავი, არ გვჭირდება  
ჩვენ შენი თორი!

შენ რა გვინია, ის ჯავშანი  
თუ არ ექნება,  
ისე ვერავინ ვერ იბრძოლებს  
ამ ქვეყანაზე?!

განა სიაუშ მეფის თორი  
მანცლამანც  
უნდა ეცვას გმირს,  
რომ სახელი მოიხვეჭოსო?“

ეს მიაძახა თავის მამას  
თუ არა, იქვე  
ჰკრა ქუსლი ტაიჭს ბრძოლის ველზე  
გამოსასვლელად.

## გივი ბეჟანს სიაუშის\* თორს აძლევს

როცა ბეჟანი მოლაშქრეთა  
თვალს მიეფარა,  
გული მოეწვა გივის, ქცევა  
ინანა თვისი.

ეს რა ვქენიო! – თქვა და ცრემლი  
მოადგა თვალზე.  
შეხეთ, რა მწარე რამე არის  
მამაშვილობა!

ჯიგარდამწვარმა და ნალველით  
გულდათუთქულმა  
ალაპყრნა თვალნი მალლა ცისკენ  
და ქვეყნის შემქმნელს

შესთხოვა გვიმ ასე: „ჰოი  
უფალო ჩემო,  
ეს დაკოდილი გული, გვედრი,  
შენ გამიმრთელო!

არ დამიმდუღრო გულ-მუცელი  
ბეჟანის გამო!  
დამიტალახდა ფეხქვეშ მიწა,  
იმდენს ვღვრი ცრემლებს.

მარუქე შვილი ჩემი, ღმერთო,  
მე ხელმეორედ.  
არ მიმიკარო ფათერაკი  
ბეჟანს ახლოსო!“

დაბრუნდა გივი უკან ფიქრით  
დამძიმებული,  
განსაცდელის წინ ედგა შვილი  
და ეს ზარავდა.

გულში ამბობდა: „ასე რატომ  
გავანაწყენე,  
რად არ დაუთმე მაშინათვე,  
რომ მთხოვა თორი;

თუკი ომანმა მომიკლა ის,  
რა ოხრად მინდა  
მაშინ ან თორი იგი, ანდა  
სხვა საჭურველი!

დავრჩები ასე ვაებით და  
ტანჯვით გვეშული,  
გული ნაღველით ამევსება,  
თვალი კი – წყლითო!“

მაშინვე ქუსლი ჰკრა ქურანს და  
შვილს გაეკიდა,  
წამოეწია ბრძოლის ველზე  
გამოსულ ბეჟანს.

უსაყვედურა: „ასეთ ღლეში  
რად გყავარ, შვილო?  
სადაც სიღინჯე ეგების, იქ  
სიფიცხეს იჩენ.

შავ გველს მანამდის შეუძლია  
ველზე პარპაში,  
სანამდის წყლიდან გველეშაპი  
არ ამოსულა.

ცის კაბადონზე მხოლოდ მანამ  
ანათებს მთვარე,  
არ აღმომხდარა სანამ ქვეყნის  
მანათობელი.

ახლა ომანთან საბრძოლველად  
მიემურები,  
მე არ მიჯერებ, ეურჩები  
მამის ბრძანებას.

ისე ბრმად მისდევ გონმიხდილი  
გულისთქმას შენსას,  
არც კი გაფიქრებს, საქმის ბოლო  
ვით იქნებაო!”

შვილმა მიუგო მას: „სიაუმ  
ხელმწიფის სისხლი  
მინდა ვიძიო და ძალიან  
გთხოვ, ნუ დამიშლი!

არც რკინისა მყავს და არც რვალის  
თქვენი ომანი,  
არც აჰრიმანი\* არის და არც  
მთვრალი სპილოა;

ერთი მებრძოლი კაცი არის,  
მეტი ხომ არა?  
მეც მეომარი ვარ და ერთ კაცს  
არ გავუქცევი!

განგებას ჩემთვის შუბლზე  
რაც ზედ დაუწერია,  
ის ასრულდება, ეს საწუთრო  
უფლის ხელშია.

თუ გადაგხდება თავს განგებით  
გადასახდელი,  
გულს მწუხარებით ნუ აღივსებ,  
შეურიგდით!”

აბჯარასხმული და ლომივით  
გამოკვართული  
ბეჟანის თვისის ნაუბარი  
რომ მოისმინა,

ქარივით მყისვე ტაიჭიდან  
ჩამოხდა გივი  
და შვილს გადასცა სიაუმის  
თორი და ცხენი.

თან უთხრა: „რადგან ბრძოლა ასე  
გწაღია, შვილო,  
და გრძნობა შენი გონებაზე  
ასე ბატონობს,

ამ გრიგალივით მალ ტაიჭზე  
შეჯექი მაინც,  
ვისი ფოლის ქვეშ დედამიწა,  
ძრწის და ზანზარებს!

ჰა ჩემი თორიც! ნახავ, როგორ  
გამოგადგება,  
როდესაც გახვალ აჰრიმანთან\*  
ბრძოლის ველზეო!“

მამის ბედაურს რომ შეხედა  
ბეჟანმა, მყისვე,  
როგორც გრიგალი, ჩამოიჭრა  
თავისი ცხენით.

სიაუმ მეფის თორი იგი  
ჩაიცვა ტანზე,  
ქამარზე კარგად მიიმაგრა  
და ზედ მოირგო.

შემდეგ სამეფო ბედაურზე  
ამხედრდა გმირი,  
შეიკრა წელი და აილო  
ხელთ მძიმე გურზი.\*

ირანის სპაში თარჯიმანი  
მონახა ერთი,  
კაცი, რომელმაც თურქთა ენა  
კარგად იცოდა,

გახელებული ლომის მსგავსად  
გავარდა ველად  
გმირი, სიაუმ მეფის სისხლის  
მადიებელი.

როდესაც ომანს მიეახლა,  
გაჰკვირდა: მის წინ  
კაცი კი არა, ცეცხლის მფრქვევი  
რკინის მთა იდგა.

აბჯარი ისე უელავდა,  
ველს ანათებდა,  
ჯავშანში იყო ჩაჭედული  
ვეება სპილო.

ბეჟანმა ასე გადასძახა  
თავის თარჯიმანს:  
„მიდი და კაცთა მავნე იმ თურქს  
ჩემგან უთხარი:

თუ ვაჟკაცი ხარ, გამობრუნდი  
ახლავე უკან.  
გულით მწადია შენთან აქვე  
ორთაბრძოლა-თქო“

ომანს უყვირა: „გმირო  
მრავალ ომში ნაცადო,  
რას დაატენებ ცხენს ამ ველზე  
აღმა და დაღმა?!

სიაგაკაცეში მოიტოვებ  
აფრასიაბსაც,  
მთელი თურანი შენს წყევლაში  
და კრულვაშია.

ქიშპობისა და მტრობის ხანძარს  
სულ შენ აჩალებ.  
სხვას, შენებრ ცოდვილს თურანშიაც  
ვერ ნახავს კაცი.

მაღლობას ვწირავ დიდ იაზდანს\*,  
სიკეთის მოქმედს,  
რომ შენი თავი შემახვედრა  
მან ბრძოლის ველზე!

თუ გული გერჩის და ძარღვებში  
გიღელავს სისხლი,  
შემობრუნე ცხენი ჩემკენ  
და წინ დამიხვდი!

ადგილი თვითონ აირჩიე  
ორთაბრძოლისთვის:  
გსურდეს, ვიბრძოლოთ ველზე, გსურდეს, –  
სერზე გავიდეთ!

და თუ არადა, აგერ არ დგას  
ერთიმეორის  
პირისპირ ორი სპა და თვალში  
არ შემოგვეყურებს?!

შემები შენი მტრებისა და  
მოყვრების თვალწინ  
და ქვეყანაზე მით სახელი  
მოიხვეჭეო!“

ეს რომ ომანმა მოისმინა,  
ხარხარი იწყო  
და სიცილით რომ გაძღა,  
ბეჟანს ასე მიუგო:

„შე საცოდავო, განა ცუდად  
ცხოვრობდი დღემდე,  
რომ შენს მხრებს თავის შენის ზიდვა  
მობეზრებიათ?!

ბანაკში ისე დაგაბრუნო  
უკან, რომ ურვით  
ემდულრებოდეს გულ-მუცელი  
მამაშენს შენზე.

ცოტაც მაცალე და წაგაცლი თავს  
მშრალად ისე,  
ვით წამიცლია თავი ბევრი  
შენისთანისთვის!

ჭანგებში ისე მოგიმწყვდიო,  
როგორც რომ ქორი  
კლანჭებით ხონობს საროს ტოტზე  
იტაცებს ხოლმე.

ხონობი იგი კი კრიახებს  
და კუთავს საწყლად.  
და იღებება სისხლით მისით  
იქაურობა.

ოღონდ ეს არის, სადაცაა  
მზე იწურება  
უმაღლე ღამეს, დღეს ცოცხალი  
რომ გადამირჩი!

მე ისევ უკან დავბრუნდები  
მთავარბანაკში  
და ღამით სარდალს ვეახლები  
ჩვენი ლაშქრისას.

ხოლო იქიდან კი დილაზე  
ქედგამართული  
გამოვალ ბრძოლის ველზე შენთან  
შესაბმელადო!“

ბეჟანმა ასე უპასუხა:  
„სადაც გინდოდეს,  
წადი, წინ ეშმა დაგხვედრია,  
უკან კი – ხრამი!



მაგრამ იცოდე, ზვალ რომ ბრძოლის  
ველზე გამოხვალ,  
ვერც სპა გიხილავს მობრუნებულს  
უკან, ვერც მეფე.

ისე წაგაცლი თავს ტანიდან,  
რომ ვერასოდეს  
ომი რა არის, ვერ იგრძნო და  
ვერ იაზროო!”

ეს რომ თქვეს, ზურგი შეაქციეს  
ერთიმეორეს  
და ბრძოლის ველზე ღამის ბინდი  
ჩამოწვა კიდევ.

თავ-თავის ბანაკს მიაშურა  
ორივე გმირმა  
და მთავარსარდალს თავ-თავისას  
წარუდგა ორივე.

სულ ძილ-ღვიძილში გაატარეს  
ღამე, ორივე  
გმირს ერთი სული ჰქონდა, როდის  
გათენდებოდა!

როცა ცისკარმა მთის წვერიდან  
ამოჰყო ყური  
და ბნელი ღამის მოსასხამი  
თვალს მიეფარა,

აისხა რკინა საომარი  
ტანზე ომანმა  
და მოახსენა ფირანს,  
რასაც ეპირებოდა:

„ორთაბრძოლაში გამოვინმე  
გივის ბეჟანი  
და მთელი ღამე ამის ფიქრში  
გავათენეო!“

ლაშქრიდან ერთი ირანულის  
მცოდნე მხედარი  
გამოიბარა და ალისფერ  
ტაიჭზე შესვა.

და გამოვიდა ბრძოლის ველზე  
ღევგმირი თურქი,  
ბეჟანს ეძებდა მისი თვალი  
გაფაცვიცებით.

ბეჟანმაც ბრძოლის ველზე გასვლა  
არ დააყოვნა.  
თურქულის მცოდნე თარჯიმანიც  
მისდევდა უკან.

ღამისფერ ცხენზე მოსხლეტილი  
იჯდა ჭაბუკი,  
ვით ვეფხვი, მტერთან შესაბამელად  
გამზადებული.

ტანთ თორი ეცვა დიდებულთა  
შესამოსელი  
და უელავდა მუზარადი  
თავზე სამეფო.

რომ გაუსწორდა ომანს, ასე  
შესძახა: „ხელო“,  
გუშინ როგორღაც გადამირჩი  
ცოცხალი, მაგრამ

არაფერია, იმედი მაქვს,  
რომ აი, ამ ხმლით  
ახლავე ისე აგაცალო  
თავი მხრებიდან,

რომ სისხლმა შენმა ფეხქვეშ მიწა  
აგიტალახოს  
და მოგაგონდეს ძველთაძველი  
ერთი იგავი,

შვილს რომ შესძახა ნიამორმა  
გულგახეთქილმა:  
ეს ველი აწი ხავერდადაც  
რომ გადაიქცეს,

მას აქეთ, რაც იქ ძლივს მახისგან  
დავიხსენ თავი,  
მიხედვაც არ მსურს მისკენ, შენი  
იყოს იგიო!

ომანმა ასე უპასუხა  
ამაზე ბეჟანს:  
„დაეგლიჯება დღეს ჯიგარი  
პირმშოზე გივის.

ქენაბედის\* მთის კალთაზე გსურს,  
შევებათ ერთუერთს,  
თუ რაიბედის\* მხარეს არჩევ  
ამ საქმისათვის?

იქ შორს ვიქნებით და ვერავინ  
მოვა საშველად.  
არც ირანელი შეგვიშლის ხელს  
და არც თურქიო!“

ბეჟანმა უთხრა: „სანამ უნდა  
ვიყბელოთ ასე,  
ბრძოლა ბრძოლაა, სადაც გინდა,  
იქ დაგხვდებით!“

მაშინ კი ცხენებს ჰკრეს ქუსლი და  
ბუქი აშალეს  
(მშვილდებზე ჰქონდათ გაწყობილი  
ისრები უკვე).

მოსისხლე მტრები იყვნენ, ბრძოლას  
არვინ უშლიდა  
და დაეძგერნენ ერთუროს სამკვდროდ  
და სასიცოცხლოდ.

ძირს ჩამოიჭრნენ ქენაბედის  
მთის კალთებიდან  
და წინ გადაშლილ ფართო ვაკეს  
დაადეს თავი.

ერთი ტრამალი ველი დახვდათ,  
ზედ კაციშვილი  
ჭაჭანებითაც კი არსად რომ  
არ ჭაჭანებდა.

იმ ბარის თავზე ბარს\* და ძერას  
არ გადეფრინა  
და ეტყობოდა, ბაბრსაც\* ფეხი  
რომ არ დაედგა.

არც ირანელი ჩანდა ირგვლივ,  
არც თურანელი,  
შემწედ ვერც ბეჟანს ეწეოდა ვინმე,  
ვერც – ომანს.

სანამდის ბრძოლას დაიწყებდნენ,  
პირობა დადეს:  
თარჯიმანისთვის არცერთ მათგანს  
ხელი არ ეხლო.

„ის, ვინც ცოცხალი გადარჩება  
ორთაბრძოლაში,  
მან თარჯიმანზე არ ანთხიოს  
რისხვა და ბოღმა,

ვინდლო დაბრუნდეს თარჯიმანი  
უკან და მეფეს  
უამბოს თვისას ორთაბრძოლა  
ვით წარიმართა.

მოუყვეს წვრილად, ბრძოლის ველზე  
როგორ ვიბრძოდით  
და როგორ სძლია ჩვენგან ერთმა  
მეორე გმირსო“.

როგორც ეს დათქვეს, მაშინათვე  
ჩამოქვეითდნენ  
და საომარი რკინა ტანზე  
მოირგეს კარგად.

შემდეგ კი ცხენებს მოუჭირეს  
მოსართავები.  
ერთიმეორეს მტრობით ჰქონდათ  
აღსავსე გული.

მოახტნენ ჰუნეს, მშვილდ-ისარი  
აიღეს ხელში  
და გამოვიდნენ ბრძოლის ველზე  
მოსისხლე მტრები.

ისე ძლიერად მოზიდული  
ჰქონდათ ლარები,  
რომ ერთმა წვერმა მეორე წვერს  
უწია მშვილდის.

რაც კი ისარი ჰქონდათ, ერთურთს  
რომ დააყარეს,  
შუბებს ჩაავლეს ხელი და მით  
ეძგერნენ ერთურთს.

ეს რომ აქედან უმიზნებდა,  
ის იქით ხტოდა  
და ტრიალებდა ბრძოლის ველზე  
შუბი და კაცი.

ტანზე ჯავშანი შემოაცვდათ  
და შემოემსხვრათ.  
ვინ ვის განგმირავს? ვის უმუხთლებს  
წუთისოფელი?

ხანაგამშრალი ლომებივით  
აბჩენდნენ პირებს,  
წყურვილის მოკვლა მოენატრათ  
და სულის მოთქმა.

განუდგნენ ერთუროს ცოტა ხანი  
და შეისვენეს,  
გადაისხურეს ნამი გულის  
გიზგიზა ცეცხლზე.

კვლავ ცალი ხელით ხმალს სწვდნენ, ცალით  
იფარეს ფარი  
(მეორედ მოსვლა იყო ის დღე,  
ბრძოლა კი არა!).

როგორც ღრუბელი ავდრიან დღეს –  
ჭექას და ელვას,  
ნაპერწკლებს ყრიდნენ ბასრი ხმლები  
მუზარადებზე.

ფოლადი რკინას შეერკინა  
რკინა კი – ფოლადს  
და ამ რკენაში რკინა დარჩა  
დამარცხებული.

აღარ მოსდევდათ უკვე ძალი  
და არაქათი,  
მაგრამ ვერა და ვერა, ბრძოლით  
ვერ გაძლნენ მაინც.

როცა მახვილიც შემოემსხვრა  
ორივეს ხელში,  
გუფალს\* დაავლეს ხელი და მით  
ეკვეთნენ ერთუროს.

მაგრამ რადგანაც ვერც გუფალით  
გახდნენ ვერაფერს,  
რალა რჩებოდათ ხელჩართული  
ბრძოლის თვინიერ!

სახელის შოვნის ან შერცხვენის  
ღრო დადგა, მასზე  
მივარდა საქმე, ცხენიდან ვინ  
ვის დაითრევედა;

ვის ჰქონდა ღონე, რომ მეტოქეს  
სწვდომოდა წელში,  
ზე აეტაცა და მიწაზე  
რომ გაემხლართა.

იმდენი ქაჩეს ერთმანეთი  
აქეთ და იქით,  
ორივე ტაიჭს უზანგები  
შემოაწყდა სულ.

მაგრამ ცხენიდან ერთმანეთი,  
ვერ ჩამოიღეს,  
ვერა და ვერა, ვერ აჯობა  
ერთმა მეორეს.

მაშინ ჩამოხდნენ ცხენებიდან  
მხედრები თავად  
და ბრძოლისაგან ცოტა ხანი  
მოითქვეს სული.

იქით თარჯიმნებს ეპყრათ მათი  
ბედაურები,  
აქეთ ესენი ლომებივით  
ულრენდნენ ერთურთს.

მაინც წამოდგენენ ზედ  
არაქათგაწყვეტილები  
და კვლავ ლასლასით  
გაემართნენ ერთმანეთისკენ.

ალიონიდან დაწყებული  
შელამებამდე  
არ ეშვებოდა ორი მტერი  
ერთიმეორეს.

ასე გაგრძელდა ორთაბრძოლა  
და ძგარა-ძგური,  
რისხვა და ბოლმა კი ვერა და  
ვერ მოიჭამეს.

წყალში ცურავდნენ ტანით,  
პირი კი უხმებოდათ  
ცალკე ბრძოლისგან, ცალკე კიდეც  
თაკარა მზისგან.

მაშინ ერთურთთან შეთანხმებით  
შეწყვიტეს ბრძოლა  
და წყაროსაკენ გაეშურნენ  
წყლის დასალევად.

დალია წყალი და წამოდგა  
ბეჟანი ზეზე.  
უფალს მიმართა მწყალობელს და  
სიკეთის მომცემს.

ჯავრისგან ისე ცახცახებდა,  
როგორც ტირიფი,  
არვინ იცოდა, ვის რომელი  
გადურჩებოდა.

ქვეყნის შემოქმედს შეევედრა:  
„ჰოი უფალო,  
შენ უწყი ჩემი განსაცდელი  
და გასაჭირი.

თუ მე ამ კაცთან ამ ბრძოლაში  
მართალი ვიყო  
და მოდგმა მისი ჯავრის ჩემის  
იყოს მიზეზი,

შემეწიე დღეს, მკლავში ღონე  
არ დამილიო  
და არ დამიხშო აზრი ჩემი  
და გონებაო!“

### ომანის სიკვდილი ბეჟანის ხელით

ჯიგარდამწვარი და, ვით ყვაავი,  
გაშაგებული  
ომანი წყლიდან გამობრუნდა  
გულჯავრიანი.

დაქანცულებმა ისევ ბრძოლის  
საქმეს მიხედეს  
და ვეფხვებივით შეეტოტნენ  
ერთიმეორეს.

ხან თურქი სძლევედა ბეჟანს, ხან თურქს  
სძლევედა ბეჟანი,  
ხან ერთი იყო ძირს რკენის დროს  
და ხან – მეორე.

რაც ძალა ჰქონდა კაცის მოდგმას,  
სულ დაიხარჯა  
და დადგა ჟამი, საქმე ზეცას  
გადაეწყვიტა.

ძალით ომანი სჯობდა ბეჟანს,  
მაგრამ რას იზამ  
ძალით, იღბალმა შენმა თუკი  
ზურგი გაქცია?!

ეცა ბეჟანი როგორც ვეფხვი  
ვეება ომანს,  
ქედზე წაავლო ცალი ხელი,  
ცალიც – ბარკალზე,

მარცხენა ხელით მოუდრიკა  
კისერი დეკაკოს,  
ხოლო მარჯვენით ფეხი თავთან  
მიატანინა.

ზე აიტაცა ჯერ, შემდეგ კი  
ძირს დაანარცხა  
და მაშინათვე ბასრი ხმალი  
ამოიწვავდა.

დაჰკრა მახვილი, მოასხიპა  
მხრებიდან თავი  
და გააგორა ძირს დევივით  
ვეება კაცი.

ვაგლახად ეგლო მტვერში მის წინ  
ომანის ტანი.  
მოთქრიალებდა სისხლი და ველს  
რწყავდა წყალივით.

დახედა გმირმა ძირს დამხობილ  
თურქს სპილოტანას,  
ტანაყრილ საროს რომ მოჰგავდა  
ბაღში წაქცეულს.

გაოცებულმა შეაქცია  
ძლეულ მტერს ზურგი  
და მიაბრუნა პირი ქვეყნის  
შემოქმედისკენ:

„ეჰე შენ, ჟამზე და სივრცეზე  
უფრო დიადო,  
ზეცის თაღზედაც უსაზღვროვ და  
უზენაესო,

შენ ხარ უფალი, სხვა უფალი  
არ ჰგეის ქვეყნად,  
ვისაც გონი აქვს, მას ასე სწამს  
და ასე სჯერა.

სად მქონდა ღონე მე ასეთი  
ურჩხულის ძლევის,  
როგორ შემედლო, ეს გმირობა  
რომ ჩამედინა?!

მაგრამ ბიძების ჩემის სისხლმა  
და სიაუშის  
შეუძლებელი საქმე, ვხედავ,  
შემადლებინა.



დაე, სულს ჩემსას მონად ჰყავდეს  
ომანის სული,  
ხოლო სხეული მისი ლომმა  
ათრიოს აქო!“

ომანის თავი უნაგირზე  
მიაბა თასმით,  
ტანი კი, მტვერში ამოთხვრილი,  
იქვე დატოვა.

არ დაიჯერო წუთისოფლის  
სიკეთე, არა!  
ტყუილად ხელს არ გამოგიწვდის,  
რომ იღრჩობოდე.

თავს თვინიერად რომ გაჩვენებს,  
მაშინ გიმუხთლებს.  
როგორ იქნება, კაცი გულით  
მიენდოს ვერაგს!

როცა წავიდა ასე ვისეს  
ომანის საქმე,  
ორივე ლაშქრის თარჯიმნებმა  
ქუსლი ჰკრეს ქურანს,

ეახლნენ ბეჟანს მოწიწებით  
და სცეს თაყვანი  
ისე, ვით ჩინში\* ბრაჰმანი\* კერპს  
ეთაყვანება.

ბეჟანმა უკან გაბრუნება  
რომ დააპირა,  
უცებ დაცეცხლა: თურქთა სპის წინ  
უნდა გაეგლო!

ამდენი მისი მოსისხლე მტრის  
შიში მართებდა:  
„მიმიხვდებიან ბრძოლის ველზე  
რაც ჩავიდინე,

შემომეხვევა ეს ამხელა  
ლაშქარი თურქის  
და ერთი კაცი ამდენ მტერთან  
რას გაუხდებო!“

ტანთ გაიხადა სიაუშის  
თორი მაშინვე  
და გადაიცვა ზედ ომანის  
ჯაჭვის პერანგი.

ომანისავე ვეება ცხენს  
მოევლო ზურგზე,  
ხოლო ხელში კი საკუთარი  
დროშა აიღო.

მერე წავიდა და იმ ადგილს  
მიაგო მადლი,  
სადაც მას ბედმა გაუღიმა  
ორთაბრძოლაში.

როცა ომანის კაცმა ნახა  
მფარველი მისი  
უკვე ცოცხალი აღარ იყო,  
ტანთ გააცია.

მაგრამ ბეჟანმა დაამშვიდა:  
„ნუ გეშინია,  
აღოქმა მაქვს შენზე დადებული  
და ხელს ვერ გახლებ!

წადი, დაბრუნდი თურანელთა  
ბანაკში უკან  
და თქვენთანებს მოუყევი,  
რაც აქ ნახეო!“

როცა წავიდა თარჯიმანი,  
ქუსლი ჰკრა ტაიჭს  
და გაემართა ქენაბედის\*  
ქედისკენ თავად.

როდესაც თურქმა დარაჯებმა  
შენიშნეს შორით,  
მათკენ მომავალ გმირს თურქული  
ჯაჭვი ემოსა,

ხოლო ხელთ ეპყრა ის ირანელთ  
დახრილი დროშა,  
ომანად ცნეს და სიხარულის  
ყიჟინა დასცეს.

ერთმა დარაჯმა მაშინათვე  
ჰკრა ჰუნეს ქუსლი  
და ფირანისკენ გაექანა  
ნიაკარივით.

ახარა სარდალს: „მეფის ბედზე  
ბრძოლის ველიდან  
გამარჯვებული დაგვიბრუნდა  
გმირი ომანი!

დახრილი არის ირანელი  
დეკემბრის დროშა,  
თავად ბეჟანი კი მოკლული  
მტვერში გდიაო!“

ყოფდა ზარით და ზეიმით  
თურანის ჯარი,  
მთავარსარდალს კი თავად თვალი  
გზაზე ეჭირა.

რა მაქნისია სიხარული,  
სასოწარკვეთა  
თუ შეცვლის მას და თავს სიკვდილის  
სეტყვას დაგაყრის?!

ამასობაში თარჯიმანიც  
დაბრუნდა ჯარში  
და საზარელი მოუტანა  
თურქებს ამბავი.

ფირანს აცნობეს ომანის, ძმის  
მისის, სიკვდილი,  
სამეფო ფარრი\* მოელვარე  
დაგვიბნელდაო!

მთელი თურანის სპა მოიცვა  
მოთქმამ და გლოვამ,  
თავზე ქოლაპი\* გადიგლიჯეს  
თურქის გმირებმა.

დაბნელდა მათთვის ეს ქვეყანა,  
ჩაქრა ნათელი.  
რამდენიც გინდა, იგმინე და  
იტირე აწი!

როგორც კი ორ სპას ჩაურა  
ბეჟანმა თვალწინ  
და მეფის ტახტის შეაფარა  
ჩრდილს ისევ თავი,

მაშინვე გმირმა გულოვანმა  
თურქი ლომგულის  
ხელთ შავი დროშა რომ ეჭირა,  
დაბლა დახარა.

ირანის ლაშქრის დარაჯებმა  
ნახეს შორიდან  
ბეჟანის ხელში ძირს დახრილი  
თურქული დროშა;

ფალავნის\* მხარეს მიიბრუნეს  
მაშინვე პირი  
და რაც შეეძლოთ, გაჰყვიროდნენ:  
“გავიმარჯვეთო!”

ჰკრა ქუსლი ქურანს მაშინ ერთმა  
ღარაჯთაგანმა  
და ფალავანთან გაექანა  
მახარობელად:

„გამარჯვებული დაგვიბრუნდა  
გმირი ბეჟანი,  
მოდის და მოაქვს ძირს დახრილი  
თურქის დროშაო!“

შვილის ლოდინში გივი გიჟად  
იყო ქცეული,  
შიშისგან ძრწოდა და დაძრწოდა  
აქეთ და იქით.

„ჩემი ბეჟანის ხომ არ იცით  
ვინმემ რამეო?“ –  
ეკითხებოდა შიშითა და  
ვიშვიშით ყველას.

როცა ახარეს: დაგვიბრუნდა  
შენი შვილიო!  
ბეჟანისაკენ გრიგალივით  
გაიჭრა გივი.

შვილს საღ-სალამათს რომ შეავლო  
შორიდან თვალი,  
ცხენით ჩამოხდა მაშინათვე,  
ვით ეგებოდა.

დავარდა ძირს და შუბლით მიწის  
პირი გახვეტა,  
სამართლის გამჩენ ღმერთს თაყვანი  
სცა მოწიწებით.

შემდეგ კი გულში ჩაიხუტა  
თავისი ვაჟი,  
ლომგული გმირი და ჭაბუკი  
ჭკუაღამჯდარი.

მაშინვე ადგნენ და პატივით  
და მოწიწებით  
მეფის სპასალარს მიაშურეს  
მამამ და შვილმა.

როგორც კი შორით თვალი მოჰკრა  
სპასალარ პაპას,  
მყისვე ჩამოხტა შვილიშვილი  
ქურანა ცხენით.

ამოგანგლული ჰქონდა მტვერში  
თორიც და თავიც,  
ომანის თავი უნაგირზე  
ება საწყვეტით.

ომანის ცხენი, ჯავშანი და  
მოჭრილი თავი  
მიართვა კრძალვით მთავარსარდალს  
ლომეულმა გმირმა.

ბეჟანის ნახვამ სიხარულით  
ისე აავსო  
გოდერძი, მოხუცს მიწაზე არ  
ელგა ფეხები.

მადლობა უძღვნა ნეტარმა და  
სვიანმა პაპამ  
ჯერ უფალს, მერე – ვარსკვლავსა და  
ბედნიერ იღბალს.

შემდეგ უბრძანა საგანძურის  
მცველს: „ოქროს თაჯი\*  
და სახელმწიფო სამოსელი  
აქ მომიტანეთ

(მიწად რომ ოქრო აქვს, ნაყმებად  
კი – მარგალიტი);  
მზისებრ ელვარე ქამარი და  
თაჯი – აქეთო!“

ათი ქურანი,  
ოქროს ლაგამამოდებული  
და ათიც წელზე  
ოქროს ქამარამორტყმული მონა

კალმით ნახატი – ბეჟანისთვის  
მოაყვანინა.  
„ჰე ხვადო ლომო, უძლეველი  
ურჩხული სძლიე.

გმირობით შენით გაუმართე  
ჩვენ ლაშქარს წელი,  
ხოლო მტერს გული დაუკოდე  
და მოუკალი.

პირგამეხებულ ლომებს ჰგვანან  
გმირები ჩვენი  
ამხედრებულნი ქარივით სწრაფ  
ტაიჭებზეო!”

### ნესთიჰანის მიერ ირანელებზე მიპარვით თავდასხმა და მისი მოკვლა

ხოლო ფირანმა შურისგებით  
და რისხვით მთვრალმა,  
გული – ლადართ, თვალი კი – წყლით  
რომ ჰქონდა სავსე

ნესთიჰანს კაცი გაუგზავნა  
და შეუთვალა:  
„ეჰე, ყოველთვის ჭირში მოძმის  
მშველელი გმირო,

გმართებს, საომრად გაილესო  
საჩქაროდ ჭანგი  
და ბრძოლის ველზე მოკლული ძმის  
შური იძიო!

ლამით მიპარვით დაესხი თავს  
ირანელთ ბანაკს  
და მათი სისხლით ჯეიჰუნი\*  
ადინე ველზე!

ათიათასი გამოცდილი  
და მკლავმაგარი  
რკინაასხმული წაიყვანე  
ომში მხედარი,

ვინძლო ომანის სისხლი ჩვენს მტრებს  
არ შეარჩინო  
და მოიმწყვდიო მათი თავი  
მარწუხებშიო!“

ფირანს მიუგო ნესთიჰანმა:  
„ასედაც ვიზამ,  
ირანელების სისხლით ველზე  
ჯეონს\* ვადენო!”

როცა დაღამდა და წყვილიაღმა  
მოიცვა არე,  
თურქთა მხედრობის ძგარა-ძგურმა  
ქვეყანა შესძრა.

გეზი აიღეს ირანის სპის  
მხრისკენ თურქებმა,  
მიაგელვებდნენ ბელაურებს  
გულუშიშარნი.

ლაშქარი თვისი ნესთიჰანმა  
შურისმგებელი  
ირანელების ლაშქრის ახლოს  
რომ მოაპარა,

ბინდ-ბუნდი იდგა უკვე და კარს  
მომდგარი ჯარი  
ირანელების სპის დარაჯმა  
კარგად შენიშნა.

დარაჯმა მყისვე გადასძახა  
სარდლის მაცნეებს:  
„თურანელების ჯარი ჩუმად  
მოგვეპარაო!“

მაცნეთაც, როცა ეს მოესმათ,  
არ დააყოვნეს  
და გოდერძისკენ გაექანნენ,  
როგორც მართებდათ.

“სპა მოგვეპარა, ვით მდინარე  
ადიდებული,  
ისე უჩუმრად, იტყვი, ყველა  
მუნჯი არისო!“

მიპარვით თავზე დასხმა რა ღვთის  
რისხვაა და რა  
უნდა ქნა ამ დროს, სპასალარმა  
კარგად იცოდა.

მაშინვე ბრძანა ფალავანმა\*  
გოდერძმა: „ფეხზე  
დადგეს ახლავე ჯარი და სპა  
ფხიზელი იყოს!“

თვალი გეჭიროთ მტრისკენ, ყური  
მიუგდეთ კარგად,  
გაიგეთ, თურქი რა მანძილზე  
მოგვეახლოა?“

ბეჟანს მოუხმო ამის შემდეგ  
მთავარსარდალმა  
გივის გულად ვაჟს, ბრძოლაში რომ  
ხმალი უჭრიდა:

„ბედის ვარსკვლავი გინათებს შენ  
გულის ნებაზე,  
სახელის შენის ხსენებაც კი  
მტერს გულს უხეთქავს.

რამდენიც გსურდეს და საჭირო  
იყოს მხედარი,  
ამოარჩიე ჩემს ლაშქარში  
ძალგულოვანი

და ჩუმად მოსულ თურანელებს  
ლომივით დახვდი,  
ისე აღზევდი, ცის სფეროსაც  
ზედ მოექცეო!“

ბეჟანმაც ჯარში მაშინათვე  
ამოარჩია  
ათიათასი მეომარი  
რკინისმკვნეტელი

და გაეგება ღამით ჩუმად  
მოპარულ ლაშქარს,  
რათა შებმოდა მომხვდურს სამკვდროდ  
და სასიცოცხლოდ.

აღერებული ეჭირათ ხელთ  
მეომრებს გურზი,  
ზედ მიწის თავზე ბნელი ბუქის  
ღრუბელი დადგა.

უცებ თურქთ თავზე ჰაერიდან  
ჩამოწვა ჯანღი  
და თურანელთა ჯარმა თვალში  
ვერ გაიხედა.

გოდერძმა როგორც კი შეატყო,  
რომ შავმა ჯანღმა  
თურქების ლაშქარს საძრაობა  
დააკარგვინა,

ბრძანება გასცა, მოეზიდათ  
მშვილდისთვის ღარი  
და საომარი ყიჟინის ხმაც  
გაისმა ველზე.

ბეჟანი თურქთა თავს, ნესთიჰანს,  
შემოეყარა  
და ვისეს ვაჟის დროშას  
როგორც კი მოჰკრა თვალი,



მოზიდა მშვილდი მაშინათვე  
და ნესთიჰანის  
ცხენს განუწონა მომახული  
ისარი გულში.

წაიქცა ცხენი და მხედარიც  
თან გადიტანა,  
თავზე დააცხრა დამხობილ თურქს  
ბეჟანი მყისვე.

აღმართა მაღლა მძიმე გურზი  
და ისე დაჰკრა,  
რომ ნესთიჰანმა ტვინი თავით  
გადმოანთხია.

ასე შესძახა ირანელთა  
ლაშქარს ბეჟანმა:  
„ყოველი კაცი, ვინც საომრად  
აისხამს რკინას

და ხელში გურზს და ხმალს ვინც იპყრობს  
მტერთან საომრად,  
მე ვიცი, იმ კაცს მშვილდით ჩემით  
რა ღლეხ დაგაყრი!

ეს სახითაა ფერიებს რომ  
ჰგვანან თურქები,  
თორემ ომის და ბრძოლის თავი  
ვინ მისცა მათო!“

მოიცეს გული ირანელმა  
მოლაშქრეებმა,  
ამოიწვადეს ჯავარდნები\*  
და მტერს ეტაკენ.

ჰაერი ზანგის ფერად იქცა,  
ისე გაშავდა,  
ხოლო სისხლის ზღვას დაემგვანა  
ხრიოკი ველი.

ირანელებმა შეუტიეს  
სპილოებივით  
და ველი თურქთა მოკვეთილი  
თავით აივსო.

ამოწყდა ორი წილი თურქთა  
მომხვედური ლაშქრის,  
თქერავდნენ ფლოქვით დაჭრილ მხედრებს  
ბელაურები.

ველარ დაუდგნენ ირანელებს  
თურქები, ზურგი  
აჩვენეს მტერს და მიაშურეს  
თავისიანებს.

ფირანმა ძმა რომ ვერ იხილა  
დახეულთ შორის,  
თვალთ დაუბნელდა, იმისთანა  
ელდა ეტაკა.

ბრძანა მაშინვე, ვინმე ისევ  
შექცეულიყო  
იქ, სადაც ბრძოლა გადინა  
წელან თურქებმა.

„რა დაემართა ჩემს ძმას,  
ჩქარა მითხარით, თორემ  
თვალეებს დავითხრი საკუთარი  
ხელით აქვეო!“

ერთმა მხედარმა მაშინათვე  
გასწია იქით,  
ნახა, ნესთიჰანს რაც მოსვლოდა.  
მობრუნდა უკან

და ფირანს ამცნო: „ნესთიჰანი  
ნაომარ ველზე  
სხვა სახელოვან და დიდებულ  
თურანელთ შორის

თავმოკვეთილი გდია, როგორც  
ვეება სპილო,  
გურზის ცემისგან დაჟეჟილი  
აქვს სულ ტანო!“

ეს რომ ფირანმა მოისმინა,  
ცეცხლი მოედო,  
ხელთ აღარ ჰქონდა თავი, ისე  
წახდა სარდალი.

გაიკრა ხელი, ტანზე კაბა  
შემოიხია,  
გმინავდა მწარედ და ბლაოდა  
გულდამღურული.

ასე მოთქვამდა საცოდავი:  
„უფალო ჩემო,  
შენ შემოგყურებთ სასოებით  
შექმნილნი შენნი!

მკლავები მომტყდა, ტანში ჯანი  
გამომეცალა,  
მზე დამიბნელდა და ჩამიქრა  
ბედის ვარსკვლავი.

ძირს დამხოვილან ჩემი ლომის  
წამქცევი გმირნი,  
ტანად დეკაკანი და მამაცნი  
სახელოვანნი.

სულზე უტკბესი, ძვირფასი და  
საყვარელი ძმა,  
ვისეანთ გვარის თვალისჩინი,  
გმირი ომანი,

ჩემი მძვინვარე ნესთიჰანი,  
ყმაწვილი კაცი,  
რომელსაც ვეფხვი, როგორც მელი,  
ისე უფრთხოდა.

ვინ უნდა იყოს ბრძოლის ველზე  
მათი შემცვლელი,  
ვინ გაუძღვება თურანელთა  
ჯარებს აწიო?!”

ჰკრა ყვიროსტვირი\* და სპილოზე  
ქოსი\* დააბა,  
ცა ლილისფერად იქცა, მიწა  
კი – აბანოზის.\*

ძირს ჩამოვიდა ქენაბედის  
ქედით ლაშქარი  
და დააბნელა მზე და მთვარე  
მტვერმა და ბულმა.

ჩაჰბერა საყვირს ირანელთა  
ლაშქრის სარდალმაც,  
აჰყარა ჯარი და საომრად  
გააწყო ველზე.

ქაიანთ დროშა\* ელვარებდა  
ლაშქრის შუაში,  
წინ კი იისფრად ლაჰლაპებდნენ  
შიშველი ხმლები.

ყველას, ვინც იყო იმათ შორის  
სახელოვანი,\*  
ხელთ შუბი ეპყრა, ხარისთავა  
გურზი\* ეკიდა.

გამთენიისას რომ ჩაებნენ  
ცხარე ბრძოლაში,  
არ ჩაუვიათ ხმალი დღის და  
ღამის გაყრამდე.

მხოლოდ საღამოს დაუბრუნდნენ  
თავ-თავის კარვებს  
ერთიმეორეს მტრობის ბოღმით  
მთვრალი მხედრები.

თავად გოდერძი გაემართა  
რაიბედისკენ.  
ფიქრებში იყო გახვეული  
მთავარსარდალი.

გულში ამბობდა: „ცხარე ომი  
გადავიხადეთ,  
თურანის ლაშქრის მრავალ სპისთავს  
მოვკვეთეთ თავი.“

ასე მგონია მე, ფირანი  
დაუყნებლივ  
თურანის მეფე აფრასიაბს  
კაცს გაუგზავნის

და მაშველ ლაშქარს თხოვს მას  
ჩემთან კვლავ შესაბმელად.  
მეც ჩემს ხელწიფეს მაშველი სპა  
უნდა ვთხოვო!“

### ფირანის წერილი გოდერძისადმი

ირანის მეფის ლაშქრად წასვლის  
ამბავი მალე  
მიურბენინეს ფირანს ბრძოლად  
გასულს გოდერძთან.

შეშინდა თურქი და დაიწყო  
იმაზე ფიქრი,  
ამ ხიფათიდან  
თუ რა ფანდით დაეხსნა თავი.

დასთური\* ჰყავდა გონიერი  
და მისი რჩევით  
ფირანმა ასეთ თვალთმაქცობას  
მიმართა ახლა:

მდივანი იხმო და უბრძანა  
მას, შეეღვინა  
გოდერძის თვალის ასახვევი  
ერთი წერილი.

წერილის თავში იაზღანი\*  
იყო შესხმული,  
ის, ვინც იფარავს კაცის მოდგმას  
ავი სულისგან.

წერდა: „შემოქმედს სხვას არაფერს  
ვთხოვ ქვეყანაზე  
და საწადელი არაფერი  
არ გამაჩნია

გარდა იმისა, რომ თქვენსა და  
ჩვენს შორის ერთხელ  
და სამუდამოდ აღმოიფხვრას  
მტრობა და შური.

შენ რომ გოდერძი ხარ, ამქვეყნად  
თუ ის გეწადა,  
რომ დაგეთესა კაცთა შორის  
ქიშპობის თესლი,

აღსრულდა გულის შენის ნება,  
რა გინდა მეტი:  
შეგბმივართ ომში ერთურთს სამკვდროდ  
და სასიცოცხლოდ.

მაშ გაიხსენე, თუ რამდენი  
ლომგული გმირი,  
უახლოესი ნათესავი  
მათ შორის ჩემი,

განგმირე შენ და გვამი მათი  
ავორე მტვერში!  
ქვეყნის შემქმნელის არც შიში გაქვს,  
არც მორიდება.

არ იცი, რაა სიყვარული,  
ხოლო გონებას  
ზურგი აქციე. ხომ იპოვე,  
რასაც ეძებდი?!

დადგა დრო, აწი მაინც მტრობის  
დაიცხრო ჟინი,  
მოეშვა ომებს და ამდენი  
სისხლის სმით გაძლე!

აბა დათვალე, თურანელი  
თუ ირანელი  
რამდენი კაცი დაიღუპა  
ამ ჩვენს ბრძოლაში!

მოვიდა ჟამი, გულქვავ, შენც რომ  
მოიღბო გული,  
ხელი აიღო რისხვისა და  
ბოლმის ნთხევაზე!

დიდი ხნის მკვდრების შენის სისხლის  
აღების მიზნით  
სანამდის გინდა, უცოდველი  
ცოცხლები ხოცო?!

რაც გარდასულა, ის ხელახლა  
არ მობრუნდება,  
მაშ შურისგების და ომის თესლს  
რად თესავ ქვეყნად?!

სულს ნუ წარიწყმედ და ხორცს ვნებას  
ნუ მიაყენებ,  
აიღე ხელი კაცის კვლაზე  
და სისხლის ღვრაზე!

სიკვდილის შემდეგ ზიზლით ელის  
ხსენება იმ კაცს,  
ვისაც დაურჩა ამ სოფელში  
ცუდი სახელი.

როდესაც თავზე კაცს შავი თმა  
თეთრად ექცევა,  
დიდი იმედი აღარ რჩება  
ქვეყნად დარჩენის.

მე იმას ვშიშობ, ირანის და  
თურანის ჯარი  
თუ ერთხელ კიდევ დაეტაკა  
ერთიმეორეს,

ცოცხალი არვინ გადარჩება  
არც ერთი სპიდან,  
სული დაგვტოვებს, ხოლო მტრობა  
კვლავ იბოგინებს.

მაშინ ვინ იტყვის, თუ ვინ არის  
გამარჯვებული  
ან დამარცხებულს იმათ შორის  
ვინ გამოარჩევს?

მაგრამ შენ თუკი ისევ სისხლის  
გწაღია დაღვრა  
და გინდა, ბრძოლა გამიმართო  
მაინცღამაინც;

თუ გინდა ომში გადაეშვა,  
ვით ხვალი ლომი;  
ირანისათვის გსურს, ეს საქმე  
მოიმოქმედო,

ახლავე უნდა მითხრა, რადგან  
დაუყოვნებლივ  
მე კაცი უნდა გავაგზავნო  
აფრასიაბთან,

რომ დაგიბრუნოთ მიწა-წყალი  
თქვენ თქვენი ისევ  
და ჩვენს ქიშპობას სამუდამოდ  
ბოლო მოეღოს.

სად მანუჩარის ხელმწიფობის  
ღროს ჰქონდა მიჯნა  
სამეფოს თქვენსას, იქ დაუდებთ  
ჩვენც ზღვარს და სამანს.

დაადე ხელი ნებისმიერ  
ირანულ ქალაქს  
და თურქებისგან დაგიცლი მას,  
როცა ინებებ.

ნაშენი არის თუ უშენი,  
რასაც ისურვებს  
ქაიხოსროვი, იგი ირანს  
დაუბრუნდება.

უპირველესად ირანიდან  
მთებზე ამოვალთ  
მოყოლებული ღორჩით,\* ვიდრე  
ბოსთის\* თემამდე.

კვლავ: თალეყანის მხარეს ზღვამდე  
ფარიაბისა\*  
და მასთან ერთად მთელს ანდარაბს\*  
თქვენ დაგილოცავთ.

ხუთი ქალაქი რჩება კიდევ  
ბაიანამდე;\*  
კვლავ: ქაიანთა\* მკვიდრი მიწა,  
ირანის ზღვარი;

აყვავებული მხარე, რომელ  
მხარესაც მეფემ  
თქვენი ქვეყნისამ გუზქერანი  
არქვა სახელად;

მხარეს ბალხიდან მოკიდებულს  
ბადახშანამდე  
(ისიც ირანის სამეფოში  
რომ შედიოდა);

კვლავ: ამის ქვემო მხარეს ამუს\*  
ველით ზომამდე\*  
(მთელი ხათლანი\* მიგვითვლია  
მისთვის აგრეთვე);

შუნგანის\* მიწას, ვისეგარდს და  
მთელს თერმეზის თემს;  
ბუხარას მისი ახლომახლო  
ქალაქებითურთ;

ყველა ამ მხარეს სოლდის\* მიჯნის  
დასაწყისამდე  
თქვენ დაგიბრუნებთ და მეტს აღარ  
შეგეცილებით.

ხოლო ნიმრუზი\* კი, როსტომის  
სამშობლო კუთხე,  
ისევე და ისევე თავის მფლობელს  
დაუბრუნდება.

ჯარს გამოვიყვან იქიდან მე,  
დავცლი იმ მხარეს  
და ლაშქარს ჩემსას  
დავხვე წიაღ აღმოსავლეთის.

ინდოეთამდე თქვენ დაგრჩებათ,  
რაც კი ოდესმე  
გქონიათ. აღარ მსურს, კვლავ გუღლრძო  
კაცს მეძახოდნენ.

ქაშმირის მხარეს, ყანდაარის  
თემს და ქაბულის  
სანახებს სინდის\* ქვეყანასთან  
ერთად თქვენ მოგცემთ.

აქედან ვიდრე ყაფის\* მთამდე  
რაც ქვეყნებია,  
ბრძოლის გარეშე ჩაბარდება  
ირანის მეფეს.



ის მხარე, სადაც ლაშქრად არის  
ახლა აშქაში,  
ირანისათვის დამითმია,  
გქონდეთ და მართეთ!

როცა ყველაფერს ვიზამ იმას,  
რაც ჩამოვთვალე,  
სადაც კი ჯარი მყავს ირანში,  
უკან გავიხმო.

ფიცით დაგიდებ პირობას, რომ  
ამიერიდან  
ავისმლომელი არ ვიქნები  
არასდროს შენი.

თავადაც იცი, მე სიმართლეს  
მივსდევდი მუდამ,  
სიყვარულის და ერთგულების  
კაცი ვიყავი.

შეუთვლი მეფე აფრასიაბს,  
ამიერიდან  
რომ აღარ მიდევს გულში მტრობა  
და სიძულვილი.

შენც ასე ჰქენი: გაუგზავნე  
ირანის მეფეს  
წერილი და რაც მე მოგწერე,  
შეატყობინე!

თუკი შენ ამ ჩემს კარგი გულით  
ნათქვამს ირწმუნებ  
(ომი და სისხლისღვრა რომ აღარ  
მწადია მეტი),

მას შემდეგ, რაც ჩვენ დაზავების  
პირობას შევკრავთ,  
რასაც ირანის მეფე ხარკად  
მოითხოვს ჩემგან,

მივართმევ, ერთი დრამიც რომ არ  
აკლდება ისე,  
თურანელების მტრობის ოღონდ  
კარი ჩაკეტოს.

ხარკს ხომ მივართმევ და მივართმევ,  
როგორც ეგების,  
სართად მძევლებსაც გავუგზავნი  
ხელმწიფეს თქვენსას.

სულით და გულით შეგეკვრებით  
და მტრობას ჩვენსას  
ერთგულების და ძმობის ხელით  
ავუბამ თვალებს.

ვერაგი სელმის\* და აგგული  
თურის\* ბრალია,  
რომ დიდი მეფის დროს ერთმანეთს  
ჩამოვცილდით ჩვენ.

ხელმწიფე ფრიდონს სწორედ იმათ  
მოუკლეს გული,  
როცა ირაჯი\* წუთისოფელს  
გამოასალმეს.

კიდევ რაც გსურდეს, მოითხოვე  
კეთილი გულით,  
შემდეგ კი მეფეს ეს ამბავი  
შეატყობინე!

ამას რომ ვშვრები, არ ეგონოს  
ვინმე ლიტონ კაცს,  
მაიძულებდეს ამას ჩემი  
სისუსტე თითქოს.

მე სიყვარული მიკარნახებს  
ასეთ საქციელს,  
სიკეთე მინდა. ამისთანა  
ვარ და რას იზამ!

შენზე მეტი მაქვს მე სიმდიდრე  
და სპაც მეტი მყავს,  
ვაჟკაცობითაც შენზე უფრო  
მე ვარ ქებული,

მაგრამ ეს მტრობა და ქიშპობა  
ურთიერთშორის,  
ეს ერთმანეთის დაუნდობლად  
სისხლისღვრა მუდამ,

სულ გულს მიწუხებს მე, მალონებს  
და მაიძულებს,  
ვეცადო საცდელს და ჩვენ შორის  
აღმოვფხვრა მტრობა.

ესეც არ იყოს, შემოქმედის  
ჩვენის წინაშე  
რომ ვცოდავთ, ვიცი და ამისი  
შიშიც მაქვს გულში.

არ მოგვიწონებს ასეთ ქცევას  
განმსჯელი ჩვენი  
და ეს ქვეყანა სულ უბრალოდ  
გატიალდება.

კეთილი გულით ამ ჩემს ნათქვამს  
თუ არ მიიღებ  
და მაიძულებ, განვაახლო  
სისხლისღვრა ისევ;

მე უცოდველ კაცს ცოდვის მქონედ  
თუ გამომიყვან  
და რასაც გირჩევ, იმას თუ ყურს  
არ ათხოვებ შენ;

თუ არ გაარჩევ მრუდს და მართალს  
ერთმანეთისგან  
და გულში მხოლოდ ქიშპობას და  
მტრობას ჩაიდებ,

გამოარჩიე ირანელთა  
ლაშქარში მაშინ  
ლომგულნი, მძიმე გურზის ქნევა  
რომელთაც ძალუძთ.

მეც ასე ვიზამ, ჩემი სპიდან  
მეც ამოვარჩევ  
გმირებს, რომელთაც გული ერჩით  
ორთაბრძოლისთვის.

გამოვიყვანოთ და შევაბათ  
ისინი ერთუროს,  
ერთიმეორეს შევარკინოთ  
ლაშქრისთაგები.

ბოლოს მეც და შენც  
დავეტაკოთ ერთიმეორეს,  
ორთაბრძოლაში ერთმანეთზე  
ვანთხიოთ რისხვა.

იმათ კი, ვისაც ჩვენს მტრობაში  
არ უძღვის ბრალი,  
ასეთ ბრძოლას და თავგანწირვას  
ნუ დავაძალებთ.

შენ ვისი ბოღმაც ჩაგრჩენია  
გულში თურქთაგან  
ან შენ წინაშე დამნაშავედ  
ვისაც მიიჩნევ,

მითხარი და მას გამოვიყვან  
ორთაბრძოლაში,  
მაგრამ ახლავე უნდა მივცეთ  
ერთმანეთს სიტყვა:

თუ ამ ბრძოლაში შენ გეკავობე,  
ჩვენ თუ დავმარცხდით  
და თურქთა გმირთა თუ დაემხო  
ილბალი პირქვე,

სპას ხელს ნუ მიხლებ, ერთიანად  
ნუ ამომბუგავ  
და ნუ ამომთხრი ძირიანად  
და ფესვიანად;

მიეცი ნება მას, დაბრუნდეს  
თურანში\* ისევ,  
ნუ ჩაუსაფრებ გზაში კაცს და  
ნუ გამიფუჭებ!

ხოლო ასევე: თუკი შენზე  
მე გამიმარჯვა  
ვარსკვლავმა და თუ შენ დარჩები  
დამარცხებული,

შენს მოლაშქრეებს ხმას არ გავცემ  
მე უბატონოდ,  
არ დავაკარებ თითს და რისხვას  
არ ვანთხევ მათზე.

ირანში მივცემ წასასვლელ გზას  
და მეფეს თქვენსას  
ლაშქარი თვისი უვნებელი  
დაუბრუნდება.

არ წასტკივდება ჩვენგან თქვენში  
ერთ კაცსაც ფრჩხილი,  
სულიც შერჩებათ და ქონებაც,  
სალ-სალამათებს.

ხოლო თუ ასეთ ორთაბრძოლებს  
არ ისურვებ შენ  
და სხვანაირად გინდა, გულის  
ჟინი მოიკლა,

ასე ვქნათ, ჯარი ჯარს შევაბათ  
და ომი იყოს,  
არც აქ დავიხვე უკან, მზად ვარ  
და გელოდები!

მაგრამ რაც სისხლი დაიღვრება  
ამ სასტიკ ომში,  
ამაზე პასუხს იმ ქვეყნად შენ  
მოგკითხავენო!“

შეჰკრა წერილი და დაბეჭდა  
იგი თუ არა,  
თავისი ვაჟი საყვარელი  
იხმო ფირანმა.

ჰყვა ვაჟიშვილი ლაშქრის ერთი  
სარდალთაგანი.  
ამ რვალისტანა<sup>8</sup> ყრმას სახელად  
როინი ერქვა.

როცა ეახლა შვილი, უთხრა:  
„გოდერძთან წადი,  
წიგნი მიაღწი და პასუხი  
მომიტანეო!“

როინმა ათი ცხენოსანი  
კაცი იახლა  
და გაემართა მაშინათვე  
გოდერძისაკენ.

ჭენებ-ჭენებით იარა სულ  
და ირანელთა  
ფალავანის\* სარაფარდის\* ახლოს  
ჩამოხდა ცხენით.

როცა გოდერძი დაინახა,  
ხელები გულზე  
დაიწყო გმირმა და დახარა  
ძირს მის წინ თავი.

წამოხტა ზეზე ფალავანი  
და მაშინათვე  
გულში ჩაიკრა მოციქულად  
მასთან მოსული.

ჯერე ფირანი მოიკითხა,  
მერე – სპა მისი,  
შემდეგ ხელმწიფე მათი, ბოლოს  
ქვეყანა თურქთა.

როინმა გოდერძს ჩააბარა  
ფირანის წიგნი\*  
და რაც ზეპირად დააბარეს,  
ისიც აუწყა.

გოდერძმა მდივანს უხმო წიგნის  
წასაკითხავად,  
მდივანმაც მყისვე შეასრულა  
სარდლის ბრძანება.

თურქთა სპისთავის ტკბილი სიტყვა,  
კეთილი რჩევა,  
დამოყვრებისთვის გამოწვედენა  
თავისი ხელის,

რასაც თვალთმაქცად სთავაზობდა  
ირანელთ სარდალს  
თურქი სარდალი, გოდერძს გულზე  
არ მიეკარა.

ასე მიმართა ფალავანმა  
თურქთა მოციქულს:  
„ჰე მთავარსარდლის ვაჟიშვილო,  
კარგო ჭაბუკო,

უპირველესად გიმასპინძლოთ  
უნდა, წესია,  
ხოლო პასუხის წიგნი შემდეგ  
უნდა მოგცეთო“.

დაუდგეს სტუმარს სარაფარდა\*  
ახალთახალი  
და დიდებული სახალვათო  
გაუმართეს შიგ.

შემდეგ წერილის დაუწერეს  
პასუხი ფირანს,  
შიგ სულ აწონილ-დაწონილი  
სიტყვები ჩასვეს.

თან ქეიფობდა ერთი კვირა  
ღვინით და ჩანგით,  
თან იმ წერილის შედგენაზე  
ფიქრობდა გმირი.

ხოლო როდესაც მზე ამ ქვეყნის  
მანათობელი  
მოველებოდა ზეცის ტატნობს,  
გოდერძი ისევ

ღვინით და ჩანგით და მეჩანგით  
იწყებდა ქეიფს  
და პატიჟობდა ამ ქეიფზე  
თურქთა მოციქულს.

## გოდერძის პასუხი ფირანის წერილზე

ასე გავიდა ერთი კვირა  
და როცა მერვე  
ღილა გათენდა, მწიგნობარი  
იხმო გოდერძმა.

უბრძანა მდივანს, დაეწერა  
წიგნის\* პასუხი  
და ქიშპობის და მტრობის ნერგი  
დარგო ხელახლა.

წერილის თავში ჯერ აფრქვევდა  
ქება-დიდებას,  
ხოლო შემდეგ კი ფირანის წიგნს  
უპასუხებდა:

„წერილი შენი წავიკითხე  
თავით ბოლომდე  
და რასაც იქ მწერ, გულისყურით  
ავწონ-დავწონე.

როინმა შენი მოგვიტანა  
შემოთვლილობაც,  
ისე გადმოგვცა ყველაფერი,  
ვით დააბარე.

მაგრამ მაოცებს, სწორი გითხრა,  
მოქცევა შენი,  
მიკვირს ძალიან, დღეს რომ ასე  
მეჟღურტულები.

ენა და გული შენი ერთურთს  
არ მეზობლობენ  
და სული შენი აზრს და ჭკუას  
არ ეთანხმება.

ასე გჩვევია შენ, ყოველ დროს  
ყოველ საქმეში.  
სულ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს აფქრვევ  
ხოლმე პირიდან.

შენი ამბავი ვინც არ იცის,  
იბრიყვებ ამით  
და თავს აყვარებ ზოგჯერ კიდევ  
გულუბყვილო ხალხს.

შენ ხაშურ\* მიწას გავხარ, ხვატში  
შორიდან თეთრად  
ტბორს რომ გვაჩვენებს, როდესაც მზე  
აჭერს ხრიოკზე.

მაგრამ ხრიკის და ოინის დრო  
არ გვაქვს ჩვენ ახლა,  
ქამანდის სროლის დროა, გურზის\*  
და შუბის ქნევის.

შენთან მე ომის გარდა არ მაქვს  
სხვა საქმე რამე,  
ლაპარაკის და პასუხის დრომ  
მოგჭამა ჭირი.

შეხედე, როგორ დაგვიბრუნდა  
ცარგვალი თავზე:  
ვერას გავხდებით დამოყვრებით  
და მოტყუებით!

ახლა იმაზე მიდგა საქმე,  
ქვეყნის შემქმნელი  
ვის მისცემს ძალას და ბრძოლაში  
ვის გაუმარჯვებს.

მაგრამ წერილზე პასუხს გიწერ  
და მომისმინე,  
ჭკუას მოუხმე და ბედს თხოვე,  
რომ დაგიფაროს!

პირველი: რომ გვწერ, მეო კაცის  
მოყვარულ გულში  
მეორედ მოსვლის და იზადის\*  
შიში მიდგასო;

რომ იფიცები, მომაბეზრა  
თავი ომებმა,  
სულ კაცის კვლამ და გურზის ქნევამ  
დამაღონაო,

როცა ამ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ  
ბაგენი შენნი,  
გული და ენა შენი ერთურთს  
არც კი იცნობდნენ.

შენ რომ სამართალს მართლა ასე  
გულით ესაუდე,\*  
არ გაგისწრებდა, ხელო,\* ხელი  
სისხლის საღვრელად.



პირველად გივი გეახლა შენ,  
დიდებულებში  
საჩინო კაცი და მხედრებში  
რჩეული გმირი.

კეთილი გულით, კარგი რჩევით  
და სათნო ზრახვით  
მშვიდობისაკენ მოგიხმობდნენ  
ჩვენი ელჩები.

მაგრამ შენ ყურად არ იღე ეს,  
ომს დაეშურე  
და თურანიდან ირანამდე  
მოასხი ჯარი.

იარაღისკენ შენ წაიღე  
პირველმა ხელი,  
შენ წამოჰყარე სპა ირანის  
ასაოხრებლად.

ახლა მოეგე ჭკუას დღემდე  
ჭკუაზე მწყრალი?  
ახლა დაგიცხრა გული დღემდე  
გაფიცხებული?

მაგრამ ბუნება გაქვს ისეთი  
ავი და შავი,  
წესიერ გზაზე არასდროს რომ  
არ გაგატარებს.

შენს გვარს და ჯილაგს ეს სიავე  
თავიდან მოდგამს  
და საკვირველი არც კი არის,  
ასეთი რომ ხარ.

გსმენია, ირაჯს\* ტახტისა და  
გვირგვინის გამო  
როგორ უშუხთლეს ღვიძლმა ძმებმა:  
სელმმა\* და თურმა\*.

სელმმა და თურმა დასაბამი  
მისცეს სიავეს,  
ავკაცობა და ბოროტება  
განაურცეს ქვეყნად.

გულდათუთქული ფრიდონი\* კი  
დღისით თუ ღამით  
ირაჯის მკვლელთა წყევლასა და  
კრულვაში იყო.

ირავჯის სისხლი მანუჩარმა  
იძია ბოლოს  
და სამართალი განაჩინა  
ფარრით\* მიწაზე.

ავი ქნა თურმა და სიავე  
თვისი ზლო თავად.  
ამ ამბის შემდეგ კარგა ხანი  
გავიდა კიდეც.

თქვენ ჭკუამოკლე ღიღკაცო შორის  
ავის მოქმედი  
ვინმე თუ იყო, თურანელთა  
ხელმწიფე იყო.

აფრასიაბი ჯერ მანუჩარს  
გადაეკიდა,  
შემდეგ ნავზარს და ქაიყობადს  
დაუწყო მტრობა.

მაგრამ ყველაზე საშინელი  
ლლე ქაიქაოსს  
გაუთენა მან, ირანს მტრობით  
მტვერი აღინა.

მან დაანთხია სიაუშის\*  
უმანკო სისხლი  
და განაახლა მტრობა ჩვენი  
გახელებულმა.

ახლა რომ ყვირი: სამართალი,  
სამართალიო! –  
მაშინ სად ეგდე, უსამართლოდ  
რომ მოკლეს იგი?

რამდენი გმირი, ირანელი  
გვირგვინოსანი  
ამის შედეგად გაჩაღებულ  
ომში დაეცა!

მეორე: ახლა რომ მწერ კიდეც,  
ამ ჭალარა კაცს  
სანამდე გინდა, გესხას რკინა  
და სისხლს ღვრიდეო? –

მაშ ეს იცოდე, ქვებუდანავ  
მრავალნაცადო,  
გამოჯეგილო ქვეყნის ათას  
ჭირსა და ლხინში:

მე იაზდანმა\* ასე დიდხანს  
მიტომ მაცოცხლა  
და იმისათვის აღმაზევა  
ამ ქვეყანაზე,

რათა ომის დროს იმისთანა  
დღე გავუთენო  
თურანს\*, რომ ბოლი იმის თავზე  
ცად აღიოდეს.

ის კი არადა, ვშიშობ, მან ეს  
არ დამაცალოს  
და ამომხადოს იმ ჟამამდე  
პირიდან სული;

არ დამაცალოს გულით თქვენი  
ჯავრის ამოყრა  
და მიწა-წყალი თქვენი ფეხით  
არ მათელინოს!

მესამე: რომ მწერ: იაზდანის,  
წმინდათა წმინდის  
შიში და კრძალვა რომ არ მედოს  
თითქოს მე გულში

და არ ვიცოდე ატეხილმა,  
სისხლის დაქცევა  
ბოლოს და ბოლოს თავად ავად  
რომ გარდამხდება, –

ვთქვათ და ვერწმუნე შენს ყბელობას,  
დაგყევი ბრიყვად,  
თავი ვანებე ომს და უკან  
დავბრუნდი სახლში,

განკითხვის ჟამი რომ დადგება  
და განმკითხველი  
რომ გამომკითხავს, რა მოხდა და  
ვით მოვიქეცი,

არ მეტყვის განა: ვაჟკაცობა,  
ძალა, სარდლობა  
მოგეცი, ჭკუა და სიმდიდრე  
არ დაგამადლე,

შენ კი რა ჰქენი? სიაუშის  
უმანკო სისხლის  
მაძიებელმა არ აისხი  
ტანზე რკინაო?!

რომ მკითხავს ქვეყნის შემოქმედი  
სამართლიანი:  
სამოცდაათი შვილის შური  
ვით იძიეო?

რა ვუპასუხო შემოქმედს მე,  
შურისგებაზე  
რატომ ავიღე ხელი ასე,  
ამის შესახებ?

მეოთხე: თავად სიაუშის  
სისხლის ალების  
შესახებ რომ მწერ, თურანელთა  
ბერო სარდალო,

გამო გვამის, უკვე მიწად  
და მტვრად ქცეულის  
ცოცხალ კაცს სული ამოხადო,  
არ ეგებისო! –

მაშ, გაიხსენე, თუკი შეძლებ,  
ყველა სიავე,  
ყველა წვალემა, ყველა ვნება  
და ყველა სნება,

ირანის მიწას რაც უნახავს  
თურქებისაგან  
და მეფეთ ჩვენთაც მათგან თავს რა  
გადახდენიათ!

სიტყვის გატეხა იყო, მტრობა,  
შურისგება თუ  
სხვა რამ სიავე, არაფერი  
გითაკილიათ.

ამას ყველაფერს რომ ვიგონებ,  
ვით დაგეზავო,  
როგორ გემოყვრო კარგის მუდამ  
ბოროტად მგებელს?

მეხუთე: მძევლებს რომ მთავაზობ  
და იწერები,  
თურქ თავკაცთ მოგცემ მეგობრობის  
საწინდრად ჩვენის;

ირანის მეფეს გადავუხდი,  
რამდენიც ვნებავს,  
იმდენ ხარაჯას, ოღონდ ხიფათს  
ავერიდოთო, –

აი, რას გეტყვი ამის გამო,  
თურქთა სარდალო:  
ჩემი მეფისგან მე ასეთი  
არ მაქვს ბრძანება.

ომი მიბრძანა მან მე თქვენთან  
და არა ზავი,  
უნდა ვანთხიო სისხლი მეფის  
სისხლისმნთხველთა!

ხელმწიფის ჩემის ბრძანებას რომ  
გადავიდე მე,  
იქ, ცის მეუფის წინ სირცხვილით  
სულს რა მოუვა?!

თუ შენ იმედი გაქვს იმისა,  
რომ მეფე ჩვენი  
ამ შენს ნათქვამზე მოწყალებით  
მაინც მოგხედავს,

ლეჰაქს და როინს ჩააბარე  
მძევლები იგი  
და ხარკიც თქვენგან მოსართმევი  
მათ გაატანე.

ისინი ჩვენ შაჰს გაუგზავნე  
დაუყონებლივ  
მე არ დაგიშლი, გზა ხსნილი გაქვს  
ირანისაკენ.

მეექვსე: ჩვენი ქალაქები  
გაქვს ჩამოთვლილი,  
თქვენს აყვავებულ და კეთილად  
ნაშენ მიწა-წყალს

დაგიბრუნებთო ყველას უკან,  
რომ იწერები  
და რაც ჯარი მყავს იქ, მას უკან  
გამოვიხმობო, –

ეს უკვე უფლის შემწეობით  
აღარ გვჭირდება,  
ჯერ თუ არ იცი, შეგიძლია,  
ახლა გაიგო,

რომ დასავლეთის მხარეს ხაზართ  
ქვეყნის მიჯნამდე  
ლუარსაბი ფლობს უკვე  
გმირი ძლევა მოსილი.

ხოლო ნიმრუზი\* თვითონ სინდის\*  
სანახებითურთ  
ბერძნულ აბრეშუმს რომ მიაგავს  
სისხლით მორწყული,

დაიმორჩილა გმირთა გმირმა  
როსტომმა ჩვენმა,  
მეორედ მოსვლა გაუთენა,  
ვინც წინ აღუდგა.

ინდოთ თავები მათი შავი  
დროშის თანხლებით  
ირანის მეფეს გაუგზავნა  
ზაალის ვაჟმა.

რაც შეეხება დაჰესთანს\* და  
ხორეზმის მხარეს,  
რომელიც თურქებს ჩაუვარდა  
ოდესღაც ხელში

და ისე უღვთოდ გათქერეს და  
გადაჯეგეს, რომ  
პირქუშ უდაბნოს დაემგვანა  
იქაურობა, –

აშქაშმა შიღეს რისხვის სეტყვა  
აყარა თავზე  
და მიიყვანა ის სიკვდილის  
პირამდე თითქმის.

ტყვე უამრავი და ნადავლი  
აუარება  
გამოუგზავნა მან იქიდან  
ირანის მეფეს.

აქ კი მე და შენ ვეომებით  
ერთიმეორეს,  
უნდა შევიბნეთ მალე სამკვდროდ  
და სასიცოცხლოდ!

შენ ომი ჩემი არაერთხელ  
გინახავს, მგონი,  
ჩემს დევგმირებსაც არ იცნობდე,  
არა მგონია.

ხოლო თუ ახლა ბრძოლის ველზე  
გამოხვალ, ბარემ  
გიხსნი ამდენი უმაჟნისი  
ლაყბობისაგან.

უფლის შეწევნით და ხელმწიფის  
ჩემის ბრძანებით  
სისხლის მორევად გადავაქცევ  
ბრძოლის ველს მალე.

ჰე ლაშქრის დიდო ფალავანო\*  
სახელოვანო,  
შეხედე, მზე და მთვარე როგორ  
ბრუნავს ჩვენს თავზე!

უნდა გარდაგვხდეს ერთხელ თავზე  
გარდასახდელი.  
თურქების ბედი მარწუნშია  
გამომწმედელი.

შეხედავ აგერ, შენი ბილწი  
ბუნების გამო  
ქვეყნის შემქმნელმა ახლა თავზე  
რა დღე გაწიოს!

უკვე დამდგარა ჟამი, ბოროტს  
ძლიოს კეთილმა  
და ავს მიეზლოს სიავისთვის  
სამაგიერო.

გირჩევ, დაფიქრდე, უგუნურო,  
მოეგო ჭკუას  
და გონიერთა სიტყვას კარგად  
დაუგდო ყური!

როგორ გგონია, ეს ასეთი  
ვეება ჯარი,  
ასიათასი მეომარი  
ხმალამოწვდილი,

ყველა გულადი და მტრის თავზე  
რისხვის მნთხეველი,  
რა უნდა მოხდეს, იგი უკან  
რომ დავაბრუნო?!

მეშვიდე: ისე მოგაქვს თავი,  
თითქოს პირობის  
შენის მინდობა ხამს და გვაძლევ  
პირობას კიდევ.

შენთან რაიმე პირობაზე  
მე არ წამოვალ,  
რადგანაც სული შენი სიბრძნეს  
არ ეტანება.

ყოფილა განა, რომ მიგეცეს  
ვინმესთვის სიტყვა  
და სიტყვა იგი მაშინათვე  
არ გაგეტეხოს?

პირუმტიცილობით სიაუში  
მოგვიკლეს შენით.  
და ღმერთმა ნუ ქნას, შენს ფიცს კიდევ  
ვინმე მიენდოს!

ჟამს განსაცდლისას მარტო დარჩა  
ის უსასოოდ,  
თუმცა გიხმობდა განწირული  
ხმით: მიშველეო!

მერვე: რომ ბრძანებ, ვაჟკაცობით,  
ტახტით და თაჯით,\*  
აგრეთვე ბედით, შენზე ვარო  
აღმატებული;

სიმდიდრეც შენზე მეტი მაქვს და  
ჯარიც მეტი მყავს,  
მაგრამ საწყალი გულის ვარ და  
ეს მაკაუბესო, –

მე კი, ფირანო, ასე მახსოვს,  
შენ არაერთხელ  
გამოგიცდივარ ომში და ვინც  
ვარ, კარგად უწყი.

თუკი ბრძოლაში არ განსოვარ  
გამარჯვებული,  
მაშინ რას ვიზამთ, ხამს ხელახლა,  
რომ გამომცადო.

რომ მიწერ კიდევ: ვაჟკაცებში  
შენ რამდენიმე  
ამოარჩიე კაცი ომში  
შეუპოვარი,

მეც ჩემს ლაშქარში ამოვარჩევ  
გულოვან თურქებს  
და რკინისმკვნიტელ მხედრებს ჩემსას  
გამოვიყვანო;

მე სიყვარული მამოდრავებს  
და არ მწაღია,  
მთელი ლაშქარი ომისათვის  
გავიმეტლო;



მოწყალე გულის და კეთილი  
ზნის კაცი ვარო,  
გვარწმუნებ, მაგრამ ვინცა ხარ შენ,  
ჩვენ კარგად ვიცით.

ქვეყნის მფლობელი განრისხდება  
ხელმწიფე ჩემი,  
თუკი უომრად გაგეცლები  
და ისე წავალ.

მეცხრე: რომ მითვლი, მეომარი  
გამოიყვანე,  
რომელიც ჩემთან ორთაბრძოლას  
გაბედავდესო;

რომ მთხოვ, შენს სპაში შევარჩიო  
ისეთი კაცი,  
რომლისაც ჯავრი მე მჭირს გულში  
და მას შევება, –

არ მომცემს ნებას მე ირანის  
მეფეთა მეფე,  
რომ ვინმე თურქზე ამნაირად  
ვიყარო ჯავრი.

უპირველესად ასე უნდა  
მოხდეს: ჩემი და  
შენი ლაშქარი დაეტაკოს  
უნდა ერთმანეთს!

ორი ლაშქრიდან ორი მწკრივი  
უნდა წამოდგეს  
და მათში ერთ-ერთს გამარჯვება  
ერგუნოს უნდა.

და თუ არა და, მაშინ გემართებს,  
გამოჩენილი  
გამოვარჩიოთ მეომრები  
ჩვენ-ჩვენი სპიდან

და შევაბრძოლოთ ერთურთს სამკვდროდ  
და სასიცოცხლოდ,  
თუ გსურს, ხომ კარგი, თუ არა და  
მე ჩემსას ვიზამ.

თუკი შენ ჩემთან ბრძოლის ველზე  
გამოსასვლელად  
სპა საკმარისი არ მოგყავდეს,  
ვინიცობაა,

თხოვე შენს მეფეს და ის მაშველს  
გამოგიგზავნის,  
შეავსე რაზმი და მეომე  
გულის ნებაზე!

ის, ვინც დაიჭრა, ჯარს ჩამორჩა  
ან დაიფანტა,  
ნათესავეები ღვიძლი შენი  
და ახლობლები,

მიხედე, რათა უაქიმონ  
მათ აქიმებმა;  
დრო ხელსაყრელი გიდგას და შენც  
საცდელს ეცადე!

თუ გსურს, გადროვო, გადროვებ მე,  
ხოლო თუ ომი  
გინდა ახლავე, მეც ახლავე  
მზად ვარ საომრად.

ამას იმიტომ გეუბნები,  
რომ მერე, როცა  
ბრძოლას დავიწყებთ, არ დაიწყო  
მიზეზის ძებნა!

ნუ მეტყვი მერე: უცაბელად  
დამიწყე ომი,  
ისე დამესხი, სულის მოთქმა.  
არ მაცალეო!

ხოლო ჩემთვის კი სულერთია,  
გინდ ასი წელიც  
გამოხდეს, ჯავრი შენი გულით  
უნდა ვიყარო!

იმედი ნუ გაქვს, გადაურჩე  
ჩემს შურისგებას.  
ბრმისთვის რა ფასი აქვს, დღე არის  
თუ ღამეაო!“

გოდერძისა და ფირანის შეთანხმებით, ათი ირანელი გმირი სათითაოდ შეხვდა ორთაბრძოლაში ათ თურანელ გმირს. ათივე თურქი დაეცა. ბოლოს კი, პირობის თანახმად, გოდერძი და ფირანი შეეებნენ ერთმანეთს.

## გოდერძისა და ფირანის ორთაბრძოლა და ფირანის სიკვდილი

როცა გავიდა ცხრა საათი  
იმ დღის დილიდან,  
თურქთა გმირთაგან აღარავინ  
დარჩა ცოცხალი.

ხმლით ამოართვეს ტკბილი სული  
პირიდან ყველას  
და წუთისოფელს ეს ამბავი  
არც უნალვლია.

მან ასე იცის: ჯერ სათუთად  
გაზრდის კაცის შვილს.  
შეგებით ამყოფებს ერთი ხანი  
ამ ქვეყანაზე,

ბოლოს კი უცბად დააცხრება  
საცოდავს თავზე,  
საშინელებას დაარისხებს  
და გულისწყრომას.

ამოვარდება გრიგალი და  
ჩაგვხვეტავს ხრამში,  
ჩვენ მხსნელს მოგუხმობთ, მის ნაცვლად კი  
მსახვრელი მოვა.

თურანელებმა უსამართლო  
სისხლის ღვრის ნაცვლად  
დაიმსახურეს განაჩენი  
განგების მკაცრი.

ისე წავიდა მათი საქმე,  
თურქ ფალავნებში  
ფირანმა ერთიც ვერ იხილა  
გადარჩენილი.

მაშინ ირანის და თურანის  
მთავარსარდლები  
ეძგერნენ ერთურთს ველზე  
სამკვდროდ და სასიცოცხლოდ.

ჭიდილმა მათმა დედამიწა  
შეაზანზარა.  
გული ბაღლამით ჰქონდათ სავსე,  
თავი კი – ბოღმით.

ისეთი ბუღი დააყენეს  
ზედ ბრძოლის ველზე,  
რომ მზეც დაფარა მტვრის და ბუქის  
კორიანტელმა.

იბრძოლეს გურზით,\* იბრძოლეს ხმლით,  
იბრძოლეს ხანჯლით,  
ქამანდით სცადეს ერთმანეთის  
მოგდება ხელში.

ბოლს კი მაინც ის აღსრულდა,  
რაც უფალს ჰსურდა, –  
თავს უსაშველო ფათურაკი  
დაატყდა ფირანს.

მისი მფარველი აღარ იყო  
მოწყალე ღმერთი, –  
ფირანს ტაიჭი დაუვარდა  
ორთაბრძოლაში.

მიხვდა ფირანი: იახდანის\*  
იყო ეს ნება  
და თავად აწი კელარაფერს  
ვერ გააწყობდა!

მაგრამ ვაჟკაცი იყო ის და  
ერჩოდა გული,  
ბედითი\* ბედის წინ ფარ-ხმალი  
როდი დაჰყარა.

ბოლოს და ბოლოს მშვილდს და ისარს  
დაავლო ხელი  
ორმა სარდალმა, გამჭრიახმა  
ორმა მოხუცმა.

გოდერძმა ლარზე იმისთანა  
გადო ისარი,  
რომ წვერი მისი ტინის ქვაშიც  
კი გაატანდა.

ტყორცნა ფირანის ცხენს, გაუპო  
ბარგასთუანი.\*  
წაიქცა ცხენი და ფეხები  
გაასავსავა.

ფირანიც თავის ცხენს გადაჰყვა  
და წაქცეულმა  
მოიყოლია ქვეშ ქურანმა  
მხედარი თვისი.

და გადაემსხვრა ფირანს ცხენქვეშ  
მარჯვენა ხელი.  
მაინც წამოხტა, როგორც იყო,  
ღევგმირი ფეხზე.

მაგრამ მიუხვდა, რომ სიკვდილის  
ლაულგა ჟამი  
და ღვთის განაჩენს კერაფრით ვერ  
გაღურებოდა.

დაუძვრა გოდერძს და გაიქცა  
ლასლასით მთისკენ,  
ცალკე ტკივილი აწუხდება,  
ცალკე – სირბილი.

ფორთხვით და ფორთხვით ადიოდა  
მალლა და მალლა, –  
იქნებ მღევარმა ვერ მომსდიოს  
და გაბრუნდესო!

ეს რომ იხილა, აუვარდა  
ტირილი გოდერძს,  
საწუთროს ასე ბრუნვამ მისი  
გული შეზარა.

მიუხვდა, რომ ის არ ინდობდა  
არავის ქვეყნად  
და სასიავოდ იყო მუდამ  
გამზადებული.

უყვირა ფირანს: „ფალავანო\*  
სახელოვანო,  
რა მოგივიდა ამისთანა  
ამ ქვეყანაზე,

ნადირის მსგავსად ეს ლომკაცი  
რომ გამირბიხარ?  
რა იქნა შენი სპა, იმხელა  
სპის სპასალარო?

რა იქნა შენი ვაჟკაცობა,  
და შემართება,  
გული და ჭკუა შენი, განძი  
და იარაღი?

გმირთ ღელაბოდო, ზურგო  
მეფის აფრასიაბის,  
ჩასვენებია ჩახჩახა მზე  
ხელმწიფეს შენსას.

წუთისოფელმა, – ვერა ხედავ? –  
გაქცია ზურგი.  
ფუჭად ნუ შვრები, არ გაგივა  
ფაფხური ჩემთან!

რადგან ამგვარად წავივიდა  
საქმე, მთხოვე მე,  
რომ შეგარჩინო პირში სული  
და გაპატიო!

ვინძლო მეფესთან მიგიყვანო  
და მან შეგინდოს,  
ფალავანი\* ხარ რადგან ბერი  
შენც ჩემსავითო“.

ფირანმა ასე უპასუხა:  
„ნუ მიქნას ღმერთმა,  
წუთისოფელი ჩემი ასე  
რომ დავალამო;

სიცოცხლე მქონდეს ნაჩუქარი  
თქვენი მეფისგან  
და მისგან ვიყო სულით ჩემით  
დავალებული!

ამ ქვეყანაზე სიკვდილისთვის  
ვარ გაჩენილი,  
მიტომ ვიბრძოლე შენთან ასე  
გულარხეინად.

გამიგონია, დიდებულებს  
რომ უთქვამთ თურმე:  
რაც გინდა შვებით და განცხრომით  
ვცხოვრობდეთ ქვეყნად,

ბოლოს სიკვდილი მოგველისო.  
მისგან საშველი  
არვის ჰქონია და მე როგორ  
უნდა მქონდესო!“

მაშინ გოდერძი მტრის კვალდაკვალ  
შეუდგა გორაკს,  
აუყვა იყო მთა და ასვლა  
ტაიჭს უჭირდა.

ჩამოხდა ცხენით, დაიჭირა  
დარაკა\* ხელში  
და მიჰყვა მტრის კვალს, თითქოს მთაში  
ნადირს მისდევსო.

მარცხენა ხელით ფარი ეპყრა,  
მარჯვენით – შუბი  
და კალთას მთისას აღმა-აღმა  
მიუყვებოდა.

მაგრამ ფირანმა თვალი მოჰკრა  
გოდერძს თუ არა,  
ოთხით მავალი მყისვე ზეზე  
წამოიმართა,

ხანჯალი სტყორცნა მოსისხლე მტერს,  
როგორც ისარი  
და მოხუც სარდალს ბასრი რკინა  
მკლავში გაურჭო.

დაიჭრა მძიმედ ფალავანი.\*  
ტკივილისაგან  
სულმთლად გაცოფდა და განრისხდა  
ფირანზე უფრო.

ესროლა შუბი და მოარტყა  
ზურგში მოსისხლეს,  
რკინის პერანგში გაატანა  
ბასრმა ფოლადმა

და შიგ ჯიგარში გაეყარა  
შუბი შენს ფირანს.  
წაიქცა გმირი და ბრტყელ ლოდზე  
ფართხალი იწყო.

სისხლი ღვიძლიდან წამოსული  
წამოსკდა პირით  
და სული მისი მოკლულ თურქთა  
სულთ შეუერთდა.

ასე დაეცა ბრძოლის ველზე  
მძვინვარე ლომი  
ფოლადის ბასრი შუბის წვერით  
გულგააბილი.

ცოტა ხანს კიდევ ლაფავდა სულს  
როყიო ქვაზე,  
შემდეგ კი დაცხრა და დამშვიდდა  
სამარადუამოდ.

ასეთი არის ეს მუხთალი  
წუთისოფელი,  
არვის სატკივარს გულთან ახლოს  
რომ არ იკარებს.

აქვს საწამლავეში ბასრი ჭანგი  
ამოვლებული,  
გულს გაუხეთქავს ლომს, ვეფხვს ტანზე  
ტყავს შემოახევს.

როცა გოდერძი ამოვიდა  
მაღლა მთის თხემზე,  
ძირს დამხობილი დაინახა  
გმირი ფირანი.

გულგაპობილი, ხელით მიწას  
ჩახუტებული,  
თორდალეწილი, წელზე  
ქამარშემომსხვრეული,

წარმოთქვა მაშინ ფალავანმა:  
„ჰე, ხვადო ლომო,  
ფალავანთ თავო და დევკმირო  
უმამაცესო,

ისეთი, როგორც მე ვარ ახლა  
და შენ იყავი,  
ქვეყანამ ბევრი ნახა, მაგრამ  
ვერ იგუაო!“

პეშვით აიღო (გესმით?) სისხლი  
მისი, ნაწილი  
შესვა, ნაწილით მოითხუპნა  
წვერი და სახე.

მოიხსენია სიაუშის\*  
სისხლი ქვითინით  
და თაყვანი სცა ამის შემდეგ  
ქვეყნის შემოქმედს.

სამოცდაათი ვაჟი თვისი  
ახსენა ბოლოს  
და შეავედრა სული მათი  
მოწყალე უფალს.

უნდოდა, ხანჯლით ფირანისთვის  
მოეჭრა თავი,  
მაგრამ ვერ შესძლო უკადრისი  
საქმის ჩადენა.

იქვე დაურჭო მიცვალებულს  
მისივე დროშა  
და თავზე დროშის ჩერო  
ძეგლად გადააფარა.



## მ ა ზ დ ა ქ ი

### ყოზადის მიერ მაზდაქის სამართლის მიღება

გამოჩნდა კაცი ავისა და  
კარგის მნახველი,  
მაზდაქი იყო ამ ჭკვიანი  
კაცის სახელი.

ის იყო ბრძენი, მჭრელი ჰქონდა  
ჭკუა და ენა,  
შაჰსაც მოსწონდა მისი წესი  
და მისი რწმენა.

და ეს ბრძენკაცი მისი დიდი  
ჭკუა-გონებით  
გახდა ვეზირი, გახდა მცველი  
ქვეყნის ქონების.

ერთხელ ირანში დაიჭირა  
დიდი გვალვები,  
მდიდარს თუ ღარიბს დაემუქრა  
მუსრის გავლებით.

ცაზე არ ჩანდა სულ პატარა  
ღრუბლის ნახევცი,  
კაცი არ იყო მთელ ირანში  
წვიმის მნახველი.

მეფის კარს მომდგარ ხალხს მაზდაქმა  
მიმართა ასე:  
„ხალხო, დამშვიდდით! მეფე ჩვენი  
გაგვიყვანს გზაზე.“

ეს თქვა მაზდაქმა და მაშინვე  
მეფეს ეახლა,  
უთხრა: „მეფეო, საჯე, რასაც  
ვიტყვი მე ახლა!

ერთი შეკითხვა უნდა მოგცე,  
მეფევე, ასეთი,  
მისი პასუხით თუ შენს მონას  
დამაფასებდი“.

ყოზადმა უთხრა: „გისმენ, მაზდაქ,  
აბა მითხარი,  
მაამე და მით გულით სევდა  
ამომითხარე!“

მაზდაქმა ჰკადრა: „ერთხელ გველმა  
დაკბინა კაცი,  
სული ძვრებოდა და კვლებოდა,  
ღლე ადგა მკაცრი.

მეორე კაცს კი, მის მკვიდრს, ჰქონდა  
წამალი წყლულის  
და არ უშველა, მომაკვდავ კაცს  
არ ანდო გული.

გასწირა იგი, თუმცა მას ხსნა  
შეძლო მისი.  
ბრძანე, მეფეო, არის იგი  
შენლობის ღირსი?“

მეფემ მიუგო: „აქ პასუხი  
ერთია, ვგონებ:  
კაცის მკვლეელია ის ვერაგი,  
თრიაქის\* მქონე!“

ადგა მაზდაქი. მოუხადა  
მეფეს ბოდიში,  
მივიდა ხალხთან, იქ რომ იდგა  
იმის ლოდინში

და მათ მიმართა: „მე ვიყავი  
მეფესთან ახლა,  
მოვეთათბირე. მომისმინეთ:  
უკანვე წახვალთ!

ხვალ უთენია ისევ მოდით  
ჩემთან და, ვგონებ,  
ვიძიო თქვენი გადარჩენის  
ხერხი და ღონე!“

ეს რომ ისმინა, დაიშალა  
მწუხარე ხალხი,  
დაბრუნდნენ შინ და თან წაიღეს  
ვარამი თაღხი.

როცა მაზდაქი უიმედო  
ხალხს დაეთხოვა.  
მეფეს ეახლა, მის წინ კვლავ რომ  
სიტყვა ეთხოვა

და მოახსენა: „ჰე მეფეო  
სვებედნიერო,  
გულმეცნიერო, ძლიერო და  
გულიხმბიერო!

მე კითხვა გაადრე და პასუხიც  
მიტხარ, რაც არი,  
ჩემდა სალხინოდ ერთხელ უკვე  
ენა დასძარი.

მაგრამ თუ ახლაც დასტურს დამცემს  
ქვეყნის მპყრობელი,  
ერთი იგავი კიდევ მქონდა  
საამბობელი“.

მეფემ უბრძანა: „გახსენ ბაგე,  
არ გინდა რიდი!  
შენთან თათბირით სარგებელი  
დამრჩება დიდი“.

„მეფეო, ერთხელ ერთი კაცი  
ბედით წყეული,  
იყო ღილეგში უიმედოდ  
გამომწყვდეული.

შიოდა ძლიერ, პურს ითხოვდა,  
მაგრამ რა მოხდა, –  
ის აშიმშილეს მანამ, სანამ  
სული ამოხდა.

და კაცი იგი, ვისაც ჰქონდა  
ძლომაზე პური  
და არ ათხოვა მომაკვდავის  
ვედრებას ყური,

რისი ღირსია, რომ გასწირა  
კაცი მშიერი,  
გულისხმიერი, უცოდველი  
და ღვთისნიერი?“

მეფემ მიუგო: „აფსუს, ის ტყვე,  
თუ იყო ღირსი,  
პურის მქონე კაცს დასდებია  
იმისი სისხლი!“

მაზდაქმა როცა ეს ისმინა,  
მეფისგან ასე,  
აკოცა მიწას და დატოვა  
სასახლე წამსვე,

დაბრუნდა უკან და ხალხს უთხრა:  
„ისმინეთ, ხალხო,  
წადით და ყველგან, სადაც პურის  
ბელელი ნახოთ,

გატეხეთ ის და გაიყავით,  
იქვე ხორბალი,  
ვინც წინ დაგიდგეთ, დაუბრუნეთ  
რისხვის ბორბალი!“

იხუვლა მაშინ ღატაკთ მოდგამ  
და ნაშიერმა,  
იშოვა ლუკმა ხალხმა ამდენ  
ხანს ნამშიერმა.

თვითონ მაზდაქი თავის მარაგს  
მშივრებს სწირავდა.  
დახსნა ბელლები და ხალხს პური  
გაუწილადა.

აზვირთდა ხალხი, დაესია  
ბელლებს და ზოგმა  
თვითონ სამეფო ბელლებიც კი  
აღარ დაზოგა.

ეახლნენ მეფეს სახელმწიფო  
ბელლის დამცველნი,  
ჰკადრეს: „ამბავი უნდა გამცნოთ  
გულისდამწველი:

მეფევ, მაზდაქმა ჩაიდინა  
დიდი სიავე,  
ბელლები თქვენი დატეხეს და  
დაანიავეს!“

მაშინ ყობადმა დაიბარა  
მაზდაქი მყისვე.  
მაზდაქმაც ჰკადრა, წარბიც რომ არ  
შეხრია ისე:

„ჰეი მეფეო, იყავ ქვეყნად  
მუდამ სვიანი,  
შენს სიტყვას საგზლად ატარებდეს,  
ყველა ჰკვიანი!

შენ რაც მიბრძანე, ხელმწიფეო,  
მე მხოლოდ იგი  
გადავეცი ხალხს, როგორც ითხოვს  
წესი და რიგი.

გახსოვს, იგავი რომ გითხარი  
მოშნამულ კაცის,  
გახსოვს ის კაცი უსულგულო,  
გულღრჯუ და მკაცრი,

რომელსაც, მეფევ, აღმოაჩნდა  
ვერაგი გული?  
მაშინ მე შენგან სხვა ვისმინე,  
სხვა იყო თქმული.

შენ ასე ბრძანე: „თუ მოკლავ  
ის კაცი შხამმა,  
თუ უჭერდაო ის ვერაგი  
მომაკვდავს წამალს,

თრიაქის მქონეს ცოდვა აძევს  
მეტად დიდო.  
მე მოკვლას მისას კაცის დასჯად  
არ ჩავთვლიდიო“.

მშვიდისთვის, მეფევ, თერიაყი\*  
მხოლოდ პურია,  
პურს ვინც არ ეძებს, ბედთან მას რა  
დასამდური აქვს?!

როგორ იქნება, ხელმწიფეო,  
იყო კეთილი,  
შიოდეს ხალხს და პური გქონდეს  
გამოკეტილი!“

ყობადს ამ სიტყვამ შეუკუმშა  
მოწყალე გული,  
მიხვდა, მაზდაქის პირით იყო  
სიმართლე თქმული.

ვით მეფეებმა ძნელი საქმის  
გამო იცინან,  
ბრძენთ დაეკითხა, საქმე წვრილად  
გამოიძია.

მაზდაქის სიტყვას შეადარა  
სწავლულთა ძველთა  
დარიგებანი და რჩევანი  
გარდასულ ბრძენთა.

მერე ის იყო, გზით თუ უგზო  
გზებით ნავალი  
მაზდაქის ირგვლივ შეიყარა  
ხალხი მრავალი.

და თქვა მაზდაქმა: „გავაუქმე  
ყველა წოდება,  
ჩვენში მდიდარი და ღარიბი  
თანასწორდება.

ამიერიდან საქმე ისე უნდა  
მოგვარდეს,  
მდიდარი ღარიბს ექცეოდეს,  
როგორც მოყვარეს.

თუ სამართალი სწამთ, დე მდიდრებს  
ნუ ეგონებათ,  
რომ ალალი გზით მოეხვეჭოთ  
თვისი ქონება!

ვამბობ: ქონება და ხვასტავი,\*  
სახლი თუ ცოლი,  
არის საერთო, გლეხი ხდება  
თავადის ტოლი!

და თუ ჩემს მცნებას გადაუხვევს  
ვინმე თავნება,  
იმას უფლისგან მიეზღვება  
კება\* და ვნება!“

მაზდაქის მცნება ხალხმა ყველგან  
გულთ ატარა,  
მიემხრო მაზდაქს ღარიბობა,  
დიდი, პატარა.

მდიდართა სახლი და ქონება  
გაიყო ხალხმა...  
რა დრო ყოფილა, რა სიკეთე! –  
გვაოცებს ახლა.

მეფე ყობადმაც მოიწონა  
მაზდაქის საქმე.  
ყველამ ირწმუნა მისი მცნება,  
სხვა მცნება დაგმეს.

გახდა მაზდაქი შაჰინ-შაჰის  
მარჯვენა ხელი,  
ლოცავდა მაზდაქს ყველა ქველი  
და ოფლის მღვრელი.

დიდგვაროვნებმაც გაუყადრეს  
ღარიბებს თავი,  
გაიყვეს პური და დამყარდა  
ძმობა და ზავი.

## რატომ კამათობთ?

რატომ კამათობთ ერთმანეთში  
მოქიშპე ორი,  
როცა არც შენ ხარ მართალი და  
არც შენ ხარ სწორი?!  
ორივემ სიბრძნე გაიხსენოთ,  
არ გიჯობთ განა,  
ადამის მოდემის დასამოდღვრად  
რაც ქრისტემ ბრძანა:  
„თუ კაცი ვინმე, უტიფარი,  
წაგართმევს პერანგს,  
არ გაუსწორდე მას, ვითარცა  
მოსისხლეს ვერაგს;  
ხოლო თუ ვინმემ ისე მაგრად  
გაგაწნას სილა,  
რომ მისგან თვალში ღამედ გექცეს  
ნათელი დილა,  
არ შეუბრუნო ხელი, რაც გინდ  
აგეწვას სახე, –  
მძრახველთა თვალში გაუფრთხილდი  
ღირსეულ სახელს!“

## ნუშზადმა ფირუზს უპასუხა

...ნუშზადმა ფირუზს უპასუხა  
ამაზე ასე:  
„ბებერი ხომ ხარ, თავიც ქართ  
გქონია სავსე...  
არ დაგავიწყდეს, მე არ ვდგავარ  
ზარღოშთის\* რჯულზე,  
მე დედის შვილი ვარ და დედას  
თვალეში ვუძებრ.  
დედა კი სულ სხვა თემის არის,  
სხვა მცნებას მისდევს.  
ქრისტეა მისი სალოცავი,  
მეც ვესავ\* ქრისტეს.  
თქვენ ფიქრობთ, მოკვდა მაცხოვარი,  
ჯვარს აცვეს რადგან.  
ის არ მომკვდარა, ზეცად აღზდა  
და უფალს ახლავს“.

## გინდ მუზარადი გვერქვას თავზე

გინდ მუზარადი გვერქვას თავზე,  
გინდ ვფლობდეთ გვირგვინს,  
მანც სიკვდილის შვილები ვართ,  
თან დაგვსდევს იგი.  
თუნდაც იყავი კეისარი,  
ხაყანი\* თუნდაც,  
ერთი დღე მოვა და მიწაში  
დაგმარხონ უნდა.  
ღმერთს ვთხოვ, მოგაგოს  
კეისარმა წყალობა ისევ,  
ხოლო სულს შენსას, დაე მუდამ  
ფარავდეს ქრისტე!

## იესომ ბრძანა

მოკიდებული ფირუზიდან  
ხოშნავაზამდე  
რამდენმა წყალმა ჩაიარა,  
წლებს ვითვლით რამდენს!  
დათმეს სოფელი ერთმანეთთან  
ქიშპით და დავით, –  
თავისი სიტყვის გამტეხს უნდა  
გაუტყდეს თავი!  
იესომ ბრძანა: „უსამართლოს  
ნუ ეგონება,  
გონება ჰქონდეს! სამართალით  
ჰგიეს გონება“.

## სათხოვარი

„ერთი რამე მაქვს სათხოვარი  
ირანის შაჰთან  
(ასეთი თხოვნის ჩემის გამო  
არ დარჩე სახტად!):  
შენს საგანძურში ინახება  
და ბრძანე, აწვე  
გადმოგვცენ ჯვარი, მაცხოვარი  
რაზედაც აცვეს!  
ღიღი ხანია, რაც ირანში  
ტყვედ გყავთ თქვენ იგი.  
მოგვეცით უკან, დაიცავით  
მეფეთა რიგი!“



## ფაროსი

(გ. 1037 წ.)

### ვინ გაუქლავდა ასეთ ცდუნებას?!

გათენებული  
არც იყო კარგად,  
როცა უჩუმრად (ეს მოხდა გუშინ)  
შემოდგრა ჩემთან  
კარავში იგი,  
ტრფიალი ვისიც მიბრუნავს გულში.  
გეგონებოდათ,  
ცამოწმენდილზე  
დარი უეცრად ეცვალა ავდარს, –  
კარავი ღრუბელს  
ჰგავდა, თავად კი  
ღრუბელში შთანთქმულ  
ცის მნათობს ჰგავდა.  
ხელში აიღო  
ჩანგი და ჩემი  
სახტად დარჩენის ძირიც აქ არის:  
ვერ გავარკვიე,  
მარჯნის ტუჩთაგან  
როგორ ცვიოდა ამ ქალს შაქარი!  
ხუთი თუ ექვსი  
თასი დაცალა  
და შეზარხოშდა კარგად თუ არა,  
ლოყებზე ვარდი  
აულადანდა,  
პირზე აპრილმა გადაუარა.  
და როცა მახმურს\*  
ძილი მოუნდა,  
მოდგა და იქვე მომიწვა გვერდით,  
ლოგინად ჩემი  
მკლავები ეგო,  
სასთუმლად – ჩემივ შიშველი მკერდი.  
და მაშინ ჩვენთვის  
რომ დაეხედა,  
ვერც გაარკვევდა გონება სადა:  
ქალს კაცის მკერდთან  
მოეკალათა,

თუ მარგალიტი ჩაკვროდა სადაფს.  
სახეზე უღვთოდ  
ჩამოცვენოდა  
შავი ზილფები მუშკში\* ნალესი.  
ვინ გაუძლებდა  
ასეთ ცდუნებას,  
არ მოეპარა მისთვის ალერსი!

## რატომ გამირბი?

– სამად-სამ კოცნას  
გთხოვ და ამაზე  
უარს ნუ მეტყვი, ტურფა ჰურიავ!  
– ჰურიის კოცნა  
ამქვეყნად ვინ თქვა!  
იცი, ჰურია სადაურია?  
– კი ვიცი, მაგრამ  
კოცნისთვის კაცის  
იმ ქვეყნად წასვლაც ჯერ არვის უთქვამს.  
– ოლოლო შენა!  
მე სამოთხე ვარ,  
სამოთხე გინდა და ისიც მუქთად?  
– სულ რომ გამირბი,  
რატომ გამირბი?  
რაც გლიე, ტანჯვად კმარა, ფერიავ!  
– ფერია კაცის  
მოდგმას გაურბის.  
აქ უცნაური არაფერია!  
– ეს მაინც მითხარ,  
თვისება რა გაქვს,  
რა ნიშნით გიცნო, თვალი თუ გკიდე?  
– მე მზე ვარ, მზეს კი  
ამ ქვეყანაზე  
რამე ნიშანი სჭირდება კიდევ?!  
– ჰე გულის სწორო,  
შენი წერწეტა  
ტანის ყურებამ გამღუნა წელში.  
– მე ისარივით  
სწორი ვარ, ისრის  
გულის სწორი კი მშვილდია წესით!

## ორჯერ კოცნა

ლალის ტუჩების  
კოცნა მომინდა,  
მივედი მასთან და ვთხოვე ასე:  
„მოისხი მაღლი  
და მომარჯულე  
ორად ორ კოცნით მე ბიწით სავსე!“  
მომიგო: „ორჯერ  
ვერ გაკოცინებ,  
ერთი მაკოცო, ისიც ბევრია.  
ორჯერ ვინც მკოცნა,  
ყველა გაგიჟდა,  
ქვეყანა ასე გადამერია.  
ჩემს თითო კოცნას  
თითო სიცოცხლე  
მოაქვს  
და გირჩევ, მუდარას მორჩე, —  
სად გაგონილა,  
ერთხელ გაჩენილს  
ამ ქვეყანაზე ეცოცხლოს ორჯერ!“

## სანამ გიდულს სიჭაბუკე

რა კარგია, როცა გიყვარს  
და გულს გიძრავს მისი ვნება,  
რა კარგია, დედაკაცის  
მძიმე დალალებით ება!  
რა კარგია ძმაკაცებში  
ფეხის მორთხმა, ნოხის გება,  
შეჰყევ სმას და ტკბილზე ტკბილი  
ღვინო წრუპე ნება-ნება.  
სანამ გიდულს სიჭაბუკე,  
სანამ სისხლი თვისას შვრება,  
თორემ, როცა დაბერდები,  
შვებაც მშვიდად მოგეშვება.  
არ ეგების ჭაბუკისთვის  
სიჭაბუკის მუქთად დება,  
იმის ქება როგორ ითქმის,  
ვინც არ იხდის ტრფობის სნებას!  
ეგ ტუჩები დედაკაცის  
ცხელ ტუჩებზე თუ არ დნება,  
რალა შენი ქვეყნად ყოფნა,  
რალა გზაზე ჯირკის გდება!  
სიყვარული შვების ტაძარს  
აბია და კარად ება.  
მაშ, შეაღე შენც ეს კარი,  
მაშ, იგრძენი შენც ეს შვება!

## არ ვიცი, როგორ შევასხა ხოტბა

არ ვიცი, როგორ შევასხა ხოტბა  
მას, ვინც ზღვასავით გულუხვი არის,  
ვინც მოწყალებით თვისით სულს უდგამს  
კაცს, თუგინდ ასი წლის იყოს მკვდარი!  
ეს გულუხვობა და მოწყალება,  
რომელსაც არსად არ უღევს ზღვარი,  
ლამის იესოს გულმოწყალების  
და გულუხვობის გაგვიხდეს დარი!  
გამოზაფხულზე, როცა საამო  
ზეფირს ედემის ელება კარი;  
როდესაც მწვანე სამოსელს იცვამს  
ირგვლივ, მთა არის იგი თუ ბარი,  
მეფევე, ხის ფოთოლთ სიუხვეს მოჰგავს,  
შენ რომ გვაყარე ოქრო და ლარი.

## ხელგაშლილობა

ხელგაშლილობა ღვთის გზაზე მდგარი  
სიკეთე მუდამ იყო და არის.  
მას ძალუძს, ფეხზე წამოაყენოს  
კაცი, რომც იყოს ასი წლის მკვდარი.  
აბუ ლ-ჰასანო, შენს გულუხვობას  
და სულგრძელობას არ უჩანს ზღვარი.  
კაცის ბოდებულს კი არ მაგონებს,  
რაც შენ გვაყარე განძი და ლარი, –  
თვითონ იესომ ხომ არ გაგვიღო,  
ვით მას სჩვევია, სიუხვის კარი?

## შაჰმა რომ...

შაჰმა რომ თვალი ლომს გაუსწოროს,  
ლომს ფერი-ფური ეცვლება შიშით,  
ყალყზე უღება მაშინვე თმა და  
ფაფარს ასპიტის გველივით იშლის.  
მძლეთა მძლეველი ხელმწიფე ვისაც  
თავისი რისხვის დააყრის მერეხს,\*  
გული უსკდება საწყალს და გამსკდარ  
გულს რა მალამო უშველის მერე!  
ორი ბუნება მოსდგამს ჩვენს მეფეს  
და მტრის თუ მოყვრის მიმართ მას აჩენს:  
მოძულეს, როგორც მოსე\*, ამარცხებს,  
მოყვარეს, როგორც იესო, არჩენს.

## იზი

ომში ღვრის...  
– რას ღვრის?  
– რას და სისხლს მტრის  
და ავის მდომის.  
ველზე გაურბის...  
– რა გაურბის?  
– მძვინვარე ლომი.  
გულში აქვს მცნება...  
– მცნება ვისი?  
– ვისი და ალის.\*  
მართლმსაჯულია, როგორც...  
– როგორც ვინ?  
– ნუშირვანი.\*  
ბრძოლაში იჩენს...  
– რას იჩენს?  
– რას და სიმამაცეს.  
გულუხვად აფრქვევს...  
– რას აფრქვევს?  
– რას და მძიმე განძებს.  
წყალობით იგი ჰბაძავს...  
– ჰბაძავს წყალობას ვისას?  
– წყალობას, რაიც  
მუცლით დაჰყვა  
მოწყალე 'ისას.\*

## მანუჩიჰრი

(XI ს.)

### ყბალია ხალხმა

ყბალია ხალხმა, ვინც მოციქულის  
ავად ხსენებას არც კი თაკილობს,  
ვინც თვით ღვთისმშობელს და მის ძეს,  
ქრისტეს,  
სურს, მოუნახოს რამე საკბილო,  
რომელი მზე და რომელი მთვარე  
მე ვარ, საქვეყნოდ რომ არ გამკილოს!

## ნასერ ხოსროავი

(1004-1072)

### ხოლო თუ ვინმეს ისევ ვახსოვარ

ჰეი ნიავო,  
გზა საით გიძევს,  
ხომ არ მიდიხარ ხორასნის მხარეს?  
ეს რა ხანია,  
მომკვეთეს მამულს,  
სამშობლოს ხილვით ვერ გავიხარე.  
თან გატან ჩემს სულს  
და ამას გნუკვე,\*  
უთხრა სალამი ჩემი გვიანი  
ყველას, ვინც ისევ  
ხეპრედ არ დარჩა,  
ყველას, ვინც იყოს კიდევ ჭკვიანი!  
ხოლო თუ ვინმეს  
ისევ ვახსოვარ  
და ჩემს მოკითხვას კიდევ არ ზარობს,  
ამცნე: საწუთრომ  
ქნა-თქო საქნელი,  
წელში გატყდა-თქო ნასერის სარო.

### ეცადე, ბოროტს არ მისცე თავი!

იმდენმა დღემ და  
იმდენმა ღამემ  
გარდაიარა ჩემს თავზე ნავსად,  
რომ თმა დღესავით  
თეთრი მაქვს უკვე,  
ხოლო დღე ღამის გამიხდა მსგავსად.  
სოფელი, შვილო,  
დიაცს ჰგავს კახპას,  
ჩვენ წინ კეკლუცობს და იცვლის იერს,  
ეცადე, ბოროტს  
არ მისცე თავი,  
უკეთური და მაცთური სძლიე!  
შენ, მინდობილი

მის რიოშ\* ალერსს,  
გულით ნეტარებ, იშვებ და ხარობ,  
ის კიდევ ქვეშ-ქვეშ  
იცინის შენზე, –  
იცის, რომ ფეხქვეშ გითხრიან ხაროს!  
ვინც ბნელ საკანში  
გდია გვეშული,  
ვერ შეძლებს ლაღად ყელის ღერებას,  
ციებ-ცხელებას  
ვინც გაუთანგავს,  
არ ვიცვი, იმას რა ეძღერება!

### ჩემს სულს და სხეულს

მე იმ გზაზე ვარ  
დამდგარი, შვილო,  
და იმ დაღლით ვარ დაღლილი ახლა,  
გზად სულის მოთქმა  
რომ ვერ გიშველის  
და მხოლოდ წასვლით რომ გადის დაღლა.  
ჩემს სულს და სხეულს  
ბნელის და ნათლის  
ორი საწყისი აეკვიატა,  
სულით რომ ცისკრის  
ნათელი ამდის,  
სხეული მრჩება ღამის წყვდიადად.  
სული წყალია,  
ტანი – საცერი.  
ასეთი ყოფა ვინ ნახა მდგრადი!  
საცერში წყალს ან  
რა გააჩერებს  
და, აჰა, სულიც ტანიდან გადის.

### ჩინარი და კვანძი

ერთ ღღეს ერთი კვანძის ბურღო  
ჩინარს ტანზე აუცოცდა,  
კენწეროზე მოუარა,  
არ ინება დაბლა მოცდა.  
ოცი ღღე რომ შეუსრულდა,  
გამოიბა ზედაც კვანძი.  
– შენ, ჩინარო, რა ხნის ხარო? –  
შეუძახა ჩინარს მკვანძედ.  
– ოცდაათი წლისა გავხდი  
ამას წინათ, თუ არ ვცდები.



– ბეჩა, მე კი ოცი დღის ვარ  
და შენს წვეროს უკვე ვწვდები!  
შე საწყალო, ამდენ ხანში  
ვერ მოასწარ გაზრდა მეტად?  
აქ ჩინარმა უპასუხა:  
– რას იკვები, კვახო, ნეტა!  
მალე მოვა შემოდგომა,  
ქარიშხლებიც გვიდგას ახლოს  
და საწყალი ვინც იქნება,  
აი, მაშინ ვნახოთ, კვახო!

## ანი — თქვენ

აჰა, გასრულდა,  
საამშავდღეოდ  
თუკი ოდესმე რამ გადავმალე,  
არც იმედების  
რამ ნიშანწყალი,  
არც სასოების რამ ნატამალი!  
დადგა ჟამი და  
მიუნდობელმა  
სოფელმა, როგორც მთვრალმა აქლემმა,  
ჯერ თემშარაში  
გადამისროლა,  
მერე მომდგა და ფეხით გამქეცა.  
მქონდა ღიღება,  
მომაგეს ნიჭი,\*  
მდევდა სახელი დაუძრახველი,  
მაგრამ სახელი  
რას მშველის ახლა,  
როცა წინ მიდგას ყოვლისმსახვრელი!  
დავთმე სოფელი  
და კარგს არაფერს  
ამქვეყნად უკვე აღარ მოველი,  
თქვენ გყავდეთ აწი  
ეს კახა ქალი,  
თქვენ გქონდეთ სოფლის ნივთი ყოველი!  
მეყო, რაც ლამაზ  
ჯეირნებს ვსდიე  
და ღაზელების\* წერით გავძელი,  
თქვენ სდიეთ აწი  
ლამაზ ჯეირნებს,  
თქვენ წერეთ აწი მათზე ღაზელი!

## იესოს სიტყვა

მიცვალებულთა გასაცოცხლებლად  
რომ მარტოდმარტო წყალი კმაროდეს,  
ამუდარიის სანაპიროზე  
არ მოკვდებოდა არვინ აროდეს.  
ქრისტე რომ პირში წყალს იგუბებდა  
და მომაკვდავებს კურნავდა მითი,  
ამის შესახებ „წყალმა განკურნა  
მომაკვდავიო“, თითქოსდა ითქმის.  
მაგრამ თუ ასე ვიტყვოდით, მაშინ  
ჯობდა, სიმართლე ბოლომდე გვეთქვა:  
იმ მომაკვდავებს მიტომ კურნავდა  
ის წყალი, ქრისტეს რომ პირში ეღვა.  
მთავარი სულთქმა იყო მაცხოვრის, –  
წყალს უკვდავების წყლად ის აქცევდა,  
თორემ წყლის მეტი რა იყო ქვეყნად,  
წყალს ვინ არ სვამდა ან არ აქცევდა!  
ასეა კაცის სიტყვაც: ამქვეყნად  
ვის არ ამოგვდის პირიდან სიტყვა,  
მაგრამ იესოს სიტყვას ღვთიური  
სულთქმა ერთვოდა. ეს მინდა, გითხრა.

## კაცობა თუ გსურს

წინასწარმეტყველს იმიტომ ვუხმობთ  
იოსებს,\* რომ მან შეიძლო თმენა, –  
ამბუვნებული დიაცის ვნებას  
არ აჰყვა, სათნო მით ეყო ზენას.  
ხოლო ზელიხას\* განსადიდებლად  
არ გვიბრუნდება იმიტომ ენა,  
რომ გულში ვნება არ დაიოკა  
და არ მოთოკა გრძნობები ქვენა.  
ჩემს დარიგებას მიაპყარ ყური,  
შენ თუ გულითად მეგობარს ეძებ:  
მოთმინების ნიჭს მიენდე მხოლოდ,  
მას ეთაყვანე, ეყმე და ეძმე!  
და დაიხსომე, ამის შესახებ  
ქრისტემ როგორი რჩევა ინება:  
„მოუთმენლობას კაცობა არ სცნობს,  
კაცობა თუ გსურს, ხამს მოთმინება!“

### ჰე ყარიბო მოგზაურო

ჰე, ყარიბო მოგზაურო,\*  
შენ თუ მართლა გული გერჩის,  
ადე ზეზე, აქ რას უცდი,  
ამ ძველ ფუნდუქს როგორ შერჩი!  
ეს საწუთრო ის ხილია,  
არყოფნა რომ გადახიდე, –  
ხიდზე ბინას ვინ იკეთებს,  
ჩქარა უნდა გადახვიდე!  
ქრისტეს ჰბაძე, სული შენი  
სანამ ბიწით არ წაბილწეს,  
შორს დაუდექ ამ ქვეყანას,  
ვით ებრაჰიმ ადჰამის ძე!\*  
სანამ ცოცხლობ, შეიმეცნე:  
ეს სოფელი რა დღეს, რა ხვალ  
უნდა დათმო! თვალთ აღახვამ  
და იმ სოფლის ბაღში გახვალ.  
გინდ დიდებას ფლობდე ქვეყნად,  
გინდ – სასახლეთ,  
გინდა – განძებს,  
სულ ერთია, ვალად გაბევის,  
ამ ცრუ სოფლის საზღვარს გასცდე.  
დაიხსომე, ეს ქვეყანა  
სულ სხვადასხვა ფერად ირთვის;  
გეყო სოფლად ფართიფურთი,  
გეყო ქვეყნად ჩირთიფირთი!  
გზა, ვით ქრისტეს, ცისკენ გვიძევს.  
მან კი რა ქნა, ჩვენ ეს ვიცით:  
თავად ზეცად აღზდა, ხოლო  
ჩვენ შემოგვრჩა მისი კიცვი.\*

### დანაკისკუდი

ორგულ კაცს კაცად ნუ ჩათვლი,  
ვისიც  
არ იყოს იგი ჩამომავალი!  
ამისთვის ბევრი იგავი ვიცი  
და მაგალითი უფრო მრავალი.  
დანაკისკუდის\* მაგალითს გეტყვი:  
მწიფე ნაყოფი დანაკისკუდის  
საჭმელად როგორ ტკბილია,  
ვიცით  
და სურნელებაც როგორი უდის.

\* ამ ლექსით აღტაცებული იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ვენორი ქვანახია (1924-1982).

მაგრამ ერთია ნაყოფის გემო  
სხვათა და სხვათა ხილდასხმულ ხეთა,  
ხოლო სხვა არის იმ ხეთა მიერ  
მკრეფელთა ხელთა ეკლებით ფლეთა.  
აქ საკვირველი ეს არის სწორედ,  
ეს სასწაულიც იმ იგავთ მისდევს:  
ყველამ, მარიამს ვისაც უხმობდნენ,  
შეძლო, რომ ეშვა იესო ქრისტე?

# მას'ულ სა'დ სალმანი

(1046-1121)

## სადა ხარ, ძმაო?

ნეტავ თუ ამ ჩემს გულში ნადებს  
მოგაწვდენს ვინმე, ამრე გაგი?  
სადა ხარ, ძმაო, ძველ მეგობარს  
კვლავ გიხმობ წრფელი ამხანაგი!  
არა უშავს რა, შენ თუ გული  
გადაგიქანცა ჩემმა ძმობამ, –  
მე შენმა ძმობამ ვერ დამღალა,  
კვლავ ძალმიძს მოძმის თანაგრძნობა.  
რაც ხანი გადის, სიყვარული  
თუ უნელდება გულში ყველას,  
ჩემს გულში შენი სიყვარული,  
რაც ხანი გადის, უფრო ღელავს.  
მე შენ მჭირდები, მეგობარო,  
დავრჩი უშენოდ უღლის ცალი,  
მუხლებში ძალა არ მომყვება,  
მკლავებში ღონე გამეცალა.  
რად შემიბრუნდა ეს ცხოვრება  
ასე უკუღმა, მეც არ ვიცი,  
თუ რამ მრგებს, სხვაგან გამირბის და  
თუ რამ მწყენს, ჩემგან ფეხს არ იცვლის!

## უმაღლე უფალს!

ორმოცდათვრამეტ  
წელს მივატანე  
(ორმოცდაჩვიდმეტს ვაქციე ზურგი),  
რაც კარგი იყო  
ჟამი, დავხარჯე  
და შემრჩა ხელში დრო ყოვლად ურგი.  
ამ გზას სათავე  
სად ედო, ვიცი,  
მაგრამ არ ვუწყვი, სად უღევს კიდე.  
ვიცი, რამდენ ხანს  
ვიცოცხლე, მაგრამ

არ ვუწყვი, რამდენს ვიცოცხლებ კიდევ.  
 ავისმზრახველთა  
 შებეზლებული,  
 მიზეზით ცილისმწამებელთ ლიზლის,\*  
 თავად დილეგის  
 ბნელში ვზივარ და  
 სული და ხორცი სახმილზე მიზის.  
 მას'უდ, ორმოში  
 გადაგივარდა  
 ბურთი და ფუჭად რას იქნევ ჩოგანს?  
 კვიცო, კისერზე  
 ქამანდი გაცვეს, –  
 რაღას ხტუნაობ და რაღას ბორგავ!  
 უმადლე უფალს,  
 ლექსში ზეიმობს  
 შენი ბუნება წრფელი და წყნარი.  
 გრჩება  
 ხელიხელსაგოგმანები  
 რამოდენიმე ათასი პწკარი!

### რაც ღმერთმა მოგცა

ცის ეტლი  
 მეტად მაღლა რბის და მას,  
 ამის გამოა, ვერ ვწვდები ხელით,  
 თორემ, იცოცხლე,  
 სულ ნაწილ-ნაწილ  
 დაეშალო, ბოლმით ისე ვარ ხელი!\*  
 ეს უთანაბრო  
 წუთისოფელი  
 როგორ იქნება ხეირის მყრელი?  
 ერთს ქედი მძიმედ  
 მოადრეკინა,  
 აღერებინა მეორეს ყელი!  
 ერთი წელებზე  
 ფეხს იდგამს, მაგრამ  
 ტანზე ძონძები აცვია ძველი,  
 მეორე ფარჩის  
 ახალოხს წუნობს,  
 აბრეშუმით აქვს შეკრული წელი.  
 ის, ვინც ამქვეყნად  
 განცხრომით ცხოვრობს  
 და ისიც, ვისაც ბედი ხვდა ძნელი,  
 ორივე წუთისოფელს  
 უჩივის,  
 ორივეს თვისი ცეცხლი წვაავს ნელი.  
 შენ, მას'უდ სა'ლო,

არ იწუწუნებ,  
თუ ბრძენთა მცნების იქნები მცველი.  
რაც ღმერთმა მოგცა,  
დასჯერდი იმას  
და გაიტანე ბოლომდე სვრელი!

## მე და შენ

შენს ვარდისფერ ღაწვებს მიგავს  
მე, ძვირფასო, ცრემლის ჩქერი;  
ჩემს დღეებს და შენს კულულებს  
მიუღიათ გიშრის ფერი.  
შენთ ტუჩთაებრ დავიწროვდეს  
ეს საწუთროც, დადგა ჯერი.  
შენი რიყის ქვის გულივით  
დამიმძიმდა სულის ჭერი.

## რატომ?

შენი სიყვარული მაღლა მიდის,  
ჩემი მოთმინება კი – სულ დაბლა.  
რატომ?  
შენი პირისაზე სათნო არის,  
შენი ბუნება კი – საშინელი.  
რატომ?  
ლოთს და ღვინის მსმელს მე მიხმობენ,  
მთვრალი თვალები კი შენ გამშვენებს,  
რატომ?  
ჩემი ტუჩებია უფრო ახლო,  
შენ კი ხელზე კოცნას არჩევ ხოლმე.  
რატომ?

## მეუფე

მეფევ, შენს მყოფადს აქედან ვხედავ  
ჩემი ფხიზელი ჭკუა-გონებით:  
სახსენებელი გაწყდება ქვეყნად  
ხელმწიფის შენგან დაუმონებლის.  
შენს მეუფებას ამ დუნიაზე  
არ დაედება არსად სამანი,  
შენს ფერხთით ზეცა ისე ილოცებს,  
როგორც კერპის წინ – ძველი შამანი.  
აქედან ვხედავ, როგორ ატყდება

მტრებს თავზე შენი წყრომა და რისხვა;  
აქედან ვხედავ, მოყვასთა შენთა  
გულში იმედი ფრთებს როგორ ისხამს.  
იმათ, ვინც გამტრობს და  
თავს იგდებს ქიშპით,  
შენ როგორც მოსე,\* ისე ამიწებ,  
ხოლო მოყვარეს სულს უდგამ პირში,  
ვით მკვდარს – იესო მარიამის ძე.

## შენ ხარ ხმალი

შენს გურზს\* ზუჩი რომ ვერ უძლებს,  
ამან მტერი დააფეთა,  
შენს ხმალს რაც მტრის ჯაჭვი დახვდა,  
სულ დაჭრა და სულ დაფეთა.  
შენ ხარ ხმალი და სამეფო  
დაცულია სწორედ ამ ხმლით;  
მხოლოდ ხმალს თუ შეუძლია,  
რომ აცხოვროს მშვიდად ხალხი.  
როგორც მოსეს,\* შენი შიშით  
ძალგიძს, მტერი ავიშვიშო,  
მოყვარეს კი აღხენ ისე,  
ვით მწირს – მარიამის პირმშო.



# ომარ ხაიამი

(გ. 1123 წ.)

## როზაიები

1

მეჩეთში რომ ვართ, კვლავ ლოთები  
განა არა ვართ,  
განა ალაჰის იმედების  
ანაბარა ვართ!  
აქ ერთ დღეს მოლას სალოცავი  
ნოხი მოვპარეთ,  
ისევ მოვედით ახალ ნოხის  
მოსაპარავად.\*

2

შაბანის\* თვეში თუ დავთვერით,  
ღმერთს ეწყინება  
და ლოთებისთვის მან რაჯაბის\*  
თვეც არ ინება.  
კარგი, ბატონო, რამაზანის\*  
თვეში დავთვრებით,  
მაგრამ მაშინაც არ დაგვიწყობ  
ლანძღვა-გინება!

3

ერთხელ მთვრალი დოქს ვწვდი ყელში  
და სიბ ქვაზე ვუწყე რტყმევა.  
დოქმა ნიშნი მიგო: „ახლა  
ადვილია ჩემი ძლევა.  
ერთი რჩევა უნდა მოგცე:  
დაიხსომე შენი ქცევა!  
მე ვიყავი, რაც დღეს შენ ხარ,  
შენ იქნები, რაც დღეს მე ვარ!“

---

\* ამ ლექსს ჩემთან ხშირად იხსენებდა ანა კალანდაძე. დღესაც არ ვიცი, მე მიქებდა თარგმანს, თუ ხაიამის რობაით იყო აღტაცებული.

## 4

ვინ გადაურჩა უცოდველი  
 ღღეების დენას;  
 ვინც არ შესცოდა, როგორ შეძლო  
 მან თავის რჩენა?  
 მე რომ ცუდს ვშვრები და შენც, ღმერთო,  
 ცუდად რომ მიხდი,  
 შე დალოცვილო,<sup>9</sup> ღმერთი ხარ, თუ  
 კაცი ხარ შენა?!

## 5

მოთმენა ჩემი ღვინის ნდომით  
 უკვე იძლია  
 (ასეთი ვიყავ, ხასიათი  
 არ შემიცვლია).  
 ვებრფი იმ წუთებს, როდესაც მწდე  
 მომაწვდის ღვინოს,  
 მამალებს, მაგრამ მე დალევა  
 არ შემიძლია.

## 6

თავს ვიმტვრევდი, გამოცანა  
 ვერ ამეხსნა ძნელზე ძნელი:  
 სუყველაფერს რა სჯობს ქვეყნად,  
 ახალია ის თუ ძველი?  
 ბრძენმა ყურში მითხრა: „რა და,  
 ხელით ქალის გეპყრას წელი  
 და გაგრძელდეს ერთი ღამე  
 ისე, როგორც ერთი წელი.“

## 7

ვიღაც ოხერს და მამამაღლს  
 ხოტბა რატომ უნდა უძნო?\* –  
 ბუზი არ ხარ, საჭმელისთვის  
 მიუსკუპდე ვიღაც უცნობს.  
 იშიმშილე, შვილო, მაგრამ  
 მონად არვის არ დაუდგე.–  
 სხვისი პურის ჭამას გიჯობს,  
 შენივე გულის სისხლი წუწნო!

## 8

ღვინოვ, შვების ჩემის წყაროვ,  
 ჩემო გიჟო მეგობარო,  
 ოლონდ შენ გსვა და ვისაც სურს,  
 მთათხოს: „ფუ, რა ბილწი ხარო!“

იმდენი ვსვა უნდა ღვინო,  
რომ ისიც კი, ვინც მე მყვარობს,  
მეძახოდეს: „ღვინის ტიკო,  
აქეთ საით ყოფილხარო?“

9

ღვინო მინდა! ჩემს წინ თუა  
ღვინო ჯამით მდგარი,  
მე მგონია ჩემი თავი  
დიდებულთა გვარის.  
ჯერე მინდა, გავეყარო  
ჩემს რჯულსა და რწმენას,  
მერე ვაზის ასულთან\* მსურს,  
დავიწერო ჯვარი.

10

ო, ვის უნდა, რაში უნდა  
ყოფა ამისთანა!  
ერთი მოდის, მეორისთვის  
ილესება დანა.  
ჩვენი ჯავრი რომ იცოდე,  
არშობილო ჯერე,  
ქვეყანაზე დაბადებას  
ისურვებდი განა?!

11

როგორც ჩქარი ნიაღვარი,  
როგორც ქარი ველთა,  
გაქცეულან დღენი ჩვენი,  
რალა დაგვრჩა ხელთა!  
სანამ ვცოცხლობ, არ ვინაღვლი  
ორთა დღეთა გამო:  
დღეთა ჯერეთ მოუსვლელთა  
და წარსულთა დღეთა.

12

ბედი ჭადრაკს თამაშობს,  
ჩვენ კი ვგავართ ჰაიკებს  
(ტყუილს კი არ გეუბნები,  
მართალს ვამბობ, გაიგე!).  
მთელი ჩვენი ცხოვრება  
ერთი სათამაშოა.  
დღე მოვა და აქედან  
გუდა-ნაბადს აიკრეფ.

## 13

თქვე თათრებო, მე სულ სამი  
 სათხოვნი მაქვს, განა ასი:  
 ღვინო მასვით, იაგუნდად  
 მექცეს პირი ქარვის მსგავსი;  
 მოგკვდე, ღვინით განმბანეთ ჯერ,  
 ხოლო მერე ფიცრით ვაზის  
 შემიკარით ტახტი იგი  
 და საფლავში ისე ჩამსვით!

## 14

თენდება. სირაჯხანიდან  
 მოძმე გვეძახის ასე:  
 „ჰეი ლოთებო, ვინც იყოთ  
 ხელაღებული თავზე,  
 აავსეთ ღვინით ფიალა  
 მანამდე, სანამ ვინმე  
 ხელში ფიალად დაგვიჭერს  
 პირამდე ღვინით სავსეს!“

## 15

ჰეი ლამაზო, ლამაზო,  
 ნულარ დამაგდე ხელადა!—  
 მეჩვენე ვარდი და დარდი  
 გულს მომეშვება ხელადა.  
 ერთი ხელადა ამივსე,  
 დავსხდეთ და ერთად დავლიოთ,  
 სანამდის მიწად ვიქცევით  
 და თვით გავხდებით ხელადა!

## 16

ეს სოფელი ბურთს თამაშობს,  
 ხოლო ჩვენ ვართ ბურთი მისი;  
 ხან იქიდან აქეთ გვტყორცნის,  
 ხან აქედან იქით გვისვრის.  
 გვითხრას მაინც, მისი ხოშით  
 რად ძრწის კაცის მისხის მისხი?  
 კი გავიგე, რომ გემტრობს, მაგრამ  
 ვერ მიმხვდარვარ: რატომ, რისთვის?

## 17

ბატს შემოსჩივლა ერთხელ თევზმა  
 გვალვით დამფრთხალმა:  
 „ამ ჩვენს გუბეში მოიმატოს  
 ნეტავი წყალმა!“

ბატმა მიუგო: „ჩვენ თუ შეგვწვეს  
მანამდე, მერე  
ქვეყანა თუნდაც წარღვნამ შთანთქას,  
თუნდ – ცეცხლის ალმა!“

18

ტურებით რომ მივეტანე  
ღვინით სავსე ღოქის ტურებს,  
ეგებ-მეთქი გულის ვარამს  
ასე უფრო გადავურჩე!  
ღოქი ტურით ტურს დამაკვდა,  
ამოიღვა ენა უცებ:  
„ერთ ღროს ქალი ვიყავი მე...  
გყავდე ასე და იყურე!“

19

გირჩევ, ქვეყნად ძლიერ ცოტა  
მეგობარი გყავდეს,  
ნუ თვლი მოძმედ, შენს ძმობაზე  
ვინც სიცრუით თავს ღებს!  
იქნებ, სიტყვით გიმტკიცებდეს  
მეგობრობას ნამდვილს,  
ნამდვილად კი მტერი იყოს,  
საქმით ღუშმანს ჰგავდეს!

20

იმ სასახლეში, სადაც ჯამშიდს\*  
ეჭირა ჯამი,  
ღღეს ტურა ჰკივის. ხედავ როგორ  
იცვალა ჟამი?!  
ჰმ, იმ ადგილას, სანადიროდ  
რომ ჰქონდა ბაჰრამს,\*  
ღღეს მიწას დარჩა სანადიმოდ  
ბაჰრამის გვამი.

21

ცას გინდა შეიდი სკნელი ჰქონდეს,  
გინდა – ცხრა სკნელი,  
რა ბედენაა, ერთ ღღეს მისგან  
თუ სიკვდილს ელი?!  
განა სულერთი არ არის, სად  
რა შეგვჭამს ბოლოს:  
საფლავში ჭია, თუ ჭალაში–  
მამალი მგელი!

გვერგუნა ქვეყნად მწუხარება,  
 დარდი და ძრწოლა.  
 მოვა დრო, მოვა სიკვდილი და  
 საფლავში წოლა.  
 ეს ორიოდე დღე რომ ვცოცხლობთ,  
 ვილხინოთ მოლზე,  
 სანამ ჩვენ თვითონ გადვიქცევით  
 მიწად და მოლად!

მე ღმერთმა შექმნა, ვითარცა მას  
 ჰქონია წესად,  
 თავიდან უნდა ხომ სცოდნოდა,  
 რა თესლიც მთესა?!  
 რომ შემუქრება დღეს, მაშინ ხომ  
 კარგად უწყოდა,  
 იმ კაცს მაჩენდა, სულ რომ უნდა  
 მესვა და მესვა?!

საცოდავია, ვისაც ტრფობის  
 ჭირი და სნება  
 არ განუცდია, არ ჰქონია  
 ამისგან ვნება.  
 ვისაც ამქვეყნად უცხოვრია  
 უსიყვარულოდ,  
 მე ვცხოვრობდიო, მას ამის თქმის  
 არა აქვს ნება.

ტურფავ, ღვინო მომაწოდე!  
 ორი რამე მინდა მხოლოდ:  
 ღვინო შევსვა და ზედ შენი  
 ტკბილი ტუჩი დავაყოლო.  
 ღვინო, ღვინო მომიტანე,  
 რათა თავის შეკავების  
 აღთქმა შენი დალაღივით  
 ქარს და ნიავეს გავაყოლო!

იმის ნაცვლად, მცირე სიბრძნე  
 რომ შემეცნო თუნდაც,  
 მომადლორა ამ სოფელმა,  
 ტყუილების გუდამ.

ეჰ, დღენი, რაც უქალებოდ  
და უღვინოდ განვვლე,  
ქვეყანაზე არსებობად  
ჩამეთვალოს უნდა!

27

სისულელეა ყველა რჯული  
და ყველა რწმენა.  
ბევრს კი ამაოდ ეცვითება  
მუხლი და ენა.  
მაჩვენეთ ვინმე, ვინც იცოდეს,  
საიქიოში  
ვინ წარიწყმიდა ან ვის ერგო  
სამოთხის ღხენა?

28

გვსურს თუ არა გვსურს, ერთ ღლეს ყველა  
დავხუჭავთ თვალებს.  
წავალთ ამ ქვეყნით და წავიღებთ  
ცოდვებს და ბრალებს.  
დავლით ერთად, მეგობრებო,  
დავლით ერთად!—  
ამ ქვეყნად გვიან მოვედით და  
მივდივართ მალე.

29

მე არ გირჩევ, ქვეყნის საქმეს  
წაეჭანო თუნდაც ხილად!  
მან წააგო, წუთისოფლის  
ხვაშიადი\* ვინაც ხილა.  
სანამ გასხენ თვალნი, ყურნი,  
სანამ ენა გიდგას, ფრთხილად! —  
ვითომ რამე არ გსმენია,  
ვითომ რამე არ გიხილავს.

30

როცა ქვეყნის შემოქმედმა  
კაცის შექმნა იღო თავზე,  
მე არ ვიცი, სრულყოფილი  
შექმნა ის თუ ნაკლით სავსე.  
თუკი კარგი გამოვიდა  
ნახელავი, რად სპობს ასე?  
ხოლო თუ ის ცუდი არის,  
ვის მოვკითხოთ ცოდვა? მასვე?

ლოთებს ელისო ჯოჯოხეთი  
 გულის მზარავი.  
 მეც საყვედური ბევრი მითხრეს  
 დაუფარავი.  
 როგორ! ჯოჯოხეთს ლოთს და მიჯნურს  
 თუ აგზავნიან,  
 მაშ სამოთხეში ვინ ჰყოლიათ?  
 ვინ და არავინ!

მე არ ვიცი, ვით გაგზავნი,  
 ეს მასალა რისია;  
 ჩემს იღბალზე მზე ნათობს,  
 თუ ჯანდი და ნისლია.  
 ღვინო, ქალი, ბარბითი\* –  
 მე ეს ნაღდი მომეცით  
 და თუ გინდათ, აიღეთ  
 თქვენ სამოთხე–ნისია!

შენთან ასე რომ ვსუღელობ,  
 სულო, სულაც არ მრცხვენია.  
 მე ის მკიცხავს, ვისი გულიც  
 არც ცივი და არც ცხელია.  
 ქვეყნად ტროფობის ნექტარს ის სვამს,  
 ვისაც კაცის სახელი აქვს,  
 თორემ მხდალს და ქალაჩუნას  
 სიყვარულთან რა ხელი აქვს!

რაც არ უნდა ამაგონ,  
 ვამბობ: ღვინო კარგია!  
 და ვინც ამას უარყოფს,  
 ჭკუა დაუკარგია.  
 ზოგჯერ რასაც კრძალავენ,  
 სწორედ იგი გვჭირდება  
 და რასაც არ კრძალავენ,  
 ის არაფრად გვარგია.

არც სინაგოგა, არც მეჩეთი,  
 არც ეკლესია, –  
 არ მწამს არც ერთი, მათი გმობა  
 ჩემი წესია!



მე არც სამოთხის იმედებით  
ვცხოვრობდი ქვეყნად,  
არც ჯოჯოხეთის მოლოდინით  
დამიკვნესია.

36

მდინარის პირას რომ დამდგარან  
ტურფა ნაძვები,  
ნუ, ნუ აწვები! ფრთხილად, მოლზე  
როცა დაწვები!  
იცი, ეს ნაძვი ერთ დროს ქალის  
ტანი რომ იყო,  
ეს ვარდები კი ტურფა ქალის  
იყო დაწვები?!

37

ვინც საქმეში ჭკუას უხმობს  
და ენდობა ასჯერ ნაცადს,  
ფუჭად ნაყავს წყალს საწყალი  
და ხარს წველის ძროხის ნაცვლად.  
გიჯობს, ლენჩის ჩოხა გეცვას,  
ლენჩს კი ბრძენის კაბა აცვა! –  
დღეს სიცრუე სწორად დადის,  
სიმართლე კი – აცაბაცად.

38

თუ მოვკვდებით, სულერთია  
ბაღდადი თუ ბაღნი.  
ღვინო გინდა თეთრი იყოს,  
გინდა – ფერად თაღნი.  
შესვი, ძმაო, არ ვიქნებით  
ჩვენ ამქვეყნად, თორემ  
სულ ამოვა ცაზე მზე და  
სულ იცხოვრებს ხაღნი!

39

ო, ეს ჯამი ერთხელ რომ  
მოწიწებით გამოწვეს,  
დამსხვრეულა და გზაზე  
სწორედ ამის გამო ძვეს.  
ფრთხილად, ფრთხილად, თუ ძმა ხარ!  
ხედავ? თავის ქალას ჰგავს.  
ის რომ ერთ დროს კაცი იყო,  
ამას ესეც ამოწმებს.

ჩემი გაჩენით სარგებელი  
 ცას არ ჰქონია,  
 ჩემმა სიკვდილმაც რამ შემატოს,  
 არა მგონია.  
 მაშ (ძლიერ მიკვირს და პასუხს კი  
 არავენ მაძლევს)  
 ეს მოსვლა-წასვლა მას რა მიზნით  
 მოუგონია?

ცა გარეწარს: „კიო, კიო!“  
 დასტურს აძლევს, ალაღს: „ნუო!“  
 მართალს ჩაგრავს, ხოლო მართლის  
 ლუკმა ვისაც მიაქვს, ჰგუობს.  
 ღირსეული ისევ კვნესის,  
 სალაზანა ისევ ქსუობს.  
 ახი არის, ამისთანა  
 ცის ეტლს კაცმა მიაუოს!

ბრძენნი ყოფის არსს იკვლევენ,  
 სჯულის კაცნი ღვთის გზას ჩხრეკენ.  
 „ეს ასე და ასეაო!“ –  
 თითს გვიქნევენ, როგორც რეგვენთ.  
 მე კი ვშიშობ, შემოგვემას  
 ერთ მშვენიერ დღეს ხმა ეგებ:  
 „თქვენ რომ ფიქრობთ, იქ არ მიდის  
 ქარავანი თქვენი ეგე!“

კაცის წამება მის გაძლებას  
 აღმატებულა.  
 ღმერთმა თავიდან ის სიკვდილით  
 ავაღდებულა.  
 ნეტავი იმას, ვისაც ქვეყნად  
 არ უცხოვრია;  
 ნეტავი იმას, ვინც სულაც არ  
 დაბადებულა!

ვარდობის თვე დგას, ღვინოც ვარდის  
 ფერად ნაფერი,  
 ჩანგი და დაფი დაუკარი,  
 სვი და დათვერი!

მე ღვინო მინდა, შენ თუ ღვინო  
არ გსიამოვნებს,  
მე რას მაძაგებ, – შხამი შენს პირს,  
მიწა და მტვერი!

45

გატეხე მარხვა; შიში ნუ გაქვს.  
გაბეღე, ჰქენი!  
სამაგიეროდ ის აკეთე,  
რასაც იქმს ბრძენი:  
აჭამე შშიერს, კაცს ნუ ავნებ  
საქმით და ენით;  
განკითხვის დღეს კი მე ვიქნები  
თავმდები შენი!

46

ცისკრის ნიაჴმა დაუხია  
სიბნელეს კალთა,  
წამოდექ ზეზე და სვი ღვინო  
საყვარელ ქალთან!  
დალიე, ძმაო, ბევრჯერ მოვა  
ცისკარი ქვეყნად,  
მაგრამ ჩვენ თვითონ არ გვექნება  
სინათლე თვალთა!

47

ომარ ხაიამ, სოფელს არვის  
არა აქვს რიდი,  
შენი დათრგუნვაც მისთვის საქმე  
არაა დიდი.  
სვი ბროლის ჭიქით მანამ, სანამ  
ბროლს სიცოცხლისას  
სიკვდილის ხელით დაგიმსხვრევდეს  
საწუთრო ფლიდი!

48

მიწის გულიდან ცის თალამდე,  
როგორც მისანი,  
ქვეყნის შეცნობას შევდგომოდი,  
მქონდა მიზანი.  
მე შევიცანი საიღუმლო  
ცისა და მიწის,  
მაგრამ სიკვდილის საიღუმლო  
ვერ შევიცანი.

გულს ნურასდროს მიაკარებ  
 ვარამსა და სევდას;  
 ღვინო სვი და სევდა მაშინ  
 რაღას გაგიბედავს!?  
 ვაზის ასულს\* მიუჯექი  
 და ილხინე მასთან!  
 აკრძალული ასული სჯობს  
 ნებადართულ დედას.

საქმეს ვაებით ვერას შველის  
 ჭირის მნახველი.  
 ვინც ჯაფას გასწევს, გონიერის  
 მას აქვს სახელი.  
 იცხოვრე ლაღად, გულს ნურასდროს  
 ნუ დაიღონებ,  
 ოხვრა-წუწუნით არ მცირდება  
 დიდი ნალველი.<sup>10</sup>

ქვეყნად ისევ ველარ მოვალთ, –  
 უნდა გითხრა სიტყვა მქისე,\* –  
 ვინც დღეს ასე გულით გვიყვარს,  
 ვაგლახ, ველარ ვნახავთ ისევ!  
 მაშ, ვატაროთ ღრო, ძვირფასო,  
 ხვალის დარდებს დღეს ნუ ვისევთ;  
 მწდეგ, შემივსე ღვინის თასი  
 და შემასვი ისევ ისე!

თენდება უკვე, ღვინოს ვითხოვ  
 (ბროლებს და ლალებს).  
 სულელი არის, ვინც სახელზე  
 წუხს და ვალალებს.  
 ამქვეყნად, ძმებო, ძალიან ბევრს  
 ნუ მოვისურვებთ, –  
 მოდით, დავსჯერდეთ ღვინოს, ჩანგს და  
 ქალის დალალებს!

ბედის ბადეში ვართ გაბმული,  
 მწერივით ვწყდებით  
 და გული ჩვენი ითანგება  
 ჭირით და ვნებით.

ვაიმე, ხალხო, ჩვენი ნებით  
აქ არ მოვსულვართ  
და არც აქედან არ მივდივართ  
ჩვენ ჩვენივე ნებით!

54

რომ მქონდეს ძალა ღვთის და არა  
ადამის ძისა,  
მე ზეცის ჩარხებს დავამხოვდი,  
დავცემდი ძირს და  
სხვა ცას შევქმნიდი, რომ ხალხს ეგრძნო  
თავისუფლება,  
რომ ქვეყნად ბოლო მოღებოდა  
დარდსაც და ჭირსაც.

55

ზამთარს ზაფხული ცვლის და თუმცა  
საწუთრო ნინვლობს,\*  
სიცოცხლის ჩვენი დღე ილევა,  
მზე ჩვენი კნინობს.  
დალიე ღვინო და კაემნით  
ნუ ილევ დღეებს! –  
ყველა წუხილის წამალია,  
მერწმუნე, ღვინო.

56

ერთ ჩემს ნაცნობ მეთუნესთან\*  
ვიყავ გუშინ დილას.  
ჯერე მიწა მოთხარა და  
მერე წიხლით ზილა.  
უცებ ფეხქვეშ აუყვირდა  
მიწა: „ჰეი, ძმაო,  
მეც შენსავით კაცი ვიყავ  
ერთ დროს, ცოტა ფრთხილად!“

57

ეს დოქი ალბათ სიყვარულით  
დამწვარა ერთ დროს;  
ეს თავი ალბათ მას საყვარლის  
გულ-მკერდზე ელო;  
ეს ხელი ალბათ მას მიჯნურის  
წელზე ეხვია...  
ვაიმე, ასეთ წუთისოფელს  
ვით უნდა ენდო!

მაქვს ცხოვრება არეული,  
 მიკიღია ცეცხლი მწველი,  
 რაც იოლი არის სხვისთვის,  
 მე გამიხდა ძნელზე ძნელი.  
 კიდევ კარგი, ერთ რამისთვის  
 გაშვერილი არ მაქვს ხელი:  
 ყელამდე მაქვს ღვთის წყალობით  
 კაემანი გულის მძვრელი.

არ გინდა, სულო, სულ ამ სოფლის  
 ჭირზე ვალალი,  
 ნურც წინაპართა ვარამს ხარშავ  
 გულში ალალი!  
 დალიე ღვინო, თორემ – ხედავ? –  
 დღეები ჩვენი  
 ისე მიჰყვება ქარს, ვით კახა  
 ქალის დალალი!

სანამდის ბოლმა მოგახრჩობდეს  
 (იყავი მარდი!),  
 მოატანინე ძელგი ღვინო  
 ფერად ვით ვარდი!  
 ოქრო არა ხარ, ჯიგარო, შენ,  
 დამარხონ ჯერე  
 და ამოგთხარონ მერე. შესვი,  
 მოიკალ დარდი!

სულ გამიხუნდა სიჭაბუკის  
 ხასხასა წიგნი;  
 ისე გამიხმა ყრმობის ბაღი,  
 ვერ ვიშვებ შიგნით.  
 აღარ მყავს, გულში სიხარულის  
 ჩიტი რომ მეჯდა.  
 როდის მოფრინდა ანდა როდის  
 გაფრინდა იგი?

## ქანდე ფილი

(1049-1141)

### ვით მარიამის ქვე

ეს სულ ერთია, წუთისოფელმა  
არ დაგვახანა თუ დაგვახანა,  
აქედან უნდა წავიდეთ მაინც,  
ავიკრათ უნდა ბარგი-ბარხანა.  
იქ, სადაც მარვის\* მთები ჩანს წმინდა  
და ქრის ზემზემზე\* საფის\* არავი,  
გვინდა ჩვენ ახლა ეს თუ არ გვინდა,  
იქ უნდა დავსცეთ ჩვენი კარავი!  
მაგრამ თუ მათი ვართ ჩვენ მესავი  
და გვსურს, ზემზემის წყალი დავლიოთ,  
ჯერ განვიწმიდოთ მწიკვლისგან უნდა  
და ყველა ცოდვა მოვინანიოთ!  
შემდეგ კი ჯერი ჩვენზეა უკვე,  
ჩვენც საღვთო საქმით თუ რამეს ვიზამთ.  
უნდა გადავდგათ ნაბიჯი ღვთისკენ,  
ვით მარიამის ძემ ქნა ეს, 'ისამ!

## სანანი

(1080-1140)

### ამ ამტუტებულ წუთისოფელში

ამ ამტუტებულ  
წუთისოფელში  
თავს ვით ვუშველო, არ ვიცი თვითონ;  
არც მასხენ ფრთენი,  
ავფრინდე ზეცად,  
აღარც მაქვს ღონე, ეს ტვირთი ვზიდო.  
არ ვუწყვი, თავი  
სად მივიდრიკო,  
სად დავდგე: მიჯნის მიღმა თუ მოღმა,  
ვერც იმ სოფლისკენ  
გავიგენი გზა,  
ველარც ამ სოფლად ვიქარვებ ბოღმას.  
ვიცი, წარვწყმდები,  
მიგუზვდი გვიან  
და თავის დახსნას აწი ვაპირებ:  
განაპირებამ  
მიშველოს იქნებ,  
თუ კიდევ სადმე გავინაპირე!  
იქ მიჯობს, ნიჭთან  
გავიხალვათო  
და გულისყური მღევარს ვუღუნო,  
ლექსებმა ჩემმა  
ქვეყანა შეძრან,  
მე კი შინ ვიჯდე და ვირუღუნო.

### მაცთური

საკუთარ თავს ვჩნრეკ,  
დამიდგა ჟამი,  
თავად ვიცოდე, თუ რა ხვითო ვარ;  
გუნებით რა ვარ,  
გავიგო, ანდა  
ბუნებამ გვამში რა დამიტოვა.  
ვიცი, შეცნობა  
ვისაც სურს საგნის,



უნდა შეხედოს ამ საგანს თვითონ,  
მაგრამ მე როგორ  
უნდა შევიძლო,  
შენ, თავო ჩემო, შორიდან გჭკრიტო!  
შიგნითა არსი  
ქაცვით მაქვს საგსე,  
ხოლო გარედან შროშნად ვყვავივარ;  
რომ შემომხედავ,  
თეთრ ქორად\* ვჩანვარ,  
მაგრამ თუ გამჩხრეკ, შავი ყვავი ვარ.  
ჩვენებით ბადაგს  
გაჩვენებ, მაგრამ  
სმევით შხამს გასმევ და გესლით გგესლავ:  
საქმით გიმუხთლებ  
და გილალატებ,  
სიტყვით კი ურცხვად გფიცავ და გესავ.\*  
ნუ მოხვალ ჩემთან,  
წყურვილით ტანჯულს  
წყლად არ გეჩვენო უდაბნოს წირი!\*  
მე მაცთური ვარ  
და მამახურა,\*  
შენ ღვთისნიერი გგონივარ მწირი.  
მე ღრუბელი ვარ,  
შენ ხვატი გახრჩობს  
და სასოებით მე მაპყრობ მზერას,  
მე კი წვიმაზე  
არც მიფიქრია  
და მიკვირს, ჩემი რომ კიდეე გჯერა!  
მყვინთავმა ზღვიდან  
ამომიტანა,  
ეგონა, ფლობდა სანუკვარ სადაფს.  
მაგრამ ნაპირზე  
როცა გამსინჯა,  
ხელთ შევერჩი საწყალს ნიჟარა სადა.  
ამფსონნი კაცთა  
თვალთა სინათლეს  
მიხმობენ, მაგრამ ხომ ვიცი თავად,  
თვალთა სინათლედ  
სხვებს ვით ვექმნები,  
როდესაც თვითონ ბეცი და ბრმა ვარ!  
ვიყავი ხარბი,  
ვიყავ უძლები,  
ვნებათა ჩემთა არ ჰქონდა კიდე,  
გულის ყანაში  
ლენცოფა ვთესე  
და დღეს რად გიკვირთ, ლენცოფას ვმკიდე!

## ჩემისთანა ბაიძვერა

თაღლითს მრავალს ნახავთ, მაგრამ  
ჩემისთანას – მაინც ვერა,  
ქალის საშოს არ უშვია  
ჯერ ძე ჩემებრ გაიძვერა.  
სიაკაცე მიწილადა,  
ვინც სიკეთე არ ახარა,  
ღორზე უფრო ბილწი ვარ და  
ძაღლზე უფრო სალახანა.

## სხვა 'ისა ვინ გეგულებათ?

ქვეყნად მრავალი ქვა გდია, მაგრამ  
სახრას\* ბადალი სხვა ქვა სად არის?  
ამქვეყნად ბევრი ჭა არის, მაგრამ  
ზემზემის\* ჭის გვაქვს სხვა ჭა სადარი?  
'ისა სახელად ბევრს ერქვა ქვეყნად,  
დღესაც ის განა ყველგან არ ისმის? –  
მაგრამ სხვა 'ისა\* ვინ გეგულებათ  
მსგავსი იმ 'ისა მარიამის ძის?

## ჭეშმარიტების შეცნობის ვნება

ჭეშმარიტების შეცნობის ვნება  
გულს უძრავს ქვეყნად მრავალს და  
მრავალს,  
მაგრამ იესო მარიამის ძეს  
ძალუძს ის მხოლოდ  
(ღვთის კვალზე მავალს);  
მხოლოდ ის არის, ამ სიბრძნის სიღრმის  
გაზომვა ვისაც არაფრად უღირს,  
მხოლოდ მან შეძლო, აეხსნა ზუსტად  
ინჯილის\* ყველა ლექსი და მუხლი.

## ბასწირე ტანი!

გასწირე ტანი და დათმე სულიც,  
თუ სატრფოს ქუჩის მტვრის გსურს მონება;  
თუ უკვდავების წყლის შესმა გინდა,  
სულ ცეცხლს მიეცი, რაც გაქვს ქონება!  
ანტიქრისტეა სიმდიდრე კაცის  
(არ ხამს სიმდიდრით თავმოწონება!),

სიყვარული კი ქრისტეა ჩვენი,  
უბრალო ვნება ნუ გეგონება!

### რატომ იცვლება?

ერთ დღეში ასჯერ რატომ იცვლება,  
სულისდგმავ ჩემო, მარტის დღესავით?  
შენს გარდა ყარბს, ხომ იცი, არ მყავს  
ქვეყნად არც მოძმე, არც ნათესავი!  
ხან, ვით იესოს, ამიყვან ცაში  
ალერსით გულში შვების მთესავი,  
ხან კი ხელს მკრავ და იოსებებით\*  
ჩამაგდებ ჭაში ენით მგესლავი.  
ხან ისე მკოცნი, ლამის ხელმწიფედ  
მაქციო მონა შენი მესავი,\*  
ხან კი გულს ისე აიყრი ჩემზე,  
რომ ბორკილებში გყავარ ტყვესავით.

### იესომ თურმე

იესომ თურმე თავის მოწაფეთ  
რა უთხრა ერთხელ, გეტყვი ამასაც:  
„მართლაც ლამაზი ნუ გეგონებათ  
თქვენ ეს სოფელი, თუმც ჩანს ლამაზად!  
აქ სულიერს და უსულოს რასაც  
უყურებთ, მხოლოდ ბრე\* და მტვერია.  
ის მოყვარული გგონიათ თქვენი,  
სინამდვილეში თქვენი მტერია.  
საწუთრო რისი საწუთრო არის,  
არ შემოგფიცოთ ძმობა და დობა,  
მაგრამ მას წუთით ნუ მიენდობით, –  
არ შეიძლება საწუთროს ნდობა!  
საწუთრო ვარდად კი გეჩვენებათ  
და თავს გაწონებთ ყვავილის მსგავსად,  
მაგრამ ეკალი აქვს დამალული,  
დრო რომ გიხელთოთ და გულზე გასვათ.  
თქვენებრ მიმნდობი მეტრფე ამ ტურფას  
ბევრი ჰყოლია და ახლაც უვის.  
ფრთხილად იყავით, არ დაემგვანოთ  
თქვენს წინამორბედთ  
რეგვენთ და უვიცთ!“

## მისი ბადალი

ლამაზი ქალი ბევრია, მაგრამ  
ამ ქალთან ვერვინ თანისთანაობს,  
არის სხვა ვინმე, რომ მოგიხედოთ  
და იმ მოხედვით შეგაქანაოთ?!  
ლამაზი ქალი ბევრია ქვეყნად  
(ლამაზ და თვალად ქალებს რა დალევს!),  
მაგრამ გყავთ ვინმე, მისი ბადალი  
დასიზმრებოდეს როსმე საქალეთს?  
მარიამს ბევრ ქალს ვუხმობთ სახელად  
(მათში რჩეულნიც ბევრნი არიან),  
მაგრამ იესოს დედასთან ახლოს  
მოვიდეს, იცნობთ ისეთ მარიამს?!  
ბევრი სამართლის ჩამდგარი კვალში  
მოუვლენია ამ ქვეყნად ზეცას,  
მაგრამ ისეთი სამართლის ბურჯი  
გსმენიათ ვინმე, ვინც ჯვარზე ეცვა?!

## გამიგონია

გამიგონია, იესო ქრისტეს  
უნდოდა თურმე წვიმის მოყვანა.  
დიდი ხნის გვალვით ტანჯული ხალხი  
ღვთის სავედრებლად ერთგან მოჰყარა.  
ხალხმაც თავისი უბედურება  
ღმერთს შეჰლაღადა ოხვრით და ახით,  
მაგრამ უფალმა არ შეისმინა  
გულის მთუთქველი მუდარა ხალხის.  
ტანჯულთა აჯის\* ამ არშესმენამ  
ცისა და ქვეყნის მეუფის მიერ  
საგონებელში ჩააგდო ქრისტე.  
რა უნდა ექნა? დაღონდა ძლიერ.  
და იყო ასეთ ყოფაში, როცა  
ხმა ღვთაებრივი გაისმა ციდან:  
„ვინც მლოცველთ შორის  
ცოდვილი იყოს  
და გულში ზრახვა  
არ ჰქონდეს წმინდა,  
ჩამოიშორე,  
ვედრება მათი  
პირმოთნეობას რადგან ედრება!  
გამცნობთ: არასდროს შეისმინება  
ჩვენ მიერ მათი ლოცვა-ვედრება!“  
ცოდვილთაც სხვა რა გზა ჰქონდათ მეტი,  
იქაურობა დატოვეს ზღაზვნით.  
მიხვდნენ, ურჯულო ურჯუკთა მიერ

უფლის წინ ლოცვას არ ჰქონდა აზრი.  
 მხოლოდ ერთი-ღა ბრძობილი კაცი  
 დარჩენილიყო ხელჯოხზე მბჯენი.  
 და მიუბრუნდა იმ კაცს იესო  
 (მას ენაცვალოს სიცოცხლე ჩვენი!):  
 „შენც მათთან ერთად რად არ წახვედი,  
 მეუფის ნება ხომ გესმა ციდან?  
 განა შენ მათზე ნაკლებ ცოდვილი  
 კაცი ხარ, სათნო და გულით წმინდა?“  
 მიუგო: „ერთ დღეს ისეთ ვიღაცას  
 დავადგი თვალი და ვიგრძენ ვნება,  
 ვისთვისაც არც ღვთის და არც ადამის  
 მიერ შეხედვის არ მქონდა ნება.  
 რადგან ვიცოდი, ასეთი ქცევა  
 მიუტევებელ ცოდვას უდრიდა,  
 ჩემი თვალები ჩემივე ხელით  
 ამოვიყარე თვალის ბუდიდან.  
 თვალების დათხრით რად გავიმწარე  
 წუთისოფელი, გეტყვი ახლავე:  
 გულით სიკეთე არ ამოვთხარე  
 და ჩემში ეშმა არ გავახარე“.  
 ქრისტემ უბრძანა: „მაშ, აღავლინე  
 ახლავე უფლის მიმართ ვედრება,  
 იქნებ უფალი გთნავს\* და მის თვალში  
 აქ შეყრილთ შორის ვერვინ გედრება!“  
 იმ ღვთისმომშიშმა ბრძობილმა კაცმაც  
 არ დააყოვნა ვედრება წამით,  
 უფალს – „გვადირსე წვიმაო!“ – სთხოვა  
 და შეაშველა ქრისტემაც: „ამინ!“  
 ცა მოიგრაგნა უეცრად ღრუბლით  
 და წამოვიდა შხაპუნა წვიმა,  
 წყლით ისევ გაძდა მწყურვალი მიწა  
 და ისევ გაყრმდა, ვით იყო წინათ.

## იესოს მადლი

იესო ქრისტეს მადლი და ძალი  
 გასცდა ამ ქვეყნის ზღვრებს და სამანებს,  
 მას ცაში მისცეს სამკვიდრებელი  
 და ზეცაში აქვს დღეს მას სავანე.  
 რატომ აღზევდა ასე მესია,  
 ეს რითი შეძლო, როგორ გგონიათ?  
 რითი და იმით: ხუხულა რაა,  
 ქვეყნად ხუხულაც კი არ ჰქონია.  
 აწ კი ღვთაებრივ სულს მესიისას  
 ბინად ამ სოფლის ქოხი ვით ჰფერობს,  
 როცა ცაში აქვს სასუფეველი, –  
 მისია ზეცის მეოთხე სფერო.\*

## შენ ქრისტეს დარად თუ გსურს

შენ ქრისტეს დარად თუ გსურს, უკვდავი  
იყო, იცხოვრე ჯერ ქრისტეს დარად,  
შემდეგ კი თავი ძელზე გაისვი  
და ჯვარცმა იგი ჩააგდე არად!  
ესეც არ კმარა, მკვდარ კაცს ჩაუდგი  
სული! და მერე იცოცხლებ მარად.

## სულ ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ

სულ ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ,  
რა მჭირს, ჩემს თავს ეს რა ხდება?  
სატრფო აქეთ რატომ მაგდებს,  
თვითონ იქით რატომ სხლტება?  
'ისას\* ვეძებ – ცაშიაო.  
ეს კიცვიც\* რომ არსად მხვდება!

## სანამდე?

სანამდე უნდა გყავდეთ პატივში  
ტანი და მკლავებს იქცევდეთ კუნთად,  
როცა არა და არ გესმით თქვენი  
გონების კენესა და სულის კუთვა?!  
თქვენს სხეულს საფრთხე თუ დაემუქრა,  
იცოცხლეთ, განგაშს ატეხთ მაშინვე.  
ტანს თქვენსას კი გრძნობთ,  
მაგრამ დაფარულს  
და სრულქმნილს თქვენსას  
ვერ ცნობთ სამშვიდველს.  
თქვენს წინ ზის ქრისტე. ვის აქვს ასეთი  
ბედნიერება, რაიც თქვენ დღეს გაქვთ?  
თქვენ კი იმის წილ, მას რომ ესავდეთ,  
ქრისტეს კიცვის ფლოქვს კოცნით და ესავთ.\*

## ცოტა ხნით მაინც

თქვენ თუ ლომივით მძვინვარე არ ხართ  
და ძალიც სპილოს არა გაქვთ დარი,  
მაშინ მეღვივით მონახეთ სორო  
და ჭინჭველივით იყავით წყნარი!..  
რას ემართლებით გონებანათელს? –  
მას ფართოდ გულის გაუღეთ კარი,  
შლევს კი არასდროს არ ექცეთ ვარდად,

მის თვალში მუდამ იყავით ნარი!  
ჰეი სანაი, შენ ცის მეოთხე  
სფეროში თუ გსურს,  
რომ იყო მჯდარი,  
ერთაი გზა გაქვს:  
ვით ქრისტე, მტრის წინ  
ჯვარს ეცვი (მანამ კი ზიღე ჯვარი)!

## რწმენის შარაზე

ერთგულების და რწმენის შარაზე  
დგომისთვის რწმენა გმართებს აბრამის,\*  
ვინც უფლის რწმენის აღსასრულებლად  
არ იყოყმანა არც ერთი წამი  
(როდესაც ისაკს\* კინალამ ყელი  
გამოსჭრა დანამ მორწმუნე მამის).  
ჭეშმარიტების შეცნობა თუ გსურს,  
იწამე ქრისტე, ხელთ იგდე ჟამი  
და მხოლოდ ამით შეძლებ, ინჯილის\*  
ლექის და მუხლის არ იყო ხამი!  
წკვარამ ღამეში ჭინჭველის ფეხის  
დანახვას (ასე პატარა რამის)  
შენ როგორ შესძლებ, მითხარი, როცა  
ღლისით სპილოსაც ვერ ხედავ ღამის?!

## ქრისტეს ასეთი ძალმოსილება

თუ მოდგამს, ისევ ზეციდან მოდგამს  
ქრისტეს ასეთი ძალმოსილება.  
რადგან მიწაზე არ ჰქონდა ბინა,  
ცამ მისი ზეცად აღსვლა ინება.  
აწ ღვთაებრივი იესოს სული  
რას აქნევს ჰაერს,  
წყალს, ცეცხლს და მიწას,  
როს ცის მეოთხე სფეროში სუფევს  
(რაც მას უფალმა სავანედ მისცა).

# საყანი შირვანელი

(გ. 11996.)

## შვება ტკივილში

ტკივილს და სნებას,  
ასე რომ მტანჯავს  
და სულის მოთქმის არ მაძლევს ნებას,  
სალბუნი\* შევლის,  
მაგრამ სალბუნში  
არ გავცვლი მე ჩემს ტკივილს და სნებას.  
დარდი და ვნება  
როგორ მწვდა ყელში,  
სახმილში\* გული, ო, როგორ დნება!  
მაგრამ მე შვებას  
ტკივილში ვეძებ,  
ხოლო სალბუნში ვპოულობ ვნებას.  
ჰე, ნებიერო,  
იღბალმა შენმა  
რომ გაზულუქა და თაფლით გკვება,  
მე რას მედრები  
შენ ანდა ჩემთან  
რას გაძლევს დავა და სიტყვისგება!  
ამ ჭრელ ბაზარში  
მე სხვა მაფიქრებს,  
გონება შენი სხვა ფიქრით შვრება:  
მე დარდს არ ვყიდი,  
რაც უნდა მომცენ,  
ხოლო შენ ხელით არ უშვებ შვებას.  
გითხრა, თუ რატომ  
არ ვეყმე სულთანს,  
რატომ არ ვუძღვენ მას ლექსად ქება? –  
ერთს წუთს ნებაზე  
ნავარდი მიჯობს  
ათას წელიწადს სხვის კარზე გდებას!



## მუსულმანებო!

როგორც კი შაჰმა  
აფხაზთა ქვეყნით\*  
შირვანს ინება ჩამობრუნება,  
ეკლესიაში  
წაგვასხა ლოცვად,  
შეგვაცვლევინა ზნე და ბუნება.  
მუსულმანებო,  
მექის\* მოლოცვის  
დრო დგას (ყვირილი გამემტყუნება?),  
ჩვენ კი საყდარში  
წირვაზე ვდგავართ,  
ამაზე მეტი თქმულა ცთუნება!

## “მოი, მოი”

გულქვავ, თუმცა ქრისტეს ესავ  
და გიჭირავს მისი რჯული,  
წმინდა სულის არ ხარ, თორემ  
დაგწყდებოდა ჩემზე გული.  
შენმა ტროფობამ დღისით მქენჯნა,  
დამიკარგა ღამით რული.  
“მოი, მოი”<sup>11</sup> და მიხსენი  
კაცი შენგან გატანჯული!

## ეს ჩემი გული

ეს ჩემი გული  
რა გულუბრყვილო  
და მიაშიტი ყოფილა, ღმერთო, —  
კი არ სცოდნია საწყალს,  
რომ ხალხი  
უმაღური და უნდოა ერთობ!  
სასომიხდილი  
დღესაც მხსნელს ფუჭად  
დაეძებს ისე, ვით ბალხში ერთ დროს  
გადამთიელი ჩინელი ვინმე  
ნაცნობს ეძებდა  
და ჭრაქი ენთო.

## **შვება არ სუფევს ვნების გარეშე**

ხაყანი, კარგად  
დაიმასსოვრე:  
კაემანია სიცოცხლის ძირი, –  
შვება არ სუფევს  
ვნების გარეშე,  
ლხინის თვინიერ არ ჰკიეს ჭირი!  
თუ ტანში სულის  
ჩადგმა ტანჯვაა  
და თუ ტკბილ სულთან  
შეყრის დროს ვტირით,  
რა უნდა იყოს  
ის ტანჯვა, როცა  
სულ ამოგვხდინან ამ ტკბილ სულს პირით!

## **კაცი არ ვიყო, თუ ...**

მე არ ვარ ჩრდილში  
მოსული ხილი,  
არც ძაღლთან დაბმას არ ვიმსახურებ,  
მე ცხრათვალა მზის  
ვარ წყაროსთვალი  
და ამ ქვეყანას მაღლით დავყურებ!  
კაცი არ ვიყო,  
ყველა ამ ცვედანს,  
ვინც ჩემთან მტრობის ბაზარს ახურებს,  
თუ არ დავასხი  
თავზე ლაფი და  
ქალის ნიფხავი თუ არ ვახურებ!

## **და ქართულად ვლაპარაკობ**

ტრფობით შენი თეთრი სანის  
და კაუების, მას რომ ამკობს,  
აფხაზეთში\* დავესახლე  
და ქართულად ვლაპარაკობ.  
იმდენჯერ და ისეთი ხმით  
გინძობ: “მოი, მოი” აქო! –  
ენა თმისებრ დამიწვრილდა,  
და თმა ენად მექცა, კარგო.

## ცინის ელგია

ქრისტიანების ნაწერივით  
უკუღმართ ზეცას  
ვინმე თუ ჯაჭვით შეუბოჭავს,  
მათ შორის მეც ვარ.  
ამ მონასტერში ნუ დაეძებთ  
ფუჭად მესიას,  
აქ ოდითგანვე ანტიქრისტეს  
ხელში კვნესიან.  
ჰიჯრის\* მეხუთე საუკუნე<sup>12</sup>,  
ჩემი ბადალი  
სხვა ვინ გყოლია? ანდა არ ვარ  
იქნებ მართალი?  
და მე, ასეთი ოქროპირი,  
სახმილით ვნების  
ქრისტიანების სანთელივით  
ვიწვი და ვღნები.  
ბზიკივით ვბზუი, გული სისხლის  
მორევში ვგუდე  
(გულს ვამბობ, გულად თუკი ითქმის  
კრაზანის ბუდე!).  
არ განმიკითხეს მეგობრებმა  
და დავშთი ცალად  
და მოვტყდი ისე, აღარ შემწევს  
ჩივილის ძალაც.  
ფუი ეშმაკს და ფუი ეშმაკს  
და ფუი ეშმაკს!  
უფალო, გესავ,\* შემიწყალე,  
უფალო, გესავ!  
არც აბასიანთ გვარის\* მინდა,  
მივიღო ძღვენი,  
არც მსურს, მაძღვედნენ მოწყალეებას  
სელჯუყის ძენი\*.  
თუ მუსლიმებმა არ მომაგეს  
ნიჭად\* რაიმე,  
სულ მიგიტოვებ მაჰმადის რჯულს  
(რა ვთქვი, ვაიმე!)  
და თუ ისლამზე დიდხანს მტკიცედ  
ვიდექ და ვღგავარ,  
ერთ მშვენიერ ღღეს ფენს დავკრავ და  
აფხაზეთს\* გავალ.  
ღიად დამხვდება ქართველების  
კარები, მჯერა,  
იქით რუმშიაც\* მიმელიან,  
რუმშიაც ჯერ არს!  
ზურგს შევუბრუნებ თქვენს ქაბას\*,  
შევიცვლი ყიბლას\*,  
იერუსალიმს გამგზავრება

მე უფრო მზიბლავს.  
იქ ქრისტეს ზარებს სასოებით  
ვემთხვევი კიდეც,  
ზონარს\* შევიბამ, ქრისტიანის  
ჯვარს დავიკიდებ.  
ნაჭარმაგევში და მუნრანში  
მინდა, გავიდე.  
ბაგრატიონთა სასახლეში  
ბინას დავიდებ.

## თბილისში დაბრუნება

მას აქეთ, რაც კი  
მეუფემ ცისამ  
წყალობის თვისის გამილო კარი,  
გადმომარდილა  
სიკეთის ჩერო,  
გამომაცოცხლა დიდი ხნის მკვდარი.  
დიდება უფალს, –  
ის მექმნა შემწე  
და გამითენა ნაავდრალს დარი;  
დიდება უფალს, –  
დამიხსნა ბეწვზე  
უფსკრულის პირად როყოდ მდგარი!  
აწი რა მიშავს,  
აქ მომიყვანეს,  
არ მზარავს ძველი ზაფრა და ზარი.  
მე აქ მოვითქვი  
გვემულმა სული,  
აქ ბჟუტავს ჩემი იმედის კვარი.  
ეს საოცრება  
მტერს თუ აცინებს,  
იცინოს, გულზე დაესვას ნარი!  
ნაი\* რხეული  
მიჭირავს ხელში  
და მოთქვამს ჩემი ქებული ქნარი.  
ვარდის პირივით  
მიცინის პირი,  
ერთ დროს რომ მქონდა ნალველით მჭკნარი.  
ბაგეთა ჩემთა  
განუხვენ\* კარნი  
და მარგალიტი ვადინე ღარით.  
აწ თუნდაც რეის\*  
აჩუქო მხარე  
სამეფო კარით, ღარით და ჯარით,  
ვერ გაიხარებს,  
ნიშატო\* გულის,

გული, რომელსაც შენ ხელი ჰკარი.  
ქვეყანა ესე  
გავცვალო სხვაში,  
არ დაიჯერო სიცრუე მტკნარი,  
მე სამარყანდად  
მექცა თბილისი  
და ჯეიჰუნად\* მეჩვენა მტკვარი.

## შენ მარიამი ხარ

შენ მარიამი ხარ ჩემი, ხოლო  
დანაკისკუდის\* ხე მე ვარ ხმელი  
(მწიფე ნაყოფით რომ დაიხუნძლა,  
რა ღვთისმშობელმა შეახო ხელი).  
შენ ხარ იესო სულის ჩამდგმელი  
და მე ვარ ახლა შენი მესავი:\*  
მე მკვდარი ვეგდე, შენ მოხველ ჩემთან  
და აღმადგინე ლაზარესავით.

## მე შენთვის

მე შენთვის ლექსს თუ ჩავუდგი სული,  
მადლობის ართქმას ვინმე გაძალებს?  
ეს ხომ იმას ჰგავს, მადლიერებით  
არ იხსენებდეს ქრისტეს ლაზარე?!

## შენ სპილო ვერ გჯობს

შენ სპილო ვერ გჯობს,  
სპილოს კი ცოცხალს  
და მკვდარს ბაზარზე  
ერთ ფასად თვლიან,  
რადგან იციან, რომ სპილოს ძვლისგან  
მეფის ჭადრაკის სპილოს ქვას თლიან.  
დღესვე მოჭერი სიქა, სანამდის  
გულის მურაზი სიქის მჭრელია,  
თორემ ხვალ შენს ნაღდს ყავლი გაუვა,  
წუთისოფელი ისე ჭრელია.  
ახლა ეძებე წამალი, სანამ  
კიდევ მიწაზე ბრძანდება 'ისა,\*  
თორემ როდესაც ზეცად აღზდება,  
მერე სწეული ვერაფერს იზამ!

## იესოს მსგავსად

იესოს მსგავსად სულის ჩამდგმელი  
აქვს გულის ჩემის დამთუთქველს ბაგე.  
მშვენივრად იცის, რომ ერთი კოცნით  
ჩამიქრობს კოცონს ჩემს  
მწველს და მღაგველს.  
განა შორს არის, განა ვერ მხედავს, –  
სულ ორ ნაბიჯზე დგას ჩემთან აგერ,  
მაგრამ არა და არ გადმოადგამს  
ის იმ ორ ნაბიჯს არაფრით აქეთ.  
როგორ ვიყავი ერთგული მისი,  
როგორ ვადიდე იგი და ვაქე! –  
ის კი ვერც მამჩნევს.  
ღმერთო, რაც მასზე  
მე ოცნებების კოშკები ვაგე!

# ჰასან ლაზნელი

(XII ს.)

## სურნელი ამო

სულის ჩამდგმელი სურნელი ამო,  
ჩემთან რომ აღწევს როდის და როდის,  
ნიავეს ჩამოაქვს ზორასანიდან  
(სიცოცხლე ჩემი იქიდან მოდის).  
მხოლოდ სამშობლოს მიქარვებს ქარი  
დარდებს, რაც ყარებს  
სევდით გულს მივსებს,  
თითქოს ვარ მკვდარი და ვითომ ისევ  
სულის შთაბერვით  
მაცოცხლებს ქრისტე.

## ანჰარი

(XII ს.)

### ჰჱიციჱ

ჱჱიციჱ იმ უკვდაჱ სულს, მარიამის  
პირმშოს, იესოს, პირში რომ უდგას;  
მოსეს\* ცარცისფერ ხელისგულს ჱჱიციჱ,  
ღვთის სასწაულად რომელიც უთქჱამთ;  
ჱჱიციჱ იმ სეჱდას, იაკობის\* გულს  
შვილის დაკარგვის გამო რომ ღრღნიდა;  
ჱჱიციჱ იოსებს,\* ვისებრ ლამაზ კაცს  
არ ვიცნობთ კაცის გაჩენის დღიდან!



## ფანსრ ედ-დინ გორგანელი

(XII ს.)

### ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი

#### მთხრობელისაგან

ახლა კი მინდა, მოგიხროთ ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი. ეს ვისი და რამინი დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ირანში. მეტყვით, რალა დროის ადამისუამობის სიყვარულზე ლაპარაკია, მაშინ იცოდნენ კი, სიყვარული რა ხილი იყო! სკოდნიათ, ბატონო, და ეს ხილი გემოზედაც უსინჯავთ ხოლმე, როგორც კი ამის შემთხვევა მისცემიათ. მაშინდელ შეყვარებულებს გული დღევანდელ ყმაწვილებზე უფრო უძვერდათ. ის კი არა, გორგანის იმ წიგნს თუ დაუჯერებთ, საიდანაც მე ეს ამბავი გადმოვაქართულე, ჩვენი რომანის გმირი, უფლისწული რამინი, ისე გაუხელებია თავისი რძლის სიყვარულს, რომ გამზრდელი ძმის სარეცელი შეუგინებია. თავად იმ ქალს კი, ირანის დედოფალს, რამინის სიყვარულისა გამო არც შიში ჩაუგდია აინუნში და არც სირცხვილი. რაც შეეხება ალერსს, ალერსს ნუ იკითხავთ, — როცა დედიშობილა ვისი და რამინი ერთმანეთს ეხუტებოდნენ, „მათ შუა ბეწვი არ გაეტეოდა“ და „წვიმის თქეშიც რომ მოსულიყო, მეგრდი არ დაუნამიანდებოდათ“. თორემ ესეც ამ წიგნში წერია და სულ მალე, თუ ისურვებთ, აქვე შეგიძლიათ, წაიკითხოთ.

რას მიბრძანებთ, დავიწყო მათი სასიყვარულო ამბის მოყოლა?  
კეთილი და პატიოსანი.

### ვისისა და რამინის ბავშვობის საბედისწერო ამბავი

ძველად თურმე ირანში მეფობდა ერთი შაჰი, სახელად მოაბადი. ამ მოაბადს მარტო ირანი არ ემორჩილებოდა, მისი მეზობელი ქვეყნების: ერაყის, ხორასნის, ხვარაზმის, ადარბადაგანისა\* და კიდევ სხვა სამეფოების ხელმწიფენი ხარკს მას უხდიდნენ. სატახტო ქალაქი აწინდელი თურქმენეთის სანახებში ჰქონდა. დღეს იმ ადგილს მარი ჰქვია, მაშინ კი მარვად იხსენიებოდა. ქართველები ამ ქალაქს ჯერ კიდევ იმ დროს მარავს უწოდებდნენ და ჩვენი ძველების პატივსაცემად, მოდით, იგი ჩვენც ასე მოვიხსენიოთ.

ერთ დღეს ამ შაჰმა მარავში დიდი ნავრუზობა გადაიხადა. ნავრუზი\* მათი ახალი წელი იყო და ამ დღესასწაულს, ვისაც როგორ შეეძლო, ისე ხვდებოდა. შაჰი მოაბადის დღესასწაული კი როგორი იქნებოდა, თავად მიხვდებით, — მთელი მისი სამფლობელოს მეფეები და ქვეშევრდომები ჰყავდა მოწვეული. მინდორზე სტუმრებს მდიდრულად მორთული ჭრელ-ჭრული კარგები დაუდგეს, წალკოტი მოკაზმეს და მიდამო მრავალი საქონლითა და სამშვენისებით აავსეს. სუფრაზე სტუმრები პატივის მიხედვით იყვნენ განლაგებული. ზოგი ქვე იჯდა, ზოგი კიდევ დიდებულ მეფეთა და ხათუნთა\* თავთ დგომის ღირსად ეცნოთ. იმდენი ალვა\*, მუშკი\* და ამბარი\*

ეკმიათ და მათ სურნელთაგან ეგზომ დიდი კვამლი დამდგარიყო, რომ კაცი იფიქრებდა: ან არის და ღრუბელი ჩამოწოლილა მიწაზე, ანდა აქაურობა ლამაზ ქალებს თავიანთი ფშვიადი თმებით დაუბურავთო.

მეფე მოაბადი მოზეიმეთა ჭვრეტით იხარებდა. აქეთ მუტრიბებს\* ამღერებდა, იქეთ ასპარეზზე ცხენებს ათამაშებინებდა, უფრო ახლოს ლამაზ ქალებს აცეკვებდა. თუმცა ხანში იყო შესული, მაინც ქალებისკენ გაუბოდა თვალი, – დიაცთა მოყვარული გახლდათ.

ერთ დღეს მოაბადს ადარბადაგანის დელოფალი, პირმშენიერი შაპრო გაეკეკლუცა. მოაბადმა უპასუხა:

– მოცინარო ვარდო, ჭარმაგობის ჟამს რომ ასეთი ხარ, სიყრმეში როგორი იქნებოდი! აწ რადგან გული დამიბნელე და შენგან უიმედო მყავი, სულ ნუ მომიკვეთ, ქალიშვილი გეყოლება და ცოლად მომათხოვე!

შაპრომ ამაზე უპასუხა:

– ხელმწიფეთა ხელმწიფეო, ჩემთვის შენს სიძეობაზე უფრო დიდი ბედნიერება რა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალიშვილი არა მყავს და ღმერთმა თუ იგი მომცა, უთუოდ შენ მოგათხოვებო.

მაშინ მოაბადი საქმეზე გადავიდა:

– შემომფიცე, რომ თუ ასული მოგეცა, ჩემს გარდა არავის შერთავო!

ქალმაც შეპფიცა.

ნახეთ, რა ქნეს: დედამ მუცლად უღებელი გაათხოვა, სიძემ კი დაუბადებელი შეირთო!

გამოხდა ხანი. ის პირობა შაპროსაც დაავიწყდა და შაპ მოაბადსაც. მაგრამ მოხდა სასწაული და შაპროს მართლაც შეეძინა ქალიშვილი. ხალხი ამბობდა: შაპრო ქალი კი არა, აღმოსავლეთი ყოფილა, ისეთი მზესავით მანათობელი ასული შვაო. გადაიხადეს ძეობა და ბავშვს სახელად ვისი დაარქვეს. შემდეგ კი კარგი გვარის გამძელი გამოძებნეს და ბავშვი აღსაზრდელად მასთან გაგზავნეს ხუზისთანში.\*

შაპ მოაბადს ორი ძმა ჰყავდა. უფროსი, ზარდი, ვეზირად ესვა. უმცროსი კი, რამინი, შვილივით უყვარდა და რადგან თავად უძეო იყო, ტანტის მემკვიდრედ ის მიაჩნდა. ვისისა არ იყოს, ჰაერის სიკეთის გამო მოაბადს რამინიც ხუზისთანში ჰყავდა გაძიძავებული. ასე რომ, ვისი და რამინი ერთ ქვეყანაში იზრდებოდნენ, როგორც ერთ წალკოტში ორი ყვავილი.

რამინი რომ მოიწიფა, ისე დამშვენდა, ქვეყანაზე მისი ბადალი ყმაწვილი არავინ იყო; პირად მზესა ჰგავდა, თვალ-წარბი კი ყორნის ბოლოსავით შავი ჰქონდა. ძალი ლომისა გამოჰყოლოდა, სიფიცხე – ვეფხვისა. მისი ცხენოსნობა და ნადირობა განთქმული იყო, მშვილდს რამინივით ვერავინ მოზიდავდა, შუბს მისებრ ვერავინ იხმარდა, ასპარეზობის დროს ხომ ტოლი არა ჰყავდა და არა. ჭადრაკის თამაშად რომ დაჯდებოდა, კაციშვილი მისი მომგები არ იყო. ახლა სიმღერასა და დაკვრას არ იკითხავთ! მჭვრეტელნი მისი ყურებით და მოსმენით ვერ ძლებოდნენ. რა დედამ შობა ასეთით! – კვირობდა ხალხი.

მოაბადს რომ რამინის დავაჟკაცება ესმა, გაიხარა, ღარიბები უხვად განიკითხა და უფლისწული მარავში ჩამოაყვანინა.

იქით კიდევ ვისიმ აიყარა ტანი და მედიდურობა დაიწყო. ძიძამ შაპროს წერილი მიუწერა:

„შენი ამბავი დიანაც გამკვირვებია! რაც აქეთ გამოაგზავნე, მას შემდეგ საკუთარი შვილის ამბავი ერთხელაც არ გიკითხავს. მისი სილამაზით ხალხში თავის მოწონება მაინც არ მოგინდა? მე რაც შემემლო, ნებეირად გავზარდე შენი ქალიშვილი, მაგრამ მას აქაურობა უკვე თვალში აღარ მოსდის. ჩვენი არც საჭმელ-სასმელი ეამება და არც ჩაცმულობა მოსწონს. როგორი კაბაც არ უნდა შეუუკერო, წუნს მიდებს. ყვითელი თუ მივართვი, უკან გადმომიგდებს – ეგ სნეულთა ჩასაცმელიაო; წითელი თუ შეუუკერე, მიჯავრდება – საბოზაოდ მამზადებო? ლურჯზე მიწყრება, – მგლოვიარედ გეყოლება ვინმე და მას ჩააცვიო! ოქროს ჯამ-ტაბაკით თუ არ მიართვი, ისე საჭმელს ხელს არ დააკარებს. პირის ფარეშებად სულ რჩეულ ქალიშვილებს მთხოვს, მონებად კიდევ ოქროსქამრიანი ყმაწვილები უნდა. მოახლეებად ოთხმოცი დიდგვაროვანი ასული ჰყავს, ნაკლებს არ დავეკრდებიო! მე ამისი გამძლები არა ვარ, კეთილი ინებე და შენი შვილი უკანვე წაიყვანეო!“

შაპროს ძიძის წერილი რომ მოუვიდა, მაშინვე ოქრო-ვერცხლით დაკაზმული მსახურები გააგზავნა ხუზისთანში და ვისი დიდის დიდებით ჰამიანის\* ქალაქში ჩამოაყვანინა. დედამ რომ თავისი თვალწარმტაცი ქალიშვილი დაინახა, გაიხარა, ჯერ ტანტზე დამჯდარ ვისის შეავლებდა თვალს, მერე კი მზეს ახედავდა, – ნეტა ვინ რომელია, ვისია მზე თუ მზე – ვისიო? მაშინათვე კაზმვა დაუწყო და, როგორც მეფის ქალიშვილს ეკადრებოდა, ეგრე მორთო. შემდეგ კი ვისის უთხრა:

– დროა, გაგათხოვო, მაგრამ შენი სწორი ქვეყანაზე არავინ მეგულება. ქმრად ისევ და ისევ შენი ძმა ვირო თუ შეგფერის. ჩემი შვილი ხარ და ბარემ რძალიც იყავიო!

მაშინდელ ირანში წესადა ჰქონდათ: და ძმას ცოლად დაუჯდებოდა და ძმა დას შეერთავდა. ვისის ვიროს სიყვარული გულში კიდევაც ჩავარდნოდა, მაგრამ ახლა დედასთან დაირცხვინა. მაშინ სეფექალებმა შაპროს ღიმილით უთხრეს:

– შაპრო, რას ჩაციებიხარ მაგ ბავშვს! ჩვენ ხომ ვიცით, რომ ქალის ღუმილი თანხმობის ნიშანი არისო.

მაშინ შაპრომ ჯერ ვარსკვლავთმრიცხველებს თავისი შვილების ქორწინების ბედი ამკითხვინა, შემდეგ კი ვირო და ვისი იხმო, დის ხელი ძმას ხელში ჩაუდო და ისინი ცოლ-ქმრად დალოცა.

## მოაბადმა თავისი საცოლე მოითხოვა

ისარი სწორად წავა თუ არა, მშვილდის მოზიდვას შეეტყობა; ხე კარგად მოისხამს თუ არა, გაზაფხულზე მიუხვდება კაცი, ყვაილებს რომ გამოიღებს, მაშინ. ვისისა და ვიროს ცოლ-ქმრობას კარგი მომავალი რომ არ ექნებოდა, იმ დღეს გაირკვა, როცა შაპრომ და მოაბადმა ჯერ კიდევ მუცელში ჩაუსახველი ბავშვი დააქორწინეს. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი:

ის იყო ვისისა და ვიროს მექორწილენი პურის ჭამად დასხდნენ, რომ უეცრად ზღვიდან შავი ღრუბელი წამოიგრაგნა და მზიანი დღე ჩამოაბნელა. ადგა დიდი ქარი და ისეთი მტკვერი დატრიალდა, იქ მყოფნი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. სუფრა აიშალა. ამ დროს შაპროს სასახლეს ერთი შავად მოსილი კაცი მოადგა. თუმცა ამ კაცს სახელად ზარდი ერქვა (რაც სპარსელთა ენაზე ყვითელს ნიშნავს), იგი შავად დარახტულ შავ ცხენზე იჯდა და ტანზედაც შავი აბჯარი ესხა. იისფრად მოხატული ტახტრევანი მოეტანა და ცხენიდან რომ არ ჩამომხდარა, ისე შაპროს მოაბადის წერილი მიართვა. ცხენდაცხენ ხლებისათვის ბოლიში მოიხადა და ვისის დედას ასე მოახსენა:

– მე მოაბადის ძმა და ვეზირი გახლავართ. მეფემ თქვენთან ეს წერილი გამომატანაო.

შაპრომ წერილი რომ წაიკითხა, ფერი წაუვიდა. ისე გახდა, გეგონებოდათ, ტვირთკიდებულის ვირი ტალახში ჩაეფლოო, – ვისის დედას მოაბადთან დადებულ პირობას შეახსენებდნენ. შაპი მოაბადი იწერებოდა:

„შაპროვ, ჩვენ ხომ ფიცი მივეცით ერთმანეთს, ღმერთი და ანგელოზი მოწმედ დავიყენეთ და პირობა დავდევით, ასულს შობდი თუ არა, იგი ჩემთვის ცოლად უნდა მოგეცა! ღმერთმა გვისმინა და შენ ქალიშვილი გაგაჩენინა. ჩემს ბედზე მოგცა ღმერთმა შენ ასული, თორემ შენი ხნის ქალის ან რაღა დროს ორსულობა იყო, ან მაინცდამაინც – ქალის ყოლა. ძალიან გამიხარდა, რომ გოგო შეგეძინა და უფლისადმი მადლობის ნიშნად ღარიბები გულუხვად განვიკითხე. აწ რადგან ეს მთვარე ღმერთმა მე მიბოძა, მაგისი მანდ გაჩერება აღარ მწადია, ვინაიდან ვიცი, თქვენს ქვეყანაში კაცები დიაცთა მოყვარულნი არიან, ქალზე სული მისდით და მისთვის სიცოცხლეს გაწირავენ. ქალები კი, მოგეხსენებათ, თავიანთი გულუბრყვილობით მამაკაცის სიტყვებს იჯერებენ და მათი გულის წადილს ადვილად ასრულებენ. ამიტომ, შაპროვ, გოგოს მანდ მეტს ნულარ გააჩერებ და იგი სასწრაფოდ მარავში გამომიგზავნეო!“

გონზე რომ მოვიდა, სასოწარკვეთილმა შაპრომ ლულულუდი დაიწყო:

– ეს რა ჩამიდენია! ჯერ ერთი, ღმერთი გამიწირავს და ფიცი გამიტეხია; მეორე, ასეთი ხელმწიფისათვის ცოლი წამირთმევიანო!

ვისიმ თავისი დედა ათრთოლებული და გაყვითლებული რომ დაინახა, შეუძახა:

– ნეტა, ასეთი რა დაგემართა, რომ სახეზე ადამიანის ფერი აღარ გაძევს, ანდა ღმერთმა ასე როგორ წაგართვა გონება, რომ დაუბადებელი ასული გაათხოვეო!

შემდეგ კი ზარდს, მოაბადის ძმას და მოციქულს, მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შენ, ბატონო, ვინა ხარ და საიდან მოსულხარო?

ზარდმა უპასუხა:

– მე შაჰი მოაბადის ნათესავი და დიდებული გახლავარ, სახელად ზარდი მქვიაო.

– ღმერთმა სულ ყვითლად ამყოფოს ის კაცი, ვისაც შენ აქ გამოუგზავნიხარ! ასეთი სადაგელი წესი გაქვთ თქვენს ქვეყანაში, გათხოვილ ქალს ცოლად ირთავთ? ბრმა ხომ არა ხარ, ქორწილი გვაქვს. მთელი ქვეყნის დიდებულები აქ ილხენენ. მუსიკისა და სიმღერის ხმა ცასა სწვდება. ასეთი ქორწილი რომ ნახე, მაშინათვე რატომ უკან არ გაბრუნდი? ახლავე საიდანაც მოსულხარ, იქ წადი, თორემ სადაცაა ჩემი ქმარი ვირო მოვა და, იცოდე, ცუდი დღე დაგადგება! შენს მოაბადს კი ჩემს მაგივრად ასე მოახსენე: გამოჩერჩეტებულ და მძალო ბებერო, შენ რომ ცოტათი მაინც ჭკუა გქონდეს, ამ სიბერეში ახალგაზრდა კაცს ცოლს კი არ უნდა ეცილებოდე, არამედ ორიოდ პარასკევი რომ გაქვს დარჩენილი, საიქიოს სამზადისში უნდა იყო-თქო!

ზარდმა ეს რომ მოისმინა, ცხენს მათრახი ჰკრა და პირი მარავისაკენ იბრუნა. ისე ჩქარა მიდიოდა, რომ მის ფეხთა მტვერს ნიაგი ვერ ეწეოდა.

მოაბადს კი ძმის მოლოდინში სული ელეოდა: ნეტა, ჩემმა ზარდმა რა ქნაო? თვალი სულ გზისკენ ეჭირა. ერთ დღეს, როგორც იქნა, შორიდან მტვერი გამოჩნდა და სულ მალე იმ მტვერში შეწუხებული და დაღლილი ზარდი გამოიკვეთა. მოაბადი წამოხტა და ძმას მიეგება:

– ზარდო, ლომი ხარ თუ მელიო?

ზარდი ცხენიდან ჩამოხტა, მოაბადის წინ მიწას ემთხვია და მოახსენა:

– ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მეფეო! ჩავედი მაჰის\* ქვეყანაში. მისი მიდამო სამოთხეს მოგაგონებთ, მისი მკვიდრნი კიდევ, ენით არ აღიწერება, ისეთები არიან: კაცები ლომებს გვანან, ხოლო ქალები სილამაზეში მზესა და მთვარეს ეჯიბრებიან.

მაჰის ქალაქში სწორედ მაშინ ჩავედი, როცა შაჰროს ქეიფი ჰქონდა გაჩაღებული და თავისი შვილების, ვისისა და ვიროს, ქორწილს იხდიდა. იყო ერთი მხიარულება, სიმღერა და სიცილ-კისკისი. შენმა მზემან, მე მათი ასეთი ღმერთი გულს მიკლავდა, მათი ქორწილი გლოვად მიმაჩნდა და მათი სიმღერა ტირილად ჩამესმოდა. ვისის თქვენს ნაცვლად გვერდით სხვა კაცი უზის და მასთან სიანგლოვით სხვა ვინმე ხარობს. იქაურობას ვირო განაგებს. თქვენ მეფობით მანდ არავინ არ გახსენებს. ზოგნი დამპალს გეძახიან და ზოგნი კიდევ ყოფილ შაჰად გიხსენიებენო.

მოაბადს ეს რომ ესმა, სახეზე ზაფრანის ფერი დაედო. ქარისაგან ძეწნა რომ ატოკდება, ისე ათრთოლდა. ძმას ჰკითხა:

– ზარდო, მითხარი, რაც შენ ახლა თქვი, საკუთარი თვალით გინახავს თუ სხვისაგან გსმენიაო?

ზარდმა მიუგო:

– მეფეო, თქვენც იცით, მე ის კაცი არა ვარ, რაც არ მენახოს, იმას ვამბობდე. ყველაფერი, როგორც მოგახსენე, ასე იყო და დანარჩენი თქვენ იცითო.

მოაბადმა ეს რომ ისმინა, უფრო შეიჭირვა, თავგაჭყლეთილი გველივით იღვლარჭნებოდა და გული მაჭრით სავსე ჭურვივით უღუღდა.

იქ დამსწრე დიდებულებმა კბილთა ღრჭიალი შექმნეს. ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: ან შაჰრომ როგორ გაბედა ასეთი საქმე, რომ ეგოდენ დიდი ხელმწიფის ცოლი სხვას შერთო, ან ვიროს ასე როგორ მობეზრდა თავი, რომ შაჰ მოაბადს საცოლვე წაართვა! უნდა წავიდეთ და მაჰის ქვეყანაში ქვა ქვაზე არ უნდა დავტოვოთო!

მოაბადმაც მაშინათვე მდივანი იხმო და მთელს მის საბრძანებელში ლაშქრის წვევის ბრძანება აფრინა, თაბარისთან, გორგანი, დეჰისტანი, ქოჰისტანი\*, სინდი, ინლოეთი, ტიბეტი, ჩინი\*, მაჩინი\*, სოლდი\* და თურანი\* ვიროს წინააღმდეგ საომრად აწვია.

## მოაბადისა და ვიროს ომი

ვიროსას ქორწილი ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი, როდესაც მოაბადმა მის წინააღმდეგ ლაშქარი გააწყო. ადარბადაგანელი, რეელი, გილანელი, ხუზისტანელი, ასთრაბადელი და ისპანელი დიდებულები ჯერ კიდევ ვიროსას სტუმრობდნენ, როცა აქ მოაბადის ლაშქრად წამოსვლის ამბავი მოვიდა. მაშინათვე ყველა მათგანმა თავ-თავიანთ ქვეყანაში წერილები დაგზავნა და ჯარს უხმო, – მოაბადი მოდის ვიროს წინააღმდეგ და ჩვენ ჩვენს მასპინძელსა და მეგობარს უნდა დავეხმაროთ! სულ მალე იმდენი ჯარი მოგროვდა, რომ იქაურობა ვერ იტევედა.

გამოემართა მოაბადიც. იმხელა ლაშქარი მოჰყავდა, რომ მისი სიმძიმით მიწა იზნიქებოდა. ჯარის აშლილი მტვერი ისე ამალლდა, კაცი იტყოდა, მთვარეს ყურში რალაც საიდუმლოს ეჩურჩულებო.

გათენდა თუ არა, ორივე ჯარი ერთმანეთის პირისპირ დადგა საომრად. ორთავე მხარეს ქოსებისა\* და ბუკების\* ისეთი ღნავილი მორთეს, რომ კაცს ეშმათა ღრიანცელი ეგონებოდა. ისეთი ზარი იდგა, ძველი მკვდრებიც კი ტოკავდნენ საფლავში. მეომართა ხელში მახვილი ელვასაებრ იცინოდა. შუბების და დროშების სიმრავლით ჰაერი ნაძვის ტყეს დამსგავსებოდა. ზოგ დროშაზე ლომის გამოსახულება იჯდა, ზოგზე – ფარშავანგისა, ზოგზე – არწივის და ზოგზე კიდევ – ორბისა. იმ მტვრის კორიანტელში ახალგაზრდები გათეთრებული იყვნენ, შავი ცხენები კიდევ – დაჭარმაგებული. ორ ლაშქარს შუა მოციქულად არწივის ფრთით გაწყობილი ქორაფის ისრები დადიოდნენ. ისეთი საყვარელი მოციქულები იყვნენ, რომ კაცს ან გულზე ესობოდნენ, ან თვალებში, სხვა ადგილი არ მოეწონებოდათ.

სალამომდე გაგრძელდა ომი. მწუსრის ჟამს ვისის მამა ყარანი დაეცა ბრძოლის ველზე. იმდენი კაცი მოკლეს, რომ მკვდრის გორა გორაზე ეყენა და მათ გარეშემო სისხლის ნაკადული დიოდა. ვირომ რომ თავისი მამა გულგანგმირული დაინახა, ჯარს შეუძახა:

– ყარანის ჭაღარისა მაინც გრცხვენოდეთ, სისხლისგან რომ წითლად შეღებილა! გატყობთ, სახელს არავინ არ ეძებთ. მე კი უკან დამხევი არა ვარ, მტრის ლაშქარს უნდა შევეუტიო და ვისაც თქვენი მეფის სისხლის აღება გინდოდეთ, მომყვიეთო!

ეს რომ თქვა, ვირო თავისი დიდებულებით, მონებითა და ახლობლებით შეტევაზე გადავიდა. მისი ლაშქარი მთის ფერდობიდან ძირს დაქანებულ ნიაღვარს ჰგავდა. ისეთი ცოდვის კითხვა შეიქნა, დედა შვილს ხელში არ აიყვანდა. შუბები შამფურს ჰგავდა და მწვადის ნაცვლად ზედ კაცი ეგო. იმდენი სისხლის ღვარი იდგა, რომ მიწა საწნახელს დამგვანებოდა. მეომრების თავები ბრძოლის ველზე ბურთებივით გორავდნენ. ჩავიდა მზე და მოაბადის ჯარის ბედიც ჩაესვენა. გაიქცა მოაბადი. ვირომ აღარ მისდია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ღამის წყვდიადი იდგა და მტრისა და მოყვრის გარჩევა შეუძლებელი იყო, მერე და კიდევ, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთს ეცინებოდაო.

ვირო ცხენიდან არ იყო ჩამომხდარი, რომ დაესხა თავს უამრავი დეილაძელი, გილანელი და ქიამანელი\* მეომარი. იმდენი ჯარი იყო, რა ქვიშა გეთვალათ და რა – ივი. მამაცი ვირო არ შემდრკალა და სისხლიანი ხმალი ჯერ კიდევ ქარქაშში არ ჰქონდა ჩაგებული, თავისი მცირე რაზმით დეილაძელთა და გილანელთა ჯარს ეკვეთა. მოაბადსაც ეს უნდოდა, – როგორც კი აცნობეს, ვირო გილანელბთან და დეილაძელებთან ბრძოლით არის გართულიო, თუშცა ომისგან დაქანცული იყო, გორაბისაკენ\* აიღო გეზი, სადაც ვისის სახლი და სადგომი ეგულვებოდა.

ვისი გულშეჭირვებული იყო. მამა მკვლარი ესვენა, ხოლო საყვარელი ქმარი ვირო ბრძოლის ველზე ჰყავდა გასული. გულამოსკვნიტ ქვითინებდა და ცხარე ცრემლებით ძიძას შესტიროდა:

– ქვეყანაზე ჩემზე უფრო საბრალო ვინმე თუ იქნება! არ ვიცი, ვიროს როგორ შევეყარო და ამ დამპალი მოაბადისაგან თავი ვით დავიხსნაო!

ამ ტირილში რომ იყო, მოაბადის მოციქული მოუვიდა. უთვლიდა:

„დამორჩილდი ბედს, მზეთა მზეო და ყოველი ცის მნათობზე უფრო ნათელო! ღვთის განგებას ვერსად ვერ წაუხვალ და რაც ბედის წიგნში გიწერია, მას ვერ გაექცევი. ღმერთმა კი ასე ინება, რომ შენი თავი მე უნდა მეკუთვნოდეს. შენი სიყვარულის გამო ასეთი გზა გამოვიარე და ამდენი ხალხი დავხოცე. უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. თუ დამემორჩილები და გულის ნებას ამისრულებ, სამკაულებითა და პატიოსანი თვლებით ისე აგავსებ, შენი ბრწყინვალეობა და მშვენება მზესა და მთვარეს შურდეთ. ჩემი სულის მალამო შენ იქნები და ჩემი სამეფოს დედოფლობა შენ მოგიხდებო“.

ვისიმ ეს რომ მოისმინა, ისე გამწარდა, საყელო შემოიხნია და ბროლის გულ-მკერდი გამოაჩინა. თავზე ნაცარი ისხა და მჯიღები იმდენი ირტყა სახეზე, რომ პირი და მკერდი სულ ლილისფერად იქცა.

– წადი და შენს დამპალ მოაბადს მოახსენე: ბურთს ფათერაკის მოედანში ნუ ჩაიგდებ-თქო! რა ხვითოც ბრძანდები, შენს ნამოქმედარს ეტყობა. ტყუილა გგონია, ამ ციხიდან ცოცხალი გამიყვანო. ტანად ნაძვისა და პირად მთვარის მსგავს ვიროს შენისთანა გადაყრუებულ ბეხრეკში არ გავცვლი. ასეც რომ არ იყოს და ვირო ქმრად არ მესვას, შენ ჩემგან მაინც ვერ გაიხარებ. კაცმა მამა მომიკალი და ახლა გინდა, ცოლად დავგიჯდე? შენმა სტავრამ და თვალ-მარგალიტმა თუ მომალორა, დედოფლობის ღირსი როგორ ვიქნები, მით უმეტეს, რომ ქონება და ძვირფასი თვლები ისედაც ბევრი მაქვს! ტყუილა ნუ ცდილობ ჩემს ხელში ჩაგდებას, ამას ვერ ეღირსები და რომც ეღირსო, ჩემს ნაყოფს მაინც ვერ იგემებ. გვერდითაც ვერ მომიჯდები. ჯერ ჩემი უბიწო ტანი საყვარელი ქმრისთვის არ დამინებებია და შენ, ბეხრეკს, როგორ დავანებებ! მოყვრობა და მტრობა ერთად ვერ შეიყრებიან, რადგან ერთი ჭიქაა, მეორე კი – ქვა. სიყვარულით მე შენ მაშინ დაგემორჩილები, როცა ქორი და კაკაბი ერთმანეთს შეეთვისებიან-თქო.

მოაბადი ვისის ასეთმა პასუხმა უფრო გაახელა და მისი სიყვარულის ცეცხლი გულში უფრო აუეიზგიზა. განსაკუთრებით ის უხარებდა გულს, რომ ვისი თურმე უბიწო იყო და ქმართან ჯერ კიდევ არ წოლილიყო.

მათი საქმე ისე შეიქნა, რომ სწორედ იმ დამეს, როცა ქორწილი დაინიშნა და ვირომ პატარძლის საწოლისაკენ გასწია, ბედად ვისი საღიაცო საქმეზე დადგა. ვიროს ახალსიძობა ჩაუმწარდა, სხვა რა ღონე ჰქონდა, უკან უნდა გამობრუნებულყო. ქალი არაწმინდა თუ შეიქნა, მამაკაცი მას ვერ დაეკარება და თუ ვინიცობაა, ცოლმა ეს საქმე დამალა, ქმარი მას მაშინათვე გაეყრება. ამ მიზეზისა გამო ვისიმ და ვირომ ერთმანეთის ალერსით ვერ გაიხარეს. ამასობაში კიდევ ის იყო, გილანელი და დეილაძელი მეომრები დაესხნენ ვიროს თავს. და ეს ნეტარება გადაიდო.

მოაბადს ვისის ქალწულობა რომ აგონდებოდა, სიხარულისაგან ჭკუას კარგავდა, ჩქარობდა, მალე ჩაეგდო ვისი ხელში. თავისი ძმები, ზარდი და რამინი იხმო და მათთან ვისის ამბავი გაარჩია.

რამინმა ძმას ეგრე მოახსენა:

– ხელმწიფეო, რატომ ხარ ასე ფუჭად ვისის საქმეს გამოკიდებული? მლაშე ადგილზე თესლს რომ დათესავ, ვერც ნაყოფს მოიძკი და თესლსაც ტყუილად დაკარგავ. როგორ გინდა, შეგიყვაროს ქალმა, რომლის მამა მოკალი! მაგრამ ეს კიდევ არაფერი; უბედურება ის არის, რომ შენ ბებერი ხარ, ის კი ახალმოწიფული გოგონაა. ყრმისათვის ყრმა თქმულა და ბერისათვის – ბერი. როგორც ბერს ყრმა მოუნდება, აგრევე მოუნდება ყრმას ყრმა. მისი სიყვარული გულიდან მოიშორე! სიყვარულის არაკი ზღვისა მსგავსია: მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. როცა მოგინდება, ზღვაში ადვილად შეხვალ, მაგრამ უკან გამოსვლას რომ მოისურვებ, იოლად ვეღარ გამოხვალ.

მოაბადს რამინის მიერ თქმული სიმართლე ემწარა. სიყვარულით დატენილი გული შეგონებას არ ისმენს. შეყვარებულს ყველრება არ უნდა, – ვინც შეყვარებული არ არის, იგი არც კაცია.

მოაბადმა ახლა ზარდი დაიმართოხელა და საიდუმლოდ უთხრა:

– რამე იღონე და ვისი ხელში ჩამაგდებინე! სხვა რომ არა იყოს რა, ამ ციხიდან მე თუ ხელცარიელი გავბრუნდები, ქვეყანაზე თავი მომეჭრებაო.

ზარდმა მოახსენა:

– ხელმწიფეო, ღონე ერთია: შაჰროს დიდი საქონელი გაუგზავნე და ოქრო-ვერცხლით მოქრთამე! თანაც შეაშინე, შეუთვალე: შაჰრო, ყველანი საუკუნო განსასვენებელში ვართ წამსვლელი და შენ, ფიცის ასე გამტეხი, იმ ქვეყანაზე რა პასუხს გამცემ-თქო?

## მოაბადის ნერილი შაჰროსადმი და ვისის ბატაცეზა

მოაბადს ზარდის რჩევა მოეწონა და შაჰროს ასეთი წერილი მიუწერა:

„შაჰრო, ღმერთს ნუ სცოდავ და ფიცს ნუ გატეხ! თვითონ იცი, სიძე-სიდედრობაზე როგორი ფიცი მივეციტ ერთმანეთს და მოწმედ ღმერთი და ანგელოზები დავიყენეთ. ის გოგო ხომ შენ ჩემს ბედზე გააჩინე, სხვას რატომ მიეცი? ამაშიაც ღვთის ხელი ურევია, ვირომ რომ ქორწილის დროს მისგან გულის ნება ვერ პოვა. მართლა უსამართლობა არ იქნებოდა, რომ ჩემს საცოლესთან პირველი ღამე სხვას გაეტარებინა! გიჯობს, რაც მტრობა მოხდა, დაივიწყო და შენი ასული მე მომცე, თორემ ამ ომში რაც სისხლი დაიღვარა, იმ ქვეყნად ყველა შენ მოგეკითხება. თუ ამას არ იზამ, მაჰის ქვეყანას ნაცარტუტად ვაქცევ და ამ საშინელებისათვისაც ღმერთთან პასუხს შენ მოგთხოვენ. ჩემი გულის მოგებით კი არ წააგებ: შენს შვილს ვიროს ერთს სახელმწიფოს მივცემ, შენ ქოჰისთანის\* ხელმწიფის დედა შეიქნები, შენი ქალიშვილი კი მთელი ხორასნის დედოფალი გახდება. ვიცხოვროთ ამ ქვეყანაზე ნებიერად და ეს წუთისოფელი გემოზე მოვჭამოთო!“

იცოდა მოაბადმა, სიტყვებით შაჰროს გულს ვერ მოიგებდა, ამიტომ წერილთან ერთად იმდენი საქონელი გაუგზავნა მას, რომ კაცის ენით არ აღიწერება. ოთხასი აქლემი, ოთხასი ცხენი და ხუთასი ჯორი ძლივს ეზიდებოდა შაჰროსთან გაგზავნილ ძვირფას ნივთებსა და თვალ-მარგალიტს. შაჰრომ რომ ასეთი ძღვენი დაინახა, თვალები დაუბრმავდა, ვისიც დაავიწყდა და ვიროც, მოაბადის მხედრებს ციხის კარი გაუღო და პირმთვარე ვისი მოაბადს ხელში მისცა. თავი ამით იმართლა: ჩემი ქალიშვილი იმთავითვე მოაბადის საცოლე იყო. ვისი ნებით არ მიჰყვებოდა შაჰ მოაბადს და მანაც თავისი საცოლე ძალით ჩამოათრია კიბეებზე.

ვირომ მისთვის ცოლის წართმევის ამბავი რომ გაიგო, მეტის მწუხარებისაგან საყელო გარდაიხია. გული წაუვიდა. გონზე რომ მოვიდა, თერამიდან, სადაც მაშინ იმყოფებოდა, გორაბისაკენ გამოეშურა, იქნება, მოაბადს კიდევ ჩაუვსწროო. მაგრამ შაჰინშაჰი უკვე წასული იყო. შაჰროსთვის განძი დაეტოვებინა და ვიროსთვის საუნჯე წაერთმია. თქმით ვერას ამბობდა, მაგრამ გულში დედასაც უწყრებოდა და დასაც ემდურებოდა. ცხარე ცრემლებით ტიროდა და მუხთალ საწუთროს წყევლიდა. საწუთროს კი თავისი საქნელი უკვე ექნა: გულისწამლები ვისი ერთისთვის წაერთმია და მეორისთვის მიეცა. ახლა კი ერთს ქვა აეღო და სიმწრისაგან გულში იცემდა, მეორეს კი ხელში ჭიქა დაეჭირა და ნეტარების ღვინოს წრუპავდა.

მიდიოდა გამარჯვებული და გახარებული მოაბადი და მიჰყავდა ტახტრევნით თავისი საცოლე, ვისი. ტახტრევანს გარს საჭურისების რაზმი ეხვია და მოაბადის ჯარი იცავდა. შაჰის ძმებიც, ზარდი და რამინი, ახლოს მიუყვებოდნენ მოაბადის საგანძურს. უეცრად ღმერთის განგებით დიდი ქარი ამოვარდა და ტახტრევანს სახურავი ფარდაგი მოაგლიჯა. გევონებოდათ, უცხად ღრუბელმა გადაიყარა და მასში დამალულმა მანათობელმა მზემ გამოანათაო, – ვისის პირი გამოუჩნდა. რამინმა ვისის რომ თვალი მოჰკრა, თითქოს გულში ისარი განეწონაო, ცხენიდან ფოთოლივით ჩამოვარდა. ყმაწვილს ქალის სილამაზემ გულში სიყვარულის ცეცხლი აუნთო და გონება წაუღო. ერთხანს მიწაზე უგონოდ ეგდო, ვარდის პირისახე ზაფრანად ქცეოდა, ხოლო წითელი იაგუნდის ტუჩები ცისფერად შექმნოდა. შაჰის ამაღლა ვერაფერს გამხდარიყო, რამინის გულის წასვლის მიზეზი რა იყო, ვერავის გაეგო. ყველა შეწუხებული იყო და ასეთ დღეში ჩა-

ვარდნილ ყმაწვილს დასტიროდა. რა არ ქნეს, მაგრამ ვერაფრით უშველეს. ვერც ყურში ყივილით მოიყვანეს გონს, ვერც სურნელთა კმევით მოასულიერეს. ბოლოს ცოტა ცნობაზე მოვიდა. მაგრამ ენის ხმარების ძალი არა ჰქონდა. ცხენზე ძლივს შესვეს და გზა განაგრძეს. რამინს თვალები ვისის ტახტრევნისკენ რჩებოდა და გულში ნატრობდა: ნეტავი, ერთხელ კიდევ დამანახა მისი სახე ან, ნეტავი, მისი მეტახტრევნე გამხადლო!

ხან კიდევ ასე ოცნებობდა: რა იქნებოდა, ჩემი საქმე რომ ვისის გაეგო და მასაც ერთი ჩემსკენ გადმოეხედაო! უფრო თამამი ფიქრებიც მოსდიოდა გულში: ღმერთო, რა იქნება, ვისის ჩემსკენ მოებრუნებინა გული და ჩემი სიყვარული მასაც გაეზიარებინაო! ბოლოს გულს უსაყვედურა: გულო, რა უსარგებლო ოცნებას მისცემიხარ, რა ფუჭ იმელებს ეპოტინებო!

ჩაიქნია რამინმა ვისის სიყვარულზე ხელი და თავის მწარე ხვედრს დაემორჩილა. ახლა ერთი ესლა ჰქონდა ნეტარებად, ხანდახან ვისის ტახტრევნისკენ გაიხედავდა და იქედან თავისი გულის წამლების სურნელს იენოსებდა.

შეყვარებულზე საცოდავი ამ ქვეყანაზე არავინაა. ჩვეულებრივ, კაცი რომ ავად ხდება, მას მონინახულებენ ხოლმე, მოიკითხავენ, უვლიან და წამლებს ურჩევენ. შეყვარებულზე კი არავინ ზრუნავს. იყავი, თუ გინდა, მთელი წელიწადი შეყვარებული, იტანჯე და ცეცხლში იდაგე, არავინ მოვა და შენს ამბავს არავინ იკითხავს. მიჯნურობა საიდუმლოდ შესანახი სნებაა, თავის გასაჭირს სხვას რომ ვერ გაანდობ, ისეთი. იყო უნდა შენთვის და ვარამი ჩუმად გულში უნდა ჩაიკლა.

მოაბადი დიდის ამბით დაბრუნდა მარავში. ქალაქი ზეიმობდა. ქუჩები და მოედნები მორთულ-მოკაზმული იყო. სეირის მაყურებელი ხალხი ბანებზე გადმომდგარიყო. დიდებულები ნეფიონს ოქროს აყრიდნენ თავზე, წვრილი დიდკაცობა კიდევ ვერცხლს აწვიმებდა. ბანებიდან ისეთი ლამაზი გოგონები იმზირებოდნენ, რომ ქუჩაში მიმავალი კაცი იფიქრებდა, ეს ალბათ ვარსკვლავები ელავენო! ქუჩებში რომ ასეთი ზეიმი იყო, მოაბადის სასახლეში, თავად მიხვდებით, რა დღესასწაულიც იქნებოდა. მისი დარბაზი მინდორივით ვრცელი იყო, ხოლო ჭერი ისე მაღალი ჰქონდა, რომ ცასა სწვდებოდა. იჯდა შაჰი მოაბადი ტახტზე ლალი და ბედნიერი, იხარებდა, სვამდა და გასცემდა.

ვისი სადელოფლოში დამჯდარიყო და დარბაზი იგი თავისი პირის მშვენიერებით წალკოტად ექცია. რამდენადაც მოაბადის გული მხიარულობდა, იმდენად ვისის გული კაემანით იყო დატენილი. ხან დედის მოშორების გამო ტიროდა, ხან კიდევ იმის გამო ირეცხავდა ცრემლებით ღაწვებს, რომ მის საყვარელ ქმარსა და ძმას ასე უიმედოდ მოსწყვიტეს. სევდისაგან ნემსივით გაწვრილებულიყო და შეჭირვებისაგან სახე ზაფრანის ფერად გაყვითლებოდა. ხელმწიფეთა და დიდებულთა ცოლები ჭირისუფლებივით უსხდნენ ირგვლივ, ანუგეშებდნენ და ეხვეწებოდნენ:

– დედოფალო, ცოტათი მაინც მოითქვი სული, ასე გულამოსკვნით ნუ ტირიო!

ვისი არც პასუხს იძლეოდა და არც ტირილს წყვეტდა. მოაბადი რომ გამოჩნდებოდა, ლოყებს იხოკდა, საყელოს იხევდა და პირს კედლისკენ მიაბრუნებდა ხოლმე. ვისის პირი წალკოტს კი ჰგავდა, მაგრამ რად გინდათ, ამ წალკოტის კარი მაგრად იყო დაკეტილი და მოაბადმა მისი ხილვითაც კი ვერ გაიხარა.

## ქიქისაგან ვისის ამბის გაგება და მასთან ნასვლა

ძიძამ რომ ვისის ამბავი გაიგო, მწუხარებისაგან ქვეყანა დაუბნელდა, ხმამაღლა ტირილი მორთო:

– ჩემო ორი კვირის მთვარევ, ისე რად დაგემტერა საწუთრო, რომ ქვეყანაზე საარაკოდ გაგხადა? ჯერ კიდევ პირიდან ხსენის სუნი ამოგდის და ხალხის პირი კი შენი ხსენებისაგან უკვე ავსებულა. ღმერთი მე შენი შეხედვით მაცოცხლებდა და აწი, შენ რომ ვერ შეგხედავ, ცოცხალი როგორღა უნდა ვიყო!



მაშინათვე ოცდაათი აქლემი ლართა და ძღვენით დატვირთა და მარავის გზას გაუდგა. თუმცა ვისი ასე შეჭირვებული დაუხვდა, მისი ხილვით მაინც დიდად გაიხარა. თავისი გაზრდილი პირდახოჭილი, თმადაგლეჯილი და თმის ბეწვივით დაწვრილებული რომ დაინახა, ნუგემის ცემა დაუწყო:

– რატომ იკლავ, შვილო თავს! დამჭლეველები, შეავდები და დაყვითლდები. ეს ამბავი ასეც უნდა მომხდარიყო, – საკუთარმა დედამ მიგათხოვა მოაბადს. ახლა დიდი ხელმწიფის ცოლი ხარ და მას ტკბილი სულივით უყვარხარ. ვირო რაც გინდ სანაქებო უფლისწული იყოს, სიმდიდრითა და ხელმწიფობით მოაბადის ხელა მაინც არ არის. თუ საწუთრომ ვერცხლის ვაშლი წაგართვა, სანაცვლოდ ოქროს თურინჯი მოგცა. კუტიკარი დაგიკეტა და ბჭისკარი გაგიღო. დამიჯერე, მიწაზე ნუ აგდინხარ, ადექი და სადედოფლო სამოსი ჩაიცვი. თავზე გვირგვინი დაიდგი და შენი პირის მშვენებით სამეფო დარბაზი წალკოტად აქციე; მოშაქრული ენით საუბარი დაიწყე და გიშრის ფერი თვალებით შენს შემხედვარეთ გული აუძგერე! მოაბადი შენი ქმარია, დაუტკბი და ცხელი კოცნით გული გაუთბე, ელვარე პირით ღამე ღღედ აქციე და მზე მოშურნედ გაიხადე; აქაურ მამაკაცებს თავიანთ ცოლებზე გული აყრევენ და ლომივით მძვინვარე ვაჟებს შენზე ჯავრით პირი ბაიასავით გაუყვითლეო!

ვისიმ ძიძის შეგონება რომ მოისმინა, ასე უპასუხა:

– ძიძავ, შენი საუბარი უნაყოფო ხესა ჰგავს. გული ამ საწუთროს სიცოცხლით გამძლარი მაქვს. ტანისამოსს არ ჩავიცვამ და ტანტზე არ დავჯდები. ჩემი სამეფო ტანისამოსი ფლასია და სახელმწიფო ტანტი – მიწა. მოაბადი ჩემგან ვერ გაიხარებს. რადგან ვირომ ჩემთან წოლით გულის ნება ვერ პოვა, დაე, ნურც სხვა იპოვის მას ჩემგანო!

ძიძამ თავის გაზრდილს ახლა სხვა მხრივ შემოუარა:

– ყოფილი საყვარელი უკვე გასულ ღღესა ჰგავს. მე დამიჯერე, მიწაზე ნუ ზინხარ, შედი აბანოში, იბანავე, ვარდისწყლით ტანი დაიზილე, სადედოფლო ტანისამოსი ჩაიცვი, ტანტზე დაჯექი და თავზე გვირგვინი დაიდგი! აქ პირმშვენიერი დიდებულთა ცოლები მორთულნი და მოკაზმული დადიან, მე არ მინდა, ჩემს გაზრდილს ისინი ასეთ ყოფაში უყურებდნენ. ეგეც რომ არ იყოს, სხვებსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებ. ისინი სეფექალები არიან და ვალად აძევთ, თავადაც ისე მოიქცნენ, როგორც მათი დედოფალი ირჯება. წესისამებრ იმათაც ფლასები უნდა ჩაიცვან და ნაცარში უნდა დასხდნენო.

ძიძის ეს დარიგება ვისის ჭკუაში დაუჯდა, ზე ადგა და აბანოში შევიდა. ძიძამ იგი მორთო და ძვირფასი სამკაულებით მოკაზმა. ვისი მაინც ტირილდა და თავის უბედურებაზე ჩიოდა. ტირილით რომ დაიღალა და დაწყნარდა, ისე გამშვენიერდა, რომ მასთან მოსული კეკლუცი ქალები მის გვერდით ვარსკვლავებვით მოჩანდნენ, თვითონ კი ბადრი მთვარე გვეგონებოდათ, ისე ანათებდა.

მოაბადმა რომ გაიგო, ვისი ხასიათზე მოდგაო, გაიხარა, ცოლს დიდი ძღვენი გაუგზავნა, ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით აავსო. უამრავი მონა და მხევალი აჩუქა. თავად კი დაჯდა და გახარებულმა მთელი ის კვირა ქეიფში გაატარა. მერე კი ადგა და სანადიროდ გაემართა.

ერთ ღღეს ვისიმ ძიძას უთხრა:

– შენ თუ რამეს არ მოიფიქრებ და არ მიშველი, თავის მოკვლის გარდა სხვა გზა არ დამრჩენია, მხოლოდ სიკვდილით თუ შევძლებ მოაბადის ყურებისაგან თავის დახსნას. სანამდის იგი ჩემთან თავისი გულის წადილს აისრულებდეს, იქნება რაიმე ხრიკი მოუგონო. მე მამაზე მგლოვიარედ ვარ და ერთი წელი მეკუთვნის, მას არ დავნებდე. მაგრამ ისიც ხომ ვიცი, რომ ერთი წელიწადი მე იგი არ დამთმობს. ამიტომ შენ უნდა დამეხმარო და მისი მამაკაცობა შეკრა. ერთი წლის შემდეგ კი, რა ვიცი, იქნება, გუნება შემეცვალოს, შენც დაუბრუნებ მას კაცობას და მასაც შენი ფასი ქვეყანაზე არავინ ეყოლებათ.

ძიძას ვისის ეს თხოვნა დიდად არ ეკეთა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა, თავისი გაზრდილის ნებას დაჰყვა. სპილენძისა და რვალისაგან ორი თილისმა გააკეთა, ერთი მოაბადისა და ერთიც – ვისის. შეულოცა და ერთმანეთს გადააბა. სანამდის ეს ორი ჩხიბი ერთად იყო შეკრული,

მოაბადს მამაკაცობა დაკარგული ექნებოდა. ძიძამ დილაუთენია ეს თილისმები მდინარის პირას ლამში ჩაფლა რომ მობრუნდა, ვისი ის ადგილი ასწავლა და უთხრა:

– თუმცა შენი თხოვნა არ მომწონს, ბრძანება მაინც შეგისრულე და ასეთ დიდ ხელმწიფეს მამაკაცობა შევუკარი. იყოს ლამში ის ჩხიბები ერთი თვე. ერთი თვის შემდეგ, ვიცი, თვითონ მოგინდება ქმართან ალერსი და თავად მომთხოვ მოაბადის მამაკაცობის ახსნას. მაშინ მე იმ თილისმებს ცეცხლში დავწვავ და მოაბადსაც კაცობა დაუბრუნდებაო.

ნახეთ, ღვთის განგებით რა მოხდა: ერთი თვე არც იყო გასული, ის მდინარე ადიდდა, ჩხიბები თან წაიღო და დარჩა მოაბადი სამუდამოდ მამაკაცობადაკარგული. საბრალო ქმარს ცოლი გვერდით კი ეწვა, მაგრამ მამაკაცობა აღარ ჰქონდა.

ორი ქმარი შეირთო ვისიმ და ორივესგან ქალწული დარჩა, ვერც ვირომ აისრულა მასთან გულის წადილი და ვერც მოაბადმა.

## როგორ დარია ხელი რამინს სიყვარულმა

ვისის სიყვარულისაგან ძნელ დღეში ჩავარდნილი რამინი ხალხთან ყოფნას თავს არიდებდა და უკაცრიელ ადგილებში დაეხეტებოდა. ღამე ძილი არ ჰქონდა და დღე – მოსვენება. სადაც წერწეტა საროს ნახავდა, დადგებოდა და თვალმოუწყვეტლივ უყურებდა, – ვისის ტანს ამსგავსებდა. ბაღში რომ წითელ ვარდს გადააწყდებოდა, კოცნას უწყებდა, – ვისის პირს აგონებდა. ყოველ დილით იას კრეფდა (ვისის კულულებს ამგვანებდა) და გულზე დაიყრიდა ხოლმე. ჩანგზე უკრავდა და ზედ თავის ვარამს ამღერებდა. ერთხელაც არავინ ჰკითხა: რატომ ხარ ამ დღეშიო? ზოგჯერ მოაბადის ბაღში შედიოდა და ხეებს ეუბნებოდა:

– ხეებო, გვედრებით: ჩემს ასეთ ყოფაში მოწმედ დამიდექით და, როცა აქ მხიარულმა ვისიმ გამოიაროს, უთხარით, თუ რა დღეში ვარ მე, მისი მიჯნური, როგორ ვტირი მის გამო და ცრემლებს როგორ ვღვრიო!

ბაღში მკენესარე იადონებს რომ ნახავდა, ეტყოდა:

– თქვენ რა დავმართიათ ისეთი, რომ ამდენს კვნესით? თქვენი შეყვარებულის გვერდით შტოზე ზიხართ, თქვე კარგებო, ჩემსავით ხომ არა ხართ სატრფოს მოწყვეტილი! საკენესარი მე მაქვს, თქვენ რა გატირებთო?!

ერთხელ რამინი ასე რომ დაბორიალებდა მოაბადის ბაღში, სად იყო, სად არა, ვისის ძიძა შემოხვდა. გაზაფხულის წალკოტზე უფრო კეკლუცი თითქოს რა უნდა იყოს, მაგრამ რამინის სიტურფე წალკოტის მშვენიერებას ათასჯერ უფრო სჯობდა. ყურის ძირი წმინდა ვერცხლს უგავდა. წვერ-ულვაში ახალი აკოკრილი ჰქონდა. ტუჩები ლალივით უღვიოდა, კბილები მარგალიტებისა ესხა. ტანი ისე წერწეტა ჰქონდა და ისე ირწეოდა, რომ მოარული კვიპაროსი გეგონებოდათ. სახე სავსე მთვარესავით უნათებდა.

რამინს ძიძის დანახვა მეტად გაუხარდა. ერთურთი მოიკითხეს. შემდეგ ბაღის მყუდრო ადგილში გაიხალვათეს. რამინმა თავისი გასაჭირი შესწივლა:

– ვისი დედისაგან თითქოს იმისთვის დაბადებულა, რომ ვინც შეხედავს, ცეცხლად მოეკიდოს, ნამეტურ მე, ძიძაო, მისი სიყვარულისაგან ვიწვები. ხომ ამ დღეში ვყავარ, მაინც ღმერთსა ვთხოვ, თავად იგი მუდამ მხიარული და უჭირველი იყოს. მე კი, დაე, მისი ჭირის სანაცვლოდ მოვკვდე, არ ვჩივიო!

ძიძას რამინის ნათქვამი ეამა:

– რამინ, ღმერთმან შენი უბედურება და ჭირი ნურასოდეს მასმინოს! აგრეთვე ღმერთსა ვთხოვ, ჩემი გაზრდილის ბედი მისი პირისახესავით მშვენიერი იყოს და მისი მტრის ზურგი – ჩემი ვისის დალალებივით დაგრეხილიო!

რამინმა განაგრძო:

– ჩემი სიყვარული დამალული აღარ არის, ძიძავ, ქვეყანამ იცის, რომ ვისის სიყვარულისა გამო გულისაგან თმობა წამსვლია და სულისაგან ცნობა გამცლია. მას აქეთ, რაც იმ ფათერა-

კად აღმდგარმა ქარმა ვისის ტახტრევანს საფარველი გადააცალა და ჩემმა თვალებმა მისი სამოთხის მსგავსი პირი დაინახა, გული ჯოჯოხეთის მსგავსი ჭირით ამკვებია. ახლა აღარც ცოცხალი ვარ და აღარც მკვდარი. ნიადაგ ისე ვტირი, როგორც ცისკრის ჟამს – იაღონი. ძიძავ, ახლა მე მხოლოდ შენი იმედი-ლა მახადია. თუ მიხსნი, შენ მიხსნი. მიდი და ჩემს მაგივრად ვისის ასე მოახსენე: „ჰე, კეკლუცთა დასაბამო, ორი კვირის მთვარე შენი შურით გულზე სკდება-თქო. დადნა ჩემი გული შენზე ფიქრით. გართობა ჩემთვის აღარაა და სიხარული. ვერც მოედანზე გავსულვარ საასპარეზოდ, ვერც ავაზით მინადირია და ვერც ქორით კაკაბს გავკიდებვარ, მეგობრებში ვერ დავმჯდარვარ და ქეიფი ვერ გამიწევია-თქო. შელამებიდან გათენებამდე ვკვნესი და შენი სიყვარულის გამო დაკოდილი გველივით ვიღვლარჭნები. ჩემი ხსნა მაშინ იქნება, როცა ერთხელ მაინც შენს სახეს თვალს შევაკვლებ. შენმა მზემან, ჩემისთანა ყმაწვილის, რომელსაც შენთვის არაფერი შეუცოდავს, ასე განწირვა და მოკვდინება არ ეგების-თქო“.

ძიძას ეს რომ ესმა, თითქოს შხამიანი ისარი მოხვდა გულში, მაგრამ რამინს ეს გრძნობა დაუმალა და ასე უპასუხა:

– რამინ, ნუთუ შენ მართლა იმისი იმედი გაქვს, რომ ვისი შეგიყვარებს! ვისი ის მზეა, შენზე რომ არასოდეს არ ინათებს. არ გაგივა მასთან ხრიკები და ოინი; ვისი ასე ადვილად არ მოლორდება. ნურც იმისი იმედი გაქვს, ძალით გამოგივიდეს რამე. ერთადერთი გზა დაგრჩენია, – ვისის სიყვარული გულიდან უნდა ამოიგდოს! შენ მას მაშინ შეუყვარდები და მის გულს მაშინ დაეპატრონები, როცა ფიჭვის ხე ხურმას მოისხამს. ანდა ვინაა ის, ვინც გაბედავს და ვისის ამბად მიუტანს: ამა და ამ კაცს შენი სიყვარულის ცეცხლი უკიდია გულზეო? ათასი ლომის გული რომ მეღვას მკერდში, მე მასთან ამისთანა რამის თქმას ვერ ვიკისრებ. ახლა მაინც ვინ გაბედავს ამას, როცა ადამიანი ასეა შეწუხებული ამდენი უბედურებით: ცალკე მამის სიკვდილს ვერ შერიგებია, ცალკე საყვარელი ქმრის მოშორება ვერ მოუნელებია და ცალკე კიდევ თავისი ქვეყნისაგან აქ ყარბად ყოფნას ვერ შეგუებია. შეუსვენებლად კვნესის და ტირის. ახლა მას ან შენი სახელის ხსენებას ვინ გაუბედავს, ანდა შენს შეთვლილობას ვინ მიუტანს! არა, ჩემო სასურველო, ასეთ სამსახურს ნუ მთხოვო!

რამდენიც არ ეხვეწა რამინი ძიძას, მიშველეო, ძიძა ცივ ქვაზე დადგა. რამინი მაინც არ მოეშვა:

– ძიძავ, ნუ მიზეზობ! ხერხით რა არ კეთდება! ხერხით ქარის წისქვილს აგებენ, ჰაერიდან ფრინველს ჩამოსვამენ და ხვრელიდან გველს გამოიყვანენ. ხერხი კი შენი მოგონილია. მე რომ ბედნიერი კაცი არ ვყოფილიყავ, ამ უადგილო ადგილს შენ არ შეგხვდებოდიო.

ეს რომ უთხრა, ატირდა, ძიძა გულში ჩაიხუტა და კოცნა დაუწყო. შემდეგ კი იქვე დააწვინა და გულის ნება აისრულა. თითქოს ჯადო გაუკეთესო, ისე შეუყვარდა ძიძას რამინი. დედაკაცისგან ერთხელ ნებას რომ აიღებ, მერე პირზე ავშარა ამოდებული გეყოლება.

რა რამინმა ქალისაგან მოიცალა და ზეზე წამოდგა, ძიძამ თავისი კუშტი საუბარი მოაღმობიერა:

– ჰაი, შე მაცთურო, შენა! ისეთი ენა გაქვს, ვის არ შეაცდენ! აქამდისაც მიყვარდი, მაგრამ დღეის იქით, რაც გინდა, მიბრძანე და შენი მონა-მორჩილი ვიქნები! – ვისის საქმეს, შენ რომ გინდა, ისე მოგიგვარებო.

რამინმა ძიძა შეაგულიანა:

– ჩემი იმედი შენა ხარ. ამ ჭირისაგან დამიხსენი და შენი ხელოვნება გამოაჩინე! კვლავ როდის მოხვალ ჩემთან? ხომ იცი, შენს მოსვლამდე მე წუთების თვლაში ვიქნები და თვალი გზაზე მეჭირება. სანამდის ისევ მხიარულად არ გიხილავ, მანამდის ცეცხლზე ვიჯდომებიო.

ამაზე გრძნეულმა ძიძამ სიცილით უპასუხა:

– მტერსაც კი მოყვარედ იქცევ, ისეთი ჯადო გაქვს. აწი ნულარაფრის გეშინია, შენი ხსნის ჟამი დამდგარია. ყოველდღე აქ დამელოდე და რასაც ვიზამ, მოგახსენებო!

აკოცეს ერთმანეთს და გაიყარნენ.

## ძიძის მაჭანკლობა

ძიძა ვისის საწოლში რომ შევიდა, თავისი გაზრდილი, ჩვეულებრივ, ცუდ გუნებაზე მყოფი დაუხვდა. ეტირა, სასთუმალი სულ ცრემლით ჰქონდა სველი. დედისა და ვიროს სიშორისა გამო სამკაული შემოედარცვა. ძიძა ახლოს მიუჯდა.

– ჩემო სიცოცხლე, სნეული არა ხარ და მუდამ კი წევხარ. ისარივით სწორი ტანი მშვილდით მოდრეკილი გაქვს. ისე გიჭირავს თავი, თითქოს საკანში იჯდე და არა მარავ-ქალაქში დედოფლობდე. ჭირი კაცს დალევს, შვილო, და მისი წამალი მოთმენის მეტი არაფერია. მე ღამიჯერე და ნახავ, თუ გულიდან კაემანი არ მოგეხსნასო!

ვისიმ ეს რომ მოისმინა, თავი მუხლთაგან აიღო და ამომავალ მზესავით ელვარე პირი ძიძას მიანათა.

– ძიძავ, მარავიო, თქვი შენ. იცი თუ არა, რომ მარავი ჩემთვის ქალაქი კი არა, საკირეა. ეს სამოთხესავით მორთული და მოხატული დარბაზი ლამაზი კია, მაგრამ მე იგი ჯოჯოხეთის ჯურღმულად მიმაჩნია. საწუთრო ისე მაქვს მოძულეული, რომ თავი ცოცხალი აღარ მინდა. წუხელ ვირო დამესიზმრა: ცხენზე იჯდა, ნადირობიდან დაბრუნებულიყო. წელზე ხმალი ერტყა და ხელთ შუბი ეჭირა. კარგად ენადირა. ცხენდაცხენ მომადგა და ალერსით მითხრა: ძმის სიცოცხლე, უცხო ქვეყანაში თავს ვითა გრძნობ? შენი მტრების ხელში უჩემოდ როგორ ძლებო? მერე ისევ ვიხილე ძილში. გვერდით მეწვა. მეხვეოდა და მკოცნიდა. ახლაც ცხადივით ჩამესმის ყურში მისი ჩურჩული და მისი ტანის სურნელი ახლაც მაბრუებს. შენ თვითონ იცი, ძიძავ, რომ მთელს მარავ-ქალაქში ვიროს ბადალი ვაჟკაცი არავინააო.

ძიძას ვისის თავი ხელით ეჭირა. უთხრა:

– შენი ძიძა მოგიკვდა! შენი ნათქვამი რკინასავით მეძძიმა. ნუ მოიკლავ თავს, შვილო! ეს საწუთრო მოგზაურთა ფუნდუკია\*, ჩვენ კი მოქარავენე მგზავრები ვართ. მოქარავენე ფუნდუკში მუდმივად კი არ ცხოვრობს, ცოტა ხანს დაჰყოფს შიგ და წავა თავის გზაზე. ნუ ჰკრავ ხელს სიხარულს და თავს ჭირში ნუ ჩაიგდებ! ამ ქვეყანაზე ახალგაზრდას ვერ ნახავ, საკუთარი თავისთვის სიამოვნების მინიჭებას არ ეძებდეს. ზოგს ჯარი უყვარს, ზოგს – ცოლი და სახლი, ზოგს – მოწიფული ქალი. ქალებსაც ეს ზნე სჭირთ, ხელმწიფეთა ცოლები არიან ისინი თუ ქალიშვილები, გინდა დიდებულთა მეუღლენი, სხვადასხვა სიამოვნებით იხარებენ გულს. ქალს, რაც გინდ ლამაზი ხელმწიფის ცოლი იყოს, მალულად მაინც ჰყავს საყვარელი და ჩუმად მასთან ეძლევა ნეტარებას. შენ კიდევ ვიროს გარდა არავინ გაგონდება. ვირო ხელმწიფე და ხელმწიფის შვილი კია, მაგრამ ანგელოზი მაინც არ არის. წელან მკითხე, მარავში ვიროს მსგავსი ვაჟი თუ ვინმე გინახავსო. ღმერთმა იცის, რომ მარავში ბევრი ყმაწვილი მინახავს, კაცი მათი ჭვრეტით რომ ვერ გაძლება, ისეთი. კაცს ისინი ვიროზე უფროდაც მოეწონება. მათ შორის განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა გამოირჩევა, ლომივით ჭაბუკი. კაცის გონებას მისი სილამაზისა და მომხიბვლელობის აღწერა არ შეუძლია. სხვა თუ ვარსკვლავია, იგი მთვარეა. მოაბადის საყვარელი ძმა და სახელად რამინი ჰქვია. სახით სულ ვიროსა ჰგავს. აქაური ქალები მისი სიყვარულით დახელებული არიან. მთელს ირანში მისი მსგავსი ცხენოსანი არ მოიპოვება. შუბს ისე ისვრის, თმას შუა გააპობს. ბრძოლის დროს ლომია და მოწყალების გაცემის დროს – მაისის წვიმა. მერე კიდევ ერთი თვისება აქვს, გულჩვილობით სულ შენა გგავს. ისედაც ერთმანეთის ალი-კვალი ხართ. ისე გავხართ ერთმანეთს, კაცს ორად გაჭრილი ერთი ვაშლი ეგონებით. მას შენ უნახიხარ და ისე შეყვარებისხარ, რომ დღე და ღამე შენი სიყვარულისა გამო ცხარე ცრემლებს აფრქვევს. შენ ხომ მებრალები და მებრალები ამ დღეში მყოფი, მაგრამ მასხედ ნაკლებად არ მეწვის გული, – შეყვარებულია და მეცოდება.

ვისი ატირდა და ძიძას უთხრა:

– რა კარგად უთქვამს ხოსროს\* ერთი მოლაშქრისათვის: რადგან სირცხვილი არა გაქვს, რაც გინდა, იმას იტყვიო! შენ რადგან სირცხვილის გრძნობა არ გაგაჩნია, არაფერი გიშლის, ასეთი რამეები ჩემთან იყებლო. ჩემიც გრცხვენოდეს და ვიროსიც! ჩვენ დაგვივიწყე და ვიდაცა რამინის გულისთვის ირჯები. თუ შენ ჩემი დედა ხარ და მე – შენი ასული, ორპირობასა და უსირცხვილობას რატომ მასწავლი? რამინი სიმაღლით ნაძვსაც რომ ჰგავდეს და როსტომზე\*

უფრო გულოვანი იყოს, მე არაფრით არ მომინდება. რაც გინდ ლამაზი იყოს, ჩემს ძმას მაინც ვერ შემიცვლის, თუმცა კი ამბობ, ვიროს ჰგავსო. ვერც ის მომალორებს თავისი სიმდიდრით და ვერც შენ შემახდენ შენი წაქეზებით. შენ თვითონ რატომ მოისმინე მისი საუბარი და თუ მოისმინე, მე რატომ მაკადრე მისი განმეორება? იგი რატომ არ შეარცხვინე და საკადრისი რატომ არ მიაგე?! მამაკაცის ნანადირევი დედაკაცია. ჯერ მოატყუებს და გულის ნებას რომ აისრულებს, სხვა მოუნდება. დედაკაცი კი არის ჭირში გაბმული, ხან შინაურების ეშინია, ხან კიდევ ქმრის შიშით ღნება. ამ ქვეყანაზე საფრთხე და თავის მოჭრა ელოდება, იმ ქვეყნად კიდევ – ჯოჯოხეთი და ღვთის რისხვა. რატომ უნდა მოვიქცე მე ასე? ჩემი მფარველი ღმერთია და შემწეობას მას ვთხოვო.

ძიძამ ეს რომ მოისმინა, მიუხვდა, რამინს კარგად არ მიუდიოდა საქმე და ახლა სათქმელს სხვა მხრიდან შემოუარა:

– ამ ქვეყანაზე კაცს რაცა სჭირს, განგებისაგან სჭირს. რაც ღმერთს არ უნდა, ის საქმე არ მოხდება. შენც ის დაგემართება, რაც უფალს შენთვის გადაუწყვეტია, არც მეტი და არც ნაკლებიო.

ვისიმ ამაზე ძიძას ასე უპასუხა:

– კი, ყოველი საქმე კაცს ბედისაგან მოსდის, მაგრამ ვინც ავს იზამს, იმას ავითვე გარდახდება. პირველი ავი საქმე შაჰრომ ქნა, მოაბადის ცოლი ვიროს რომ გაატანა. ავი მან ქნა, ჩვენ არ გვიქნია და, შეხედე, ჩვენც რამდენი ჭირი ვნახეთ, მეც გამოვიჯაყე ქვეყანაზე და ჩემი ქმარიცო!

ძიძამ თავი იმართლა:

– რამინი ჩემი შვილი არ არის, რომ ვიფარავდე. რაც შეეხება სიყვარულს, სიყვარული რომ მოვა, კაცი ავსაც და კარგსაც უნებურად ემორჩილება. ჩემი ნათქვამი დაიმახსოვრე: სულ მალე ამ ცეცხლისაგან კვამლი ამოვაო!

მეორე დილას, როგორც დათქმული ჰქონდათ, რამინი და ძიძა ერთმანეთს შეხვდნენ. რამინმა შენიშნა, რომ ძიძა კარგ გუნებაზე იყო. ჰკითხა:

– გუშინდელს აქეთ როგორ ბრძანდები? გეტყობა, ვისი გინახავს და მისგან სასიამოვნო სიტყვები გსმენია. ვისის ჩემი შეთვლილობა თუ მოახსენე და ჩემი გასაჭირი თუ გააგებინეო?

ძიძამ უპასუხა:

– ვიყავი და გადავეცი, რაც დამბარე. მე გამიწყრა, შენ კი შემოგიტოვალა: „რამინ, შენთვის იყო, გირჩევნიაო; ჩემთან შეყრის იმედი ნუ გექნება! თუ მიჯნურობა გწადია, წადი, ქვეყანაზე ქალების მეტი რა არის! ჩემი სახელი ვითომ არც გსმენია. ეშმაკს ნუ შეუცდენიხარ. ჯერ ღმერთის წინაშე ნუ სცოდავ, მერე საკუთარი ძმის მიმართ ნუ ჩადიხარ დანაშაულს! შენ რომ ჩემთან ერთხელ ნება აისრულო, ვიცი, ისე შეგძულდები, რომ შემდეგ ჩემი სახელის გაგონებაც კი არ გესიამოვნებაო.“

საბრალო რამინმა ასეთი პასუხი რომ მოისმინა, ქარისაგან რომ ტირიფი ათრთოლდება, ისე აკანკალდა. ძიძას შეეხვეწა:

– შემიცოდე, ძიძაო, და ერთხელ კიდევ მიმეგზავნე ვისისთან. უთხარი: „მზესავით ნათელი ასულო, მამაკაცი ყველა ერთნაირი ხომ არ არის! თუ ინებებ, მე ათასი საფიცარით შემოგფიცავ, რომ სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნები. ტანიდან ჩემი სული და შენი სიყვარული ერთად ამომივა-თქო!“

შეებრალა ძიძას მოტირალი რამინი და უთხრა:

– ჩემო თვალის სინათლე, მოთმინების აბჯრით შეიმოსე! წავალ, ერთხელ კიდევ ჩავიცვამ უსირცხვილობის ჯაჭვს და ვისის ერთხელ კიდევ შევეხვეწები, შენსკენ მოიხედოსო.

ისევე ეწვია ძიძა თავის გაზრდილს. ვისი დაღონებული იჯდა და თვალთაგან ცრემლებსა ღვრიდა. ძიძა ვისის მიეფოლორცა:

– ღმერთმა სულ ასე დაღონებული და მტირალი დასვას, ვინც შენ დაგაღონა და გატირა, შენს სახლ-კარს მოგაშორა და შენიანებს მოგწყვიტა! მაგრამ ერთი კი გამკვირვებია, ამ უცხო ხალხში რას გადაგიღვია თავი და შმაგს და გადარეულს რატომ დამსგავსებინარ? ნუ იქცევი ასე, შენი ახალგაზრდობა შეიბრალე და ჭირს ჭირზე ნუ მოიმატებ! შენს სიყრმეს ზღვაში ნუ

გადაადგებ და შენს ტანს სიდუსჭირეში ნუ დაადნობ! შენ თუ ეს ზნე გჭირს, რომ ვისაც უყვარხარ, იგი აღონო, შენს სულს რაღას ერჩი? შენს სულს ხომ მეტად უყვარხარ! რატომ გძულს იგი? რამინი შენს სულსა ჰგავს, მას შენ უყვარხარ, შენ კი იგი გძულს. ნუ ირჯები ასე! ქალი ხარ და ხესავით ნაყოფიერი უნდა იყო. შეიბრალებ ის ყმაწვილი, ნურც მას დაადნობ და აგრე გაუხარებლად ნურც შენს ტანს დაადგებო!

ვისის ასეთი სიტყვები რომ ესმა, აღშფოთდა და ძიძა ავინა:

– საძაგელო და ღვთისაგან დაწყველილო ძიძაო! დაიქცეს ის კუთხე, საიდანაც შენ მოველინე ამ ქვეყანას! ღმერთმა მოკითხოს დედაჩემს თავისი დანაშაული, რომ შენი ძუძუ მაჭამა და ჩემი წმინდა ბუნება შენი ძიძაობით დასკარა! შენი უსირცხვილობით შენდამი სიყვარულის ძირი გულიდან ამოვიგდე. ტყუილა ნუ ირჯები, შენს დაგებულ ბადეში მე არ გაგვბმები და იმ შენი რეგენი რამინის შემოთვლილობას ყურში არ შევუშვებო!

ძიძამ გულში გაიფიქრა: შელოცვით თუ ვიზამ რამეს, თორემ ამ ქალს ვერ ვაცთუნებო, უთხრა:

– სიცოცხლეზე უფრო საყვარელო, რამინი ჩემი არც შვილია, არც ნათესავი და არც პატრონი. მე შენთვის მინდა სიკეთე და ესაა, რომ მაღაპარაკებს, თორემ სხვა რა უნდა მრჯიდეს! რაც არ უნდა დიდად მიგაჩნდეს თავი, უნდა გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ და არა ანგელოზი.

ისეთ ქმარს მოსწყდო, როგორც ვიროა, ისეთი ხელმწიფის ცოლი გამხდარხარ, როგორც შაჰი მოაბადია და ჯერ შენგან არც ერთს უგემებია სიამოვნება და არც მეორეს, რადგან საწოლში ჯერ არავის წოლიხარ. შენც არავისგან მიგიღია ნეტარება და მამაკაცთან წოლა რა არის, საერთოდ არ იცი. მაგრამ შენ რომ მამაკაცის გემო იცოდე, ამ ქვეყანაზე რამინზე უფრო საამო კაცს ვერა ნახავ. რატომ არ გინდა, გაიგო, რომ სიყვარულის გარეშე ამ ცხოვრებას გემო არა აქვს? ფრინველი რომ ფრინველია, ღმერთს ისიც კი დედალი მამლისთვის გაუჩენია. ყველაფერი ეს თუ იცი, მე რატომ მიჯავრდები? მე შენ მიყვარხარ და იმიტომ გირჩევ ამას, შენი დედა და ძიძა ვარ. რამინი შენი შესაფერია და შენ – მისი. მას შენ უყვარხარ და შენც სიყვარულითვე უნდა უპასუხო! თქვენ რომ ორივეს ერთად შეყრილს გნახავთ, ამ ქვეყანაზე ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნება. შეხედე ხელმწიფეთა ცოლებს, ყველას გული გალაღებული აქვს, იმიტომ, რომ ყველას ჰყავს ჩუმად საყვარელი, ცხადად ხომ იხარებენ და იხარებენ, მალულადაც ნეტარებას არ იკლებენ. შენ კი აქ მტვერში აგდისხარ და სიცოცხლეს იმწარებ. ცხოვრება ერთი წუთისაა, შვილო, უცბად სიბერე წამოგეწევა და ისე მოკვდები, სიხარულს გემოს ვერ გაუსინჯავ. არც ქვა ხარ და არცა რკინა, ამდენ ჭირსა და მწუხარებას ვერ გაუძლებო.

ამ სიტყვებმა ვისის გული აუჩქროლა. ცოტათი მოლბა და ძიძას უთხრა:

– ეგ მართალი თქვი, დიაცი მამაკაცისთვის არის გაჩენილი. გაგიწყერი და ცუდად მოგექეციო.

მეორე დღეს ძიძა დანიშნულ ადგილზე რომ მივიდა, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

– ტყუილა ირჯები, რამინ. ცეცხლში წყალს ნუ ეძებ! ვისის ქვის გულის მოლბობას ვერ შეძლებ და მის გვერდით წოლას ვერ ეღირსები. კლდეც რომ შესძახო, კლდეც პასუხს გამოსცემს კაცს და ეს ქალი კი ამასაც არ შვრება. შენი შენათვალის გადავეცი. შენზე არაფერი უთქვამს, მაგრამ მე კი მაგინა და მათრია. ჩემი ჯადო და შელოცვა მასთან არ გადისო.

რამინს თავისი დაემართა, ხმამაღლა ზღუქუნის დაიწყო და მოთქმას მოჰყვა:

– ძიძავ, გაფიცებ, რაც საფიცარი გაქვს! იქნება, ერთხელ კიდეც მიხვიდე მასთან, ჩემი უბედურების ამბავი გააგონო და ჩემ მაგივრად მოახსენო: „ვისო, მაცოცხლე იმისათვის, რომ ჩემი დღე და მოსწრება შენი მონა ვიყო! თუ გამწირავ და უარს მეტყვი, მე მეტს ვეღარ გავუძლებ, თავს ან კლდიდან გადავიქცევ, ან წყალში დავიდრჩობ და ჩემს ცოდვას იმ ქვეყნად შენ მოგკითხავენ-თქო!“

ძიძას შეებრალა საწყალობელი რამინი, ადგა, ისევ მივიდა ვისისთან და უთხრა:

– ყოველთა კეკლუცთა დედოფალო, შეყვარებულთა მეტი რა მინახავს, მაგრამ რაც რამინს ჭირს, ამისი ენით აღწერა შეუძლებელი საქმეა. ვშიშობ, ამდენი შეჭირვებისაგან სული არ განუტყვევოს. ჩემო ნათელო, შეიბრალებ ასეთ უიმედო მდგომარეობაში მყოფი რამინი, ნუ დაისვრი მისი სისხლით შენს კალთას! რა იქნება ვითომ, რომ ასე არ მოექცე მას? საშენოა იგი. ასე ყო-

ველი ღირსებით შემკული ყმაწვილი ღმერთს ჯერ არ დაუბადებია. ბედმა ქალწულობა იმისთვის შემოგანახინა, რომ უბიწოება სწორედ რამინს ჩააბარო.

ამას რომ ეუბნებოდა, არ იცოდა ძიძამ, რომ ვისის გულში უკვე შესული იყო რამინის სიყვარული.

რამინის სიხარულის ჟამი იდგა. ქალი ხმას არ იღებდა. ეს კი იყო, სიმორცხვისა გამო სახეზე ფერ-ფური გადასდიოდა. თანაც შიშობდა, არ გავილანძლო.

და მიუხვდა ქვებუდანი ძიძა, რომ ისარი მიზანს მოახვედრა და კანჯარი\* იგი, როგორც იქნა, მოინადირა.

## ვისისაგან რამინის ნახვა და მისი შეყვარება

სწორედ იმ დღეებში რამინის ბედზე მოაბაღმა წვეულება გამართა, დიდებულები ისტუმრა და რამინიც დააბატიჟა. რამინი მოაბაღის მხედართმთავრებში ისე გამოირჩეოდა, როგორც ვარსკვლავებში – მთვარე. განზრახ მოჭარბებულადაც მოკაზმულიყო. მიჯნურობისა და ღვინისაგან ორნაირი სიმთვრალე მოკიდებოდა. ვისის ხატება თვალწინ ედგა და მისი არსება ტვინში ჰქონდა გამჟღადარი. ვისი ძიძას მოეყვანა და მალულად მოქეიფეთათვის სარკმლიდან აჭვრეტილებდა. აქედან სუფრაზე სმად დამჟღადარი დიდებულები კარგად ჩანდნენ. რამინიც მათ შორის იყო. ძიძამ ვისის უთხრა:

– ჩემო თვალის სინათლე, ამდენ ყმაწვილში რამინზე უკეთესს ვინმეს თუ ხედავ? შენს გაზრდას, მითხარი, ხომ არის ეშხიანი და უნაკლო? სულ ვიროს არა ჰგავს? აი, ასეთი ყმაწვილი უნდა გიყვარდეს შენ და მასთან ერთად გულის ნებას უნდა ეძლეოდე!

რამდენსაც მეტს უჭვრეტდა ვისი რამინს, მისი სიყვარული უფრო ემატებოდა. საბრალო ვირო უკვე აღარავის ახსოვდა. ვისი გულში ამბობდა: ნეტავი მას, ვისაც იგი ქმრად შეხვდება! ძმას და დედას მოწყვეტილმა დღე და ღამე ასე რატომ ვიტანჯე თავი? რატომ ვზივარ ასე მარტოსული? სანამდის უნდა გავუძლო ამ ჭირს? მართლა და მართლა რკინა ხომ არა ვარ! ამაზე უკეთეს საყვარელს მე ვერ ვიშოვნი და მიჯობს, მისი გულის ნება ავასრულო.

თუმცა რამინის სიყვარულისაგან უკვე გახელებული იყო, ძიძას მაინც არ გაუტყდა:

– კი, ისეთია რამინი, როგორსაც მიხატავდი, ლამაზია და ეშხიანი, დიდგვაროვნებაც ამჩნევია და ჩემს ძმას, ვიროსაც ჰგავს, მაგრამ ესეც იცოდე, ძიძავ, რასაც ის ეძებს, იმას ვერ იპოვინის. მე მას საყვარლად ვერ გავუხდები და ქვეყანას ვერ ვალაპარაკებო!

ვისი თავის საწოლში რომ შევიდა, რამინის სიყვარულისაგან თვალებში ვედარ იხედებოდა და გონებას კარგავდა. ბოლოს, აზრი რომ მოიკრიბა და გონს მოეგო, შეეშინდა, თავის გასალანძლი და სახელის გასაბახებელი რამ საქციელი არ ჩავიდინო! მტკიცედ გადაწყვიტა, აკრძალულ სასთუმალზე თავი არ დაედო და რამინის სიყვარული გულიდან ამოეკვეთა.

ძიძამ ვისის გადაწყვეტილება არ იცოდა. გაზარებული მივიდა რამინთან და მოახსენა:

– ასე მგონია, რომ შენს გაჭირვებას საშველი დაადგა. ვისიმ კუშტობას თავი ანება და ცოტათი მოღბაო.

რამინი ცას ეწია სიხარულით. ძიძის წინ მიწას აკოცა და უთხრა:

– სულის ჩამდგმელო, ღმერთი გადაგიხდის იმ სიკეთეს, რაც მე შენ მომანიჭე. დღეის იქით შენს ბრძანებას თავს არ ავარიდებ და ჩემს სიცოცხლეს შენ შემოგწირავო!

ეს რომ უთხრა, ათიათასი ოქროს ღრაჰკანი წინ დაუდვა, თვალ-მარგალიტებით სავსე ზანდუკი გამოუტანა, ორასი ოქროს ბეჭედი დაუწყო და მათ უამრავი მუშკი\* და ქაფური მოაყოლა. ძიძამ საჩუქრებს ხელიც არ ახლო, მხოლოდ ერთი ბეჭედი აიღო სამახსოვროდ და რამინს უთხრა:

– ჩემო სიხარულო, შენ ჩემთვის ამ განძზე უფრო ძვირფასი ხარ. ჩემთა თვალთა სინათლე შენა ხარ, ჩემი თვალი და მარგალიტი შენი ნახვაა. მე შენ მინდისხარ და არა ოქრო!

ძიძა ვისისთან რომ მობრუნდა, თავისი გაზრდილი მოწყენილი დახვდა. თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და ნიკაპთან ესკვნებოდა. ძიძამ გაიკვირვა:

– სანამდის უნდა იყო სულ მტირალი? ახლა მაინც რა დაგმართნიაო?

ვისი კვლავ გაუწყრა ძიძას და საიქიო ცხოვრების შიშზე ჩამოუგლო ლაპარაკი:

– მე ღმერთის საქმეს მივსდევ, ძიძაო, ამიტომ არც რამინი მინდა და არც საკუთარი თავი. ამ გზას რომ დავადგე, შენ რომ მიჩვევ, ან ჩემს ნათესავთ რა ვუთხრა ამ ქვეყანაზე, ანდა იმ ქვეყანად, ღმერთი რომ განმიკითხავს, რა პასუხი გავცე? მიჩვევია, აქ რამინი დამემდუროს, ვიდრე იქ დავიტანჯო, – გეპენიაში ჩავარდნილს რამინის სიყვარული ვერ მიშველისო.

მაშინ ძიძამ თავი გაიბრაზა:

– ეს რა ხასიათი გაქვს, დედის სიცოცხლე! ერთ სიტყვაზე არასოდეს არ დგახარ და სულ მუდამ წისქვილის ქვასავით ბრუნავ. თუ შენ ამ შენს მძიმე ხასიათს არ შეიცვლი, შენთან გაჩერებას ეშმაკიც ვერ შეძლებს. მე დღესვე მაპის\* ქვეყანაში ვბრუნდები შაჰროსთან, შენ კი დარჩი აქ შენს ქმართან, მარავი და შაჰი მოაბადი ღმერთმა გიბედნიეროსო!

ვისიმ ამაზე ასე უთხრა:

– ძიძავ, რამ შეგაყვარა ასე ეს რამინი? გულზე ვილაც უცხო კაცი გეჭიდება, მე კი, შენთან, ხელსა მკრავ. როგორ გაიფიქრე ჩემი დაგდება? მე აქ უშენოდ რანაირად უნდა გავძლო, ჩემიანებისგან ერთი შენ შემომრჩი და ახლა შენც გინდა, დამავლო და მტრებს შემატოვო?

ძიძამ უპასუხა:

– რა საჭიროა ეს ფუჭი საუბარი? არ გინდა მიკიბ-მოკიბვა! საქმეზე მელაპარაკე. მითხარი, როდის ნახავ რამინს და როდის დაუტკბები? არც ქაჯი ხარ და არც ანგელოზი, ერთი ჩვენსავით მიწიერი არსება ხარ, რომელიც მიწივე ხორციელ სიამოვნებაზე ფიქრობს და მამაკაცთან ნეტარებაზე ოცნებობს. ღმერთს ასე გაურიგებია, რომ დედაკაცსა და მამაკაცს ერთმანეთზე უფრო საყვარელი არაფერი ჰყავდეთ. შენ ეს არ იცი, და რომ იცოდე, ამდენს არ მალაპარაკებდიო.

ვისიმ უპასუხა:

– სამოთხის ნეტარება მამაკაცთან წოლაზე უფრო საამოა. შენ რომ თავს დამანებებდე, მე უმამაკაცობას იოლად შევძლებ. შენი მომღურება არ მინდა, თორემ რამინის დათმობაზე ადვილი ჩემთვის არაფერია. შენ რომ ანგარიშს არ გიწვევდე, დიდ ჭირს ნახავდა ჩემგან ის შენი რამინი. შევარდენიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ მომიგდებდა ხელთ. ახლა შენ ისე მაინც ქენი, რომ ეს საიდუმლო ვერავინ გაიგოს! თავად იცი, მოაბადი რა მორჭმული\* ხელმწიფეა და რა დიდი რისხვის დატეხვა შეუძლია კაცისთვის. ჩვენი საქმე რომ გაიგოს, უსათუოდ დაგვხოცავსო.

## ვისისა და რამინის ერთგან შეყრა

კარგ წელიწადს სიკეთე გაზაფხულშივე შეეტყობა. ვისისა და რამინის სასიყვარულო საქმე თავიდანვე ბედნიერად აეწყო. სწორედ იმ დღეებში მოაბადი თავისი ლაშქრით ხორასნიდან აიყარა და გორგანის ქვეყანაში გაემართა, გორგანიდან ქოპისთანში ჩავიდა. ქოპისთანში\* კი რეიში\* ინება წაბრძანება, ერთი ხანი იქ დაჰყო. თან ნადირობდა, თანაც იქაურ სახელმწიფო საქმეებს არიგებდა. რამინმა თავი მოიავადმყოფა და მარავში დარჩა. მოაბადმა ძმა თავის ნაცვლად დატოვა, ტახტი და ქვეყანა მას ჩააბარა და სთხოვა, სახელმწიფო საქმეები სამართლიანად განეგო. დარჩნენ მარავში ვისი, რამინი და ძიძა.

პირველსავე დღეს დაჯდა პირად მზე და კეკლუცი ვისი ნებიერად სადღეოფლო ტახტზე. თავით ფერხამდის ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით იყო მოკაზმული. ასი ათასი ვარდი ღაწვებზე უყვოდა და ოცდათორმეტი მარგალიტი პირსა შიგან უკიაფებდა. ნელსაცხებლებისაგან ისეთი სურნელი ასდიოდა, მკვდარსაც რომ სცემოდა, გააცოცხლებდა. ძიძამ რამინი მოაბადის საწოლში შემოიყვანა. რამინი ისე იყო დაბნეული, თითქოს არც ოდესმე მოაბადის დარბაზი ენახა და არც ვისის სახე. გულში ამბობდა: ნუთუ ყველაფერი ეს ცხადში ხდება და მე ვარ,



ახლა ამ ბედნიერების წინაშე რომ ვდგავარო! ქალის გვერდით რომ დაჯდა, ცეცხლის ალი გაუნელდა. ვისის ასე უთხრა:

– ჰე ყოველი სიხარულის საწყისო და საფუძველო! ღმერთს სრულქმნილება მხოლოდ შენთვის უბოძებია. ელვარებით მნათობი მთვარე ხარ, მაგრამ რად გინდა, შენს შეყვარებულს გულს უბნელებო.

დარცხვენილმა ვისიმ ნაზი პასუხი გასცა:

– სვებედნიერო ვაჟკაცო, მე დღემდე ამ ქვეყანაზე ბევრი ჭირი მინახავს, მაგრამ ჩემთვის უფრო მეტი განსაცდელი ის მგონია, რომ სახელის გატეხას ადვილად შევგუებულვარ. ჩემი წმინდა ბუნება და ტანი დამისვრია და სირცხვილი არად ჩამიგდია. ღმერთმა იცის, ჩემი ბრალი არ არის ეს დანაშაული, – ცალკე ბედმა განაგო, ჩემი საქმე ასე წასულიყო და ცალკე კიდევ ძიძამ არ მომცა საშველი. ახლა მე შენ გეკითხები: მტრებს ჩემზე გაახარებ და ვარდის მსგავსად ჩემთან ცოტა ხანს იყავილებ, თუ კაცობას გამოიჩენ და იაგუნდივით გამწე იქნები? ხასიათს არ შეიცვლი? რამდენ ხანსაც არ ვიცოცხლოთ, არ ინანებ იმ საქციელს, რომელიც მე და შენ უნდა ჩავიდინოთ?

რამინმა ამაზე უპასუხა:

– ნეტავი შენს დედას, შენს მამას და ძმას; ნეტავი შენს მოახლეებს და მსახურებს; ნეტავი იმას, ვინც ყოველდღე შენს პირისახეს უჭკვრეტს! მარავს სახელად ისიც ეყოფა, რომ შიგ შენისთანა დედოფალი უზისგანა ეს სიხარული ღვთის წყალობად არ უნდა მივიჩნიო, რომ შენთან შეყრის ღირსი გავხდი და შენი სიტყვების მოსმენის ბედნიერება მაქვსო?

ამის შემდეგ რამინმა ვისის შეჭვიცა ყოვლის დამბადებელის ძალითა და სახელით, ელვარე მზითა და მთვარით, ცითა და დედამიწით, რომ სანამ პირში სული ედგმებოდა, სანამ ველთა ზედა ქარები იქროლებდნენ და ზღვათა შიგან წყალი იდგმებოდა, დამეს სიშავე ექნებოდა და ცაზე ვარსკვლავები იკიაფებდნენ, რამინი ვისის სიყვარულს არ ინანებდა, არც თავის ფიცს გატეხდა და არც მის გარდა სხვას შეიყვარებდა.

მაშინ ვისიმაც შეჭვიცა, რომ სანამდის ცოცხალი იქნებოდა, მხოლოდ რამინი ეყვარებოდა. შემდეგ რამინს ხელთ ერთი იის კონა მისცა და უთხრა:

– ჩემგან ეს ნიშანი გახსოვდეს: სადაც ახლამოსულ იას ნახავ, ეს დღე და ფიცი მოიგონე. ასევე ლურჯი და თავჩამოგდებული იყავი, თუ ჩემი ფიცი გატეხო! მე კი ვარდს ვინიშნებ: სადაც კი ვარდს დავინახავ, ამ დღეს მოვიგონებ, და ვარდივით დღემოკლე ვიყო, თუ გიღალატო!

ერთმანეთს რომ ასე შეჭვიცეს, დამბადებელი მოწმედ დაიყენეს.

მაშინ კი ერთად დაწვნენ...

ზემოდან ანგელოზებსაც რომ დაეხედათ, ისინიც ვერ გაერკვეოდნენ, რომელი იყო მათ შორის უფრო ლამაზი ან ერთი არსება იწვა ლოგინში თუ ორი. ისინი ისე მაგრად შემოხვეოდნენ ერთმანეთს, წვიმის თქემიც რომ მოსულიყო, მკერდი არ დაუნამიანდებოდათ, ტუჩები კიდევ ტუჩებზე ჰქონდათ დაწებებული. რამინი ნეტარების მოედანზე გავიდა და გულის ნება აისრულა. თვალი პატიოსანი რომ გახვრიტა, ცნა, რომ ქალწული მას იმავე ბეჭდით ჩაბარებოდა, როგორც დედას ეშობა. და უფრო შეუყვარდა ვაჟს შაჰროს ასული. რა ორთავეს გულის ნება აუსრულდათ, ერთმანეთისათვის უფრო დახელდნენ და მოემატათ ერთმანეთის სიყვარული.

ორი თვე ერთად დაყვეს ასეთ ნეტარებაში.

ესმა შაჰ მოაბადს, რამინი გამოძვობინებულაო. ძალიან გაუხარდა და წერილი მოსწერა: „უშენოდ მოწყენილი ვარ. როგორმე ჩქარა ჩამოდი, ერთად ვინადიროთ და შევექცეთო!“ რამინმაც არ დააყოვნა და ვისისთან ერთად მოაბადისკენ გასწია. მოაბადი ამ დროს შაჰროს სტუმრობდა. ვისი თვალებს ვერ უსწორებდა ვიროს, მაგრამ მისი სადარდებელი ახლა სხვა იყო: ვისი და რამინი ცალ-ცალკე იდგნენ და ათასში ერთხელ თუ ნახავდნენ ერთმანეთს, ისიც შორიდან.

მოაბადთან რამინმა ერთი თვე დაჰყო, სძითა და ნადირობით გული გაიხარეს. ახლა მუღანში\* გადაწყვიტეს წასვლა, – ზღვის პირას ნადირობა მოუნდათ. სამგზავროდ აყრის წინა დამეს მოაბადი ვისის გვერდით იწვა. როგორ უყვარდა ამ ქვეყნად ალერსისთვის გაჩენილი თავისი ცო-

ლი და როგორ ეწადა მასთან გულის ნების ასრულება, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ამ სურვილს ვერ ისრულებდა, – მამაკაცობა შეკრული ჰქონდა!

მეფის საწოლში ძიდა შემოიპარა, მოაბადი მძინარე ეგონა და ვისს უჩურჩულა:

– რა გაძინებს, როცა იცი, რომ ხვალ შენი შეყვარებული სანადიროდ მიდის. ამბობენ, ბრძოლებიც მოუწევთ. სადაცაა ასაყრელ ბუკსაც დაჰკრავენ. თუ რამინის ნახვა გწადია, კომპიუტერზე გადი და შეხედე!

მათდა საუბედუროდ მოაბადს ეღვიდა და რაც ძიძამ უთხრა, ყველაფერი გაიგონა. გახელე-ბული შაჰი ზეზე წამოვარდა. დაბნეული იყო. რა ექნა, არ იცოდა, ამ მოულოდნელი ელდის გამო გაოგნებული იყო და ყვიროდა:

– მომგვარეთ ის კუდიანი, რომ ახლავე მოვკლა! ხუზისთანელი\* ბოზები და მაჭანკლები მოწიფულ ქალს კი არა, დედაბრებსაც შეაცდენენო!

შემდეგ ვისის ეცა:

– ღვთის გარეგანო და ეშმას მიმდევარო ვისი! არც სირცხვილის გრძნობა გაქვს და არც პატიოსნება იცი, რა არის. შენი ბიწიერებით თავიც მოიჭერი და გვარიც გაილანძლე. არა მგონია, შენი საქციელი ვიროსა და შაჰროს მოეწონოთ. არც ნათესავები დაგრჩებიან მაღლობელი, ყველას თავზე ლაფი გადაასხიო!

მაშინვე ვირო იხმო და განუცხადა:

– ეს საქმე შენ უნდა განსაჯო; ვისი შენი დაა და რაც ეკუთვნის, უნდა მიაგო; გირჩევნია, შენვე მოუარო მათ, თორემ მე თუ ჩავერიე საქმეში, ვიცი, რასაც ვიზამ: შენს დას თვალებს დაუთხრი, ძიძას მოვკლავ, ხოლო რამინს სამეფოდან გავაძევებო!

ვისი თუმცა ბუნებით მორცხვი იყო, სიყვარულმა სირცხვილი დააკარგვინა. საწოლიდან ზე აიჭრა და მოაბადს შეუტია:

– ძლიერო და მაღალო ხელმწიფე! ჩვენ შენი მუქარით ვეღარ დაგვაშინებ. რაც თქვი, მართალი თქვი და ესეც უკეთესი ქენი, რომ სირცხვილი არ დაგვიმაღლე და ნამუსი არ შეგვიანახე. ახლა თუ გინდა, ჩამომახრჩვე, თუ გინდა, თვალები დამთხარე! უკეთესსაც გასწავლი: თუ გინდა, გამაშიშვლე და ხალხის წინ ტიტველი გამატარე! რაც გინდა, ის მიქენი! ამას არ უარყოფ: მე რამინი ამ ქვეყანაზე ყველას და ყველაფერს მირჩევნია, იგი შაჰროზე უფრო მიყვარს და ვიროზე უფრო მომინდება, ჩემს სიცოცხლეს მას ვანაცვალე. მზე და მთვარე მე რამინზე ამომდის, თუ ვირო მომკლავს, მესიამოვნება და კრინტსაც არ დავძრავ. თუ გინდა, შენ შემომკარ ხმალი, არც ამას შევეუშინებ, რადგან ჩემი სახელი უკუნისამდე დარჩება და მთელი ქვეყანა ილაპარაკებს: ვისიმ თავისი სიცოცხლე რამინისათვის გაწირო. მაგრამ ესეც იცოდე, სანამ ლომი ცოცხალია, მისი ბოკვერის მოკვლას ვაგლახად ვერავინ გაბედავს და ვიდრე რამინი ჩემს გვერდით დგას, ავი თვალთ მე ვერავინ შემომხედავსო!

ვიროს ვისის ეს სიტყვები რომ ესმოდა, სიკვდილს ნატრობდა, ისე იწურებოდა სირცხვილისაგან. შინ წავიდა და ვისი თან წაიყვანა. გზაში საყვედურებით აავსო თავისი და:

– გიჟი ხარ და დამთხვეული. ასეთი ლაპარაკი როგორ გაუბედე მოაბადს? მეც შეურაცხმყავი და საკუთარი თავიც. ან ამ რამინში რა ნახე ასეთი? უფლისა მაინც არ გეშინია? რამინი რომ ასე გეჭიდება გულზე, ჯოჯოხეთის სატანჯველს აინუნში რატომ არ ავლებო?

სანამდის ვირო ამას ეუბნებოდა, ვისი ტიროდა. ბოლოს ძმას უპასუხა:

– რასაც ბრძანებ, ყველაფერი მართალია, მაგრამ გვიანია უკვე. ახლა კარის დაკეტვა ჩემთვის რა მაქნისია, როდესაც ქურდი უკვე მოსულა და რაც მეზადა, ყველაფერი წაუღია?! ღვთის განგება ასრულდა ჩემზე და მოსახდენი მოხდაო.

რამდენიმე დღის შემდეგ მოაბადმა ასპარეზობა გამართა. მოაბადი და ოცი კაცი ერთ მხარეზე იყვნენ, ვირო და მისი რაზმი კიდევ – მეორეზე. რამინი მოაბადის გუნდში ერია. აავდეს ბურთი და იწყეს თამაშობა. იმ დღეს ყველა მოთამაშეში ვირო და რამინი გამოირჩეოდნენ. ეგეც იყო, ზოგჯერ რამინი ჯობნიდა, ზოგჯერ – ვირო. ვისი სარკმლიდან უყურებდა ასპარეზობას და ტიროდა. ძიძა მიუჯდა და დამშვიდება დაუწყო:

– რატომ ხარ ასე გამწარებული? რა გაქვს ბედის სასაყვედურო: განა მამაშენი ყარანი არ იყო, განა შაჰრო შენი დედა არაა? ვიროს დაი და მოაბადის ცოლი არა ხარ? მთელი ირანის

დელოფლობა შენ არ გეკუთვნის? ვთქვათ და, არ გქონდეს ასეთი ბედნიერება, განა შენ არა ხარ იგი, რომელსაც ისეთი შეყვარებული ჰყავს, რომლის ერთი შეხედვით კაცს ყოველი ჭირი გაგიქარვდება? ღმერთს ნუ არისხებ, მთვარეო, და რაცა ბედს უბოძებია, იმას დასჯერდიო!

ვისიმ ენა აიდგა და ძიძას უპასუხა:

– ძიძავ, ნუთუ არ გაგიგონია ანდაზა: სხვა სხვის ომში ბრძენიყო? ქმარი მყავს და ეჭვე-ბითაა დასენილი, ვირო ძმა ჩემი, მაგრამ ქმრად ის არ მომხვდა და ამ საქმეში მის ძმობას რას ვაქნევ! რამინია და, შენც იცი, ცუდად მფერებელია. ენა შაქარივით ტკბილი აქვს, მაგრამ გამწე სიყვარული არ იცის. მე რომ ბედი მქონოდა, ვიროს ცოლი ვიქნებოდი, არც მოაბადი მეყოლე-ბოდა ქმრად და არც რამინი – საყვარლადო.

ჩემო მკითხველო, ალბათ შეამჩნიე, რომ ამასობაში რამინსა და ვისის შორის როგორღაც შავ კატას გაურბენია, მაგრამ როდის მოხდა ეს, რატომ და რანაირად, არც ამ წიგნის ავტორი გვეუბნება ამაზე რამეს და არც – მისი ქართულად მთარგმნელი.

## მოაბადის ნამოსვლა მარავს და ვისის თან ნამოყვანა

ქალაქი მარავი ხორასნის სხვა ქალაქთა შორის ისე გამოირჩევა, როგორც თვეთა შორის – მაისი. მიწა ნოყიერი აქვს, წყალი – წმინდა, ჰაერი – სუფთა. სამოთხეა.

ერთ ღღეს მოაბადი და ვისი სასახლის კოშკზე ისხდნენ. მოაბადი ამწვანებულ მიდამოს უჭვრეტდა. ბოლოს ვისის მოუბრუნდა და ლალობით ეგრე უთხრა:

– შეხედე, როგორ შენი პირივით დაუმშვენებია შემოქმედს მიწა, სათიბები, ველები და წალკოტები! მითხარი, ჩემო მთვარევ, მარავი უფრო მოგწონს თუ მაჰის ქვეყანა? მე პირადად მარავი უფრო მეამებაო.

ვისი გაგულისებული იყო და მოაბადს კუმტად უპასუხა:

– ხელმწიფეო, მარავი და მისი ქვეყანა კარგია თუ ცუდი, ღმერთმა შენ გიბედნიეროს! მე აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ნადირი – გალიაში. რამინის დანახვაა, რომ მაცოცხლებს, თორემ ის რომ არა, მარავიც ჭირს წაუღია და მაჰიცო!

შაჰინშაჰმა ეს რომ მოისმინა, ისე გაცოფდა, უნდოდა, ვისი მოეკლა, მაგრამ იქვე გონს მოეგო. უყვარდა ეს ქალი და თავი შეიკავა. დიდხანს იყო აღშფოთებული და უწყრებოდა ცოლს:

– ძაღლის ნაშობო და ეშმაკის გაზრდილო, წელიმც მოსწყდება შაჰროს, რომელმაც გშობა! გველის წიწილი გველი გამოვა და ავი ხის ნაყოფი ხომ მწარე უნდა იყოს! სამი გზა გიძევს წინ. გინდა გორგანში წაშავდი, გინდა – დემავენდში\* და გინდა – ამიანში!\* ჯანდაბამდის გზა გქონია! სადაც არ წაეხეტო, ყველგან განსაცდელი დაგახვედროს ჩემმა გამჩენმა: სადგურს უწყლოს შეხვდე; გზაზე ხრამებმა დაგიღონ პირი; ველზე გველები მოგესიონ; წყალი სამსალიანი სვა; დღისით ლომები გადაგიდგნენ წინ და ღამით კიდევ მაცთური გადაგეყაროს; წყალს ადიდებულს გადააწყდე და ხიდს – წაღებულს; გრისხავდეს ღმერთი, რადგან, რაც დაიბადე, ჭირი არავის დაუღიეო!

ვისი მოაბადის ასეთმა გულისწყრომამ ძალიან გაახარა, ხელმწიფეს თავყანი სცა და თავის სადგომში შემობრუნდა. ძიძას უთხრა:

– წადი, ძიძავ, და შაჰროს სამახარებლო სთხოვე. ვირო გაახარე და უთხარი, შენი საყვარელი და მოდის-თქო!

შემდეგ მოაბადთან მივიდა და მოახსენა:

– მაღალო ხელმწიფეო, ღმერთმა კარგად გამყოფოს! მე სანამ ცოცხალი ვარ, შენზე მლოცველი ვიქნები. აწი ისეთი ცოლი შეირთე, შენი ღირსი რომ იყოს და ჩემისთანა ასი მხევალი ჰყავდეს! დამბადებელმა მე უშენოდ ცოცხალი მამყოფოს და შენ უჩემოდ გამჩენმა დიდება მოგიმატოსო!

საგანძურის კლიტეები მოაბადს მიუყარა და უთხრა:

– სხვას, ჩემზე უფრო ლამაზსა და ერთგულ მეგანძურს ჩააბარეო!

ეს რომ უთხრა, თაყვანი სცა და გამობრუნდა. რაც ნასყიდი მონა და მხევალი ჰყავდა, გაააზაბა.

ვისი რომ წამოვიდა, მოაბადის სასახლე აიშალა და დაბნელდა. ირგვლივ ტირილისა და ზრუნის ხმა მოისმოდა. ვისის წასვლა მოაბადის ნათესავ ქალებს გულს უთუთქავდა. ტირილით დაკოცნეს იგი და გამოეთხოვნენ.

წუხილით ყველა წუხდა, მაგრამ სხვებზე მეტად საცოდავი მანც რამინი იყო. თავმოკვეთილი ფრინველივით ფართხალებდა, ავად გახდა და ერთ ხანს ლოვინად იყო ჩავარდნილი, ბოლოს იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ ეხსნა თავი ამ უბედურებისაგან. მოაბადს კაცი მიუგზავნა და შეუთვალა: ექვსი თვე ავად ვიყავი და ვიწექი. ახლა ცოტა მოვიხედე. რამდენი ხანია, ცხენზე არ ვმჯდარვარ და აბჯარი არ მსხმია. უმოძრაობისაგან ცხენები დამიხამდნენ და მონადირე ძაღლები დამეყარნენ. ნება მიბოძე, ამოლს,\* გორგანსა და სარავს\* წავიდე, ვინადირო, ცოტათი გუნებაზე მოვდგე და შემდეგ ისევ სამსახურად გეახლო!

მიუხვდა მოაბადი, ატყუებდა რამინი, უვისობა არ შეეძლო და აქედან თავის გატანა უნდოდა. ძმას გინება დაუწყო და წყევლა შეუთვალა:

– ღმერთმა ცოცხალიც არ მოგაბრუნოს უკან! სადაც გინდოდეს, წადი. ქოპისთანში\* ოჯახს მოეკიდე, ვინმე წესიერი ქალი შეირთე და მას დასჯერდი! თუ ამას არ გააკეთებ, შენცა და ვისისაც ორივეს ცეცხლში დაგწვავთო!

დასწყევლა გულში რამინმა ძმა და მისცა ცრუ ფიცი, რომ მაპის\* ქვეყანას ახლოსაც არ ჩაუვლიდა, ვისის თვალადაც არ ნახავდა. ფიცი კი მისცა, მაგრამ სინამდვილეში ერთი სული ჰქონდა, როდის შეხვდებოდა თავისი გულის საყვარელს.

მარავის კარები გამოვლო თუ არა, ჩიტივით შეიქმნა. არავითარი ავადმყოფობა უკვე აღარ აწუხებდა. გზის სიშორე არაფრად მიაჩნდა და ვისის შესახვედრად ნიავექარით მიჰქროდა.

იქეთ კიდევ ვისი იყო ცუდ დღეში, ურამინოდ ყოფნა უძნელდებოდა, მკვდრის პატრონივით იჯდა. არც ჭამდა და არც სვამდა. ყველაფერი იქაური მოსძაგებოდა, დედა რომ დედაა, მას რომ ხედავდა, თითქოს ჭრელ გველს უმზერდა. დღისით მზეს უჭვრეტდა, – რამინის პირისახეს ვუყურებო, ღამის სიბნელე კიდევ შეყვარებულის თმას აგონებდა. დღე და ღამე ბანზე იჯდა და თვალი ხორასნის გზისაკენ ეჭირა, ნატრობდა: ნეტავი ხორასნის ნიავემა გამოიაროს და რამინის სურნელი მომიტანოსო!

იმ დღესაც ბანზე იჯდა. რამინი რომ დაინახა, კისრისტეხით ჩამოიბრინა კიბეები. ერთმანეთს უსურვაზივით მოეხვივნენ. სიხარულისაგან ტიროდნენ და ღმერთს მადლობას უძღვნიდნენ. ვისიმ უთხრა:

– სანადიროდ წამოხვედი და აი, როგორი ნადირი მოიხელთე! მე შენი ხონობიცა ვარ და კაკაბიც, ველური თხაცა და შველიც. დაჯექი ახლა და გაიხარე ამ ნანადირევით, ჭამე და სვიო! ეხვეოდნენ ერთმანეთს და კოცნიდნენ, შემდეგ კი დაწვნენ და ნეტარებას მიეცნენ.

როდესაც მოაბადს ამბავი მოუტანეს, რამინმა ფიცი გატეხა, ვისისთან წავიდა, სიყვარულის გაწყვეტილი ძაფი კვლავ გამონასკვა და ახლა მასთან ნებივრობსო, უილაჯო ირანის ხელმწიფე თავის დედასთან მივიდა და შესჩვილა:

– ხელის\* მეტი სხვა ვინმე იზამს ამას, რაც რამინს უქნია? გაგონილა ასეთი ამბავი, რომ ორი ძმა ერთ ქალთან იწვეს? ამ საშინელებას აქამდის გიმაღავდი, მაგრამ მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი და გამოვიმჟღავნე, ვინძლო შენ უსამართლოდ არ დამწყევლო, რადგან მე რამინს არ ვაცოცხლებ. ჩემს სირცხვილს მე რამინის სისხლით თუ მივიბანო.

დედამ უთხრა:

– ნუ მოკლავ რამინს! – იგი შენი ძმაა და ტახტის მემკვიდრე სხვა არავინა გყავს. ცოლი კი გააძევე და სხვა ქალი შეირთე! რითი ვერ შელევინარ ამ ბოზ დედაკაცს? მე სხვაც მსმენია: თურმე ვისი მარტო რამინთან არ გლალატობს, თავისი ძმა ვირო ისევ შეუყვარებია, დღე და ღამე მასთან ზის, ღვინოსა სვამს და მთვრალი და გაღეშილი თავის ყოფილ ქმარს უწევს ლოვინში. კახა ვისის თვისება ხომ ეს არის, ყოველ დღე საყვარელი უნდა იცვალოსო.

დედის სიტყვებმა მოაბადზე იმოქმედა და გაგულისებულმა ვიროს მისწერა:

„ერთი ეს მითხარი, ჩემზე უფროსობას რომ ჩემულობ, რითი ჩემულობ? მეღს ლომის ბუნება რატომ ავიღია? ვისი შენი და თუ არის, ჩემი ცოლია, გვერდით რატომ გიზის? სად გინახავს, რომ ერთი ქალი ორი ქმრის ცოლი იყოს? ჩემთან ვერე სასტიკად დამარცხება ზომ არ დაგავიწყდა? ამას წინათ დაგიტრაბახებია: მოაბადი მალულად დამესხა თავს, თორემ აშკარად რომ შემბმოდა, ვერაფერსაც ვერ დამაკლებდა! სატრაბახო ერთი გაქვს, ღედით ჯამშიდის\* გვარისა ხარ და ამით მოგაქვს თავი. შენი საქმე იმასა ჰგავს, ჯორს ეკითხებოდნენ, შენი მამა ვინ არისო და პასუხობდა, ჩემი ღელა ცხენიაო. ახლა წინასწარ გეუბნები: აშკარად მოვდივარ შენს წინააღმდეგ და ისე გაგფუყავთ, სისხლის ღვარს კაცთა გვამები მიჰქონდესო“.

ვირომ პასუხად შემოუთვალა:

„დიდო მეფეო, კარგი იქნებოდა, წყნარი ყოფილიყავი და ყოველი საქმე წინასწარ აგეწონდაგეწონა; რადგან პატრონი ხარ, გეკუთვნის, რომ როყიოდ არაფერი ბრძანო! შენი ცოლი შენ თვითონ გამოაძევე და ახლა ამ საქმეს სხვას აბრალე? ამისთვის არც წერილის მოწერა იყო საჭირო და არც ომი. მოკიდე შენს ცოლს ხელი და სადაც გინდოდეს, იქ წაიყვანე! მე რას მემართლები? რაც ჩვენთან ჩამოსულა, ღმერთმა იცის, სამჯერ მეტად არ მინახავს და რომც მინახა, აქ საკვირველი რა უნდა იყოს, – და არის ჩემი. ომით მეტუქრები. შენი ხმალი ბასრი თუა, არც ჩემია ბზე. ჩამოდი და დაგიხვდები. ჩემს ჩამომავლობაზე მექილიკები. მე კი ამაზე გიპასუხებ: მამაცი კაცის გვარი ომის დროს მისი მკლავი და მამაცობააო!“

მოაბადს ვიროს პასუხმა გუნება შეუცვალა და მისწერა:

„ჩემთან ცუდად დაგასმინეს და მეც ზომანზე მეტად გაგირისხდი. ახლა მტრობის რაშიდან ჩამოვხდი და მეგობრობის მერანზე გადავჯექი. შენს სტუმრად მოვდივარ და სახელოვან სიძეს, როგორც ცოლისძმას შეჰფერის, ვერე დამხვდითო!“

მოაბადის წერილი რომ მოვიდა, მტრობის ეშმა დაიძალა და სიყვარულის ვარდი აყვავდა. გამოიყვანეს მზესავით მანათობელი ვისი და მოაბადს ჩააბარეს. მოაბადმა და მისმა ხალხმა ერთი თვე იქ ატარა დრო, ინადირეს, იასპარეხეს, სვეს. შემდეგ კი აიყარნენ და მარავისკენ გამოემართნენ.

## მოაბადისაგან ცეცხლის დანთება ვისის გამოსაცდელად

ერთ ღღეს მოაბადი მარავში ვისის გვერდით იჯდა. კარგ გუნებაზე იყო. ცოლს რამინის სიყვარულზე ჩამოუგდო ლაპარაკი:

– ამდენი ხანი მაჰის ქვეყანაში ალბათ იმან გაგაძლებინა, რომ რამინი გყავდა გვერდითო.

ვისიმ წარბები შეიკრა და ვერე უპასუხა:

– ცუდად ნუ ეჭვიანობ ჩემზე! ხან იმას მწამებ, ვიროს ჰყოლიხარო, ხან კიდევ რამინზე მეტყვი ამას. ნუ ხარ ასეთ ფიქრებში! ჯოჯოხეთი ისე ცხელი არ არის, როგორსაც ამბობენ. ქურდის ხელობა ქურდობა კია, მაგრამ რასაც მას სწამებენ, ყველაფერი მართალი როდია. შენ იცი, ვირო მონადირეა და შინ გაჩერებულს კაცი ვერ ნახავს. და თუ მოხდა და შინაა, ნადიმობასა და დიდებულებთან ქეიფში ატარებს დროს. რამინიც აგეთია. ცალ-ცალკე ზომ ასეთები არიან, ახლა ერთად შეყრილნი როგორი იქნებიან! ძმებივით უყვართ ერთმანეთი და რაც იქ ვიყავი, მათგან ნადირობისა და ნადიმობის გარდა არაფერი მინახავს. ესეც არ იყოს, ყველას ზომ შენისთანა ღალატიანი გული არა აქვსო!

მოაბადმა მაშინ უთხრა:

– თუ ეს ასე იყო, შემომფიცე, რომ შენ მაჰში\* რამინს არ ჰყოლიხარ! ასეთი ფიცისა რატომ უნდა გეშინოდეს! მე დიდ ცეცხლს ავანთებ, შენ კიდევ დიდებულებისა და ხალხის თვალწინ მასში გაივლი. თუ მართალი ხარ, ცეცხლიდან უვნებელი გამოხვალ და მეც ამის შემდეგ უფრო შემიყვარდებიო.

ვისი ამაზე დაეთანხმა. მაშინ მოაბადმა იხმო ცეცხლის მსახურები. ამ დროს ირანში ზორასტრულ რელიგიას ესავდნენ\* და ცეცხლი მათთვის უმთავრესი სტიქია იყო. ჯერ საცეც-

ხლეს უამრავი საქონელი შესწირეს: ოქრო, თვალი, მარგალიტი, სოფლები, შემდეგ კი მოედანზე უზარმაზარი კოცონი აავიზგიზეს. მის ალზე იტყოდი, კეკლუცი ქალი ხალხის თვალწინ პერანგის ამარა გამოსულაო. მოაბადის კომპში მყოფმა ვისიმ ეს კოცონი რომ დაინახა, რამინს უთხრა:

– შეხე, რა უქნია ამ კაცს, რამხელა ცეცხლი დაუნთია ჩემს დასაწვავად! სანამ ის ამ ცეცხლში ჩამწვავდეს, ჩვენ უნდა დავწვათ მისი გული. გუშინ მეუბნებოდა, ცეცხლში გავლით შემომფიცე, რომ მაჰის ქვეყანაში რამინს არ ჰყოლიხარო. მეც დავთანხმდი და მართალი არ ჰგონებია!

მერე ძიძას რჩევა ჰკითხა, ამ განსაცდლისაგან თავი როგორ დავიხსნათო? ძიძამ დაამშვიდა თავისი გაზრდილი, მე ვიცი, რაც უნდა ვქნათო.

სალაროში შევიდნენ და რამდენის წამოღებაც შეეძლოთ, იმდენი ოქრო და თვალ-მარგალიტი წამოიღეს. შემდეგ აბანოს წყლის სადინელით ბაღში ჩაიპარნენ. რამინს ერთი ბალი ეგულეობდა, იმ ბალის მეზვრე მისი კარგი ნაცნობი იყო. ღამე მისას გაათიეს, შემდეგ რამინმა ის მებაღე ერთ თავის მეგობართან გააგზავნა და შეუთვალა: ამ კაცს სამი დარახტული ცხენი, ერთი აბჯარი და საგზალი გამოატანეო! ყველაფერი ეს რომ მიიღეს, შეღამებას დაუცადეს და გზას მისცეს თავი. ათი დღე იარეს და მეთერთმეტე დღეს ქალაქ რეიში\* გაატანეს. რამინს ამ ქალაქში მეგობარი ჰყავდა, მისანდო კაცი, სახელად ბეჰროზს უხმობდნენ. პირდაპირ მას მიადგა. ბეჰროზმა რამინის სტუმრობით ღიდად გაიხარა. რამინმა უთხრა:

– ძმაო, ეს ჩვენი სტუმრობა საიდუმლოდ უნდა შეინახო!

ბეჰროზმა მეგობარი დააიძულა: შიში ნურაფრის გექნება! – შენ ჩემი პატრონი ხარ, მე კი შენი ყმა ვარო.

ასი დღე დაჰყვეს ვისიმ და რამინმა ბეჰროზთან, როგორც ეწადათ, ისე იხარებდნენ, მათი ამბავი არავინ იცოდა, კარი დახშული ჰქონდათ, გული კი – გახსნილი. რამინი ჩანგს აიღებდა და ზედ ვისის შესამკობელ ლექსებს ამღერებდა: „მოვა ჟამი, ჩვენს სახელს რომ ახსენებენ და ჩვენი ასეთი სიყვარული ყველას საკვირველად მოეჩვენებაო“.

აქეთ ვისი და რამინი ასე რომ ნებივრობდნენ და ნეტარებდნენ, იქით ხალხში თავმოჭრილი და დამწუხრებული მოაბადი, თავადაც მიუხვდებით, რა დღეში იქნებოდა, ვისის დაქაღნებისა არ იყოს, გული მართლაც რომ მის მიერვე დანთებულ ცეცხლის ალზე ეწვებოდა.

რა ვისის კვალი არ გამოჩნდა და არა, მოაბადმა გადაწყვიტა, თავად წასულიყო მის საძებნელად. ცხენისა და ხმლის გარდა არაფერი არ წაუტანია თან, ისე გაემართა მარტოდმარტო. ხუთი თვე ეხეტა, ზღვა არ დაუტოვებია და ხმელეთი არ გაუშვია, რომ არ გაეგლო. ხან სიცვისაგან ძაგდაგებდა, ხან კიდევ სიცხისაგან ქელავდა. ზოგჯერ ისეთი ტირილი აუვარდებოდა, რომ მისი ცრემლით დასველებული ტანისამოსი დასაწური იყო. მოთქვამდა:

– რა ვქნა? სადაა ახლა ჩემი ურიცხვი ლაშქარი და უთვალავი განძი! რა სიყვარული ამიტყდა ამ სიბერეში! ასეთ ჭირსა და განსაცდელს ახალგაზრდა კაცი ვერ გაუძლებს და მე როგორ უნდა გადავიტანო იგი? ისეთი სამოთხე მარგუნა ბედმა, რომ ჯოჯოხეთი მომანატრა. მაგრამ რა ვქნა, რაც ვისის ცუდ საქციელს ვიგონებ, უფრო მენთება გულზე მისი სიყვარულის ცეცხლი. თითქოს მისი სიავე მიყვარდეს. ღმერთმა თუ ინება და მისი თავი ერთხელ კიდევ დამანახა, ყურმოჭრილ მონად დავუდგებიო.

ექვსი თვე უგზო-უკვლოდ ხეტიალმა მოაბადი დაავადა და დააბაბუნა. შემდეგ შეეშინდა, აქ მარტოდმარტო მყოფს სული არ აღმოძნდეს და ჩემი ტახტი მტერმა არ დაიჭიროსო! პირი მარავისაკენ ქნა. დღე და ღამე იარა და თავის სამეფო ქალაქში დაბრუნდა. შაჰის ჩამოსვლას მთელი მარავი ზეიმობდა. ვისაც შეეძლო, სამახარებლო გასცა და უფალს მადლობა შესწირა.

როდესაც მოაბადი ვისის საძებრად იყო გაჭრილი, რამინმა რეიდან დედას წერილი მისწერა და გაახარა, ცოცხალი ვარო. მოაბადი და რამინი ერთი დედის შვილები იყვნენ (ზარდი სხვა ქალისგან ეყოლა მათ მამას). დედა ღიდად იყო შეწუხებული, – ორი შვილი ჰყავდა და ორივე გადაკარგული იყო. რამინი დედას სწერდა:

„საწუთრომ ღვიძლ ძმას მომწყვიტა და გადამიკიდა. ძმას ვამბობ, თორემ ძმა როგორ ეთქმის კაცს, რომელიც სულ ჩემი და ვისის დახოცვაზე ფიქრობს. რადგანაც ის ასეთია, მეც არ

მიყვარს იგი, ვისის ერთი ღერი თმა ათას ასეთ ძმას მირჩევნია. მასთან ყოფნა ჯოჯოხეთად მიჩანს, სულს მაშინ ვიბრუნებ, როდესაც მისგან შორსა ვარ. მოაბადისგან რაც ჭირი გვენახა, ეს არ გვეყოფოდა, რომ კიდევ ახალი განსაცდელი მოგვიგონა და ცეცხლში ჩვენი ცოცხლად დაწვა გადაწყვიტა! მე რეიში ვცხოვრობ და კარგად ვარ. ვუცდი, ეგ როდის ჩაძაღვდება. თუ არა და ლაშქარს შევეყრი, მას ტახტიდან ჩამოვაგდებ და მე და ვისი დავსხდებით მის ადგილზე. ვისი დიდ მოკითხვას გითვლისო“.

რამინის დედა დიდად გაახარა შვილის წერილმა. მეორე დღეს კიდევ მოაბადი დაბრუნდა მარავში. დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთი კვირის შემდეგ დედა და შვილი ერთად რომ შეიყარნენ, დაღვრემილ მოაბადს დედამ უთხრა:

– შვილო, შენი ბებერი დედა რატომ არ გებრალეა? სულ მუდამ დამწუხრებული და გაჯავრებული შვილის ყურება დედისათვის როგორი ასატანიაო!

მოაბადმა ამაზე უპასუხა:

– დედა, ჩემი საქმე ასე არის, ჩემი გული მევე მებრძვის. უვისობით ექვსი თვე რა სატანჯველი გამოვიარე, ერთ არ ითქმის. ახლა ღმერთისთვის პირობა მაქვს მიცემული: ოღონდ ის გამოჩნდეს და ყველაფერს ვაპატიებ, რაც ცოდვა აქვს, არასოდეს არ გავუხსენებ. არც რამინს ვავნებ რამეს. ძმა არის ჩემი და იმედოდ მყავდესო.

მაშინ მტირალი დედა შვილს გაენდო:

– მტკიცედ შემომფიცე, რომ რამინსა და ვისის ავი არა უყო-რა და მე გეტყვი, ისინი სადაც არიანო!

მოაბადმა ეს რომ გაიგონა, სიხარულისაგან არ იცოდა, რა ექნა, დედას ფეხთ მოეხვია, პირი და ხელები ათასჯერ დაუკოცნა.

– ოღონდ მითხარი, სად არიან და საშინელი ფიცით შემოგფიცავ, რომ არაფერს ცუდს არ დაემართებო!

მართლაც ფიცი დადო დედის წინაშე და დედამაც სასწრაფოდ წერილი გაუგზავნა რამინს:

„წამოდით! უშენოდ სიკვდილის პირას ვარ მისული და ეგება ცოცხალს მომისწრო. შენმა ძმამ ექვსი თვე ქვეყანა შეაჯერა, სად არ გეძება და რა არ გარდახდა თავს! ხელმოცარული დაბრუნდა შინ და ახლა შენი და ვისის ნახვაზე ოცნებობს. ოღონდ ჩამოდით და მოაბადი დიდი პატივით მიგიღებთ: შენ მთელი ირანის ამირსპასალარი შეიქნები, ვისი კიდევ ისევ ის დიდებული დედოფალი იქნება, რაც იყო“.

რამინმა მოაბადის მიერ გამოგზავნილი კაცი და წერილი რომ ნახა, შეშინდა და დედისა და ძმის ამბავი იკითხა. შემდეგ კი, წერილს რომ გაეცნო, დიდად გაიხარა. ვისი ტახტრევანში ჩასვა და მარავში ჩამოიყვანა.

## მოაბადის გამხიარულება და მეჯლისი

ერთ დღეს შაჰინშაჰი ვისის გვერდით იჯდა, კარგ გუნებაზე იყო. რამინისთვისაც დააძახებინა და სამივემ ღვინის სმა იწყეს. რამინმა ჩანგი აიღო და დაუკრა. მისი ჰანგისაგან ხეზე შემომჯდარი ფრინველებიც კი გაინახნენ. მოაბადი დათვრა და რამინისაგან კიდევ ახალი სიმღერის მოსმენა ინება. რამინმა ხელახლა აიღო ჩანგი და ზედ თავისი და ვისის სიყვარულის ამბავი დაამღერა. სამიჯნურო სიმღერა რომ მოისმინა, მოაბადი გახალისდა, ვისის სიყვარული უფრო მოეჭიდა გულზე და ახლა მისგან მორთმეული ღვინო მოუნდა. ვისიმ ღვინო მიაწოდა და უთხრა:

– ხელმწიფეთა ხელმწიფეო! ამო არის დღეს ჩვენი სმა შენს წინაშე. მინდა, ბარემ გული სრული მქონდეს. თუ ინებებ, ძიძასაც უხმე! შენი დიდად ერთგული ქალია და მუდამჟამ შენზე ლოცულობსო!

მოაბადმა ბრძანება გასცა და ძიძაც იწვიეს. მოაბადმა რამინს უთხრა:

– მერიქიფე შენ იყავი! ხომ იცი, კაცს საყვარელი კაცისაგან მორთმეული ღვინო უფრო ეამებაო.

შეზარხოშებული რამინი ვისის ღვინოს რომ აწოდებდა, ყურში უჩურჩულა:

– სულზე უტკბილესო, მხიარულად სვი ღვინო ჩემი ხელიდან და შენი სიხარულით მეც გამახარეო!

ვისის მოაბადისგან ჩუმად გაეცინა და უპასუხა:

– დაე, შენი გული მუდამ მხიარული იყოს და მოაბადის გული კიდევ დამწვარიო!

მოაბადმა ეს საუბარი გაიგონა, მაგრამ ვითომც არ სმენოდა, არა თქვა რა. ოღონდ ძიძას მიუბრუნდა: შენ იყავი მწდეო! რამინს კი ისევ ჩანვის დაკვრა უბრძანა. მოაბადი დათვრა და ჯერ კიდევ შელამებული არ იყო, რომ დასაწოლად წავიდა. რამინმაც თავის სადგომს მიაშურა. უვისოდ ცუდ გუნებაზე იყო.

მოაბადმა ვისის ყვედრება დაუწყო:

– სიყვარულისაგან სირცხვილდაკარგული კაცი მინახავს, მაგრამ თქვენსავით რომ კაცისთვის სიყვარულს ნამუსზე ხელი აეღებინებოთ, არც მინახავს და არც მსმენია. ნუ მიძაბუნებ ასე, ჩემო მთვარეო, ხელმწიფე ვარ და მერიდე: ხელმწიფე ერთ დღეს ვირად რომ იქცეს, ნუ გათამამლები და ნუ შეაჯდები ზურგზე! ზღვის სიწყნარეს ნუ მიენლობი, თორემ ერთი დღე იქნება, ისე აღელდება, რომ ნაპირს ვერ გამოატან! მე შენი სიყვარულისაგან ბევრი ჭირი მინახავს და რა იქნება ვითომ, რომ ერთხელ ჩემკენ გული მოიბრუნო, მტრულად არ მომექცე და შემობრალლო! ხომ იცი, რომ სამაგიეროდ მთელს სახელმწიფოს შენ გაპატრონებ?! მე მეფობა არ მინდა, ერთი მოსამსახურის პური მეყოფაო.

ვისის ეს რომ ესმა, შეეცოდა მოაბადი. გული დაეწვა და მართალიც იყო. სხვა არაფერი ეგებოდა და ასე მოახსენა:

– მალალო ხელმწიფეო, ჩემო პატრონო, მე ღმერთმან უთქვენოდ სიცოცხლე ნუ მომცეს! მზადა ვარ, ჩემი სული შენ შემოგწირო, რადგან შენთა ფეხთა მტკვერი ჯობს რამინს. არ დაიჯერო, რომ დღეის იქით მე რამინი მომინდეს! მაშინ რაც ვქენი, ეშმა შემაჯდა მხრებზე და ამის ბრალი იყო. ჩემს საქციელს ახლა ვნანობ. აწი მნახე, როგორ შეგიტკბო და შენც როგორ მადლიერი იყო ჩემიო!

გაუკვირდა მოაბადს ვისისაგან ამგვარი სიტყვა, ასეთი რამე მას მანამდე მისგან არასოდეს სმენოდა. ძალიან ეამა და გახარებულმა ტკბილად დაიძინა.

ვისის ჯერ კიდევ ეღვიძა, როცა ბანზე ფეხის ხმა გაისმა. მიუხვდა, რამინს იგი მონატრებოდა და მოაბადის საწოლის ბანზე გადმოპარულიყო. წვიმდა, მაგრამ შეყვარებული ახალგაზრდა ცუდ ამინდს არ ეპუებოდა. არაფერია ისეთი სიყვარულზე უნეტარესი, მტრის ხიფათისაგან გეშინოდეს, გამჟღავნების მოლოდინში გული გადაქანებული გქონდეს და მაინც შეყვარებულისაკენ მიიპარებოდე. ვისიმ მიაყურა. ნამდვილად რამინის ფეხის ხმა ისმოდა. ამ ფიქრებში იყო, რომ რამინმა ვისის ძიძა ჩამოუგზავნა: ამოდი, სიცოცხლეო, მიხსენი ამ სიცოცხლისაგან, გულში ჩამიხუტე და შენი სურნელოვანი დალალეები ყელზე მომახვიეო!

ძიძამ ასეთი შემოთვლილობა რომ გადასცა, ვისიმ თავის გამზრდელს უთხრა:

– მოაბადს რომ გამოეღვიძოს, გაიგებს, რაშიც არის საქმე და ცოცხალს აღარ დამტოვებს. სხვა გზა არ არის, შენ უნდა ჩაუწვე ლოგინში. მას სძინავს და ამას ვერ იგრძნობს. ზურგი შეაქციე და იწეი შენთვის. მე და შენ ერთმანეთს გვიგავს ტანი და თუ ხელი წამოიღოს და მოხვევა დაგიპიროს, ისეა მთვრალი, რომ ვერც გაიგებს, შენ გეფერება თუ მეო.

ეს რომ თქვა, სანთელი ჩააქრო და ძიძა მოაბადს ჩაუწვინა. თვითონ კი წავიდა და რამინის წყლულს მალამო დაადო. იქვე, ბანზე, ქვეშაგები დაიგეს და ზედ ტყავები დაიფარეს. სასთუმალი? სასთუმალი ხან რამინის მკლავი იყო, ხან – ვისისა. ისე ეხუტებოდნენ ერთმანეთს, რომ მათ შუა ბეწვი არ გაეტეოდა.

მოაბადს რომ გამოეღვიძა და ხელი მოავლო, მოწიფული ვისის ნაცვლად ბერი ძიძა შერჩა ხელში. მაშინვე ვეფხვივით ზე წამოვარდა და ყვირილი დაიწყო. ძიძას ვერაფრით ვერ დაეხსნა თავი, ისე მაგრად ეჭირა მისი მაჯა მოაბადს ხელში. მეფე ყვიროდა:

– ჩემს ლოგინში როკაპს რა საქმე აქვს? მე რომ როკაპი არ შემიერთავს ცოლალო!?



მრავალჯერ ჰკითხა, ვინა ხარო, მაგრამ ძიძა პასუხს არ სცემდა. მსახურებს დაუძახა, სანთლები მოიტანეთო, მაგრამ არავინ გაეპასუხა. რამინს არ ეძინა, საცაა, უნდა გათენებულყო და იმას დარდობდა, საყვარელს მალე რომ უნდა გაყროდა. მოაბადის ყვირილი რომ შემოესმა, სასწრაფოდ ვისი გააღვიძა.

– მოაბადია, რომ ყვირის. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ჩავალ, თავს მოვჭრი და ქვეყანას მისი უკეთურობისაგან ვიხსნიო!

ვისმა თავის შეყვარებულს ასეთი საქმე დაუშალა, სასწრაფოდ მოაბადის საწოლში ჩავიდა, ძიძას ახლოს მიუჯდა და ქმარს უთხრა:

– ამდენი მოჭერისაგან ეს მაჯა უკვე დამიწყლულდა, ერთ წამს ხელი გაუშვი, ეს მეორე მაჯა დაიჭირე და მერე სადაც გინდა, იქ წამიყვანეო!

მოაბადს ვისის ხმა რომ მოესმა, გაუხარდა, მის ეშმაკობასა და მოხერხებას ვერ მიუხვდა, მაშინათვე გაუშვა ძიძას ხელი. შემდეგ ვისის ჰკითხა:

– ჩემო სულისდგამავ, აქამდის რატომ იყავი გაჩუმებული, პასუხს რატომ არ მცემდიო?

ძიძამ თავს რომ უშველა, ვისიმ მოაბადს შეუტია:

– ვაი ჩემს თავს, ეს ვის გადავეყარე! მე საწყალი აცაბაცად მავალ გველსა ვგავარ, რაც გინდ სწორად ვიარო, ჩემი კვალი მაინც მრუდე ჩანს. ღმერთმა ამისთანა ეჭვიანი ქმარი აშოროს ყველას! კაცს გვერდით ვუწევარ და ამის მიუხედავად, მაინც ცილსა მწამებს და ჩემს გალანძვას ცდილობსო.

– სულზე უფრო საყვარელო, სიმთვრალისაგან მომივიდა, რაც მომივიდა და მაპატიე! ღმერთმა სულ უკუღმა მატაროს, შენზე ოდნავ თუ ვეჭვიანობდე! შეგცოდე და შემიძღე! ნათქვამია, შეგცოდებას შენდობა გარეცხავს და ჭუჭყიან სამოსელს – წყალიო.

სასწაული მოხდა: ცოდვილმა უცოდველს შეუნდო.

## **მოაბადი საბერძნეთში მიდის სალაშქროდ და ვისისა და ძიძას ზარდს აბარებს**

ამასობაში საბერძნეთის კეისარი ირანისკენ წამოვიდა დიდი ლაშქრით და მოაბადის სა-მეფოს ნახევარი დაიპყრო. შაჰინშაჰმა მაშინათვე საბრძოლო მზადება იწყო, წერილები დაგზავნა და ლაშქრის შეყრა ბრძანა. ცოტა ხანში ჯარიც მზად იყო და მოაბადიც ლაშქრობის თადარიგს შეუდგა. მაგრამ ამ დროს ვისის საქმე მოაგონდა, მისგან ერთხელ უკვე ჰქონდა მწარე გაკვეთილი ნაწვენევი. შეეშინდა, ახლაც არ გამექცესო. თავისი ძმა ზარდი იხმო და უთხრა:

– ვისის შენ გაბარებ. თავად იცი, რომ მისი მინდობა არ შეიძლება. ვისის, რამინისა და ძიძის მზაკვრობამ სიცოცხლე გამიმწარა. ვისის რომ უყურებ, არც კაცის რცხვენია და არც ღმერთისა ეშინია. რამინია და ჩემი ღვიძლი ძმა კია, მაგრამ ხელსაყრელ დროს ეძებს, რომ სიცოცხლე მომისწრაფოს. ომში მივდივარ და არ ვიცი, ვისის საქმე რით მოვაგვარო. გადავწყვიტე, რამინი თან წავიყვანო, ხოლო ვისი აშქუფთიდევანის ციხე-სიმაგრეში გამოვკეტო. ციხის მცველად შენზე უფრო ერთგულ კაცს ვერავის ვიშოვნე. ფრთხილად იყავი, ხომ იცი, ვისთან გაქვს საქმე! ვისისა და ძიძისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მარტო ის გაიხსენე, მე რა მიქნეს, მამაკაცობა შემიკრეს და გულიდან სიხარული ამართვესო.

ზარდმა მოაბადი დააიმედა :

– ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება! – ვისის ისე შევიხანავ, როგორც ძუნწი – ვერცხლს, ისე გავუფრთხილდები, როგორც საკუთარ სიცოცხლეს და ისე არ გავუშვებ, როგორც პურადი მასპინძელი სტუმარს არ შეელევაო.

მაშინ მოაბადმა შეიდასი რჩეული კაცით ვისი აშქუფთიდევანის ციხეში წაიყვანა. ციხე მთაზე იყო აშენებული და ვარსკვლავებს ებასებოდა. ეს საქმე რომ მოითავა, მაშინვე მარაგში მობრუნდა და ჯარი საომრად წაასხა.

უვისოდ დარჩენილმა რამინმა გზაზე ბევრი ცრემლი ღვარა. ზეზე ჩამონმა და მართლა ისე შეიქნა, რომ მისი მორჩენის იმედი გადაეწურათ. ამით შეწუხებული დიდებულები მოაბადს ეახლნენ და სთხოვეს:

– რამინი შენი ძმაა და შვილია. ნუ განაახლებ ძველ მტრობას და ახალ შტოს ნუ მოკვეთ! კაცი სიკვდილის პირასაა მიმდგარი. ამ ბეგარისაგან გაანთავისუფლე, უბრძანე, ხორასანს წავიდეს. იქნება, იქაურმა ჰაერმა მოაბრუნოსო!

მოაბადმაც უსმინა დიდებულებს. რამინი გორგანში დატოვა და გზა განაგრძო.

რამინმა როგორც კი ლაშქრობიდან ჩამოირჩინა თავი, მაშინვე მოიკეთა. ცხენზე შეჯდა და მარტოლმარტომ ვისისაკენ აიღო გეზი. კარგ გუნებაზე მდგარი მარავისაკენ მიდიოდა და გზაზე იაღონივით მიიმღეროდა.

იქით ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი ვისი რა ყოფაში იქნებოდა, ადვილი წარმოსადგენია. თავში ხელებს იშენდა და ისე ტიროდა, თავის გულის ვარამს ძიძას უზიარებდა და შორიდან რამინს ეხმაინებოდა. ძიძას მისი ყურებით გული ეთუთქებოდა და თავის გაზრდილს აწყნარებდა:

– მოითმინო უნდა, სხვა გზა არა გაქვს; ვინ იცის, იქნება ჭირი ღზინად შეგეცვალოს; გავიხედოთ და გულის წადილს ეწიო! ღმერთს ვევედრე, იქნება, მასაც მოხეზრდეს შენი ამღენი ჭირის ყურება და გულის ცეცხლი დაგვივსოსო!

მაგრამ ვისიზე დარიგება არ მოქმედებდა:

– ძიძავ, მაყურებლისთვის მეომართა ჭვრეტა ადვილია. შენ არც გსაყვედურობ, ჩემი გასაჭირი რომ არ გესმის, – ცხენოსანი ხარ და ქვეითად მავალი კაცის სიდუხჭირე არ გაგეგება. მაძღარ კაცს ბარბაცით მიმავალი მშვიერი მთვრალი ჰგონია. შენ ჩამაგდე ამ უბედურებაში, ახლა კი თვითონ გულით ნებიერი ჩემთან დასკუპებულხარ და მირჩევ, მოითმინე და ღმერთს ეხვეწე, ეგება გიშველოსო! ნაბდის წყალში ჩაგდება ადვილია, მაგრამ გამოტანაა ძნელი.

ვისი იმ ციხე-სიმაგრეში დავტოვოთ და რამინს მივუბრუნდეთ.

რამინი მარავში რომ ჩამოვიდა, ვისი იქ ვეღარ იპოვა. მთელი მოაბადის სასახლე უვისობისა გამო რამინის გულივით ტიროდა.

გულდამძიმებულმა ჭაბუკმა ზღუქუნით გამოვლო ქალაქის კარი და პირი აშქუფთიდეგანის ციხისკენ ქნა, – გუმანით გრძნობდა, მოაბადს იქ უნდა გადაემალა ვისი. მთელი კვირა იარა და კარგად ბნელოდა, როდესაც ციხის ძირს მიაღწა. იმ სიბნელეში გუშაგებმა უცხო კაცი ვერ შეამჩნიეს. რამინმა იცოდა ის დარბაზი, რომელშიაც ვისი უნდა მდგარიყო. უებარი მშვილდოსანი იყო, მშვილდი მომართა და ისარი სტყორცნა. სტყორცნა და ისარს უჩურჩულა:

– ბედნიერიმც ხარ ჩვენთვის, უსულო მოციქულო! ყველგან კაცს სულს პირიდან ართმევ, მე კი შენ პირში სული უნდა ჩამიდგაო!

ისარი ვისის საწოლში ჩავარდა. იგი მაშინვე აიღო ძიძამ, იცნო და გახარებულმა ვისის დაუძახა:

– ნახე ბედნიერ მოციქულად გამოგზავნილი რამინის ისარი!

ვისიმ რომ ისარი აიღო ხელში და ზედ რამინის სახელი ამოიკითხა, სიხარულისაგან საქციელი წაუხდა. ისარს კოცნიდა, ეფერებოდა და ეუბნებოდა:

– ეჰე, ბედნიერო რამინის ისარო, ისარი რომ მკურნალი იყოს, შენზე მეტი არ მინახავსო.

რამინი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ნეტავი, ჩემი ისარი დანიშნულ ადგილზე მივიდა თუ სხვაგან მოხვდა სადმე და ვინმე გარემე კაცმა აიღო? რაც არ უნდა იყოს, აქედან მე უკან დამბრუნებელი არა ვარ. ღვთის შეწევნითა და ჩემი მკლავის ძალით ვისის ამ ციხიდან გამოვიყვანო.

რამინი ამ ფიქრებში რომ იყო, ძიძა და ვისი იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ როგორ ამოეყვანათ იგი ციხე-დარბაზში. ძიძამ ვისის უთხრა:

– შენს ბედად ისეთი სიცივეა, რომ ციხის მცველები საგუშაგო ბუდრუგანებში არიან შეყუჟული. რამინი უსათუოდ აქ სადმე ახლოს დგას და ჩვენგან ნიშანს ელოდება. სარკმელი გამოვადლოთ და სანთელი ავანთოთ. იგი დაგვინახავს და ახლოს მოდგება. მაშინ კი ვეცადოთ და ზევით ამოვიყვანოთო.

ასეც ქნეს. ძიძამ სარკმელი გამოაღო და სანთელი აანთო. რამინმა სინათლე დაინახა და გული სიხარულისაგან აუძგერდა. მიუხვდა, რისთვის აანთეს სანთელი, მაშინვე კლდეზე შევარდენით აფრინდა. რამინი რომ კედლის ძირამდე მივიდა, ქალებმა, რა ქსოვილებიც მოხვდათ ხელში, დაგრიხეს, ერთმანეთს გადააბეს და ძირს ჩაუშვეს. რამინი მას მოეკიდა და ვეფხვზე უფრო კისკასად ციხეზე ავიდა. მზე და მთვარე ერთად შეიყარნენ და ერთმანეთს ისე მოეხვივნენ, იტყოდი, რძე და ღვინო ერთ ჭიქაში ჩაუსხამთო. შემდეგ დასხდნენ და ღვინოსა და ალერსს შეექცნენ. რამინმა ჩანგი აიღო და დაამღერა: „კაცი ჭირში რაც უფრო მეტ ხანს დაჰყოფს, რომ დაეხსნება, ღმერთს მით უფრო მეტად მადლობს. მე ჯოჯოხეთისაგან ვარ ხსნილი და ახლა მხიარულად ვნებივრობ, სიყვარული დავთესე და სიხარული მოვიძიე“. შემდეგ ვისიმ აიღო სასმისი, დაცალა და რამინს აკოცა. რამინმა ვისის უთხრა:

– ჩემო სიცოცხლე, შენი ხელით მასვი შენი ღაწვების ფერი ღვინო; რა იცი, ხვალ რა მოგველის! მოდი და ნეტარების ჩვენი წილი დღესვე ავიღოთო!

ცხრა თვე დაჰყვეს ასეთ ალერსსა და ლხინში ვისიმ და რამინმა. იყვნენ გამოკეტილნი იმ ციხე-დარბაზში და ნეტარებას ეძლეოდნენ, სასმელი არ აკლდათ და საჭმელი, – სურსათ-სანოვარე იმდენი ჰქონდათ, თუნდაც ასი წელი ეყოფოდათ, ისე ბლომად მოემარაგებინა იგი შაჰ მოაბადს.

რამინი მარავში რომ დაბრუნდა და შმაგივით აქეთ-იქით რომ ეხეთქებოდა და ვისის დაეძებდა, ეს ამბავი ხაყანის\* ქალს ზარინგესს მხედველობიდან არ გამოჩინებია. მიუხვდა, რაშიც იყო საქმე და ეს შემთხვევა მოაბადისთვის საამბობლად დაიმახსოვრა.

შაჰი მოაბადი გამარჯვებული დაბრუნდა ლაშქრობიდან. კეისრისათვის ხარკი დაედო და მძევალი წამოეყვანა. მის ლაშქარს მიწა ვერ იტევედა, მისი ალაფი მთასავით იყო დაზვინული. დიდი სიხარული და ზეიმი ჰქონდა. მაგრამ სულ მალე ასე გამარჯვებით დაბრუნებულ ხელმწიფეს სიხარული სიმძიმით შეეცვალა, – ზარინგესმა ვისისა და რამინის ერთგან შეყრის ამბავი შაჰინშაჰს ჩაუკაკლა. მოაბადს გული სისხლით აევსო და ტვინი მრისხანების ცეცხლით აუღულდა. დიდხანს იჯდა ასე გატენილი. შემდეგ ზეზე აიჭრა და ჯარი აშქუფთიდევანისკენ წაასხა. ბუკმა\* ტირილი დაიწყო: „ხელმწიფეო, ასე სულ გზაში ყოფნა არავის შეუძლიაო!“ მეომრებიც ბუზღუნებდნენ: „ეს-ესაა ერთი ლაშქრობიდან დავბრუნდით და ჩვენი შაჰი ახლა მორე ომში გვიწვევსო!“ მოაბადს კი თავისი საფიქრალი ჰქონდა, – რამინის მოკვლა ეჩქარებოდა.

ერთმა გუშაგმა შაჰინშაჰის ლაშქრის მიერ ამოღილი მტვერი შორიდან დაინახა და ზარდთან მიიღბინა:

– ცამდე ასული მტვერი მოჩანს. უთუოდ შაჰინშაჰი მოდის, თორემ ასე დიდ მტვერს სხვისი ჯარი ვერ ააყენებდაო.

ციხეში ერთი ორომტრიალი შეიქნა. ზარდი ჯერ წინ არ იყო შეგებებული მოაბადს, რომ შაჰი ციხის კარებს მოადგა. ზარდს უყვირა:

– ძალლი კაცისაგან მიგდებულ პურს მოიგონებს, შენ კი ეგეც არ შეგძლებია. შენ ვისისა და რამინის მეთვალყურედ როგორ ივარგებდი! ნახირს უნდა მწყემსავდე. აქ აგდინარ და ის ვერ გაგიგია, რომ რამინი და ვისი ციხის შიგნით ერთად იხარებენ და შენი სირეგვისა გამო სიცლით იხოცებიანო.

ზარდმა მოახსენა:

– სვიანო ხელმწიფე, რამინი თქვენ წაიყვანეთ თან. შევარდენი არ იყო, რომ საბერძნეთში აფრენილიყო და აქ ჩამოფრენილიყო. შეხედე, ციხის კარები თქვენი ბეჭდითაა დაბეჭდილი და ერთი წლის მტვერი ზედ აძევს. ყოველ შემოსავალთან გუშაგები მიყენია. რამინი გრძნეული რომ ყოფილიყო და ათასი ხერხი ცოდნოდა, აქ მაინც ვერ შემოაღწევდა. ვთქვათ და დაღეწა ციხის კარები, თქვენივე ბეჭდით ისევ როგორ დაბეჭდა? ნუ დაიჯერებ, ხელმწიფეო, ასეთ გაუგონარ ამბავს, ნურც თქვენ დაიმძიმებთ გულს და ნურც ჩვენ დაგვხოცავე!

მოაბადმა ჩექმის ყელიდან კლიტე ამოიღო, ზარდს მიუგლო და უბრძანა, კარები გააღო!

მოაბადის ყვირილი და ციხის კარების რეხვების ხმა ბედად ძიძამ გაიგონა სასწრაფოდ ვისისა და რამინს აცნობა – შაჰინშაჰი მოვიდაო!

სამივე ადგილზევე გატყდნენ შიშისაგან. რა ექნათ, აღარ იცოდნენ. ეს კი მოიფიქრეს, რომ რამინი როგორც ამოეყვანათ, აგრევე ქვევით ჩაუშვეს. ვისის მოაბადისაგან უზიფათოდ რამინის თავის დაღწევა უფრო აფიქრებდა, ვიდრე საკუთარი საფრთხე. არც მოაბადი აშინებდა და არც ზარდი. ოღონდ რამინი გადარჩენილიყო უვნებელი და საკუთარ თავს არ ჩიოდა. მოაბადი რომ ვისის დარბაზში შევიდა, ქალებს ნასკვების დახსნა კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული. ძიძა მამინვე მიიმალა და მოაბადს ვისი შერჩა ხელთ. უყვირა:

– ეშმას ნაშობო ვისი! ხომ მოიჭერი ხალხში თავი და ხომ ამოსვარე ლაფში ჩემი ხელმწიფობა! მეტყვი თუ არა, რა უნდა გიყო მე შენ ამის სანაცვლოდ? ჩემი დაყვავება შენ სიამონებას არ განიჭებს და ჩემი რისხვა შენ არ გაშინებს. სილამაზითა და მშვენებით მეტად სანდომი და საყვარელი ხარ, ხოლო გამწირაობით და მუხანათობით საწუთროსა გაეხარ. რამდენჯერ გეხვეწე და გეპუდარე, ნუ შვრები ამას, ვისი, ნუ მაწყენ ამდენს, რადგან ჩემი რისხვის ნაყოფი სიკვდილი არის-მეთქი! მოვიდა დრო, ის მოიმკა, რაც დაგიტესია. ახლა მე შენ იმას გიზამ, რასაც შენ ჩემთვის ცდილობო!

ეს რომ უთხრა, თმაში წვდა და მიწაზე ათრია. ქურდივით უკან შეუკრა ხელები, შემდეგ კი მიღვა და მათრახი თავსა და ტანზე იმდენი ურტყა, რომ ვისის კანის ნაფლეთები მიწაზე ცვიოდა. ასევე სცემა ძიძაც. მათი გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა. შემდეგ ისინი ერთ საკანში შეყარა და ჩაკეტა. ზარდს ციხისთაობა წაართვა და ციხე-სიმაგრე სხვას ჩააბარა. შემდეგ კი წამოვიდა და ერთ კვირაში მარავში დაბრუნდა. მაგრამ დაბრუნდა თუ არა, თავისი საქციელის მონანიება დაიწყო. გულს ასე ეუბნებოდა:

– ეს რა მემართება! რა ვქენი მე? რატომ დავსაჯე ასე სასტიკად საყვარელი არსება, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს მირჩევნიაო?!

## შაჰროს მოთქმა და ტირილი

მოაბადი რომ ციხიდან დაბრუნდა და ვისი თან რომ არ ახლდა, შაჰროს ცუდად ენიშნა. პირის ხოჭვა დაიწყო, მოაბადს წინ მიეგება და შეუძახა:

– რატომ არ გახლავს თან ჩემი ვისი? რა უყავი ჩემი მზე? თუ ჩემს ასულს დაუყოვნებლივ არ ჩამაბარებ, შენს დარბაზს ნაოხრად გაჩვენებო!

მოაბადს თავადაც ზღუქუნნი აუვარდა:

– მლოცავ თუ მწყევლი, უკვე სულერთია. რა ვქენი, ნეტავ ღმერთი არ გამწყრომოდა და ეს საქმე არ ჩამედინა! შენს ვისის ცოცხალს ველარ ნახავო.

შაჰროს ეს რომ ესმა, მიწაზე დავარდა და თავსა და პირში ცემა დაიწყო. მოთქამდა:

– ჰე, მუხთალო საწუთროვ, მომპარე განა ჩემი თვალი პატიოსანი? ნუთუ იგი შენც ჩემსავით გიყვარდა და იმიტომ მიითვისე? ჰე, მიწავ, დღემდე შენ მხოლოდ კაცს ჭამდი, ახლა კი მზისა და მთვარის ჭამაც დაგიწყია. ჰე, დედის ნათელო, შენ იყავი ჩემი სიქადული და სიხარული, აწ, შენ რომ აღარა მყავხარ, ვისით უნდა ვიშვებდე და რითი უნდა მეღვას სული? ჰე, მარავო ქალაქო, ნუ იადვილებ ეგზომ უსამართლობას! მანამდის არ მოვიკლავ თავს, სანამდის შაჰინშაჰზე გულის ნებას არ ავისრულებ. უფალო ღმერთო, მიძებნე სისხლი ჩემი და ააოხრე ტახტი მისიო!

შაჰს აქეთ შაჰრო შეეცოდა, იქეთ კიდევ ვიროსი შეეშინდა:

– მე ისეთ არსებას როგორ მოვკლავდი, რომლის სიცოცხლე საკუთარ თავს მირჩევნია! ახლავე კაცს გავაგზავნი და ვისის აქ მოვაყვანინებო!

ზარდს უბრძანა, წასულიყო აშქუფთიდევანის ციხე-სიმაგრეში და ვისი ჩამოეყვანა.

ცოტა ხანში რამინიც მოვიდა მალვით ზარდისას და მმას სთხოვა, მოაბადთან შემარიგეო! მოაბადმაც შეუნდო.

და გაგრძელდა ისევ ძველებური ცხოვრება.

გამოხდა ხანი და მოაბადს გორგანში მოუხდა წასვლა. რადგან შიშს დიდი თვალები აქვს, სასახლის კარები რკინით ამოაჭედვინა და გასაღებები ძიძას ჩააბარა. გააფრთხილა:

– მე ერთი თვით ზაბულისთანში მივდივარ და გასაღებს შენ გაბარებ. კაცს თუ უნდა, თავისი საქონელი კარგად შეინახოს, ქურდს უნდა ჩააბაროსო.

მოაბადმა მარავი დატოვა და ქალაქის კარებთან ერთი დღე ბანაკად დადგა. ნადირობა უნდოდა. რამინი აწვია, ერთად ვინადიროთო! მაგრამ შელამდა თუ არა, რამინი ქალაქში დაბრუნდა. საღამოს მოაბადს რამინთან ერთად მოუხდა სმა და შექცევა, მაგრამ მოახსენეს: ქალაქში წავიდაო. მიუხვდა მოაბადი, რისთვის იყო მარავში რამინი წასული.

რამინს დარბაზის კარები დაკეტილი რომ დაუხვდა, ბაღში ჩავიდა. უვისობით გახელებული იყო, რა ექნა, არ იცოდა. ბევრი იტირა და დაღლილსა და მოქანცულს ყვავილებში მიეძინა. ვისიმ იცოდა, რამინი რომ ბაღში ბრუნავდა და კარებს აწყდებოდა. ასე ახლოს იყო რამინი და ასე მიუწვდომელი გამხდარიყო იგი მისთვის! ძიძას თითით დაუწყო ხვეწნა:

– ძიძავ, მოიგონე, შენი გაზრდილი რომ ვარ. ერთხელ კიდე ჩამიდგი სული და რამინის პირი მაჩვენე; ჩემი საყვარელი შორს გზაზე მიდის და ვინ იცის, კვლავ როდის შევხვდებით ერთმანეთს! შეიბრაღე ჩემი სიყრმე და ერთ წამს კარი გამიღე, რამინი რომ ვნახო!

ძიძამ ხელები გაასავსავა:

– არ შეიძლება, სულ აკვაცობა გამოვამჟღავნო და ფიცი გავტეხო. ასეთმა დიდმა ხელმწიფემ საქმე მომანდო, ფიცი დამადებინა, როგორ შეიძლება მისი ღალატი და ისეთი ფიცის გატეხა! ან რომ გავიღოთ კარები, მერე მოაბადის წყრომას როგორ გადავურჩეო?

ეს რომ უთხრა, ძიძა წავიდა და გულზე ცეცხლმოკიდებული ვისი მარტო დატოვა. ვისი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერც სარკმელი იპოვა ღია და ვერც ბანზე გასასვლელი. ბოლოს ეს მოიფიქრა: დარბაზში სარა-ფარდავი იყო გაჭიმული, მეორე წვერი კლდეზე ჰქონდა მიმაგრებული. დახეთ, სიყვარულით გახელებულმა ქალმა რა ქნა და რა გაბედა! ფეხზე გაიძრო და იმ თოკზე ჯამბაზივით გაიარა. აშკარა სიკვდილს რომ გადაურჩა, ბანზე გავიდა. ქარმა თავსაბურავი მოხადა, ყელსაბამი გაუწყდა და გაეფანტა. საყურეები მოძვრა და დაებნა. ახლა ძირს ჩასვლა იყო საჭირო. ტანზე ქსოვილის გრძელი ქამარი კიდევე შერჩენოდა, მოიხსნა, ბანის კიჩოს გამოაბა და ძირს დაეშვა. ტანზე თუ რამე შემორჩენოდა კიდევე, ყველა ლურსმნებზე ჩამოიხნა. იქიდან ბაღში ჩახტა. თუმცა მიწა რბილი შეხვდა, მაინც ორივე ფეხი იტკინა. როგორც იყო, წამოდგა და ბაღში ლასლასით იწყო სიარული, – ეგება რამინს შევხვდეთ! ნიავს ევედრებოდა:

– შენ მაინც არ გტკივა ჩემსავით ფეხები, ეს ბაღი მოიარე და იქნება სადმე ჩემსავით ჭკუიდან გადასული კაცი, რამინი, მიპოვნო!

შემდეგ მთვარეს ეხვეწა:

– ამოდი, მთვარეო, შენი ამოსვლის ჟამია; შეგვიბრაღე ორი გახელებული შეყვარებული და ერთმანეთი გვაპოვნინეო!

ამასობაში მთვარე მართლაც ამოვიდა, იქაურობა გაანათა და ვისი ყვავილებში მძინარე რამინს წააწყდა. ერთმანეთს მოეხვივნენ. და მუშკი\* ამბარში\* აზილეს.

მოაბადმა რამინის ამბავი რომ გაიგო, ისევე გაუახლდა საიმათო მტრობა. თავის თავს ადანაშაულებდა: ერთხელ გამოცდილი კვლავ რატომ გამოვცადე და ბრმა გუშავად როგორ დავაყენეო! საგონებელში იყო ჩავარდნილი. ხან ასე ფიქრობდა: ამდენი თავის მოჭრა მეყოფა. ამ საქმეს არ გამოვამჟღავნებო, ხან კიდევე სიბრაზისაგან გონება უბნელდებოდა. ადგა და დარბაზს ეწვია. ძიძამ მართლა არ იცოდა, რაც მომხდარიყო, ყველა ბეჭედი და კლიტე შაჰინშაჰს მიართვა. კარები და ბეჭდები ხელუხლებელი აღმოჩნდა. მოაბადმა ბევრი ეძება, მაგრამ ვერც რამინი ნახა და ვერც ვისი, ისევე ძიძას ეცა და იმდენი სცემა, სიკვდილის პირამდე მიიყვანა. შემდეგ კი სანთლებითა და მაშხლებით აძებნინა ბაღში შეყვარებულები.

ვისიმ შორიდან რომ მაშხლებს მოჰკრა თვალი, რამინს უთხრა:

– ადექი, შაჰინშაჰი მოდის! მე რაც უნდა, ის მიქნას, მაგრამ შენ ცოცხალი უნდა გადარჩე! მე უბედურების მაგალითად ვარ დაბადებული ამ ქვეყანაზე. ერთი შენი კოცნა ისე ვერ მიგემნია, სანაცვლოდ ათასი მათრახი რომ არ მომხვდესო.

რამინმა ფიცხლად მიმართა ბაღის გაღვანს, გადახტა და თავს უშველა. ვისი იქვე მიწაზე მიწვა და თავი მოიმძინარა. შაჰინშაჰი თავზე დაადგა, უყვილა და ფეხით გადააბრუნ-გადმოაბრუნა. შემდეგ რამინის საძებნელად დაგზავნა ხალხი.

რამინი უკვე შორს იყო და ბაღში, ბუნებრივია, ვერ იპოვეს. მოაბადი ვისის ეცა:

– მითხარი სიმართლე, როგორ ჩამოხვედი აქ ან რამინი რა უყავიო?

ხმალი ამოიღო და უნდოდა, თავი მოეჭრა ვისისთვის. მაგრამ აქ ზარდი წამოესწრო და ძმას ცოლის მოკვლა დაუშალა:

– მაღალო ხელმწიფეო, საკუთარი თავი შეიცოდე! ამ ქალის მოკვლით თუ რა დაგემართება, ამაზე იფიქრე! ერთხელ გამოსცადე მისი სიმორე და რაც გარდაგხდა, ალბათ გახსოვს. მოიგონე შენი ფიციც, დადებული მაღალი ღმერთის სახელით, რომ ვისის არაფერს არ ავნებდი! ფიცის გატეხა კი არ ეგების! ეტყობა, უბრალოა ვისი, კარები როგორც დაგიკეტავს, ისეა დახშული და ბეჭედი ახსნილი არ არის. ბაღის გაღვანიც ისე მაღალია, რომ რამინი რომც ყოფილიყო აქ, ასე მაღალ ზღუდეს ვერ გადააფრინდებოდა. რალაც სხვა ამბავი უნდა იყოს, თავად ჰკითხე და გაიგეო!

ზარდის დარიგებამ გაჭრა. მოაბადმა ვისის ხელი მოჰკიდა და შინ წამოიყვანა. ჰკითხა:

– ვიცი, არც დევი ხარ და არც ეშმა. ამ ბაღში როგორ ჩამოხვედიო?

ვისიმ უპასუხა:

– ღმერთი მე მწყალობს და არასოდეს არ გამწირავს. შენ ყოველგვარ სატანჯველს იგონებ ჩემთვის. ბრალი არა მაქვს და მაინც მსჯვი. წუხელ შენგან პატიმრობით ტანჯულმა ჩემი გასაჯირი უფალს მოვასხენე. რომ მიმეძინა, მოვიდა მწვანით მოსილი ანგელოზი, შენი საკნიდან გამომიყვანა და აქ, ამ ბაღში, მომასვენა. ამის მეტი არა ვიცი, გინდა, დაიჯერე, გინდა, ნუ დაიჯერებ! – შენს ჩემდამი მოქცევას ღმერთი უსამართლოდ რომ არ თვლიდეს, იგი მე ასე არ გამომესარჩლებოდაო.

მოაბადმა ვისის ტყუილი დაიჯერა. უფლის შეეშინდა და ცოლს შენდობა სთხოვა. შემდეგ კი ძიძასაც უხმო და ორივეს, ცოლსა და მის გამზრდელს, უამრავი თვალ-მარგალიტი უძღვნა.

## მოაბადისაგან შაჰროს და ვიროს წვევა და ნადიმი

ზაფხულის საამო დღე იყო. მინდორი, ველი და წალკოტი სამოთხესა ჰკავდა. იჯდა ბაღში შაჰი მოაბადი და გვერდით ვისი ესვა. მარჯვნივ ვიროსთვის მიეგოთ დაჯდომის პატივი, მარცხნივ – შაჰროსთვის. პირდაპირ რამინი იჯდა. მუტრიბები\* მღეროდნენ, იყო სმა და მოლხენა. მგოსანმა ვისისა და რამინის სიყვარულის შესახებ იმღერა. მოაბადს ეს სიმღერა მოეწონა და მგოსანს უთხრა:

– ვისისა და რამინის სიყვარულის შესახებ სხვა სიმღერაც თქვიო!

მგოსანმა დაიწყო:

„ერთი დიდი ხე ვნახე, თავი ცამდე უწვდებოდა და ქვეყანა ჩრდილით დაეფარა. ქვეშ ანკარა წყარო მირაკრაკებდა, ირგვლივ ია და ვარდი ყვაოდა. იქვე ახლოს ერთი მსუქანი მოზვერი იდგა. ხან იმ ანკარა წყაროსა სვამდა, ხან კიდევ იასა და ვარდსა ძოვდა. დაე, მუდამ იყვნენ ისინიო!“

მუტრიბის იგავი ასეთი იყო: ხელ შაჰ მოაბადს გულისხმობდა, წყაროდ ვისი ჰყავდა წარმოდგენილი, ხოლო მოზვერად რამინს იტყოდა.

მოაბადმა ეს რომ მოისმინა, ზე წამოიჭრა, რამინს თმაში დაავლო ხელი, დანა იძრო და უთხრა:

– აქვე შემომფიცე, რომ ვისის სიყვარული აღარ გეღება გულში და არც გაეკარები მას, თორემ ახლავე თავს მოგაჭრიო!

რამინმა შეჰფიცა მოაბადს პირველად ღვთით, შემდეგ ცეცხლით, მზითა და მთვარით, რომ სანამ სული ეღებებოდა, ვისი ეყვარებოდა და მას თავს არ დაანებებდა.

– ჩემი საქმე ასეა და შენ თუ გინდა, მომკალი და თუ გინდა, დამარჩინე!

მოაბაღმა მოკვლა დაუპირა, მაგრამ რამინმა რა შეატყო, შაჰი არ ხუმრობდა, მას ხელი დაუჭირა, დანა აართვა და იქაურობას გაეცალა. მოაბაღი მთვრალი იყო და ეს ამბავი მეორე დღეს არც ახსოვდა.

რამინი მასთან სადარბაზოდ მისულ მეგობრებს მოწყენილი დახვდა. ჰკითხეს: რა გჭირსო? მანაც უთხრა, თუ რა უპატიოდ მოექცნენ მას ვისის თვალწინ.

– ყველა ჭირს მოვითმენ, მაგრამ უპატიობას – ვერაო.

მაშინ ერთმა მისმა ახლო მეგობარმა, ბრძენმა და გამოცდილმა კაცმა ბეგომ რამინს უთხრა:

– ეჰე, ბედის მოჩივარო! სანამდის მიჯნურობა სიამოვნებას განიჭებს, მანამდის შენი ტანი ნიადაგ ჭირის მზიდავია. ვინც ვარდს ჰკრეფს, მას ხელში ეკალიც ესობა. იმის მეშინია, რომ ერთხელაც იქნება, სიყვარულის გზაზე დაგებული მახისგან ვერ აეხსნები და თავსაც გაილანძღავ. მე თუ დამიჯერებ, მოთმინების მეტი სხვა გზა შენ არა გაქვს. ამასაც გეტყვი: შეყვარებულის ჭირის წამალი ახალი სატროფოს შექმნა. დრო მკურნალია. ერთი წელიწადი რომ უვისოდ მოითმინო, ისე დაგავიწყდება, თითქოს არასოდეს არ გყვერებია. სახელი გაგიტეხა ვისის სიყვარულმა. დიდი თუ პატარა შენს ძვირს ამბობს. სადმე სმად რომ დასხდებიან, შენზე აუგის თქმით ირთობენ თავს. გლანძღავენ, რომ იცოდე. ეს რა კაციო, ამბობენ შენზე, ვისი მზეც რომ იყოს, ძმის ასე ღალატი და გაწირვა როგორ იქნებაო! ერთი სხვაც ვთქვათ: ეს რამდენი ხანია საწადელს ისრულებ ვისისაგან და მისი შტოის ნაყოფსა ჭამ. კიდევ ათასი წელი რომ გააგრძელო ეს საქმე, მეტს რას იზამ? არც მზეა ეს შენი ვისი სინათლით და არც კერპია მშვენებით. ვისისთანა დედაკაცი ქვეყანაზე რამდენიც გინდა, იმდენია და რას შეაღიე ასეთ ქალს შენი სიყვარმე, არ ვიცი! შენ ვარსკვლავი იმიტომ მოგწონს ასე, რომ მთვარე არასოდეს გინახავს. მითხარი ერთი, სანამდის გინდა, მისი მიზეზით ასე გაუბედურებული იყო? ბავშვიც აღარა ხარ. დროა უკვე, ჯარს თავი მოაწონო, მტრები შეავიწროვო, მეგობრები გაახარო და ვაჟკაცობით სახელი მოიხვეჭო. შენი ტოლები ხელმწიფობასა და დიდებას ეძებენ, შენ კიდევ დღენიადაგ ვისისა და ძიძას დასდევ კუდში. სახელი გატეხილი გაქვს, რამინ. თუ ჩემგან, შენი მეგობრისა და კეთილმყოფელისაგან, დაიჯერებ, სიმართლე ეს არის, თუ არა და შენი საქმე შენ იცი. რაც გაგებდე, ამის გამო პატიებასა გთხოვო!

რამინმა უპასუხა:

– ვიცი, რომ ჩემი სიკეთისათვის მითხარი, რაც მითხარი. ყველაფერი მართალი თქვი. ხვალე ერაყის გზას დავადებ თავს და არა თუ მე არ შევიყვარებ ვინმეს, არამედ ვინმე შეყვარებული თუ არის, იმასაც ახლოს არ გავეკარებო.

სწორედ იმ დროს, როცა ბეგო ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევდა რამინს, მოაბაღი ვისის ტკბილად და ღმობიერად მოძღვრავდა:

– კეკლუცთა პატრონო, თვითონ იცი, თუ რა ჭირი მინახავს შენს გამო და შენ ჩემთვის გული რამდენჯერ გიტკენინებია. არაა სილამაზე, შენ რომ არ გაგაჩნდეს და არაა დიდება, მე რომ არ მქონდეს. მოდი, ვიყოთ ერთად! შენ იყავი ქვეყანათა, ლაშქართა, განძთა და დარბაზთა პატრონი, ჩემთვის მეფობის სახელიც საკმარისია! მე მეტი არაფერი მინდა. რაც მოგინდება, აკეთე! მე შენი მიჯნურობა მეყოფა. ამას გულით გეუბნები, შენისთანა კი არა ვარ, ენით ერთს რომ იტყვი და საქმით სხვას რომ ჩადიხარ. დამდე პატივი და დამიჯერე, ეკრძალე ჩემს მტრობას, თორემ პირუტყვზე უფრო საშიში ვარ; შაჰროს საქვეყნოდ გამოჭენებას ერიდე და ვიროს კრძალვა იქონიე! მითხარი, რა გინდა, მოყვრობა თუ მტრობაო?

ღვთის განგებით ვისის ქვა გული ცვილივით მოლბა. ფეხზე წამოდგა და მოაბაღს ეგრე მოახსენა:

– დიდებულო ხელმწიფე, სიმაღლით ცამდე ხარ და სიმდაბლით – მიწამდე. შენს ღმერთს ბედნიერი დაუბადებინარ. მე კი ასეთი ვყავარ ჩემს გამჩენს. ეს იცოდე, შაჰო მოაბად, რომ ამიერიდან აღარ ვიქნები ისეთი სიყვარულის მძებნელი, რომლითაც შეიძლება, საუკუნო სირცხილში ჩავევარდე, ანდა შენისთანა მოწყალე და დიდებული პატრონი უწყალო მექნას და დამემტეროს. რად მინდა ისეთი მიჯნურობა, რომელიც სახელს გამიტეხს და ქვეყანაზე საარაკოდ გამხდის!

ამიერიდან ჩემი ბნელი გულის კარი გამიღია და მართალი გზა მიპოვნია. დღეის იქით სიყვარულზე უარს ვამბობ და საიქიო ცხოვრებაზე ფიქრს ვიწყებ. სიყვარული ღრმა და უკიდევანო ზღვასა ჰგავს და მასში შეტოვვა ჭკვიანი კაცის საქმე არაა. ამიერიდან ლომადაც რომ იქცეს, რამინი ვეღარ მომერევა. შენ ერთხელ კიდევ მომანდე გული და ნახავ, როგორ გემსახურო!

ეს რომ მოისმინა, განარებულმა მოაბადმა ვისის თვალები ამოუკოცნა.

რამინმა შაჰინშაჰს კაცი მიუგზავნა და შეუთვალა:

– ხორასნის ჰაერი მწყენს, სულ ავადა ვარ. თუ თქვენი მეფობის ნება იქნება, ერავს\* წავალ და იქედან გემსახურებით, როცა დაგჭირდებით, მონა ვარ თქვენი, სირბილით თქვენსკენ გამოვიქცევიო.

მოაბადს რამინის ასეთი გადაწყვეტილება ესიამოვნა და ძმას თხოვნა შეუსრულა: რეი\*, გორგანი, ქოჰისტანი\*, ჰამიანი\* და სრული ერავი\* მას უბოძა. რამინიც გასამგზავრებლად აეწყო. მაგრამ მანამდე ყველაზე ძნელი საქმე უნდა მოეღია, – ვისის უნდა გამოთხოვებოდა. არც დააყოვნა და სამგზავროდ ჩაცმული რამინი ქალთან გამოცხადდა. ვისი ტახტზე იჯდა. რამინი დარბაზში შევიდა და შეყვარებულის გვერდით მოკალათდა. ვისიმ ხელი აუქნია:

– ადე, სამეფო ტახტზე ნუ ჯდები! ყმა ხარ და შენი ადგილი უნდა იცოდე. პატრონის გვერდით შენი ჯდომა ცოტა მეადრებაო!

რამინი ცუდ გუნებაზე დადგა. ზეზე წამოხტა. თავისი დაბადების დღე დაიწყევლა. გულში ამბობდა:

– მადლობა ღმერთს, რომ თვალები ამეხილა! რად დავკარგე ჩემი ჭაბუკობის ხანი ასე ცუდად?! მაგრამ რადგან მისგან განშორება მეღირსა, მკვახე სიტყვებს აღარ ვჩივი. თუ ჭკუა მაქვს, მისგან ასეთი მოპყრობა კიდევაც უნდა მიხაროდეს. ასეთი სიტყვები თვალ-მარგალიტით უნდა მეყიდა, მე კი მუქთად ვიპოვე იგი. აბა, გულო, გაერიდე აქაურობას! ახლა თუ არა, მაშ როდისღა!

ვისიმ რომ რამინი ასე დამწუხრებული დაინახა, ინანა, რატომ დავაღონეო! შემდეგ ნაირ-ნაირი ფარჩეული მოატანინა და რამინს უძღვნა. ძვირფასი ტანსაცმლით დამოსა. ბოლოს კი ისეთი მკვახე სიტყვისთვის პატიება ითხოვა:

– რამინ, შენ არ იყავი, რომ შემომფიცე, სანამ პირში სული მიდგას, არ მიგატოვებო! ახლა ასე რატომ იქცევიო?

რამინმა მიზეზი უთხრა. შემდეგ კი ხელი ხელს მოჰკიდეს და წალკოტში ჩავიდნენ. ერთმანეთს მოეხვივნენ. მათი პირისგან წალკოტი აყვავდა და მათი თმისაგან ნიავი გასურნელდა. ხან ერთად ყოფნის გამო მხიარულობდნენ და ხან კიდევ გაყრის მოლოდინში ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. ვისიმ უთხრა:

– რამინ, მე ხომ იგივე ვისი ვარ, მზის მსგავსი, პირთეთრი, თმამუშკი, ტანკვიპაროსი? სიყვარულის მეტი ჩემგან რა გინახავს, მაშ რატომ გინდა, რომ დამაგდო? ნუ გამწირავ! ვიცი, მალე მობრუნდები და ინანებ. ნუ გასწყვეტ სიყვარულს, თორემ სიყვარული ჩანგის ძაფი არ არის, რომ გაწყდება, აღარ გაინასკვებაო.

რამინმა უპასუხა:

– ვისი, შენ იცი და ღმერთია მოწმე, რომ უშენოდ ერთ წამსაც ვერ გავძლებ. მაგრამ მე შენთა მტერთა რიდი მაქვს. ქვეყანა გადაკიდებული მყავს. მეშინია, წყალი ვერ დამიღვევია სხვისი მორთმეული, – მომწავლავენ-მეთქი! შაჰინშაჰთან ისე ვარ შესმენილი, რომ ეჭვი არ მეპარება, თუ ასე გაგრძელდა, ჩემ თავს ვილაცას მოაკვლევინებს. ცოტა ხნით დავთმობ ერთმანეთი. ერთი წელიწადი გავძლოთ და შემდეგ ისევ შევიყარნეთ! ნათქვამია: ღამე მაკეა და არავინ იცის, რასა შობსო. მე სანამ პირში სული მიდგას, შენს სიყვარულს ვერ შეველევი. შენ ჩემი მზე ხარ და თუ შენი მუქი არ მახლავს, ეს ქვეყანა შენი თმის ფერად მიჩანს. ისეთი კარი არ დაკეტილა, რომ არ გაღებუდიყო, ისეთი აღმართი არაა, დაღმართი რომ არ ჰქონდესო.

– ეგ მართალია, რასაც ამბობ, მაგრამ ჩემი ბედის იმედი არა მაქვს. შენი ხასიათიც ხომ ვიცი. მეშინია, გორაბში\* ვინმე ლამაზ ქალს არ გადაეყარო და არ შეგიყვარდეს. იქ კეკლუცი ქალები იცისო.

რამინმა ამაზე უპასუხა:



– მთვარემ რომ მთელი თვე გარს მიტრიალოს, სამკაულად ვარსკვლავები ესხას, გვირგვინად მზე ედგას, ყოველი მშვენება ჰქონდეს და ყოველი გრძნეულება იცოდეს, კოცნა მისი უკვდავება იყოს და შეხედვა მისი – მოხუცთა გამაახალგაზრდავებელი, შენმა მზემან, იგი მე შენს სიყვარულზე ხელს ვერ ამაღლებინებს!

შემდეგ მოეხვივნენ ერთმანეთს, აკოცეს და გაიყარნენ.

ვისიმ დაინახა, როგორ მოახტა რამინი ცხენს. ამას გაძლება ხომ უნდოდა!

## რამინისაგან გულის შეყვარება

თუმცა რამინი იმხელა სამეფოს პატრონი გახდა, მაინც თავს უვისოდ ისე გრძნობდა, როგორც – თევზი უწყლოდ. ბინა ისპაანში დაიღო და ქვეყანას იქიდან მართავდა. თავის საბრძანებელში სიმართლე ახარა და ბოროტება დათრგუნა. ისე უშიშარი გახდა ქვეყანა, რომ თხა და მგელი ერთად ძოვდნენ. ხალხი რამინს ლოცავდა და უფალს მადლობდა.

ერთხელ ჰამიანს\* რომ ეწვია, გორაბში\* ჩამოხდა. იქაური თავკაცები შაფური და რაფელი მასპინძლობდნენ. დილას სანადიროდ გადიოდნენ და საღამოს სმად სხდებოდნენ. ერთობოდა რამინი, რაც შეიძლებოდა, მაგრამ ვისი მაინც არ შორდებოდა გონებიდან.

ერთ დღეს სანადიროდ რომ მიდიოდა, წინ ვიღაც მზესავით მანათობელი ქალი შემოხვდა. სახელად გული ერქვა. „გულ“ სპარსულად ვარდს ნიშნავს და ეს ქალი კაცს მართლა მოწყვეტილი ვარდი ეგონებოდა, ისეთი ლამაზი იყო. თმები კოჭებამდე სცემდა. პატარა ტუჩები ყანდით ტკბილი ჰქონდა. მის წამწამებს მშვილდოსნობა ახზავთაგან\* ესწავლათ<sup>13</sup>. ოთხმოცი მასავით თვალწარმტაცი მოახლე მოსდევდა. რამინმა რომ ასეთი მშვენება დაინახა, ხელიდან ისარი გაუვარდა. ქალიშვილი წინ გადაუდგა, ძველი ნაცნობივით მიესალმა და უთხრა:

– სახელოვანო ხელმწიფეო, ჩვენი ქვეყანა შენგან ელავს, როგორც მზისაგან – ცა. საღამოვდება, გთხოვთ, ჩვენსა გარდახდეთ და ამაღამ თქვენი სტუმრობით გაგვაბედნიეროთ!

რამინს ისე მოეწონა ეს ქალი, რომ ვისის სიყვარული დაავიწყდა. ვაი მას, ვინც ასეთ შეყვარებულს მიენდობა! უბრძანა:

– მთვარეო, მითხარი, ვინა ხარ, სახელი რა გქვია და რომელ გვარს ეკუთვნი? გათხოვილი ხომ არა ხარ? თუ გაუთხოვარი ხარ, მე ქმრად მოგწონვარ თუ არაო?

ქალმა უპასუხა:

– როგორც მზის დამალვა არ შეიძლება, მე და ჩემი სახელი დამალული ვერ ვიქნებით. უბრალო გვარისა არა ვარ. ჩემი დედა გოჭარი გახლავს, ხოლო მამა – რაფელი. რაფელი, იცი, ამ სამეფოს პატრონია. მე თვითონ სახელად გული მქვია. შეხედულებით რაცა ვარ, თავად ხედავ, – მართლაც ვარდივით ფეროვანი და სურნელოვანი, ნაკვთად – მამისაებრ კარგი და სახედ – დედასავით ტურფა. მკერდი ვერცხლს მიგავს და ყელი – ბროლს. ყარყუმივით\* რბილი სხეული მაქვს და მუშკივით\* ფშვიადი თმა. რას მეკითხები ჩემს ვინაობას? მე ვინცა ვარ, ქვეყანამ იცის. და შენ თუ ჩემი სახელი არ იცი, სამაგიეროდ მე ვიცი, ვინა ხარ შენ. შენ რამინი ხარ, მოაბადის ძმა და ვისის საყვარელი. და ისიც გაგებული მაქვს, რომ ვისი სიცოცხლეს გირჩევნია. როგორც ბაღდადს ვერ მოაშორებ მდინარე ტიგროსს, ისე შენს გულს ვისის სიყვარულს ვერ მოაცილებ. შენ მისი დათმობა და ჩემისთანა ლამაზ ქალებთან ყოფნა არ შეგიძლია. არ შეგიძლია და ნუ შეგიძლია! მას შენ გაუბახებიხარ, შენ – იგი და ახია თქვენზე ყველაფერი. ქვეყანაზე ადგილი არ არის, თქვენს ამბავს არ ყვებოდნენ და თქვენს სახელს არ ათრევდნენო.

რამინმა უპასუხა:

– ლამაზო, შეყვარებული არასოდეს არ გაკიცხო! ფათერაკს გადაყრილი კაცი რომ ნახო, ღმერთს მისი შეწვევა თხოვე; ნუ მაყვედრებ! მე თვითონ ვწყევლი ჩემს თავს იმის გამო, რომ თავის ღრობზე ვისის გადავეყარე. ძველ ამბავს ნუ იგონებ, ახლანდელზე იფიქრე! ახლა კი ამას გეტყვი: ღმერთს უნდოდეს, ჩემი ცოლობა სანანებელი არ შეგექმნება. სულიც რომ მთხოვო, სულსაც არ დაგიკავებ. თუ შენი ქმარი ვიქნები, ვისის სახელს ხსენებითაც არ ვახსენებო.

გულმა უთხრა:

– ტყუილა ნუ მიგებ, რამინ, გრძნეულების მახეს! – ასე ადვილად ვერ დამაბამ. თუ შენ მართლა გინდა ცოლად გამოგყვე, ვისის სახელი უნდა დაივიწყო, მასთან დაბრუნება არ უნდა მოგინდეს, წერილიც კი არ უნდა მისწერო!

რამინი ამაზე მაშინათვე დათანხმდა. მოჰკიდეს ერთმანეთს ხელი და წავიდნენ რაფედის სახლში. იქ კი დიდებულების თანდასწრებით რამინს ფიცი დაადებინეს და გული ცოლად შერთეს. გადაიხადეს დიდი ქორწილი. ადგილი ორმოც ეჯზე\* იყო შეკაზმული, სეირის მაყურებლები კიდევ ბანებზე იდგნენ. მოქიფებებს წითელი ღვინო რომ ეჭირათ ხელთ, იფიქრებდით, სასმისი კი არა – ყაყაჩო უპყრიათო. ერთი თვე გაგრძელდა ქეიფი, ხალხი მოლხენისა და სმისაგან დაიღალა.

ახალი სიძე იხარებდა, ნადირობდა და ასპარეზობდა, სვამდა და თამაშობდა.

ერთ დღეს საწოლში მეუღლესთან ხალვათად რომ ნებივრობდა, რამინმა თავის ცოლს უყურა, უყურა და შემდეგ უთხრა:

– ქვეყანაზე შენსავით ლამაზი ქალი არავინ არის; თვით ვისიც კი ვერ მოვა შენთან, მაგრამ მთლად ვისის ჰგავნარ სიკეკლუცით და რომ გიყურებ, რა ვქნა, სულ იგი მაგონდებაო.

გულის ეს ეწყინა და რამინს უთხრა:

– უბიროვ და ღვთის უარმყოფელო! ხელმწიფისაგან განა ასე უნდა თავისი სიტყვის შესრულება? გეტყობა, თქვენს გრძნეულსა და ბოზ ძიძას ისე გაუფუჭებია, რომ ვერც შენ გაიხარებ ვერასოდეს და ვერც სხვას მიანიჭებ ბედნიერებას. განა შენ არ შემომფიცე, სანამ ცოცხალი ვიქნები, ვისის სახელს არ ვახსენებო? იგი რომ ისევ არ გიყვარდეს, იმ ფიცს არ დაივიწყებდიო.

რამინმა ეს რომ მოისმინა, გადაწყვიტა, თავისი ცოლისთვის ერთგულება და სიყვარული დაემტკიცებინა. მაშინვე ხელში საწერ-კალამი აიღო და ვისის ასეთი წერილი მისწერა:

„ვისი, თვითონ იცი, შენი სიყვარულით როგორ მქონია აბრუ\* გატეხილი და რა სირცხვილი მიჭამია. ყველას ჩემი სახელი ეკერა პირზე. შენი გადამკიდე სულ განსაცდელში ვიყავი, მუდამ სიკვდილის შიში მქონდა. სანამ შენ შეგეყრებოდი, ცა ქუდად მიმაჩნდა და დედამიწა – ქალამნად, მაგრამ როგორც კი შენ შეგიყვარე, სიხარული და სიამოვნება ასი ეჯის\* სიმორეზე დამშორდა. ახლა, მადლობა ღმერთს, შენგან ხსნილი ვარ. და თუმცა შენ სამუდამოდ გაგეყარე, სალამს მაინც მოგახსენებ. მე ღვთის შეწევნით ბედნიერად ვცხოვრობ. რაც შენ დაგეხსენი, ამოდ ვარ. როგორც მინდოდა, ეგეთი უნაკლო ცოლი შევირთე. ჩემი წარსული და შენთან გატარებული დღეები რომ მაგონდება, საკუთარი თავი მეცოდება. მიკვირს, შენგან აკიდებულ ამდენ ჭირსა და ნაღველს როგორ გაუძელი! სანამ ცოცხალი ვარ, მე ჩემს გულის არ მოვშორდები. მარავი – შენ და მაპი – მე, მოაბადი – შენ და გული – მე. ასე რომ, მეტად ნულარ მომელი და ნურც გზაზე გიჭირავს თვალი, იქნებ რამინი დამიბრუნდესო!“

ეს წერილი სამ კვირაში მარავს მივიდა. პირველად იგი შაჰ მოაბადს მიართვეს. მეფეს რამინის მიერ ვისისთვის ასეთი წერილის მიწერა ძალიან გაუკვირდა და გაუხარდა კიდევაც. იგი ბოლომდე რომ ჩაიკითხა, ვისის მიუგლო და სამახარობლო სთხოვა:

– ღმერთმა თვალი აგიხილათ. რამინს გორაბში ცოლი შეურთავს და შენ პირში ჩალაგა-მოვლებული დაუტოვებინარო.

ვისიმ წერილი რომ აიღო, ცეცხლის ალი მოეკიდა. ერთი გაფიქრება გაიფიქრა, თავს მოვიკლავო, მაგრამ ცალკე მოაბადის შიშის, ცალკე იქ დამსწრე ხალხის სირცხვილისა და ცალკე კიდევ რამინის ჯავრის გამო თავი შეიკავა. ყაყაჩოს იმით ჰგავდა, რომ პირი უცნოდა, გული კი გაშავებული ჰქონდა. გარედან რომ შეგეხედათ, სამოთხესა ჰგავდა, მაგრამ გულში ჯოჯოხეთის შავი კუპრი უღულდა. მოაბადს ასე მოახსენა:

– მე თვითონ ვთხოვდი ღმერთს, ჩემი მტრებისთვის ენა დაემოკლებინა. შენს საყვედურებსა და ეჭვებს რომ მოვრჩებოდე, ღარიბებს განვიკითხავ და ცეცხლის ტაძრებს სოფლებს შევწირავ, თუ მთვარე წამივიდა, მზე ხომ დამრჩა. და მზე იგი შენა ხარო.

ვისი ამას კი ამბობდა, მაგრამ მისი გული და ენა ერთმანეთს ისე არ ეხამებოდა, როგორც ცული მუტრბის\* ჩანგი და ხმა. მოაბადი რომ გარეთ გავიდა, ვისი ცულად გახდა, გული შევარ-

დნის კლანჭებში მომწყვდეული კაკაბივით უფეთქავდა. ძირს გორაობდა, მუშკის ფერი თმით იატაკს ხვეტავდა და მჯილის ცემით გულ-მკერდს იღებებდა. მოთქმით იძახოდა:

– ძიდავ! გაიგე, რამინს რა უქნია? წასულა და გორაბში ცოლი შეურთავს. ამასაც აღარ დამაჯერა და სამახარობლო წერილი მომწერა. რაზე საშველი გამოძინახე, თორემ თავი ცოცხალი არ მინდა. ჩემი სული რამინი იყო, მე სული იგი წამივიდა და აწი უსულოდ როგორ უნდა ვიცოცხლო?

ძიდავ დამშვიდება დაუწყო:

– განსაცდლისაგან როკაპსა ხარ დამსგავსებული. ნუ იკლავ თავს! თუ სული არ გედგება, ნურმც მოაბადი ყოფილა ამ ქვეყანაზე და ნურმც – რამინიო!

ვისიმ უპასუხა:

– ჭკუას ნუ მარიგებ და მოთმინებას ნუ მასწავლი! რაც გინდ მომთმენი იყოს, ცეცხლზე ვერავინ დაიძინებს. ჩემი საგებელი და თავსასთუმალი კი აგიზგიზებული ცეცხლია. შენგან ვარ ასეთ დღეში, ძიდავ, ეს შენ მასწავლე, რა იყო სიყვარული და მიჯნურობის კოცონი შენ ამინთე გულში. შენ ჩამაგდე ამ ორმოში. ახლა კეთილი ინებე და შენვე ამომიყვანე აქედან! ადექი, რამინთან წადი და ჩემმაგიერ ასე მოახსენე:

„ყოჩაღ, მოლალატევე, რა კარგად მოგიმართავს ავკაცობის მშვილდი! ბუნებით მორიელს გაგხარ, ქვაც რომ დაგიხვედეს წინ, იმასაც უკებნ-თქო. შენ თუ ახალი ცოლი შეგირთავს, ღმერთმა გიბედნიეროს, მაგრამ მეც ნუ დამაგლებ უიმედოდ. თუ წალკოტში ვარდი დაგიგავს, ღმერთმა გიხაროს იგი, მაგრამ იქვე აყვავებულ იას ნუ დაგლეჯ-თქო!“

ძიდავ რომ გორაბში ჩავიდა, გზაში ნადირობიდან მომავალი რამინი შემოხვდა. კარგად ენადირა. იმდენი ავაზა და ძაღლი მოსდევდა, რომ მიწაზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ქორებს, გაავაზებს\* და შევარდნებს კიდევ ჰაერი აევსოთ. რამინმა ძიდავ რომ დაინახა, გაჯავრდა. თავად ხომ არ მოიკითხა და არ მოიკითხა, არც ვისი უხსენებია, არც – მოაბადი და არც – მარავის ქვეყანა. კუშტად უთხრა:

– ეშმაკის ფეხო, შენი გრძნეულებით ათასჯერ მოგილორებივარ. ახლა კვლავ მოსულხარ და გინდა, შემაცდინო. მიბრუნდი და საიდანაც მოთრეულხარ, იქ წაეთრიე! ვისის უთხარი: რა გინდა ჩემგან? ღმერთს ნუ სცოდავ და საიქიო სასჯელს ნუ იმზადებ-თქო; ცოლს ქმარზე უკეთესი ამ ქვეყანაზე არავინა ჰყავს. ღმერთს კი შენთვის კარგი ქმარი მოუცია, მოაბადი შენი ქმარია და მე, თუ გინდა, შენი ძმა ვიქნები-თქო!

ეს რომ უთხრა, გამწყრალმა ცხენს მათრახი ჰკრა. ძიდავ მობრუნდა და მარავში წამოვიდა მტირალი და გულკვამლიანი. ძიდავ რომ ასეთ ხასიათზე იყო, ვისი რა გუნებაზე დადგებოდა, თავად მიხვდებით.

## მნუხარეზისაგან ვისის დასწელება

ვისი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. მისი სასთუმალი ყვითელი ვარდით გეგონებოდათ სავსე, ისეთი ფერი ედო. დიდებულების ცოლები სანახავად მოდიოდნენ, გარს შემოუსხდებოდნენ და მარჩილობდნენ, ნეტა რა ჭირსო? ზოგმა ზაფრა თქვა, ზოგმა – გრძნეულთაგან მოჩხიბულობა. რაც კი ქვეყანაზე კარგი ექიმი და ვარსკვლავთმრიცხველი იყო, თავზე დაახვიეს. ვერავინ ვერაფერი გაუგო. ვისი კი თავისთვის იტყოდა:

– მე გულში ცეცხლი იმიტომ მიკივია, რომ რამინი კვესია და მე აბედი ვარ. ჩემი წამალი სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილი. რამინმა სხვა ქალი შეიყვარა და მე ცოცხალი როგორღა უნდა ვიყო?!

შემდეგ თავისი მწიგნობარი მიშქინი დაიბარა (რომელმაც მათი საიღუმლო თავიდანვე იცოდა) და უთხრა:

– გინახავს, მიშქინ, ან გაგიგონია რამინივით გამწირავი შეყვარებული? ფრჩხილზე თმის ამოსვლას დავიჯერებდი, მაგრამ მისგან ასეთ ღალატს კი – არა. წელში გამტეხა რამინმა. განა

შეიძლება, კაცმა კაცს ამაზე უარესი უქნას: ჯერ წავიდა, მე გამწირა, ცოლი შეირთო და ამ საქმის სამახარობლო წერილი მომწერა?! შემდეგ ძიძა რომ გავუგზავნე, ქუშად დახვდა, ავინა და შინ რომ არ შეუპატიჟებია, ისე გზიდან გამომიბრუნა, თითქოს მანამდე იგი არც ცნობოდეს და ჩემს საბრალო ძიძას მის გამო თავს ათასი ჭირი და ფათერაკი არ გადახდომოდეს. მიშქინ, შენ ფრთხილი და სიტყვამიმხვდარი კაცი ხარ. რამინს წერილი მიმიწერე! თუ შენი კეთილი ენით მას უკან დამიბრუნებ, სიკვდილამდის შენი მსახური და მხევალი ვიქნებიო.

## ვისის პირველი წერილი რამინისადმი

„ეს წერილი მიერთვას ამწვანებულ კვიპაროზს გამხმარი ნაძვისაგან; ახალშენ წალკოტს – აოხრებული ბალისაგან; გამწირავსა და უპიროს – სიყვარულის სიკვდილის დღემდე მომტანისაგან; მორჭმულსა\* და გაზულუქებულს – დასაწყლებულისა და დაბეჩავებულისაგან.

იცოცხლე, რამინ, რომ წუთისოფელი ცვალებადია? კაცი ზოგჯერ სნეულია, ზოგჯერ კიდევ – ჯანმრთელი. ბოლო მაინც სიკვდილია და კაცზე იმის მიხედვით იმსჯელებენ, თუ ამ ქვეყანაზე მან როგორი საქმეები აკეთა. შენ თვითონ კარგად მოგეხსენება, ჩვენ ორში ვინა ვართ მართალი. მე ხომ სიწმინდით ცის ნამს ვგავდი და სიტურფით – ვარდის ფურცელს. ამ ქვეყანაზე არც ერთ მამაკაცს არ ჰქონია ბედნიერება, ჩემთან გულის ნება ეპოვნა. შენ დამიგე მე უწრფელობის მახე და შენ ჩამაგდე ამ ორმოში. უსინდისოვ! შენი ფიცი წყალივით დაუდევარი და ქარივით წარმავალი ყოფილა. აგრე გითქვამს: „მიფიცავს და ვისის აღარ შევეყრებიო“. შენ არ იყავი, რომ მეფიცებოდი, სანამ პირში სული მიდგას, არ გაგშორდებიო? რომელი ფიცი დავიჯერო? მე იგივე ვისი ვარ, პირი მზეს რომ მიგავს და თმა – მუშკს\*; მე იგივე ვისი ვარ, სანით ორი კვირის მთვარეს რომ ვგავარ და ტუჩებით – უკვდავებას. მე შენზე უკეთესს ბევრს ვიშოვნი, მაგრამ შენ ჩემისთანას ვერსად ჰპოებ.

ნუ იქმ, რამინ, თორემ ერთ დღეს შენს საქციელს რომ ინანებ, ვისისაგან პატიებას ვეღარ ეღირსები;

ნუ იქმ, რამინ, თორემ შენი ცოლი გული რომ მოგყირჭდება, ვერა ხერხით ვისის ვერ დაიბრუნებ;

ნუ იქმ, რამინ, თორემ ისევ ჩემთან მოხვალ და ტირილით ჩემი დარბაზის ზღურბლზე დაიწყებ ზღუქუნს!

შენ ჩემით და ჩემი ტუჩებით გაძეხი და შენი ცოლით, გულით, არ გაძლები?!

შე საწყალო, ერთი ხე ვიშოვეო, ტრაბახობ, და ეს არ იცი, რომ მთელი წალკოტი დაკარგა“.

## ვისის მეორე წერილი რამინისადმი

„ცის შვიდივე სფერო ქაღალდად რომ მქონდეს, ყველა ვარსკვლავი რომ მწერლად მყავდეს, ღამის ჰაერი მელანი იყოს და ქვიშაზე მრავალი ასოები გამოვსახო, შენმა მზემან, ჩემს შენდამი სურვილის ნახევარსაც ვერ გადმოგცემ.

შენგან მოშორებულს ძილი აღარა მაქვს, რამინ, და თუ დამეძინა, თვალწინ შენი სახე მიდგას. შენ რომ ისარივით სწორი ჩემი ტანი გახსოვს, იგი სულ შენზე ფიქრმა მოლუნა. ისე ვარ დალეული, რომ მნახველები ჩემს ლოგინთან როცა მოვლენ, ვერ მპოულობენ და ბუზღუნებენ: ჩვენი ავადმყოფი აქ რატომ არ არის, სანადიროდ ხომ არ წასულაო? აქამდე ჩემი კვნესით თუ ხვდებოდნენ, რომ კიდევ ცოცხალი ვიყავი, ახლა კვნესაც აღარ შემიძლია. ერთი ხეირი კი მაქვს ჩემი აგრე ყოფნისაგან: სიკვდილი რომ მოვიდეს და მთელი წელიწადი მეძებოს ლო-

გინში, ვერ მნახავს, აგრე ვარ დალეული. თუმცა ჩემი მტერი და მოსისხლე ხარ, რომ მნახო, შეგებრალები.

მეუბნებიან: სნეული ხარ და მკურნალი ეძებო! რა იციან იმათ, რომ სწორედ ჩემი მკურნალისაგან ვარ სიკვდილის პირას მისული. და მაინც, რამინ, არა ვარ მთლად იმედგადაწურული, არა მგონია, ღმერთმა ჩემი ელვარე მზე კიდევ არ მაჩვენოს. ამ წერილს თუ წაიკითხავ და მაინც არ შეგეცოდები, მართლა გულქვა და დაუნდობელი ყოფილხარ“.

### **ვისის მისამე წერილი რამინისადმი**

„მოუცილებლად ჩემგან საგონებელო, თუმცა შენ შენი სიბრიყვით გამწირე, მე ფიქრებიდან მაინც ვერ გიშორებ, უფრო ტკბილად მაგონდება და უფრო ხშირად გიხსენებ. მანამდის გდევ და გეპუდარები, სანამდის ჩემს სიმართლესა და შენს უსამართლობას შენ თვითონ არ აღიარებ.

მზეს ან მთვარეს რომ შევხედავ, შენი პირისახე მაგონდება; სადაც კვიპაროსის ხეს დავინახავ, შენი ტანი დამიდგება თვალწინ; სადაც ვარდსა ვპოვებ, შენი ღაწვები მგონია და ვკოცნი ხოლმე; ზოგჯერ შენზე საყვედურებს შენვე გიყვები. სიზმრებში რომ მეფერები, მღვიძარეს რა დავიშავე? ფხიზელი გეძახი, გიხმობ და არ მოდიხარ ჩემთან, მაგრამ რომ დამეძინება, მაშინათვე ჩემთან გაჩნდები. ესეც საქმეა თუ არა! ბედს ვუმაღლი, – ძილში მაინც ხომ გხედავ!“.

### **ვისის მეოთხე წერილი რამინისადმი**

„ეგრე მეტყვიან: „ვისო, ნუ კენესი! ერთი გაუტანელი საყვარლის გამო ასე რატომ იკლავ თავს! კაცს შეყვარებულს არა დაავიწყებს რა ახალი შეყვარებულის გაჩენის გარდა, შენ კიდევ რამინზე უკეთესი შეყვარებულები არ დაგელევიანო!“ ვინც ამას მეუბნება, მან არ იცის, რომ ვარდისწყალი რაც გინდა წმინდა იყოს, წყურვილს წყაროს წყალი უფრო კლავს. შენს ნაცვლად გული ვის მივცე, რამინ, როცა იგი მთლიანად შენ გაქვს წაღებული და მე მისგან ნაწილიც არ დამრჩენია?! ამ ქვეყანაზე კაცმა შეიძლება ყველაფრის მაგიერი იშოვოს, მაგრამ სული თუ წაართვეს, სულს რა უნდა შეუნაცვლოს? შენ კი ჩემი სული ხარ. რაც შენ გავეყარე, მას აქეთ პირი არ დამიბანია და ტანისამოსი არ გამომიცვლია, – შენი სურნელება რომ აქვს შემორჩენილი, არ მინდა, ის დავკარგო. ჩემი გული ფუნდუქსა\* ჰგავს, შიგ შენი სიყვარულის ქარავანი დგას და თუ მან ადგილი არ დაცალა, სხვა შიგ ვით დაეტევა! ნუ სულელობ და ჩემს სანაცვლოს სხვას ნუ ეძებ, ქვეყანაზე საშენო ქალი ჩემს გარდა არავინაა, და ვერც მე ვიპოვი სადმე შენს სანაცვლოს! რა უყვით, რომ შენ ნებიერი წითელი ვარდი ხარ და მე – შენი სიმორით დაზაფრული ყვითელი ბაია. ბაღში ხომ სხვადასხვა ფერის ყვავილები უნდა ეხამებოდეს ერთმანეთს!“

### **ვისის მესამე წერილი რამინისადმი**

„შეყვარებულის განშორებას არაფერი სჯობს, თუ მასთან შეხვედრის იმედი გაქვს. გულს ასე ვეტყვი ხოლმე: მოითმინე და სამაგიეროდ მისი დაბრუნებით იხარე-მეთქი! კაცი იადონს მთელი წელიწადი ზრდის და ელოლიაგება, რათა წლის ბოლოს მისი ტკბილი ხმა გაიგონოს. მეზღვაურები გაიხსენე, გულო, ისინი განსაცდელსა და შიშს იმისთვის აძლევენ თავს, რომ ბოლოს რაიმე სარგებელი ნახონ-მეთქი!

შენი სიყვარული ჩემს გულში მუდამ ხარობს. ბზის ხესა ჰგავს იგი, ზამთარ და ზაფხულ რომ მწვანეა. დღე და ღამე ვტირი და ამის მეტი არაფერი შემიძლია. გზაზე ვზივარ და გამვლელ-გამომვლელთ შენს ამბავს ვეკითხები. ისინი კიდეც ბუზლუნით მეუბნებიან: „რას კითხულობ ამ რამინის ამბავს, ხომ ხედავ, რომ არ გიბრუნდება ეგ შენი რამინი, მისი იმედი გულიდან ამოიგდეთ!“ მაგრამ მე მაინც გულში შენი ნახვის იმედს ვინახავ“.

### შენი მწვანე ნარილი რამინისადმი

„იყო დრო, რამინ, ასე თავგასული და ამპარტავანი არ იყავი და ასე მწარე-მწარე სიტყვებს არ ამბობდი. ასე მიუკარებელიც არ მახსოვხარ. მინახავს, როცა ამოიხრებდი, შენი ოხვრა ჰაერს აშავებდა. გაიხსენე, განა მაშინ მე შენთვის ისეთი ვიყავი, როგორც ახლა შენ ჩემთვისა ხარ? ახლა ჯამშიდ\* მეფეზე უფრო მორჭმულხარ. რატომ ხარ ჩემთვის ნალველივით მწარე, როცა სხვისთვის ვერე ტკბილი ხარ? ახლა შენ პირი გაზაფხულსა გიგავს და ღაწვებზე წითელი ვარდები გიყვავის, მაგრამ ესეც გახსოვდეს, შემოდგომა რომ დადგება, ის შენი ვარდები დაჭკნებიან! ნუ მიზამ, რამინ, ისეთ რამეს, რაც მე შენთვის არ მიქნია და ვერც ვიზამდი, რადგან მე შენსავით გამწირავი და დაუნდობელი გული არა მაქვს! მზესავით მაღალი რომ იყო, სალამოს მაინც ჩაესვენები. მე სიყვარულს ვაღვივებ, შენ – მტრობას; მე ცეცხლს ვაძლიერებ, შენ კი ამ ცეცხლზე წყალს ასხამ. არაშს\* იმიტომ აქებენ, რომ ისარი სარიდან მარავში მოუწვდენია. შენ გორაბიდან მარავში წარამარა ისვრი შხამიან ისრებს და მე ზედ გულზე მასობ. გმირობის სახელი არაშს კი არა, შენ გეკუთვნის, – შენ ასი ეჯით\* უფრო შორს ისვრი ისარს.“

მიკვირს, ასეთ დღეში გყავარ და მაინც რომ ვერ გელევი! ალბათ ან რკინა ვარ, ანდა – ქვა, თორემ იმის გაძლება, რასაც მე ვუძლებ, როგორ შეიძლება! მეუბნებიან: „ნუ ტირი, თორემ ამდენი ტირილისაგან, ხომ ხედავ, რას დაემსგავსეთ! მათ ავიწყდებათ, რომ ნაყოფს წვიმა ამრავლებს, ეგების ჩემ ცრემლებს ის შედეგი ჰქონდეს, რომ ჩემი შეყვარებული მოიყვანოს.“

### შენი მუხვიდე ნარილი რამინისადმი

„მშვენიერო, წამდაუწუმ მოსაგონარო! ასე ნაჩუმათევად რომ გაიქეცი და აქ უცხო ხალხში მარტო დამაგდე, რა იფიქრე? ახლაც რომ იქ შენთვის მორჭმით\* ზინარ და მე ასეთ საცოდავ დღეში გყავარ, შენგან დაკოდილ გულზე მაღამოს რომ არ მადებ, რა ჭკუას ემსახურები, ღმერთის მაინც არ გეშინია? მე ჭირად ის არ მეყოფოდა, რომ წამიხვედი, ახლა ესეც ზედ დამისართე, ვილაცა ქალი მამჯობინე და ცოლად შეირთე. შენ ის არა ხარ, ჩემი სიყვარულით გახელე-ბული რომ იყავი და ჩემი ნახვა ისე გსურდა, როგორც ირემს – წყაროსი? მე იგი არა ვარ, რომელმაც სიცოცხლე მოგეცი და ბედნიერება რა არის, გასწავლე? მაშ შენ ისევ ის თუ ხარ და მეც – ისევ ის ვარ, რატომ გამიორგულდი? გეტყობა, შეჭირვების ზღვაში იღრჩობოდი და მისი ღელვა აქეთ-იქით გახეთქებდა. შენ სხვა ცოლი იმიტომ შეგირთავს, რომ დამაღრჩავალი კაცი, ოღონდ გადარჩეს და, რაც ხელთ მოხვდება, იმას ჩაეჭიდება. არ მიკვირს შენგან ეს საქმე, ზოგი კაცი სუფრაზე ტკბილ საჭმელს ხელს არ აკარებს და ძმრიანს ეტანება. მაშინ ღვინის სმა გსიამოვნებდა და ახლა ნალვინეზე ღვინო აღარ გინდა, მაგრამ ხომ იცი, რომ ნამთვრალევის წამალი ღვინის მეტი არაფერია, ამიტომაც მეორე დილას გამოყოლილზე ისევ ღვინოს სვამენ.“

შენ მზე ხარ და მე – მთვარე, ამიტომ ორივე უკუნისამდე ერთად უნდა ვიყოთ. შენ ის ნუ მოგატყუებს, რომ ასე მომშორდი და მზესავით ანათებ! სინათლე შენ ჩემგან გაქვს და სადაც არ უნდა წახვიდე, ბოლოს ისევ ჩემთან მოხვალ. გულმაგარო, ადექი და წამოდი! ნურც მე მალონებ

ამდენს და ნურც შენ იტყუებ თავს! სიყვარულის ხე თუ მოკვეთე, გულთა შეერთებით იგი ისევ დაამყენ! – ხომ იცი, ნამყენი უკეთეს ნაყოფს იხამს“.

### **ჰისის მერვე წერილი რამინისადმი**

„გაზაფხულის მაწვიმარო ღრუბლებო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ!

ჩემი გული ფათერაკშია გაბმული და მოთმინებას მისთვის შეუთვლია: მე სამოთხის შტო ვარ და შენ ჯოჯოხეთში რად დამრგეო! მე მოთმინების ღონე არა მაქვს, ამიტომ დათმენას არც ვცდილობ და იგი არც მწადია. მე თუ უშენოდ გაძლება მექნა, მაშ ორგული და მოლალატე ვყოფილვარ. ჩემი სიცოცხლე და თავი შენთვის მაქვს მიბარებული და, შენ იცი და შენმა ღმერთმა, რაც გწადია, ის უქენი მათ! ჩემი ტირილითა და კვნესით მეზობლებიც შევაწუხე. მიჯავრდებიან: „ნუ ტირი, მოითქვი სული, შენც მოისვენე და ჩვენც მოგვასვენეო!“ როგორ მოვითქვა სული, როგორ მოვისვენო, როდესაც შეყვარებულმა დამაგდო და ახლა უიმისოდ ისე ვარ დარჩენილი, როგორც მეცხვარეების მიერ ველზე მიტოვებული ცეცხლი.

რამინ, ამ ზომამდე მაინც როგორ გამიმეტე, გულმა როგორ გიქნა ჩემი ასე გაუბედურება? ჩემს ძიძას შენ შვილივით არ უყვარდი? ჩემი მიზეზით ისიც რატომ გაამწარე?

ვამთავრებ ამ წერილს, თუმცა ჩემი საჩივრის მეასედიც არ მითქვამს. შენთან ჩვილს მაინც რა აზრი აქვს, – ჩემს საჩივარს ბოლო არ მოელება და ჩემს სათხოვარს შენგან ასრულება არ ეღირსება. წავალ და მას შევეხვეწები, რომელიც თავად ხედავს ყველაფერს, კარი რომელიც მან დამიკეტა, თვითონვე გამიღოს“.

### **ჰისის მეცხრე წერილი რამინისადმი**

„თვალცრემლიანი და პირდაყვითლებული ღმერთს ვემუდარები: ჰე, დამბადებელო, დაუსაბამოვ, მოწყალეო, ნებიერო, მაღალო და მდაბალო! შენა ხარ უღონოთა ღონე, შენა ხარ გაჭირვებულთა შემწე და ვნებულთა მოწყალე. ჩემს საიდუმლოს სხვასთან ვერავისთან ვიტყვი, შენ გეხვეწები, – შენ იცი ჩემი გასაჭირი და შენვე გთხოვ, მიხსნა მისგან! მოაქციე ის გულქვა ჩემკენ; მოაგონე მას ჩემი სიყვარული და საჩემოდ მოუღმობიერე გული; შენ დაიცავი, ღმერთო, იგი ყოველგვარი ფათერაკისგან და ჩემს მიჯნურობაზე მეტ ჭირს მას ნულარ მისცემ! ჩემი დღეები მას შემატე, – მისგან მოშორებულს მე მაინც რად მინდა სიცოცხლე!

ჩემი გული სალამს მოახსენებს იმ ტანნაკვითიანს, რომელსაც რკინის გული უძევს მკერდში; სალამს მოახსენებს იმ იაგუნდს, რომელსაც ოცდათორმეტი მარგალიტის მარცვალი აქვს აცმული; სალამს მოახსენებს იმ მოცინარე ვარდს, რომლისგან მე ნიადაგ მტირალი ვარ“.

### **ჰისის მათე წერილი რამინისადმი**

„ჰე ფიცის გამტეხო და მატყუარავ! შენი სიავისაგან ისეთი ჭირი მაქვს გადახდილი, რომ ათასჯერ სიკვდილი მინატრია. რაც შენ ჩემთვის ავი გიქნია, სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის! მაგრამ ეგეც იცოდე, რამინ, რომ მართო ჩემთვის არ გიქნია შენ ცუდი, შენი თავისთვის უფრო მიგიყენებია ვნება, რადგან თავი მთელი ქვეყნის საარაკოდ გიქცევია.

შენზე ასე დაწერენ: ფიცი გატეხა, ძველი მოყვარე გაწირა და ახალი მტერი დაიმოყვარა. ასე რომ ზურგი გვაქციე, სად იპოვნი ჩემსავით გულით მოყვარულ სატრფოს, მშობელივით ღმობიერ მოაბადს, ხორასანივით საამურ ქვეყანას და მარავივით დიდებულ ქალაქს? მოაბადს

მხოლოდ სახელი ჰქონდა ხელმწიფისა, თორემ სინამდვილეში შენ იყავი ქვეყნის პატრონი. მისი საგანძური მე მებარა და რაც მასში ინახებოდა, ყველაფერი შენ გეკუთვნოდა. საუკეთესო ცხენებს არავინ გიკავებდა, ავაზები, ქორები და ძაღლები შენი იყო. ყველაფერ ამას ხელი ჰქარი. ვინ ქნა გონიერმა, რაც შენ ჩაიდინე? ერთი ვარდი არჩიე მთელს წალკოტს!“

აღინამ წერილი აიღო და გზას გაუდგა. ორ კვირაში მარავიდან გორაბში ჩავიდა. ვისი ტიროდა: „ნეტავ, თუ წაიკითხავს ჩემს წერილს რამინი? ნეტავ, გაიგებს, რა ცეცხლი მინთია გულში? ნეტავ, შევებრალები და პასუხს მაღირსებს? იმედს მომცემს და გულს დამიამებს? რა ვქნა, შეყვარებულს ამაზე მეტი რა დაემართება, რომ დღე და ღამე წერილის მოლოდინში იყოსო!“

## რამინმა ვისის სიყვარული გაიხსენა

რამინმა ერთ ხანს გულისთან, თავის ცოლთან, რომ დაჰყო, მასთან ცხოვრება მოსწყინდა, რამინის სიყვარული ხარბ კაცს ჰგავდა. სანამდის ფხიზელი იყო, სატრფო უნდოდა, რომ დათვრა, მისი სურვილი აღარ ჰქონდა.

ერთ დღეს გაზაფხულის პირზე ველად გავიდა. ბუნება აყვავებული იყო. ერთმა კაცმა იის კონა მოართვა. რამინმა იის კონა რომ დაინახა, ის დღე მოაგონდა, ვისის რომ შეჰფიცა, შენი სიყვარული ყოველთვის მექნება და არასოდეს გიღალატებო. ხომ გახსოვთ, ვისმა მას იის კონა რომ მისცა და უთხრა: სადაც ახალშემოსულ იას დაინახავ, ეს ფიცი მოიგონე, ასე ლურჯი და თავჩამოგდებული იყავი, თუ ჩემი ფიცი გატეხო! რამინს ეს ფიცი რომ მოაგონდა, საწუთრო დაუბნელდა. თვალები ცრემლებით ავესო და თავში ხელი ირტყა, ეს რა მიქნიაო!

ვისის სიყვარულმა ისევ მოუარა. მზე ღრუბლიდან რომ გამოვა, უფრო იკბინება. გზას გადაუხვია, ცხენიდან ჩამოხდა და ხმამაღლა ტირილი დაიწყო:

– ეს რა ქენი, გულო? გორაბს ჩამოდი და ფიცი გატეხე. ცოლი შეირთე და ვისი გასწირე. ვნანობ, რომ მოგისმინე და ჩემი სადავე ხელში მოგეცია, რა ვქნა, ჩემი სულის წამლებსაგან შენდობა როგორ ვითხოვო?

ამ დღეში რომ იყო, მისი სიამამრი რაფედი წამოეწია. ყური მიუგლო და რადგან რამინი ხმამაღლა მოთქვამდა, ყველაფერი მოისმინა. რამინთან მივიდა და უთხრა:

– ცხენოსანთა გვირგვინო, მგლოვიარესავით გამოიყურები. რა გაქვს სატირალი? თავად ხომ ყველასათვის სანატრელი ყმაწვილი ხარ, ძმაც ისეთი დიდი ხელმწიფე გყავს, როგორიც შაჰი მოაბადია. მეტი რა გინდა! უმიზეზოდ ნუ უჩივი ბედს! – უსამართლო წუწუნი ღმერთს წყინსო.

რამინმა სიამამრს ასე უპასუხა:

– ჩემი ჭირი არ იცი და იმიტომ მეუბნები ასე. გორაბი შენი ქალაქი და სამშობლოა, ირგვლივ ნათესავი და ახლობელი გახვევია. ჩემსავით ყარიბად\* კი არა ხარ აქ. შენი სულ მშურს: საიდანმე რომ დაბრუნდები, ცოლი, შვილები და მახლობლები შემოგეგებებიან ხოლმე და ხართ ჯაჭვივით ერთმანეთზე გადაბმული. მე აქ არც ნათესავი მყავს და არც მოყვარე. იყო კი დრო, ესენი რომ მეც მყავდა და მათში რომ ვხარობდი. რა საამო იყო მისი ნაზობა, წყრომა და ნებეირობა! რა საამო იყო ჩვენი მოქცევა ერთმანეთისადმი, ზოგჯერ ღმობიეობა, ზოგჯერ სიქუშე, ზოგჯერ წყრომა და ზოგჯერ ყმაწვილობა, ზოგჯერ სიცილი და ზოგჯერ ტირილი! თურმე რა ტყუილა ვუჩიოდი ბედს მასთან ყოფნის დროს, უბედური და საბრალო ვარ-მეთქი, რომ გამბობდი, უბედური და საბრალო ახლა ვარო!

რაფედმა, ნადირობიდან რომ დაბრუნდა, ყველაფერი, რაც ნახა და მოისმინა, თავის ასულს, გულის, უამბო:

– რამინი ავ სულსა ჰყავს შეპყრობილი. შენი სიყვარული დააგლო და კვლავ ვისი გაიხსენა. რაც გინდ პატივი სცე, მაინც შხამიანი გველია. მან ვისის უღალატა და შენ გიერთგულებ-



და?! ხომ იცოდი, რა კაციც იყო, რატომ გაჰყევი ცოლად?! მაგრამ ასეთი ყოფილა, შვილო, შენი ბედი და აწი ფუჭი საუბარი ჩვენთვის უსარგებლოა.

ამ ლაპარაკში რამინი შემოესწროთ. დაღვრემილი იყო და დანა პირს არ უხსნიდა. მისი ცოლი გული წინ უჯდა. გული, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ლამაზი და მომაჯადოებელი იყო, პირი სავსე მთვარეს უგავდა. მაგრამ რამინი მას ყურადღებას არც აქცევდა, ახლა მას ვისი ენატრებოდა და მის იქით თუ რამე არსებობდა, არც ახსოვდა. იმაზე ფიქრობდა, თუ ვისის როგორ და რა პირით შეხვდებოდა. „ვისის ახლა ჰგონია, მე ჩემს ცოლთან ვიშვებ და ის კი არ იცის, მისი სიყვარულისა გამო გულში რა ცეცხლი მინთიაო“.

გორაბიდან სასწრაფოდ გაქცევა გადაწყვიტა და ახლა გულში იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოება ამ საქმისთვის თავი. სხვა გზა არ იყო, მარტო უნდა გაპარულიყო ულაშქროდ და უამხანაგოდ. მაგრამ მარტო სიარულიც საშიში იქნებოდა, გზები თოვლს შეეკრა, წყლებს ფონები მოეშალათ, მანძილი შორი იყო. ძნელი და ფათერაკიანი გზა ელო წინ, მაგრამ ეს გზა ისე არ აფიქრებდა, როგორც ვისის წყრომა. იცოდა, რომ იგი არ შეუნდობდა. „ვისის მზის მსგავსი პირისა და გრდემლივით მაგარი გულის მეშინიაო“ – ფიქრობდა დაღონებული.

„ყველგან ჩემი ამბავი ისმის და ყოველ ქვეყანაში მე მახსენებენ. ქალაქში ჩემზე სიმღერებს მღერიან, ველზე მეცხვარეები ჩემი ამბების მოყოლით იქცევენ თავს, ქალები ჩემი და ვისის შესახებ ჭორაობენ, კაცები ბაზარში ჩემზე ყბელობენ და ყმაწვილები შუკებში ჩემზე შეთხზულ სიმღერებს მღერიან. მე პირი სიბერისკენ მიქნია და სიყვარულისგან კიდევ ვერ გავმძლარვარ. ჩემი ტოლები თავიანთ ცოლ-შვილში ხარობენ და რაც უნდათ, იმას აკეთებენ, ზოგჯერ ცხენს კაზმავენ, ზოგჯერ აბჯარს ისხამენ, თამაშობენ, ნადირობენ და ერთობიან. ზოგი მეცნიერებას არის გამოკიდებული. მე კი არც აქ გამიხარებია თავი და ამდენი ფიცის გატეხისათვის სიკეთეს ვერც სასუფეველში მოველიო“.

უცბად წამოდგა და გარეთ გამოვარდა, ცხენს მოახტა და, ჯაბანი კაცი ბრძოლის ველიდან რომ გამოიპარება, ისე გამოიქცა გორაბიდან მარავში.

გზაზე ვისის მწიგნობარი აღინა შემოხვდა. თითქოს ვისი ენახოს, ისე გაუხარდა რამინს აღინას დანახვა. მხიარულად მოიკითხა. ცხენები მიაბეს და მწვანეზე ჩამოსხდნენ. აღინამ მოახსენა, თუ რისთვის იყო წამოსული, ვისის წერილები მართვა და ნიშნად გამოტანებული რამინის სატროფოს პერანგი და თავსაბურავი წინ დაუდვა. რამინმა რომ ვისის ნიშნები დაინახა, გული წაუვიდა. გონზე რომ მოვიდა, წერილები წაიკითხა, წერილებსა და პერანგს ხან პირზე დაიდებდა, ხან – მკერდზე. ისევ დაკარგა გონება. აზრი რომ მოიკრიფა, ვისის საპასუხო წერილი მიუწერა:

„ცოდვილი ვარ და შენთან შეხვედრის მეშინია. ვაი თუ ის მიყო, რისი ღირსიც ვარ! თუმცა მტრობის ეშმას პირველმა შენ უხმე და შენ შემავალიანე ამ შეცოდებისათვის, ნება შენია, რაც გწადია, ის მიყავი! მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ რაც მოგშორდი, თითქოს ვეშაპის ხანაში ვიყავ მომწყვდეული, ისე ვგრძნობდი თავს, ამის მოწმედ გაყვითლებული ლაწვები მეყოფა და მოფიცრად – ცრემლიანი თვალები. დავივიწყეთ წარსული და თავიდანვე შევევუთო ერთმანეთს. შენი სიხარული უჩემოდ არ იქნება და ჩემი ნეტარება უშენოდ არ გამოვა. შენი წამწამების ისარი და ჩემი ხმალი ერთად უნდა იყვნენ და მაშინ მტერი ჩვენზე ვერ გაიხარებს. შენი წერილი გზაზე შემომხვდა და მოკლე პასუხსაც საჩქაროდ გიწერ. წერილს მეც უკან მოვეყვები“.

აღინამ წერილი აიღო და სასწრაფოდ მარავში მობრუნდა. რამინიც მას მიჰყვა, ერთმანეთს ერთი დღის სავალით შორავდნენ.

თუმცა მიჯნურობა ჭირია, ორი ნეტარება მაინც ახლავს: ერთი, წერილის მოსვლის მოლოდინი და მეორე, შეყვარებულთან შეხვედრა. ვისიც ასე იყო, ყოველდღე მოელოდა აღინას მოსვლას და რამინის ამბავს. აღინა შორიდან რომ დაინახა, ასე გაუხარდა, თითქოს თვითონ რამინი ჩამოსულიყო. მოციქულმა ყველაფერი წვრილად მოახსენა და ისიც ახარა, საცაა თვითონ რამინიც გამოჩნდებოდა. ვისის ის დაემართა, რაც რამინს მოუვიდა, შეყვარებულის წერილს ხან პირზე იდებდა, ხან – მკერდზე, ხანაც კიდევ გული მისდიოდა.

მეორე დღეს აბანოში შევიდა, მოიკაზმა, თვალმარგალიტიანი კაბა ჩაიცვა და თავზე გვირგვინი დაიდგა. მთვარე დაბნეულა მისი სიტურფისაგან. მისი თმის კულულები ზანგთა ლაშქარი

იყო, მისი ტუჩები ათასი ქალაქის სწულებს წამლად ეყოფოდა. საყვარლის მოლოდინის ცეცხლში იწვოდა და მოთმინება დაკარგული ჰქონდა. ბანზე იდგა და გზისაკენ იყურებოდა. მოუსვენრობისაგან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და ისე ხტუნავდა, როგორც მარცვალი ცხელ კეცზე. შელამდა და რამინი მაინც არ ჩანდა. დაწვა, მაგრამ არ დაეძინა, თითქოს ლეიბად ეკალი და ბირკი გებოდა. მამლის ყვილის ჟამს ცოტათი მითვლიდა, მაგრამ მაშინვე ყვირილით ზე წამოიჭრა. ძიძა მივარდა, რა მოგივიდაო?

– რამინი ვნახე სიზმარში. ხელი მომკიდა და მითხრა: „შენთან მალულად მოვედი, მტრებისა მეშინია, ისინი შენ ჩემგან გიცავენ. მოიბრუნე ჩემკენ გული, ნულარ მიწყრები, შენებურად ვნებიანად მომეხვიე და შენი ტუჩების კოცნით უკვდავი გამხადეო“.

## რამინის ჩამოსვლა მარავში

რამინმა რომ შორიდან მარავი დაინახა, გული აუჩქროლდა. ღმერთს მადლობა შესწირა და მშობლიურ ქალაქს შორიდან ასე მიმართა:

– ტკბილო მარავო! ხელმწიფეთა საჯდომო, დამწუხრებულთა გამამხიარულებელო, ღარიბთა გამამდიდრებელო, მზის სამყოფო, მთვარის სადგომო და ჩემი გამახელბეელი სატრფოს დარბაზო!

თავის ქვეყანასავით კაცს სხვა მხარე არ ეამება, პირველი სიყვარულივით გულს არაფერი ეფონება.

რამინი ვისის კოშკს მიადგა.

ვისის გუშაგი დაეყენებინა რამინის მომლოდინედ. გუშაგმა იგი შორიდან იცნო თუ არა, მაშინვე ძირს ჩამოვიდა და ძიძას აცნობა. ძიძამ ვისის ახარა:

– მოვიდა მუდამ საგონებელი შენი ლამაზი ხელმწიფე. საშენო დარია. გაიხარე! აქამდის ღამე სიბნელით შენს თმას ჰკავდა, ახლა კი შენი პირის მსგავსად განათებულაო!

ვისიმ ძიძას სთხოვა:

– შაჰინშაჰს ძინავს, მაგრამ მეშინია, ვაი თუ გვივრძნოს და გამოიღვიძოს! ღმერთს გაფიცებ, შედი და ძილი შეუკარი, რათა დიდი ხანი არ გაეღვიძოსო!

ძიძამ მოაბადს ისე შეულოცა, ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, ვერაფერს გაიგებდა.

შემდეგ ვისიმ კუშტი სახე დაიყენა და სარკმელთან დაჯდა. რამინი რომ დაინახა, გული გაუნათდა, მაგრამ არ შეიძინა, რამინს არც მიაქცია ყურადღება და ცხენს უთხრა:

– სპილოსავით ძლიერო მერანო! შვილივით მიყვარდი და გივლიდი, ოქროს ბაგაზე აბრეშუმის ავშარით მყავდი დაბმული. განებივრებდი. რატომ წამიხვედი და ახორი რატომ დამიგდე? სხვა ახორებსა და ბაგას რატომ დახარბდიო?

რამინმა რა დაინახა, უჯავრდებოდნენ, ვისის მუდარა დაუწყო:

– ჩემი გულისა და გონების წამლებო, რატომ მიმალავ პირს? მე შენი რამინი ვარ და შენ ვისი ხარ, ჩემი პატრონი. მე იგივე ვარ, რომელიც ადრე გინახივარ, შენც იგივე არა ხარ? ამდენი ხნის განმავლობაში შენზე ფიქრით ერთი დღე არ დამისვენია და ერთი ღამე არ დამიძინია. ჩვენ ერთმანეთთან მოციქული არ გვჭირდება. ვარ დამნაშავე. ალვის ხეს ტირიფი ვამჯობინე და პატიოსან თვალს ქოთნის ნატეხი ვარჩიე. პატიებასა გთხოვ, მოიბრუნე ჩემზე გული, მე ცუდი ვქენი, შენ კარვით გადამიხადე! ცოდვილი ვარ და ჩემს საქციელს ვნანობ. თუ ჩემს მუდარას არ შეისმენ, აქვე შენი კარების წინ მოვკვდები. მარტო მე არ დამმართნია ასეთი საქმე. შეუმცდარი ვინ არ ყოფილა: ბერები შეცოდავენ ხოლმე, ფილოსოფოსები შეცდებიან, მალი ცხენი წაიქცევა, ბასრი ხმალი დაბლაგვდება, მეც ფათერაკად შევცდი და შენდობასა გთხოვ, ბოლოსდაბოლოს შენი სტუმარი ვარ, სტუმარს ყველა პატივს სცემს და შენც კარში ნუ გამაგებო!

ლომღვით განრისხებულმა ვისიმ უპასუხა:

– წადი, რამინ, და ჩემი იმედი გულიდან ამოიგდე! ვითომ არც მე მიცნობ და არც ოდესმე მარავი გინახავს! ერთხელ მომალორე და ქვეყანაზე თავი მომჭერი. ახლა კიდევ გინდა, ეს შენი

ავი საქციელი გაიმეორეო. მაგრამ უკვე ვეღარ მომატყუებ, ისეთი ფიცი გატეხე. წადი და ეგეთები შენს ცოლთან ილაპარაკე! მე ჩემს მოყვარულ ქმარს, ჩემს ხელმწიფეს ვეღარ ვუორგულებ. შენსავით მოლაღატე კი არ არის. ახლა, ვენაცვალე მას, სმად ზის და მე მელოდება. მეშინია, ძებნა არ დამიწყოს და არ შევაწუხო. ისიც მეყოფა, რომ ჩემი სიყრმე შენს სიყვარულში ცუდად წავახდინე და ხელთ ქარის მეტი არა შემრჩა რა. გაბრუნდი უკან, აქ ტყუილა მოსულხარ. შუალამე გადასულა, ცივი ქარი ქრის და ორი მტკაველი თოვლი ძევს; არ გაცივლე და არ მოკვლე; ღმერთმა შენს ცოლთან, გულისთან, ძილი და წოლა გაამოსო!

თოვლა, როგორც შეეძლო. რამინი ამ თოვლში გაუნძრევლად იდგა, სველი ტანსაცმელი ტანზე ისე შეჰყინოდა და გამაგრებოდა, კაცს რკინისა ეგონებოდა.

ვისი სარკმელს მოსცილდა და ტირილი აუვარდა:

– ისეთი თოვლი და ყინვაა, რომ კარში კი არა, შინ ითოშება კაცი. ღრუბელო, შეანელე თოვა და ჩემი რამინი შეიცოდეთ!

შემდეგ ისევ მივიდა სარკმელთან და რამინის ცხენს გაუბა საუბარი:

– შენ მე შვილივით მიყვარხარ. არ მინდა, ასეთ თოვლსა და წვიმაში ითოშებოდე, მაგრამ მე ნუ მემღურვი, ავი ამხანაგი გყავს და მისგან გჭირს ეს ამბავი. შენი ბრალია, არ იცოდი განა, რომ დასვენება და მგზავრობა კარგ კაცთან უნდა? წადი და ახორი\* და საკვები მასთან ძებნე, ვისთვისაც მე მიგიტოვებე ვარო!

შემდეგ რამინს მიმართა:

– წადი, რამინ, უკან გაბრუნდი! რასაც მე შენ ახლა გიშვრები, იმის სანაცვლოა, რაც შენ ჩემთვის გაგიკეთებია. რადგან ძველი საყვარელი არ გწყალობს, ახალ გულის სწორს ეალერსე. ძველი დრაჰკანი\* და ძვირფასი თვალთა, კარგი რომაა, თორემ შეყვარებული ახალი უფრო ტკბილია.

დაგავიწყდა, წერილი რომ მომწერე, მათრიე და მაგინე? ჩემთან შენს გარდა არავინ წოლილა, შენს გარდა მე სხვა სიყვარული არ მიძებნია, შენ კიდევ ასე გადამიხადეთ.

დაღონებულმა რამინმა უპასუხა:

– შენი ენა და გული ერთმანეთს არ ემოწმებიან. მე თუმცა მეტად შეგცოდე, ჩემდამი ასე მოპყრობა მაინც არ გმართებს! სამოთხეში მყოფმა ადამმა შესცოდა ღმერთს და მე რომ შემშლოდა, რა გასაკვირია, მეც ხომ მისი ტომი ვარ?! შეცოდებას შენდობის გარდა სხვა წამალი არა აქვს. მეც, რაც დამსაჯე. მე თოვლსა და ბუქში ვდგავარ და შენ კიდევ შებრალება არც გიფიქრია. გული ქვისაც რომ მქონდეს, შენს სიშორეს მაინც ვერ გაუძლებსო.

ვისიმ მიუგო:

– რამინ, შენგან მოყენებულ ჭრილობას შენი სიყვარული ჩემი გულიდან ისე გაუძევებია, რომ მისგან კვალიც არ დარჩენილა. შენც იცი, რამდენი ჭირისთვის გამიძლია შენს გადამიკდეს. შენ რითი გადამიხადე? რასაც დათესავ, იმას მოიმკი. სხვა ხომ მამჯობინე? შენ მას შეეფერები და იგი შენ შეგფერის. წახვედი, ორბივით მძორს მიაძეხი და ახლა უკან ბრუნდები? გაუტანელო! ცხენი გაყიდე და ნაცვლად ვირი იყიდე, რა კარგად ივაჭრე! მე შენ ირმის მომნადირებელი ლომი მეგონე, შენ თურმე ბერი მელა ყოფილხარ, ათასი ხრიკით კურდღლის ძლივს შემპყრობელი. რად დადგი ღვინის ჭიქა და ხელთ ძმრის თასი რად აიღე? ის არ მეყოფოდა, რომ დამაგდე, ვილაც გომბიო შეირთე და გასამასხრებელი წერილი გამომიგზავნე, ეს არ მეყოფოდამეთქი, გეუბნები, ძიდა რომ ასე შეურაცხმიყავი და უპატიოდ უკან გამომივდე! მე წმინდა წყარო ვარ, რომელსაც დამეწაფე და წყურვილი რომ მოიკალი, შიგ მიწა ჩააქციე. ახლა ისევ მოგწყურებია და წყურვილის მოსაკლავად კვლავ მომადექი.

რამინმა ეგრე უპასუხა:

– ჩინურო ყვავილო, ნათქვამია, წუთისოფელი წისქვილის დოლაბივით ბრუნავსო. ღმერთს ასე დაუწესებია: ზოგჯერ ცხელა, ზოგჯერ ცივა. ჩვენც საწუთროს შვილები ვართ. სურვილის ხელში გული უძღურია, კაცი საწადელს რომ ეწევა, მაშინათვე გაძლება. მეც კაცი ვარ და ერთ საქმეზე ჟამმა არ დამაყენა. რომ მივდიოდი, მეგონა, უვისობას მოვითმენდი. მეგობრებმა შემაგონეს: ძველ სიყვარულს ახალი მიჯნურობით დაჯავბნიო. მეც მათი რჩევით წავედი გორაბში\*, თორემ, შენც იცი, ჩემი თვალის სინათლე შენ იყავი და ხარ. როგორც მწყურვალი – წყალს, მე

შენი პირის ნიშანს დავეძებდი. ამ ძებნაში რომ ვიყავი, გული შემომხვდა. გული ვარდს ნიშნავს და ვიფიქრე, თავისი სეხნიის მსგავსად სათნო იქნება-მეთქი. ამით შაჰინშაჰს ღიად ვასიამოვნე. მაგრამ უშენობა მე არ შემეძლო, დაკარგი ფეხი და შენკენ გამოვიქეცი. შენა ხარ ჩემი მტერიც და მოყვარეც, – ავიც შენგან დამემართება და კარგსაც შენგან მოველო.

ვისიმ, მტირალმა, რამინს ასე უპასუხა:

– კარგი, რამინ, დამიჯერებია შენი ტყუილები: ჩემი პირის ნიშანს ეძებდი და იმიტომ შეიყვარე გული, უჩემოდ შენი ცხოვრება ტანჯვა იყო და სხვასთან იმიტომ ნებივრობდი. ეს მითხარი, ის დამამცირებელი წერილი რატომ გამომიგზავნე? ძიძას ასეთი შეურაცხყოფა რად მიმიყენე და ძალღვივით რატომ გამომიგდე? შენ წყალი ხარ და მე – ცეცხლი. წყალი და ცეცხლი ერთად როგორ მოთავსდებიანო!

რამინმა ღმობიერად დაუწყო:

– შენმა წყრომამ ორნაირ სიკვდილს გადამახედა. ორი ღამე მიდგას: ერთი სიბნელისაგან და მეორე – შენი რისხვისაგან. ჩემმა ცხენმა მაინც რა დაგიშავა? ჩემთვის თუ საჯდომი და საგებელი გენანება, ამისთვის მაინც გამოიმეტე ცოტა ბზე და ქრთილი! ვითომ მე არც მიცნობ, ერთი ვინმე უცხო სტუმარი ვარ, სტუმარს ცხენი დაუბინავე! და კაცმა რომ თქვას, ჩვენს შორისაც რა მოხდა ასეთი? სისხლი ჩვენ არ გვმართებს ერთმანეთისა და ძველი მტრობაც არა გვაქვს. მე არც ისეთი ვარ, რომ თოვლმა და სიცივემ შემაშინოს. აქედან ფეხს არ მოვიცვლი. თუ მოვკვდები, შენთვის სიკვდილი არ მერცხვინება. ჰოი, ზამთრის ბუქო, მოუმატე ყინვასა და თოვას, რათა, რაც შეძლება, ჩქარა აღმომხდეს სულიო!

ვისიმ უპასუხა:

– შეყვარებულის გამწირავო, შენი უტყინო თავით გადაეყარე ამ ფათერაკს. რისთვის მოსულხარ ამ ქალაქში? მარავში შენ სახლი არა გაქვს და მოყვრები არა გყავს. ტყუილა ნუ დგახარ ამ თოვლსა და ყინვაში. გირჩევნია, ისევ შენს ცოლს, გულის, დაუბრუნდე! ეს დარბაზი შაჰი მოაბადისაა. იგი სტუმართმოყვარე დარბაზი კია, მაგრამ სტუმრისათვისაა ასეთი და არა – ახლობელთა შემარცხვენელისათვის. შენ მოაბადის სასახლეში როგორ შემოგიყვანო, როცა სადაც დგახარ, იქ ღვომის ღირსიც არა ხარ! თოვლიო, ამბობ. სახლიდან რომ გამოსხვედი, არ იცოდი, რომ ზამთარი იყო და თოვლი და ბუქი იქნებოდა? როცა ნებიერად იყავი და ხარობდი, მაშინ არ იყავი ჩემი და ახლა თოვლსა და ბუქში რომ ითოშები, ჩემი გახდი?

გულგატეხილმა რამინმა მოახსენა:

– ნამეტანს ნუ მიზამ, საყვარელო, მეყოფა ამდენი აბუჩად აგდება და ლანძღვა-გინება! მეტის გაძლება აღარ შემეძლია. ამაზე მეტი რა დამემართება, რომ მეუბნები, სადაც დგახარ, იქ ღვომის ღირსიც არა ხარო! ქუჩა გშურს ჩემს სადგომად? მე მივდივარ, ეს გადაწყვეტილია, მაგრამ ასე დასაწყლებულ კაცს ერთი სიკეთე მაინც მიქენი, სახსოვრად შენი თმის ერთი კულული გამატანეო!

ვისიმ უპასუხა:

– რამინ, ხომ უნდა იცოდე, რომ შენი სიყვარული მე ვეღარ დამაჩოქებს და ნაღველს შაქრის სიტკბო არ მიეცემა. მე იმას ვნანობ, ეს ვინ მყვარებია აქამდე, თურმე ვის გამო ვტიროდი და ვის მოველოდი სიხარულით! მე ახლა შენზე აღარც მეტირება და აღარც მეცინება. ჩაქრა ის სიყვარულის სანთელი. გაგძეხით, ბატონო, შენისთანა შეყვარებულებისაგან. შენი შორიდან დანახვაც კი გულს მირევს. ყველაფერი გამომეცვალა: თვალები, რომლებითაც შენ გიყურებდი და ყურები, რომლებითაც შენ გისმენდი. ბედნიერი ახლა ვარო.

რამინი მაინც არ მოეშვა:

– შენ თავიდან კი მიშორებ და შორს მერეკები, მაგრამ მე მაინც ვერ გელევი. ვიცი, რომ გძულვარ და მმტრობ, მაგრამ მე მაინც ვერ გეშვები. მეტის ღირსი არცა ვარ: შენგან გინება ხამს, ჩემგან – ქება, შენგან – კუშტობა, ჩემგან – ღმობიერება, შენგან – გაწყრომა, ჩემგან – შეგუება და ძველებური სიყვარული. შენგან წყევლა კურთხევად მიმაჩნია და გინება – მუტრიბთა\* საამო ხმადო.

ვისიმ უპასუხა:

– ერთ ერთს ლაპარაკობ და გულში სხვა გიძევს. გულში შხამი გაქვს დაგროვებული და ენაზე შაქარი გაყრია. გეყოფა, რამინ, რაც უფრო ნაკლებს ილაპარაკებ, გირჩევნია; შენც სულს მოითქვამ ამდენი ყბედობისაგან და მეც მოვისვენებ შენი ყურებისაგან! ჩემი ცხოვრების ნახევარი შენგან გაბახებულმა და შერცხვენილმა გავატარე და ახლა მინდა, რაც დღეები დამრჩენია, ღირსეულად განვვლო. მეყო! რაც კარგი გიქენი და გიერთგულე, სულ მანანე. შენკენ რომ გული მოვიბრუნო, განა შენ თვითონ არ გაგიკვირდება და არ იტყვი: ეს ვინ ყოფილა, შიშსა და ჭირს ერთხელ ძლივს გადაურჩა და ახლა თავისი სირეგვინით ისევ გაება ბადეშიო!

რამინმა უთხრა:

– ნუ გამწირავ, ვისი! შენი გული და ენა ერთმანეთს არ ემოწმებიან. მრისხავდეს ღმერთი, შენ ისევ ძველებურად ძლიერ თუ არ გიყვარდე და არ გინდოდეს, შენს გვერდით ვიჯდე! მაგრამ ესეც ჩემი ბედია, რომ გულის გარეთ ასეთ რამეებს ვალაპარაკებ. მე აქ თოვლში ვიყინები, შენ კი ყარყუმის\* ბეწვებში ჩათბუნებული ზიხარ და მწარე-მწარე სიტყვებს ისვრი. ჩემი სიკვდილი ომში ეგების, ფიცხელ ბრძოლაში და არა – აქ. რადგან არ გინდივარ, არც მე გეხვეწები. სანამ ცოცხალი ვარ, მე შეყვარებული არ დამელევა, შენ კი იყავი აქ შენს მოაბადთან. შენ და შენი ქმარი ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ! მე კი წავედიო.

ვისიმ მიუგო:

– ღმერთმა გისმინოს და კეთილი გზა მოგცესო!

ვისი სარკმელს მოშორდა და გუშაგებს უბრძანა:

– ფრთხილად იყავით, არ დაგეძინოთ, ცუდი ამინდია და ამაღამ ციხეს რაიმე ზიანი არ მოუვიდესო!

რამინიც მიბრუნდა, იმ თოვლში ძლივს მიდიოდა და თავის თავს ეუბნებოდა: „არაფერია, გულს, შეყვარებულთ არაიშვიათად მოსდით ასეთი რამ, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან დამცირებულ მდგომარეობაში. ახლა ჭკუა ნასწავლი გაქვს და თუ გადარჩი, სიყვარულის ბადეში მეტს აღარ გაებმებიო“.

## ვისის სინანული

საწუთრო კაცის ბუნებას ისე აბრუნებს, როგორც თვალთმაქცი – თვალს.

რამინი რომ იმედლაკარგული და თვალცრემლიანი გააბრუნა, ვისი სინანულმა შეიპყრო. ტირილი დაიწყო, რამინი შინ რატომ არ შემოვუშვით! პირსა და თავში უმოწყალოდ ირტყამდა მჯიღებს. ქვითინებდა:

– ჩემი თავი საკუთარი ხელით რად მოვიკალი? აწი ვინ ჩამიქრობს გულის ცეცხლს? ეს რა ვქენი და ვინ მიშველისო?!

შემდეგ ძიძას უთხრა:

– ხედავ, რა მომივიდა? ოდესმე თუ უქნია ვინმეს საკუთარი თავისათვის ასეთი რამე? ჩემი ბედნიერება კარებზე მომადგა და მე კი მას ხელი ვკარი. ისევ შენ უნდა მიშველო, ძიძავ, ადექი საჩქაროდ და მიეწიე რამინს. სადავე დაუჭირე, გააჩერე და ასე გადაეცი: „ვინც ერთ ასეთ განაზებას ვერ გაუძლებს, ის რა საყვარელია! თუ მე ჩემი სიტყვებით დაგამძიმე, შენ ხომ გახსოვს, შენი საქმეებით როგორ შეგიჭირვებოდა-თქო? ასეთი სიტყვებით ცოტა ხანს შეაჩერე, ამასობაში მეც მოგეწევი და პატიებას ვთხოვო.“

ძიძა სასწრაფოდ გამოეკიდა რამინს, ვისიც უკან მიჰყვა. შილიფად ეცვა, მაგრამ ყინვას არ ეპუებოდა, თოვლის ფანტელი ვარდის ფურცლებად ეჩვენებოდა. ძიძა რამინს დაეწია და შეაჩერა. ამასობაში ვისიმაც მიუსწრო. სიცივისაგან ისე იყო გათოშილი, რომ მისი ტანის სითეთრისაგან თოვლი ღებრად ჩანდა. რამინთან მივიდა, თვალთაგან ცრემლის მარგალიტებს ისე ყრიდა, როგორც ცა – ფანტელებს. უთხრა:

– ჭაბუკთა ლამპარო! როგორც შენ ახლა ჩემგან ხარ ნაწყენი, ასე და უფრო მეტადაც ვიყავი მე შენგან გულდაწყვეტილი. ცხოვრება ასეა. ვინმეს რომ შეებმები და წააქცევ, მისგანაც

უნდა მოელოდე საპასუხო წინააღმდეგობას. შენ მე მსაჯულად დამადექი და ათას ბრალდებას მიყენებ. მაგრამ ერთს მეც გკითხავ: ჩემთან რა აუგი ნახე? განა მე ისევ ისეთი არა ვარ, როგორსაც მიცნობდი? იგივე პირი მიცინის და იგივე თვალ-წარბი მამშვენებს, იგივე კბილები მიკიაფებს, იგივე კვიპაროსივით ტანი მერწყება. ჩემგანაც შენი სიყვარულის მეტი რა გახსოვს? ნუ გამწირავ!

რამინმა უპასუხა:

– ყოველი ღირსებით შემკულო ვისი! რაც ქენი, ვნახე; რაც თქვი, მოვისმინე. გორაბიდან მარავამდე შენს შესახვედრად ამ ყიამეთ ამინდში გრძელი და ძნელი გზა გამოვიარე. ახია ჩემზე, რასაც მიშვრები! ვიჯექი ქოპისთანში\* ჩემთვის ნებიერი და მზიარული. გული ყოველგვარი სადარდებლისგან აზატი\* მქონდა. და ყველაფერი ეს ჩემი ნებით დავაგდე. კარგი ქენი, რომ სახლში არ შემიშვი. მე რომ რეგვენი არ ვყოფილიყავი, შენი შემოსახვეწი რა მქონდა! ახლა გაუშვი ხელი ჩემი ცხენის სადავეს. მე კი არ გენახები, მართლა აყრილი მაქვს შენზე გული. კი, ახლაც ვამბობ: ყველა ლამაზზე ულამაზესი ხარ, შენი თვალეები გრძნეულთა საბუდარია, შენი პირი კაცის გამამზიარებელია, შენი თმა მუშკის\* ჯაჭვებია, ყოველთა მშვენიერთა მშვენების თავი და დასაწყისი ხარ, შენი ყურება სამოთხის ჭვრეტას ჯობია, მაგრამ მზეც რომ იყო, არ მინდა, შენი შუქი მინათებდეს!

ვიცი, რომ ვინც ტუჩებში გაკოცებს, არასოდეს მოკვდება, მაგრამ არ მინდინარ. ხარ უკვდავების წყალი, მაგრამ არა გსვამ, ძალაა?

მჭირს თუ არა მჭირს, ათასი ისეთი აუგი შემომყივლე, რომ ერთ მისთანას ჩემი მტერიც ვერ მეტყოდა. ვინც წელან ასე მთათხავდი, ახლა ჩემგან სიყვარულს როგორ ითხოვ? თუნდაც მქონოდა დანაშაული შენს წინაშე, იმდენი პატიება რომ გთხოვე და გეხვეწე, რატომ არ შემინდე და არ შემიბრალებ? ჯერ რომ იმდენ ხანს ამ თოვლსა და ბუქში მამაგმავე, მერე კი შეურაცხმყავი და გამომდევნი. ახლა ვიცი, ვინცა ხარ. მეც არ ვმალავ, ვინცა ვარ, ამკარად გეტყვი: მტერი ვარ შენი. მადლობა ღმერთს, შენგან ისეთი საქციელი მაჩვენა, რომ შენი მიჯნურობისაგან მინსნა! სანამ ცოცხალი ვარ, საყვარლად ჩემი პირმთვარე ცოლი, გული მეყოფაო.

ვისიმ ქვითინით უთხრა:

– ჩემო სიხარულო, ექვსი თვის განმავლობაში უშენოდ დავდებულმა და შენგან მოშორებულმა თუ რამე მოუზომავი ვთქვი, განა საკვირველი იყო? შენი სიყვარული მაღაპარაკებდა. როგორც მეგონა, ისე არ მოხდა. მეტი მომივიდა. და თუ წელან გაწყენინე და გაგაქციე, ახლა შემომხედე, როგორ გებლაუჭები! მე შენგან განშორებით ისეთი ჭირი მინახავს, რომ ვერაფრით ვერ შეგელევი. შენი ცხენის აღვირს ხელს არ გაუშვებ, მანამდის ვიტირებ, სანამდის აქვე არ მოგკვდება და ამით შენც არ შეგარცხვენ. თუ ჩემს ხვეწნას მოისმენ, სიკვდილამდე შენი ნასყიდი მხევალი ვიქნები! თუ ეს ასე არ გავაკეთე, როცა მოგინდება, მაშინ შეგიძლია, ასე მომექცე, ნება ხომ შენიაო!

რამინმა უპასუხა:

– სანამდის სული მიდგას, არავის აღარ შევიყვარებ, არ მინდა, ჩემი თავი ასე შეურაცხყოფილი ვნახო! მადლობელი ვარ ღმერთის, რომ დღეს ის მომაგო, რაც ისედაც სახვეწარი მქონდა, – შენი თავი ასე ქუშად დამახვედრა! მთვრალი ვიყავი და გამოვფხიზლდი. დარჩენილ დღეებს მაინც გავატარებ ტანჯვისა და ფათერაკის გარეშე. შენც გირჩევ, ასე მოიქცე! – ასე წელიწადი რომ შეყვარებული იყო, ბოლოს მისგან ხელში ქარის მეტი აღარაფერი დაგრჩებაო.

ვისის რამინის ხელი ეჭირა ხელებში და სიცივისაგან ამაგმაგებული ლულულულებდა:

– შენა ხარ ჩემი სიცოცხლის მიზეზი, ჩემი თვალის სინათლე და გულის სიხარული. ვიცი, გაგაჯავრე და კარგი არ ვქენი. მე თვითონ მინანია ჩემი საქციელი. ჯერ გამიჯავრებისარ და მერე კბილებით მკლავები დამიჭამია. ნუ გავისხენებთ წარსულს. მაპატიე! პატიება შეყვარებულთა საქმეა. თვით მორჭმული\* ხელმწიფეებიც კი, თუ ისინი გულით არიან შეყვარებული, პატიებას არ თაკილობენ. შენც მიმუდარე! თუ დაბრუნება გინდა, გაფიცებ, დაბრუნდი, თუ არა და, სადაც მიდიხარ, თან წამიტანე! – რაც გინდ ძნელი გზა იყოს, შენს სიხსლოეს განსაცდელისა და გაჭირვების ატანა ჩემთვის სიამოვნება იქნება. ნუთუ მართლა წახვალ და მე ასე შე-

ჭირვებულს ამ ქარ-ბუქში დამაგდებ? მართლა ასეთი ქვის გული გაქვს, რომ ამდენი ხვეწნა-მუ-  
ღარა შენზე არ ჭრისო?

გათენებამდე ასე აწამეს ერთმანეთი. ვისიმ რამინი მაინც ვერ დააკავა. ის და ძიძა უკან  
დაბრუნდნენ იმედგადაწურულნი, სიცვიისაგან დამზრალნი და მტირალნი. ვისიმ გზაში ძიძას  
უთხრა:

– აწი თუ მე შეყვარებული მნახო, ორივე თვალი ამომთხარე! მე თუ ამ დღეში მოკვდები,  
მიწაში დამარხვის ღირსიც არ ვიქნები. ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს, რომ შეყვარებულს  
დავკარგე და სიცოცხლაც. ახლა ვიცი, რომ შავი ნივთი სხვა ფერად არ შეიღებებაო.

## ვისისა და რამინის ერთგან შეყრა

ვისი რომ წამოვიდა, სიცვიე უფრო გაფიცხდა და ქარ-ბუქი ისე გაძლიერდა, სპილოს  
წააქცევდა. რამინს ტანი კი ეყინებოდა, მაგრამ გულში ცეცხლი ენთო, – ჩემი გულის წამლე-  
ბელი და სიცოცხლის მომცემი არსება ასე რატომ გავიმეტეო! ტირილი აუვარდა, მობრუნდა,  
ვისის დაეწია, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და ასე უთხრა:

– სულისდგამვ, ჩემი უმეტრებით დანაშაული გავიორკეცე და ახლა სირცხვილისაგან არ  
ვიცი, რა გითხრა. მაპატიე! ისე როგორც ყოველ სულდგმულს ჯაბნი სილამაზით, შენდობითაც  
აჯობე ყველას და შემინდე! თუ არ მაპატიებ, თავს მოვიკლავ და მიუხედავად იმისა, რომ ამ  
ქვეყანაზე შენსავით არავინ არ მიყვარს, შენც არ გაცოცხლებ! მე თუ არ ვიქნები, დაე, არც შენ  
იყო! ლმობიერებით ფერხთ ქვეშ დამიგე, რათა შენი მონა ვიყო და შენს ბრძანებას ვასრულებდე,  
თავს ნუ მომაკვლევენებ და ცოდვას ნუ დაიდებო!

ამაზე ვისიმ ისევ გასცა პასუხი. რამინმაც თავისი უთხრა. და ეს საუბარი ისე დიდხანს  
გაგრძელდა, რომ მათი საქმე საწუთროსაც გაუკვირდა.

ამასობაში ინათა და ორივეს შეეშინდა, დაგვინახავენო! მტრობის ეშმაკსაც მობეზრდა მათ  
მხრებზე ჯდომა.

მაშინ კი მოჰკიდეს ხელი ერთმანეთს და კოშკზე ავიდნენ. დარბაზში რომ შევიდნენ, კა-  
რები ჩაიკეტეს და გათოშილნი და ამდენ ხანს ურთიერთს დანატრებულნი ერთად დაწვნენ, ზედ  
ყარყუმის\* თბილი და ფაფუკი ბეწვები დაიყარეს და ერთმანეთს ჩაეხუტნენ. ისე იყვნენ ჩაკონე-  
ბული, რომ კაცი იფიქრებდა, ტანი ორი კია, მაგრამ ეტყობა, სული ერთი უდგათო. ერთმანეთს  
ისე მიტმასნოდნენ, რომ მათ შორის ბეწვი არ გაეტეოდა...

ერთი თვე ასე გაატარეს. მათი ამბავი კაციშვილს არ გაუგია. სიხარულის, ლაღობის,  
ყმაწვილობისა და ხვეწნა-კოცნისაგან არ მოუსვენიათ. რაც აქამდე გაყრით გულები დაეწყლუ-  
ლებინათ, ახლა კოცნის მალამოთი მოუშუშეს ერთმანეთს.

შაჰ მოაბადმა არ იცოდა რამინის ამბავი, არც უფიქრია, რომ მისმა ძმამ თავისი ქვეყანა  
დააგდო, რომ დღე და ღამე აქ მის ცოლთან იწვა და ახლა თავის საყვარელთან ერთად მას  
დასცინოდა.

ამასობაში გაზაფხული მოახლოვდა. რამინმა ვისის უთხრა:

– აწი ჩვენი ასე ყოფნა არ ივარგებს. სანამ ჩემი ჩამოსვლა არ გამჟღავნებულა, ჯობს,  
მოაბადის წინაშე გამოვცხადდეო.

ხერხი მოიგონა: შუალამე ციხიდან ჩამოვიდა და ნახევარი დღის სავალზე მარავს დაშორ-  
და. შემდეგ, რომ გათენდა, ვითომ მგზავრობით დაღლილი და დამტკერილი მარავში შემოვიდა.  
სასახლეს რომ მოადგა, მოაბადს აცნობეს: რამინი ჩამოვიდაო! მოაბადმა გაიხარა და ძმა დიდი  
სიყვარულით მიიღო. რამინმა იცრუა:

– მაღალო ხელმწიფეო, ჩემი ქვეყანა მტრებისგან უვნებელი და აყვავებული დავტოვე.  
თქვენს ამდენი ხნის უნახაობას ვერ გავუძელი და გეახელი. თუ ნებას მომცემ, სამ თვეს თქვენ-  
თან ყოფნით გავიხარებ და შემდეგ კვლავ უკან დავბრუნდებიო.

მოაბადმა გაიხარა:

– კარგი გიქნია. ერთი დღე შენთან ყოფნით მე ვერ გავძლები. ახლა ჯერ კიდევ ზამთარია. სმისა და მოლხენის მეტი სხვა რა უნდა აკეთოს კაცმა! რომ გამოზაფხულდება, თანამგზავრებსაც ბევრს იშოვი. გორგანამდის მე თვითონ წამოგყვები, სანადიროდ მინდა წამოსვლა, გაზაფხულზე შინ ყოფნა მაწყინარიაო.

დარჩა რამინი ასე მარავში. ხვდებოდა ვისის ჩუმად და გულის ნებას ისრულებდა.

რომ გამოზაფხულდა, მოაბადმა, როგორც განზრახული ჰქონდა, სანადიროდ იწყო მზადება. მინდორი აყვავებული იყო, დაბერებული ქვეყანა გაყმაწვილდა. ფრინველებმა ჭიკჭიკი დაიწყეს. ცა კრიალებდა, მიწა ნამისაგან იცინოდა, ბალები და წალკოტები კეკლუც ქალებს დამსგავსებოდნენ. მარავი სამოთხეს ჰგავდა.

ვისიმ რომ გაიგო, მოაბადი სანადიროდ მიდისო, მწუხარებისაგან გადაირია. ძიძას უთხრა:

– შაჰი მოაბადი გორგანს მიდის სანადიროდ. ცოცხალიმც ნუ დაბრუნებულა იქედან! რამინს, უეჭველია, თან იახლებს. წადი, ძიძავ, და რამინს უთხარი, რამე მოიგონოს, ნუ წავა სანადიროდ! თორემ-თქო, ასე გააფრთხილე, რომ მობრუნდები, მე ცოცხალი აღარ დაგიხვდები-თქო!

წავიდა ძიძა და ვისის ნათქვამი რამინს მიუტანა. რამინი ჯერ კიდევ არ ჰყოლოდა მოაბადს გაფრთხილებული და იმედი ჰქონდა, იქნება მე არც მიახლოსო. ვისის ეს ამბავი გაუხარდა.

მაგრამ დილით გასამგზავრებლად გასულმა მოაბადმა შეუკაზმავი რამინი რომ დაინახა, უსაყვედურა:

– ეს კიდევ რა მოგიგონებია! შენებურად ხომ არ გახდი ისევ ავად? წადი და ჩქარა შეიკაზმეო!

რამინს სხვა რა გზა ჰქონდა, სანადიროდ აღიჭურვა და მოაბადთან ერთად გამოცხადდა. ვისიმ სანადიროდ მიმავალი რამინი რომ დაინახა კოშკიდან, თავისი დაემართა. ძიძას ტირილით უთხრა:

– შეყვარებულს კი არ ვტირი, ძიძაო, არამედ – საკუთარ სიცოცხლეს, რადგან რა რამინი წამივა, ჩემს სულსაც თან წაიღებსო.

იქით რამინიც უარეს ჭირში იყო ჩავარდნილი. ერთი დღე რომ იარეს, ცუდად გახდა, კვნესოდა და ვისიზე გოდებდა.

ვისიმ ძიძას სთხოვა, ჩემი გასაჭირიდან გამოსაყვანი რაიმე საშუალება მოიგონეო!

– მე და შენ ერთი ცეცხლი მოგვეკიდა, ძიძავ, მაგრამ ცეცხლი იგი მე გულზე მომენტო და ვერ ვაქრობ, შენ კი მხოლოდ კალთაზე გაქვს მოდებული. ჩემი გასაჭირი ამიტომაც არ გესმისო.

ძიძამ თავისი პასუხი ვისის ასე მოახსენა:

– იმდენს ჩივი და ტირი, რომ შეჭირვებით მეც გაგიხელებივარ. შენი წყლულის მალამო შენსავე ხელთაა. შაჰროსავით დიდებული დედა გყავს და ვიროსავით ძლიერი ძმა. მეფობის მომლოდინე რამინისებური შეყვარებული კიდევ გვერდში გიდგას. შენ და მოაბადი ერთმანეთთან დანასისხლად ხართ. მოაბადი არ გამოცვლილა, რაც იყო, იგივეა. სანამდის იგი ამ ამბავს გაიგებდეს და სამივეს დაგვხოცავდეს, შენ დაასწარი! რამინისთანა სახელმწიფო კაცს ვერ იპოვნი. დაადგი მას სამეფო გვირგვინი და დასხედით ორივენი ტახტზე! შენი ძმა ვირო გიშველის, მეფეები და ამირები თქვენ მოგიდგებიან. ლაშქარსა და დიდებულებს მოაბადის ყმობა ყელში აქვთ ამოსული, ემტერებიან. ხელმწიფედ ან ვირო უნდათ, ან რამინი. მოაბადის დასალუპავად უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვი, – მარავში არც მოაბადია და არც მისი ლაშქარი. საგანძური შენს ხელშია. იჩქარე, სანამდის იგი ვახშმის თადარიგს შეუდგებოდეს, შენ მიუსწარი და სადილი ჭამე! თუ ამის გაკეთებას აპირებ, სასწრაფოდ რამინს წერილი მისწერე და მას შენი განზრახვა შეატყობინე, ჩქარა წამოვიდეს. რომ ჩამოვა, დანარჩენზე მერე ვითათბიროთო!

ვისის ძიძის რჩევა ეამა და სიხარულისაგან პირი ვარდივით აუყვავდა.



## რამინის გახელმწიფება

შეყვარებულებო, საყვარელს თუ წერილს გაუგზავნით, ისეთი საბრალო გულით მისწერეთ, როგორც ვისიმ რამინს ეს წერილი მიუწერა:

„ერთი ხელი გულზე მიდევს, მეორე – თავზე. ტუჩების ლალი ფირუზად მქცევია და ამით გაკვირვებული ხალხი პირში შემომჩერებია, ამ ქალს რა დამართნიაო! თუ არ იჩქარებ, მე ცოცხალი აღარ დაგვხვდება. ერთ წამსაც ნუ დაყოვნდები. იჯდე – ადექი, იდგე – ნუ დაჯდები! როგორც კი ამ წერილს წაიკითხავ, წამოდი. დღე და ღამე იარეო!“

ვისიმ წერილი ერთ მისანდო კაცს გაატანა, ის კაციც ჩქარმავალ აქლემზე ამხედრდა და სულ მალე წერილი რამინს მიართვა. რამინმა ბევრი იტირა ვისის მოშორებისა გამო და ბოლოს ასეთი ყოფით გაბეზრებულმა თქვა:

– ან უნდა სასიკვდილოდ გადავლო თავი, ანდა ეს ნასკვი უნდა გავხსნა. მე ჩემს ხმალზე უფრო ძლიერი დამხმარე არავინ ვიცი და არც ჩემს მკლავზე უკეთესი ძმა მყავს. მოსახდენი უნდა მოხდეს! სიკვდილზე უარესი რა დამემართება და ხმალზე უფრო მჭრელი რა მომხვდებაო!

როცა შელამდა, რამინი ცხენს მოახტა და ხორასნისაკენ გამოემართა. ისე ჩუმად იარა, რომ მთვარისა და ვარსკვლავების გარდა არავის შეუმჩნევია. ის და ვისის მოციქული ორმოცი კაცის თანხლებით ერთ კვირაში მარავს ჩამოვიდნენ. ქალაქამდის ერთი დღის სავალი რომ დარჩა, რამინი დაყოვნდა და ვისის შეუთვალა: „ჩვენი საქმე ისე წავიდა, რომ აწი აღარ დაიძალბა. ხვალ შუაღამე მელიდღე. ერთმანეთს შევხვდეთ და როგორ მოვიქცეთ, ერთად გადავწყვიტოთ. ჩემს მოსვლამდე ეს საქმე დამალეო!“ მარავში ერთი ძველი ციხე იყო, ქუჭანდებს იტყოდნენ. მოაბადის პაპის-პაპეული ქონება იმ ციხეში იყო შენახული. ვისიც იქ იდგა. ციხე ზარდს ებარა. რამინის კაცმა ქალურად გადაიცვა და ციხეში ასე შევიდა. ვისი იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, დიდებულთა ცოლებს მასპინძლობდა. მოციქულმა მასთან თავი რომ მიიტანა და რამინის შენათვალი გადასცა, ვისი ცას ეწია სიხარულით. შემდეგ ზარდს კაცი მიუგზავნა და შეუთვალა: ჩემი ძმა ვირო ავად ყოფილა და მომჯობინებულა. საღვთო საქმე უნდა ვქნაო. ზარდმა ნება დართო, ნეტა ყოველთვის საღვთო საქმეს აკეთებდეთ! ვისი ციხიდან ჩამოვიდა, ცეცხლის ტაძარში შევიდა და უამრავი შესაწირავი მიიტანა. რომ შელამდა, რამინს აცნობა, სადაც იყო. რამინი ჩუმად მოვიდა. შემდეგ, ხალხი რომ გაიკრიფა, ორმოც შეიარაღებულ კაცს ქალურად ჩააცვეს (რამინიც ასე გამოეწყო) და ციხეში შევიდნენ. რომ დაღამდა, რამინის მეომრები მეციხოვნეებს დაერივნენ.

ზარდს ეძინა, როცა რამინი მასთან შევიდა. გულოვანი და მოაბადის ერთგული ზარდი ზეწამოიჭრა და რამინს ვეფხვივით შემოახტა. რამინმა ძმას მუდარით უთხრა:

– ღმერთმა იცის, შენი ვნება არ მინდა. დააგდე ხმალი და მიმიშვი! გაიხსენე, რომ მე შენი უმცროსი ძმა ვარო!

ზარდმა რამინს გინება დაუწყო და ხმალი შემოუქნია. რამინმა ფარი იფარა. ისე მაგრად ჰქონოდა მოქნეული ზარდს მახვილი, რომ რამინს ფარი შუა გაუპო. მაშინ რამინმა ჰკრა ხმალი ზარდს და თავი მოჰკვეთა. ირგვლივ მკვდრები ეყარა. ბევრი სიკვდილის შიშით ციხის გაღავნიდან ცვიოდა. რამინმა თავისი ძმა მოკლული რომ დაინახა, შეეცოდა და მოთქმით ტირილი დაიწყო. მაგრამ ახლა ჭირისუფლობის დრო არ იყო, ციხეში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული.

რამინი გამარჯვებული შეეგება განთიადს. ამოვიდა მზეც და ქვეყანას რამინის გახელმწიფების ამბავი ამცნო. რამინმა მოაბადის აურაცხელი ქონება, თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი თუ სხვა საქონელი ჯორ-აქლემებს აჰკიდა და ვისისთან ერთად გზას გაუდგა.

მოაბადს ეს ამბავი რომ აცნობეს, რამინს უკვე ყაზვინი გავლილი ჰქონდა და ახლა დეილაძელთა ქვეყანაში იმყოფებოდა. დეილაძელები და გილანელები გულოვანი ხალხია. მათ მარტო სხვებთან კი არ უხდებათ ომები, ერთმანეთსაც ებრძვიან. ისინი ვერც ერთ ირანელ მეფეს ვერ დაეპყრო და ახლა რამინმა იწყო მათი გულის მოგება ოქრო-ვერცხლით. უამრავი ჯარი მოუგროვდა. რამინს კი არ ემხრობოდნენ, ოქროს და ლარს ეტანებოდნენ. რაც დიდებული იყო, ყველა რამინს მიუვიდა. რამინმა ვიროს ამირ-სპასალარობა და ვეზირობა მისცა.

რამინის გახელმწიფების ამბავს მოაბადს მისი შიშით სამი დღე უმაღლავდნენ. მეოთხე დღეს მაინც გაიგო მეფემ, რაც სჭირდა. შეძრწუნებულსა და ალბორგებულ მოაბადს ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, შებოდა რამინს თუ გარიდებოდა. ბოლოს მაინც ომი გადაწყვიტა (იტყვიან, რამინის შეეშინდა და ბრძოლას თავი აარიდა), თუმცა გამარჯვება ძალიან აეჭვებდა, იცოდა, რომ ხალხი რამინს უჭერდა მხარს და სამეფო განძიც მას ჰქონდა ხელში ჩაგდებული. ერთი კვირის შემდეგ ჯარი აყარა და გორგანიდან ამოლისკენ\* აიღო გეზი. ამოლში რომ ჩავიდა, ლაშქარი დააბანაკა და თვითონ იმ ღამეს გათენებამდე ღვინო სვა.

მეორე დილას მოაბადმა დარბაზობა გამართა. კარავი ტყის პირას ედგა. უცხად ტყიდან დიდი ტახტი გამოვარდა: ლაშქარმა დევნა დაუწყო. ღორი ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით. მოაბადმა ეს რომ დაინახა, ცხენზე შეჯდა, ხელთ მოკლე შუბი აიღო და ტახს გაეკიდა. შუბი ესროლა და ააცდინა. ახლა ღორი შემოუბრუნდა მას, ცხენს ეცა და წააქცია. მოაბადი თავდაღმა დაეცა, წამოხტომას ლამობდა, მაგრამ აქ ღორმა დაასწრო, ჰკრა ეშვი მეფეს და გულ-მუცელი გაუფატრა. ასე უაზროდ და უბრალოდ დაიღუპა დიდი ხელმწიფე.

რამინს რომ მოაბადის ფათერაკიანი სიკვდილი აცნობეს, გარეგნულად ბევრი იწუხა, ტირილი და ჭირისუფლობა იკისრა, მაგრამ გულში ღმერთს მადლობა შესწირა, რომ იგი მასთან ბრძოლაში არ დაღუპულა. მთავარი მოსახდენი მოხდა, მოაბადი მკვდარი იყო, რამინის საწადელი კი – აღსრულებული.

რამინი ირანის სამეფო ტახტზე დაჯდა და პირმშვენიერი ვისი გვერდზე დედოფლად მოისვა.

# ნიზამი განჯელი

(გ. 1203 წ.)

## ნიღსკლეზი პოემაჰიდან

ნუ!

ნუ იმსახურებ ნურასდროს  
მეფის ჯარსა და ღივანში,\*  
გული მეფისკენ ნუ გიწევს,  
ცეცხლი ნუ გიძევს თივაში!  
თბილია მეფის სასახლე,  
მნათობნი მისნი ნათობენ,  
მაინც გახსოვდეს: მეფის კარს  
არ გაეკარო სათოფედ!  
შეხედე ბეჩავ ფარვანას –  
ეს მცნება რომ არ დაიცვა,  
სანთლის ალს გაეთამაშა,  
დაიფუფქა და დაიწვა.  
მწდევ, ხედავ? სუნთქვა გაჭირდა,  
ამდენმა დარღმა დამადნო.  
ღვთის მადლსა, ცოტა დამისხი,  
საქმე მიქენი სამადლო!  
ვინ იცის, იქნებ დამიცხრეს  
მაგ თეთრი ღვინის ბადაგით  
გული დარდსა და ვარაშში  
ულვთოდ ნაწვი და ნადაგი.

## მე გავლოთდი

მე გავლოთდი და ღვინის სმა  
უკვე წესად დამეწესა,  
ერთი კათხა მომაწოდოს,  
დამიძახეთ ღვინის მწდეს აჟ!  
ღვინო მასვას, დავიოკო  
შმაგი ვნება და წყურვილი;  
ღვინო მასვას, ვით ეს ცრემლი

კამკამა და დაწურვილი!  
ეგებ ღვინომ უფრო მძლავრად  
ააჟღეროს ჩემი ჩანგი,  
გული დარდით გათანგული  
დავიამო ეგებ ჰანგით.  
გზაზე ვიქი ჩამისაფრდა,<sup>14</sup>  
მიდარაჯებს რისხვით მთვრალი,  
იქნებ კვალი ავუქციო,  
ავუხვიო იქნებ თვალი!  
დრო იყო და მეც ვხარობდი,  
განა ლხინი გავიყავი,  
დრო დადგა და შევიცვალე.  
ეჰ, რა ვარ და რა ვიყავი!  
ეჰ, რა ვარ და ხვალ, ვინ იცის,  
იქნებ ჯანიც გამეცლება.  
დიდხანს ველარ ვიბოგინებ,  
დიდხანს აღარ გამეძლება.  
მწღევ, დამისხი, ააჩქევე  
ლალისფერი ღვინის ღადო,  
ლექის ჯადო მაინც შემრჩეს, –  
ვიძღერო და ვიღაღადო!

### **და იყავი, როგორც მიწა!**

ცხოვრებაში თავს გველივით  
ნუ წამოჰყოფ, შენ იცოდე,  
თორემ ტალღა თავს წაგაწყვეტს  
და კაცი არ შეგიცოდებს!  
თუნდ შეიდთავა ღვევიც იყო,  
დიდხანს როდი დაგაცლიან  
და ლამაზად შეიდსავე თავს  
თითო-თითოდ აგაცლიან.  
განა რაა ქედმაღლობა,  
რომ იმისთვის გაისარჯო,  
ჯერ ამოდ დაიხარჯო  
და მერე კი დაისაჯო?!  
ნურც ძალიან იბღინებები,  
თორემ გელის მეტი დარდი! –  
მიწას მწარედ დაასკდები,  
თუ მალლიდან ჩამოვარდი.  
თავზე მტვერი დაიყარე,  
ნუ აიკელ მთა და ბარი  
და იყავი, როგორც მიწა,  
მდიდარი და თავმდაბალი!

## თუ მინაში წოლა გველის

რად გაშფოთებს მომავალი  
ფუჭი შიშით, რად ძრწი ვიშით?  
ჯერ რა იცი, რა მოგივა,  
უცაბედს რომ ელი, იჩქითს?  
დამიჯერე, რასაც გეტყვი,  
ერთი სიბრძნე მაგონდება:  
წარსულს ველარ დაგიბრუნებს  
მასზე ოხვრა და გოდება!  
ის დღეებიც გარდასული  
რა იყო და რა გგონია?  
მასზე ხელი ჩაიქნე,  
თითქოს სულაც არ გქონია!  
თუნდ ქაბას\* მოუარე  
ლოცვითა და შვიდჯერ ცოცვით,  
თუნდ იცოცხლე ქვეყანაზე  
წელიწადი შვიდჯერ ოცი, –  
ვერ გიშველის, მაინც ვერა,  
რომ გაგივა ყოფის ვადა,  
უნდა მოკვდე და დატოვო  
ის, რაც გყავდა და გებადა!  
თუ მიწაში წოლა გველის  
და თუ შეგვჭამს თანაც ჭია,  
სულ ერთია, ტანად ბრვე ვართ,  
თუ ვიქნებით ტანად ჩია.  
ირიჟრაჟა, ჩქარა, ცისკარს  
შევაგებოთ ღვინის ჯამი,  
მერიქიფევე, ღვინო გვასვი,  
სანეტარო დგება ჟამი!  
უნდა დავთვრე, რათა თავი  
ლაღად ვიგრძნო, როგორც მეფემ.  
მაშ დამისხი და სიცოცხლის  
ნაკადული ამიჩქეფე!

## მწდევე, მოდი!

მწდევე, მოდი, შენი ჭირიმე,  
მოიტა ღვინის თასები,  
წამალი მასვი, უსულო  
რომ მომაბრუნოს სავესებით!  
წამალი მასვი ისეთი,  
რომ დამიკარგოს გონება, –  
თავს დამავიწყებს და თავი  
ამქვეყნად არ მეგონება!  
ჟამმა დარეკა, ნიზამი,  
გეყო ხაფი და ძახილი! –

ის დრო წავიდა, ყრმასავით  
 რომ გიქნევია მახვილი.  
 თუმცა წელში ხარ გახრილი,  
 მაინც ლომი ხარ ძლიერი.  
 ვით მელამ, მელაკულურად  
 არ შეიცვალო იერი!  
 თურმე რუსეთში ბინადრობს  
 ერთი ჯილაგის მელია.  
 თავს იმკობს პატარძალივით,  
 კუდაბზიკა და ჭრელია.  
 როდესაც ავი დარია,  
 როცა წვიმს, როცა ქარია,  
 სოროდან აღარ გამოდის,  
 თვალს წკურავს, ვითომ მკვდარია.  
 მოიკუნტება კუთხეში,  
 სარჩოზე დიდად არ ჩივის,  
 ხელებს და ფეხებს ილოკავს,  
 ეს არის მისი არჩივი.  
 არჩია, ბეწვის გულისთვის  
 თვისივე სისხლი ეწვნია.  
 ტყავს ვუფრთხილდებით სუყველა,  
 მისი დარდი კი ბეწვია.  
 ის კი არ იცის, სიკვდილი  
 მოვა და მახეს დააგებს  
 და საცოდავი თავს სწორედ  
 იმ ბეწვის გამო წააგებს,  
 რადგან იმ საწყალს ბეწვისთვის  
 აძლევენ თურმე არჩევანს, –  
 სხვას მიაქვს მისი ბალანი,  
 მისგან კი ბუნდლაც არ რჩება.  
 აბა, რად გინდა, ხალიჩა  
 ამაოდ ქსოვო და ქარგო,  
 თუ შენ ვერ გამოიყენებ  
 (შრომა რად უნდა დაკარგო!).  
 ვინც უნდა იყოს, იცოდე,  
 მდიდარია თუ გლეხია,  
 ხარბია ყველა პრანჭია  
 და კუდაბზიკა გრეხია.  
 ნუ ცდილობ, ფარდით დაფარო  
 ეგ შენი ზადი და ხინჯი! –  
 მახინჯი კაცი სარკეშიც  
 მახინჯია და მახინჯი.  
 ვიცით ჩვენ შენი ოინი,  
 ხრიკსაც ხმარობ და ფანდიც გაქვს.  
 ჩვენც გაგვიხსენე, ბატონო,  
 ჩვენც გადმოგვხედე ხანდისხან!  
 რომელი თეთრი ლალი და  
 წითელი ბროლი შენა ხარ,  
 რომ დღემდე შენისთანა რამ  
 ამ ქვეყნად ბევრს არ ენახა!  
 ნუ გაიქცევი კაცთაგან,  
 თუ შენ კაცი ხარ ნამდვილი! –

ამ წუთისოფლის გათრევა  
ასე უფროა ადვილი.  
ოქროს მადანიც რომ იყო,  
შენზე ძვირი თქვან, ახია! –  
უქმი განძი და ქონება  
მიწაშიც ბევრი მარხია.  
მასთან თუ ახლოს ვერ მიხვალ  
და ჯაფაც ფუჭად ჩავიარს,  
განა სულ ერთი არ არის,  
ხურმა არის თუ ჯაგია?

## ჟამი სიყრმისა

ეჰე, ჩიტივით გაფრინდა  
ჟამი სიყრმისა ნეტარი.  
ერთი ვიცოდე, ამქვეყნად  
რა დამრჩენია, ნეტავი?!  
კაცს ამკობს სიყრმის ყვავილი,  
კაცის ლაზათი ივია.  
თუ ის ყვავილი დაგიჭკნა,  
სოფლის დაგდების რიგია.  
თუ ტანში ქარი გაგიდგა  
და ბებერ ძვლებში გავიდა,  
უნდა უჩქარო, ქარები  
გამოირეკო თავიდან!  
არ ეკადრება ბერიკაცს,  
დარჩეს ყრმასაებრ თავნება.  
შორს ჭარმაგისგან ბიჭური  
ვნება და ამჰარტავენება!  
ბალი კარგია მანამდე,  
ბალში მანამდე გავივლი,  
სანამდე ვარდი ვარდს კოცნის,  
ყვავილს უცინის ყვავილი.  
თორემ ბაღს ჭირხლი რომ დაჰკრავს,  
ვარდები ველარ ჰყვავიან.  
ბულბული აღარ ყეფს, ბალის  
მდგმური ყრანტალა ყვავია.  
ყავლი გაუდით ყვავილებს,  
ბალი ყრუვდება, უქმდება,  
ხეს ეძარცვება ფოთოლი,  
მებაღეს გული უკვდება.  
იტირე, ბერო ბულბულო,  
გალობას ნუკი მოჰყვები,  
ხომ ხედავ, გაყვითლებიათ  
ვარდებს წითელი ლოყები!  
ხომ ხედავ, წელში გამლუნა,  
ვით აღვა, ჟამთა დინებამ! –  
წავიდა მამა სახლისა,

დარჩენა აღარ ინება.  
სიბერე მახლავს, რა გიკვირს,  
ორმოცდაათი წლისა ვარ.  
გამოვიცვალე, ძმობილო,  
განა რაც ვიყავ, ისა ვარ!  
ამდენი ტვირთის ტარებით  
დამძიმდა ჩემი სხეული;  
გზები ვიარე ციცაბო,  
გზები – ვიწრო და ხვეული.  
ისე დავვარდი, ხელებით  
ღვინის ჯამს ველარ ვეხები,  
მუხლებში ღონე არ მომდევს,  
არ მმორჩილებენ ფეხები.  
დამიძაბუნა საწუთრომ,  
დამილილაგა სხეული,  
ვარდს ვარდისფერი წამირთვა,  
ფერი დამიდგა სნეულის.  
დამთავრდა ჩემი მგზავრობა,  
გზად შედგა ჩემი მერანი.  
მე ვწევარ, თავსასთუმალთან  
მიზის სიბერე ვერანი.  
ბურთს ველარ გავეკიდები  
ფეხმარდი ქარაშოტით და  
დავარდა ჩემი ტაიჭი,  
ველარ დამიძრავს შოლტითაც.  
ვერ ჩავალ სირაჯხანაში,  
კლიტე დავკარგე ღვინისა.  
აფსუს, გაბმულო ქეიფო,  
დროსტარებავ და ღვინის სმავ!

## იმას გაუტკბა სოფელი

კარგი რამეა ცხოვრება  
და არ გახადო საზარი;  
არ გაახურო არასდროს  
ღორმუცელობის ბაზარი;  
კაცს ალხენს შრომა ნამდვილი,  
განა ადვილი ფაცური, –  
არ დაგავიწყდეს: კაცი ხარ,  
საქმე იცოდე კაცური!  
იმას გაუტკბა სოფელი  
და სწვდა სიამის სათავეს,  
ვინც აქ სიხარბის ბედაურს  
არ მიანება სადავე.  
ისე იცხოვრე ამქვეყნად,  
ჩემი რჩევაა გზიანი,  
შენ გაიხარო, მაგრამ სხვას  
არ მიაყენო ზიანი!



## რაა სანუთრო?

მართლაცდა რაა სანუთრო,  
რომ მისი ქება გაჭირდა?  
უნდა ეცადო, მაგ ცბიერს  
დღესვე გაუსხლტე კლანჭიდან.  
წუთისოფელი ხე არის  
ოთხფეხა და ექვსფერდება<sup>15</sup>  
მისი მინდობა მაცხოვრის  
ჯვარზე მიმსჭვალვას ედრება.  
როდესაც ჭირხლი წამოვა,  
ქარი ქრის, ჰავა ცვივა,  
ცვივიან ჩვენი ფოთლები,  
ცვივიან ძირს და ცვივიან ...  
ნუთუ ამ ბაღში მოსული  
მხოლოდ მნახველთა დარად ვართ?  
არადა კაცი ვერ ვნახე,  
რომ დაემკვიდრის მარად აქ.  
ბაღს კი სულ მუდამ ასხია,  
ტოტიც გაცლილი როდია.  
ასეა: ერთნი მიდიან  
და მეორენი მოდიან.

## ვინც ჩემი ლექსი ისმინა

იქნება არცკი იცოდე,  
რომ დილით, ჩემო რიჟრაჟო,  
ლექსების ზვირთებს ვაზვირთებ  
და ჩანჩქერავით ვვიჟმაჟობ;  
რომ ოქრომჭედელს ვგავარ და  
ოქროპირი ვარ თავადაც, –  
ვინც ჩემი ლექსი ისმინა,  
ნამეხარივით დავარდა.

## არ შეიყვარო ოქრო!

თუ გინდა, გულით დაიპყრო  
ღვთისნიერ კაცთა გულები,  
შენი ოქრო და ფულები  
უმაქნისია სრულებით.  
არ შეიყვარო ოქრო და  
არ დაიღუპო თავადაც! –  
ოქრო ზინათად\* თუ ვარგა,  
მოსაკაზმ-მოსართავად აქვთ.

ის, ვინც ოქროებს ინახავს,  
ვერ მოისვენებს წამითაც,  
ფულებზე ვიშით სულს დალევს,  
საჭმელს უჭმელის ჭამით ჭამს.  
ბევრი ფული და სიმდიდრე  
ბევრი ჯავრი და ჭირია.  
ცოტა ქონება იკმარე! –  
ცოტა წუხილი სჭირია.

## ქაჯთა ყოფილა ქვეყანა

ავი და ბინძურ საქმისგან,  
მო, დავიბანოთ ხელები!  
როგორ გავაჩნთ სამართალს,  
სიავეს თუ ვერ ველევით?!  
ბოლოს და ბოლოს რას ვაქნევ  
სიცოცხლის ამგვარ ლოლიავს,  
ქაჯთა ყოფილა ქვეყანა,  
ემმა ეტიკად\* გვყოლია!  
მწვალბეღია საწუთრო,  
შენი კი გგონია მწე ვინმე,  
რასაც შენ წლობით გასმევდა,  
ერთ წუთში წაგარწყევინებს, –  
ისე, ვით წვეთი წვიმისა  
ნელა მოდის და გროვდება,  
შემდეგ ლანქერად იქცევა  
და ზღვისებრ აბობოქრდება.  
დღესვე დავლიოთ, რაცა გვაქვს,  
დღესვე ვახროთ გულები.  
დირემს\* დირემზე ნუ ადებ! –  
არ არის იგი ულვევი;  
წინ გველოდება ვეშაპი  
და ხახა დაუბრენია,  
მოვასწროთ იმის დახარჯვა,  
რაც დღემდე შემოგვრჩენია!  
როგორ გამდიდრდა ყარუნი\*  
და მაინც მოკვდა. ახია!  
ისიც და მისი ქონებაც  
ახლა მიწაში მარხია.  
თუმცა შედადმა\* სასახლე  
ააგო ოქროს აგურით,  
ბოლოს რა შერჩა? – სიკვდილი  
და გული დარდით დაგული.

## მხოლოდ მამულში

კარგია მოგზაურობა,  
მით უფრო უცხო მხარეში,  
შორეულ გზებზე ყიალი,  
შორეულ ზღვებზე თარეში.  
მოივლი მრავალ ქვეყანას,  
ათასგვარ ამბავს გაიგებ,  
სად არ გაათევ ღამეებს  
და ნაბადს სად არ დაიგებ.  
გაიგებ, სად რა აცვიათ,  
ვის რა ადათი ჰქონია.  
მრავლის მნახველი იქნები  
და ეს კარგია, მგონია.  
მაგრამ თუ ჩაუკვირდები,  
სიმართლე გამოვლინდება:  
მამულში, მხოლოდ მამულში  
ეწევი ნამდვილ დიდებას.

## მოპურნეთა შესახებ თქმული

ადუღდი, გულო, ადუღდი,  
გულის დუღილის ჟამია,  
რამ დაგადუმა მგოსანი,  
რა დროს ჩურჩნა და ჩქამია!  
დღეს მე ვფლობ ლექსის მოედანს  
და გამაქვს ლელო სიტყვით აქ,  
სხვამ ჩემოდენა დიდება  
ქვეყნად რომელმა იტვირთა!  
მიჭრიდა ჭკუა და ლუკმაც  
ვიშოვნე, თუმცა მიჭირდა.  
მუქთად ვინ მომცა დიდება! —  
ის შეძენილი ნიჭით მაქვს.  
ხმალივით ბასრი ენა მაქვს  
და ლექსი ჩემი მამდიდრებს,  
ისეთ სასწაულს ჩავიდენ,  
თვითონ მესიას მადრიდე.  
მაგრამ სუყველა ამქვეყნად  
როდია ჩემი ყაბული,  
მე ვგრძნობ, ზურგს უკან მქირდავენ,  
ჭორაობაა გაბმული.  
ყაზალის\* წერას რომ ვიწყებ,  
რომ ვმღერი ტკბილ-ტკბილ ყაზალებს,  
წამბაძავს, ჭკუას აწვალებს,  
თითქოსდა ვინმე აძალებს.  
და რომ ყასიდა\* დავწერო,  
განგებ, თუ გნებავთ, ყასიდად,

ისიც ყასიდას მოჩხლართავს  
 და მერე როგორ ყასიდას!  
 იგავ-არაკებს როცა წერს,  
 მოჰყვება რაღაც არაკებს  
 და თუ მის დომხალს არ აქებ,  
 შენზე ძვირს ილაპარაკებს.  
 შენ თუ ნიზამის უყურებ,  
 მას ტვიფრი ტურფად უტვიფრავს,  
 ის კი რაღაცას გაჩორკნის  
 და მას გვაწონებს უტიფრად.  
 კაცს მაიმუნიც კი ბაძავს,  
 მაგრამ რა ჭკუა ჰქონია!  
 ტბაში ჩაყრილი ვარსკვლავი  
 სულელს ნამდვილი ჰგონია.  
 მზიან დღეებში ისინი  
 უკან მოგდევნ ლანდებად,  
 სანამ შენ ივლი (ლანდი ხომ  
 არსად არ გაიბლანდება).  
 გაქნილი არის, გიფიცავს:  
 “სწორს გითხრობ, განა ჭორებსო!”  
 თვალი არა აქვს, ვერ იტყვი:  
 თვალს როგორ გამისწორებსო!  
 ქურდია, ჯერ მე გამქურდავს,  
 მერე კი ჩემგან წავა და  
 თვითონ დამიწყებს გაქირდვას,  
 თუმც ქურდთ ადათი თავად აქვს.  
 რას იზამ, ქურდთა წესია:  
 როდესაც ქურდებს მისდევენ,  
 “ქურდი, ქურდიო!” – ჰყვირიან,  
 მერე ქურდობენ ისევე.  
 თვითონ მრცხვენია, მპარავთა  
 ქურდობას თვალს რომ ვაპარებ.  
 ასე გამოდის, მეც ქურდებს  
 ვმფარველობ, ხელებს ვაფარებ.  
 მაგრამ რა გაემტყუნება  
 უვიცს, უმეცარს, საცოდავს!  
 მოდი, საბრალოვ, წაილე,  
 არცოდვა არის არცოდნა!  
 იმისი ვაინაჩრობით,  
 რა ვქნა, მეც გული ამექნა,  
 არ ვყოფილიყავ მდიდარი,  
 არ მომეპარა, რა მექნა!  
 მაგრამ მე განძით სავსე ვარ,  
 გაძეხილი მაქვს გონება,  
 რაში მჭირდება ქურდობა,  
 რად მინდა სხვისი ქონება!  
 განკითხვა მიყვარს გულუხვად,  
 მალხენს განკითხვა ღარიბთა.  
 გნებავთ, აშკარად აიღეთ,

გნებავთ, წაიღეთ პარვითაც!  
განძის მთა მიდგას, გამიღის  
თვალ-მარგალიტის რუები.  
ვირთხებს რას შევუშინდები,  
ქურდებს რას შევეპუები!

## **მანამდის, სანამ**

მანამდის, სანამ მე მე ვარ,  
ჩემი ძალით და ხერხებით,  
არ დაგიბრიყვებ, ჭინჭველსაც  
ფეხებით არ შევეხები.  
არ გავალებდი, მყობობდი,  
ამას არც ახლა გავალებ.  
შენს წმინდა წყალში მე ამ ჩემს  
მარგალიტს განა გავალებ!  
ქუჩაში არ ვარ გაზრდილი,  
ადათს დავიცავ, მულამსაც,  
თვითონ ძალღიჯ რომ ძალღია,  
არ მოვექცევი უხამსად.

## **არ დაიბრიყვო არავინ!**

თუმც ქვეყნად ბოღმა კაცისა  
ძნელად თუ მოითოკება,  
ენაზე კლიტის დადება  
გემართებს, თუ გვინდა მოგება!  
თუმცა, დასწყევლოს გამჩენმა,  
თუ ღუმილს მივცემთ არჩევანს,  
რალა ცხოვრება გამოღის,  
რალა კაცობა დაგვრჩება!  
იმათ, ვინც კარგად მიცნობენ,  
ძალიან კარგად იციან,  
ვით შევიძინე ქონება  
და სად რა განძი მიწყვია.  
ფუჭად ლაყბობა რას ვარგა,  
კვნესა საჭირო რად არი;  
გაუძელ, თუნდაც გულს და ღვიძლს  
გიწვავედეს ბოღმის ღადარი!  
შენ თვითონ გადაიტანე  
შენი ჭირი და ვარამი,  
მაგრამ ამ ქვეყნად, ამას გთხოვ,  
არ დაიბრიყვო არავინ!

## ნიზამი არიბეზს თავის ვაჟს

ტოლებში გამორჩევა გსურს,  
ამის მიზეზიც გქონია, –  
კალამს და კილოს იწაფავ,  
მგოსნობა გინდა, მგონია.  
მაგრამ მგოსნობას არ გირჩევ,  
სიცრუე რაში გარგია, –  
რაც უფრო მოგონილია,  
ლექსი მით უფრო კარგია.  
დღეს მით უმეტეს ეს საქმე  
გახდა ამაო მიზანი,  
რადგან დიდება ლექსისა  
დაავვირგვინა ნიზამიმ.

## სიტყვაპვიროზის სიკეთე

კარგია სიტყვა კაცისა,  
მაგრამ არ ვარგა მოჯრილი.  
სიტყვა მოქნილი ჯობია,  
მოკლე, სხარტი და მოჭრილი.  
სიტყვა თუმც წყაროს წყალსა ჰგავს,  
ზოგი ნამეტანს ირჯება,  
ბევრი ჭიჭყინით გაგჭყიპავს  
და გული მოგეყირჭება.  
ცოტა თქვი, მაგრამ კარგად თქვი,  
ვით მარგალიტი ჭიოტა.  
რა დაუდგება კარგ ნათქვამს,  
თუ ხალხში ერთხელ იოტა!\*

ბევრს თუ იყბედებ, მოსმენის  
დაეკარგებათ ხალისი,  
მარგალიტს აცვამ, გგონია,  
თურმე გიჭრია ალიზი.

## სხვადასხვა ღროის კაცი

ბელო, ბელო, გირჩევ, ჩემზე  
ნუ გექნება გული ცხარი! –  
შენ ყასაბი არ ბრძანდები  
და არც მე ვარ შენი ცხვარი.  
გულში ცეცხლი ნუ შემინთე,  
ნულარ დამწვავ, ბელო, ავად! –  
ისიც კმარა, სანთელივით  
რომ ვიწვები თავისთავად.  
მე შუშა ვარ და თუ ახლა

შენგან ქვები მომეჯახა,  
 ხომ მომეჭრა ხალხში თავი  
 და საქვეყნოდ მომეჯაყა!  
 თითბერი ვარ, მაგრამ ოქროს  
 ზარნიში მაქვს გარეთ ყალბად.  
 გახრწნილი ვარ, მაგრამ მუშკი\*  
 ნაკური მაქვს, იცი ალბათ.  
 ანგარებით სნეული ვარ,  
 მასულდგმულებს ავი ვნება,  
 ერთი ვინმე კუდაბზიკა,  
 ერთი ვინმე თავისნება.  
 გარეგნულად ლომს მძვინვარეს,  
 დამამგვანა თუმცა ზეცამ,  
 განა მართლა ლომი ვიყავ! –  
 მხოლოდ ლომის ტყავი მეცვა.  
 მტერს რომ მედგრად შევეუტიო,  
 ხომ არა ვარ მათლაც ლომი.  
 ისიც მეყო, თავის თავთან  
 რომ მიხდება ცხარე ომი.  
 მქონდა შვება და სიამე,  
 დღეს რომ ასე გულით მინდა,  
 და ხელიდან სიჭაბუკე  
 მერცხალივით გამიფრინდა.  
 ჭაბუკური სულით ვნება,  
 ყმაწვილური გულით შფოთი –  
 შორს, რამეთუ ის ზმანება  
 და ზარხოში არის ლოთის!  
 ოცდაათ წელს რომ გადახვალ,  
 რაც არ უნდა თვალად ჩანდე,  
 ბავშვურ ცოდვებს ნუ ჩაიდენ,  
 ნუ გიჭირავს თავი მჩატედ!  
 ორმოც წლამდე იშვებს კაცი,  
 იშოვება კიდევ შვება,  
 ამის შემდეგ კი, მშვიდობით,  
 ფრთები მშვიდად დაგეშვება.  
 ორმოცდაათს თუ გააღწევ,  
 აი, ჭირი მაშინ თვალე,  
 მუხლები რომ გიდალატებს  
 და დაუწყებ ჩივილს თვალებს.  
 სამოც წლისას რაღა გითხრა,  
 ხოლო ათით თუ ხარ მეტი,  
 შენი ბედი, დავრდომილმა  
 თუ იხმარე კარგად კეტი.  
 ოთხმოცსა და ოთხმოცდაათს  
 თუ მიაღწევ, კედელს ჩხირი;  
 დაჯექი და გამოსცადე,  
 თუკი დაგრჩა კიდევ ჭირი!  
 ხოლო ასს თუ მიატანე,  
 შეგისრულდა ხანი ასად,

მაშინ გიჯობს, სიკვდილს უხმო  
 და სიცოცხლე მისცე ფასად!  
 გინდა ერთი დღე იცოცხლე,  
 გინდა ას წელს გაუძელი,  
 გული მაინც ამ სოფლიდან  
 არ გაგყვება დაუწველი!  
 რადგან მაინც უნდა მოკვდე,  
 მინდა, მოგცე რჩევა ერთი:  
 მხიარული იყავ მუდამ  
 და გახსოვდეს მუდამ ღმერთი!  
 ჩვენ ანთებულ სანთელს ვგავართ,  
 ლხინში დარდი გვეცილება, –  
 თვალებიდან ცრემლებს ვაფრქვევთ,  
 როცა პირით გვეცინება.  
 დარიგებას მოგცემ ერთგვარს,  
 მაგრამ იგი უნდა ახდეს,  
 თუ არ გინდა, გალიმებას  
 შენსას ცრემლის ღვარი ახლდეს:  
 შენ თუ ბედმა გაგილიმა, –  
 ყური უგდე დარიგებას, –  
 ნუ გაურბი ღარიბთათვის  
 მოწყალების დარიგებას!  
 შეზე, ქვეყნის სამსახურში  
 მზესაც კი არ ეძინება:  
 ჯერ ქვეყანა გააცინა,  
 ახლა თვითონ ეცინება.

## სიმაართლის ფასი

ერთ დღეს ბილყისი, ქალი ცისკრის  
 ვარსკვლავის მსგავსი,  
 ქმართან, სოლომონ ბრძენთან, იჯდა  
 სამეფო ტახტზე.  
 სოლომონ მეფეს ერთი შვილი  
 ესვა და ისიც  
 საპყარი იყო, წართმეული  
 ჰქონდა ხელ-ფეხი.  
 ბილყისმა თავის ქმარს მიმართა:  
 “სიცოცხლევე ჩემო,  
 მე და შენ ხომ ღვითით  
 არ ვუჩივით ავადმყოფობას.  
 რა მოუვიდა ჩვენს ძეს, ბავშვი  
 რად გვეტანჯება,  
 ხელებს და ფეხებს რომ ვერ ხმარობს  
 თავის ნებაზე?!”  
 გაკითხვა უნდა, რა მოგვირჩენს  
 ბავშვს ამ სენისგან,



იქნება, იყოს ქვეყნად რამე  
 წამალი მისი!  
 როდესაც უფლის მოციქული  
 ჩამოვა შენთან,  
 უამბე, თუ რა სიმძიმეში  
 ვართ შეილის გამო!  
 შენგან რომ წავა, იქნებ რამე  
 ღონე იძიოს  
 და მიაკვლიოს საშველს ჩვენი  
 გაჭირვებისო!”  
 მეუღლის რჩევა მოეწონა  
 გონიერ მეფეს  
 და ღვთის მოციქულს სასოებით  
 ლოდინი უწყო.  
 ბოლოს, როდესაც ჯიბრაილი\*  
 გამოეცხადა,  
 შესჩივლა, ასე მორჭმულს\* გულში  
 თუ რა უჭირდა.  
 ისიც გაფრინდა და კვლავ როცა  
 მობრუნდა, ამცნო  
 კურთხევა. ვისგან? მისგან  
 ცა და მიწა ვინც შექმნა.  
 ახარა: “ორი რამ ყოფილა  
 წამალი ბავშვის.  
 ორივე ერთად არის ერთი  
 საშუალება.  
 ასეთი არის ეს წამალი:  
 შენ და მეუღლე  
 შენმა ერთმანეთს სულ სიმართლე  
 უნდა უთხრაო!  
 იცოდეთ: თქვენი ერთმანეთთან  
 გულახდილობა  
 ბავშვის მომრჩენი ერთადერთი  
 წამალიაო!”  
 სასწრაფოდ იხმო სოლომონმა  
 ცოლი და ამცნო  
 ღვთაების რჩევა ანგელოზის  
 პირით ნათქვამი.  
 სინარულისგან ცას ეწია  
 საბრალო დედა:  
 „ავშენდი, ღმერთო, გადამირჩა  
 ტანჯვას შვილიო!“  
 ქმარს მიუბრუნდა: “გულახდილად  
 რა უნდა გითხრა,  
 თქვი და, რაც გულში მაქვს, არაფერს  
 დაგიმალაჳო!”  
 მაშინ სოლომონ ბრძენმა თავის  
 მეუღლეს ჰკითხა:  
 “ექვ მშვენება ვისიც თვალის

ჩემის შვებაა!  
 თუ გაგივლია, ეს მითხარი,  
 ოდესმე გულში,  
 ჩემს გარდა ვინმე მამაკაცთან  
 წოლილიყავო?”

მიუგო ცოლმა: ”ღმერთმა ავი  
 გაშოროს, მეფევ!  
 შენ ჩემთვის მზეზე უფრო ნათობ,  
 სიცოცხლეც ჩემო.  
 ხარ ვნებით სავსე, ვერ მოგტაცებს  
 თვალს კაციშვილი  
 და მთელი ქვეყნის საქალეთი  
 ჩემს ბედს შენატრის.  
 ბუნება სათნო გაქვს, მხურვალე  
 ალერსი იცი,  
 ლხინი სამოთხეს გიგავს, თავად  
 ანგელოზს ჰგავხარ;  
 მორჭმით განაგებ ქვეყანაზე  
 ცხადს და დაფარულს,  
 მუცლით ნაშობი ჯერ ბადალი  
 შენ არ გყოლია  
 და მაინც შენი სილამაზის  
 და შენი ვნების,  
 შენი მძლე ნების და ღიდების  
 მიუხედავად,  
 ვინმე ლამაზ და ეშხიან ყრმას  
 რომ დავინახავ,  
 ვერ დავიფიცავ, მასთან წოლა  
 არ მინდა-მეთქი!”

ესმა თუ არა გულახდილი  
 ეს აღსარება,  
 ბავშვმა დედისკენ გაიწოდა  
 ორივე ხელი  
 და დაიყვირა: “გამიმრთელდა  
 ხელები, დედი,  
 აღარ მჭირდება სხვისი ხელის  
 დახმარებაო!”

როცა ფერიის მსგავსმა ქალმა  
 თავის ანგელოზს  
 გამრთელებული დაუნახა  
 ორივე ხელი,  
 მეუღლეს უთხრა: “ფერიათ და  
 გრძნეულთ უფალო,  
 სიქველის მსგავსად სასურველო,  
 სიბრძნისებრ ქველო,  
 ბავშვის საშველად შენც თქვი ახლა  
 შენი სათქმელი;  
 ხელი აგუხსენ მე, შენ იქნებ  
 ფეხი აუდგა!

ერთ კითხვას მოგცემ, თუ ეს კითხვა  
არ ღაგამძიმებს:

შენ, ვისაც განძით დაძებდილი  
გაქვს სრა-სასახლე,  
მითხარ, ათასში ერთხელ მაინც  
გულს თუ შეგირხევს  
სხვისი ქონება და თუ გრჩება  
მასზე თვალიო?”

ასე მიუგო ცოლს ხელმწიფემ  
უფლის მოშიშმა:  
“განძი იმდენი მაქვს, კაციშვილს  
რომ არ ჰქონია;  
ვრცელი სამეფო, ზღვა ქონება,  
მძიმე საუნჯე  
მაქვს და ვფლობ ყოველს ცის თალიდან  
მიწის გულამდე,  
მაგრამ ასეთი ზღვა სიმდიდრის  
მიუხედავად,  
ტახტზე მჯდომს ვინმე მორჩილად რომ  
მიახლოვდება,  
ფარულად მისი ხელებისკენ  
ვაპარებ მზერას, –  
რა მოსაკითხი მომიტანა  
ნეტავი-მეთქი?!”  
რა მოისმინა დავრდომილმა  
ყრმამ ეს ამბავი,  
გაშალა ფეხი და წამოხტა  
ზეზე თავისით.  
შესძახა მამას: “მამაჩემო,  
ხედავ, რა მოხდა? –  
შენმა სიმართლის თქმამ მე ფეხზე  
დამაყენაო!”

## ეს ორი წიგნი

ეს ორი წიგნი<sup>16</sup> ერთიმეორის,  
გითხრათ, ბადალი მართლა რითია?  
ორივე ერთი ღრმა ზღვის ფსკერიდან  
ამოტანილი მარგალიტია.  
ცალ-ცალკე ორივე რა არის, ვხედავ,  
ორივეს ვიცი ფასი და ყადრი:  
პირველს – იესო მაცხოვრის დედას,  
ყოვლადუბიწო ღვთისმშობელს ვადრი.  
მეორე წიგნიც ძვირია, ვინმეს  
არც ის ეგონოს განძი იაფი, –  
შეხეთ, იესო მარიამის ძის  
ბაკმს როგორ მოჰგავს მისი კიაფი!

## როდესაც ზეფირს...

როდესაც ზეფირს სატრფოსგან ჩემთვის  
მოაქვს სურნელი ესოდენ ამო,  
თითქოსდა მკვდარს – სულს  
შთამბერავს ქრისტე  
და წამოდგომას მეც თითქოს ვლამობ.  
თითქოსდა მე ვარ ბრმა იაკობი  
დაკარგულ შვილზე მტირალი ზრუნით;\*  
მოაქვთ პერანგი იოსების\* და  
თვალს მიხელს შვილის პერანგის სუნი.

## ღმერთო, რა დღეა!

ღმერთო, რა დღეა, ნათება დღისა  
ნუთუ გვალხენდა ასე უწინაც?!  
შეხედეთ, ამ დღის ბრწყინვალეებისგან  
სუყველას თვალი როგორ უბრწყინავს!  
რიჟრაჟო, როგორ გსურს,  
დაგვარწმუნო,  
არ გამოგველოს სამოთხე თითქოს?  
ნიავო, ჩვენ რომ ტკბილად  
გვასუნთქებ,  
მაცხოვრის სუნთქვა  
ხომ არ ხარ თვითონ?

## ერთხელ თურმე მაცხოვარმა...

ერთხელ თურმე მაცხოვარმა  
(მიდიოდა სადღაც მაშინ)  
ბაზრის ახლოს თავმოყრილი  
დაინახა ხალხი გზაში.  
რაღაც სეირს რომ უცქერდნენ,  
ეტყობოდა იმ კაცთ შორით,  
რომ მივიდა, დაინახა,  
მათ წინ ძაღლის ეგლო მძორი.  
ერთმა ეს თქვა: „ამის ჭვრეტა  
შეაძრწუნებს კაცის არსსო!“  
მეორემ თქვა: „ლამის გული  
წამივიდეს, ისე ყარსო!“  
ხოლო ბოლოს, როს იესოს,  
როგორც იქნა, ჯერი დადგა,  
ჭემმარტი რაც იყო, თქვა,  
არსის მულამს ფლობდა რადგან:  
„მართალს ამბობთ, ძაღლის მძორი  
საჭვრეტელად მძიმე კია,

მაგრამ მარგალიტის კრომაც  
ვერ სჯობს კბილთა მისთა კიაფს“<sup>★</sup>

### ყველა შენობას...

ყველა შენობას და ყველა სრა-სახლს,  
რაც ასე გეზიბლავს და თვალს ახარებს,  
შაურის ფასიც არა აქვს, რადგან  
მტვერია (მიწაც კი დაფაყარე!).  
მართლაც რომ თვალის  
მომჭრელად ბრწყინავს  
ხატება ნივთთა, რაც ქვეყნად ვნახეთ,  
მაგრამ დარწყული მახეა იგი,  
მოშორდი მას და დაეხსენ მახეს!  
თვითონ მიმბარზე\* ასვლაც კი ძელზე  
გასმას ჰგავს. გინდა შენც ძელზე გასმა? –  
ერთხელ იესო ხომ აცვეს ჯვარზე?!  
საკმარისია ის ერთი ჯვარცმა.

---

\* ნიზამის ამ ლექსით აღტაცებული იყო გოეთე.

# ლეილი და მაჯნუნი

(პოემა)

## მიზეზი ამ წიგნის დაწერისა

ერთ დღეს შინ ვიჯექ სალვათად  
ვითარცა კაცი სვიანი,\*  
გუნება ქაიყობადის\*  
ნიშატის\* მქონდა ზიარი.  
შუბლზე ახალი მთვარისებრ  
გადამეჭიმა წარბი და  
ჩემს ლექსთა დივანს\* ვფურცლავდი  
(მეამებოდა წაკითხვა).  
წინ მედგა სარკე ბედისა,  
რომ დავეცავი მარცხისგან,  
თავზე კი მადგა ილბალი  
და თმას სათუთად მვარცხნიდა.  
განთიადს ჩემთვის წითელი  
ვარდის კონები ეკონა.  
ლალად ვსუნთქავდი ბეჩავი,  
ქვეყანა ჩემი მეგონა.  
გულის ფარვანას სანთელი  
ილბალმა ჩემმა აღირსა.  
ბალი ზარხოშად მეჩვენა,  
თავი – ბულბულად ბალისა.  
მე ვიყავ კაცი, ვინც ცამდე  
აღვმართე ლექსის ალაში,  
თვალ-მარგალიტის კოლოფის  
მელანს ვინც ვაწე კალამი;  
იმ კალმის წვერით მერე ვინც  
ვხვეწე ხასხასა ლალები,  
ლექსების ნართაულები  
ვისაც არ მიწნავს წვალეებით.  
გულში ვთქვი, საქმის ჟამია,  
ავდგე, ზოზინი მეყოფა.  
ბედი ვით მოძმეს მიყურებს,  
ილბალი – როგორც მეგობარს.  
ამგვარ ფიქრებში რომ ვიყავ,  
კარს მოციქული მომადგა.  
ხელმწიფის კაცი აღმოჩნდა  
და მეფის წიგნი მომართვა.

ლამაზი ხელით ნაწერი  
გავხსენ შარვანშას\* უსტარი\*.  
თხუთმეტი პწკარი იყო სულ  
(კითხვას ამბორით ვუსწარი).  
წერილის სიტყვა ყოველი  
ყვაკილის დარად ჭვიოდა.  
თვალთ ასოებს კი არა,  
ძვირფას თვლებს ვჭკვრეტდი ჭიოტას.

მწერდნენ: „ნიზამი, მონობის  
საყურის ჯუფთო მთავარო,  
ღუნისა გადაწვდენილო  
ლექის ჯადოვ და ჯავარო!  
ღუმილი მეტი არ გმართებს,  
ღროა, შეგვასწრო განთიადს,  
ის გარიჟრაჟი გვაჩვენო,  
გულზე რომ ცეცხლად განთია;  
გვასმინე სიტყვა შენს სულში  
ქარიშხალივით ნაზავთი,  
მოგვხიბლე ლექსით, გვაჩვენე  
სიტყვის ეშხი და ლაზათი;  
შენგან მაჯუნუნზე თქმულების  
ვართ მოიმედე მოყოლის,  
ჩვენ გვიძღვენ მასზე თხზულება,  
ვით მარგალიტი ობოლი;  
შეგწევს ძალი და ეცადე,  
ჩვენს გულს შევბისკენ უბიძგო,  
ლეილის ლექსი გვასმინე  
ლეილის მსგავსად უბიწო!  
ისე დაწერე, აღმომხდეს:  
„ლექსი კი არა, ყანდია,  
ამის მთქმელს თავზე დიდების  
გვირგვინი ედგას, მადლია!“  
წიგნი პატარძალს ამსგავსე,  
მორთე მიჯნურთა გემოზე,  
არაბული და სპარსული  
ღიბით და ფარჩით შემოსე!  
ნუ ჰგონებ, სიტყვა ვერ ვიგრძნოთ,  
თუ იგი გულის მძვრელია,  
ვერ გავარჩიოთ, ბეითი\*  
ახალია თუ ძველია;  
ამაოდ დაშვრე, ნუ შიშობ,  
ღვაწლი გიფასოთ არ ავად,  
სიძუნწე ჩვენ არ გვჩვევია, —  
ჩვენ ხომ თურქები არა ვართ!  
ღიდგვაროვანი ვინც არის  
და ღიდებული ჩვენსავით,  
იგი კეთილი სიტყვის და  
ღირსების არის მესავი“.

გავტყდი, ვერ დავხვდი უარით

ნებას მეფისგან მომავალს.  
რა ვქნა, ის არის ხელმწიფე,  
მე ყურმოჭრილი მონა ვარ...

### ამბავი დასაწყისი

ერთ დროს ამერის ტომის თავს, –  
ძველების მონაყოლია, –  
უთვლელი განძი ჰქონია,  
უთქმელი მონა ჰყოლია.  
მთელს არაბეთში ქველს, უთქვამთ,  
ბადალი არა ჰყვარო და  
მისი საუფლო ქვეყანა  
ელემის მსგავსად ყვაოდა.  
სახელი მისი, ამბობენ,  
მქროლავ ნიავსაც სულ ნელსო,  
მაჭრის საამო სურნელზე  
უტკბესს ატანდა სურნელსო.  
იყო მორჭმული, მძლეთამძლე,  
მოდგამდა, რაც კი ეწადა,  
დიდი კაცობის სახელი  
აღზევებოდა ზეცადაც.  
რითი არ იყო ხელმწიფე, –  
კაცს ამერთ ტომი მონობდა, –  
მისი ბადალი სიმდიდრე,  
ვეჭვობ, ყარუნსაც\* ჰქონოდა.  
იყო გულუხვი, პურადი,  
ხალხი მის სახელს ფიცავდა,  
თვითონ უპოვართ ფარავდა,  
თავად ცარგვალი იცავდა.

ხელმწიფის ტოლი კი იყო,  
პატრონი განძის ამდენის,  
მაგრამ არ ესვა ძე, მიტომ  
იყო უშუქო სანთელი.  
ერთი ეს ჰქონდა სანატრი  
სხვა მხრივ ყელამდე კმაყოფილს:  
ხემ ჩემმან ყოფადისამან,  
ღმერთო, მომცესო ნაყოფი!  
ნატრობდა: ბაღში ჩემს ხონობს  
ხელი არ მოეცაროსო  
და ძველი საროს სანაცვლოდ  
ახალს მოეველოს საროსო!

ვის რაში უნდა სიკეთე,  
სულმუდამ თვალში თუ ეცა? –  
კარგი ის არის, რომ ეძებ  
და შეგეყრება უეცრად.  
გამოხდა ჟამი და ზეცამ



მისიცი ისმინა მუდარა,  
ვაჟი აჩუქა ისეთი,  
გაბადრულ მთვარეს უდარა.  
ალმასის მსგავსად, – ამბობენ, –  
აფრქვევდა ირგვლი შუქებსო,  
დღე აბნელებდა მზის სხივთ და  
ღამე შუქს ჰფენდა შუკებსო.

რა დაებადა მემკვიდრე,  
მთვარე რა გამოებადრა,  
მყისვე განუხვნა\* კარები,  
თუ სადმე განძი ებადა.  
ვარდს რომ ფურცელი დაცვივა,  
ისე დაცალა ხაზინა.  
ვინც მის ზარ-ზეიმს შეესწრო,  
ოქრო და ვერცხლი დაზვინა.  
რა ორი კვირის შესრულდა  
ყრმა და მთვარისებრ გაივსო,<sup>17</sup>  
ყაისი არქვეს. ისმოდა  
ირგვლივ: „ყაისო!“, „ყაისო!“  
ბავშვი რა ერთი წლის გახდა,  
უკეთესს რაღას ნახავდით!  
ჩვილი კი არა, სურათი  
გახლდათ სულ კალმით ნახატი.  
ვარდები იით მოეწნა,<sup>18</sup>  
როდესაც გახდა შვიდისა.  
კაცი არ იყო მნახველი  
მისი მნახველის მშვიდისა.  
როცა ათი წლის შეიქნა,  
ქვეყანა ალაპარაკა,  
მისი მშვენების ამბავი  
ხალხში დაჰქონდათ არაკად.

უნდა გენახათ ზეიმი  
გახარებული მშობელის!  
ბავშვი სკოლაში გაგზავნა,  
დაუტკბა წუთისოფელი.  
მარტო არ იყო ყაისი,  
დილით სკოლისკენ მავალი,  
სწავლის ჯაფას და სიძნელეს  
მასთან იტანდა მრავალი.  
ბუთხუზა ბიჭებს, ვითარცა  
წალკოტში ტურფა ფერია,  
ორი თუ სამი სწავლის მტე  
გოგმანა გოგოც ერია.

მათში კი ერთი კუდრაჭა  
მაინც ნამეტურ ჭვიოდა.  
ყაისის ტომის არ გახლდათ  
ის მარგალიტი ჭვიოტა.  
კოპწია იყო სათუთად  
და სასოებით ნაზარდი,

სულ იმას გამოჰყოლოდა  
გვარის ეშხი და ლაზათი.  
იმგვარად მოგიხედავდათ,  
თითქოს მახვილი ეწვადა.  
იქით მიხედვით კაცს ჰკლავდა,  
აქეთ მოხედვით – გლეწავდა.  
შველის თვალები დაჰქონდა,  
თავადაც იყო შველი და  
ვისაც ის მზერას ესროდა,  
მხოლოდ სიკვდილი შველიდა.  
აღმოდებული ლოყები  
არაბულ მთვარეს უგავდა.  
თურქს ჰგავდა ავაზაკობით, –  
გძარცვავდა, მერე გბუგავდა.  
ღამეს უგავდა ზილფები  
და კანდელს – ფერი ღაწვისა.  
ყვავს მოეტაცა ჩირალი,  
შიში არ ჰქონდა ღაწვისა.<sup>19</sup>  
თაფლივით ტკბილი ტუჩები  
თუმცა კი ჰქონდა პაწია,  
მაგრამ ის ვისაც აჩვენა,  
ვეება ღარდი აწია.  
შავი თმა ღამეს უგავდა  
და ამის გამო სახელად  
უხმობდნენ ამ ქალს ლეილის<sup>20</sup>  
გაჩენილს მნახველთ მსახვრელად.  
ნახა თუ არა ყაისმა  
ლეილის წარბთა ირაო,  
ტრფიალი მისი იყიდა  
და გული მისცა გირაოდ.  
ვაჟს გოგოც აჰყვა და მყისვე  
დაჰყვნენ საწადელს ვნებათა.  
გული სიყვარულს მიუგდეს,  
რომ უმოწყალოდ ებაღთა.  
ვაჟს მისდიოდა გონება,  
გოგო რომ თვალებს ნაბავდა,  
გული წასვლოდა, სწორია,  
მაგრამ სულს კიდევ ღაფავდა.  
გოგოსაც ყმაწვილისაკენ,  
უნდა ვთქვათ, თვალი გაექცა.  
გული გაეცა, მაგრამ ჯერ  
გულისთქმა კი არ გაეცა.

## როგორ შეუყვარდათ ლეილისა და მაჯნუნს ერთმანეთი

ასე ამბობენ, ყოველ დღეს,  
ყოველ ცისმარე ალიონს  
კუშტად ხვდებოდა ლეილი,  
ენისლებოდა თვალიო.  
თურინჯის ფერი ქალწული,  
ვაჟს რომ ნახავდა იჩქითად,  
ხელთ ბასრი დანა რომ ეპყრა,  
იმით ხელისგულს იჭრიდა.<sup>21</sup>  
ახლა ყაისიც ვიკითხოთ  
(მის ამბავს ვერცკი მოყვები), –  
თურინჯზე ჯავრით ნარინჯად  
გადაქცეოდა ლოყები.  
გულს უწყალებდა, ტოლები  
რომ მათზე თვალებს კოსავდნენ, –  
გემი აუღეს და იმათ  
ნარინჯს და თურინჯს ყნოსავდნენ.  
მითქმა და მოთქმა დაიწყო  
(მათ ყოფას არვინ უხათრა):  
„გაიგე?“ „ადრეც ვიცოდი,  
რომ ერთმანეთი უყვარდათ“.

გოგო და ბიჭი სვაშიადს\*  
თურმე იცავდნენ ამაოდ,  
რომ აფრთხილებდნენ ერთმანეთს,  
რამე არ გვიგრძნას სხვამაო!  
რა ექნათ მეტი იმათაც,  
ჯერ მითქმა-მოთქმა ითმინეს,  
ბოლოს თქვეს: ტრფობა ტიტველი  
დავიფართო რითიმე!  
მაგრამ ტრფიალი მალეს და  
მანც რომ ველარ მალეს რა!  
ამქვეყნად ვინმეს ჩახჩახა  
მზის ლაფით ძალუძს გალესვა?!  
ასეთ ზიფლ-კაგებს რომ ნახავ,  
ჭკვა არ შეგრჩება მართლაც კაცს.  
სხვა გზა არ არის, გაგიჟდე  
უნდა, მორჩა და გათავდა!

სიყვარულისგან ყაისი  
ასე გაშმაგდა თუ არა,  
წამების ჩარხზე გაეკრა  
და ვნების კოცონს უარა.  
ვერ დაჯდა (რა დააჯენდა  
ლეილის გადამკიდე კაცს!)  
წანწალი იწყო, გადასცდა  
ქვეყნის განსაც და კიდესაც.

ხალხს განა მეტი რა უნდა,  
ფენის ხმას აჰყვნიენ ხელად და

ყაისს მაჯნუნი შეარქვეს  
ტროფობისგან ქცეულს ხელადა.\*  
„მაჯნუნი“ შმაგ კაცს გვიქვია  
ენითა არაბულითა.  
შმაგს კი ოლონდაც ჰგავდა ის,  
სიშლეგე ისე უვლიდა.  
მათზე იმდენი იყბედეს  
(არ მოერიდნენ ძრახვებსაც),  
ის შლეგი მთვარეს მოსწყვიტეს  
იმ შმაგთან შეყრის მზრახველსა.<sup>22</sup>

როცა ლეილი მის მაჯნუნს  
ასე უწყალოდ მოკვეთეს,  
თვალთაგან მარგალიტები  
აფრქვია მტერს და მოკეთეს.  
იქით მაჯნუნმა ლეილი  
რა ახლოს ველარ იგულა,  
ცრემლის ლანქერი აუშვა,  
რაც მანამ გულში იგულა\*.  
ზათქით და ზარით აიკლო  
მათი შუკა და ბაზარი,  
თვალეებით ცრემლი დაჰქონდა,  
გულით – ვაება საზარი.  
შორით უხმობდა ლეილის:  
„ამგვარად რატომ მდაგეო!“  
ხალხი დასდევდა. იმახდნენ:  
„აგე მაჯნუნი, აგეო!“  
არ დაიხია მაჯნუნმაც,  
რა ერთხელ გაჰყვა ავ შარას,  
არ მოუხემა სიშმაგის  
რაშს მიშვებული ავშარა.  
თავი აიშვა სიგიჟემ  
და ვერ მოთოკა ტაიჭი  
(სათქმელად არის ადვილი,  
თორემ ალვირი დაიჭი!).

რადგან მეგობარს მოსწყვიტეს,  
დაიმეგობრა ნალველი.  
სატროფო შორს ჰყავდა, გაეყო  
ვარამი გულის მდალველი.  
გაიჭრებოდა შინიდან,  
ირიჟრაჟებდა თუ არა,  
უხამურმა და შიშველმა  
ველს და უდაბნოს უარა.  
ღამით გასწევდა იმისკენ,  
ვისგანაც გული დაწვოდა.  
იმის კარებთან ეყუდა,  
იმის შუკაში დაძრწოდა.  
მთქმით და ზარით ლეილის  
კარავის კალთებს კოცნიდა,  
რამდენჯერ უკან მოიქცა,

იმდენჯერ სული მოსცილდა,  
იქით ქარივით მიჰქროდა,  
უკან უშლიდა სვლას სევდა,  
არ მოჰყვებოდა წელი და  
წელიწადს მოლასლასებდა.

### იმის შესახებ, თუ რა დღე ანია მაჯნუნს სიყვარულმა

და გადაიქცა მაჯნუნი  
ძილგატენილთა სულთანად,  
მტირალთ სპას სარდლად დაუდგა  
კაცი გაყრილი სულთანაც.  
ბაღდადელ მეძუსიკეთა  
საკრავებს ექცა ალყად\* და  
ბაზარში გამყივართ შორის  
მაჯნუნს ბაღალი არ ჰყავდა.<sup>23</sup>  
ნალარად გადაქცეოდა  
ყელი ამ კაცთა ნათესავს,  
ზარს არისხებდა იმგვარად,  
შეშურდებოდა მნათესაც.  
ტახტი წარელოთ მეფისთვის  
და ახლა იმ ტახტს არ თმობდა.  
ვით კარგი ტაკიმასხარა,  
იდგა და მოცლილთ ართობდა.  
თან რამდენიმე ტყიური  
ეშოვნა ამხანაგებად,  
არც მათთვის იყო უცნობი  
ვნების მახვილზე აგება.  
წამოასხამდა იმ ნადირთ,  
ირიჟრაჟებდა თუ არა  
და მის სახლს ირგვლივ უვლიდა  
(ღმერთო, რამდენჯერ უარა!).  
ამოიჩემა ნეჯდის მთა  
ლეილის ტომის საუფლო,  
იქ ავიდოდა, იშენდა  
თავში ხელს ბედთან საუბროდ.  
და ჰქუხდა ირგვლივ ხმა მისი  
ცრემლის გუბეში ნალესი.  
ნიავეს ატანდა მუდარას,  
მასთან წაელო ალერსი:  
„ეჰე ნიავო, ისმინე  
ჩემი უი და ვაები,  
წადი, ლეილის ეახელ  
და მის ზილფებში გაები!“

## მაჯუნის მამა ლეილის სათხოვნელად მიდის

ამდენი მითქმა-მოთქმებით  
და ჭორაობა-ქილიკით  
ლეილის მისადგომელი  
მაჯუნს მოუჭრეს ბილიკი.  
ხიდი ჩატეხეს, რა ექნა,  
დარჩა მაჯუნი მარტოკა,  
ყაზალებს\* უფრო უმატა  
და გული უფრო ატოკა.  
შემოეჩვია ნევჯდის მთას,  
ლეილიანთა საუფლოს,  
მანდ საუბრობდა ლოდებთან,  
ბედთან რაც ჰქონდა საუბრო.

მაჯუნს ასეთი მოქცევა  
ნათესაობამ გაუგო.  
თავ-პირში ხელი იშინეს:  
„ვაი, სირცხვილო, აუგო!“  
მამას აცნობეს ამბავი  
და შვილის ქცევა უწუნეს.  
აქეთ დედ-მამა წრიალებს,  
იქით მოყვრობა წუწუნებს.  
რა არ ქნეს ნათესავებმა,  
მამამ შვილს რა არ ურჩია,  
მაგრამ მან ყურიც არ უგლო  
(შეყვარებული ურჩია).  
კარგი როდია, როდესაც  
კაცი სხვის რჩევას არ იგებს,  
მაგრამ ვინც მიჯუნურს არიგებს,  
საქმეს ამაოდ არიგებს.

დალონდა მამა მაჯუნის,  
თავ-გზა აებნა საცოდავს,  
რა ექნა, ერთი ძე ესვა  
და ისიც ასე დაწვოდა.  
დაეთათბირა თვისიანთ.  
ბიჭი იმათაც იცოდეს  
და რაც იცოდნენ, მოუყვნენ  
(ძის გასაჭირი იცოდეს!  
შვილის სიგიჟის ამბავი  
უნდა ვუამბოთ მამასო!):  
„მიჯნური არის შენი ძე,  
ლეილის ყვარობს ლამაზსო!“

მამას ეს ესმა თუ არა,  
იფიქრა: „ჭირში ვვარდები,  
რაიმე უნდა ვილონო,  
არ დამიჭკნენო ვარდები!“  
ერთი საწადი ეწადა  
და ახლა ამას ჩიოდა,

თავის გვირგვინში ჩაესვა  
 ის მარგალიტი ჭიოტა.<sup>24</sup>  
 თემის თავკაცთაც მაშინვე  
 კვერი დაუკრეს ქეზებით:  
 „ქალის მშობლებთან წავიდეთ,  
 მათკენ ავიღოთ გეზები!  
 რაღას ვუცადოთ, ეს შეთი  
 უფრო რად დავაშეთოთო,  
 ის მარგალიტი ობოლი  
 ამ ჩვენს ძვირფას ქვას შევერთოთ!“<sup>25</sup>  
 როცა ასეთი თათბირი  
 ამერთა სეიდს\* მოესმა,  
 პირზე ღიმილი გაკოკრა,  
 გულზე ეკალი მოესრა.  
 მყისვე შეუდგა თადარიგს,  
 სამგზავროდ მოეხაზირა,  
 თან წარიტანა ისინიც,  
 წელან რომ ესხა ვაზირად.  
 მაცნე მოვიდა, ლეილის  
 ჯალაბს ამბავი ახარა,  
 ფეხზე წამოდგა, ვინც იყო  
 ახლოს, დიდი თუ პატარა.  
 გამოეგებნენ მოსულებს  
 დიდის კლემით და პატიჟით,  
 არ დაუკლიათ ალერსი,  
 ყელამდე ჩასვეს პატივში.  
 ბოლოს (მსმენია), მასპინძელთ  
 მიმართეს ვაჟის მამასო:  
 „რისთვის გარჯილხარ, სტუმარო?  
 გკითხავთ, ნუ გვიწყენ ამასო“.  
 მამამ მიუგო: „ეს გახლავს  
 ჩემი ნატვრა და სურვილი,  
 რომ მზე და მთვარე არ იყვნენ  
 ლეგა ღრუბლებით ბურვილი.  
 ჩემი წადილი ეს არის,  
 ოცნების სამანს გასული:  
 მინდა, ჩემს ვაჟზე დავწინდო  
 შენი პირმთვარე ასული.  
 უდაბნოს ხვატში დასიცხულს  
 ჩემს შვილს უშრება ხახაო  
 და თურმე ბედად შენს სახლში  
 კამკამა წყარო ნახაო.  
 თქვენც ხომ მამა ხართ, გამიგებთ  
 ჩემს ამისთანა ზრახვასო,  
 არ მიწყენთ ასეთ საქციელს  
 და არ დამიწყებთ ძრახვასო.  
 „ამქვეყნად ვინმე თუ ცხოვრობს  
 მეფურად, ერთი მეც ვცხოვრობ,  
 იმასაც ვერვინ ვერ იტყვის

ჩემზე: ეს ჩირქი ეცხოო!  
ჩემს განძს ვერავინ დაითვლის,  
მამულს ვერავინ მოლობავს,  
მიქუხს ღიდების სახელი,  
მტრობაც ძალმიძს და მოყვრობაც“.

მაგ შმაგის მამას უსმინა  
მან მამამ ტანად ძეწნისამ,  
ბოლოს მიუგო: „ფუჭად გაქვს  
იმედი ასე ხვეწნისა.  
მარტო წადილი რას გვიზამს,  
ჩვენ თუნდაც ბევრი ვეცადოთ.  
ზეცის ნებაა, ჩვენ ვბჭობთ და  
ლმერთს ეცინება ზეცადო.  
ძე თქვენი, ვიცი, კარგია,  
წუნს ვერ დავუღებ იერით,  
მაგრამ რად გინდა, თვით უწყით,  
თავისკერძაა ძლიერი.  
შლუსა და გადარეულ კაცს, –  
მიუგო, – გიჟს და ხელსაო\*  
ქალიშვილს როგორ გავატან,  
მამა შვილს ვით ვკრავ ხელსაო!  
„ჯერ მოარჩინეთ ძე თქვენი,  
გონსა და ჭკუას მოაგეთ  
და ჩემთან მერე მობრძანდით,  
ჩემს სახლს ყოველთვის მოაგნებთ!  
ხოლო მანამდე რა გითხრათ,  
კაცს დამთხვეულს და უგონოს  
შვილი ვით მივცე? მამა ხართ,  
მამის გულს უნდა უგონოთ!  
ნუ, ასეთ საქმეს ნუ მასმენთ  
გულის შემძვრელს და ამაზრზენს,  
მოდის, ამაზე გავჩუმდეთ!“  
თქვა და გაჩუმდა ამაზე.

ვაჟიანთ ეს რომ ისმინეს,  
გული მახვილით აექნათ.  
შინ უნდა მოქცეულიყვნენ  
(არა და, აბა რა ექნათ!).  
გამოიბარეს მაჯნუნი,  
საქმის სიძნელე აუხსნეს  
(იმათ ეგონათ, მოძღვრავდნენ,  
კოცონზე ნავთი დაუსხეს):  
„ვიღაც ლეილის ტრფიალი  
რად მოგინთია ალაღო?  
განა ცოტა გყავს ქალწული,  
მას რომ ჯობნიდეს თვალაღო?!  
გიშრის ზილფები ამშვენებთ  
და იავუნდის ბაგენი,  
რალა იმ გოგოს მიაკვდი,  
ავერ ამ ტურფებს აგენი!



ჩვენს მზეთუნახავთ შეხედე,  
სანამ სხვის ლამაზთ ნახავდე,  
გაზაფხულივით გათქვირულთ,  
ქორფებს და კალმით ნახატებს.  
გარს გახვევია მზექალნი,  
თვალებს კი სხვაგან აცეცებ,  
ყურის ძირში გვყავს სარძლონი,  
გადამთიელებს რას ეძებ!  
მოდი, გვისმინე მუდარა,  
გვეყო, რაც გული გვეწამა,  
შეირთე ერთი მათგანი,  
პირად მზე, ტანად ლერწამა!  
მან შეგიყვაროს, შეგიტკბოს,  
აგავსოს თბილი ალერსით,  
ისე დაგიტკბეს, ვითარცა  
შაქარი თაფლში ნალესი“.

### გოდება მაჯუნისა ლეილის სიყვარულის გამო

მაგრამ ისმინა თუ არა  
მაჯუნმა მათი დამოძღვრა,  
ისე გახელდა, კინალამ  
მთავარი სული ამოძვრა.  
ბრჭყალი გაისვა პერანგზე  
და კალთა ძონძებს უდარა  
(გინახავთ სადმე, მკვდარს თვითონ  
შემოეხიოს სუდარა?!).  
ვინც დათმო ეს ქვეყანა  
და დაგმო მიღმა მხარეცა,  
იგი რას აქნევს, სუდარა  
ეცვა ტანზე თუ არ ეცვა!  
ამბობენ, კელებს მოედო,  
შორეულ თემს და მაზრასო,  
ვამეყიო\*, იტყოდით,  
დაეძებს თავის აზრასო\*.  
დააგდო სახლი, გაიჭრა,  
თავი უდაბნოს აფარა.  
თურქივით აიყარა და  
მთა-ბარი მოიმთაბარა.  
გარე და გარე დაძრწოდა,  
სული და გული ეწვოდა.  
სახელო ამოხეოდა,  
საყელო ჩამოფხრეწოდა.  
ხალხი კრთებოდა, თუ ვინმე  
გაიხსენებდა მის სახელს.  
„ღმერთო, გვიხსენო!“ – ყვიროდნენ –  
და სულ „ლა ჰავლას“<sup>26</sup> იძახდნენ.

ბიჭიც გიჟივით აულებს  
 მივარდებოდა ღადოდ და  
 ყველგან ლეილის უხმობდა,  
 ყველგან ლეილის ხადოდა.\*  
 კარგი და ავი რა იყო,  
 ამის გარჩევა არ ჰქონდა.  
 კარგს ავად იხსენიებდა  
 და ავი კარგად გაჰქონდა.  
 მას უძღეროდა ყაზალებს\*,  
 ვისგანაც თვალი ენისლა,  
 შორიდან ეფერებოდა  
 მას, ვარსკვლავს იემენისას.<sup>27</sup>  
 ყოველ ლექსს, ყოველ სიმღერას,  
 ის რომ უშვებდა ზეფირად,  
 ყურს მიუპყრობდნენ მსმენელნი  
 და წარმოთქვამდნენ ზეპირად.  
 უკვირდათ ქცევა ასეთი,  
 ყველა მის ამბავს ჰყვებოდა.  
 ეცოდებოდათ, ცრემლები  
 ნიკაპზე ენასკვებოდათ.  
 ადამის სახე დაკარგა  
 ყმაწვილმა ბელით უბადომ.\*  
 არც დაგიდევდათ ის, ნაკლზე  
 კილოს თუ გამოუბამდით.  
 წიგნიდან ამოფხეკილი  
 სიტყვისებრ გაცამხდარიყო,  
 ცოცხალი იყო? ვერ გეტყვით,  
 არადა მკვდარიც არ იყო.  
 ფრინველი იყო დევნილი,  
 გადმოგდებული ცალად და  
 კელაპტარივით ღღვებოდა,  
 გულს მღუღარეში წალავდა.  
 ბოლოს კი ისიც მოქანცა,  
 გვემამ გულ-გვამს რომ რეგვავდა,  
 გუდა-ნაბადი აიკრა,  
 კაცთაგან გაკიდევანდა.  
 ველად გაიჭრა და ხელმა  
 ღრიალი მორთო: „უშენოდ  
 მე რა ვქნა, ჩემო სულისდგმავ,  
 მასწავლე, თავს ვით ვუშველო?  
 სახლი და კერა დავაგდე  
 და სოფელს ისე გავექეცე,  
 გზას უკან დასაბრუნებელს  
 ღღემდე ამოდ ღვეძებ.  
 თავ-გზა დავკარგე, დავლახე  
 ოხვრით მთანი და ვაკენი.  
 ველარც ჩემს სახლში გავჩერდი,  
 ველარც შენს სადგომს ვაგენი.  
 რა ვქენი, თავად არ ვიცი,

რა ქვა და კოხი დამესხა.  
სახელის ბროლი დამემტვრა,  
სირცხვილის შუშა დამემსხვრა.  
დამშლიან სოფლის კავშირნი,  
ვერ დამაკავეს ნუკვებით,\*  
საიმქვეყნიო სამგზავრო  
უკვე დამიკრავს ბუკები.\*  
თურქი ხარ? გინდა დამთრგუნო?  
ისრის სამიზნედ მიწონე?  
ჰა, მკერდი გამოგისწორე,  
მოდი, შიგ გულში მიწონე!  
ხომ მართლა მთვრალი გგონივარ?  
ღიანაც მთვრალი ახლა ვარ;  
ხომ მართლა შლეგი გგონივარ?  
ღიანაც შლეგი განლაგარ!  
ნეტა არმური\* მეტაკოს,  
ბედმა ბედითად\* მიაგოს,  
თან გამიტანოს ბრესავით\*,  
ბზესავით გამანიაგოს;  
მეხის ბოძალი დამეცეს  
და ვერაფერმა დამიცვას,  
თავს დამაქციოს ცის თალი,  
სახლი და კარი დამიწვას!

ნეტავი კაცი გამოჩნდეს,  
ცეცხლი შემინთოს და ბოლოს  
ტანიდან კვამლი ვახრჩოლო,  
პირიდან სული ვაბოლო!  
ვეშაპის პირში ჩამაგდოს,  
ოღონდ ხალხის ყბას მაცილოს,  
ჩემი შერცხვენის სეირით  
ქვეყანა აღარ აცინოს!  
ვისა გწამთ ღმერთი, მაკმარეთ,  
რაც გვარი გამიბახია,  
ქაჯად ვქცეულვარ, ჩამქოლეთ,  
მადლიც არის და ახია!  
გამოვიჯაყე ოჯახი,  
ლაფში ჩავეუგდე სახელი,  
ტოლებს სირცხვილი ვაჭამე,  
ვაბახე გაუბახელი.

მომკალით, ვინ ხართ ღვთის კაცი,  
მისმინეთ, გნუკვეთ\*, ვალაღით:  
ეს კაცის მოკვლა კი არა,  
საქმე იქნება ალაღი!  
მოყვასნო ჩემნო, ოდესღაც  
ლხინში რომ მხარი მიმშვენეთ,  
მიჭირს და ხელი მომეცით,  
თუ მშველით, ახლა მიშველეთ!  
თქვენ, არც კი იცით რომელთაც  
როგორი მადგას ჯაფანი,

მიმიშვით, ცრემლის ჩქაფანით  
 ვწყვიტო მე ჩემი ჭაპანი!  
 მე დავიკარგე, ნუ მეძებთ,  
 ნურმც დამიშვრებით ამაოდ;  
 ნუ იტყვიო ჩემზე: ეს კაცი  
 რამ გადარია, რამაო!  
 ტყუილი არის, ვერ მიხსნით  
 თქვენ თქვენი ცდით და გარჯითაც,  
 ამაღეთ ხელი, ხომ ხედავთ,  
 გაჭირდა ჩემთვის, გაჭირდა!  
 ჩემი გაჭრითაც ნუ ღელავთ  
 (სით წამოსული სად აველ!) –  
 დარახტულია ტაიჭი,  
 უნდა მივუშვა სადავე.  
 მაგრამ შენ რაკი დამსაჯე,  
 ხელი\* შენ გამო ვიწოდე,  
 შენ გარდა სხვა ვერ დამიხსნის,  
 ხელი შენ გამომიწოდე!  
 შენ თუ მკლავ, შენვე მაცოცხლე,  
 დამიშოშმინე იარა, –  
 შენ დამიშაშრე მე გული,  
 შენ დამთმე, სხვებმა კი არა.  
 შორიდან მაინც მიკითხე,  
 გამომიგზავნე ალერსი,  
 შარბათად მექცეს ეგების  
 სამსალა შხამში ნალესი!  
 ერთი კი გამკვირვებია,  
 რად გადაუდგნენ ადათ-წესს:  
 გიჟი მე ვარ და ნაწნავთა  
 ბაწრებით შენ რომ გაგბაწრეს!  
 შენ, მშვიდს, ქამანდი რად გინდა,  
 სიშმაგე მე როს მატოკებს;  
 მოდი და შლეგი – დალალის  
 შენის თოკებით გამოთოკე!  
 რაც გულმა ჩემმა მიკონკა,  
 ზილფებმა შენმა მიხია,  
 მე რასაც კლემით ვკეტავდი,  
 მან მიმიტოვა, მი, ღია.  
 შენს ზილფთა კაგებს რა ვუთხრა, –  
 იმათ ბორკილში ვვარდები.  
 ჩემს ილბალს თვალი დაევესო, –  
 მე მომხვდურს გავუშკლავდები?!  
 რამე მიშველე, ლეილი,  
 მიჭირს და შველა დამჭირდა,  
 ჭაში ვარ გადავარდნილი,  
 ამომიყვანე ამ ჭიდან!  
 ან ხელი გამომიწოდე,  
 როგორც ასეთ დროს ეგების,  
 ან წიხლი მკარი, – ფეხებზე

მაინც გემთხვიო ეგების!  
ვინც მუღამ მშვიდად იცხოვრა  
და შეება ვინც არ დაიკლო,  
იმან რა უწყის, გვეძულთა  
ვება და ვნება რა იყო.  
ცეცხლის სიფიცხე მან იცის  
და ღმობა\* მისთა კემანთა\*,  
ვინც ლადარს წაეპოტინა  
და ხელის გული ემანთა.

მე სოფლის მაღლი გამცილდა,  
შენ კი სიკეთე გაცვივა.  
შენ ალვის ნორჩი მორჩი ხარ,  
მე კი გამხმარი ქაცვი ვარ.  
სად ხარ, სიცოცხლის ნიშატო\*  
და შეებავ ჩემი სულისდგმის?  
სადღაც რომ სული შემომრჩა,  
არ ამომხადო სულ ისიც!  
რად შემომწყერი, არ ვიცი,  
რად შემიბულე მკენესარი?  
ტრფიალი შენი მაშმაგებს  
და ცოდვა ჩემი ეს არის.  
რამდენი ღამე ვათენეთ,  
ულმერთოვ, უერთმანეთოდ;  
მოდი, მეწვიე, დავიწვათ  
და ცთუნებებით განვეერთოთ!  
არ გამაწბილო, ამაზე  
არ მტკიცო ცივი უარი,  
ჩემს ქედზე იყოს ცოდვა, ეს  
რაიმე ცოდვა თუ არის!  
თუ რისხვის ცეცხლი დამინთო  
ან თუ გამიწყრე, დამიხსენ  
და თავსხმით ჩემის ცრემლების  
გულის ხანძარი დამივსე!

ეჰა, ვარსკვლავო მაღალო,  
მთვარეო ჩემო ახალო,  
რომ შეგხვდი, ისე გავხელდი,<sup>28</sup>  
თავი ქვას მინდა ვახალო.  
შენთან ყოფნისთვის რომ ვყვირი,  
ჩემს ყვირილს აღარ უგონო,  
ხომ იცი, მთვარე ახალი  
შმაგს უფრო შეიქმს უგონოდ.  
ჩემს ლანდსაც აღარ ვთხოვ აწი, –  
ვით მითხოვია ხანდისხან, –  
მიამბოს შენი ამბავი, –  
შიში მაქვს ჩემი ლანდისაც.  
ჩემს ლანდზე ვეჭვიანობდი,  
იქნება-მეთქი მლალატობს,  
დღეს კი შენს ლანდსაც მაშორე,

ლანდიც არ გინდა მალანდო?!  
 ბავშვს ვგავარ, ძილში რომ ჩაჰყვა  
 წყურვილის მოკვლის სურვილი,  
 სიზმარში წყალი იპოვა,  
 წყალს დაეწაფა ურვილი,  
 მაგრამ წყურვილი იცხრო და  
 მაინც ვერაფრით დაიცხრო,  
 გამოელვება საცოდავს  
 და თითის წოვა დაიწყო.  
 ტრფიალი შენი ასეთი  
 და ვნება ჩემი ამხელა,  
 არავინ უნდა გაგვიგოს,  
 არავისთან ხამს გამხელა.  
 ის დედის რძესთან შევირგე,  
 არის მწარე თუ ამოა  
 და სანამ ვცოცხლობ, თან დამაქვს  
 და სულთან ერთად ამოვა“.

მორჩა თუ არა ამ მოთქმას,  
 მოცელილივით დაეცა.  
 ვინც მის გოდებას შეესწრო,  
 გული და სული დაეწვა.  
 შინ დაბრუნება ურჩიეს  
 და ბევრი ხვეწნა-აჯებით  
 დაიყოლიეს ველებზე  
 ქენჯნილი ეკალ-ჯაჯებით.

თუ სიყვარული არ არის  
 მარადისობის ზიარი,  
 იგი რა სიყვარულია, –  
 ღლაპების ღლაბუცი არის!  
 სრულქმნილი ტრფობა იგია,  
 ის მივიჩნიე ნამდვილად,  
 რაიც ფეხს ერთხელ მოგიდგამს  
 და ძვრას ვერ უზამ ადვილად.  
 ის უკვდავებას გიმზადებს  
 და რაც დრო გავა, იზავთებს  
 და ჰვიეს\* იგი ტრფიალი  
 უკუნით უკუნისამდე.  
 მაჯნუნი მიტომ იდიდა,  
 რომ ის ზიდვიდა ამ სევდას,  
 ვნებას აღვირი ანება  
 და ასე მიტომ აღზევდა.  
 მან განა დიდთა ვებათა\*  
 კირთთა ქვეშ თავი დახარა! –  
 ტრფობის საამო სიოზე  
 სულის ბაღნარი ახარა.  
 დღეს თუმცა მისი ვარდნარი  
 ამ ქვეყანაზე მწყრალია,  
 ვარდისწყლის სურნელს რომ ცენოსავთ,  
 ეს მისი ვარდის წყალია.

ბოლო ნიჰამი როდესაც  
თავის სავარდეს კაზმვიდა,  
ცვარი ისხურა მაჯუნუნის  
ვარდისწყლის აიაზმიდან.

### მამას მაჯუნუნი ქააბაში\* მიჰყავს

ბოლოს, როდესაც საშველი  
არ გამოუჩნდა არსიდან,  
სიშმაგის თვისის ალაში  
მაჯუნუნმა ცაში აზიდა.  
სახელი მისი დაეცა,  
სიხელე\* მისი ამაღლდა,  
წავიდა კაცი ხელიდან,  
გამოცუნდრუკდა, გაბაღღდა.  
ხელი სუყველა ხელია,\*  
ხელს ხელად იცნობს მნახველი,  
მაგრამ სად ისე ხელი და  
სად სიყვარულით ნახელი!  
არ შეიცოდა კაცის ძემ  
(თორემ განგებამ იცოდა!).  
მამა იწვოდა უცეცხლოდ, –  
ილუპებოდა, იცოდა.  
რა არ ქნა, რა ქვას არ ეცა,  
ვის არ ასმინა მუდარა:  
„ხალხო, ეგების შვილის მზეს  
ამიხადოთო სუდარა!“  
რა არ იღონა ბეჩავმა  
და ლოცვით სად არ ცოცვიდა,  
საკერპე-სალოცავებმა  
მუხლისთავები მოსცვიტა.  
შფოთავდნენ ნათესავებიც  
მაჯუნუნის წამლის მძებნელნი,  
იქნება კიდევ ვიხსნათო  
ეს მზეჭაბუკი მზებნელი!  
ბოლოს კი თავგზადაკარგულ  
მამას ურჩიეს მოყვრებმა:  
„იქნება მექამ\* მოგვხედოს,  
მექას სხვა მაღლი მოჰყვება.  
მთელი მიღეთის მლოცველთა  
სააჯო\* კარი იგია,  
ცა მისი მაღლით გვადგას თავს  
და მიწა ფეხქვეშ გვიგია“.  
მაჯუნუნის მამას იმდენიც  
როდი დასჭირდა აჯები.\*  
„კარგიო, მექას წარვსდგეთო,  
გავხდეთო მექის ჰაჯები\*“.

და აჰა დადგა ნანატრი  
თვე იგი მექის მოლოცვის,  
მილეთის ხალხით გაივსო  
მექის ქუჩა და ფოლორცი,  
მაჯუნის მამამ სამგზავროდ  
აწყობას თავი მოაბა,  
მაშინვე ჯამა აქლემზე\*  
შვილს გაუმართა მოაბა\*  
და სასოებით აღსავსე  
ასე მიადგა ქაბას,  
შემდეგ კი მოდგა და შვილთან  
ეს საუბარი გააბა:  
„შვილო, ეს სახლი მოცლილთა  
თავშესაყრელი როდია!  
აქ სულის შეება რომ უნდათ,  
მხოლოდ ისინი მოდიან.  
ქაბის\* რგოლებს ჩაავლე  
რგოლად მოხრილი ხელები,<sup>29</sup>  
გულის დაღები ეგების  
მან დაგიყუჩოს ცხელები!  
უფალს შესთხოვე: ამდენი  
ტანჯვისთვის ვარ-თქო უბრალო,  
მიხსენ-თქო, შვილო, მიხსენ-თქო,  
შემიბრალე-თქო, უფალო!  
ღმერთო-თქო, შენი წყალობის  
გადამაფარე კალთა-თქო,  
მეყო, რაც ჩემმა სიშმაგემ  
ფეხქვეშ მიგდო და მბალთა-თქო!  
ნუ დაუმაღავ, უთხარი,  
სიყვარულით ვარ ხელი-თქო.  
ვნების კოცონში ჩავარდნილს  
გამომიწოდე ხელი-თქო!“  
სიყვარულიო! ეს სიტყვა  
მაჯუნს უხსენეს თუ არა,  
ჯერე ატირდა, მერე კი  
ღიმილმა გადაურა.  
კამარა შეჰკრა გველივით,  
გველნაცემივით წამოხტა,  
ქაბის კარებს აეკრა  
და ეს ვედრება აღმოხდა:  
„ვით ამ კარების რგოლია,  
ღღეს მე ვარ ისე მოხრილი,  
შენ გეაჯები, უფალო,  
მე შენ წინ მუხლებმოყრილი.  
ტრფობის მონობის ფასად ვინც  
ვეიდი სულსა და სიცოცხლეს,  
ყურთ მისი რგოლი მეყაროს,  
მხოლოდ ეს მინდა, იცოდე!  
სუყველა მირჩევს: სიყვარულს,



მიდი, გაუსხლტი ხელითო,  
თორემ გაგთელავს, იცოდე,  
ცრემლით გატირებს ცხელითო!  
მათ არ იციან, ტრფობაა,  
ძალის მომცემი თუ არის,  
ჯერ სიცოცხლეზე უნდა ვთქვა,  
მერე ტრფიალზე უარი.

ღედის საშოდან გამომყვა  
ტრფიალი, როგორც ჯავარი.  
ის თუ არ მომხვდა, მაშინ ხომ  
აღმომხდა სული მთავარი.  
შენ გევედრები, უფალო,  
პატრონო ნივთთა ყოველთა,  
არაცხოველთა შემთხზველო,  
შემქმნელო ყოველთა ცხოველთა:  
ისმინე ჩემი ვედრება,  
ვნება შემაბი ისეთი,  
როცა მე აღარ ვიქნები,  
მაინც სუფევდეს ის ერთი!  
თუმც სიყვარულის სასმელით  
ასე უგონოდ მთვრალი ვარ,  
კვლავ ისეთ სასმელს მაწაფე,  
გონი წამართვას მალიმალ!

უკან დამსდევენ, მირჩევენ,  
რომ ამ სიყვარულს ვუგანო,  
ლეილის ტრფობა დაგლუპავს  
ჩქარა დაბრუნდი უკანო!  
ღმერთო, შენ ჩემი ისმინე  
აჯა\* და არა იმათი:  
რაც ჟამი გავა, მით უფრო  
ლეილის ტრფიალს მიმატე!  
თუმც ტრფობამ მისმა გამაწლო  
მსგავსად მისი თმის ბეწვისო,  
მას ბეწვის ოდენს ნუ აწყენ,  
მიყვარს და გული მეწვისო!  
მისი მონობის საყურე  
ყურში მიყრია თვინიერს,  
მაინც ნურაფერს მარგუნებ  
მონობის მისის თვინიერ.  
ლეილის ღვინო ჩემს თასში  
არ დამილიო აროდეს,  
ისე მიქენი, ჩემს ნიშნად  
მისი ხატება კმაროდეს!  
მე მომკალ იმის სანაცვლოდ,  
მისმინე, ღმერთო, ვალალი,  
მან ჩემი სისხლიც რომ შესვას,  
ალალი იყოს, ალალი!

ლეილის გამო ვაებამ  
თუნდ სანთელივით დამღვენთოს.

უამყაებოდ ნუ დამსვამ,  
ღმერთო, თუ გინდა გაღმერთო!  
განა ამხელა სიყვარულს  
დავსება უნდა უკვალოდ?!  
უფრო მიმადლე, სიყვარულს  
უფრო მიმატე, უფალო!“

როცა მაჯუნმა ქაბას  
ასეთი ლოცვა გააბა,  
მიუხვდა მამა, მის შლეგ შვილს  
ვერ უშველიდა ქაბა.  
მის წყლულს მალამო ვერ რგებდა,  
ისეთი დარდით დაგულა.  
თავი ჩაქინდრა საბრალომ,  
იმედის კარი დაგულა\*.  
უკან დაბრუნდა კარავში,  
საცა ჯალაბი ელოდა  
და მათ უამბო, ქაბის\*  
ლოდთან<sup>30</sup> რა ელდა ელოდა:  
„რა მიქნა, ჩემმა შეშლილმა  
და შლეგმა შვილმა რა მიქნა!  
გულში იმედი ჩამიკლა,  
შხამში ნალველი ამიქნა.  
არ დამიტოვა ილაჯი  
ამ სიმძიმის მორევის.  
ისე მიღელავს ეს გული,  
ვით ზემზემის\* ჭის მორევი.  
ვფიქრობდი: კაცი ჭირშია,  
ტანჯვის მახვილზე ეგების,  
ღმერთს შესთხოვს-მეთქი, ვარამი  
შეუმსუბუქოს ეგების.  
ის კი ღვთის კარზე ტრფიალის  
ლოცვას ადავლენს უთვალავს.  
უფალს ლეილი ავედრა,  
თავს ანათემა უთვალა“.

### **მაჯუნის მამამ ლეილის ტომის განზრახვა გაიგო**

როცა მაჯუნი ამგვარად  
ქაბის კარებს მოსცილდა,  
საქმე მიეცა ყოველთა  
უსაქმურთა და მოცლილთა.  
ენას ლესავდნენ: „ყაისი  
ერთ გოგოს აღვისტანასო,  
იმგვარად უგიჟებია,  
სულ გულზე იცემს დანასო!“

ვინც რა იცოდა, ჰყვებოდა  
 ნასმენს თუ ნანახს ათასხმად,  
 ზოგმა სიმართლით ათრია,  
 ზოგმაც ტყუილით დათარსა.

ერთხელ მაჯნუნის ამბავი  
 ლეილის ასე მდომისა,  
 ლეილის ტომის თავს ამცნო  
 კაცმა მათივე ტომისამ:  
 „ერთი ყმაწვილი, ბატონო,  
 ამერიანთა გვარისო,  
 ვით ვთქვა და თავზე ლაფს გასხამს,  
 ჭკუაზე მწყრალად არისო.  
 თავმოშვლებილი დღე ყოველ  
 აქ დგას და შენს ქალს უხმობსო,  
 ხან ლექსს უგალობს ხმამაღლა,  
 ხან სალამს უძღვნის უხმოსო.  
 ხან შემოუვლის შორი-შორ,  
 ხან ახლო-ახლო გოგავსო,  
 ხან წყნარად მის ფეხთ მტვერს კოცნის,  
 ხან კი გიჟივით როკავსო.  
 რაც ჟამი გადის, გალობას  
 უმატებს, კი არ უკლებსო,  
 ლექსიც კარგი აქვს, ხმაც – კარგი,  
 როდი იქცევა უწესოდ.  
 მაგრამ ეს არის, ლეილის  
 კვარს მისი აქრობს მოთქმად.  
 ხალხს სხვა რა უნდა და მისგან  
 გაბახდა ჩვენი მოდგმად.  
 „ახლა შენ იცი, შენს საქმეს  
 ჩვენ ვერ მოგუვლით უშენოდ.  
 შვილი შენია, საკუთარ  
 შვილს შენვე უნდა უშველო!“  
 როდესაც მამამ ლეილის  
 იმ შლეგის საქმე გაიგო,  
 ხმალი იშიშვლა: „ის კაცი  
 ამ ხმალზე უნდა აიგოს!“  
 ერთ ამერიანს ეს საქმე  
 გაეგო როგორც აეშავს,\*  
 სეიდთან\* ისე გაიქცა,  
 თითქოს დაბმული აეშავათ.  
 „ფრთხილად იყავი, ბატონო,  
 უბადო\* ამბის მაცნე ვარ!  
 ისემც გწყალობდეს უფალი,  
 ისემც ხიფათი აკცდება!  
 ლეილიანთა ტომის თავს,  
 თვით იცი, როგორ კიცხვიან,  
 წყლის ჩანჩქერით ჩქარია,  
 ცეცხლის ალივით ფიცხია.  
 მისი მუქარა თქვენმა ძემ

არც კი იცოდეს ეგების!  
სანამ გვიანი არ არის,  
შველა მანამდის ეგების.  
უფსკრულს მიაღდა მაჯუნნი  
უძიროსა და უგანოს,  
მე ჩემი გითხარ, შენი ძე  
შენ მოაბრუნე უკანო“

ეს მძიმე საქმე როდესაც  
ამერთა სეიდს აცნობეს,  
ზეზე წამოხტა, რაც ესმა,  
ემცხეთა საქმის არმცოდნეს.  
მაშინვე იხმო ძის თვისის  
ტოლნი თვისივე ტომელნი:  
„ჩქარა ადექით, მაჯუნნის  
კარგის ვინც იყოთ მდომელი!  
ახლავ გაფრინდით, მიშველეთ,  
არ დამიზოგოთ ნიჭიო,  
ისევ ცოცხალი მაჩვენეთ  
ჩემი საწყალი ბიჭიო!“

და მოეფინენ მძებნელნი  
ოთხივე კიდეს ქვეყნისას,  
ეძებეს, მაგრამ მიგნება  
მისი არავის ეღირსა.  
გაოგნებულნი ამბობდნენ:  
„რა დაემართა, ნეტაო?  
ნუთუ ნადირმა დაგლიჯა  
და ბედმა გაგვიმეტაო!“  
დაუწყო ცეცხლმა მოყვასთა  
მისთა გულ-ღვიძლზე მოდება.  
ყველგან ზღუქუნი ისმოდა,  
ყველგან მოთქმა და გოდება.  
ურვა ღიახაც მართებდათ,  
ნაღველის იყვნენ პატრონი,  
საჩინო კაცი დაკარგეს  
და თვალისჩინი გვარტომის.

მან კი ყურეში მიმჯდარმა,  
დაღლილმა ხალხის ყურებით  
მის ძებნად ყურებდაცქვეტილთ  
ჩამოუყარა ყურები.  
ყურად არ ელო ხმა სოფლის  
ამაოების მღევართა,  
გაცლოდა მისთა საგანთა,  
მისთა ნივთთა და მღღევართა.  
თავს აფარებდა ტყიურებს  
იმა თემთა და მინდორთა,  
ვიდოდა შორის ნადირთა,  
მისთა მიმყოლთ და მიმნდოთა.  
ემწარებოდა ყოველი

ლუკმა პირისკენ გაწვდილი,  
დღეს ისე დააღამებდა,  
არ ეწვნეოდა ნაწილი.

ერთხელაც ერთმა არაბმა,  
ვილაც იბნ\* სა'დის ტომელმა,  
ვითარცა ბედის ვარსკვლავმა  
კაცთა სიკეთის მდომელმა,  
გამოიარა იმ მხარეს  
და შორს, ამომშრალ ხაშურთან\*  
მაჯუნუნი ნახა განრთხმული  
და შეელას მისას დაშურდა.  
მშვილდ-ისრის არსი ცის მსგავსად  
არსად მიელო მის არსსაც,  
ლოცვით მშვილდს ჰგავდა მოხრილი,  
ხოლო სიმართლით – ისარსა.  
კვნესა შემორჩა მახლობლად  
მძიმე და გულის მზარავი,  
ლანდი დასდევდა თავისი,  
სხვა არსი არსით არავინ.

იმ კაცმა თვალად საამო  
მაჯუნუნი ნახა თუ არა,  
ახლოს მივიდა, უძახა,  
აქეთ და იქით უარა.  
ჰკითხა: „მითხარი, რა გიჭირს,  
გონს მოდი, ზეზე ადექო!“  
მაინც ვერაფერს ვერ გახდა,  
თუმცა ზედ ლამის გადაეგო.  
რომ ვერაფერი ასმინა,  
თავი ანება დავრდომილს  
და იქ გაიქცა, სად მისი  
ეგულეობდა გვარ-ტომი.  
მაჯუნუნის მამის სადგომი  
სეფეკარავი იძია  
და შეუცხადა: „ეს და ეს  
უდაბნო სად ძეს, იცია?  
ეს და ეს კლდე რომ თავდება  
და რომ იწყება ველიო,  
იქ იკლაკნება სიბ ქვაზე  
შენი ძე, როგორც გველიო.  
დარდით არაქათგაცლილი  
წევს და სატკივარს მოთქვამსო.  
ავი სულივით გაურბის  
ადამის ტომის მოდგმასო.

„რა დაგიმალო, განსაცდელს  
საქმე თავისი უქნია,  
სულ დაუბალთავს საბრალო,  
სულ ასო-ასო უქნია“.

ასეთი ამბის მოსმენა  
მამისთვის, იცით, რაც არის,

მყისვე დააგდო სახლ-კარი,  
 კარვის კერა და ნაცარი.  
 უდაბნოს კიდეს დაადგა  
 ღრიალით კლდე-ღრის მლახველი,  
 დაუჩხრეკელი არ დარჩა  
 მღვიმე, ქვაბი თუ ქვანვრელი.  
 ბოლოს წააწყდა კლდის ძირას  
 საწყალობელად დავარდნილს,  
 სიბ ქვაზე თავი მიედო,  
 ვერ შეძლებიყო ნავარდი.  
 ლეილის საგალობელი  
 ლექსის ჰანგები გაება,  
 შიგ ხან გულის დარდს აქსოვდა,  
 ხან კიდევ – სულის ვაებას.  
 ზღუქუნნი ჰქონდა გაბმული  
 და თვის ბედს იმით მოჰკავდა,  
 ხან მისებრ ძირს ეცემოდა,  
 ხან მისებრ ზეზე როკავდა.  
 იმდენი ესვა სვედავისილს  
 სამსალა ტრფობის უცლელი,  
 დავიწყებოდა ყოველი  
 ნივთი, ახალი თუ ძველი.  
 მამა რომ ნახა მაჯუნმა  
 მისკენ ფეთებით მავალი,  
 ფეხქვეშ ლანდივით განერთხო,  
 შენდობა თხოვა მრავალი:  
 „სიცოცხლის ჩემის გვირგვინო  
 და სულის ჩემის შეებაო,  
 შეუნდე შენს შვილს, რომელიც  
 ასე უსაზმნოდ შვრებაო!  
 რა ღლეშიც გყავარ, თვით მხედავ,  
 სხვას ნურას მკითხავ ამაოდ.  
 ამაღე ხელი და მსახვრალს  
 ჩემს ბედს მიმანდე, მამაო!  
 როგორ არ მსურდა, ო, როგორ  
 არ მსურდა, ამ ჩემს წამებას  
 შენ შესწრებოდი და შენთან  
 ეს ჩემი ზრუნი\* გამება!  
 შენთან პირშავად ვარ; ვიცი,  
 ჭირთა ჩაგავდე ალებში,  
 ან პატიება ვით გთხოვო,  
 ან ვით შეგხედო თვალებში!  
 მაგრამ თვით იცი, ცუდ ფეხზე  
 როგორ დავადექ ავ შარას.  
 ვერ მოვიხეშე, ვერაფრით  
 ხელში ბედ-იღბლის ავშარა!“

## მაჯნუნის მამა შვილს არიგებს

ასეთ ყოფაში მყოფ პირმშოს  
რომ მოუსმინა მამამან,  
ამოიგმინა და ბოლმით  
ძირს დაანარცხა ამამა\*.  
დაიწყო გვრინი გვრიტივით,  
ცრემლი ანთხია ვარამით,  
თვალთ დაუბნელდა (დღე იყო,  
ღამე კი იწვა წკვარამი).  
„ჰე შვილო, ვისი სიკეთე  
ბედმა არა და არა ჰყო,  
ჩემო დამზრალო კოკორო,  
ჩემო გამცვთარო ვარაყო!  
ვერ შეძელ განა, დამშვიდდე,  
გული საგულეს დაგულო\*,  
ჩემო გვემულო სიცოცხლევე,  
სოფლის ჭირთაგან დაგულო!  
ვინ გამითვალა მე შენი  
თავი თვალადი ესოდენ,  
ვინ დამიწყევლა ძე ჩემი,  
რომ მიწყვი ასე კვნესოდეს?  
ვინ მოისურვა, სულდგმული  
ტანჯვით ასეთით ვეკალი,  
ამ ჩოხის კალთას ვისია,  
რომ გეჭიდება ეკალი?  
ყველას რომ ხელი აგვალე  
და ვერაფერი აკეთე,  
რა დაგემართა, არ იტყვი,  
რა გეცა, შვილო, აგეთი?  
მშფოთვარე კაცი მინახავს,  
მაგრამ შენ რომ ხარ, ამგვარი?  
მაგარი დაგვა მასმია,  
მაგრამ ამგვარად მაგარი?  
არ დაიღალე ამდენი  
წვალებით, გინა დარდებით?  
ხალხი დაგვცინებს, ხომ ხედავ,  
მტერ-მოყვრის ყბაში ვვარდებით!  
ვერ გაძენ საყვედურებით  
ათასით, განა ერთითა?  
მეორედ მოსვლის დღე გადგას,  
რატომ არ დგები მკვდრეთიდან?  
შეჯექო! – უთხრა, – კაემანს  
ვით გაიქარვებ, ნახავო.  
ცივ რკინას უქმად რას ჭედავ,  
წყალს ფუჭად რისთვის ნაყავო?  
არ ძალგძის ყოფნა უმისოდ,  
მეც ვიცი, განა არ ვიცი,

მაგრამ იმათაც დაგვხედე  
 ზოგჯერ, ვინც შენთვის დავიწვით!  
 კალო რომ კიდევ გალენე  
 და კიდევ გაანიავე,  
 მე მტრების ყბაში რად მიმეც,  
 რად გადამყარე სიავეს?  
 შენ გულის შენის ნებაზე  
 ახლოს მოგიდგამს ჩანგები.  
 შენ ჩანგზე უკრავ, ბატონო,  
 მე კი ყელს მიჭერს ჭანგები.  
 შენი ხომ მჭირს და ჩემიც მჭირს,  
 მე აქაც ვარ და იქაც ვარ,  
 შენ ტანზე კაბას რომ იხევ,  
 მე გულზე წყლულებს მიკაწრავ.  
 ტრფობის ბრიალა კოცონი  
 რომ მოგიკიდა ქალთამზემ,  
 მე შიგ ჯიგარში მინთია,  
 შენ – მხოლოდ გულის კალთაზე.  
 ხელს ნურასოდეს ჩაიქნევ!  
 შვებით მოილხენ ამოთი.  
 მარცვალს მიწაში მარხავენ,  
 ის კი ჯეჯილად ამოდის.  
 საწუთრო განა კაცის შვილს  
 აგრე ადვილად იმეტებს.  
 უიმედობის ლოდინში  
 ბევრჯერ შევეყრევართ იმედებს.  
 უიმედობის წიაღში  
 ბედმა იმედიც გვაღირსა,  
 თეთრი დილაა რამეთუ  
 ბოლო უკუნი ღამისაც!  
 მათ მიეკედლე, რომელთაც  
 ბედიც მიეცა, ბარაქაც;  
 იგი არა ქნა, ბარაქის  
 მქონემ რაც ქვეყნად არა ქნა!  
 თავშია მწარე მოთმენა,  
 თორემ ბოლოში ამოა,  
 ვინც ითმენს, მარგალიტები  
 ზღვიდან იმ მყვინთავს ამოაქვს.  
 ჭკუა რომელსაც არ დაჰყვა,  
 დევიც რომ იყოს, ჩიაა,  
 ჭკუის უქონო ყოველი  
 ფეხის უქონი ჭიაა.  
 მელამ მგელს ლუკმა, თუ იცი,  
 როგორ აართვა პირიდან? –  
 ამან თუ ჭკუას მოუხმო,  
 მან ჭკუა იქით ირიდა.  
 შენ გული შენი იმისი  
 სენებით როგორ დასენე,  
 ვინც წლიდან წლამდე ერთხელაც



ხსენებით არც კი გახსენებს!  
 მას გულში ვარდი უყვავის,  
 ვისთვისაც ამ დარდს გაუძელ,  
 შენ აქ ქვას ურტყამ თავს მისთვის,  
 იმას კი გულად ქვა უძევს.  
 შენთან ლეილის ამბავი  
 იმიტომ მოაქვთ, იცოდე,  
 ჯერ ქცევით ისე გაბახდე,  
 მერე სირცხვილით იწვოდე.  
 მოყვრები ვართო, – გეტყვიან, –  
 გშველითო, მტრები კი არა.  
 წყლულზე გადებენ ლენცოფას,  
 გულზე გიხსნიან იარას.  
 მისმინე, შვილო, ადექი  
 და ხელი საქმეს მოჰკიდე,  
 ეს გიჯობს, ვინემ ქვეყანა  
 ლანძღვა-გინებით მოგიდგეს!  
 როგორ გგონია, სპილოებს  
 თავ-კეფას რატომ უფხანენ?  
 სამშობლოს ნალველს უქრობენ  
 სულ ინდოეთზე მწუნარეთ.  
 სული ხარ ჩემი, სული კი  
 განა გზა-შარად იღება.  
 წამომყევ სახლში, შენ ჩემო  
 სახლოვ და ავლადიღებავ!  
 ამ მიყრუებულ კლდე-ღრეში  
 აბა რისი ხარ მნახველი,  
 აქ მისი ფასი რა პოვე,  
 რაც იქ დაკარგე სახელი?!  
 ციცაბო გზაზე ბარბაცებ,  
 ხნარცვები გიჩენს იარებს,  
 არ გადიჩენო ქარაფში,  
 შვილო, ჭკვიანად იარე!  
 რად გავიწყდება მუქარა  
 იქით იმ ქალის მამისაც?  
 გონს მოსვლა გმართებს, შენ კიდევ  
 სულმთლად გაგიჟდე ლამის აქ!  
 გზას ხიფათიანს ადგახარ,  
 გამოუცდელი ყმაწვილო,  
 აქეთ გამოდი, როყოდ  
 ხმალი არავინ გაწვდინოს!  
 ტოლ-მეგობრებში ჩადექი,  
 გაითამაშე, გაერთე;  
 მტრის სიმძიმელი აასე,  
 მოყვრის წუნილი აერთე!“

## მაჯნუნის პასუხი

მაჯნუნს ეს ტკბილი სიტყვები  
როცა ასმინეს, თავმდაბლად  
ბაგე გააპო და თვისი  
პასუხი ასე დათაფლა:  
„ეჰა დიდების ტატნობო  
და დიდგვაროვანთ გვირგვინო,  
განგებამ ვისაც გარგუნა,  
ცარგვალზე უფრო იგრგვინო;  
ეჰა არაბთა იმელო,  
მეუფების და დაცვისა,  
იმ ერთი ეშხის მიმცემო  
ხალო არაბის დაწვისაგ!  
ლოცვათა ჩემთა სადგურო  
და ყიბლაგ\* ჩემი ვედრების,  
არსობის ჩემის მიზეზო,  
ვისაც ვესაგ\* და ვედრები;  
უფალს ვთხოვ, შენი თავი მან  
დიდხანს მიცოცხლოს, მიხაროს.  
სანამდის ჰგიეს\* საწუთრო,  
თავი სულ შენსკენ მიხაროს!  
ვიცი, სიკეთე გწადია  
ჩემი, სიავე კი არა,  
გინდა, მალამო დამადო,  
დამიშოშმინო იარა.  
ვერ ვხვდები განა, რომ შენს შვილს  
ლღეები მადგას ავები,  
მაგრამ მეც რა ვქნა, ამ ჭირში  
განა მე ჩემით გავები?!  
განა ამ ტრიალ ტრამალზე  
თავად ვისურვე, დავვარდე;  
განა ამ გზაზე თვით გაველ,  
მას ნებით ჩემით დავადექ?!  
მხრებს რკინის ბანდი მიმძიმებს,  
ფეხზეც მიყრია რკინები,  
მაგრამ რას ვიზამ, ხვედრია,  
ხვედრს როგორ შევერკინები!  
ამ კირთებს თავად ვერ დავყრი,  
ბევრიც ვიცოდე ფანდები,  
არცთუ ის ვუწყვი, ამ ბორკილს  
სით გაეხსნება ბანდები.  
განა მე მარტო გამიხდა  
სიცოცხლე ასე არამი! –  
რამდენსაც გინდა, ამქვეყნად  
გულს უვერანებს ვარამი.  
როგორ გგონია, ორმოში  
ჩრდილი თავისით ვარდება?  
ცის ბანზე მთვარე ვით აღის,

ეს საქმე როგორ გვარდება?  
მუმლს საწყალობლად გაჩენილს  
თუ სპილოს მძიმედ ანაგებს  
ერთი ძალაა, რომ თრგუნავს,  
ერთი განგება განაგებს.  
ბედი ყისმათად\* მით თქმულა,  
ეს ჩვენი არის, ის – მათი,  
ყისმათს ვით გინდა გაუსხლტე,  
როცა თან დაგდევეს ყისმათი!  
ჩვენ რომ არჩევანს გვაძლევდნენ,  
მიგვიშვან ჩვენ-ჩვენს ნებაზე,  
ვინეტარებდით, იცოცხლე,  
უარს ვიტყოდით ვნებაზე,  
მაგრამ არჩევანს ვინ გვაძლევს,  
ვინ გვეკითხება, რა გვინდა,  
მიტომაც გვდაგავს მდაგველი,  
როგორც ოდითგან გვდაგვიდა.

შენ ტანჯვას ჩემსას მახსენებ  
და ცეცხლში ჩემთა ხალვათა.  
მაგრამ ვინ ნახე სხვა, ქვეყნად  
მშვიდად ცხოვრობდეს, ხალვათად?  
კი ვერ ვიცინი, ვაითუ  
ვთქვათ და სიცილი გავბედო,  
აბედის მსგავსად სიცილის  
ტალ-კვესით დამწვავე, ავბედო!  
გაიცინე! – მეტყვიან, –  
პირზე ნუ დაგდის ძმარიო!  
დარდიანობის ნიშანი  
დაღრეჯილობა არიო.  
რა კენა, სიცილი არ ძალმიძს,  
თუმცა დიდი მაქვს სურვილი, –  
აღს გამოვაფრქვევ პირიდან,  
ცეცხლით ისე ვარ ურვილი.  
ერთხელ კაკაბმა ჭრიჭინა  
იგდო, სად იყო, სად არა,  
ნადავლს ნისკარტი დაავლო  
და ერთხანს ასე ატარა.  
კისკისი იწყო ჭრიჭინამ,  
თუმცა ნისკარტით ეჭირათ:  
– შენ თუ არ მიწყენ, კაკაბო,  
გულში გამიჩნდა ეჭვი რამ.  
ჩემსავით სიცილ-კისკისი,  
ვეჭვობ, რომ შეძლო შენაო.  
ასეთი ნიჭით გამჩენმა  
მხოლოდ მე დამამშვენაო!  
ბრაზით აენთო კაკაბი:  
– ამ ჭია-ლუას დახეთო!  
სიცილისათვის ამქვეყნად  
მე გავჩენილვარ, თავხედო.

პირი დაალო, სიცილის  
 ნიჭები გამოიჩინა.  
 ჭრიჭინაც ამას უცდიდა  
 და თავს უშველა ჭრიჭინამ.  
 ასეა, მამავ, სიცილი  
 ვინც ქვეყანაზე ამაღლა,  
 ხელით წაუვა დიდება,  
 დიდიც რომ ახლდეს ამაღლა.  
 ბრძენს უთქვამს: უნდა ერიდო  
 სულ სიცილს უადგილოსო,  
 სიცილმან უადგილომან  
 ჭირს მოსვლა უადვილოსო!  
 სევდა გსურს უკუმიყარო,  
 ლხინს მირჩევ, ენამახვილობ,  
 მაგრამ ტანჯვისთვის განწირულს  
 შენ როგორ გინდა, მალხინო?  
 ვირის ამბავი ხომ იცი  
 (ჩემი რა გასაკვირია!):  
 ვირი სანამდის ფეხზე დგას,  
 ტვირთს ზიდავს, რა ქნას, ვირია.  
 ერთ ტვირთს იმისთვის მოხსნიან,  
 რომ სხვა აჰკიდონ ისევე  
 და როცა ფეხებს გაჭიმავს,  
 ის მხოლოდ მაშინ ისვენებს.  
 შეყვარებულებს სიკვდილის  
 განა გვაშინებს მახვილი.  
 ნეტამც შემოგვკრან ხმალიო! –  
 თავი მისთვის გვაქვს წახრილი.  
 რა ძალას ძალუძს დაუდგეს,  
 ვინ დააკავოს ძალათი, –  
 მიჯნური სატრფოს თუ ეძებს,  
 არ იცის საქმის დალატი.  
 მე მთვარემ პირი მიმრიდა,  
 მიმიშვა გულის სადალად.  
 მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე,  
 მკვლელო, მკარ ხმალი, სადა ხარ!  
 ტრფიალში თავის დადების  
 გზაზე ვინც უკან დაიხვეს,  
 ახია, მოკლან, მის ცოდვას  
 ქელზე არავინ დაიხვევს!  
 ასეა ჩემი ამბავი,  
 შენ კი მისინჯავ იარებს,  
 მოდი, მე ჩემთვის დამტოვე,  
 შენ კი შენს გზაზე იარე!“  
 მაჯუნუნის მამას, როდესაც  
 შვილის ეს სიტყვა მოესმა,  
 ზღუქუნი მორთო, მიუხვდა –  
 ყველა იმედი მოესრა.  
 აქეთ ის იჯდა და შვილის

წინ ცრემლით პერანგს ალტობდა,  
იქით ის ეგლო ტიტველი,  
შეებას სიკვდილში ნატრობდა.  
მანც ხელთ იგლო ძე, ვისაც  
სიგიჟემ ხელი დარია,  
შინ წაიყვანა და ბიჭი  
ტოლ-მეგობრებში გარია.  
მაჯუნნიც იყო, ითმენდა,  
თუმცა მოთმენა ეჭირა.  
უჭირდა ლხინის ატანა,  
სული სულ კბილით ეჭირა.

ორი დღე მშვიდად კი იყო,  
მაგრამ ეს ყოფა რად გინდათ? –  
მის შემყურეთ და შემხედავთ  
გულს ცოდვით თვისით დაგვიდა.  
ბოლოს აიშვა საბელი,  
რომლითაც მამამ დააბა,  
ისევ უდაბნოს მიმართა,  
ისევ გოდება გააბა.

იქ ისევ ისე ცხოვრობდა,  
როგორც მანადე ეცხოვრა.  
ცხოვრობდაო, ვთქვი? ცხოვრების  
იმ ყოფას არა ეცხო-რა.  
მეტი და მეტი როდესაც  
სიგიჟე წამოუვლიდა,  
ნეჯდში გარბოდა, ლეილის  
მიდამოს ირგვლივ უვლიდა,  
დაძრწოდა ნეჯდის კალთებზე,  
ვით ლომი ფაფარაყრილი.  
ქედით, სახევით\* მოხრილით,  
ფეხით, ბორკილებგაყრილით.  
ისე მოთქვამდა ლექსს, თითქოს  
ალუმართავთო ბუკები,\*  
სატროფოს უხმობდა მღურვებით,  
საყვედურებით, ნუკვებით.\*  
მოედო მისი ამბავი  
მხარეს, მოდებულს ისედაც,  
ზოგი ისმენდა მის ლექსებს,  
ზოგი კიდევაც იწერდა.

### **იმის შესახებ, თუ ლეილი რა დღეში იყო**

მას – სათნოების, მშვენების  
და ეშხის წიგნის თავფურცელს,  
მას – სილამაზის სამეფოს  
ბატონ-პატრონს და საფუძველს;  
მას, მას – შვიდი ცის სიტურფის

საძიებელს და სარჩევსაც,  
 მას – მთიებივით დახატულს,  
 რჩეულთა შორის სარჩევ ქალს, –  
 ლეილის უნდა ვეწვიოთ,  
 მშვენიერ ასულს არაბთა,  
 ედემის საროს რომ სჯობდა  
 და მთვარეს შურით ზარავდა.  
 ვინც იყო ფარჩით მომრთველი  
 ძვირფასი ფარჩით მომრთველთა,  
 ტკბილეულების მომრთმევი  
 ტკბილეულების მომრთმევთა.  
 გულთა ასთა და ათასთა  
 შანთების დალით მდაღველი,  
 ბედნიერების ბადაგი,  
 უბედურების ნალველი.  
 შმაგთა\* მიჯნურთა ბორკილი  
 და ოცნებათა შენება.  
 ის, თითით საჩვენებელი  
 შენთა\* და უშენთ\* მშვენება.  
 როდესაც მისი წალკოტის  
 სიომ საამოდ დაბერა,  
 ყვავილის ბუტკო გაშალა  
 და ღვინის ფერად დაფერა,  
 წელში გასწორდა ხე მორჩი  
 ბალში სათუთად ნამყოფი,  
 ტკბილი და ამოდ საჭკრეტი  
 ზედ დაიმწიფა ნაყოფი.  
 შვების წალკოტში გაფურჩქენილს  
 პირი გაზაფხულს უგავდა,  
 კაცს ისე მოუხედავდა,  
 იქვე ცეცხლივით ბუგავდა.  
 ისეთი ჯადო მოსდევდა  
 იმის ირიბად გახედვას,  
 ას სახელმწიფოს დანთქავდა  
 და ცეცხლის ალში განვევდა.  
 ისე შეეძლო თვალების  
 ჩაკვრა მას, თვალად გულკეთილს,  
 თურქივით გადაეთქერა  
 არაბეთი და თურქეთი.  
 ტყვე მისი ვერსად გარბოდა,  
 ბადეს გაბმული ბორგავდა,  
 კაცს ჯერ თვალებით იჭერდა,  
 მერე ზილფებით ბორკავდა.  
 და საოცარი ეს იყო,  
 თავს რომ ნადირად ირებდა,  
 ეს ნუკრის მსგავსი არსება  
 სულ ლომებს ინადირებდა.  
 პირი ვარდის პირს უგავდა  
 და როცა ბავეს აპობდა,

ისეთი ტკბილი ზმა ჰქონდა,  
თაფლს სწვეთსო, ხალხი ამბობდა.  
დალალი აშიყს უხმობდა:  
„მოდო, მემთხვიე, ჰა, მეო!“  
წამწამი სცრიდა: „მანდ იდექ,  
არ შეგეშალოს რამეო!“  
მშვენებით მისით ვარდსა და  
მთვარეს შექმნოდათ ვიშები.  
ვარდის წინ როქით გაეველო,  
მთვარისთვის ეთქვა ქიშები.  
წერწება ტანი საროს ხეს  
უგავდა ბაღში მოღობილს.  
თავზე იტყოდით, საროზე  
შემომჯდარაო ხოხობი.

თითქოს გაებათ ჩურჩული  
მისთა მოთაფლულ ბაგეთო:  
ყანდთან რა უნდა აკეთოთ,  
ჩვენკენ მოიწით აქეთო!  
მისი ტუჩების ჭინჭილას  
შურის სახმილით ნადაგი,  
მუშტრის გარეშე დაეგლო  
თუნგში ჩამტკბარი ბადაგი.  
ამ ქალს ნიკაპის ფოსოში  
ჯადო ჩაელო იმდენი,  
შიგ კაცთა გულებს ლუპავდა  
მასთან ზედიზედ მიდენილთ.  
და კიდევ კარგი, კოჭამდე  
ნაწნავთ ეყარა ბაწრები, –  
ჭაში ჩანთქმულნი ნაწნავზე  
ხელის წავლებას ასწრებდნენ.

აი, ამდენი სიავის  
და ფათერაკის ჩამდენი  
ვერ გაუშკლავდა სიყვარულს,  
ვერ მოახერხა ამდენი.  
და როგორც მოდგამთ ტრფიალის  
ლაღარში დამწვარ-დაგულებს,  
მოფარდაგულში ალბორგდა  
(კარები რკინით დაგულეს\*).  
ათასში ერთხელ ბანზე თუ  
მოახერხებდა გამოსვლას,  
ლოდინში დააღამებდა  
იმ დღესაც უღიმღამოსაც.  
ვინ იცის, იქნებ განგების  
გადმომეფინოს მაღლიო;  
მაჯუნმა გამოიაროს,  
მისი დავლანდო ლანდიო!  
ის რომ მანახოს, ისეთი  
კაცი ვინ უნდა ვნახო,  
ვით ვამცნო, როგორ ვიტანჯე,

ვით დავსვა ჩემთან ახლო!  
 იცოდა, ვისაც უყვარდა,  
 ავი არავის უთავდა,  
 ამიტომ ჩუმად კვნესოდა,  
 იჯდა სახლში და კუთავდა.  
 სანთელს უგავდა სიცილი,  
 ტირილიც სანთელს უგავდა, –  
 ხალხს აწონებდა პირს, თორემ  
 გულს ცეცხლის ალში ბუგავდა.  
 ცრემლების ჩქერით ჩქარ-ჩქარით  
 ღაწვების წალკოტს რეცხავდა,  
 რასაც შეხედა, სუყველგან  
 მაჯნუნის სახე ეცხადა.  
 რაც თავის მიჯნურს მოსწყვიტეს,  
 სიშორის ცეცხლით იწვოდა,  
 არც კვამლი ჩანდა და ყავლიც  
 ამ ალვის არვინ იცოდა.  
 თან პირთან სარკე მიჰქონდა,  
 უკვირდა: „სარკეს ვვორთქლავო!  
 მაშ, სული მდგმია, გავხედო,  
 ეგებ მაჯნუნიც მოდგაო!“  
 თავისი ჩრდილის თვინიერ  
 არვინ შემორჩა დარდიანს,  
 კედლებს უმხელდა ხვამიადს\*  
 აჭრილი დილაადრიან.  
 საკუთარ ჩრდილთან იმდენი  
 ჩუმად ივაგლახ-იახა,  
 ახლოს ვერავინ დაუდგა,  
 მოახლედ ვერვინ იახლა.  
 გულში რომ ცეცხლი ებუდა  
 და თვალში – წვიმა უნები,  
 ყველას ფერია ეგონა  
 (წყლისა და ცეცხლის ბუნების).  
 თუმც თითისტარის ტრიალი  
 არის საფერი დიაცთა,  
 ხოლო ისარი ვაჟკაცთა  
 კაპარჭს\* უხდება დიახაც,  
 დავიწყებოდა, დავთარში  
 დიაცთ რა წესი ეწერათ,  
 ორწვერა თითისტარის წილ  
 ისარი ეპყრა ერთწვერა.  
 მოთქმით იმდენი იტირა,  
 თვალით იმდენი აწვიმა,  
 ნაწილი წყალი ტბად დადგა  
 და ზღვას უწია ნაწილმა.  
 მისი დალებით მდაღველის  
 კაცი არ იყო მნახველი.  
 ნაღველი? მაგრამ მის ნაღველს  
 რას ინაღველებდა ნაღველი!



ოქროს დიდრონი რგოლები  
ყურზე საყურედ ეკიდა,  
ვით კარის რგოლი, ისიც კარს  
ყურს მიაღებდა, რეკვიდა.  
ის, ორთავ თვალთა სინათლის  
და მთვარის თვისის მძებნელი,  
თვალეზად იყო ქცეული,  
გზას გაჰყურებდა მზებნელი.  
მაჯუნუნის მხარეს მიმავალ  
ნიავეს, ვით ჩალამ-კალამი,  
წაუწვებოდა და თხოვდა,  
მასთან წაელო სალამი.  
ნეჯდის მთებიდან წამოსულს  
დაუხვდებოდა ზენა ქარს,  
ეგების სადმე, ვინ იცის,  
მისი მაჯუნუნი ენახა.

სადაც არ უნდა გაეგლო,  
სადაც არ უნდა მჯდარიყო,  
მაჯუნუნის ლექსებს მღეროდნენ  
და ყურთასმენა არ იყო.  
იმ ლექსთა დაზეპირება  
მაინც რომ არვის დაზარდა!  
ბავშვებიც მის ლექსს მღეროდნენ  
იმ დღეს ნარბენნი ბაზართან.  
ვინც ჩაუვლიდა ლეილის  
სადგომის ბანს და ლაფაროს,  
შეუძახებდა: მაჯუნუნი  
ამ ლექსს გიძღვნისო, ლამპარო!  
განა იმ ქალის შემყურე  
მარტო სიტურფით იწვოდა, –  
ლექსებსაც თხზავდა ლეილი,  
სიბრძნე ლექსისა იცოდა.

მას, გაუხვრეტელ მარგალიტს,<sup>31</sup>  
ძალედვა, გული ეწვა და  
ლექსების მარგალიტები  
ეხვრიტა, როგორც ეწადა.  
თავად უბიწო ქალწული, –  
უნდა მერწმუნოთ უფიცოდ, –  
ლექსებს წერდა და რა ლექსებს! –  
ქალწულებივით უბიწოს.  
მაჯუნუნის ცეცხლის პასუხად  
(არავად \* ქროდა თაკარად),  
ტიროდა, მიწყვი სდიოდა  
თვალთავან ცრემლი ანკარა.  
თვის გულის პასუხს დაწერდა,  
ცრემლით რომ ლაწვებს ბანვიდა  
და გზად მიმავალ ბედუნს  
გადაუგდებდა ბანიდან.  
ლექსს აიღებდა გამვლელი

და იქვე წაიკითხავდა,  
მიუხვდებოდა ლეილის  
ლექსში ჩაქსოვილ იგავთ და  
ტრფიალის ეშხზე მოსული  
ისიც იწყებდა როკვას და  
მაჯუნუნისაკენ მიქროდა, –  
შვება მიჰქონდა მოყვასთან.

ასეთი წესით მიჯუნურთა  
წერილი მიჰქონდ-მოჰქონდათ,  
ერთი რომ იქეთ მიქროდა,  
მეორე აქეთ მოქროდა.  
ხალხმა იმდენი ისმინა  
მათი ჰანგი და საქცევი,  
ბავშვებიც მათ ლექსთ მღეროდნენ  
ლამის მუტრიბად\* ნაქცევი.

კარგის თქვი, თორემ, იცოცხლეთ,  
ავის ბევრია მზრახველი.  
კვლავ მითქმა-მოთქმა დაიწყო,  
კვლავ გაიბახეს სახელი!  
ტყუილითა და მართალით  
ისევ ათრიეს ათასით,  
ღმერთო, რაც ცრემლი მათ ღვარეს,  
რა ჯამი არწყავს, რა თასი!  
წელიწადს კიდევ გაუძლეს  
ზოგის ჭორს, ზოგის ოცებას.\*  
ოცნებით ძლებდნენ, ეგების  
ავვისრულდესო ოცნება!

## ლეილის გასეირნება ნალკოტში

როცა ყვავილმა ჭრელ-ჭრული  
დასცა ველ-მინდვრად კარავი,  
მოლმა მოჩითა მიდამო,  
რა სუსხნი ჩადგა, არავი,\*  
კისკისით დასხდნენ ხეების  
ტოტებზე ყვავილთ პირები,  
ვით ბედნიერი პირების  
გალიმებული პირები.  
ტიტა ვარდისფრად ხასხასებს  
და ვარდი – ფერად ზაფრანის.  
ზედ აღუმართავს ბუნებას  
შვების იალქან-აფრანი.  
ისე ბიბინებს მიდამო,  
ისე ბრწყინავენ ბალები,  
რა გააჩუმებს მათ მგოსანს,  
ისიც ყეფს თავის ალებით.  
ამდენი მარგალიტების  
ყურებას როდის მორჩები! –

სულ დაუნამავს ცვარს წუხელ  
ბუჩქების ლორთქო მორჩები.  
იას იმ სიგრძედ გაზრდოდა  
ზილფების ნაზი კავები,  
ფენებში ებლანდებოდა  
ქარში თავშეუკავები.

კუნელს წელთ, როგორც წესია,  
ქამარი შემოეჭირა,  
მტრის დასახვედრად მზად იყო, –  
ეკლის ისრები ეჭირა.

დუმფარამ, მზემ რომ უმზირა,  
წყალს ფარი მაშინ უფარა,  
თორემ უმზეოდ ფარები  
დაფარული აქვს დუმფარას.

სუმბულმა გახსნა სამუშკე  
და დააფრქვია სურნელი.  
ვარდი მკლავს მისკენ იწვედა  
მოხვევის მისის მსურველი.

ნარგიზი აჭარხლებული  
ხურვებაშეყრილს მოჰგავდა,  
სიზმარს რომ კაცი წამოჰყვეს,  
იჯდა და ისე ტოკავდა.

არღავანს\* ძარღვი გახსნოდა  
(მზის მოხვედროდა შუბები)  
და ველზე წითლად ღელავდა  
არღავანის სისხლის გუბები.

რაც უცვეთელამ ამ დილას  
ვერცხლის ჩანჩქერი ადინა,  
ასკილმა ტანზე შეისხა  
და განიბანა ადვილად.

ვარდმა კოკრიდან ჯერ ფრთხილად  
და მორცხვად გამოიჭყიტა,  
მაგრამ რა ტოლი ვერ ნახა,  
იქვე გაშიშვლდა იჩქითად.

და სოსანს ენა კი არა,  
პირში ხანჯალი გაჩროდა,  
სულს ძლივს დაფავდა საწყალი,  
წვალობდა, ვაინაჩრობდა.

შემოსეოდნენ ყვავილეთს  
ცისა და ბარის ფრთოსნები,  
მგოსნებს აქ ჰყავდათ ტოლები,  
ტოლებს აქ ჰყავდათ მგოსნები.

დურაჯს თავისი გულ-ღვიძლი  
შამფურზე მწვადად აეგო.  
გვრიტი ზედ მარილს აყრიდა,  
სამისო საქმე გაეგო.

ქედანი, ღულუნ-ღულუნით  
ჩინარის წვერზე აღმხდარი,  
გულისმთუთქავად უხმობდა

სატროფოს, გუნებაწამხდარი.

ბუღბუღს ტრფიალით დაჩაგრულს  
თავი ტოტიდან გაეყო,  
ამხელა სიყვარულისთვის  
თვით არ იცოდა, რა ეყო.

ვარდი, ლეილის მაგვარად  
კარავში თავს რომ ფარვიდა,  
ლეილი უნდა ვნახო! –  
გამოსულიყო კარვიდან.

ზეიმი იყო ყვავილის,  
ჟამი დგა ვარდისფურცლობის,  
ბაღს რომ ეწვია ლეილი  
შეების და ლხინის უცნობი.  
თავად წალკოტი ეგონათ  
ირგვლივ წალკოტით მოცული,  
ვარდების ბაღი იების  
წნულით რომ ჰქონდა მოწნული.  
ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით,  
ადგილ და ადგილ ვანებით,  
გოგავდა ბაღში პირად მზე  
პირმთვარე შიმუნვარებით.

სეფექალები, ლეილის  
რომ ახლდნენ პირისფარემად,  
თურქები გახლდათ, არაბეთს  
შემოსულნი თარემად.

ტოლებით გარემოცული,  
მაგრამ ტოლებში უბადლო  
ტანს მთარწევდა... ფუ ეშმაკს,  
თვალი არ ეცეს უბადო!\*

ნარგიზთან ერთად წალკოტში  
თასის აწევა ეწადა,  
ტიტასთან მიიჩქაროდა,  
მასთან ღვინის სმა ეცადა.

ზილფების მისის ზვეული  
უნდოდა, იას ენახა,  
რათა ლეილის მიბაძვით  
თმა დაეხვია ხელახლა.

უნდოდა, ვარდებს როგორმე  
ეხილათ მისი ლოყები,  
იქნებ მას დამგვანებოდნენ  
ვარდები, მისი მოყვრები!

ჰსურდა, საროთა კორომი  
გზაზედ ჰქონოდა სარონი,\*  
იქნებ რონინში როგორმე  
დამგვანებოდნენ სარონი!

ტკბილსა და ფშვიადს ეწადა,  
წვეოდა ყვავილთ ბუტკოებს,  
ეგებ სიტკბო და სურნელი  
ეგრძნოთ უსურნელ-უტკბოებს!

თავისი ყოფნით მდებლოზე  
ყვავილის შეთხზვა ისურვა, —  
რაა ნამდვილი ყვავილი,  
ნახოს წალკოტში მისულმა!  
მასხრად უნდოდა აეგდო  
ტანი წერწეტა საროსი,  
უცვეთლის თეთრი ფერისთვის  
პირით ეცვალა ტაროსი.

ეჰ, ეს ისე ვთქვი, თორემ ის  
ამ გუნებაზე არ იყო,  
გახალვათება უნდოდა,  
ცრემლებით რომ გამძღარიყო.  
შეყვარებული ბულბული,  
ეწადა, ბაღში ენახა,  
ასჯერ ნათხრობი ვარამი,  
მისთვის მოეთხრო ხელახლა.  
უნდოდა, ჩუმად შეჰყროდა  
სიოთ ველ-მინდვრით მოსულთა,  
ხომ არ ენახათ მაჯნუნი?  
ლეილი ხომ არ მოსურდა?

თუ გაგივლიათ იმ მხარეს,  
მსგავსთ ჩინელ მხატვართ ნახატის  
დანაკისკუდის\* კორომებს  
უთუოდ დაინახავდით.  
იქ რომ ივლიდით, იტყოდით,  
მიწაც სხვა არის, თალიცო,  
აწი საცაა ედემის  
უნდა გამოჩნდეს ბალიცო!  
იმ სანახებში ისეთი  
კუთხე არავის ენახა.  
ჰყვაოდა იქაურობა  
ბაღად ქცეული, ვენახად.

ასეთი ბაღჩა-ბაღები  
ნახა ლეილიმ თუ არა,  
იმ გოგონებთან გოგმანით,  
იმ ხეთ ალერსით უარა.  
გამოსულიყო წალკოტში  
და შიგ ვარდივით ტოკავდა,  
მასზე რა გითხრათ, ჩრდილიც კი  
მისი ვარდს როცა მოჰკავდა.  
სადაც მივიდა, ზილფებით  
სიო აქროლა ისეთი,  
სოსანმა კვირტი გაკოკრა,  
ვარდი ატოკა მისრეთის\*.  
იმ ხვატში, ბროლის ხელების  
საბანად სადაც გასწია,  
ბზა აღმოცენდა და სარომ  
კენარი ტანი არწია.

ერთხანს ნიშატი\* ხელთ იგდეს,  
გულის გალალეს ალვები.  
და ტკრციალებდნენ ქალები  
პირად მზე, ტანად ალვები.  
ლეილიმ ერთხანს იხარა,  
გაერთო, არა უშავდა,  
მერე იმ სევდამ მოკუმშა  
კვლავ, გულს რომ დღემდე ქუშრავდა.  
დააგდო შიმუნვარები,  
ირგვლივ რომ მუდამ რკალავდა,  
როგორც ხოხობმა, სამოთხის  
საროს ძირს მოიკალათა;  
განზე გამდგარი ხის ძირას  
ჩუმად გვრიტივით კუთავდა.  
მასზე გოდებდა, ვისზედაც  
გმინვა არასდროს უთავდა:

„ეჰა, მისად ვარ მოქენე,\*  
დღემდე ვყოფილვარ ვისადო,  
ჰე, ყრმაო ჩემო სწორფერო,  
საკუთაროვ და მისანდოვ;  
შენ, ჩემო ნორჩო ალვის ხევ,  
ლალო და ტანად კენარო,  
გულზე ცეცხლმოკიდებულო,  
ოხვრით კი სუსხის მდენარო!  
არ მოხვალ ჩემთან, ასეთი  
არ მოგწონს განა ბალები?  
გამოჩნდი, დამიშოშმინე  
გულს მოშიშინე დალები!  
შემოვეყაროთ ერთმანეთს  
აშკარად, განა მალვითო,  
შენ ჩემმა სარომ განხაროს,  
მე დავტკბე შენი ალვითო!  
განა არ ვიცი, ვერ მოხვალ  
ჩემთან, თუმც გული მოგიწევს,  
პასუხი მაინც მაღირსე,  
როცა ბარათებს მოგიწერ!“

მორჩა თუ არა ლეილი  
მაჯუნთან ასეთ საუბარს,  
უეცრად გზიდან ვილაცამ  
მის მოთქმას მხარი აუბა.  
გზის პირას ვილაც ლექსის მტე  
და სიყვარულის მონა დგა,  
გულდათუთქული მოთქვამდა  
მაჯუნის მიერ მონათქვამს:

„ეჰა შენ, პირის გამტენო,  
გამცემო ჩვენთა ზრახვათა,  
ვინც ერთხელ მაინც იმედის  
პირი არ მომეც ნახვადაც!  
მაჯუნნი აგერ აგდია

სისხლის და ცრემლის გუბეში;  
 ლეილი მშვიდად ხომ სუფევს,  
 ხომ არ სჭირდება ნუგეში?  
 მაჯნუნი აგერ ლაფავს სულს  
 და გული ბოლმით ავსია;  
 ლეილი ლხინს ხომ არ იკლებს,  
 ხელთ ხომ ბადაგის თასი აქვს?  
 მაჯნუნი მკერდზე ქვას იცემს  
 და თავი კედელს უშინა;  
 ლეილის როგორ ეძინა,  
 რაც ინებივრა გუშინაც?  
 მაჯნუნი იმას ვალალებს,  
 ჭირი რომ ჭირზე დაერთო;  
 ლეილი ახლა ვით ილხენს,  
 დღეს რითი უნდა, გაერთოს?  
 მაჯნუნი ცეცხლში ჩამდგარა,  
 გულს აჭდეგია დაღები;  
 ლეილი ბალში ხომ იშვებს,  
 ახლოს ხომ აკრავს ბაღები?  
 მაჯნუნი სიტყვას ინახავს,  
 იცავს მიჯნურის სვამიადს;\*  
 ლეილის ვისი ცეცხლი სწვავს  
 და ვნება ვისზე აშლია?  
 მაჯნუნი სატრფოს სიშორემ  
 ბანდის ბაწრებით გათოკა;  
 ლეილი წყნარად ხომ სუფევს,  
 თავს ხომ კარგად გრძნობს მარტოკა?“

როცა ლეილის მაჯნუნის  
 ესმა ასეთი ლაზელი\*,  
 ქვები დაადნო ტირილით  
 მღუღარე ცრემლში ნაზელით.  
 ბალის ყურეში მიყუყულს  
 და იქ მოტირალს ვალალით,  
 შორიდან ერთი მოახლე  
 უჭკერეტდა გულით ალალი.  
 მიუხვდა იგი, სიშორის  
 მიჯნებით გადამიჯნული  
 ისევ ახსოვდათ მაჯნუნი,  
 ტანჯული იგი მიჯნური.  
 ვით მარგალიტი სადაფში  
 დაბრუნდა გარეთ გასული, –  
 უკან მოიქცა ლეილი,  
 ამერიანთა ასული.  
 იმ შიმუნვარმა რაც ნახა,  
 იმაზე აღარ იღუმა,  
 დედას აცნობა: „ლეილი  
 ბალში მოთქვამდა იღუმლად.  
 მისი ამბავი თქვენც იცით  
 და რაც სჭირს, უწყით უჩვენოდ,

დედა თქვენა ხართ, ჭირში მყოფ  
შვილს თქვენვე უნდა უშველოთ!“

დედამაც გულში იფიქრა,  
გოგოს თუ ვუშვი ხელიო,\*  
მას ვნების ღვინით დამითრობს  
ის, სიყვარულით ხელიო.  
და რომ ვურჩიო, დაცხერი,  
ვნების იყავი ურჩიო,  
იქნება სულაც მომიკვდეს.  
სიკვდილი როგორ ვურჩიო!  
უწყოდა გულმა დედისამ,  
საშველი არვინ იცოდა.  
იჯდა საბრალო და შვილის  
საცოდობით იწვოდა.

ხოლო ლეილი, ამერთა  
სევდით სენილი ასული,  
გამოიკეტა, ვით განძი  
ციხე-გალავნით დაცული.  
აშკარად რასაც გალობდა,  
იმას მოთქვამდა ჩუმადაც,  
ონერას კი ოხშივარივით  
უფრო და უფრო უმატა.  
გული დაღებით დაგული  
დაჰქონდა სავსე ნაღველით.  
ყოფილა ქვეყნად მიჯნური  
ვინმე გულდაუდაღველი?

## იბნ სალამის მიერ ლეილის დანიდვა

მათ, ვინც ამ ამბის წალკოტში  
შემოსვლა შემოგვთავაზეს,  
სათქმელის ულაყს ასეთი  
ღალი დააჭდეს გავაზე:<sup>32</sup>  
ერთმა არაბმა ჭაბუკმა  
ბანი ასადის ტომელმა  
გზად მიმავალი ლეილი  
ნახა კვლავ ნახვის მდომელმა.  
იყო ვაჟკაცი უებრო,  
მკლავიც შესწევდა, ქონებაც.  
ბედმა არაბთა მრავალ თემს  
მისი არგუნა მონება.  
მას, სახელოვანს, იბნ სალამს  
უნებოდა ხალხი სახელად,  
ვინც მან ჯერ მორჭმით ალაღა  
და მერე ჭვრეტით\* ახელა.  
მისი ქება და ღიდება  
ისმოდა ყოველ კარავთან,  
საჩინო კაცი ის იყო  
და თვალისჩინი არაბთა.



ამ ყმაწვილკაცმა ლეილის  
კანდელი ნახა თუ არა,  
ქარიშხლად აღხდა და კანდელს  
ირგვლივ და ირგვლივ უარა.  
ის კი ვერაფრით იფიქრა  
პატრონმა განძის ამდენის,  
ავარდნილ გრიგალს, სად იყო,  
უძკლავდებოდა კანდელი!  
შინ შემოიქცა თუ არა,  
გადაიწყვიტა უდავოდ:  
ეს ქალი, რაც არ გარდამხდეს,  
ცოლად შევირთო უნდაო!  
ეს ვით იკადრა, არ ვიცი,  
ან ვით გაივლო ფიქრადაც, –  
მთვარეს, სად თქმულა, კაცი რომ  
გულში ცოლივით იკრავდა!  
და დატრიალდა ეს კაცი  
საქმით და ვნებით მამვრალი  
და მიუგზავნა ფერიის  
ასულის მშობლებს მაშვალი:  
„მისი უზომო ტრფიალი  
გულში ჩამიდევს წმინდაო.  
პირობა მითხრას ლეილიმ  
და დღესვე ცოლად ვწინდავო!“  
გაგზავნა დასანიშნავად  
ცხვარი და ძროხა მრავალი,  
განძი მძიმე და ძვირფასი,  
ცხენი ქარივით მავალი.  
ძვირი და უხვი საწინდრით  
წავიდა კაცი მაშვალად,  
ლეილის მამას მიადგა,  
ენა და ხელი გაშალა,  
შემდეგ ხელები უკოცნა  
მათ, ვისი კოცნაც ეგების, –  
ქალი ასეთი ლაქარდით  
მოვიხელთოო ეგების!  
დაფიქრდა ქალის დედ-მამა,  
მიხვდნენ, აძლევდნენ არაონს:\*  
„უარს ვერ გეტყვით, ბატონო,  
კიო, რატომაც არაო!  
კარგი საქმეა ეგ საქმე,  
ცუდი არ უჩანს პიროო,  
მაგრამ, რომ გითხრათ, არ არის  
საჩქარო, საამკვირიო.  
ეს ჩვენი ქორფა წალკოტი,  
ბალი ედემის ჩვენისო,  
შეუძლოდ გახლავთ, ცოტათი  
უგუნებობა შევენისო.  
როდესაც გამოიხედავს

და ჩვენს საწადელს გვაწევსო,  
გადავიხადოთ ქორწილი  
ვქნათო საქნელი საწესო.  
მაშინ გადმოგცე ის განძი,  
მე რომ საუნჯეს ვმალეო,  
ღმერთია შემწე, ღვთის მადლით  
ეს ღლეც დადგება მალეო!“  
როცა იბნ სალამს ამგვარად  
იმედის ნერგი უხარეს,  
ცას სიხარულით ეწია  
(რად იქნებოდა მწუხარე!).

### მაჯნუნისა და ნავფალის შეხვედრა

ლეილი მოფარდაგულში  
იჯდა დაგული დარღებით,  
მომთმენის ფარდას უხვედა  
სადგომის მისის ფარდები.  
შეფარდებოდა მის საქმეს  
ჩანგის და ნაის\* ფარდი\* და  
გამოსულიყო კიდევაც  
სირცხვილ-ნამუსის ფარდიდან.  
ლექსებს მოთქვამდა, ძალედვა  
განა ხმის ისე გაკემნდა.  
როცა ის ლაზელს\* მღეროდა,  
ირგვლივ საკმეველს აკმევედა.  
იკაკვებოდა თავისი  
ზილფთა კავების მაგვარად,  
ბედმა ჯერ მაჯნუნს მოჰკვეთა,  
მერე კი ძილი წაჰკვარა.

ლეილი თმას თუ ემსგავსა  
და ზილფებრ იკაკვებოდა,  
მაჯნუნი თავის ბედს ჰგავდა, –  
კლდე-ღრეში იკარგებოდა.  
შეკედლებოდა ეული  
ველთა ბინადართ არეულთ,  
ქურციკთა არვეს შერთვოდა  
გარეულ ნადირთ გარეულთ.  
შეუდგებოდა ქარივით  
ნეჯღის მთათა და ქარაფთა.  
ქაჯივით რბოდა, თუმც ქაჯი  
არ იყო იგი არაბთა.  
დამსკლარი ფეხით როკავდა,  
გარეთ რბოდა თუ შინა დგა,  
მტვერსა და მიწას ხვეტავდა,  
ოხერისგან ისე ქშინავდა.

იმ მხარეს ერთი ყრმა ვინმე  
ცხოვრობდა შვებას ჩვეული,  
ბრძოლაში რკინისმკენეტიელი,  
მეჯლისში გამორჩეული.  
მტრად რვალის მკერდის პატრონი  
და მოყვრად – ცვილის გულისა,  
ნავფალი გახლდათ სახელი  
იმ ალვის ედემს რგულისა.  
ის მხარე სრულად მას ყმობდა  
და ყრმობდა ყველა მათგანი,  
მტრად ლომი იყო მძვინვარე,  
მოყვრად – სათუთი ბატკანი.

ერთ დღეს ყრმა იგი ნადირზე  
სინჯავდა თურმე იარაღს,  
ბევრი იარა თუ ცოტა,  
იმ მხარეს გამოიარა.  
ჭიუხში\* ნადირს ეძებდა  
და კლდის ქვახვრელებს ჩხრეკვიდა,  
ხან ველზე ქარად მიქროდა,  
ხან ქარაფებზე ეკიდა.  
იქ შეხვდა, ვისაც კლდე-ღრეში  
ქვა გულს ისრისებრ ესმოდა,  
ვინც კვნესით ისე კვნესოდა,  
ყურთ არაფერი ესმოდა,  
ვინც, მოწყვეტილი მოყვარეს  
და მტრის საწადელს წეული,  
დაძრწოდა ასე გვემული,  
ბედისგან ასე წყეული.

მაშინ ნავფალმა იკითხა:  
„მამცნეთ, ვინ არის ეგაო?“  
„ეგაო, – ჰკადრეს, – ბატონო,  
ბედმა უღმერთოდ ჯეგაო.  
ვილაც ქალს ჰყვარობს და თურმე  
იმ ქალის სიყვარულითო  
ასე გაგიჟდა საბრალო,  
სოფლის ლხინთაგან უნივთო.  
დღისით თუ ღამით მას უხმობს  
და ლექსებს უძღვნის ზეპირად.  
მისგან მოსული ზეფირი  
თუ დაიგულა ზეფირად,  
გემს იცემს მისი ზილფების  
ამბრსა\* და მუშკში\* ნაზელსო,  
სამაგიეროდ ზენა ქარს  
სატრფოსთან ატანს ღაზელსო\*.  
როდესაც ღრუბლებს შეხედავს  
ლეილის თემით წამომდგარს,  
ლექსს უძღვნის სამადლობელოს  
და ხოტბას მისას წარმოთქვამს.  
გამოივლიან მგზავრები

თავიანთ გზაზე მავალი,  
მას რომ ამ დღეში იხილავს,  
მისკენ მოუქცევს მრავალი.  
ამ ხელი\* კაცის შემყურეთ  
გული ეწვებათ ხელად და  
ზოგი შეჭამადს მიაწვდის,  
ზოგიც – საღვინე ხელადას.  
ხვალაც იმაზე იკვნესებს,  
რაზეც ღღეს არის მკვნესარი.  
ეს არის მისი ნასიბი\*,  
მისი ამბავიც ეს არის“.

ნავფალმა ეს რომ ისმინა,  
თქვა: „მას ვუშველო რითაო?  
მე თუ კაცი ვარ, ამ კაცის  
ჭირით ხსნა უნდა ვითავო!  
ამ საცოდავი ყმაწვილის  
შველა იხილეთ აწიო,  
გადაწყვეტილი მაქვს, ეს ყრმა  
თავის საწადელს ვაწიო!“

მყისვე ცხენიდან ჩამოხდა, –  
მიმოხვრა ვუქე ალვათა, –  
დაბანაკება ინება,  
სუფრა გაშალა ხალვათად.  
მოაყვანინა მაჯუნუნი,  
გვერდში ძმასავით მოისვა,  
ცოტა სათქმელი რომ ითქვა,  
ცოტა ღვინოც რომ მოისვა,  
შეიყოლია ბაასში,  
გაუმასპინძლდა თავაზით.  
მოთვინიერდა მაჯუნუნი,  
მოშინაურდა გავაზი.

და ეს შლუ კაცი, რომელიც  
ყურს არ უგდებდა არავის,  
მხოლოდ რომ თვისი გულისთქმა  
ესმოდა გულის მზარავი;  
რომელიც ისე მოთქვამდა,  
კაცს არ მოდგამდა თვინიერს,  
პურს არ გატეხდა რომელიც  
სატრფოზე მოთქმის თვინიერ;  
კაცი, რომელსაც შეჰყროდა  
ტრფობის ისეთი სენები,  
სხვა არაფერი ახსოვდა  
გარდა ლეილის ხსენების;  
თუ დამიჯერებთ, ეს კაცი  
ასე ხელდახელ და ცხადად  
ნელ-ნელა კიდევ დამშვიდდა,  
კიდევ დაცხრა და დაწყნარდა.  
და გუნებაზე რომ მოდგა  
და როცა შეჰყვა საუბარს,

კიდევ ჭამა და კიდევ სვა  
და ნაფფალს მხარიც აუბა.  
რატომაც არა, ნაფფალი  
კაცი არ ჩანდა უნასი,  
ემხში შევიდა მაჯუნუნი,  
შაირს იტყოდა, მუნასიბს.  
ლექის სათქმელად დაეცა,  
როგორც გინახავთ ქადაგი.  
ლექებს ამბობდა, – ღოქიდან  
ედინებოდა ბადაგი.

ნაფფალიც გალაღებაში  
შეელოდა – ღმერთმა უშველა! –  
რაც მას სიშმაგით ენგრია,  
ამან სიმშვიდით უშენა.  
უთხრა: „სანთელზე, რომელიც  
ღღემდე ასე შორს ენთოლო,  
შენ არ იდარდო, ცვილივით  
ფუჭად არ დაიღვენთოლო!  
რაც წელან გულში გავივლე,  
ახლაც უნდა ვთქვა კვლავ ისო:  
იმ ქალს ან ხერხით მოგიყვან,  
ან ძალით ჩემის მკლავისო!  
სად უნდა გადამემალოს  
საით წასული სიდანო?  
ცაში ჩიტივით აფრინდეს,  
ჩიტს ჩამოვიყვან ციდანო;  
მიწაში ჩაძვრეს, იქ ჩავსდევ,  
ზე ამოვიყვან მიწიდან.  
ლეილი შენი ცოლია,  
მითქვამს და შენთვის მიწინდავს.  
სანამ ერთმანეთს არ შევჰყრი  
მის მთვარეს და შენს მზესაო,  
ხმალს არ ჩავაგებ ქარქაშში,  
დაიმახსოვრე ესაო!“

მაჯუნუნმა ეს რომ ისმინა,  
ცას სიხარულით ეწია,  
მადლობა უთხრა მას, ვისგან  
სიცოცხლე უნდა ეწვნია.  
მიუგო: „ვთქვით და რაც მითხარ,  
არის სწორი და არ მიმტრობ,  
გული თაფლივით დამიტკბე  
და მეც გიმაღლი ამიტომ;  
მაგრამ ეს იცი თუ არა,  
მიჯუნურს ჩემსავით ხელსაო\*  
ქალს დედა როგორ გამატანს,  
ღვიძლ შვილს როგორ ჰკრავს ხელსაო?  
სნეულს და ეულს ვინ მომცემს  
შვილს არსნეულს და არეულს?  
მთვარესთან შეერა, ხომ იცი,

მიზეზს უხსენებს მთვარეულს.<sup>21</sup>

ბევრმა მიღონა სალონი,  
ბევრი ეცადა საცადელს,  
მაგრამ ვერ იქნა, ვერა და  
ვერ მიადწიეს საწადელს.  
სად არ იარეს! დამწვარი  
თითივით ვით არ მიაღეს,  
მაინც ვერ მიშოშმინებენ  
ამ ჩემს დაშაშრულ იარებს.

კეთილი ხარ და კი გინდა,  
საქმე მიკეთო კეთილი,  
მაგრამ ეგ საქმე კვიმატი  
სხვა კვეთით\* არის კვეთილი.  
შველად მოდიხარ, საგულეს  
გული ვერ გიძლებს უარად,  
მაგრამ შუაგზა დამტოვებ,  
შველად წამოხვალ თუ არა.  
ამაოდ ცდილობ, ამ ნადირს  
ვერ მოიხელთებ, ამაყო,  
ვით სხვებმა ხელი ამაღეს,  
შენც უნდა ხელი ამალო.  
ნუ იქნას, ღმერთმა გისმინოს  
შენ, ამ სურვილის გამომთქმელს,  
ფიცის გამტეხი არ იყო,  
სიტყვის პატრონი გამოდგე!  
თუ შეიძელი იმის ქნა,  
რასაც იქაღნი იადგრად,\*  
მაშინ ხიდს ზღვაზე გაჭედავ  
და ცარგვალს კიბეს მიადგამ.  
და თუ რაც ახლა მითხარი,  
ისე მიქადე, ყასიდად,  
წადი და ჩემთვის დამტოვე,  
ჩემს დღეთ მე თვითონ გავზიდავ!“

ნავფალმა მისი ცრემლები  
რომ ნახა ცხარედ დაღვრილი,  
მისდა საშველად ბედაურს  
აქეთ უღირა აღვირი.  
გული დაუდნო ყმაწვილმა,  
რომელიც ასე დაენდო,  
პირი გზად დადო, საშველად  
თავიც უნდოდა დაედო.  
ფიცა ისეთი საფიცი,  
მისცა პირობა ისეთი,  
მოწმედ აწვია უფალი,  
ქვეყნის მეუფე ის ერთი.  
მას შემდეგ უფლის მოციქულს<sup>33</sup>  
უხმო პირობის დასტურად,  
ღვთისა და ხალხის წინაშე  
სათქმელი ასე დაწურა:

„შენდა საშველად ხმაღს ვამშვე,  
 უნდა წავიდე ომაღო,  
 მღღობით ვერაფერს თუ ვერ ვიქმ,  
 ჯიქად ვიქცევი, ლომაღო!  
 არ ღავიძინებ და არ ვჭამ,  
 არ შეგეშვები წამითაც.  
 სანამღის შენ არ გიშველი,  
 მანამ მე შვება არ მიღდა!  
 მაგრამ შენც შეგეხვეწები,  
 ისმინე ჩემი სახვეწნი:  
 ისევ ნუ გარღიხვეწები  
 ამღენ ხანს ისეც ნახვეწი.  
 მოეშვი ამ შენს სიგიჟეს,  
 შინ დაჯექ, სახლში იყავი,  
 ორ ღღეს შინ როგორ ვერ გაძღებ  
 ვნებისგან გაურიყავი!  
 შენ გული შენი ღაგული,  
 ოღონღ იგული საგულეს  
 და მე გაგისხნი ბეღის კარს,  
 შენს წინ რომ ასე ღაგულეს!“\*

როცა იმ შღღემა ინიშნა  
 შარბათის მისის ბაღავი,  
 შესმას შეუღდა, – გულ-გვამი  
 მოვიშუშოღ ნაღავი.  
 შღღუმ მოიშაღა სიშღღეგე,  
 ღამშვიღდა, აღარ შფოთავღა.  
 სიტყვაზე ღაღვა პირმტკიცეღღ  
 (გიჟიანობა მოთავღა?).  
 ღაჭყვა და ნავფაღს თან გაჭყვა,  
 საღ მისი სრა და სახღია,  
 ღიმიღი გამოიგონა, –  
 ვარღის კოკობი გახია.<sup>34</sup>  
 ღაუცხრა ფიცხი ხანძარი,  
 ცეცხღის ღაუძვრა ხაღვათაც,  
 იბანა, ტანზე ჩაიცვა,  
 იძინა, გაიხაღვათა.  
 თავზე მოიგღო ამამა\*  
 ღა ღაიმშვენა ძაღიან,  
 ნავფაღთან ღავღდა, ღაუტკბა,  
 ღაჭყვა, ღაუკრა, ღაღია.  
 ორი თუ სამი ღახელი\*  
 შეთხზა ნატიფად ნაგები,  
 სატრფოს შეუქღო სიტურფე  
 ისეღაც ბევრჯერ ნაქები.  
 უსიყვარულა ნავფაღმა  
 გულით მორჭმულმა\* ყმაწვიღმა,  
 თვეღების და მარგალიტების  
 თავზე წვიმები აწვიმა.  
 მოვღა მოუხღა, ნავფაღმაც

ჟამი მოვლისა იხელთა.  
 გამოძვობინდა მაჯნუნი,  
 თვალეში გამოიხედა.  
 წელში გასწორდა ალვის ხე  
 წვერით მიწაზე ნაწები,  
 არღანისფერად ეცვალა  
 ზაფრანისფერი\* ღაწვები.  
 თითქოს წამოდგა ცისკარი  
 გაღიმებულის პირითო.  
 მზე იცინოდა, იტყოდა:  
 „ვტიროდით, აღარ ვტირითო!“  
 ველზე გაბმული უგონო  
 ისევ მოეგო გონებას,  
 არ სჭირდებოდა ბაწარი,  
 გიჟის ერთაი ქონება.  
 შინ ფაჩუნობდა ეს ხელი\*  
 გარეთ ხეტებას ჩვეული,  
 ჭკვიანთა შორის ჭკვიანი,  
 რჩეულთა შორის რჩეული.  
 ნავფალიც მასთან ილხენდა  
 აღსავსე ბედნიერებით,  
 ვერ გაძღა მისი ალერსით,  
 მისი ქებით და ფერებით.  
 მისი ყურების გარეშე  
 ყოფნა ეგონა უმიზნო,  
 უმისოდ შვება არ ჰქონდა,  
 პურს არ გატეხდა უმისოდ.  
 ორი თუ სამი თვე ასე  
 ღზინი მიეცა ორთავეს:  
 მაჯნუნს – მოლხენას შესწრებულს,  
 ნავფალს – მოლხენის მოთავეს.

### მაჯნუნის საყვედურები

ერთ დღეს ორივე, ნავფალი  
 და მასთან მისი სტუმარი,  
 ხალვათად ისხდნენ, არ იყვნენ  
 დამძიმებული, მღუმარი.  
 უცბად მაჯნუნმა ლექსებით  
 ამ სოფლის მღურვა დაიწყო,  
 სასიყვარულო საწყაო  
 დაიცა ღრო და აიწყო:  
 „ეჰა, რომელმაც არ უწყი  
 ვარამთა ჩემთა სიავე,  
 ვინც ორპირობის ნიავეზე  
 ბზესავით გამანიავე!  
 ფიცით ათასგვარ სიკეთეს,  
 რომ მპირდებოდი თავიდან,



რა იქნა შენი ალტკმული  
ან ფიცი შენი რა იქნა?  
გამისაკუთრე, მითხარი:  
ბადაგს შეგასმევე ამოსო!  
ახლა კი, რასაც დამპირდი,  
მგონი, თვითონაც არ გახსოვს.  
გამომიტყუე ლაყაფით  
საბრალოდ ცრემლის მდენელი,  
მოთმენის ხელში ჩამაგლე  
მე, კაცი მოუთმენელი.  
მეგობრობის და მოყვრობის  
აკი მედექი თავდებად!  
არც შენი საქმე იწყება,  
არც მოლოდინი თავდება.  
მოთმენა უკვე დავკარგე  
და ჭკუით დავალ თხელითა,  
კაცი არა ხარ? მისხენი,  
თორემ წავსულვარ ხელიდან!  
შენ თუ უძწეოს დაჰპირდი,  
შეგეწევით ნამდვილად,  
მაშ, მას პირს ავად ნუ უშლი,  
ზურგს ნუ შეაქცევ ადვილად,  
თორემ ორგული გამოხვალ  
და გაგიქრება ღირსებაც!  
ერთგული სხვაგვარ ირჯება  
და სულ სხვა მადლით ივსება.  
ფუჭი სიტყვებით ოხება  
მისი, ვინც ოხვრით იახა,  
შენ გეტყვი, კაცო მორჭმულო,\*  
არ გეკადრება დიანაც!  
შენ არ იყავი, თავიდან  
სიტყვა რომ მომეც ასეთი;  
შენ არ იყავი, დასიცხულს  
ვითომდა წყალს რომ მასმევედი?!  
მიშველე, თუ გსურს მიშველო,  
მშველელი, ახლა მიშველი,  
თორემ აჰა, მე – შეშლილი  
და აჰა, ველი შიშველი!  
თუ მომიყვანე ლეილი,  
დე, მომიყვანე, არადა  
თავი არ მინდა ცოცხალი  
და რამ მოგკლავ, არა თქვა!“

## ნავფალი ლეილის ტომს ეომება

როცა ნავფალმა მაჯნუნის  
ისმინა საყვედურები,  
ღველფზე რომ ცვილი დადნება,  
დადნა ამ კაცის ყურებით.

მაშინვე ზეზე წამოხტა,  
ხელი დაავლო იარაღს,  
ლეილის ტომის საუფლო  
გზაზე ქარივით იარა.  
ათასი ფიცხი მხედარი  
რჩეულთა შორის რჩეული,  
ვითა მიმინო მოქნილი,  
ცხენზე ცხოვრებას ჩვეული,  
ფიცხლად მოკრიბა ლომგულმა  
და მტერზე რისხვად იახლა,  
მათმა დამხვდურმა მანამდე  
ბევრმა ივაგლან-იახა.

აჰა, გამოჩნდა საზღვარი  
ლეილის მამის ტომისაც.  
კაცი გაგზავნა ნაფაღმა  
მაცნედ, მდომელმან ომისამ.  
იმუქრებოდა შორიდან:  
„მოვედი, დაგცე თავზარი;  
როგორც ხანძარი მოგედო,  
ჯარი საომრად დავძარი.  
გამომიყვანეთ ახლავე  
ლეილი თქვენზე ხელითო,  
თორემ თვითონაც არ ვიცი,  
გულით რას ვიზამ ხელითო!  
ვინძლო გულისსწორს თავისას  
დღესვე გადავცე იგიო,  
მათ ცოლ-ქმრის წესი დაიცვან,  
მე – სიტყვის კაცის რიგიო!“

ადგა ნაფაღის შიკრიკი,  
მძიმე საქმეზე იარა, –  
მტრობის ამბავი მიჰქონდა,  
მოყვრობის ფიცი კი არა.  
შემოუთვალეს: „თავხედო,  
ეს რა სურვილი გქონია!  
ლეილი ბადრი მთვარეა,  
ხშიადი ხომ არ გგონია?  
ბე ხორციელი ვერ შეძლებს,  
მთვარეს დაუწყოს პოტინი,  
ფუჭად მომცდარხარ, ვინცა ხარ,  
ფუჭად მოგიწევს ლოდინიც.  
რომ იმუქრები შორიდან,  
ახლოს მოხვიდე ეგების!  
მახვილით მოსულს, მახული  
მახვილით შეგეგებებით“.

შიკრიკი უკან მოიქცა,  
შავი ფიქრები ესია,  
ნაფაღს პასუხი მოართვა  
(რა ექნა, წესი წესია).  
გახელდა გმირი ნაფაღი

შიკრიკს უბრძანა: „წადიო,  
გააგებინე, როგორ ვარ  
ფიცხელი ომის მწადიო!  
უთხარი: გატყობთ, არ მიცნობთ  
არც მე და არც ჩემს ხმალსა-თქო,  
არც ჩემი ჰუნე გინახავთ,  
ამიტომ იღებთ ხმასა-თქო!  
ზღვიდან მოვარდნილ ჭალიკონს  
ჩამოეცალეთ გზიდან-თქო,  
თორემ სულ თავზე დაგატეხთ,  
რაც თქვენზე რისხვა ზიდა-თქო!“

რა უნდა ექნა იმ კაცსაც,  
ვით უთხრეს, ისე მოიქცა.  
მძიმე საქმეზე წასული  
მძიმე პასუხით მოიქცა.

მაშინ გაცოფდა ნავფალი,  
მოთმენამ პირი მირიდა,  
გულში ხანძარი დაიგზო,  
ცეცხლი იყარა პირიდან,  
გახელებულმა მაშინვე  
მახვილზე ხელი იტაცა,  
მტრის რიგებს ისე ეკვეთა,  
ლომი მძვინვარე ვითარცა.  
მაგრამ დამხვდურთა ლაშქარი  
მომხვდომთან მთისებრ შეიკრა.  
ყიჟინა დასცეს ისეთი,  
მეორედ მოსვლა შეიქნა.  
აქეთ ისარი წიოდა,  
იქით მახვილი ელავდა,  
კაცი და ცხენი მოზავდა  
და ზღვა ბრძოლისა ღელავდა.  
დაემსხვრათ ძვლები, ერთმანეთს  
იმდენი ურტყეს შუბები,  
რისხვის ხანძარი აჩაღეს,  
სისხლის აყენეს გუბები.  
ანაზღად წამოფრენილი,  
ბუდეში ჩუმად ნამალი,  
კაცის სისხლს დაწაფებოდა  
ისრის ფრინველი ფრთამალი.  
ხმლებმა კი მათი თავები,  
ვისი ხმაც ძრავდა მთა-გორებს,  
მოსხლეტილ ტანებს მოსხიპეს  
და ძირს ბურთივით აგორეს.  
რა ცოდვის კითხვა შეიქნა!  
ღედა შვილს ველარ იცნობდა,  
ისეთი იღვა ღრიალი,  
ცა თითით ყურებს იცობდა.

ხმალსისხლიანი ნავფალი,  
კუმტი და არპირმცინარი,

ისე იბრძოდა, ვითარცა  
სპილო მთვრალი და მძვინვარე.  
აქეთ რომ რისხვას ანთხევდა,  
კვლავ იქით ზათქით მიქროდა,  
რამდენ ისარსაც ისროდა,  
იმდენი სული მიჰქონდა.  
რომელ ბრძოლაშიც შეიჭრა  
და მკლავი ამამაცურა,  
სისხლის რუები აღინა,  
შიგ მტრის თავები აცურა.

დილიდან შებინდებამდე  
ორი ლაშქარი იბრძოდა,  
ცოდვით იწვოდა ქვეყანა,  
ცა ძრწოდა, მიწა იძროდა.  
სალამოს, როცა ცარგვალმა  
უხვად გასწია ხარჯები,  
დღის შუბლზე ამბრი აფრქვია,<sup>35</sup>  
შავი გაშალა ვარჯები;  
როცა მოვარდა ქართველი  
ზურგზე შავი თმა დაყრილი  
და ვით თმის წვერებს კვეცავენ,  
რუსს თავი წასჭრა მახვილით,<sup>36</sup>  
დაეხსნენ ერთურთს მებრძოლნი,  
კარგად შელამდა თუ არა,  
ზოგს თავი ძილმა წაართვა,  
ზოგმაც დაჭრილებს უარა.

როცა პირქუშმა ვეშაპმა  
ხვითოს დაუწყო თამაში,<sup>37</sup>  
ვისაც სისხლის სმა ერჩია  
ყოფნას სირცხვილის ჭამაში,  
წამოდგნენ ფეხზე და სისხამ  
ფიცხელი ომი იწადეს,  
მძიმე შებები აღმართეს,  
ბასრი ხანჯლები იწვადეს.  
ვერ ეტეოდა მინდორზე  
ჯარი ლეილის ტომელთა,  
გამოსულიყო, მომხვდურთან  
შებმა ძალედვით რომელთაც.  
ნავფალის ლაშქარს მტრის ჯარმა,  
რომ არ დრკებოდა გუშინაც,  
გულმოცემულმა სიმრავლით  
ისრის წვიმები უშინა.

ნავფალმა მძიმე მეტოქე  
ველზე იხილა თუ არა,  
ძალის იმედის არმქონემ  
მტერს ხერხის გზებით უარა.  
კაცი გაგზავნა: „მცდარია,  
ვინც მხოლოდ ომის მდომია.  
რაც უნდა იყოს, ზავი ჯობს,

ომი ყოველთვის ომია.  
 მე მხოლოდ ერთი მწაღია,  
 ის თქვენი ქალი ფერია  
 მას შევერთოთ, მისი ტრფობით ვინც  
 ბრძენი ყრმა ხელის\* ფერია.  
 არ იფიქროთო, – უთვლიდა, –  
 მაჯნუნის საქმეს ვუგანო,  
 საქმე თუ განძზე მივარდა,  
 არც იქ დავიხვევ უკანო.  
 შენც თუ ჩემსავით მოგინდეს,  
 საქმე როგორმე მოგვარდეს,  
 სხვაგვარად გმართებს მოქცევა  
 და სულ სხვა პასუხს მოგვართმევ.  
 ისეთ პასუხსაც ნუ მოგვცემ,  
 კაცმა ყურები დაიცოს.  
 თაფლს თუ არ გვასმევ, თაფლის წილ  
 ძმარს ნუ შეგვასმევ მაინცო!“  
 როდესაც კაცი ნავფალის  
 მტრისკენ წავიდა საზავოდ,  
 ლეილის მამა დათანხმდა, –  
 ცუდს აქ ვერაფერს ვსაზრავო.  
 იკმარეს მოსისხლეებმა  
 სისხლი უზომოდ დაღვრილი,  
 ქიშპობის ლაგამს მოსწიეს,  
 რისხვას ამოსდეს აღვირი.  
 იქ, სადაც კაცი კაცს კლავდა  
 და მკვდრებში ცხენი ვერ ვლიდა,  
 ძლევეთ მობრძანდა ზავი და  
 ომი აოტა ველიდან.

## მაჯნუნი ისევ საყვედურობს ნავფალს

როცა შეიტყო მაჯნუნმა,  
 ბრძოლას რომ ზავმა აჯობა,  
 რისხვის ტაიჭზე ამხედრდა,  
 ნავფალის ბოლმა აღრჩობდა:  
 „შენ არ იყავი, იმედის  
 კოშკი ვინც ამიშენაო?  
 ეს ვინ ყოფილხარ, ასეთი  
 ჯაბანი იყავ შენაო?  
 ეს იყო, ქედს რომ იწევდი,  
 მეო ეს ვარო, ისაო?!  
 ეს იყო შენი შემართვა,  
 შენი მოქნევა ხმლისაო?!  
 ეს იყო, თავს რომ იქებდი,  
 საჩემოდ ომს რომ იგებდი,  
 მტერს ანქიქებდი, დევს ძლევედი,  
 ლომს სდევედი, შუბზე იგებდი?!“

ეს იყო შენი ლაშქრობა,  
რაც მე ვნახე და დღეს იყო;  
ეს იყო შენი შემართვა,  
შენი გმირობა ეს იყო?!  
მეხმარებოდი ვითომდა,  
თითქოს ჩემს წამალს აგენი,  
სინამდვილეში დამლუპე.  
თუ ხვდები მაინც, რა ჰქენი?  
ბევრჯერ გამწყდარა მოყვრობის  
ძაფი, გამძლე რომ გგონია,  
მხედრების სვლითაც მეფეებს  
ბევრჯერ ყაიმიც ჰქონიათ.  
კეთილი ხარ და სიკეთის  
ფესვები შორს გაქვს გადგმული,  
მაგრამ არ ძალგიძს, ალთქმა თქვა  
და აღასრულო ალთქმული!“

ნავფალმა მშვიდად უსმინა  
მაჯნუნს როყოდ მოუბარს,  
არ შეჰყოლია კამათში,  
არც კილო არ გამოუბამს.  
„რა უნდა მექნა, მომადგა  
რაზმი ზღვასავით ნაზავითი,  
ხერხი ვიხმარე, გამიჭრა  
და, როგორც იქნა, დავზავდით.  
შენ არხეინად იყავი,  
ბრძოლა მექნება აწიო,  
ხმლით ჩემით მათი ქვა გავჭრა,  
იმდენი ჯარი ვაწვიო!“

ბაღდადით მოკიდებული  
ვიდრე თავდება მედინა,  
სუყველგან მაცნე აფრინა,  
ქუდზე კაცს მისკენ ედინა.

## ნავფალის ომი მეორე

როცა ნავფალმა მინდორზე  
ჯარი საომრად გამართა,  
ვინც მას შეხედა, მიუხვდა,  
ქადილი მისი გამართლდა.  
ლაშქრის ბულით და ღრიალით  
დაისად იქცა აისი.  
მიწა იწვოდა, იცროდა,  
იძროდა ბუყუბაისი\*.

სახუმრო საქმე არ არის,  
თუ ზეცა რისხვას აპირებს.  
ველზე საომრად დაეწყო  
ნავფალის მოპირდაპირე.  
სათვალთვალოზე გამოდგა

დამხვდურთა ჯარის სარდალი,  
რასაც ნავფალზე ამბობენ,  
ნეტა, თუაო მართალი?  
თქვენს მტერს, რაც იმან იქ ნახა,  
იმდენი შუბი ელავდა, –  
ზღვა მომდგარიყო უსაზღვრო  
და მის წარმღვნიელად ლელავდა.  
იმდენი ბუკი\* ღნაოდა,  
ქუხდნენ იმდენი ქოსები,\*  
მსმენელთა ყურნი დაოსდნენ  
მანამდის დაუოსები.

თავგზა აებნა სპასალარს,  
შხამში ნალველი აექნა.  
ებრძოლა? – როგორ ებრძოლა?  
გაცლოდა? – მერე რა ექნა?  
დაუდგა. ზეცამ მის თავზე  
რისხვის ღრუბლები ალეგა,  
მოვარდა ძლევის ლანქერი  
და ბედი მისი წალეკა.  
ლაშქარი ლაშქარს შეება,  
მომხვდური დამხვდურს ეკვეთა,  
ხმალს რისხვის ცეცხლი ეკეთა  
და სისხლში ცურვა ეკეთა.  
სისხლის ღვართქაფმა მინდორში  
რუები ააფოფინა,  
ქვიშა აყიყად\* აქცია  
და შემდეგ ველად მოფინა.  
ნავფალი ბულში ბრუნავდა,  
მახვილი ამოეწვავდა,  
წინ რომ კლდეც გადაწყდომოდა,  
ლერწმის ღერივით ლეწავდა.  
ურჩხულის საქმედ ითქმოდა,  
რაც მკრჩხალმა დამხვდურთ აწია,  
ვისაც მახვილი უწია,  
იქვე სიკვდილი აწვნია.  
ვისაც ნავფალი თავისი  
ფოლადის გურზით\* შეება,  
დაფშვნა და კიდეც დაფშვნა,  
მთაც ყოფილიყო ვეება.

მოიგეს ომი ნავფალმა  
და მისთა მომყოლთ მამაცთა,  
მომხვდურს მიუდგა იღბალი,  
ხოლო დამხვდური დამარცხდა.  
რაოდენს თავი უჩეხეს,  
გული უგმირეს რაოდენს!  
ნაწილი ჟლიტეს უწყალოდ,  
ნაწილი კიდეც აოტეს.\*

ლეილის ტომის მოხუცნი  
სიცოცხლის ხსნაზე ოცნებით

ნავფალს მიადგნენ ჩოქებით  
 და მის ფერხთა მტკრის კოცნებით.  
 ზღუქუნით თხოვეს: „გვიშველე,  
 შენთან მოსულებს ვედრებით!  
 თუ შეგვივრდომებ, ლომგულო,  
 კაცთა შემვრდომელს, ედრები.  
 არ უწერიათ სიცოცხლე  
 დუშმანთა შენთა ონავართ.  
 ჩვენ ან მკვდარნი ვართ, ან თუ ვართ  
 ცოცხალნი, შენი მონა ვართ.  
 ისარს ნუ გვესვრი, ისედაც  
 დაკოდილნი ვართ, იცოდე;  
 გვიცოდე, ხელი საშველად,  
 გვიჭირს და გამოგვიწოდე!  
 ვინც ცოცხალნი ვართ, ღვთის წარღვნას  
 ვერავინ გადავურჩებით,  
 მაგრამ შენ შენი წარღვნის დღით  
 სულ არ წარწყმიდო ურჩები!  
 როს მტერი გიდგას კრიჭაში  
 და ტანზე ისხამს იარაღს,  
 ხმლის ქნევა გამართებს იმ მტერთან,  
 დამეგობრება კი არა.  
 მაგრამ თუ მტერი დაგნებდა,  
 მახვილით შენით ლახვრილი,  
 ომი არ გინდა, ქარქაშში  
 ჩააგე რისხვის მახვილი!  
 სანამდის გინდა, ხმლით გვჩეხო,  
 ბასრი გვესროლო ისრები?  
 მუსრს ნულარ გვავლებ, ხომ ხედავ,  
 ისედაც რისხვით ვისრებით!“  
 გამარჯვებულმა ძლეულნი  
 ასეთი ყოფით რა ნახა,  
 მოუღბა გული, შეუნდო,  
 მშვიდობის კარნი განახენა.\*  
 „მაგრამო, – ბრძანა, – თუ გინდათ,  
 სათქვენო საქმე იკეთოთ,  
 აქეთ მომგვარეთ ის ქალი,  
 არ მომიყვანოთ იქეთო!“  
 მოვიდა მამა ლეილის,  
 გულს რომ ნალველი ენთხია,  
 თავი მიწამდე დახარა  
 და ნავფალს ფეხზე ემთხვია.  
 „ეჰე, შენ, ვისმა სახელმაც  
 დიდებით უნდა ივრგვინოს,  
 არაბთა მიწის დიდებავ  
 და შვების მისის გვირგვინო.  
 დაჭრილი ვარ და ძლეული,  
 სიბერით მიძრწის სხეული,  
 არ მომიშორო, გენუკვი,\*



არ მომაკვდინო სნეული!  
დამჭამეს ტომის კაცებმა,  
თემის ლალატი დამწამეს, –  
შენო არაბი არ ხარო,  
ვილაც სხვა ხარო, აჯამი!\*

განა არ ვიცი მიზეზი  
ამ ჟღერის მეტისმეტისა,  
ჩემი ბრალია, რა მეთქმის,  
ჩემიც და ჩემივ ბედისაც.  
ცოდვა მე მამევეს კისერზე,  
ბრალი მე მიძღვის, ვიცი მე.  
ხალხს ვემალები, სირცხვილით  
ვერცხლისწყალივით ვციმციმებ.

შენ ბედი ჩემი შვილისა  
როგორაც უნდა მონასო,  
რომ მითხრა: ვჩუქნი ახლავე  
ვინმე პირლია მონასო,  
მე თანახმა ვარ, ვისაც გსურს,  
აჩუქე, ნება შენია.

შენთვის დასტურის დაცემის  
ან მეტი რა დამრჩენია.  
ანდა ახლავე კოცონის,  
შენ რომ აგზნება ინებო,  
ის შიგ ჩამიწვა, მე მითხრა,  
შენს ცოდვებს ვაზღვევინებო;  
რომ ამიჩენო მასხვილით  
ანდა ჯურღმულში ჩამიგდო,  
ნება შენია, არ გიშლი,  
ძლეული ვარ და ამიტომ.

მაგრამ გიჟს შვილს ვერ გავატან,  
გეტყვი, თუ მკითხავ, რატომო, –  
გიჟი და ცოლი ვინ ნახა,  
გიჟს თოკი უნდა, ბატონო!

ჭკვიანურსა და კაცურზე  
თქმული აქვს ამ კაცს უარი,  
თუ არის რამე, ხელია,\*  
შმაგია, შლუა, დრკუ\* არის.  
იმ ბიჭის საქმე ეს არის,  
ამისლა ძალუმს კეთება,  
ველურად იცის ხეტება,  
ქვასა და ყორეს ედება.  
თავად ხომ გამოიფაყა  
თავი, ახლა მეც ჩირქსა მცხებს,  
ყბელებში დგას და ლადაობს,  
აცინებს ვილაც-ვილაცებს.  
სახელის დაცვას ვით შეძლებ,  
თუ კაცი ჭკუით მჩატე ხარ?  
თავის გატენა გერჩიოს,  
ვინემ სახელის გატენა!

ჯერ არ ყოფილა, ჩვენს მხარეს  
სიო მოვიდეს, ნიავი  
და არ მოჰქონდეს ჩემს შვილზე  
ჭორი ან რამე სიავე.

არ ჩაიგდება მის ხელში  
ჩემი კაცობის სახელი,  
დავიძრახები არაბი  
აქამდის დაუძრახელი.  
ჩემი ამბავი ეს არის  
და დანარჩენი შენ იცი.  
რაც შენ გსურს, იგი მოხდება,  
ნებას ვერავინ შეგიცვლის.

და თუ არადა, მიფიცავს  
ის, ვინც სიცოცხლე მომცა მე,  
ვამბობ და ვიზამ, ღმერთია  
განზრახვის ჩემის მოწამე, –  
საკუთარ ხელით გამოვჭრი  
ყელს ჩემს ქალიშვილს ახლავე,  
მის გვამს შუკაში გადვისვრი  
და მას ძაღლები დახრავენ.  
ძაღლს გადაუგდო, ის მიჯობს  
სიძულე მაჯუნუნის ატანას.  
სჯობს მოგვლა, ვინემ გიჟს მივცე,  
დეეს, ეშმაკეულს, სატანას.  
ძაღლის ნაკბენი მწარეა,  
მაგრამ იმდენად კი არა,  
ნაკბენს მალამოს დაადებ,  
დაგიაძლება იარა,  
მაგრამ თუ კაცმა ვიკბინა,  
კაცის კბილები დაგესო,  
მალამო ველარ გიშველის,  
კაცმა იმგვარად დაგგესლოს“.

როდესაც ნაფთალს მოესმა  
მამის ასეთი ვედრება,  
ჩაფიქრდა, ველარ დაუწყო  
ვერც კიცხვა, ველარც ყვედრება.  
შვილის სიკეთეს ცდილობდა,  
ვინც მასზე ზრუნვას გადევო.  
შემდეგ წყალობა მოილო  
და მოხუცს უთხრა: „ადექო!  
მე თუმცა ჩემი მხედრობა  
ამ საქმეს შევაკალიო,  
ქალი შენია, მეწადა  
გულით, მოგეცა ქალიო.  
მაგრამ რადგანაც არ მადღევ,  
ნება შენია, რას ვიზამ,  
მამისთვის შვილის წართმევა  
ან გულმა ვით ქნას კაცისამ!  
ვინც ცოლი ძალით შეირთო,

თვინიერ ქალის წადილის,  
 მან პურის გემო ვერ ნახა,  
 ტკბილად ვერ ჭამა სადილი.  
 მე სასიკეთოდ ვიყავი  
 მოსული გულით ალალით.  
 ამას როგორ ვიქმ, ჩემს გამო  
 სხვას ვაწყებინო ვალალი!“

ნავფალის ხალხიც ისმენდა  
 ლეილის მამის საუბარს,  
 სუყველამ კვერი დაუკრა,  
 სუყველამ მხარი აუბა:  
 „ჩვენც ვიცნობთ იმ ბიჭს, ბატონო,  
 და რომ გიჟია, ვიცითო.  
 მის ცუდკაცობას, თუ გინდათ,  
 აქვე გიფიცავთ ფიცითო.  
 ვინ ჭკუათხელი იქნება,  
 ის ბიჭი სიძედ დალოცოს,  
 ან თავად ცოლი რად უნდა  
 იმ ღვთის გლახას და სალოსსო!“

ნავფალმა რჩევა ისმინა,  
 არ გაიტეხა აბრუ\* და  
 ამ საქმეს თავი ანება,  
 ბანაკში უბრად დაბრუნდა.

მაჯუნუნს კი თვისი დავთრები  
 ისევ აებნა საცოდავს,  
 გულს იგივე ცეცხლი უწვავდა,  
 რითაც მანამდის დასწვოდა.  
 ნავფალს მიადგა კარებზე  
 ცრემლების ღაპა-ღუპებით,  
 ვითა ვულკანი მრისხანე,  
 ცეცხლს ჰყრიდნენ თვალთა უპენი.  
 „ეჰე შენ, ვინც მე მიმინდევ  
 და არ გამოდექ მისანდო;  
 ვინც მოძმის შევლად არ მოხველ,  
 კიცხვად მოვსულვარ მისადო!  
 გამარჯვებული ვით მიხველ  
 ასე სირცხვილის ჭამამდე,  
 უიმედობის ბრჭყალებში  
 ან ასე რისთვის ჩამაგდე?  
 იმედის სიტყვა რად მომეც,  
 სათქმელად ასე ადვილი;  
 რატომ გაუშვი ხელიდან  
 ხელთ მოგდებული ნადირი?  
 რომ მიმაყენე მწყურვალე  
 აგერ ევფრატის ნაპირებს,  
 წყალს რად არ მასმევ, ჯოჯოხეთს  
 რომ გყავდე, სანამ აპირებ?  
 შაქარი გამომიტანე,  
 შეხეო! – მითხარ, – აქ არის.

ახლა კი ხელი გამკარი,  
ამბობ: არ მაქვსო შაქარი!  
ჯერ თაფლზე მომიპატიჟე,  
მოვედი, სუფრას ვუზივარ,  
ახლა კი მაგდებ სუფრიდან.  
რატომ, ბატონო, ბუზი ვარ?“  
უთხრა და ცხენი იქიდან  
ისე ოთხახმით აჭენა,  
თვალის ვერავინ ვერ მოჰკრა,  
თავი არავის აჩვენა.  
ომგადახდილი ნავფალი  
თავის საუფლოს დაბრუნდა.  
სწუხდა, მაჯუნმა სიმართლე  
არ გამიგოსო აბრუნდად.

### მაჯუნნი ქურციკებს ათავისუფლებს

ამბავი ესე რომელსაც  
შეუთხზავს მწყობრად ნაგები,  
მაჯუნნის ტრფობის თქმულებას  
ასე შეუწყო ჰანგები.  
რაკი მაჯუნმა თავისი  
ვერ შეისრულა სურვილი,  
ნავფალის ქცევით ნაწყენი  
და ურვით ასე ურვილი  
ისევ უდაბნოს დაადგა,  
ცხენს ველად უშვა სადავე,  
პირის გატეხას კიცხავდა —  
აბრუს\* დაკარგვის სათავეს.  
კაცისგან კაცის ამდაგვარ  
გაუტანლობის ამბავზე  
მღეროდა, ძვირებს ამბობდა  
ნავფალზე მრავალ ათასებს.  
მთქვამდა, როგორ დაკარგა  
თვალი ტურფა და ჭიოტა!  
ხან წუთისოფელს კიცხავდა,  
ხან თავის ბედზე ჩიოდა.  
ერთ გზობა ტირილს რომ მორჩა  
და ცხარე ცრემლით დარწყულდა,  
შორს თვალი ჰკიდა მახეთა  
ნადირთ საჭერად დარწყულთა.\*  
და რამდენიმე ქურციკი  
ნახა გაბმული მახეში.  
ხამუშ-ხამუშად მოჰქონდა  
ქარს მათი ამონახვნეში.  
მაჯუნმა ნადირთ საშველად  
მაშინვე ცხენი აჭენა  
და წუთის საქმე აღმოჩნდა

მახის დამრწყველის გაჩენაც.  
 სიხარულისგან ცას წეულს  
 ბასრი ხანჯალი ეწვავდა.  
 მორბოდა, ნანადირევთა  
 ყელის გამოჭრა ეწავდა.  
 მაჯუნმა ეს რომ იხილა,  
 იმ კაცს შორიდან უძახა:  
 „შენს ნადირობას შევესწარ  
 და არ დამტოვო უმზრახად!  
 ნადირობაზე შესწრების  
 წესი თუ გინდა ახსენო,  
 ეს ქურციკები ახლავე  
 მაგ მახეთაგან ახსენო!  
 რა ვუყოთ მერე, განგებამ  
 მათ რომ უგულოდ უყველა,  
 ქვეყნად ვინც დაბადებულა,  
 სულიერია სუყველა.  
 რა თვალები აქვთ, შეხედე,  
 რა ჩამოქნილი ტანი აქვთ!  
 ამათზე ხანჯლის ხმარება,  
 შენ გეტყვი, ნამეტანია!  
 ან გული როგორ არ გიშლის  
 ასეთ საქციელს უღირსსო,  
 მას ვით ჰკლავ, ვისაც სიცოცხლე  
 სიკვდილის ფასად უღირსო!  
 ხელს ასეთ საქმეს რომ ჰკიდებ,  
 სხვა საქმე განა გელია?  
 ქურციკის მკვლელიც მკვლელია,  
 კაცი კი არა, მგელია.  
 სატრფოს თვალები არ გიდგას  
 თვალთ თვალთა მათთა ფახულზე;  
 მათ რომ უყურებ, ღვთის მირონს  
 ვერ ხედავ გამოზაფხულზე?  
 მათ კისერს უნდა უმკობდეს  
 ტავყი\* და მძიმე მძივები,  
 შენ კიდევ ბასრი დანები  
 მოგიტანია ცივები.  
 ცოდვა არ არის, სამუშე  
 მათ ჭიპს ჭიმავდნენ ჭიანი,<sup>38</sup>  
 ცოდვა არ არის, მიწამ ხრას  
 მათი თვალები ჭკვიანი?  
 შეხე მათ გულმკერდს, საჭვრეტად  
 ქალის მკერდივით საწადელს,  
 ცოდვა არ არის, ეს მკერდი  
 შამფურზე ეგოს სამწვადედ?!  
 ცოდვა არ არის, მითხარი,  
 მათი მოქნილი გავები  
 სახორცედ იყოს აქნილი,  
 მაღლა ეკიდოს კავებით?!

შეხედე, როგორ მოხდენით  
 აქვთ ასხლეტილი ფეხები,  
 განა არ გენამუშება,  
 მათ რომ უხეშად ეხები?!“  
 იმ მონადირემ უსმინა  
 მაჯუნუნის ასეთ მუდარას,  
 დაფიქრდა, საქმის ავ-კარგი  
 ერთიმეორეს უდარა.  
 მიუგო: „თავად არ მინდა,  
 ესენი ხორცად ავქნაო,  
 მაგრამ ღარიბი კაცი ვარ  
 და ეს რომ არ ვქნა, რა ვქნაო?  
 შინ მიზის წვრილი ცოლ-შვილი  
 და მოუთმენლად მიცდიან.  
 დღეს გამიმართლა საცდელმა,  
 რაც ორი თვეა, მიცდია.  
 ჩემსავით გაჭირვებულმა  
 საწყალმა მონადირემო  
 კარს მომდგარ ირემს ვით ვუთხრა:  
 „ჩემთან ნუ მოხვალ, ირემო!“  
 ასე ჩიოდა მახეთა  
 ბედნიერ ფეხზე დამრწყველი.  
 გული დაეწვა მაჯუნუნსაც  
 და იყო გულის დამწყველი.  
 არც მონადირეს დაეხსნა,  
 არც გარიგებას ღარიდა,  
 მყისვე ჩამოხდა ცხენიდან  
 ფეხად ქურციკის დარიდან.  
 „ოღონდ ესენი ახსენ და  
 ჰა შენ სანაცვლოდ ტაიჭი;  
 ნურაფრის მოგერიდება,  
 ბარი-ბარსა ვართ, დაიჭი!“  
 მონადირემაც არ უთხრა  
 მაჯუნუნს უარი ამაზე  
 და შეატოვა მაჯუნუნი  
 იმ მთის ქურციკებს ლამაზებს.  
 ეს საქმე განა ცოდვა-მადლს, –  
 წესს ტრფიალისას ეფერა,  
 მიესათუთა ქურციკებს,  
 კოცნა, ეხუტა, ეფერა.  
 „მისი თვალები არ არის  
 თქვენი თვალები, ვიციო,  
 მაგრამ მის თვალებს მაგონებს  
 და მაიმულებს, ვიძიო!“  
 ბევრი ეფერა ტყიურებს  
 ალერსით უმხურვალესით,  
 ბოლოს კი ახსნა და ერთხელ  
 კიდევ უსაგზლა ალერსი.

## მაჯნუნი ირემს ათავისუფლებს

როდესაც დილამ, მიწაზე  
მობრუნებულმა წალმართად  
თავისი დროშა ციმციმა  
ზეცაში ციმციმ აღმართა,  
ზანგს შეეჭმუნა წარბები,  
ზედ ეტყობოდა, უჭირდა,  
როცა თვალებში ჩინურმა  
შიგ მიჭვრიტანამ\* უჭყიტა,<sup>39</sup>  
ის, ვისაც ხელში შთენოდა  
ნარეკლი მიჭვრიტანისა<sup>40</sup>  
და მიჭვრიტანას დაჟანგულს  
ელვა უგავდა ტანისა,  
წამოხტა ზეზე ისე, ვით  
კვამლი ცეცხლიდან ამოდის,  
საკმეველივით ფშვიადი  
ფშვენდა სურნელით ამოთი.  
მყისვე, წამოდგა თუ არა,  
უდაბნოს გაჰყვა იავარს.  
ლეილის უხმო შორიდან,  
შორიდან ელოლიავა.

უეცრად მახე დალანდა,  
როცა უდაბნოს გახედა,  
აქაც ნადირის საჭერი  
მახე დაეგოთ. გახედა.  
აქაც ხარლალი ირემი  
იღვა გაბმული მახეში,  
ხეშეში თოკი უჭერდა  
ფეხზე, უხეშად ნახეში.  
იმ ირემის მომნადირებელს  
საცდელი სურდა ეცადა,  
დანა ეწვადა და მისთვის  
ყელის გამოჭრა ეწადა.

როცა მაჯნუნმა ამ დღეში  
შეისწრო კაცი აშარი,  
იმ კაცის დასაშაშრაჲად  
ენის იშიშვლა შაშარი.\*  
უყვირა: „ჰატ, შე ქოფაკო,  
შე სისხლისმსმელო ძაღლოო,  
ხელი არ ახლო მაგ ირემს,  
არ მიეკარო ახლოო!  
შენ რა ხელი გაქვს ირემთან  
ან თავად ვინ ხარ, მითხარო?  
გაუშვი, ორი დღე ცოცხლობს  
და სანამ ცოცხლობს, იხაროს!  
რას ემართლები დაჭერას,  
რად გინდა, მის ცუდს ეცადო?  
ახსენ და მასთან წავიდეს,

ვისთანაც წასვლა ეწადოს!  
 გულისსწორს მისას, თუ იცი,  
 რა დღეს უთენებ ამაზრზენს, –  
 რომ არ მიუვა, რას იზამს,  
 რატომ არ ფიქრობ ამაზე?  
 ხომ იტყვის კრულვით: „ერთმანეთს  
 ვინც ჩვენ მოგვწყვიტა ძალადო,  
 ღმერთმა თავის ცალს მოსწყვიტოს,  
 ახეტიალოს ცალადო!  
 ვინც ეს გაწია, მან ცოდვით  
 შენით არ გაიხაროსო,  
 მეუღლემ მისმა ცრემლები,  
 მე რომ ვღვრი, ისე ღვაროსო!“  
 შენ თუ მწუხარეთ შემწე ხარ  
 და წერა მათი გაძრწუნებს,  
 მაშ, მსხვერპლთა შენთა დაეხსენ  
 და გაიხარებ, გარწმუნებ!“  
 „კარგიო, – უთხრა იმ კაცმა, –  
 ჩავაგებ აგერ დანასო,  
 მაგრამ სულ მუქთად ვერ დავთმობ  
 საქონელს ამისთანასო!“  
 მაჯნუნს ასეთმა პასუხმა  
 შფოთი გულისა დაუცხრო,  
 ტანს აიყარა, რაც ესხა  
 და იქვე ფერხთით დაუწყო.  
 იმ კაცმაც ხელი დაავლო  
 იმდენ სამკაულს, იარაღს,  
 იმ ირემს თავი ანება  
 და თავის გზაზე იარა.  
 მაჯნუნიც ამას ნატრობდა,  
 საქმე მივარდა აქამდე,  
 ირმისკენ ისე გაქანდა,  
 შვილისკენ მამა გაქანდეს.  
 იმისი საცოდაობით,  
 გააცხრო, ააბაბანა,  
 ჯერე ფრჩხილებით დავარცხნა,  
 მერე ცრემლებით დაბანა.  
 თავად მტირალმა მიჯნურმა  
 ხარირემს უთხრა მოტირალს:  
 „გულის სწორს მოწყვეტილი ვარ  
 და შენთან მიტომ მოვდივარ.  
 სატრფოსთან ახლოს ყოფნის ჟამს  
 მაგონებს შენი სურნელი,  
 შენს თვალებშიაც მის თვალთა  
 სევდა დგას განუკურნელი.  
 ვიცი, რომ იცი ამბავი,  
 მაცნე ხარ ჩემი კეთილი,  
 გინახავს ჩემი პირმთვარე  
 უჩემოდ გამოკეტილი.



როცა იმ მხარეს მიაღვე  
ძოვით და ძოვით წასული,  
თუ გზაზე სადმე გემთხვიოს  
შიჰნის\* ის ტურფა ასული,  
უთხარი: „საქმე წასულა  
ნებაზე ჩვენთა დუშმანთა,  
მაჯნუნს გულს იგივ უმანთავს,  
რამაც აქამდე უმანთა.  
ერთმანეთს დაშორებულნი  
ერთურთთან ბარი-ბარს ვართ-თქო,  
შენ შვება არსად შემოგხვდა  
და მეც სიკვდილის კარს ვარ-თქო!“

გულისტკივილი თავისი  
და სიტკბო შხამში ნალესი  
ირემს შესჩივლა ათასით  
ჯერ კვნესით, მერე ალერსით.  
ბოლოს შეუხსნა ბანდები,  
რაზეც ირემი ება ზედ,  
კიდევ აკოცა თვალებში  
და ააზატა\* ნებაზე.

როს ქარავანმან მიმწუხრის  
იმ ჭასთან ღამე ათია,  
მთვარე იყიდა, იტყოდი:  
იოსებივით\* მნათია!<sup>41</sup>  
აივსო ვარსკვლავთ ბაზარი,  
ჭედვა შეიქნა ისეთი,  
ნილოსის მსგავსად ბრუნავდა,  
ცის თაღის ისრეთ-მისრეთი.  
ვერ იხვენებდა ღამითაც  
ის დღისით უსვენებელი,  
ისე ვით თავდაჟეჟილი,  
(ფუ უშმაკს!) უხსენებელი.  
გულს მოღებული კოცონი  
თავში იმგვარად გასვლოდა,  
კელაპტარივით დნებოდა  
და სახმილს ველარ გასცლოდა.  
კელაპტრად მიტომ ითქმოდა,  
ვინც მისი საქმე იცოდა,  
მასსავით ზეზე კვდებოდა,  
ფეხზე დამდგარი იწვოდა.

### მაჯნუნის საუბარი ყვავთან

ცისკარზე, როცა ცარგვალმა  
ლაჟვარდი ცათა მინათა,  
ყვითელი ფარჩით შემოსა  
და შემდეგ კიდევ ინათა;  
ყვითელი ვარდის სიცილმა<sup>42</sup>

იქ რომ ცის კიდეს ფერავდა,  
ცის კაბადონი შეღება,  
გამოავარდისფერადა.  
მაჯუნუნის ქორფა კოკორი  
გაძრცვილი ზამთრის ჭირხლებით,  
სიცოცხლის გაყრას გოლებდა,  
დააბოტებდა ჭირხლებით.  
ცრემლის ისეთი ლანქერი  
მოუშვა მტირალ თვალთაგან,  
შიგ სევდის ნავი აცურა,  
ისეთი ოხვრა ატაკა.

როს ცის ტატნობზე აბრძანდა  
მზე შუქით თვისით ნაქები,  
სულს ვერ ითქვამდა სულდგმული  
ბულით და პაპანაქებით.  
ჩრდილი არ ჰქონდა, საჩრდილოდ  
ირგვლივ თუ რამე ვარგოდა  
და ღლისით-მზისით მზის შუქზე  
ნივთს ჩრდილი დაცაკარგოდა.

ჩრდილის მძებნელმა მაჯუნუნმა  
უდაბნო მოიძთაბარა.  
ერთი ხე ნახა მაღალი  
და თავი იმ ხეს აფარა.  
მის ჩეროს შეფარებოდნენ  
ცივი, კამკამა წყარონიც,  
სულდგმულებივით მთელი დღე  
სულმოუთქმელად ნარონნი.  
მოწყურებული, ნასიცხი,  
ურწყულის ხვატით ნალახი,  
წყაროს დააცხრა მაჯუნუნი,  
ვით ქავსარს\* – ქორფა ბალახი.  
ცოტა ხნით თავი ანება  
ველზე წამებით წოწიალს,  
სიმშვიდის აფრა აუშვა,  
სიშლეგის აღვირს მოსწია.  
ჩეროში მოსვენებულმა  
მაღლა ხის ტოტებს ახედა,  
ლაღად დგა ჩრდილოვანი ხე  
და ტანს ნებივრად არხევდა.  
უეცრად ყვავი შენიშნა  
(ხის ტოტზე ჩამომჯდარიყო),  
თვალეები ჰქონდა, მათსავით  
ელვარე ჩრაქვიც არ იყო.  
იჯდა ტოტებში მღუმარე,—  
და ღუმდა ირგვლივ ყოველი,—  
ვითარცა ძაძით მოსილი  
ჭირისუფალი მგლოველი.

ხეს შეხვეწილი ფრინველი,  
რომ ნახა გადმოხვეწილმა,

მოყვრად შეიცნო თავისად  
უმოყვარეომ მეტწილად.  
შესძახა: „გულით ნათელო,  
შესახედავად შავო,  
რომ ასე შავად შეემოსონ,  
რა უნდა დააშავო!  
დარდის სახმილში მე ვდგავარ,  
ტანი შენ რატომ დაგწვია?  
ეს მე ვარ გლოვად დამჯდარი,  
შავი შენ რატომ გაცვია?  
გულდათუთქული თუ არ ხარ  
და ხარ უბრალო სულდგმული,  
მაშ გარუჯული რატომ ხარ,  
ვით ვინმე გულდათუთქული?  
და თუ მათ გავხარ, რომელთაც  
ცხოვრებამ გული უდაგა,  
რატომ გარბიხარ, მითხარი,  
ჩვენებრ გულდათუთქულთაგან?  
ხატები\* ვარო, რომ მითხრა,  
შენს ხატობობას ვიწამებ,  
ხოტბის წინ რადგან ხატობნი,  
წესია, შავებს იცვამენ.  
გვედრი, თუ სადმე დალანდო  
ის ჩემი სატრფო სახოტბო,  
უთხარ: ვეჭვობ-თქო, ერთურთი  
კიდევ თუ სადმე ვნახოთ-თქო.  
უთხარ: შენს მაჯუნს სიცოცხლე  
გაუძნელდა-თქო უშენოდ,  
შენ, შენ შეძლებ-თქო, თუ შეძლებ,  
მას უშენო-თქო უშენო.  
თავიდან გეტყვი, სიცოცხლეს  
ველარ დავიწყებ თავიდან.  
მიწაში ჩავალ და ტრფიალს  
მისას მიწაში ჩავიტან.  
თუ თვალი დაშრტდა, გათავდა,  
ველარ უშველის თუთია.  
თვალედავსებულს მკურნალმა  
ლამე ამოდ უთია.  
თუ მგელმა პირი დაავლო  
და მოიტაცა ბატკანი,  
მერე რას შველის მეცხვარის  
კომბლის ქნევა და ტატყანი!“  
მაჯუნნი სიტყვებს ისროდა,  
სიბასრით ისარს რომ ჰგავდა,  
იქით ის ყვავი ტოკავდა,  
ტოტიდან ტოტზე გოგავდა.  
გაფრინდა კიდევ. მაჯუნმა  
ცრემლები ველარ იკავა,  
ყვავს თავზე გარდახლომილი

თუმც ბევრი უთხრა იგავად.

როდესაც ღამემ მიდამო  
ყვავის ფრთის ფერად გამურა,  
წამოეფეთა და გარეთ  
გამოფათურდა ღამურა.  
სავარსკვლავეთზე იტყოდით,  
ნეტა, ჭაღები ჭიატობს,  
თუ ყვავთ ელვარე თვალები  
ფრთებზედაც გამოსხმიათო!  
სასომიხდილი მაჯნუნი,  
საწყალობელი, ბორგნილი  
ვიდოდა, როგორც ყვავთაგან  
ყრმა თვალებამოჩორკნილი.  
ცრემლის ნაკადულს ადენდა,  
ძირს დავარდნილი იწვა და  
ვით ანთებული სანთელი  
ჩუმად თავისათვის იწვავდა.

### ერთ დედაბერს მაჯნუნი ლეილისთან მიჰყვება

დილაზე ზეცის ჩირაღმა  
თავი გამოჰყო თუ არა,  
მაჯნუნის გულის ფარვანამ  
ლეილის კანდელს უარა,  
მაგრამ ლეილის სამყოფელს,  
როგორც კი შორით შეხედა,  
უცებ მუხლებმა უმტყუნეს, –  
ძნელი გამოდგა შეხვედრა.  
როდის და როდის გონს მოდგა  
და როგორც იქნა, წამოდგა,  
კვირობდა, თურმე არ მოკვდა,  
კიდევ ცოცხალი გამოდგა!

მის ახლოს უცებ ბებერი  
ღიაცა გამოჩანჩალდა,  
ვიღაცა კაცი მოსდევდა –  
მთლად დაწყობილი არ ჩანდა.  
იმ კაცისათვის დედაბერს  
კისერზე თოკი შეება,  
იმ ციცქნა მოხუცს ის კაცი  
მშვიდად მოსდევდა ვეება.  
წინ გადაუდგა მაჯნუნი  
ამ საოცრების მნახველი,  
დედაბერს თხოვა მუდართ,  
ეხვეწა უფლის სახელით:  
„კაცი რომ თოკით დაგიბამს,  
გასაოცარი მით ხარო.

ან ამ კაცს ბრალი რა უძღვის,  
 ან თავად ვინ ხარ, მითხარო?“  
 იმ დედაბერმა მიუგო:  
 „იოლი საქმე არიო.  
 ეს არც ტყვე არის, არც მონა,  
 არც კიდეც პატიმარიო.  
 ქვრივ-ოხერი ვარ მე, არ მაქვს  
 არც ფული, აღარც ძაღაო.  
 ეს კაციც ბოგანო არის,  
 ჩემსავით მაწანწალაო.  
 გალღეტილი ვართ ორივე,  
 სულს ვლაფავთ, ისე გვიჭირსო.  
 ღმერთმა სხვა ნიჭი არ მოგვცა  
 თვინიერ ერთი ნიჭისო:  
 ამ კაცს ხელები შეეუკარ,  
 ყელზე შევაბი ბაწარი,  
 ტყვესავით გვერდით ვიახელ  
 და ვიწყეთ ასე წანწალი.  
 ამგვარი ხერხით ორივე  
 ვმოულობთ დღიურ ლუკმასო,  
 განა იმდენიც რა გვინდა,  
 ვკმარობთ სხვებისთვის უკმარსო.  
 ამხანაგობა თუ არის,  
 უნდა ბარიბარს ვიყოთო,  
 რასაც ვმოულობთ, დავჯდებით  
 და ერთმანეთში ვიყოფთო.  
 ჩემ წილ ნახევარს მე ვიღებ,  
 მას მიაქვს თვისი წილიო  
 და სუფევს ჩვენში თანხმობა  
 და წილზე არ გვაქვს ცილიო“.  
 იმ ქალს ტყვენახლებს მივარდა  
 მაჯნუნი შვებაუხლები,  
 ეთაყვანა და ეღმერთა,  
 ჩოქვით უკოცნა მუხლები:  
 „გემუდარები, მე მიყმო  
 და მონად შენად მახსენო,  
 მე შემიკარი ხელ-ფეხი,  
 ამ კაცს საბელი ახსენო!  
 მონად მე უფრო შეგფერი,  
 დღიური ლუკმის მღევარო,  
 შეშლილიც მე ვარ, სალოსიც,  
 საშენო კაცი მე ვარო!  
 კარგად აწონე ეს საქმე,  
 მეც კარგად ამხედ-დამხედე,  
 სადაც გსურს, წამაჩანჩალე,  
 როგორც გსურს, ისე მახეტე!  
 ათასში ერთხელ ძალღივით  
 პურს თუ მომიგდებ, შეგაქო.  
 წილში არ შევალ, ჩემიც და

შენიც უფალმა შეგარგოს!“

იმ ბებრუცუნამ ეს საქმე  
გულში რომ აწონ-დაწონა,  
ჯერე თავისთვის იწონა,  
მერე კი მაჯუნს აწონა.  
სინარბე, კაცის სინარბე,  
აღეძრა დაუოკები,  
ის კაცი იქვე აუშვა,  
ტანზე შეახსნა თოკები,  
შემდეგ მოდგა და ის თოკი  
მაჯუნს შეაბა კრუსუნით.  
ისიც ხომ ამას უცდიდა,  
არ გაუღია ბუსუნი.  
არ გაუღია კი არა,  
მას ამით სწადდა, ეხარა, –  
ქელზე სახივი\* დაედგა,  
ფენზე ბორკილი ეყარა.  
და სამათხოვროდ მომდგარი  
იგი არაბთა კარავთან,  
ისეთ სიმღერებს მღეროდა,  
მსმენელთა გულებს ზარავდა.  
თავის ლეილის უხმობდა  
გვრინით, გოდებას რომ ჰგავდა,  
ქვებსაც ესროდნენ ხანდახან,  
მაგრამ ის მაინც როკავდა.

ერთხელ იმ ქალმა ლეილის  
კარვის კარამდეც ახეტა.  
მაჯუნსაც მეტი უნდოდა?!  
მას რომ გახედა, გახელდა.  
მდელოზე ისე განერთხო,  
ხვართქლა გენახოთ თითქოსდა.  
წვიმით დაადლო ბალახი  
(ცრემლის ღვრით). ასე იტყოდა:  
„ჰე ჩემო, სოფლის სიავე,  
ხედავ, ვით დამხვდა წინაო!  
წყვილის ცალს დამაცალკევა,  
მასზე დარდს დამაწყვილაო.  
რა საოცარი კაცი ვარ,  
სანამ ბორკილი არ მქონდა,  
აღევნებულმა ვარამმა  
შიგ კაკალ გულში დამკოდა.  
ახლა ქედს მადევს სახივი\*,  
ფენებში რკინა მიყარეს  
და დაბორკილი შენ შეგხვდი,  
შენთან მოველ და ვინარებ.  
ვიცი, ლეილი, ქედს ცოდვა  
დავიდვი ამას წინაზე.  
თავის მართლებას ვერ შევძლებ,  
უმაქნისია სინაზე,

მაგრამ მახვილი რომ მეპყრა  
 შენს კარზე მომხვედურ ონავარს,  
 ისევ ის ვიყო, ნუ ჰგონებ,  
 ღლეს ტყვე ვარ შენი, მონა ვარ!  
 თავს რომ დაგესხით, ეს მტანჯავს,  
 მაგრამ დამჯერი ვინა მყავს!  
 რად ვლექვე-მეთქი სხვის ლიბო!\*  
 ვზივარ და ცხვირ-პირს ვინაყავ.  
 გუშინ თუ უცვებს\* კაცის ძის  
 ცოდვაში მედგა ფეხები,  
 ღლეს ფეხზე მადევს ბორკილი  
 და შუბლით მიწას ვეხები,  
 თუ ერთი ცოდვით შეგცოდე  
 შეუსმენელმა რეგვენმა,  
 სანაცვლოდ ბედმა სასტიკმა  
 დამრეგვა რისხვით მრეგველმან.  
 თუ შესანდობი აღარ ვარ  
 და თუ ისეთი ფლიდი ვარ,  
 რისთვის გინდივარ, რად არ მკლავ,  
 ცოცხალი რად დაგიდივარ?!  
 როდესაც გულში ლამპარი  
 მინთია შუქის მთოველი,  
 თავიც რომ მომჭრან, რას ვაქნევ, —  
 სიკვდილს სიამით მოველი.  
 როცა პატრუქი იწვება,  
 თავადაც იცი, რაც ხდება,  
 თავს წააჭრიან და ჭრაქიც  
 ხელახლა აჩახჩახდება.  
 განა არ მიჯობს, დავლიო  
 სული შენს ფერხთით განრთხმულმა,  
 ვინემ ვეწამო ისეთი  
 წამებით, ჯერ რომ არ თქმულა!  
 რადგანაც შენკენ სავალი  
 მომიჭრეს გზა და მომკვეთეს,  
 უნდა მოვშორდე მომკითხველს,  
 მოყვასს, მოძმეს და მოკეთეს!“  
 ეს რომ თქვა, ველად გაიჭრა,  
 ის თოკი იქვე დაწყვიტა.  
 ამ ქვეყანაზე გამწყრალი  
 კვლავ სიგიჟესთან დაწყვილდა.  
 სადაც აქამდე ელოდა,  
 ისევ იქ მოჰყვა ღოღიალს,  
 ისევ უდაბნოს დაადგა  
 ეკლიანსა და ღორღიანს.  
 კვლავ ნეჯდის მთებში ავიდა  
 იქ მიჩვეული ხეტიალს.  
 ხმა მისი ველად გაიჭრა,  
 ხევში რომ ველარ ეტია.

ბარში გავიდა ამბავი  
ნეჯლიდან ნახევსუვარი.  
ზე წამოიჭრნენ შშობლები:  
„ეს მაჯუნია, თუ არი!“

## ლეილის გათხოვება იბნ სალამზე

იმ დღეს, როდესაც ნაფვალმა  
ძლეული მტერი იზავა,  
კარავში იჯდა ლეილი  
ჭმუნვისგან გაუხიზნავად.  
გახარებულმა ქალწული  
მონახულა მამამან  
(ამოდენ ამბავგამოვლილს  
ჩამოჯერჯოდა ამამა\*).

დაჯდა და წვრილად უამბო,  
იმ დღეს რა ჭირიც გარდახდა, –  
როგორ მოუხდა ბოლომდე  
მამობის ვალის გადახდა:

„ვით გავიმარჯვე, თვით მიკვირს,  
უფალს მადლობით მივმართავ,  
ან ხიფათს როგორ გადვურჩი,  
ან ხერხმა როგორ მიმართლა!  
ნაფვალმა, – მისი სახელი  
დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა! –  
მაჯუნს, რაც მსურდა, ვით უქნა  
და ზურგი როგორ აჩვენა!  
ანდა იმ გიჟმაც ვით დაგთმო,  
რომ ჩამოგესხნა ამჯერად.  
ისეთი ბედნიერი ვარ,  
ცხადში თუ ხდება, არ მჯერა!“

ლეილის ეს რომ მოესმა,  
ელდა ეტაკა საცოდავს.  
(ნეტავი, ქვეყნად მასსავით  
გული თუ ვინმეს დასწვოდა!).  
ოხვრა აღმოხდა გულიდან,  
ალთ რომ ჰქონდა დაგული,  
მამის მალულად ოხრავდა  
ორმაგად მოფარდაგული.  
მაგრამ სადგომად თავისად  
მამა როგორც კი გავიდა,  
ისევ ტირილი გააბა,  
ცრემლის ღვრა იწყო თავიდან.  
კაცი არ ჰყავდა, ვინმესთვის  
გულში ნადები გაენდო.  
არავინ მისცა მალამო,  
რომ ჭრილობაზე დაედო.



ამასობაში იმ მხარეს  
ამველელ-ჩამველელთა ნიათა  
მშვენების მისის ამბავი  
მთელს არაბისტანს მიართვა.  
ბევრი ლომგულის გულს მოხვდა  
ეს ქალი ტურფა და უცხო,  
ბევრ თავმომწონე სასიძოს  
გულმა რეჩხები დაუწყო.  
ლეილის ცოლად მოყვანა  
გულში ჩაიდო მრავალმა,  
ზოგმა სიმდიდრით განთქმულმა,  
ზოგმაც დიდებით მავალმა.  
და მარგალიტის მუშტრებმაც  
უხმეს მაჭანკალ-მაშვალებს,  
მაშვლებმაც რბენა დაიწყეს,  
შუკებში მტვერი ამაღეს.  
თავად ის ბროლისტანა კი,  
უშით შვებასთან უშვები,  
ცდილობდა, ქვისგან დაეცვა  
უბიწოების შუშები.

ჩუმად რომ ცრემლებს ყლაპავდა,  
მის ირგვლივ არვინ იცოდა.  
სანთელს იმითაც მოჰგავდა,  
გაცინებული იწვოდა.  
რა უნდა ექნა! ანგარიშს  
უწევდა ხალხს და მამასაც,  
მკელობელს\* მეტი რა ექნა,  
მიკელანობდა ლამაზად.  
მაგრამ იმ მთვარის წინ ბურჯის\*  
მოგროვდა ბევრი მუშთარი\*.  
ლეილის კარზე მოჯარდა  
ასი სასიძო – მუშტარი.

თქმა რაში გინდათ, იმათში  
ის იბნ სალამიც ერია.  
ლეილის დასაწინდავად,  
ვინც იმდენ ზინათს ელია.  
ადგა და გამოეშურა  
ქალწულის ხელის საუფლოდ,  
რა ზარ-ზეიმით მოვიდა,  
ამაზე აქ არ ვსაუბრობთ.  
მოიმძღვანია არმალნად\*  
უზარმაზარი ხაზინა.  
ამბრი\* ბათმანით აწყა და  
შაქარი ზვინად დაზვინა.  
იმდენი მუშკი\* მოზიდა,  
იმდენი იაყუთები,  
საპალნები ვერ დახსნეს  
და გაიჭედა ყუთები.  
და ალახვამდა\* გულუხვი

საუნჯეს კლიტე-მოქლონთა.  
მარტო თორმეტი აქლემი  
დიბის თოფები\* მოჰქონდა,  
რემა\* მოასხა ისეთი,  
ველარ დათვალეს ჰუნენი,  
სულ არაბული ტაიჭნი,  
სულ ფიცხნი, განა ღუნენი.  
ოქრო კი, მისი ნამცეცის  
ასე რომ გვიჭირს მოხვეჭა,  
ერთად იმდენი მოჰყარა,  
იქაურობა მოკენჭა.

ორი-სამი დღე ნებაზე  
გამოისვენა სასიძომ,  
შემდეგ კაცს უხმო (სიტყვით, თქვეს,  
ვერ ძლევედა ასი კაციცო).  
ქვას გაადნობდა ლაქარდით,  
ენა ხმალივით ეწვავდა.  
ქალის მშობელთან გაგზავნა,  
შესთვალა, რაიც ეწავდა.  
მას ენამზეს და ოქროპირს,  
ვით შუაკაცთა წესია,  
სიტყვით მკვდრის გაცოცხლებაში,  
რომ დაეჯაბნა მესია,  
უბრძანა: „ჩემი სახელით  
ეახელ ქალის მამასო!  
ჩინურს, ბერძნულს და ტაიფურს\*  
გატან ამას და ამასო.“

ისიც წავიდა, წაიღო  
ეს ამოდენა ხაზინა,  
მოლარეთუხუცესის წინ  
დახსნა ბარგი და დაზვინა.  
და როცა მცველმა ლარისამ  
თავისი საქმე აკეთა,  
დააბინავა განძი და  
სალაროს კარი დაკეტა,  
იმ კაცმა კარნი განუხვნა\*  
ენამზეობის საგანძურს  
და სიტყვის თვლები აყარა  
მას, თვლების დათვლით დაქანცულს:  
„ამის მომრთმევი ლომგული  
სახითაც ლომი არისო,  
არაბთა თვალის ჩინია  
და ზურგი მისის ჯარისო.  
ერთ ყანას მორწყავს ომის ღროს,  
რაც იმას სისხლი უღვრია.  
ოქრო უთვლელი უწყვია,  
თვალი უთქმელი უყრია.“

როცა იმ კაცმა სათქმელი  
თვისი წარმოთქვა ამგვარად,

ლეილის მამა დაიბნა  
და ვერაფერი აგვარა,  
დაუდასტურა თანხმობა  
გულში ათასჯერ ნახარში.  
მისცა პირი და პირმთვარე  
ემმას ჩაუგლო სახაში.

მეორე დღით, როდესაც  
მზის პატარძალმა მღელვარემ  
ჯამშიდის ჯამი ალაპყრო,  
ჯამი, რომელიც ელვარებს;<sup>43</sup>  
დღით, როდესაც მებრძოლი  
მოვიდა კიდეც რუსისა,  
ძირს დაანარცხა არაბი  
და თავი მიწას უსრისა,<sup>44</sup>  
საქმის თადარიგს შეუდგა  
ლეილის მამა ფოლორცი,\*  
სალხინოდ მორთო სახლ-კარი,  
ეზო, შუკა და ფოლორცი.\*  
შინ მიიწვია მაცრებით  
სასიძო, ის იბნ სალამი  
და იყო ერთი თავაზი,  
ერთი კოცნა და სალამი.  
სუფრაზე დასხა სტუმრები,  
რიგი\* ქნა მამა-პაპურად,  
გაუმასპინძლდა გულუხვად,  
ასვა, აჭამა, აპურა.

ციმციმ სასიძამრ-სასიძოს  
საწერ-კალამი აახლეს,  
ხელშეკრულება დაბეჭდეს,  
ძველი პირობა აახლეს.  
ვერ მისწვდებოდა გონება  
(მოეწეოდა ურვათა),  
რაც საჩუქრები იქ იდგა  
და რაც იქ ითქვა ურვათად.\*  
სალამის ძე და ლეილი  
ქმარი შეიქნენ და ცოლი.  
საპირველცოდვოდ იცდიდა  
საპირველლამო საწოლი.

### **იბნ სალამს ლეილი თავის სახლში მიჰყავს**

დილაზე, როცა ხალისით  
მანათობელმა მნათობმა  
ლურჯ ველზე დასცა კარავი,  
როცა წყვილიდი გატობა,  
წამოხტა სიძე, ბედს მადლა:  
„მაკმარა, რაიც მქენჯნაო!“

მოაკაზმვინა საჩქაროდ  
 სადედოფალო ქეჯაო\*.  
 ქალწული იგი შიგ ჩასვა  
 ნაზარდი სისათუთით და  
 დაძვრა უბრძანა ქარავანს  
 და გზა სახლისკენ უთითა.  
 ორი-სამი დღე შორს უდგა,  
 თითქოს არისო უმზრახად,  
 შორიდან ელოლიავა,  
 ავი არა-რა უზრახავს.  
 მაგრამ ნათქმნა ვაჟკაცმა  
 მეტის ვერ შეძლო ატანა,  
 ნუგბარმა ნერწყვი მოჰგვარა  
 და ხურმას ხელი ატანა.  
 ატანა ხელი, მაგრამ ხელთ  
 ისეთი მოხვდა ეკალი,  
 რაც ხანი დარჩა, ნატრობდა:  
 „ნეტავი მაშინ ვეკალი!“  
 ლეილიმ ერთი ისეთი  
 სილა გააწნა მოძალეს,  
 მოცელილივით დაეცა  
 მისი სარეცლის მოცალე.  
 გამეხებულმა უკივლა:  
 „კიდევ თუ მოხველ ახლოსო,  
 შენც მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ,  
 ცოდვა ქვეყანამ ნახოსო!  
 ჩემს გამჩენს ვფიცავ, მიფიცავს  
 ეს საშინელი ფიცო,  
 გულში სიბილწე რამ გიძევს,  
 რაღაც ავი გსურს, ვიცო.  
 უმაღლესი ხმალი ამაგებ  
 და მით დამიკლებ თმენათო,  
 ვინემ მე რამეს დავუგებ  
 შენთა გულისთქმათ ქვენათო!“  
 ქმარმა იფიქრა: „თავის თავს  
 მიჯობს, დათმენა უურჩიო!“  
 უფალს მაღლობა შესწირა,  
 იოლად გადავურჩიო!  
 და უგრძნო გულმა, გზა მათი  
 სადღაც მანამდე გაიყო,  
 გრძნობდა, ქალს ვიღაც უყვარდა  
 და ეს ვიღაცა სხვა იყო.  
 კი გრძნობდა, მაგრამ ვერ თმობდა  
 ცოლს კაცი ამპარტავანი.  
 ჯერ ის, რომ თავად არ იყო  
 არაბი ვინმე მავანი,  
 მერე იყო და ამ ქალის  
 ეშხით ჭკუაზე არ იყო  
 (ლეილი იყო, ვით გინდა,

ლეილი გულით გარიყო!).  
მერე თქვა: „მე ხომ გიჟი ვარ,  
ის კი ჰგავს ახალ მთვარესო,  
ახალი მთვარე გიჟს თუ სწყენს,  
მე ვით ვვლო მთვარის არესო?!  
ახლა შორიდან მაინც ვჭვრეტ,  
ერთ საქმეს ვხედავ სარგოსო,  
ვაი, თუ სულაც შემომწყრეს  
და ჭვრეტაც დამეკარგოსო!“

ქალის ფეხებთან დაეცა  
ვაჟკაცი ბედით უკუნი.  
„მაპატიეო! – შესთხოვა  
და აუვარდა ზღუქუნი. –  
მხოლოდ შორიდან გიყურო,  
ამისთვის ვიყო მზადაო,  
ვფიცავ და ფიცს თუ გადაველ,  
ვიქნები არამზადაო!“  
და მართლაც შემდგომ ამისა,  
რაც დღენი დარჩა საცოდავს,  
მხოლოდ შორიდან უჭვრეტდა,  
გარეთ და გარეთ დაძრწოდა.

მას კი წალკოტის იმ ყვავილს,  
ჭირი რომ ასე ეჭირა,  
სული სულ კბილით ეჭირა  
და თვალი გზაზე ეჭირა.  
იქნება, ღმერთმა მიღვაწოს  
და ქვენა ქარი მეღირსოს,  
არმალნად\* მტკერი მომართვას  
ჩემი კლდეღრელის კლდე-ღრისო!  
შინ შემოსული არ იყო,  
რომ კვლავ გარბოდა შარაზე,  
კარვის მცველებმაც ყოველთვის  
კარები ველარ ჩარაზეს.  
ისე წაართვა მოთმენა  
მისი სიშორის ატანამ,  
ყველა გამვლელს და გამომვლელს  
კვნესა იმდენი ატანა,  
ბოლოს და ბოლოს ეს საქმე,  
გასცილდა იმათ მოედანს,  
მათი ტრფიალის ამბავი  
ცა და ქვეყანას მოედვა.  
საქმე იმგვარად წასვლოდა,  
ისე გაება ვიშები,  
სად ჰქონდა თავი, ან ქმრის, ან  
მამის ჰქონოდა შიშები!

ასეა, ასე რომ გიყვარს  
და ვნება ასე დიდია,  
რაღა ღროს ან ქმრის შიშია,  
ან რა ღროს მამის რიდია!

## მაჯნუნმა ლეილის გათხოვება გაიგო

იმ მობალდადე მგოსანმა,  
ვისაც ეს მძივი აუცვამს,  
სევდის მომგვრელი ამბავი  
ასეთნაირად გვაუწყა:

ის გიჟი (მერე რა გიჟი! –  
ფეხთ აეწყვიტა ბაწარი)  
უახალმთვაროდ შემცთარი  
და ჩამომწყდარი წანწალით,  
დაძრწოდა შემოჩვეული  
უდაბურსა და ნაოხარს,  
მეგობრად ოხვრა შემორჩა  
და გული ოხვრით აოხა.

ერთ დღეს ვილაცა მხედარმა,  
აქლემზე მჯდარმა თამამად,  
ტანზე რომ შავი ემოსა  
და შავი ერქვა\* ამამა\*.  
ზეამართული რომ იყო,  
ვითარცა უხსენებელი,  
ბედად იქ გამოიარა,  
სად ჯდა ის უსვენებელი.  
საწყალობელად დავარდნილს  
თვალი დაადგა თუ არა,  
თავის გზას გადაუხვია  
და იმ დავარდნილს უარა.  
ისე რომ ვერ-რა ასმინა,  
ხაფად ძახილი ამალა.  
ყვირილით ამცნო დავრდომილს,  
ვითარცა ღვემა მამალმა:

„ეჰე შენ, ვისაც არსობის  
დაგებნა ანგარიშები,  
შენ, კერპის მცემო თაყვანის,  
გართულო მასზე ვიშებით!  
შენი ტყავისთვის გერჩიოს,  
რომ იმ კერპს ზურგი აქციო,  
კერპის მინდობა სად თქმულა,  
კერპი გულქვაა, მაქციო!\*"   
ამგვარი საქმე, იცოდე,  
მუდამ ხიფათში შეგიყვანს.  
სატროფომ, რომელიც ასეთი  
თავდავიწყებით შენ გიყვარს,  
პირი გიშალა უტიფრად,  
მოსისხლედ გექცა მოკეთე,  
თვალს შორიდანაც ვერ ჰკიდებ,  
ისეთი კედლით მოკედლეს.  
ვისთვისაც თავი გასწირე,  
მან ბზისებრ გაგანიავა;  
არ გაგიხსენა ერთხელაც,

მუხთალმა ისე გიავა.  
 სხვას გაატანეს ლეილი,  
 შენს ტრფიალს განა უხათრეს,  
 ერთ ვილაც ახვარს უცოლეს,  
 ქორწილიც გადაუხადეს.  
 ქალიც ხვადს ფეხქვეშ გაეგო,  
 დაჰყვა მეუღლის სადავეს,  
 ვნებათაღელვას მიეცა  
 ქალი, სიავის სათავე.  
 ჟინის საკლავად იმ კაცთან  
 კარი აქვს გამოკეტილი.  
 სხვას ეხუტება, მაჯუნო,  
 შენი ლეილი კეთილი!  
 ეს როგორ ხდება, არ ვიცი,  
 შენ აქ გორაობ ჩაგრული,  
 ის კი იქ ვილაც კაცს კოცნის,  
 გულში ქმარი ჰყავს ჩაკრული.  
 რაკი ამგვარად გაგცილდა  
 და კაცი ასე გაგწირა,  
 შენც რომ გაწირო, რა გიშლის  
 ანდა გაკაგებს აწი რა?  
 როცა ის ერთი წელია,  
 არც კი გახსენებს ხსენებით,  
 რად არ ისვენებ, ეს მიკვირს,  
 გულს რად გესევა სენები?  
 განა არ იცი, დიაცი  
 პირობას როგორ ინახავს?  
 თავისი სიტყვის პატრონი  
 ქალი ამქვეყნად ვინ ნახა!  
 უთქვამთ: გაგიტანს დიაცი,  
 იქნებ გადაგყვეს თანაცო,  
 მაგრამ ეს მანამ, სანამდის  
 კუროს იშოვის სანაცვლოს.  
 თუ მიუჩოჩდა სხვა კაცი  
 ან ირაოთი უარა,  
 არც გაიხსენებს, ოდესმე  
 ვინმე უყვარდა თუ არა.  
 დიაცის ვნებას რას უზამს  
 კაცის ვნება და სურვილი,  
 დიაცი წყურვილს იკლავს და  
 ჯერ ვერ მოუკლავს წყურვილი.  
 რა გამოუვა სიკეთე,  
 როცა ბუნებით მრუდია,  
 დიაცს ვინ ენდოს – ქვებუდანს,  
 ძუენას, მზაკვარს და კუდიანს!  
 დიაცთ შეცნობა კაცთ მოდგმამ  
 საკუთარ ტყავზე იწვნია,  
 განჩხრეკილია დიაცი  
 და ის რაც არის, იცინა.

დიაცი რაა, მე მკითხე,  
რა ბედასლობის\* ბუდეა.  
სახით, იცოცხლე, სათნოა,  
გულით მკრჩხალი და მრუდეა.  
დიაცის ტრფობით კაცის შვილს  
გული რომ ასე ექნება,\*  
დიდი მიხვედრა რად უნდა,  
ტრფობა როგორი ექნება.  
რასაც დაუშლი, იმას იქმს,  
ხოლო რასაც თხოვ დაუშლელს,  
მას ის ერთ ყურში შეუშვებს,  
მეორე ყურით გაუშვებს.  
ის შენს სატკივარს არც ჩივის,  
თუნდ ჯოჯოხეთში ეტარე,  
შენ თუ ნეტარებ, იგი წუნს,  
შენ თუ წუნს, იგი ნეტარებს.  
ღმერთს თუმც არცერთი უქნია,  
სხვაობა მათშიც კი არი.  
კარგი ეს არის, რას იზამს  
ცუდი, ეშმაკის ზიარი!“

როცა მაჯუნუნმა იმ კაცის  
ლაყაფს უსმინა ამდენ ხანს,  
გულიდან ოხვრა აღმოხდა,  
გმინვა და მოთქმა ატეხა.  
მტვერში ფორთხავდა, ვით ბუდით  
გადმოვარდნილი ბახალა,  
ლოდები სისხლით შეღება,  
თავი იმდენჯერ ახალა.  
ტინსა და ღორღზე გორავდა  
(ტანთ კაბა შემოფხრეწოდა),  
პირიდან სული ძვრებოდა,  
სული და ხორცი ეწვოდა.

იმ მაჯულაჯუნამ რომ ნახა  
მაჯუნუნი ელდით ნალევი,  
თვითონვე შერცხვა თავისი  
ნატორტლავ-ნაყრანტალევის.  
და ხეპრე ისე მოიქცა,  
ვით ჭკვიანთაგან ეგების, —  
ახლოს მივიდა, უგონო  
გონს მოვავლო ეგების!  
ასი ბოდიში უხადა,  
უთხრა: შემინდო უნდაო,  
ასეთი რამის სათქმელად  
ენა ვით მომიბრუნდაო!  
ერთი ტყუილი გაკადრე  
და იმ ლაყობის სანაცვლოდ  
მზად ვარ, ზვარაკად ვეწირო  
განწირულს შენისთანასო!  
შენი ლეილი შენ გიცდის



კარავში გამოკეტილი,  
ტრფიალის შენის ერთგული,  
პირზე მდგარი და კეთილი.  
ქორწილმა მისი მეუღლე  
მისცა ტანჯვას და ძრწოლასო,  
ჯერ ვერ ეღირსა საწყალი  
საკუთარ ცოლთან წოლასო.  
თუმც ქორწინებით შეეკრა  
ქმარს მისი ნდომით ხელსაო,\*  
თითს არ იკარებს, სიყვარულს  
შენსას არ უშვებს ხელსაო.  
ქმარს იგერიებს: „ვერ გეტრფი,  
რამდენიც გინდა, მენაზე!“),  
ამ ქვეყანაზე შენ, მხოლოდ  
შენ, აკერიხარ ენაზე.  
არავინ ახსოვს შენს გარდა  
იმ შენს ფერიის ნაშიერს.  
რა ტრფობით დაწვი ასეთით,  
რა სიყვარული აშიე?  
ან ქალწულობას ვით იცავს,  
შენ გითხრა, მიკვირს ძალიან,  
ერთ წელზე მეტი იქნება,  
რაც სხვისი პატარძალია!“

## მაჯნუნი ლეილის შორიდან საყვედურობს

ეს პატარძალი, რომელსაც  
თვალ-მარგალიტით მოურთავს,  
მას ჩვენთვის ქვეყნის მშვენების  
ჩვენება ასე მოუნდა:  
მან, მან, ვინც თავი საჭკრეტად  
მხოლოდ თვისიანთ ანება,  
მან, ყველა მხატვრის ოცნებამ  
და ყველა ხატის ზმანებამ  
დაკარგა ნივთი ამ სოფლის  
ყოველი ამო, კეთილი,  
ვით ტყვე, ქმრის სახლში ემწყვდია,  
იქ იყო გამოკეტილი.

მის ტანჯულ მიჯნურს განგებამ  
დარდი უსართა ვარამზე,  
როცა გაიგო მზემ, მთვარეს  
მისას ჩრდილავდა არამზე.  
ნუ იკვებ, გიჟზე უგიჟესს  
რა დაუძახო, ვიცო, –  
„მაჯნუნი“ მხოლოდ გიჟს ნიშნავს,  
სხვა სიტყვა გემართებს ვიძიოთ.

მას ქედანივით ქვე მფეთქავს,  
ფრთამოტეხილს და თვინიერს  
ალარაფერი შეეძლო  
სულის ლაფვისა თვინიერ.\*  
და როცა დაჰკრა საათმა,  
ამ სულსაც უნდა გაჰყოფდა,  
უკვდავების წყლის ძიებას  
შეუდგა, თავი აჰყო და.  
ადგა და ასე ლასლასით  
ლეილისაკენ იარა.

კაცი თმასავით გაეწლო  
გულის დაღსა და იარას.  
გადადგა ქედზე და შორით  
ლეილის ასე უძახა:

„ეჰე მტერს შეწყვილებულო,  
მოყვასთან მყოფო უმზრახად!  
მე პირი რატომ მიშალე,  
ხმლის პირს რად მახვე აღესილს?!  
გულში ხომ იკრავ მეუღლეს,  
ხომ ძლები მასთან აღერსით?!  
უდავო საქმე, – უძახდა, –  
რად გამიხადე სადავოდ?  
მე მოგსდევ, შენ კი გამირბი,  
სად მემალეები, სადაო?  
გულმა სხვა კაცი განდომა  
და მე მიმაგდე ტიალი.  
სიცოცხლის ფასად დამიჯდა,  
ლეილო, შენი ტრფიალი.  
პირის გატეხა ასეთი  
კიდევ თუ ვინმეს უნახავს?  
ასე ვინ იყო, საყვარელს  
გულის მურაზი\* უნახა!  
აქაურს არვის კითხულობ,  
არც მე მახსენებ ნანდაურს,\*  
რა ასე უღვთოდ ეკონვი  
იმ შენს გულისსწორს მანდაურს?!  
მე ვით დაგიშლი, იმ შენს კაცს  
რამდენიც გინდა, ეხუტე,  
მაგრამ სხვას ოთხჯერ თუ უნძობ,  
მეც გამიხსენე – მეხუთე!  
წალკოტის შენის მოვლაში  
სიყრმე რა ცუდად ვაღამე!  
ვაი, რა ფუჭად გაგრჯილვარ,  
როგორ მოვმცდარვარ, ვაჰამე!  
ბაღში თუ გვრიტმა იჯაფა,  
ნაყოფი ჩორკნა ყვანჩალამ;  
ყანაში ოფლი მე ვლვარე,  
სხვამ კი მომკა და აჩალა.  
შენს ხურმას ბევრი აჰყურებს,

ნუგბარი ამის გამო ხარ,  
 შენ სხვისთვის გასხენ ეკალნი,  
 თორემ საჩემოდ ამო ხარ.  
 მაშინ რა ტრფიალს შემპირდი,  
 რა სიხარული მიქადე!  
 ახლა ძალადაც არ მაგდებ  
 (რა უკადრისი იკადრე)!  
 რას ვიფიქრებდი, ამდაგვარს  
 თუ გაგებამდი საუბრებს  
 იმ დღეს, როდესაც ეს გული  
 მოგეც და მასზე გაუფლუე?!  
 რას არ დამპირდი, ვინ იცის, –  
 შენს დაპირებებს რა დათვლის, –  
 დავქორწინდეთო მე და შენ  
 ჩვენი წესით და ადათით.  
 იფ, გენაცვალე, ყოფილხარ  
 სიტყვის როგორი პატრონი!  
 ამ ქვეყანაზე მე და შენ  
 ხომ არ ვარსებობთ მარტონი.  
 ყელზე რომ ჩამოეკიდე  
 იმ კაცს, შენს მუშტარს ძღვენიანს,  
 რას ეუბნები ქვეყანას,  
 თუ ჩემი არა გრცხვენია?!  
 ვინც თავის ნათქვამს გადავა,  
 ბილწივით უნდა გაკილო,  
 ფიცის გამტეხი ყოველი,  
 ეს რა ვქენიო! – თაკილობს.  
 გატეხე ფიცი, პირობა  
 არ შემისრულე ნადები.  
 წასულა ჩემი სიცოცხლე,  
 გასულა შენი ვადები.  
 შენგან სიკეთე რა მახსოვს,  
 გარდა ვნების და სენების  
 და მაინც ტკბილად გახსენებ,  
 თუმც ღირსი არ ხარ ხსენების.  
 შენკენ, ვით მახლობელისკენ  
 ხელი არ მინდა ვიწოდო,  
 გაუტანელიც არ ძალმიძს,  
 გაგიმეტო და გიწოდო.  
 და დავიტანჯე მე შენი  
 ხამი ჯილაგის გასინჯვით.  
 თუ რა სახელით მოგნათლო,  
 ვარჩევ ამას და თავს ვისჯი.  
 ჰა, შე თათარო, თუმც ვიცი,  
 არ იცი სიტყვის შენახვა,  
 ვერ დაგთმობ, ჯანიც შენა ხარ,  
 ჩემი და სუნთქვაც შენა ხარ.  
 შენი სიმკაცრე სულსა მხდის,  
 უნდა გასწავლო კვნესაო!

მაგრამ მშვენება მბოდიშობს:  
 მე მაპატიე ესაო!  
 მეც რა ვქნა, ასე მშვენიერ  
 მზექალთა კალმით ნახატთა  
 აბა, ვინ მოთხოვს იმ სულთა  
 მიჯნურთა ბაგით ნახადთა!  
 ერთი მბჟუტავი კვარი ვარ,  
 შენ კი გამგვანებ ალიონს,  
 თენდება. კვარი ვის უნდა!  
 ხამს, შენს წინ სული დაგლიო!  
 წალკოტი ჩივის: ვარდებით  
 თუმცა კალთები ამევსო,  
 ლეილის ლაწვებს შევყურებ,  
 იქნებ გამოვრჩე რამესო!  
 თვითონ ატლასიც, წითელი  
 სამოსი როა მეფეთა,  
 შენ ლაწვთა თვალწინ გაფითრდა,  
 ისეთი ელდა ეფეთა.  
 მე სხვა რა გზა მაქვს, ისევ შენ  
 უნდა მოგენდო დარცხვენით.  
 თვალს ვხუჭავ, თუ რამ გიცოდავს,  
 ბოდიში აურაცხელი!  
 ჭირვეულობას შეგინდობ,  
 შენთან ჭირს ლხენას ვადარებ,  
 პირში აღვირი ამომდე  
 და სადაც გსურდეს, მატარე!“

### მაჯნუნის მამა შვილის სანახავად მიდის

მამამ იმისმა, ველ-მინდვრის  
 ვინც იყო მიმომთარეშე,  
 მან, იაკობმა\* შთენილმა  
 ძის, იოსების გარეშე,\*<sup>45</sup>  
 თავისი ვაჟი ამ დღეში  
 რომ ნახა, უკვე მიუხვდა,  
 ვერ დაცხრებოდა ეს კაცი,  
 ისეთი ვნება მიუხდა.  
 მაინც ფიქრობდა: ვინ იცის,  
 იქნებ სიხარულს ვეგებო,  
 არ დავიღუპო, იქნება,  
 კიდევ გადავრჩე ეგებო!  
 ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილს,  
 საშველს ეძებდა ვიშითდა,  
 ვერაფერს გახდა, ყორანი  
 ვერ გაათეთრა ქვიშითაც.  
 ბევრი ირბინა ტანჯულმა,  
 ბევრი გასწია ხარჯები,  
 არ გაუღიმა იღბალმა,

არ შეუსმინა აჯები.\*  
 ჩაუქრა კვარი იმედის,  
 თუ კიდევ სადმე ბუუტავდა,  
 მიუხვდა, უფსკრულს მიადგა  
 და სასოებაც\* უთავდა.  
 მოინახირა საგზალი,  
 გული რა ექცა ლოდივით,  
 გაინაპირა და სიკვდილს  
 მორჩილად უწყო ლოდინი.  
 მას, მოხუცებულს, მოტეხილს,  
 სასოწარკვეთილს, დავარდნილს  
 იმ ქვეყნის გეზი აელო,  
 იქით დაეწყო ნავარდი.  
 ვიწროდ ეჩვენა სოფელი,  
 მისი გზები და შუკები,  
 ააღრიალა საბრალომ  
 სასოწარკვეთის ბუკები.\*  
 შეძრწუნდა: მიდის სიცოცხლე,  
 სიკვდილი მოდის უდავოდ,  
 უცხო სტუმარმა საცაა  
 კარზე მირეკოს უნდაო!  
 ასეთ ყოფაში სიჩქარე,  
 გითხრათ, მართებდა დიალაც.  
 მყისვე ხელთ ჯოხი აიღო,  
 ორი მხლებელი იახლა.  
 ეძება თვალის ცეცებით,  
 ეძება გულის კანკალით,  
 მაგრამ იმ ვერან ველებში  
 ვერ ნახა მისი გზა-კვალი.  
 ბოლოს კი მარტო მავალი  
 ერთი არაბი ემთხვია\*  
 „აქა და აქო, – ასწავლა, –  
 ამ და ამ ველს რომ ეტყვიან,  
 იქ ვნახე იგი, ის არე,  
 ვაი, რომ არ ჰგავს ამ არეს!  
 თვით მიცვალებულს ვამგვანე,  
 ხოლო ის მხარე – სამარეს.“  
 მოხუცმა ეს რომ ისმინა,  
 იქით გაქანდა მაშინვე.  
 ერთ დღეში განვლო მანძილი,  
 ღორღებს ლახავდა საშინელს.  
 ბოლოს იპოვა ისეთი,  
 როგორის ნახვაც არ ჰსურდა.  
 ისეთი ელდა ეტაკა,  
 კინაღამ იქვე აღსრულდა.  
 ძვალს მხოლოდ ტყავი ჰქონოდა,  
 ჯერ კიდევ შემორჩენილი  
 (გინახავთ სული კაცის ძის  
 სხეულის გარეთ შთენილი?).

დაეგლო წუთისოფელი,  
ქვეყნად არსობის საუფლო,  
კერპისთვის ეცა თაყვანი  
(მიხვდებით, ვიხეც ვსაუბრობთ)  
და უპატრონო ძაღლივით  
იმ ველზე ეხეტებოდა,  
მიწად დანთქმული კაცივით  
ვერავის ეხედებოდა.  
მოცელილიყო სევდებით  
გულს ისრებივით სეულით.  
დამსხვრეულიყო, ვერ დუღდა  
კოჭობი\* მისი სხეულის.  
შვილს თავთან ფრთხილად დაუჯდა,  
ნაზად დაუწყო ალერსი,  
სისხლი სდიოდა, იტყოდი,  
დანა მოხვდაო ნაღესი.  
როდის და როდის მაჯუნმა  
თვალები გამოაზილა,  
ხედავს, ვილაცა მოსულა  
და ზედ მის თავთან დახრილა.  
ერთხანს უყურა, ვერ იცნო,  
შემდეგ იბრუნა პირი და  
ის უცნო კაცი უაზროდ  
აბეზარივით ირიდა.  
მას, ვისაც თავიც არ ახსოვს,  
ისე წასვლია ცხოვრება,  
სხვისი შეცნობის რა სცხელა,  
სხვა როგორ ემახსოვრება!  
ბოლოს ძლივს ჰკითხა: „რა გინდა,  
აქ რომ დამჯდარხარ ინახად,  
ჩემთან რა საქმე მოგეცა  
ანდა შენ თავად ვინა ხარ?“  
მამამ მიუგო: „სულისდგმავ,  
ვხედავ, სულს ვითქვამ ამაოდ.  
მომხედე, შვილო, ვერ მიცან?  
მამა ვარ შენი, მამაო!“  
მაჯუნმა იცნო მშობელი,  
თვალთ გაეფანტა უკუნი,  
ფეხთ ჩაუვარდა მორჩილად,  
ბლავილი მორთო, ზღუქუნი.  
ცრემლს ისე ღვრიდნენ, ვით იმათ  
ძნელ საქმეს ეფერებოდა,  
ძე მამას ცხარედ კოცნიდა,  
მამა ძეს ეფერებოდა.  
ჩამოსხდნენ იქვე, გააბეს  
ცოდვის ვაი და უები,  
გოდების ზარი არისხეს,  
ცრემლის აჩქეფეს რუები.  
როდის და როდის მოხუცმა,

შეჭირვებულმა, მწუნარემ,  
 შვილს კარგად ახელ-დახედა,  
 ცრემლი იწურა მღულარე.  
 ტიტველი ეგლო ძე მისი, –  
 თითქოს დღე იყო განკითხვის, –  
 უხამური\* და უქულო,  
 სადმე თუ ითქმის, აქ ითქმის.  
 მყისვე ხურჯინი მოილო  
 ამის შემყურე მამამან.  
 შვილს ტანზე კაბა ჩააცვა,  
 თავზე დაარქვა\* ამამა\*.  
 შემდეგ კი, როგორც შეიძლო,  
 შვილი ჭკუაზე არიგა:  
 „გონს მოდი, შვილო, გონს მოდი,  
 არიქა, შვილო, არიქა!  
 წამოდექ, მამის სიცოცხლეც,  
 ახლავ წავიდეთ აქედან!  
 რა ღროს აქ ასე გდებაა,  
 ამ ჯოჯოხეთში რა გინდა?!  
 ამ ადგილიდან, ბალახიც  
 სადაც ნემსივით ბასრია,  
 გავიქცეთ, შვილო, გაქცევას  
 სანამდის კიდევ აზრი აქვს!  
 ტანზე ამდენი ჭრილობა,  
 მიკვირს, ან როგორ გეტია;  
 წელზე მეტია, რაც აქ ხარ,  
 რაც შენ გჭირს, მეტისმეტია!  
 თუ არ ვიჩქარეთ, აქ დღესვე  
 იქნება სულიც დალიო,  
 ვერ მივატანოთ ეგების  
 დღე ხვალინდელის ალიონს.  
 აქ ფეხი უნდა გაჭიმო,  
 ნადირმა უნდა გაგხოს.  
 ნუ ათქმევინებ ქვეყანას:  
 რაც სჭირდა, იყო ახიო!  
 შენს სამშობლოში ცხოვრობდე  
 და ძალლი იყო, გერჩიოს,  
 ვიდრე ის, ყარიბს\* გიყვირონ:  
 – შენ ჩვენ ძალლს მანდ რას ერჩიო?!  
 ბავშვი აღარ ხარ, თვით იცი,  
 რომ აქ უძებარს იძიებ,  
 ვერ მიეწიე საწადელს,  
 და უწადელი იწიე!  
 შენი ცხოვრება უღმერთოდ  
 შენ თვითონ აგიწიწია,  
 რკინაც რომ იყო, დადნები,  
 ხომ ხედავ, რა დღე გეწია!  
 დაოსდა, შვილო, ქვეყანა  
 შენი სენების ხსენებით.

დამშვიდდი ცოტა, რა გეცა  
 ასეთი შეუსვენები?!  
 თავი რომ აღარ შემოგრჩა,  
 როგორ ხარ ასე თავნება?  
 დამდნარხარ კაცი, რას ყინჩობ,  
 რაღა გეამპარტავნება?  
 დაცხერი, გადარეულ თავს  
 მართლა სულ ნუკი გადირევ,  
 გეყო, რაც თავი უყადრე  
 აქ ამ ტყიურებს, ნადირებს!  
 მოითქვი სული, დამშვიდდი,  
 ცოტათი კიდევ შედექი,  
 იტყუე თავი, ვნახე-თქო  
 მშვიდი ცხოვრების შედეგი!  
 რაც უნდა გჭირდეს, ხალხს თავი  
 ყინჩად აჩვენე, იცოდე!  
 ჩვენ რომ მორჭმულნი\* გვეგონენ,  
 თურმე ჩუმ ცეცხლში იწვოდნენ.  
 ხალხს თავის მოტყუებითაც, –  
 ვაი ჭირს! – შვება ჰქონია.  
 ცოტა ხნით სულს რომ მოითქვამ,  
 ცოტა რამ ხომ არ გგონია?  
 ხვალ, როცა სულთამხუთავი  
 მოგვივარდება ხაფად აქ,  
 რა უნდა მოვიბოდიშოთ  
 ჩვენ ცოდვილთ, სულის მლაფავთა!  
 იმედი ნუ გაქვს, გამივა  
 თავის მართლება, გესავო!\*  
 ცოდვებს მოგკითხვენ: – ლამაზო,  
 განა შენ არ ჰქენ ესაო?!  
 ქალმა ტანთ იგი ჩაიცვა,  
 მას რისი ნართიც დაურთავს,  
 გლეხს რისიც ჰქონდა ნათესი,  
 კალოც იმისი დაუდგა.  
 დღეს აქ დაიწვი როგორმე,  
 სვეტი აღმართე შუქების,  
 ვინძლო იმ ქვეყნის წყვდიადში  
 ხვალ გაიშუქო შუკები!  
 რა ხილიც არის სიკვდილი,  
 ცოტათი აქვე იწვნიე,  
 თორემ უეცრად შემოყრილ  
 სიკვდილს რა ძალუძს, იცი ეს?  
 სიკვდილს ის კაცი მოერგო  
 (იოლი საქმე თუ არი?! –  
 ვინც მასთან ჯიქურ შეყრამდე  
 სიცოცხლეს უთხრა უარი.  
 ვინც სიკვდილს ყინჩად არ შეხვდა  
 და პირმლიმარე ეგება,  
 იმ ქვეყნის საგზალს იმ კაცმა



თავი მოაბას ეგება.

გეყოფა ქენჯნა ამდენი  
და ვნება მძიმე ლოდვიით,  
შინ წამომყევი, შენი აქვს  
შენს კედელ-ყურეს ლოდინი!  
ვერ შეძლებ, შვილო, ნიადაგ  
წამების ჩარხზე გაება,  
დასასრულს ითხოვს ამქვეყნად  
ყოვლი ჭირი და ვაება.  
ადამის ძე ხარ, დადექი,  
ფუჭად ნუ იცლი არაქათს.  
ძალს აქვს სადგომი თავისი,  
შენ კი სადგური არა გაქვს.  
თუ კაცის ძე ხარ, იყავი  
კაცთაგან გაურიყავი  
და თუ ქაჯი ხარ, არ ვიშლი,  
აქ ხარ და კიდევ იყავი!  
მაგრამ ეს რატომ არ იცი:  
თვითონ ქაჯიც რომ ქაჯია,  
ქაჯობა არ ჰსურს, ქაჯობას  
კაცობა ქაჯმაც არჩია.  
თუ კაცის ძე ხარ, კაცობით  
კაცის ძემ ყველას აჯობა,  
მაშ, ქაჯობაში რა მოგწონს,  
რა ჭირად გინდა ქაჯობა?!  
რად არ იკითხავ, ეს მამა,  
ვით ცოცხლობს ან რას შერებაო?  
მოხედვა მინდა მეც, შვილო,  
შენ გულის ჩემის შვებაო!  
ნუ მიმატოვებ, თუ არ გსურს,  
სიკვდილი ახლოს მიწიო,  
თორემ ხვალ ვეღარ მიპოვნი,  
გულითაც ბევრი მიძიო!  
ვიცი, რაც ახლა გითხარი,  
შენთვის არც ისე ამოა,  
მაგრამ განგება გვაბრუნებს  
და ასეც ამის გამო ვართ.  
შენ გაიხარე ჩემს ძირზე,  
მე მივალ, თვით ხარ მოწამე.  
შენ ჭამე ხილი ამ ბაღში! –  
მე შენი ჭირი მოგჭამე.  
სიბერის მტვერმა დაბურა  
სიცოცხლის ჩემის მზის პირი,  
დამღვარა ჩემი დაისი  
და დღეთ გარდასულთ მივსტირი.  
სანამდის წავალ (მივდივარ,  
ამ ცას ვინ გამოჰკერვია!)  
შინ წამო, შვილო, გამითბე  
გაცივებული კერია!

მივდივარ, უნდა გავლიო  
ამ სოფლის ვიწრო შუკები,  
საიმქვეყნიო სამგზავრო  
უკვე დამიკრავს ბუკები.\*  
იცოცხლე, მოხვალ საფლავზე,  
მიწას გახვეტავ ლოყებით,  
მოჰყვები მწარე გოდებას,  
მაგრამ ამოდ მოჰყვები.  
რამდენიც გინდა იწუხო,  
დარდი კვამლივით ადინო,  
მე ვერ მიშველი, ვერ შეძლებ,  
სიკვდილი გამიადვილო.  
და თუნდაც ურვის სახმილში  
მთელი ქვეყანა დაბუგო,  
ჩემს დავსებულ ბედს, უბადოს,\*  
ველარ შემიცვლი, ჭაბუკო!“

### მაჯნუნის პასუხი

ამბობენ: როცა მაჯნუნმა  
უსმინა ბეჩავ მამასო,  
„რაც არის, არის, – გულში თქვა, –  
მოდი, დავჰყვები ამასო!  
ერთი-ორი დღე ეგონოს,  
ვითომ შევიძელ, ვუგონო,  
წელებზე ფეხებს დავიდგამ,  
გონს რომ მოვეგო უგონო!“  
ვერც კი ეფიქრა, ტყუილის  
ნაცვლად რა ექნა ნამდვილად,  
მოვარდა სიყვარული და  
მოთმენას ბღღვირი ადინა.

უთხრა: „ჰე, რჩევა ვისიც მე  
ჭირთა მძლედ მიჩანს ჩემადო,  
ეჰა შენ, სუნთქვამ რომლისაც  
უნდა სიცოცხლე შემმატოს;  
სწავლათა ვისთა სმენისგან  
თავი აროდეს მიხრია,  
მონობის ვისის საყურე  
დღემდე ყურებში მიყრია!  
განა არ ვიცე, სიცოცხლის  
წყაროა შენი დამოდღვრა,  
მაგრამ შენ იქით რომ მმოდღვრავ,  
მე აქეთ სული ამომძვრა.  
თქვენ ჭკვიანნი ხართ, არ მოგწონთ  
სიშმაგის მწარე ნაყოფი,  
ჩემი ჩვევა და მოქცევა  
სასაცილოდაც არ გყოფნით.

მაგრამ თქვენ ერთი მეც მკითხეთ,  
 ვიტან თუ არა ასატანს,  
 მიღირს თუ არა ეგ თქვენი  
 ქვეყანა ჩალის ფასადაც!  
 მე ბედმა ჩემმა მსუბუქად  
 დამსაჯა განა ესოდენ,  
 ვინმესგან რამეს ვისმენდე  
 ანდა ნასმენი მესმოდეს!  
 ახლა რას იქმო, რომ მკითხო,  
 უნდა ჩამკითხო ისევე.  
 რას ვშვრები, გითხრა? რა მკითხე,  
 იმასაც ველარ ვიხსენებ!  
 ვიცი, შენ ჩემი მამა ხარ,  
 მე კიდევ შენი შვილი ვარ,  
 მაგრამ რა გქვია, არ მახსოვს,  
 ისეთი გაღეშილი ვარ.  
 ჩემს გონებაში სხვა ვინმე  
 აბა ვინ დააბინავა?  
 ვინ ხარ, ვით გითხრა, როდესაც  
 თავად არ ვიცი, ვინა ვარ!  
 ვერ გიპასუხებ, რომ მკითხო,  
 ვინ ვარ, რა მაძეს სახელი,  
 მახელებელი სატრფო ვარ  
 თუ მეტრფე, ტრფობით ნახელი.  
 გავხდი ტყიური და თავ-გზაც  
 დაკარგე ყოველდღიური.  
 ვის რა ხელი გაქვთ ტყიურთან,  
 ხალხში ვით გაძლებს ტყიური?  
 მყვედრი, იმ ქვეყნად მივალო,  
 შეველას მთხოვ კიდევ ნუკვებით,\*  
 შენ ვით გიშველო, იმ ქვეყნის  
 თვითონ დამიკრავს ბუკები.\*  
 შენ გიჭირს, მაგრამ მე შენგან  
 სასაყვედურო რითი ვარ? –  
 შენ წასვლას აწი აპირებ,  
 მე კი ახლავე მივდივარ.  
 შენ ცოცხალი ხარ, მე – მკვდარი,  
 მიკვირს, არ გითხრა მეტი რომ,  
 როგორ გიტყვი? სად იყო,  
 მკვდარს რომ ცოცხალი ეტიროს?!“

## მაჯნუნისა და მისი მამის გაყრა

როდესაც მამა მიუხვდა,  
 ის დღე გოდების დღე იყო,  
 ძე მისი ტრფობის საუფლო  
 ციხე-ქალაქის ტყვე იყო,  
 გაუქრა, სადმე იმედი

კიდევ თუ ჰქონდა ნამალი,  
ვერ უშველიდა მომაკვდავს  
ვერავითარი წამალი.

უთხრა: „ჰე გულო, ვინც გული  
გულგრილად გინდა მიგმირო,  
შენ ჩემო კიდევ ბორკილო,  
შენ ჩემო კიდევ გვირგვინო!  
მიუხვდი, ისე დამწვარხარ,  
ველარ გიშველის მაღამო.  
თავს უნდა გამოვეთხოვო,  
შენც უნდა დაგესალამო.  
იტირე, მამა წაგექცა,  
დაგექცა ციხე ქვითკირის.  
გოდება გმართებს, გულს ჩუმი  
ვერ მოგიოხებს ქვითინი!

წამოდექ, ხელი მომკიდე,  
როგორც ჩვევია მოყვასებს,  
ცრემლი აწვიმე თვალთაგან  
და ზედ მაპკურე ლოყაზე!  
გმართებს, რომ მამა მიტირო  
და გული სევდით იოსო,  
მკვდარი ცრემლებით განმბანო  
და მით გამაპატიოსნო.  
ითვლება ჩემი წუთები  
და მაჩქარებენ ძალიან,  
გზა მიძევს, საგზალს ვიმზადებ,  
საცდელად აღარ მცალია.  
შენ ჩემო ჩინო თვალისავ,  
სხივო მოსულო ხალისად,  
ხვალ ველარ გნახავ, მშვიდობით,  
ღღეს ვთქვათ სათქმელი ხვალისა!  
მშვიდობით! უამმა დარეკა  
და ზარმაც აღარ ახანა.  
ხომალდი მოდგა, ზედ ამაქვს  
რაც კი მაქვს ბარგი-ბარხანა.  
მშვიდობით! კიდევ ვერ ვპოვებ  
ამქვეყნად კიდევ მოსაცდელს;  
მშვიდობით! უკან ვერ მოვალ  
ვიდრე მეორედ მოსვლამდე!“

ეს რომ თქვა, კიდევ იგოდა,  
კვლავ ცრემლით მიწა დანამა,  
გამოეთხოვა თავის ძეს, –  
სიცოცხლეს დაესალამა.  
ძლივს მოიტანა გვეშულმა  
თავი კვლავ თავის ბინამდე.  
კიდევ ორი ღღე გავიდა,  
სულ ჩაქრებოდა მინამდე.  
ორი ღღე კიდევ ლაფავდა  
სულს, სულ შფოთით და განგაშით

და გამოუხტა სიკვდილიც  
ჩასაფრებული სანგარში.  
სასუფეველში დამკვიდრდა,  
სოფელი როგორც გალია,  
გალიას გამომწვევდულმა  
ჩიტმა დააგლო გალია.  
ტანი ვით მიწისმიერი  
კვლავ მიწად ქცევას ეცადა,  
სულს თვისი ჰქონდა სავალი,  
სულს ხომ სამკვიდრო ზეცად აქვს!  
ვინ არის მოსვენებული?  
მოსვენებული ის არის,  
ვინც არ ისვენებს წუთითაც,  
ვით გასროლილი ისარი.  
ვის სიმძიმის ფუძეზე  
ფესვის არ უნდა მაგრება,  
ვინც ელვასავით იელვებს  
და ელვასავით გაქრება.  
ამ წუთისოფელს როგორი  
ჩვეულება და წესი აქვს, –  
ერთხელ თუ სული მოვითქვით,  
ათასი ჭირი გვესია.  
ნებიერება კაცის შვილს  
როგორ გაუხდა არამი;  
არ გაიხარო, თუ გინდა,  
გულს არ გიღრნიდეს ვარამი!  
იმან, ვინც სული თავისი  
ამ სოფლის მიღმა აჩერა,  
სოფელი მოკვდა მის გულში,  
ის კი რომ მოკვდეს, არ მჯერა!  
ანგელოზს რომ ჰგავს სოფელი,  
შენ რა გგონია, დევია,  
ყოველი ჭირი და ვნება  
მიმნდოთა მისთა მდევია.  
შენს ალვად დარგვას ამ ბაღში  
განა რაიმე აზრი აქვს?!  
წყარო ამ ბაღში მლაშეა,  
მოლი ნემსივით ბასრია.  
სანამდის უნდა მოგვიგოს  
ნიშნი სოფელმა: დაგწვითო!  
სანამდის უნდა გვაჭენოს  
და ზურგს მათრახი გვაწვევითო?!  
რა ვუყოთ ახლა, ცხოვრება,  
მორჩა, რაც არის, ეს არის!  
უფრო იმწარებს ამ სოფელს  
კაცი სოფელზე მკენესარი.  
კაცმა, ვინც მხოლოდ მიწა ზრა  
და განძს წადილი უნელა,  
მე იმ კაცს კაცი კი არა,

ჯოჯო ვუწოდე, თხუნელა.  
 იხარე, თავის შეზღუდვის  
 ნუ გაძევს ფეხზე ბორკილი,  
 სულ ფრთაშესხმულმა იფრინე,  
 ნუ იბოლკლები ძლოკვივით!  
 სიცოცხლეშია, სიამის  
 თუ სიტკბო სადმე ჩენილა  
 და თუ არ იქნა სიცოცხლე,  
 ქვა ქვაზემც ნუ დარჩენილა!  
 ვერცხლს ვაქებ, მაგრამ საქების  
 სიკეთეც ზღვარზე ხომ გადის!  
 ვერცხლიც თუ ბევრი დაუდე,  
 დაიღუპება ხომალდი.  
 დოლაბი იყავ, ნუ გინდა,  
 თავი იორმო, იხარო,  
 ჯობს, შენც მოგცენ და ილხინო,  
 სხვაზეც გასცე და იხარო!  
 მათგან, ვინც შენთან აჭენა  
 ჰუნე ჟამთასვლის ავდარში,  
 დავთარში ვინლა შემოგრჩა,  
 როდესაც დავთარს გადაშლი?  
 შემორჩათ განა დიდების  
 დღენი ქედმაღალ მეფეთა,  
 ჟამთასვლის ქარი რომ აღდგა  
 და მათ სასახლეს ეფეთა?!  
 მათ ნაცვლად ახლა ვინ მეფობს,  
 აწ სად არიან ისინი?  
 მათ ნასახლარზე ბუ ჰკივის  
 და ქარი დაძრწის სისინით.  
 ჰქენი სიკეთე, სიავის  
 გულში კარები იკეტე,  
 ჰქენი სიკეთე და ნაცვლად  
 გზად შემოგხვდება სიკეთე!

### მაჯნუნმა მამის სიკვდილი გაიგო

ერთ დილას ვიღაც არაბმა  
 იმ მხარეს გამოიარა,  
 მონადირისას იტყოდით  
 მის ტალავარს და იარაღს.  
 მაჯნუნი ნეჯდის გორაზე  
 იჯდა დაღლილი ქვითინით  
 გვირგვინის თავში ჩასმული  
 ობოლი მარგალიტივით.  
 იმ მონადირემ ის ხელი\*  
 იქ მოიხელთა თუ არა,  
 მომწყვდეულ ლომს რომ უვლიან,  
 ენის ხმლით ისე უარა.

შესძახა: „ასე ვით წახდი,  
რომ აღარ გახსოვს არავინ,  
არ მოგენატრა მშობელი  
ან მშობლიური კარავი?!  
ვინ მოგიწონებს, მაჯნუნო,  
ასეთ უგვანო საქციელს? –  
ლეილის გარდა ამქვეყნად  
ყველაფერს ზურგი აქციე.  
მამა გასწირე, არ გახსოვს  
თვით დედაც, შენი მშობელი.  
რა უსირცხვილო ყოფილხარ,  
რა ფლიდი დაუნდობელი!  
ასეთი შვილი დედასაც  
უჯობს, – კიდევ რომ გეწყინოს, –  
სულაც არ ჰყავდეს ცოცხალი  
და სამარეში ეწვიოს!  
მამა დააგდე სირეგვნიტ  
(გულიდან გაურიყავი);  
რაც მოხდა, მოხდა, წინ მაინც  
გონს მოდი, ჭკუით იყავი!  
მოკვდა საბრალო მოხუცი,  
სული უშენოდ დალია,  
მკვდარს მაინც მოიგონებდე,  
სულდგმული იყო, ბრალია!  
კი გმართებს, მამის საფლავი  
მონახულო დროდადრო,  
მოხუცს ცხონება უთვალო  
და ხალხმაც გნახოს, რომ დარდობ.“

როდესაც მაჯნუნს იმ ძალად  
ქველის ის ჰანგი მოესმა,  
წელში ჩანგივით მოლუნა  
(შვება თუ ჰქონდა, მოესრა).  
ისეთი ელდა ეტაკა,  
კინადამ სული ამოხდა,  
მამის საფლავი მოუნდა  
და ნახვად მისად წამოხტა.

მამის საფლავზე მტირალმა  
ლოყა ცრემლებით იღარა,  
ბრჭყალებით მიწა მოხვეტა  
და პეშვით თავზე იყარა.  
საყვარელ მამას ეძახდა,  
აქეთ იხმობდა ამაოდ.  
ყვიროდა: „მამავ, სადა ხარ,  
რად მემალეები, მამაო!?  
გამოსათხოვად ნუგეშის  
აწი სად უნდა ვიარო?  
დაკარგვის შენის ვაება  
ვის უნდა გავუზიარო?  
არ დაგიკარგავს შენ შვილი

მოულოდნელად და უცებ  
 და მაინც შვილის დაკარგვას  
 ვერა და ველარ გაუძელ.  
 აბა მე მეცა ეს ელდა,  
 ამქვეყნად ვინმეს თუ ეცა,  
 როცა ობლობის გამოცდა  
 ბედმა მარგუნა უეცრად.  
 ნულარ გამკიცხავ, რომ ასე  
 დაგაგდე, ნუ გამიწყრები!  
 შენ რას გიშველი, თორემ მე  
 სირცხვილისაგან ვიწვები.  
 მე ვიყავ შვილი თავნება,  
 უმადური და უხეში,  
 შენ კი გეწადა, აღვირი  
 რომ მოგეხემა უხეში.  
 შენ მუდამ ჩემზე მზრუნველმა  
 რბილი დამიგე ლოგინი,  
 მე კიდევ ზურგი გაქციე,  
 ველად დავიწყე ბოგინი.  
 სულ გაჭირვებდი, თავგასულს  
 არ დამითმია რაიმე.  
 ვინ იცის, იქნებ ცოდვები  
 არც მაპატიო, ვაიმე!“  
 როდესაც მამა იტირა  
 და გაძლა მასზე გოდებით,  
 ისევ უდაბნოს დაადგა  
 ზარის და ზათქის მომღები.  
 ნახვად იმისა, გაუჩნდა  
 გულში ვის გამოც იარა,  
 მის მზარეს წამოეხეტა,  
 მისკენ და მისკენ იარა.  
 ნახა კედელზე გაკრული  
 ნაწერი გულის მსახვრელი,  
 კალმით მისი და ლეილის  
 გამოეყვანათ სახელი.  
 მაშინვე იქით გაიქცა,  
 იმ მწყაზარ ნაწერს ეძგერა  
 და ის რაყამი\* მოხია,  
 ზედ რომ „ლეილი“ ეწერა.  
 ჰკითხეს: „ეს შენი ნაქნარი  
 ვერ გაგვიგია ჩვენაო, –  
 ერთის დახვეა რა იყო,  
 მეორის გადარჩენაო?“  
 მიუგო: „ორი სულდგმული  
 თუ ერთ არსებად დადგინდა,  
 მაშინ ერთ საგნის სანიშნოდ  
 ორი სახელი რად გინდა?  
 სიყვარულს ახლოს თუ განჩხრეკ,  
 რაც ვთქვი, იოლად იხსნება:



სადაც მიჯნური არსებობს,  
იქ სატროფოც იგულისხმება.“  
„ბატონი ხარო, – კვლავ უთხრეს, –  
მაგრამ ეს ასე თუ არის,  
რალა ლეილის, მაჯნუნის  
რაცამზე გეთქვა უარი!“  
მიუგო: „ასე რომ მექნა,  
მაშინ ხომ გამოვიდოდა,  
ვითომ ნაჭუჭი ის არის  
და მე გული ვარ ვითომდა?!  
სხვამ თუ არ უწყის, მე ვიცი,  
მე რა ვარ, იგი რაც არის, –  
მე მისი ჩენჩო ვარ მხოლოდ,  
ხოლო ის – ჩემი მარცვალი.“

### ლოცვა მაჯნუნისა

მაჯნუნმა ცაზე პირველად  
ცისკრის ვარსკვლავი მონახა.  
„ჰე ვისაც ძალგიძს, ბედს უთხრა:  
„ბედო, შენ ჩემი მონა ხარ“.  
ეჰა შენ, ცისკრის ვარსკვლავო,  
იმედო მოიმედისა,  
შენა ხარ ბედის მწერალი,  
გარდამწყვეტელი ბედისა.  
ეჰა შენ, ვინც ცად გალობის  
და დაკვრის გვიზი ნიშნადო, <sup>46</sup>  
შეების მძებნელთა შუქურავ,  
ჰანგით ტკობავ და ნიშატო;\*  
ეჰა შენ, რომლის ხელშია  
ცად ნების ყოვლის კლიტენი,  
თასს თავი ღვინით ვინც გვივსებ  
(განა ნალველით გვიტენი);  
ეჰა შენ, ბეჭდის დიდების  
თვალო ლამაზად ხატულო,  
კაცის ნდომის და ოცნების  
სასახლის ტურფა ხათუნო;\*  
ეჰა კეთილისმყოფელო  
სიკეთის თესლის მთესავთა,  
შენ, ვისაც ნელსაცხებელთა  
მლესავთა მოდგმა გესავდა\* –  
მოიღე ჩემზე წყალობა,  
ვარსკვლავო, ზღვაო სიკეთის,  
განმიხვენ კარნი იმედის,  
მე რომ ამდენ ხანს მიკეტეს!  
შენ თუ მიწამლებ ამ სნებას,  
მე რომ მჭირს განუკურნელი! –  
შენ გეაჯები, მიშველე.

მაყნოსე შვეების სურნელი!“

როდესაც ციდან მიწაზე  
მუშთარმა\* ჩამოიხედა,  
ახლა ამ მუშთარს ეხვეწა,  
ხელთ ვედრების დრო იხელთა.  
შესთხოვა: „შენ ხარ ვარსკვლავი  
ბედნიერების მომგვრელი,  
შენ პირმტკიცე ხარ, მე ვიცი,  
და შემწედ მიტომ მოგელი.  
შენით დამკვიდრდა ამქვეყნად  
თუ სადმე სამართალია,  
სათნოების და სიკეთის  
დარაჯი შენი თვალია.  
ეჰა შენ, კაცთა შეწევნის  
წიგნის მწერალო ვარსკვლავო,  
შენს მიმნდოთ ძლევას თუ აძლევ,  
მე მიმნდოს შენსას რას მკლავო?  
ეჰა მუშთარო, შენ გესავ,  
შენი სტუმარი გვიანი,  
ძალას და ძლევას შენ გვაძლევ,  
შენით ვართ, თუ ვართ სვიანი.“

როცა შეხედა მაჯუნმა  
თავად ცთომილნი ცისანი  
ციდან გარბოდნენ სამადლოდ  
ცად თავმოყრილი ხიზანნი,  
მიუხვდა, მისი ვედრება,  
როგორც ოცნებით ეგების,  
ვერ მიაღწევდა, ვითარცა  
ჯერ არს და სადაც ეგების.  
მაშინ შემოქმედს მიმართა  
და მას შესთხოვა გოდებით,  
ვისაც ძალედვა, დაეცხრო  
ვაება ცეცხლის მომდები.  
შესტირა: „ეჰა უფალო,  
შენთან მოვსულვარ მუდარით.  
უთავსაყუდროდ შეთენილთა  
შენა ხარ თავსაყუდარი.  
ეჰა შენ, ვისმა სახელმა  
ყველა სახელი მონასა,  
მიკვირს, ასპიროზს\* რას ვთხოვდი,  
ან მუშთარს, შენსა მონასა?!

ეჰა შენ, სიბრძნე რომლისაც  
კაცთ თავში ვედარ ეტია,  
ვის სახელს სიტყვა ვერ გასწვდა  
და ვინც ქებაზე მეტია;  
ეჰა შენ, მოწადინეთა  
საწადი ვინაც ათავე,  
ყოველი არსის უფალო  
და ლხენის ყოვლის სათავევ;

ეჭა შენ, ზურგის მომცემო  
 ძლიერთა ამა ქვეყნისა,  
 ტანჯულთ თუ შვება ეღირსა,  
 შენით და შენგან ეღირსა;  
 ეჭა შენ, ვისი სახივი\*  
 ქედს გვაძევს, როგორც ონაგართ,  
 ერთაი შენ ხარ პატრონი,  
 სხვები სულ შენი მონა ვართ;  
 ეჭა შენ, შვიდი ცა ვინაც  
 უფლად თავისად არ ისვა,  
 ცის შვიდი სფეროს პატრონო  
 და საგნის ექვსი მხარისა; <sup>47</sup>  
 ეჭა შენ, ახლოს რომლისაც  
 ძალმაც სიწმინდე იწია,  
 ვისგან ვინც კიდევანიქმნა,  
 წმინდანიც იყოს, ბილწია;  
 ეჭა შენ, ვისი სიკეთით  
 უღირსი ღირსად განთქმულვარ,  
 მომხედე, თორემ საწუთრომ  
 იავარმყო და დამთრგუნა!  
 ნუ მიმატოვებ, უფალო,  
 მე აქ უმწეოდ დავარდნილს,  
 შენ, ვინც ვარ, ვინძლო შემიცნო,  
 კუტმა შევიძლო ნავარდი!  
 სიკეთით შენით ღვთიურით  
 შენ გამიქარვე ვარამი,  
 შენ გამიკვეთე წყვდიადი,  
 შენ განმინათლე წკვარამი!“

## მაჯნუნს ლეილის წერილი მოუვიდა

ერთ ღღეს, როდესაც სიამით  
 ცა და ქვეყანა იშვებდა,  
 ირგვლივ ყოველი სულდგმული  
 შიგ გულში შვებას იშვებდა;  
 იტყოდი, დილა ახარებს  
 ირგვლივ ვარდებს და იებსო,  
 ბუნებისათვის ცხოველი  
 სული ჩაუდგამს იესოს.  
 შმაგი მაჯნუნი ნეჯდის მთის  
 ფერდობზე ჩამომჯდარიყო,  
 ირგვლივ მხეცთა ჯგრო ეხვია,  
 ვინ იყო, იქ რომ არ იყო.  
 უეცრად ველზე წამოდგა  
 ბუქი რამ, ფერად თუთია,  
 მტვერში უცნობი გამოჩნდა  
 და მაჯნუნისკენ უტია.  
 შორით ჩამოხდა მხედარი

(ცხენზე აღმხდარი გავაზი),  
 მაჯუნს თავდახრით ეახლა,  
 სალამი ჰკადრა თავაზით.  
 როცა შეიტყო დამხვდურმა,  
 ვინც იყო მისი სტუმარი,  
 მხეცებს დაცხრომა უბრძანა,  
 ისინიც დადგნენ მღუმარნი.  
 შემდეგ იმ კაცთან მივიდა,  
 მასთან როყოლდ მოსულთან.  
 მტერი არ ჩანდა ყრმა იგი,  
 მაჯუნთან მოსვლა რომ ჰსურდა.  
 „მშვიდობით მოხველ, სტუმარო,  
 ვარსკვლავო იეშენისო,  
 უცხო ხარ, მაგრამ ღმერთმა ქნას,  
 მოყვრად მოსულად მენიშნო!  
 სათნო კაცს გხედავ, შენს სანდოდ  
 სხვა დროს რა ფიქრი მინდოდა,  
 მაგრამ სიფრთხილე გვჩვევია  
 ტყიურთა ძნელად მიმნდობთა.  
 კაცის მინდობა მაშინებს,  
 შიში კი იცი, რაც არის,  
 გველისგან დაშინებულ კაცს  
 არ ენახვება ბაწარი.  
 მე კაცმა ისე მიმუხთლა,  
 მერჩინა, ბარემ ვეკალი,  
 ისე გამწირა, ზედ გულზე  
 ისე დამასო ეკალი,  
 იმ ეკლის წვერი გულიდან  
 მას უკან ისევ მომიჩანს,  
 მოყვასისაგან დაჭრილი  
 გული ვერაფრით მომირჩა.  
 შენც თუ მასავით ავს მირჩევ  
 და მისებრ საქმეს მიმრუდებ,  
 ჯობს, არაფერი არ მითხრა  
 და ისევ უკან მიბრუნდე!“  
 მან მოახსენა: „ეჰა შენ,  
 სახელგანთქმულთა სახელო,  
 ვინც მხეცნი ისე მოთოკე,  
 შენი გამხდარან სახელო\*.  
 მე შენთან სასიხარულო  
 ამბავი მომაქვს, მიჯნურო,  
 ლეილიმ გამომავ ზავნა,  
 ლეილისაგან მიჯნულო.  
 მოყვარე თავის მოყვარეს,  
 გულში რომ სევდის სენი აქვს,  
 ერთს ისეთ სათქმელს უგზავნის,  
 მსგავსი რომ ჯერ არ სმენია.  
 ნებას თუ დამრთავ, იმ ჩუმად  
 სათქმელს ახლავე ვიამბობ

და თუ არა და, აჰა მე  
და აჰა ჩემი იაბო!\*  
გუშინ მე სწორედ იმ მხარეს  
გახლდი საქმეზე წასული,  
ვიხილე, მთვარის ბაკმივით  
შუქს სცემდა ერთი ასული.  
მთვარე ვთქვი, მაგრამ არ ვიცი,  
რატომ ვუწოდებ მთვარესაც, –  
მზე იყო იგი, მზეც ასე  
თუ ასნივოსნებს არესა.  
სარო დავარქვა, – უბეში  
საროს ვინ მისცა ნაყოფი!  
ედემის ბალი ვუწოდო, –  
ედემს ელფერი არ ჰყოფნის.  
ისე მეტყველებს, არ ვიცი,  
წყალს მასთან რა აქვს საუბრო,  
წყაროც კი გალურსულია,  
როდესაც იგი საუბრობს.  
შელის თვალები აქვს ლეილის,  
მიხვრა-მოხვრითაც შველია.  
ლომები თვალს რომ მოჰკრავენ  
მას, მერე თავს ვერ შველიან.  
მისი ზილფების სადარი  
უნი თუ გამიგონია,  
წერწეტა ტანი სანს უგავს,  
ტუჩების ბუტკო ონია,<sup>48</sup>  
მისი თვალების რა ვითხრა,  
მთვრალი ნარგიზის დარების,  
ვნების წყაროს პირს ამოსულთ  
კარგი დგომოდათ დარები.  
გულს ვაჟკაცს ისე მოსტაცებს,  
ვერც შეადარებ ავაზაკს,  
სურნელს აკმევს და რა სურნელს! –  
ჯაბნის აპრილის ჰავასაც.  
ეგ არის ოლონდ, უდაღავს  
ჯიგარს ტრფიალის დაღები,  
მოტეხილია ცოტათი,  
დაგოგავს თავის დაღებით.  
მარგალიტების საბადო  
ცხელი ცრემლებით ის არის.  
მშვილდივით ორად მოხრილა  
მისი მართალი\* ისარი.  
ერთ დროს წერწეტა ალვის ხე  
დღეს გაზნექილი ლელია,  
ზაფრანის ყანა უთესავს,  
სადაც ყაყაჩო ელია.<sup>49</sup>  
მიჯნურთან შეყრის მოსურნე  
გულით იმედებს არ რიყავს,  
არა და შიშიც დიდი აქვს, –

ცოლი არის და ქმარი ჰყავს.  
 მე როცა ვნახე, ვარდისწყალს  
 ისხამდა ვარდზე უებრო,  
 მზიანეთს ემუქრებოდა,  
 მთვარიანს შეგაგუებო!<sup>50</sup>  
 ისე მოთქვამდა საბრალო,  
 ცხარე ცრემლების მდენელი,  
 კაცის ძის ცოდვით დავიწვი  
 კაცი, მისი ხმის მსმენელი.  
 რომ ვკითხე: „ასე რად ტირი,  
 ან შენ ვინა ხარ თვით-მეთქი,  
 ვინ არის იგი, შენს ეგზომ  
 ტანჯვად რომ ღირდეს ისეთი?“  
 პასუხად თაფლის ღიმილში  
 შხამის ურია ნალესი,  
 მომიგო: „ეჰა, რომელმაც  
 გულს დაძვინჯა დანა ნალესი!  
 ერთ ღროს ლეილი ვიყავი,  
 მაგრამ არც იმას ვეუარობ,  
 რომ დღეს გიჟი ვარ, შლეგი ვარ,  
 შმაგი ვარ, შლეუ ვარ, ტლეუ ვარო!  
 იმ შეთის\* ტრფობით მშფოთვარე  
 ისეთ საშფოთველს შევრთვივარ,  
 ის თუ შეთია, მე მასზე  
 ათასჯერ უფრო შეთი ვარ.  
 ის ვნების იქცა სამიზნედ  
 და გულს ეწონა ისარი,  
 მაგრამ რას ვიზამთ, დიაცო  
 მე ვარ, მამაცო ის არის!  
 რა მოხდა მერე, ტრფიალის  
 მასაც რომ უდგას ვიშები!  
 სხვის თვალთა მზერას არ უფრთხის,  
 გულს არ უქანებს შიშები.  
 განა ჩემსავით შინ გოდებს  
 და თვალი ცრემლით დანამა, –  
 ცა ქუდადა აქვს შენს მაჯუნს  
 და დედამიწა – ქალამნად.  
 ეს მე ვარ მხოლოდ წყეული,  
 მარტო შთენილი, ეული,  
 ამოდ ვეძებ გულის სწორს  
 ქმრის სახლში გამომწყვდეული.  
 ცალკე იმისი შიში მაქვს,  
 ვაითუ ტრფობით ნახელი,  
 ხალხში სულ გამოვიჯაყო,  
 ცუდი დამიგდონ სახელი!  
 პირში შარბათი მიმქონდეს,  
 ჩემთვის სამსალად იქცევა,  
 პერანგი ქაცვად მქცევია,  
 სასოწარმხდარი ისე ვარ.

არც იმის თავი არა მაქვს,  
 ქმარს გავუმართო შულლები,  
 ვერც მამის ნებას გარდავალ  
 იბნ სალამს შენაულლები.

ხან ვნება მაგულიანებს:  
 „გზა თვითონ უნდა გაკაფო!  
 მოეგე გონს და ყვავს (შენს ქმარს)  
 ხელით დაუსხლტი, კაკაბო!“  
 ხან კი ნამუსი დამიშლის:  
 „ვნება არ გირჩევს სწორსაო,  
 მანდ იჯექ, როდის ყოფილა,  
 კაკაბი ძლევედა ქორსაო!“  
 რკინისმკვნიტელიც რომ იყოს,  
 ცაში ეკიდოს გალია,  
 ქალი კაცობას ვერ იზამს,  
 ქალი ყოველთვის ქალია.  
 ეს მძიმე სევდა გულიდან  
 ვიცოდე, კი ვერ ვიცოდე,  
 გადავდე თავი, ვიტვირთე  
 ამ სიმძიმის სიმძიმე.

მაგრამ ეს დარდი მიკლავს გულს,  
 სხვა დარდს იმდენად არ ვჩივი, –  
 უჩემოდ ჩემი მიჯნური  
 ვით ცოცხლობს ვნების არჩივი?  
 გზა საით უძევს, არ ვიცი,  
 რა ამოილო მიზანში,  
 ვისთან ზის, რომელ ფუნდუკში\*  
 და სუფრას ახლა ვისთან შლის?  
 შენ თუ რაიმე გსმენოდეს  
 მისი ასავალ-დასავლის,  
 ისემც უფალი გიშველის,  
 მის გზას და სადგომს მასწავლი!“

შენზე, მაჯნუნო (ლეილის  
 ვნება გაბრუნებს რომელსაც)  
 იმ ქალისაგან ასეთი  
 სიტყვები როცა მომესმა,  
 თავს არ მივეცი უფლება,  
 არ მეთქვა, რაც კი ვიცოდი,  
 როგორ იწლობდი ტანს ვებით\*  
 და ვნებით როგორ იწვოდი.

„ის-მეთქი, – ის კი არადა  
 პასუხი ვკადრე მე მაშინ, –  
 შენმა უიღბლო ტრფიალმა  
 გარია კანჯრის\* რემაში.  
 ჯერე ხომ შენი ტკივილი  
 ეტაკა სულთამხუთავად,  
 ახლა კი მამაც მოუკვდა;  
 ბედმა სულ ხელი უთავა.  
 ხან შენზე მოთქვამს სიმღერებს

შენს სიყვარულზე მწუხარებს,  
თვალთაგან ღვარად ჩამოსდის  
სისხლის ცრემლები მდუღარე;  
ხან მამის სიკვდილს იხსენებს,  
ლექსებს თხზავს სამგლოვიაროს,  
ბანს გამოსცემენ კლდეები,  
სადაც არ უნდა იაროს.“

როცა გაიგო სიკვდილის  
ამბავი მამის შენის მან,  
ბევრი იტირა, მაჯუნუნო,  
ცა ჭმუნვის ნისლით შენისლა.

– წერილი მინდა მივწერო  
და წამიღებო თუ არა? –  
მე მთხოვა თალხით მოსილმა,  
მეც ვერ ვუთხარი უარი.“

წერილს აკოცა მხედარმა,  
როგორც წესი და რიგია  
და შემდეგ მაჯუნუნს მიაართვა  
(პატრონი მისი იგია).  
გრძნობა დაკარგა მაჯუნუნმა  
დამწვარმა ცეცხლით ცხელითა.  
წიგნი ხელთ ეპყრა, თავად კი  
წავიდა კაცი ხელიდან.

## ლეილის წერილი მაჯუნუნისადმი

„აჰა, ეს ჩემი უსტარი  
მარადი ტრფობისმიერთა  
დარდით გულგათანგულისგან  
გულს სევდაშეყრილს მიერთვას.  
ციხეში გამომწყვდეული  
ამ ბარათს შენთან ვაბარებ,  
შენ, ვინც გალია დალეწე  
და ველად გაიმთაბარე.  
ეჰა შენ, ურთიერთობის  
განძის ჯურღმულში დანთქმულო,  
ტრფიალის ეშნის მიმცემად  
თქმულო და კიდევ განთქმულო;  
ეჰა შენ, სისხლით გულისა  
ვინც კლდე-ღრე ვარდნარს ადარე;  
ეჰა შენ, იაყუთივით  
ქვის გულში მობინადარევ;  
ეჰა შენ, ვინც ეს ქვეყანა  
შესძარ, იმღენი იახე,  
ვინც დათმე თვისი მოყვასი  
და მოყვრად მხეცი იახლე;  
ეჰა შენ, საყვედურების  
ვისაც გიწონე ისარი,



ერთურთს იქ შევხვდეთ, რადგანაც  
 შეყრის ადგილი ის არის!  
 ეჰა შენ, ტრფობის ჩემის ვინც  
 ერთგული იყავ აქამდე;  
 ხალხის მითქმა და მოთქმაში  
 ვინც ვნებით ჩემით ჩაგაგდე!  
 როგორ ხარ, შვების მიზეზად,  
 გულში რომელიც მიზინხარ;  
 მე გულით მხოლოდ შენი ვარ,  
 შენ ახლა გულით ვისი ხარ?  
 თუმც თავი ჩემი ბედივით  
 შენ იმთავითვე გაცილეს,  
 შენი ვარ, გული საშენო  
 არავის გაგუნაწილე.  
 ქმარი მყავს, მაგრამ ის ჩემგან  
 კიდევ შორს დგას და რიღით დგას,  
 ჯერ გვერდით არც კი მწოლია,  
 არ შემხვებია თითითაც.  
 მე მქენჯნეს, ჩემო, მე, თორემ  
 მარგალიტს ჩემსას უზადოს  
 ვერვინ გასინჯავს ალმასით,  
 გულს რაც გინდ ზავთი უზავთოს.  
 ვინც გინდა იყოს, სხვა მამრი  
 ჩემთვის სუყველა ერთია.  
 შენსკენ ილტვიან ფიქრები,  
 ოცნებით შენვე გერთვიან.  
 ნიორი სოსანს ჰგავს, მაგრამ  
 ნიორს არ მოჰგავს სოსანი;  
 მყრალ ნიორს არვინ ახსენებს,  
 სოსანს კი აქებს მგოსანი.  
 ნუ მეტყვი, ყოფნა ასეთი  
 რატომ არ გიღირს რამედო?!  
 მსურდა, დამეგდო ეს მხარე  
 და ბინა შენთან დამედო,  
 მაგრამ, ჰე ჩემო, ვერ შევძელ,  
 თუმც საცდელს ბევრჯერ ვეცადე.  
 რაც მე დღეში ვარ, ამ საქმეს  
 ვერც გვიან შევძლებ, ვერც ადრე.  
 სულ მთელ ქვეყანას მირჩევნის  
 შენი თმის ერთი ღერიცა,  
 ისე მომსურდი, წალკოტიც  
 შენს ქაცვზე ტურფად ვერ ვიცან.  
 მეც როგორ გამასხივოსნა  
 შენს მარაქაში გარევაძ!  
 მზე შენ ხარ, ხოლო მე შენი  
 შორით შემყურე მთვარე ვარ.  
 როცა, მაჯნუნო, მე მამის  
 შენის სიკვდილი გავიგე,  
 მკვდარს ტანთ სუდარა რომ მეცვა,

სულ ასო-ასო ავიქენ.\*  
 მეგონა, მამა დაკარგე  
 და ვერასოდეს ვნახავდი,  
 შენს მამას ისე ვტიროდი,  
 თითქოს საკუთარს ვმარხავდი.  
 ჩემებრ ძაძებში ჩამჯდარის  
 კელელ-ყურენიც კვნესიან,  
 მივაგე საჭირისუფლო,  
 როგორც რიგი და წესია.  
 გულში ეს ჩამრჩა, მე თვითონ  
 ვერ მოველ, მეთქვა ნუგეში,  
 ან მოსვლა როგორ შემემლო  
 სხვის ცოლს, სხვას შებმულს უღელში!  
 ვინც ჩვენ გვაცილებს, იმათი  
 ქცევა სწორედ რომ მაცინებს,  
 ჰგონიათ, შენს სულს მომწყვიტეს,  
 რაკი შენს სხეულს მაცილეს!  
 აქ მე ყოველი მასმია,  
 რაც მანდ შენ გარდაგხდომია.  
 მოთმენა გმართებს, უფალი  
 მომთმენთა თანამდგომია!  
 ფეხი აუწყევ ამ სოფელს,  
 რომც არ უკმიო გუნდრუკი!  
 სიცოცხლე ქარავანია,  
 ქვეყანა – ძველი ფუნდუკი\*.  
 ჭკვიან კაცს განა ის მართებს,  
 ღაწვები ცრემლით იღაროს,  
 რომ მტერმა მისმა იცინოს  
 და კვნესით მისით იხაროს?  
 განა ამგვარად არ ბრუნავს  
 ცხოვრების ჩვენის ბორბალი? –  
 გლეხი მიწაში მარცვალს ფლავს  
 და ზედ ამოდის ხორბალი.  
 შენ შიშმა მარტო დარჩენის  
 რატომ დაგიწყო ხელყოფა? –  
 მე ხომ ვარ, ჩემო, ამქვეყნად  
 და რომ ვარ, ეს არ გეყოფა?!  
 მარტოსულობის მოშიშნი,  
 ვგონებ, ცდებოდნენ ერთიან, –  
 უსაშველოთაც შემწე ჰყავთ  
 და შემწე იგი ღმერთია!“

### მაჯნუნის პასუხი

„ამ წერილს შლეგი მიჯნური,  
 ვნებისგან დაუდგრომელი,  
 შენ გიწერ, ჩემი სიმშვიდის  
 საყუდარი ხარ რომელიც.

არა, ეს რა ვთქვი! – ჩემგან, ვინც  
 დავკარგე შვების კლიტენი,  
 შენ, ვინც შვებაში ბულრაობ  
 და მე გულს ტანჯვით მიტენი.  
 თუმც დავკცეულვარ, ისედაც  
 კვლავ მტვერი შენი ფეხის ვარ.  
 შენ ვისი წყაროს თვალი ხარ,  
 შენი სმა ან ვის ეღირსა?  
 მე შენს გზაზე ვარ განრთხმული  
 ლოდინის შენის ამარი;  
 შენ კი მანდ ვისთან სეირნობ,  
 ვისი გიჭირავს ქამარი?  
 მე შენზე ვდარდობ, ვაითუ  
 სოფელი სენებს გასევდეს;  
 შენ ვისი დარდი გადარდებს,  
 შენ ვისი სევდა გასევდებს?  
 მე ზურგზე გადავიფარე  
 მონობის შენის ასალი;\*  
 შენ ვისი რგოლი მონობის  
 გაძეს, ვისი ხარ ვასალი?  
 ეჰა შენ, რომლის სიტურფე  
 მექცა სალოცავ ქააბად\*  
 ვის კარიბჭესთან მაჯუნმა  
 უნდა ვედრება გააბას;  
 ეჰა შენ, შვების მალამოვ  
 გულდასერილთა დასების,  
 ვინც მარგალიტით აგვივსე  
 ბროლის ელვარე თასები;<sup>51</sup>  
 ეჰა შენ, ძვირო გვირგვინო  
 სხვისო და ჩემო კი არა,  
 წყალობამ ვისმაც სხვა ნახა  
 რისხვამ კი ჩემკენ იარა;  
 ეჰა შენ, განძო, რა განძო,  
 მაგრამ სასხვისოვ ისევე,  
 ღუშმანნი შენით იშვებენ,  
 მოყვასნი გველებს ისევენ.<sup>52</sup>  
 ეჰა შენ, გრილო წალკოტო  
 ჩემთვის კარიბჭეკეტილო,  
 დღემდე გეშმიუტანელო  
 აღთქმული კუთხევე კეთილო;  
 ეჰა შენ, ყოვლის ბანდის და  
 ბადის მხსნელო და ამხსნელო,  
 შენ თუ მიკურნებ, სენებმა,  
 როგორც ჰსურთ, ისე დამსენონ!  
 ნუ გამტეხ, მე ხომ შენი ტყის  
 ნერგი ვარ, განა როკი ვარ,  
 შენ ჩემში ცოცხლობ და რასაც  
 მე მიზამ, შენც ის მოგივა.  
 გმართებს, ნიადაგ მივლიდე,

მერე რა, რომ მე მიწა ვარ,  
 მიწასაც მოვლა ხომ უნდა,  
 ამ წესის მიღმა ვინ წავა!  
 მოვლილ და მორწყულ მიწაზე  
 წალკოტი ძალგის ახარო  
 და თუ არადა, ნუ მკილაჲ,  
 ასე ურწყული რად ხარო!  
 შენი მონობის რგოლები  
 ყურში მიყრია საყურედ,\*  
 სხვას მაინც მონად ნუ მიმცემ,  
 განა მე ცუდად გამსახურე?!  
 ეჰა შენ, ჩვენგან გაჭრილო,  
 გულს ცეცხლად შეკეთებულო,  
 სხვა მხარეს შეკედლებულო  
 და სხვის გულს შეკეთებულო,  
 ჩემზე ნაღველი არც გაგყვა,  
 ისე უღმერთოდ წახველი?  
 მართლა ყინულზე დაწერე  
 შენი მაჯუნის სახელი?  
 დღე ღამედ რატომ მიქციე,  
 ცით სხივნი რისთვის გალაღე,  
 შენ არ დამინდე, დამკოდე  
 და ახლა შენვე ვალაღებ?  
 იმედი ნუ გაქვს, ტყუილად  
 თუ წავიგრძელებ ენასო,  
 თუ ენად გავიკრიფები,  
 თავს ავიშორებ ტყენასო!  
 მაგ ენის წავგრძელებაზე  
 გითხრა სოსანის იგავი? –  
 როგორც კი ენას აუშვებს,  
 დანით მოსხებენ იქავე.  
 ბავშვი ხომ არ ვართ, გავიგეთ,  
 შენი ოინი რაც არის,  
 ჯერ გვიღალატე, ახლა გსურს,  
 თვალში გვაყარო ნაცარი?!  
 შენს ცოდვას ვერც გრძნობ, რაც ჰქენი,  
 ძრწოლითაც კი არ გაძრწოლებს, –  
 წახველ და სხვა კაცს ეცოლე  
 დიაცი სხვისი საცოლე.  
 აქეთ მე მელაქუცები  
 და მაიმედებ ოცნებით,  
 იქით კი სხვა კაცს ეხვევი,  
 სხვა ყაძახს ეავხორცები.  
 თუ მართლა გულით გიყვარვარ,  
 ხომ ხედავ, გული აიქნა,  
 რა იქნა შენი მოთქმა და  
 შენგან სულისდგმა რა იქნა?  
 დღისით ვერსაით ვისვენებ,  
 ღამით ვერაფრით ვიძინებ,

მის ბედს შეენატრი, ვინც ახლა  
თვალებში შემოგციცინებს.

ბედნიერია ის კაცი  
და არა ჩემებრ მგოსანი,  
ვის მკერდზეც ახლა კიაფობ  
ვით თვალი პატიოსანი!  
ვარდნარს ბუღბული ამშვენებს,  
წალკოტს ის მიტომ ეღირსა,  
თორემ ყვანჩალას ვარდის ბუჩქს  
ხე ურჩევნია ლელვისა.

ასე ყოფილა ყოველთვის,  
როდესაც თვალი მარდია,  
განძი, რომელსაც დავეძებთ,  
სადღაც მიწაში მარხია.

როდის იქნება, ლეილი,  
მეც გამიბრწყინდეს თვალები,  
ცეცხლის ალივით ელვარე  
ქვებში ვიპოვო ლალები?  
როდის იქნება, ჭირხლებით  
წალკოტი აღარ ჭკნებოდეს,  
კრაზანა ჭირსაც მიჰქონდეს,  
ჩვენ კი სარაჯი გვრჩებოდეს?  
როდის იქნება, ვიხაროთ  
ამ დაძებგილი განძებით,  
განძების დაპატრონებით,  
განძის ხელმყოფის გაძებით?  
როდის იქნება, სიამის  
სარკეს ხინჯები ვაცილო,<sup>54</sup>  
გველს სული გასძვრეს, მე დამრჩეს  
ხვითო ჩვენს შორის საცილო?

მე შენმა საყვედურებმა  
დამწვა, ვით ჩალამ-კალამი,  
ღმერთმა სულ საღად გიმყოფოს  
ის კაცი, ის იბნ სალამი!  
ბედმა ქნა, ჩემი შენს ხელში  
ავიც და კარგიც ენახა,  
წყლული ხომ ჩემი შენ იყავ,  
ჩემი სალბუნიც შენა ხარ.  
უნდა გამოვტყდე, ლეილი,  
თუმც კარგად ვიცი ძალიან,  
ბევრმა ბჭის შენის აღებას  
ძალა ამაოდ აღია.

და ისიც ვიცი, იმედებს  
ფუჭად არ უნდა უბიძგონ,  
სადაფის უბით აგართვან  
მარგალიტები უბიწო;  
არ უნდა იყოს არავინ  
ისე თავშეუკავები,  
ნახოს, რას იცავს გველივით

ზილფების შენის კავები, –  
 ეს ყველაფერი კი ვიცი  
 და მაინც ფიქრი ტიალი  
 სულ, სულ შენს ირგვლივ ტრიალებს  
 ატრუებული ტრფიალით.  
 შენ რომ მანდ ერთი ბუზიც კი  
 დაგაჯდეს ჩემგან უნები,  
 მე აქ სიშლეგე ხელთ მიგდებს,  
 მიჯნურთა შმაგთა ბუნებით.  
 იმ მიჯნურებზე ბრძობილი  
 ვინ უნდა იყოს ნეტავი,  
 სატრფოზე დამჯდარ ბუზებსაც  
 სვავებად თუ არ ხედავენ!  
 თაფლო, ჭინჭველებრ ფუსფუსი  
 ჩემი მით მინდა გიწერო,  
 როგორც ჭინჭველი ბუზს აფრთხობს,  
 ისე ის ბუზი გიმწერო.\*  
 ახალი სიტყვით რა გითხრა,  
 როცა სათქმელი ძველი მაქვს!  
 სისხლი უფრო მაქვს გამშრალი,  
 თვალი კი უფრო სველი მაქვს.  
 რომ გინახივარ, იმაზე  
 ასჯერ საწყალი დაგივალ,  
 შენ რომ მე შმაგი გახსოვარ,  
 იმაზე უფრო შმაგი ვარ.  
 მე შენს ტრფიალში დავკარგე,  
 რაც საკუთარი მქონია, –  
 თუ არ დათრგუნავ თავის თავს,  
 იზეო, არა მგონია.  
 ტრფიალი შენი, ღმერთმა ქნას,  
 მე მინახავდეს ხვაშიადს,\*  
 შაშარმა შენმა მიშუშოს,  
 რაც სატკივარი ამშლია.  
 თუმც ვერ ვუნახე მალამო  
 ამ ჩემს პირგახსნილ იარას,  
 არც ვჩივი, შენ ხომ შვებით ხარ?  
 შენზე ვწუხ, თავზე კი არა.“

### მაჯნუნი დედამ ინახულა

შეილს თვალი ჰკიდა ღორღებში  
 მლოდავს და ქვებით მითელილს.  
 თვისი წითელი ვარდის წილ  
 ზაფრანა დახვდა ყვითელი.  
 მკერდს მიისვენა ძე თვისი  
 და უაღერსა უსვენარს.  
 ხან თმა თითებით უვარცხნა,  
 ხან პირი ცრემლით უსველა.

თხემით ტერფამდე გაჩხრიკა,  
ესიყვარულა, ევერა,  
სულ დაუკოცნა, რაც ჰქონდა,  
წყლული, კობი თუ ბებერა.  
ხან კულულები უბანა  
სავსე მიწით და ქვიშით და  
ხან ეკალ-ქაცვი უცილა  
ზედ შესობილი იჩქითად.  
ბოლოს შესძახა, ხიფათმა  
როცა მოთმენა ულია:

„გონს მოდი, შვილო, სულს დაფავ,  
რაღა დროს სიყვარულია!  
როგორ არ იცი ეს, სიკვდილს  
რომ სიცოცხლესთან ომი აქვს.  
თავს მახვილამოწვართული  
სიკვდილი წამოგდგომია.  
ის კაცი მოკვდა, წაიღო  
თან გული შენით ნატკენი,  
ახლა მეც მივალ, არ მეტყვი,  
რად ჰქენი, შვილო, რაც ჰქენი?  
ზეზე წამოდექ, წამომყევ,  
სად სახლი გვიდგას, კარავი,  
ნუ მოშლი ბუდეს, შენს იქით  
კაცი არ დამრჩა არავინ.  
თუ დაფიქრდები, არ უნდა  
ამას ბრძენი და მისანი,  
ყოველი სული, გინდ მხეცნი,  
გინა თუ სირნი\* ცისანი,  
დღე გარე-გარე დაძრწიან  
(სადმე საკბილო თუა რამ),  
მაგრამ სუყველა ბრუნდება  
შინ, შედამდება თუ არა.  
შენ სანამ გინდა დაიკლო,  
რაც კაცს უფალმა უძინა,  
სანამდე გინდა, გაძლება  
უჭმელს, უცინარს, უძინარს?  
გველი დაგგესლავს, აქედან  
თუ არ წამოხვალ ახლავე,  
სვავები იყაშყაშებენ  
შენს ლეშზე, მკვდარს რომ გნახავენ.  
სულს რომ ამგვარად იწვალეზ,  
სული დუშმანი როდია,  
ცოტა რამ ჰყოფნის კაციშვილს,  
განა რკინა და ლოღია!“

როდესაც მაჯუნს მოესმა  
დედის ამგვარი გოდება,  
გულში კოცონი აენტო,  
ცეცხლმა დაუწყო მოდება.  
მიუგო: „შენ შვილს შეუნდე,

რაც მან გატირა, დედაო,  
რაც მან შენ ჭმუნვა ჭმუნვაზე  
გისართა ზედიზედაო!  
რომ ვერ ვისვენებ უგონო  
და რომ არც დამესვენება,  
რომ ჩემი ბრალი არ არის,  
განა არ მოგესსენება?  
შენ მართალი ხარ, ცუდს ვშვრები,  
პასუხს ვერ მოგცემ უარად,  
მაგრამ არ მკითხავ, ჩემს საქნელს  
მე ვინმე მკითხავს თუ არა?!  
რა მაქნისია ცდა ჩვენი,  
რამდენიც უნდა ვეცადოთ,  
კაცი მიწაზე ბჭობდა და  
ღმერთს აცინებდა ზეცადო.  
ბრძენთ უთქვამთ: გულზე ტრფიალის  
ისრებს რომ ერთხელ ისრევი,  
მერე ფუჭია ოცნება:  
ასე ვიზამო, ისეო!

მე აგერ იმის ცლაში ვარ  
(ამაზე ფიქრმა გამლია),  
ჩემი სულის ჩიტს სხეულის  
როგორ გავულო გალია.  
შენ კიდევ სახლში მეწევი  
(შენთვის მინდაო კეთილი),  
იქ ორ ყაფაზში ჩამკეტო  
აქ ერთში გამოკეტილი.  
შინ რომ წამოგყვე, სულს დავლევ,  
არ მემუდარო ამოდ,  
თორემ ნუ მეტყვი: შინ მყოფი,  
შვილო, რამ მოგკლა, რამაო!  
მე აქ დამაგდე ჩემი ღლით,  
ჩემი ასეთი აბრუთი,\*  
შენ კი შინ წადი როგორმე,  
სახლში მშვიდობით დაბრუნდი!“

გულში ჩაუკლა, იმედად  
თუ კიდევ რამე ებადა,  
ფერხთ ჩაუვარდა სამთხვევად,  
ლანდივით გამოებლანდა.  
ბევრი ბოდიში უხადა,  
ვერ გალაღეო ოცნებით.  
კაბის კალთებზე ემთხვია,  
ქოში უცვითა კოცნებით.  
წამოღვა შემდეგ და იქვე  
ტირილით დაესალამა.  
დედა შინისკენ მოიქცა,  
გზა სულ ცრემლებით დალამა.

შინ რომ დაბრუნდა, გულს სევდა  
უფრო და უფრო ედასა, –



რაც მამას შეხვდა, ის შეხვდა  
 მაჯუნზე ჯავრით დელასაც.  
 ო, ეს უპირო თვალთმაქცი,  
 თქვენ რომ საწუთროს უწოდებთ,  
 ერთი გლახუჭა ვინმეა,  
 მიუხვდით, ხალხო, უწოდეთ!  
 ამქვეყნად თესლს რომ თესავს და  
 ყანის წახდენის შიში აქვს,  
 შენ არხეინად იყავი,  
 თავისი ანგარიში აქვს:  
 იმისთვის უვლის დათესილს,  
 უნდა სიმწიფე აცალოს,  
 შემდეგ რომ ნამგლით მიაღგეს  
 და ჭირნახული აჩალოს.  
 წესად აქვს, ყოველ საღამოს  
 აღანთებს ხოლმე ჩირაღდანს,  
 ლხენადაც ის აქვს, გგონია,  
 ის აქვს, გგონია, ჭირადაც.  
 მაგრამ ინათებს თუ არა,  
 ქარს ამოაგდებს, ქარაშოტს,  
 ვით ანთო, ისე ჩააქრობს.  
 შენ რა გგონია? თამაშობს.

## მაჯუნმა დედის სიკვდილის ამბავი გაიგო

როცა ცარგვალზე მხედარმა  
 მერანი ყალყზე შემართა,  
 მუსრი გაავლო, თუ ვინმეს  
 მტრობდა ან სისხლი ემართა,<sup>55</sup>  
 მაჯუნმა იმავ გოდებით,  
 იმავე მოთქმა-ნუკვებით\*  
 მარტოხელთა და ყარიბთა  
 ისევ დაუკრა ბუკები.\*  
 რომ მოკვდა მისი მშობელი,  
 აქამდე არც კი იცოდა  
 (რომ შეიძულა სიცოცხლემ,  
 ხოლო სიკვდილმა იცოდა).  
 დისშვილის ძებნად წამოსულს  
 გზაზე ბიძამისს ემთხვია  
 (მაჯუნს ბიძა ჰყავს, დედის ძმა,  
 სახელად სალიმს ეტყვიან).  
 ტიტველს ჯერ ტანზე ჩააცვა,  
 ჭამეო! პური აძალა,  
 ცოტა აცალა, შემდეგ კი  
 პირიდან სული აცალა.  
 შებლავლა: „შვილო, სიკვდილი  
 მოგვიხტა ზედიზედაო,

შენი სალიმი მოგიკვდეს,  
გუშინ მოგიკვდა დედაო!  
მამაშენს მიჰყვა საბრალოს,  
შვილზე ვაებით მოცელილს.  
წავიდა წუთისოფლიდან  
წასვლის წინ შენზე მლოცველი.“

როდესაც გულის შემძვრელი  
მაჯნუნს ამბავი მოესმა, –  
დედამ დაგთმოო, სულდგმულმა  
სულისგან უახლოესმა,  
თავზე უწყალოდ იშინა  
მონანიების მჯიღები  
(ეჰა ბჭის კარო შებებისავ,  
თურმე რა ძვირად იღები!).

რაა სიცოცხლე, თუ გულში  
სულ მწუხარება გასია?  
ათასი წელიც რომ იყოს,  
სულ ერთი წამის ფასი აქვს.  
მიკვირს, ვით ხარობ სიცოცხლის  
და სიკვდილს შუა გაჩრილი,  
შენი არჩივი სიკვდილის  
როცა თან დაგდევს აჩრდილი?!  
სული სამადლოდ გათხოვეს  
ნასხვისარი და ნისია,  
ხვალ პატრონს უნდა ჩაბარდეს,  
აბა პატრონი რისია!  
ამქვეყნად ყოფნა ნეტარი  
ნუ გაგიტკებება ნამეტურ! –  
სუფევს ამსოფლად სიკვდილი,  
სიცოცხლე ჰგვიეს\* რამეთუ.

გგონია, შენ არ მოგიწევს,  
აქ დაიხანე რახანაც,  
გუდა-ნაბადი აიკრა,  
აკრიფო ბარგი-ბარხანა!  
ასე რეგვენი როგორ ხარ,  
ამდენი როგორ არ გესმის,  
მანამდის ცოცხლობ, სანამდის  
თავზე სიკვდილი დაგესხმის.  
ვინ ხარ, რა შვილიც ბრძანდები,  
შენ თვითონ აწონ-დაწონე,  
ჯერ თავი შენი შეიცან,  
ხოლო ჩვენ მერე გვაწონე!  
მალლა აველო, ნუ ჰგონებ,  
მალალ ხარისხზე თუ ახვალ,  
იცოდე, მაინც მიწა ხარ,  
მატლი ხარ, ჭიალუა ხარ!

ფრთხილად, სხვის ლუკმას ძალღივით  
ნუ უცქერ კულის ქიცინით,  
ნურმც მისი ციცა იქნები

და სხვის სუფრაზე იცინი!  
კაცნი ვართ, უნდა ჩრაქვს ვგავდეთ  
და ვენტოთ უნდა ჩრაქვებად,  
ჩრაქვი თავს იწვავს, ხოლო სხვებს  
ნათელს ჰფენს, სანამ ჩაქრება.

ჭკუით იყავით, ხელთ ვინძლო  
ნიზამის სიბრძნე იხელთოთ  
და ნახავთ მერე, სულთნები  
გეხვეწებოდნენ: გვიყმეთო!

## ლეილი მაჯნუნს უხმობს

შინ იჯდა მიწყივ ლეილი  
ღამე იყო თუ ღლე იყო.  
თუმც ბანოვანი ეთქმოდა,  
სინამდვილეში ტყვე იყო.  
მუდამ მაჯნუნზე მოფიქრალს  
შავი დარღები ესია,  
სიგამხდრით გველის კუდს ჰგავდა  
შხამიანსა და გესლიანს.  
ქმარს ასი ყური მოება  
და ასი თვალი ეჭირა,  
არ დასხლტომოდა ხელიდან  
ის, ვისი ტრფობა ეჭირა.  
და აბრეშუმად ქცეული  
შულოს ართავდა გულიდან,  
ყურმოჭრილ მონად ექცა ცოლს  
და ვით დამწვარ თითს უვლიდა.

ერთ ბნელ ღამეს კი ლეილი  
დარჩა გარეშე დარაჯის,  
შინიდან მყისვე გაიქცა,  
ნებით თავისით, არ აჯით.  
ლტოლვილი გზისპირს ჩამოჯდა,  
რა გაირბინა ფარსანს\*.  
ღუმდა უდაბნო, ახლოს კი  
კაცის არ იყო ნასახი.  
ყური მიაპყრო სიჩუმეს,  
არავინ ჩანდა მღევარი.  
ვინმე გამვლელის ლოდინში  
ჩამოჯდა ღამის მთევარი.  
იმ უკუნეთში უეცრად  
ის ბერიკაცი გამოჩნდა.  
ცას სიხარულით ეწია, –  
ბედმა მოუწყო გამოცდა.

შესძახა: „ვამად მოხვედი,  
ვინძლო იღბალზე მემთხვიო!  
ამ სოფლის ბრუნვის რა იცი,  
რა ახალ ამბავს მეტყვიო?

ამქვეყნით განაპირებულს  
და ტყიურებში რეულსო  
ახლა ვინ უყვარს, თუ იცი,  
ვის უძღვნის ლექსის რვეულსო?“

იმ კაცმა კრძალვით მიუგო:  
„შემინდე, მაგრამ ცდებო,  
ის უღეილოდ ისე წუხს,  
ვით ჭაში იოსებო.<sup>56</sup>  
ყველგან მას ეძებს, მას უხმობს  
უნდა მას ერთოს რითიმე,  
დაეხეტება ველ-მინდვრად  
და უმისობას ქვითინებს.  
თავად მას რაც ჭირს, არც იცის,  
საკუთარ თავზე არც ჩივის.  
დაძრწის და უკვირს: ლეილი  
ვით გახდა სხვისი არჩივი!“

ლეილიმ უთხრა: „ჰე, კაცო,  
მიჯნურის ამბის მღევარო,  
ვისზედაც გოდებს მაჯნუნი,  
ვაგლახ, ის ქალი მე ვარო!  
გულში, ვით აღმურს, ვაბრუნებთ  
დარდს ტრფობის ცეცხლით რგულსაო,  
მე სხვა დარდი მჭამს, იმას კი  
სხვა სევდა უღრღნის გულსაო.  
ის მთებში დაეხეტება,  
იქ სევდის ჩაკვლა უნდაო,  
მე კი ჯურღმულში ვბინადრობ  
და გულს ბოლმაში ვგუდავო.“

მოიძრო, მოხუცს გადუგლო  
საყურე პატიოსანი.

„სადმე თუ გეგულეობდეს  
მაჯნუნი, ჩემი მგოსანი,  
გნუკევი\* წახვიდე და იგი  
ჩემს ახლოს გამოიყვანო, –  
მე მისი ბაკმის ყურებით  
ვინძლო თვალები ვიხარო!“

ის მარგალიტი სვრეტელი  
ქამარს ჩაიდვა<sup>57</sup> მოხუცმა,  
შემდეგ იმ უხვრეტ მარგალიტს  
თაყვანი სცა და მოკურცხლა.  
სადაც კი კაცის სახედველს  
შეეძლო ირგვლივ ეხედა,  
მინდორ და მინდორ იარა,  
კლდე-კლდე და ღრე-ღრე ეხეტა.  
სამ ღღეს დაძრწოდა ხრიოკის  
აღმა და დაღმა მლახველი,  
ვერც სადმე თავად ის ნახა,  
ვერც ვინმე მისი მნახველი.

ბოლოს წააწყდა კლდის ძირას

საწყალობელად დავარდნილს.  
 ლეილის ტრფობით დასენილს  
 ვერ შესძლებოდა ნავარდი.  
 მის წინ მიწაზე განერთხო,  
 ქება შეასხა უხვად და  
 ჯერ სიტყვის ნება ითხოვა,  
 მერე ბოდიში უხადა.

ჰკადრა: „ტრფიალის სამკვიდრო  
 თუ მკვიდრობს, მკვიდრობს შენითო,  
 სანამ ტრფიალი არსებობს,  
 მან ნივთი შენი შენივთოს!  
 უშენოდ შენი ლეილი,  
 ის, სოფლის ჩვენის მშვენება,  
 ველარ ისვენებს, სულს დაფავს,  
 ან როგორ მოესვენება!  
 არ უნახხარ შორითაც,  
 ეს რაოდენი ხანია.  
 აღარც შენი ხმა სმენია,  
 გული ვერ მოუფხანია.  
 აქ შორიახლოს მეგულვის  
 კორომი დანაკისკუდის\*,  
 კორომად ითქმის, თორემ ტყეს  
 რამე თუ უდრის, ის უდრის.  
 შიგ ტანაყრილი ხეები  
 ხელებით ზეცას სწვდებიან,  
 მათ ქვეშ ბალახი ხასხასებს  
 და შიგ ფშანები წდებიან.  
 ამ ვერან ველზე ვაგლახად  
 გულს სევდით რატომ იტენი?  
 იქ წამო, შენი დახშული  
 შვების სად გიძეს კლიტენი!“

ამოალაგა აბგიდან  
 ტანისამოსი სამისო:  
 „არ გამაწბილო მოხუცი  
 შემომხვეწელი ამისო!“  
 მაჯუნმაც მისი თანხმობის  
 წელზე შეირტყა ქამარი.  
 ჩაიცვა, წარბი გაიხსნა  
 (რა მშვენიერი რამ არი!).  
 წინ წაიმძღვანა ის კაცი  
 და ლეილისკენ იარა  
 (გვერდს ვით აუვლი მაღამოს,  
 თუ არ გასვენებს იარა!).

მაჯუნნი მთლზე ჩამოჯდა  
 გართული თვალის ცეცებით.  
 ცქმუტავდნენ მისი ყონაღნიც,  
 სულ რომ თან ახლდნენ (მხეცები).  
 გამოექანა ვაჟისკენ  
 ის, ვინც ფერიის ფერია,

ვითარცა მართვე აფეთქდა,  
 მაგრამ გულისთქმას ერია.  
 შედგა, ათიოდ ნაბიჯი  
 მისკენ გადადგა თუ არა.  
 ვნებას აღვირი ამოსდო  
 და საქმეს სხვა მხრივ უარა.  
 მოხუცს უბრძანა: „მე თუნდაც  
 ამ ტყეში დავესახლოო,  
 მომკალი, მაგრამ მაჯუნთან  
 ვერ მივალ უფრო ახლოო!  
 სანთელი ვარ მე და როგორც  
 სანთლის წესია, ვიწვიო,  
 მასთან რომ ახლოს მივიდე,  
 უნდა სიკვდილი ვიწვნიო.  
 მაჯუნის საქმეც ასეა,  
 რადგანაც არის მიჯნური.  
 მიჯნური თავის სატროფოსგან  
 მიჯნით ხამს გადამიჯნული.<sup>58</sup>  
 შენ ჩვენი საქმე ნუ გიკვირს  
 და ამას გვედრი მდაბლიად,  
 მიდი და თხოვე, მაგემოს,  
 მას რომ ლაზელის\* თაფლი აქვს.  
 ლექსების ყადრი მე ვიცი,  
 ის მგოსნად დანაბადია.  
 ის ბადაგს მოდგამს ბადით,  
 მე პირს მოვიდგამ ბადიას.“

### მაჯუნის ლეილის უგალობს

„შენ ახლა საით ნავარდობ,  
 ჩვენ კიდევ სად ვართ გაჩრილი?  
 შენ ვის ახარებ, როცა ჩვენ  
 სულს ვლაფავთ შენგან დაჭრილი?  
 ჩვენ ვერ შეგვბოჭა სოფელმა,  
 თუმცა სოფელში ვეტარეთ,  
 ჩვენში ნეტარებს წუხილი  
 და ჩვენ წუხილში ვნეტარებთ.  
 ღამურასავით მზით დაფრთხალთ  
 მზესთან ყოფნის გვაქვს სურვილი;  
 ყელამდე წყალში ვდგავართ და  
 მაინც ვინრჩობით წყურვილით.  
 კაცმა რომ გეკითხოს, ამ სოფელს  
 ჩვენ ვფლობთ სიკეთით მოფენილს,  
 მაგრამ არც დავფიქრებულვართ,  
 ჩვენია კი ეს სოფელი?  
 ყომარი არ გვაქვს, ეს მიკვირს,  
 როგორი ყომარბაზი ვართ,

თავს მხედარს რატომ ვუწოდებთ,  
 როდესაც ცხენზე არ ვზივართ?  
 ამქვეყნადაა, ზანტნი ვართ  
 და სულ ლასლასით დავდივართ,  
 თორემ იმ გზაზე რომ გავალთ,<sup>59</sup>  
 იცოცხლე, ჩვენ რომ მარდი ვართ!  
 ჩემთვის მოკვდიო, – მიბრძანე, –  
 „რაც დღე გაქვს, ჭირში აღამე!“  
 მაშ, გაიხარე, ჭირში ვარ!  
 მოკვლა გსურს ჩემი? აჰა მე!  
 ჯერ არმოსული წახვიდე,  
 რა წესებს უნდა ესავედე;\*  
 როდის ყოფილა, ხოდაბუნს  
 ჯერ მკიდნენ, მერე თესავდნენ!  
 შენ ჩემთან მიტომ არ მოხვალ,  
 გინდა, ცოტა ხანს მაცალო,  
 ვინძლო ეს სული განვდეგნო,  
 სახლი ბარგისგან დავცალო.

გვედრი, თუ ყადრი იცოდე  
 საცოდავთ ხელის გამართვის,  
 ჰქენი მადლი და ეს სული  
 ახლავე პირით ამართვი!  
 სამაგიეროდ შენ, სულო,  
 მოდი ჩემთან და ამით კი  
 ახალი სული შთამბერე,  
 ახალი გული შთამიდგი!  
 მე ვიცი ყადრი იმ სულის,  
 შენ რომ სიკეთეს იზამდე,  
 შთამბერე სული, მაცოცხლე  
 უკუნით უკუნისამდე!  
 ნუშის იგავი ისწავლე:  
 რაც ნუში ქვეყნად რგულია,  
 ნაყოფი მისი ერთია,  
 მაგრამ შიგ ორი გული აქვს.  
 შენ შავი მონა გჭირდება,  
 მეც მხოლოდ მონად ვვარგივარ,  
 რა დაგაკლდება, მიმონო,  
 ვითომდა ერთი ზანგი ვარ.

ნეტავი ისე შეცვალა  
 ეს უკულმართი ქვეყანა,  
 მე და შენ სოფელს გაგვყარა  
 და სადმე ერთად შეგვყარა!  
 მთვარე დგეს შუქისმთოველი,  
 ღამე – დღესავით ნათელი,  
 ჩვენ ვიყოთ მოლზე მორთხმული  
 მოლი კი ჩვენგან ნათელი.  
 ერთმანეთს გადაჭდობილი  
 ერთად ვიშვებდეთ მე და შენ,  
 ხელში გვეჭიროს ბადაგი, –

ჩვენი მური\* და ზედაშე.  
შენი თვალების ეშხებით  
ლოთივით გავილეშები,  
შენი თმით განავეშები  
უფსკრულში გადავეშვები.  
შენს წარბთა მშვილდებს მოვზიდავ,  
მერე მივდგები კულულებს,  
ავბურდ დავბურდავ,  
თივისებრ ავიბულულებ.  
მერე მივწვდები ნიკაპის  
ვაშლს, ქარვისფერად მოწეულს,  
შემდეგ შენს უბეს ვეცემი,  
იმ შენს ორ კუხე ბროწეულს.  
ჯერ შენი მკერდის ნაყოფი  
მინდა ჩაკებიჩო ვაშლივით,  
შემდეგ კი ვაშლის ნიკაპსაც  
დაგიჭამ ვნებააშლილი.  
მკერდზე მსურს გადავიფინო  
ზილფების შენის კავები  
ყურიდან რგოლებს ავიყრი  
ვნებით თავშეუკავები.  
ისე გაკოცებ, ღაწვების  
ვარდებზე იამ იხაროს,<sup>60</sup>  
იებს ავიშლი, ლოყების  
ღველფები გადმოგიყარო.  
შენთან მსურს ახლა ჩამოვჯდე,  
სადაც ზიხარ და კიაფობ,  
ჩემთა ჭირთა ხდის ამბავი  
სულ თითო-თითოდ ვიამბო.  
ახლა გამოდი, თუ მოხვალ,  
ჟამი ტრფიალის დღეს არის,  
დრო შეიცვალა, ის დღეა,  
აღარ კვნესოდეს მკვნესარი.“  
ზეწამოიჭრა მაჯნუნი  
გალობას მორჩა თუ არა,  
გულში ბალღამი ჩაექცა,  
სახეზე ზაფრამ უარა.  
ისევ უდაბნოს მიმართა,  
ისევ ველებზე იარა,  
ლეილიც სახლში დაბრუნდა  
(საკანში, სახლში კი არა).

### იბნ სალამის სიკვდილი

ქალი მეუღლის ჯალაბში  
ისე ყარიბად ერია,  
იტყოდით, რკინის შელოცვით  
შეუბოჭავთო ფერია.<sup>61</sup>



მარტო თუ იყო, ტიროდა,  
 გმინვას იწყებდა საშინელს,  
 ქმარს თვალს მოჰკრავდა თუ არა,  
 ცრემლებს იშრობდა მაშინვე.  
 ქმართან ცრუ ცოლად დასმული  
 და სირცხვილს განამკლავები,  
 დაბნეულიყო ლეილი,  
 ვით ზილფთა მისთა კავები.  
 კაცი არ ჩანდა ამ საქმის  
 რაიმე პირის მპოვნელი,  
 სანამ უპირო საწუთრომ  
 არ გააპირა ყოველი.  
 წელში გაწყვიტა მეუღლე  
 შორით ტრფიალმა ცოლისამ,  
 ცოლთან წოლის წილ საფლავში  
 ჟამი დაუდგა წოლისა.  
 ცოტა ხანს კიდევ წამოდგა,  
 თითქოსდა გამომჯობინდა,  
 მაგრამ მოფრინდა ფრთაშავი  
 და ღღე ერთბაშად მობინდა.  
 წავიდა იგი, ამ ქვეყნით  
 ჩვენც წავალთ, თუმცა მას ვესავთ.\*  
 ხამს\*, დაუბრუნოთ საწუთროს  
 სული, რომელიც გვასესხა.  
 ქმარი თავისი ლეილის  
 თუმცა მტარვალად ესახა,  
 თუმც ქურციკს მახედ მიაჩნდა  
 სახლი, რომელშიც ესახლა;  
 თუმცა ქმრის მისის სიკვდილი  
 მისთვის ურიგო არ იყო,  
 ცოლი იყო და მართებდა,  
 ჭირისუფლებში მჯდარიყო.  
 ზეპირ მეუღლეს ტიროდა,  
 ვითარცა ნიჭი მოსდგამდა,  
 ქვეშ-ქვეშ კი მაჯუნს უხმობდა,  
 მასზე ძახილით მოთქვამდა.  
 თმებსაც მაჯუნზე იგლეჯდა,  
 მისთვის იხოკდა სახესაც.  
 ცოლი ქმარს როგორ ტირისო! –  
 ეცოდებოდათ მნახველთაც.  
 რომ მოუკვდება ცოლს ქმარი, –  
 არაბთა ქალებს წესი აქვთ, –  
 ორ წელს კარს ჩაიკეტავენ,  
 არიან შიგ და კვნესიან.  
 და ლეილიმაც ამ წესით  
 კარავში გაიხალვათა  
 და გადაეცა მაჯუნის  
 ცეცხლზე დაგვათ და ხალვათა.  
 როგორც კი ჟამი დაიცა,

ცხადეყო ტრფობის ტკივილი,  
კივილი მორთო ისეთი,  
ცა ჩამოიღო კივილით.  
მტირალი არვინ მნახოსო,  
ალარ აკრთობდა შიშები  
და გაძლა კიდეც თმის გლეჯვით,  
პირის ხოკით და ვიშებით.

### როგორ მოვიდა შემოდგომა და როგორ მიიცვალა ლეილი

შემოდგომაზე ჭირხლს იჭერს,  
წესით დრო იგი ცივია,  
ხეთ ეძარცვებათ ფოთლები  
და ძირს უმწეოდ ცვივიან.  
წალკოტი იგი საამო,  
რომ გვიყვარდა ედემად,  
თვალს და ხელს შუა გვიჭკნება,  
ზაფრანის ფერი ედება.

ჩვენ ლეილიზე ვიჭირვოთ,  
რას ვაგრძელებდეთ საუბარს.  
იმ ჭირხლდაკრულმა წალკოტმა  
ზამთრის პირს მხარი აუბა  
და იმ მაღალი ტახტიდან,  
მან რომ მშვენებით დაიდგა,  
გადმოპირქვაგდა ლეილი  
და ვნების ჭაში დაინთქა.  
ისე დაწვრილდა სნეული  
ლეილის ნაზი სხეული,  
ვითარცა ლელი, გინა თუ  
ლერწამი ქარში რწეული.  
რაც ერთხელ ზაფრა ეტაკა,  
კვლავ ალარ გადაედარა.  
ის სავსე მთვარე პირბაკმი  
დალეულ მთვარეს ედარა.  
აორთქლდა ცვარი, როგორც კი  
ბუდი ჩამოდგა მკათათვის.  
ტიტა რას იზამს, მის თავზე  
თუ ქარბორბალა გადადის!

მის სხეულს ციებ-ცხელებამ  
ხელი დარია უტიფრად,  
ხურვებამ შაქრის ტუჩები  
ნათავგარივით უტვიფრა.

მიუხვდა, მოდგა სიკვდილი,  
სიცოცხლე მისი დაედნო.  
დედა მოიხმო: „ჰე დედა, –  
დედამისს ასე გაენდო, –  
შვილი გიკვდება და შენ კი

ვერაფრით შეძლებ, უშველო.  
 ის ნუკრი, რძეს რომ ასმევდი,  
 თურმე გესლს სვამდა უშენოდ.  
 იმდენი ვყლაპე ჩუმ-ჩუმად  
 მაჯუნუნის ტრფობის სამსალა,  
 სული სულ ყელში მომაწვა  
 და ანდერძის თქმად დამძალა.  
 მოდი და თავქვეშ მკლავები  
 ეს ერთხელ კიდევ ამომდე.  
 ცოდვა შენ გქონდეს, თუ არ ქნა  
 ის, რასაც ახლა ვამბობდე.  
 ამას გთხოვ მიჯუნურს გაყრილი,  
 მღგარი არყოფნის კბოლესთან:  
 როგორც კი სული ამომხდეს  
 და მივიცვალო როდესაც,  
 შენი ხელებით მომკაზმე  
 მაჯუნუნის ტრფობის ცალივით  
 და მიწას ისე გადამეც  
 მორთული პატარძალივით.  
 ვიცი, გაიგებს გუმანით  
 ის, ჩემგან კიდევანქმნილი,  
 თუ როგორ შევსვი არყოფნის  
 ლენცოფა შხამში გაქნილი.  
 ქარივით გამოიჭრება  
 ის, სულის ჩემის მალამო,  
 ჩემს სანახავად წამოვა,  
 შორს წასულს მომესალამოს.  
 მკვდარს რომ მიხილავს, სიმწრისგან  
 ცეცხლი დაუწყებს მოდებას,  
 გმინვას და მოთქმას მოჰყვება,  
 მორთავს ქვითინს და გოდებას.  
 მან უცნაური ტრფივით  
 შეიძლო, გული ედალა.  
 შენც მიეფერე, მე ამას  
 გვედრი, თუ ჩემი დედა ხარ!  
 უთხარი: როცა ლეილი  
 ამ ქვეყნის ბორკილს წყვეტდა-თქო,  
 დათმო-თქო ყოვლი ამ სოფლის,  
 მაგრამ შენა-თქო ვერ დაგთმო.  
 ხოლო თუ იგი ვით მოკვდა,  
 ამას ნუ მკითხავ ფუჭად-თქო,  
 შენ გახსენებდა, სანამდის  
 თვალები არ დახუჭა-თქო.  
 ტრფივლის გარდა სხვა ვნება  
 ქვეყნად გააჩნდა არრა-თქო  
 და ტრფობით შენით ითქვამდა  
 სულს მისი ანაბარა-თქო.  
 ხოლო როდესაც სიკვდილმა  
 მისი სახმილი აგზა-თქო,

შორ გზაზე ისევ ტრფიალი  
შენი წაიღო საგზლად-თქო!“  
ეს რომ თქვა, ისევ ატირდა,  
ისევ ცრემლები დასცვივდა,  
კიდევ ახსენა მაჯნუნი,  
შემდეგ კი... შემდეგ გაცივდა.

### ზარი მაჯნუნისა ლეილის სიკვდილის გამო

მან, ვისაც წიგნის ამისთვის  
მწყაზარი თულრა\* დაუწნავს,  
მაჯნუნის საცოდაობის  
ამბავი ასე გვაუწყა:  
სატრფოს სიკვდილმა მაჯნუნი  
წალეკა ცრემლის მდინარით.  
დაეწვა გული (ამქვეყნად  
გულდაუმწვარი ვინ არის!).  
აღბორებელი მაჯნუნი  
ადუღდა, როგორც მართებდა.  
ცას იმით ჰგავდა: თან ჰქუხდა,  
თან წვიმის ღვართქაფს ადენდა.  
მივიდა იმის საფლავზე,  
ვინც ტრფობის ცეცხლით დაიწვა  
(აღვწეროთ მისი მოქცევა  
თუ ჯობს, დუმილი დავიცვათ?).  
ისე იტირა, იმხელა  
ცრემლის ადინა რუები,  
ხალხი გარბოდა იმ მხრიდან  
ხმით მისით განაყრუები.  
მის აკლდამაზე დაემხო  
ქვითინით უსვენებელით.  
იკლაკნებოდა, დამარხულ  
განძზე ვით უსვენებელი.  
გოდებდა: „ზამთარს შემურდა,  
ყვაველი შენი ენახა.  
სოფლიდან ისე გახვედი,  
სოფელი არცკი გენახა.  
როგორ ხარ? ქვესკნელ საუფლოს  
ვით შეეთვისე როგორი?  
როგორ ძლებ მიწის წიაღში  
შენ, ქორფა ვარდის კოკორი?  
ხალები შენი დიდრონი  
კიდევ შემოგრჩა თუ არა,  
კვლავ აგვრიალებ შვლის თვალებს  
თუ ნისლმა გადაუარა?  
რას შვრება შენი ხასხასა  
იაყუთების ტუჩები?

მუშკის\* ზილფები რასა იქმს,  
 ისევ მიწაში თუ რჩები?  
 შენი ალვის ხე რომელი  
 წყაროს ეწვია ნაპირებს?  
 რომელ წალკოტში ნებივრობ,  
 ლხინს რომელ კორდზე აპირებ?  
 როგორ ხარ, როცა გიკაწრავს  
 ტანს ესოდენი ქაცვები?  
 მღვიმეში როგორ ბინადრობ,  
 ვით ღგები, როცა დაწვები?  
 გამყრიხარ, ჩემთან აღარ ხარ,  
 როგორც ოდესმე იყავი,  
 მაგრამ ვის ძალუმს გაგრიყოს  
 შენ, გულით გაურიყავი!  
 ხატებას შენსას ველარ ვჭვრეტ,  
 რამდენიც უნდა გინატრო,  
 მაგრამ მე ვგებ\* და შენი  
 ტკივილი ჩემში ბინადრობს.“

ეს რომ თქვა, ველებს მიმართა;  
 ნეტა, იქ რაღას ეძებდა?  
 უკან მისდევდნენ მხეცები,  
 ხელი\* გარბოდა მხეცებთან.  
 და მიახამდა ოთხახმით  
 საიმქვეყნიო ქარავანს,  
 გამოსათხოვარ ბეითებს\*  
 მოთქვამდა გულის მზარავად.  
 თუ სადმე ლოდი შემოხვდა  
 (აქ რომ დაძრწოდა გუშინაც),  
 აყიყის ფერად შეღება,  
 შუბლი იმდენი უშინა.  
 ლეილის ნახვას ნატრული  
 აკლდამად მისად გარბოდა,  
 დღისით ლეილის უძახა,  
 ღამით ლეილი აბოდა.  
 თავს დაადებდა აკლდამას  
 სატრფოსთან მყოფი ოცნებით.  
 მის ლოდს ფერებით ფერავდა,  
 მიწას ავსებდა კოცნებით.  
 მას უყვებოდა ქვითინით  
 თავისი გულის გასაჭირს,  
 როგორ დასაჯა საწუთრომ  
 ისედაც ასჯერ ნასაჯი.  
 ის თავის სათქმელს მოთქვამდა,  
 ძირს ეცემოდა ლოდივით.  
 ნადირთა ხრო კი იქვე დგა,  
 მაჯნუნის ჰქონდა ლოდინი.  
 და თუმცა მასთან ხრო იგი  
 არავის აჭაჭანებდა,  
 ვერ მოუგერა სიკვდილი.  
 და მას მაჯნუნიც დანებდა.

## მაჯნუნის სიკვდილი

დრო გადიოდა, საწუთრო  
წალმა-უკულმა ბრუნავდა,  
მაჯნუნის ბედის დოლაბიც  
თავის საფქვაკზე ზრუნავდა.  
უფრო დასუსტდა, დაეცა  
გათავებული თავიდან.  
გათავდა ვადა სიცოცხლის  
და ტანჯვის ყავლიც გავიდა.  
მიუხვდა, სული ხდებოდა  
ზედ მობჯენილი ბაგესთან.  
წუთები ჰქონდა დათვლილი,  
საწუთრომ ისე დაგესლა.  
ლეილისაკენ ერთხელაც  
გამოემართა ლასლასით,  
მივიდა იმის საფლავზე  
აკლდამის მისის ასასი.\*  
სამარის თავზე დაეცა  
და ზედ გველივით იგრიხა.  
ხელი ალაპყრო ზეცისკენ:  
„შენ თუ ნამდვილად იგი ხარ,  
ვინც შექმენ ესე ქვეყანა  
და ზედ არიგე ყოველი,  
შენს კარზე თხოვნით მოვსულვარ  
და შენს განაგებს მოველი.  
საკუთარ თავის კირთებას  
დამხსენ და შემწედ მექმენი,  
ლეილის, იმ ჩემს ლეილის  
შემყარე, თუ ხარ შემქმნელი!“  
ეს რომ თქვა, კიდევ მოხვია  
ხელი ლეილის სამარეს,  
თვალნი იმ არეს მიაპყრნა,  
გამოესალმა ამ არეს.  
კიდევ მოასწრო ჩურჩულით  
ეთქვა ლეილის სახელი;  
მერე მოვიდა სულდგმულთა  
ყოველთა რისხვით მსახვრელი.  
რადგან ეს თემი იმ სოფელს  
არ არის გადამიჯნული,<sup>62</sup>  
იქ გაემგზავრა მაჯნუნი  
ლეილის შმაგი მიჯნური.

## ათარი

(1136-1229)

### რისი ბუნებაც აქვს

ერთხელ იესო ქრისტემ ქუჩაში  
გამობრძანება როცა ინება,  
იუდეველნი გამოეკიდნენ  
და წმინდას ბილწად უწყეს გინება.  
უშვერი სიტყვით ლანძღავდნენ, ზოგიც  
არ მოერიდა ურცხვად ფურთხებას,  
ის კი იღვა და ლანძღვის სანაცვლოდ  
უთვლიდა იმ ხალხს ლოცვა-კურთხევას.  
ერთი გამვლელი გაოცდა, ქრისტეს  
ასეთი ქცევა იხილა როცა,  
უთხრა: „ეს მიკვირს,  
ვინც შენ ვიკურთხებს,\*  
მათ რომ კურთხევას აძლევ და ლოცავ!“  
„ნუ გაგაოცებს, რაც დღეს იხილე! –  
ამაზე იმ კაცს მიუგო ქრისტემ, –  
რისი ბუნებაც აქვს დაყოლილი,  
ყოველი არსი იქცევა ისე“.

### ვერ დაგეხსნები

რა ბრძანე? – „მე და ჩემს ზილფს  
დაგვეხსენ  
და სადაც გსურდეს, იქ მიბრძანდიო,  
თორემ ჩვენ ვიცით, თუ მოფერების  
როგორ დაგსაჯოთ ჩვენის მწადიო?!“  
ვერა, ლამაზო, ვერ დაგეხსნები,  
ბევრიც მიშალო, ნუ იქმ ამასო!  
ვერსად ვერ წავალ, თუნდაც ყოველი  
თმის შენის ღერი ისრად დამასო!  
მე თუმცა, როგორც იესო ქრისტე,  
ადამიანებს ლექსით სულს ვუდგამ,  
შენს ზილფებს მაინც  
სულ სხვა ჯადო აქვს,  
მისი მუშკ-ამბრის  
მაცოცხლებს სუნთქვა.

## დაჰკრა ზარმა

დაჰკრა ზარმა, გზას ვადგავარ,  
ეს სოფელი დავთმო უნდა.  
საგზალი კი ვერ ვიშოვე,  
ცარიელი მიმაქვს გუდა.  
სული დალალს უნდა მივცე  
(არ ვივაჭრო, ვშიშობ, ცუდად!).  
სატრფოს ნიშანს ველოდები,  
ის ამაში თუ დარწმუნდა.  
მსურს, ქალამნად მეცვას მიწა,  
ცა მეხუროს, მინდა, ქუდად.  
შენც რას უცდი? მან წააგო,  
ვინც აქ დიდხანს დაეყუდა.  
ხომ დარწმუნდი, ფილოსოფოსთ  
ყოფის არსი ესმით მრუდად,  
გზას ჭეშმარიტს ვერ გვასწავლის  
ლღემდე მათი აბლაუბდა.  
სულ ქრისტესთან იყავ, თორემ  
ანტიქრისტე დაგვდევს მუდამ!

## რატომ?

შენი ლამაზი ნაწერის ხილვა  
მე სულს ჩამიდგამს, არ უნდა დავა,  
მაგრამ მანამდე ვერ გავძლებ, რადგან  
მეც კალამით ყირაზე ვდგავარ.  
ეს მიკვირს, შენ, ვინც იესოს მსგავსად  
სულის შთაბერვით აცოცხლებ ცხედარს,  
მე, ცოცხალს, სულის  
შთაბერვით ვით მკლავ,  
თან ღლეში ასჯერ  
რატომ მკლავ, ნეტა?

## ქრისტიან ასულს

ვიფიცავ ინჯილს,\* ვიფიცავ ზონარს,\*  
თქვენს ბერებს მოსილთ ღვთიური ძალით;  
ვიფიცავ თქვენს ხატს და საკურთხეველს,  
თქვენს წმინდა ტაძარს, იერუსალიმს;  
ვიფიცავ 'ისას,\* ვისაც ქრისტიანთ  
პატივისცემა სულ პირველს ჰფერობს,  
ცხოველმყოფელი მზის გვერდით ვინც ზის  
და ვინც ფლობს ზეცის მეოთხე სფეროს,  
ყველაფერ ამას ვიფიცავ, სულო,



შენს საიდუმლოს თუ მეტყვე ჩუმად,  
ვით თავს საკუთარს, შევინახავ მას  
და სანამ გაგთქვამ, მომკლავენ უმაღ!

## იოანე ნათლისმცემელი

აქ იოანე ნათლისმცემელი  
ვანსენოთ უნდა, წმიდა ტარიგი\*, –  
მისი მოჭრილი თავი ლანგარზე  
ო, როგორ ენთო კელაპტარივით!  
და მაცხოვარი, შებეზლებული  
იუდეველთა მიერ უბრალოდ,  
ძელზე ვით გასვეს (მაგრამ შენ ზეცად  
ვით აღამაღლე იგი, უფალო!).  
ან მოციქული\* აიღეთ ჩვენი,  
ცოტა სიმწარე იწვნია განა, –  
რამდენი ვნება მიიღო მათგან,  
ურწმუნოების გზაზე რომ დგანან!

## ხოლო მეორე — ასეთი მწარე

ამბობენ: ერთხელ ქრისტეს მოსწყურდა  
და დაეწაფა კამკამა წყაროს.  
ისეთი გემო ჰქონდა, შეეძლო,  
ეთქვა: ვარდის წყლის ბინული\* ვარო!  
იქვე წყლით სავსე კოკა შენიშნა  
და საჭაშნიკოდ ის წყალიც მოსვა  
(რას იფიქრებდა, თუ იმ კოკასთან  
მოუხდებოდა ხელახლა მოსვლა!).  
ცოტა მანძილი რომ გაიარა,  
მაცხოვარს პირი შეექნა მწარე.  
გაკვირვებული დაბრუნდა უკან,  
სურდა, რა მოხდა, გაეგო ბარემ.  
მიმართა უფალს: „ეს წყაროს წყალი  
და წყალი, კოკით რომ უდგათ ქვემოთ,  
ხომ ერთი არის! მაშ რატომ მოხდა,  
რომ ერთნაირი არა აქვთ გემო?  
ამ საიდუმლოს მე ვერ მივუხვდი.  
რა მიზეზია, უფალო, ბრძანე:  
ერთი ასეთი მაშვნე\* რად არის,  
ხოლო მეორე — ასეთი მწარე?“  
აქ უცებ კოკამ აიღვა ენა  
და ქრისტეს კითხვა აუხსნა ძნელი:  
„იესო, დღეს რომ მე კოკად მხედავ,  
აღამიანი ვარ ძველისძველი.“

ეს როდის მოხდა! და რაც მე მოგკვდი,  
მას შემდეგ ჟამი გამოხდა ბევრი.  
თინად რომ ვიქეც, ჭურჭლად გამომწვეს, –  
ხან ჯამი ვიყავ, ხან კიდევ – ქვევრი.  
ისეთი მწარე იყო სიკვდილი  
და ტანი ჩემი ისე გაწამდა!  
რად არ გამომწვეს, მაგრამ რაც მასხეს  
შიგ, ჩემი სიმწრით ისიც გამწარდა.  
კი გამომწვავენ საწყაოდ, მაგრამ  
ამ შხამს ტანიდან ვინ ამომიშლის? –  
რაც გინდა ტკბილი სასმელი მასხან,  
არ ჩაიშვება არასდროს პირში“.

## მაცხოვრისა და ნუთისოფლის გაგაანება

ქრისტე, რომელიც რჩეულთა შორის  
რჩეული იყო თვისი ღირსებით,  
სულ იმის ცდაში იყო, შეეცნო  
ყველა წვრილმანი სოფლის თვისების.  
ერთხელ ის, ისე როგორც სჩვეოდა,  
გზად რომ ვიდოდა მოსილი ნათლით,  
ვილაც დედაბერს გადაეყარა.  
ნამდვილს არ ჰგავდა შეხვედრა მათი.  
თმა თეთრი ჰქონდა ქალს, ხოლო წელში  
სულ მშვილდის მსგავსად იყო მოხრილი.  
პირში კბილები არ ჰქონდა, თორემ  
წლები, იცოცხლეთ, ჰქონდა მოყრილი.  
თვალეებზე ლიბრი ეკრა ცისფერი  
და შავი ჰქონდა კუპრივით სახე.  
ბინძური იყო, შორიდან ყარდა,  
იერთ კიდევ ზაფრავდა მნახველს.  
ტანზე ჭრელჭრული ჩაეცვა კაბა  
და მოდიოდა ფრატუნით ასე.  
თავში შუღლი და ღალატი ედო,  
გული კი ჰქონდა სიავით სავსე.  
მარცხენა ხელი ათასნაირი  
ზიზილ-პიპილით მოერთო, ხოლო  
მარჯვენა ხელი სისხლით მოთხვროდა.  
მაგრამ ეს ხინჯი არ ჰქონდა მხოლოდ:  
ყოველი თმის ღერს ბინძურ ბოლოზე  
არწივის ბასრი ნისკარტი ება;  
პირზე ნილაბი ჩამოეფხატა.  
და ქრისტეს ასე შემოეგება.  
გაოგნებულმა ქრისტემ ჰკითხა ქალს:  
„მსურს, ვინაობა გავიგო შენი;  
ვინ ხარ ასეთი გულის ამრევი,  
ასეთი ბილწი და ამაზრზენი?“

ქალმა მიუგო: „რადგან სიმართლე გიყვარს, მართალი მეც გითხრა უნდა. მე ვარ ის, ვისი სურვილი გულით ამ ქვეყანაზე შენც დაგაქვს მუდამ“.

იესომ უთხრა: „მაშ, როგორც გატყობ, წუთისოფელი ყოფილხარ შენო!“

ნიშნის მოგებით მიუგო ქალმა: „ღიას, გახლავარ! მიცანი, ძველო?“

იესომ უთხრა: „წუთისოფელი თუ ხარ, ათასგვარს გვეტყოდი ამბავს, მაგრამ ეს მითხარ ჯერ: რად მორთულხარ ასე, ჭრელჭრული რად გმოსავს კაბა?“

მიუგო ქალმა: „გარეთ იმიტომ შემოვიბურე ასეთი გარსი, ვინც შემომხედავს, ვერ შეიმეცნოს ამ ჩემი თარსი ბუნების არსი. თორემ მე ვინც ვარ და როგორიც ვარ, ეს რომ გაიგოს ამქვეყნად ვინმემ, ახლოს არავინ გამეკარება, – ვინ საოცნებო ქალი და ვინ – მე! ხოლო ასეთი ჭრელჭრული კაბა მიტომ ჩავიცვი (გახლავარ ბრძენი), ვინძლო ვაცდუნო და მოვიტყუო ჩემთან რეგენი ადამის ძენი. როდესაც ასე მორთულს მნახავენ, ტრფიალი ჩემი აღეძვრით გულში, ჭკუას კარგავენ ჩემი გულისთვის და მომტირიან ვაით და უშით“.

ქრისტემ უბრძანა: „სიბილწის ჭავ და უკუდმართობის ბინძურო ბუდეგ, სისხლში ამოთხვრილ ამ ხელს, მითხარი, შენს ავ საქმეში რა წილი უდევს?“

მიუგო ქალმა: „ჰე, ვისაც სიბრძნე და სათნოება გიპყრია ხელით, ეს სისხლი ქმრების ჩემის სისხლია, ჩემივ ხელით რომ გამოვჭერ ყელი“.

„ეს რა თქვი! მაგრამ მარცხენა ხელი რად მოვირთავსო?“ – ჰკითხა მესიამ.

მიუგო: „ბრიყვებს სიტურფე ნიბლავთ და მესევიან, როგორც წესი აქვთ“.

კვლავ ჰკითხა ქრისტემ: „როკაპო, მითხარ, რომ ჩადიოდი ურცხვად იმ ცოდვებს, გულის კუნჭულში შენ მიერ მოკლულთ თუ იცოდებდი? მინდა, ვიცოდე!“

„ვიცოდებდიო?! – განცვიფრდა ქალი, – გაგიჟდი შენ, თუ ჭკუაზე ხარო!? მე შეცოდება რაა, რა ვიცი; მხოლოდ ის ვიცი, რომ სისხლი ვღვარო“. თავისი ბილწი ბუნება ქალმა

რომ გამოფინა ასე უბრალოდ,  
შეძრწუნდა ქრისტე და შელალადა  
ცას: „სატანისგან ვიჯმნი,\* უფალო!  
ამ წუთისოფლის გაუტანლობას  
კი ვერ ხვდებიან მიმნდონი მისნი  
და მათ რომ რწმენა არ გააჩნიათ,  
ამით ბოროტად სარგებლობს ისიც“.  
ეს რომ თქვა ქრისტემ, დაგმო სიაძე,  
რაც წუთისოფლის სიავეს ახლდა,  
დათმო ეს ცოდვით სავსე ქვეყანა,  
გაეკრა ძელზე და ზეცად აღხდა.

### როცა საშენო არ არის იგი

ერთხელ იესო ქრისტეს ეხვეწა  
ერთი თავხედი ნაცნობი მისი:  
„თხოვნა მაქვს შენთან და შემისრულე!  
სასწაულთმოქმედ სიტყვას ფლობ, ვიცო.  
გემუდარები, ის მეც მასწავლო  
და მოწყალების დაიცვა რიგი!“  
ქრისტემ მიუგო: „ვერ გასწავლი მას,  
რადგან საშენო არ არის იგი“.  
ის კაცი არა და არ მოეშვა,  
მაცხოვარს სდია და სდია დიდხანს  
მანამდის, სანამ არ გამოსტყუა  
მას ის სასწაულთმოქმედი სიტყვა.  
ცნობისმოყვარეს სინარულისგან  
ერთხანს მიწაზე არ ედგა ფეხი,  
სანამდის დიდი უბედურების  
თავს არ დაატყდა საცოდავს მენი.  
ეს მოხდა ასე: სადღაც მიმავალს  
უდაბნო ველი გაეგლო უნდა.  
შეხედა, გზაზე ვიღაცას ძვლებით  
პირამდე სავსე დაეგლო გუდა.  
„სასწაულთმოქმედ სიტყვას – თქვა გულში –  
ჭრა თუ აქვს, უნდა გავიგო ახლა.  
ამ ძვლის პატრონი გააცოცხლეო!“  
ნასწავლი სიტყვით ღმერთს თხოვა მაღალს.  
თქვა ეს თუ არა, ისე, რომ მეტის  
არც კი დასჭირდა სხვა სიტყვის ძებნა,  
იმ კაცის თვალწინ, იქვე, ხელდახეღ,  
შეკოწიწება დაიწყეს ძვლებმა.  
მოხდა ის, რისიც, დამემოწმებით,  
ის საცოდავი არ იყო მდომი:  
სულ ორ ნაბიჯზე იმ ძვლებისაგან  
წამოიძარტა ვეება ლომი.  
ღრიალი მორთო მძვინვარე მხეცმა,  
პირით ხომ ცეცხლი ყარა და ყარა,

ეცა იმ კაცს და ისე დაგლიჯა,  
თითქოს ოდესმე ფეხზე არც მდგარა.  
მერე კი მყისვე იქვე დაღმურძლა  
იმ საცოდავის ობოლი გვამი,  
მისგან ძვლებილა დატოვა მარტო  
და ის თავის ძვლებს ამგვანა ამით.  
ეს რომ იესომ გაიგო, გაწყრა  
და მოწაფეებს ასე მიმართა,  
რათა იმ ერთი მაგალითიდან  
გამოეჭანათ დასკვნა იმათაც:  
„კაცი რომ უფალს რამეს თხოვ, გმართებს,  
მუდამ ამისი გქონდეს შეგნება:  
თხოვო ის, რაც შენ გეკუთვნის, მაგრამ  
არ თხოვო იგი, რაც არ გერგება!“

# აუჰადი მარაღელი

(გ. 1237 წ.)

## ქრისტეს კიცვი

უთქვამთ, ქრისტეს ერთი კიცვი\*  
ჰყვა და ება თურმე თავლას,  
ლოხი\* იყო, უნდებოდა  
ორ ღღეს ერთი ეჯის\* გავლას.  
ღამე, სანამ ცით აისი  
არ შეცვლიდა თეთრად დაისს,  
ქრისტე კიცვს წყლის დასაღვევად  
გაიყვანდა ასჯერ მაინც.  
სანამ კიცვი წყალს (თუნდ ერთ ყლუპს)  
არ დაღვევდა, იღვა ქრისტე.  
და მოჰყავდა უკან, სანამ  
წაიყვანდა წყალზე ისევ.  
ეს ამბავი მოციქულებს  
აკვირებდა მეტისმეტად.  
ჰკითხეს: „ვირს რომ ხელისგულით  
დაატარებთ, რა გრჯით, ნეტა?“  
ბრძანა ქრისტემ: „ამ ჩემს ქცევას  
ახსნა აქვს, და მხოლოდ ერთი:  
პირუტყვია კიცვი, წყალი  
მწყურიაო, ხომ ვერ გეტყვის!  
როგორ შევძლებ, დავიძინო  
ღამე ისე, თუ არ ვიცი,  
მაძლარია წყლით, თუ წყალზე  
წასაყვანად დგას და მიცდის!“

## საადი შირაზელი

(1208-1292.)

### რა აზრი აქვს მაშინ

ეს საწუთრო, ჩემო ძმაო,  
სხვას ვის ღარჩა, შენ რომ დაგრჩეს?!  
მე შენს საშველს აქ ვერ ვხედავ.  
მიეკედლე ისევ გამჩენს!  
როგორ გინდა, სოფელს ენდო,  
ამ სოფელმა, იცი, როცა,  
შენისთანა ბევრი ზარდა,  
მაგრამ ყველა ამოხოცა.  
სული გაყრას რომ დაგიწყებს,  
რა აზრი აქვს მაშინ, ვინ ხარ,  
სახელმწიფო ტახტზე ზიხარ,  
თუ, ვით გლახა, მტვერში გღიხარ!

### მზის სინათლეზე

თუ დაგინახავს, ღამ-ღამობით  
მინდვრად და ველად  
ნაპერწკალივით რომ დაელავს  
ციცინათელა?  
„ციცინათელავ, ღამით მნათო, –  
ვიღაცამ ჰკითხა, –  
ეს რატომ არის, რომ არ ჩანხარ  
მინდორში დღითაც?“  
შეხე, ამ შუქის მქონებელმა  
მწერმა პატარამ  
რა უპასუხა და ბრძენს თავი  
როგორ ადარა:  
„მე ამ მინდორში როგორც ღამით,  
ველავ დღისითაც,  
მაგრამ მზის შუქზე ელვა ჩემი  
თვალს ვერ იზიდავს.“

## ორი ვინმე

შეიყვარე ორი ვინმე,  
მეფევე, აი ჩემი რჩევა:  
ვისაც ღმერთმა დააკისრა  
კალმის მოსმა და ხმლის ქნევა!  
ო, ამ ორი კაცის მიმართ  
ნუ იქნები გულით მკაცრი,  
გწამდეს ხმალი და კალამი  
და ხმლისა და კალმის კაცი!  
ვინც საომრად ხმალს არ ფერავს  
და ვინც კალმად ლერწამს არ თლის,  
რომ კვდებოდნენ, ახიც არის,  
არ ინალვლო, შვილო, მათი.  
ვაჟკაცური იარაღი  
მათი მეტად ბასრი არის.  
აბა მუტრიბს\* რას გაუგებ,  
ქალია თუ კაცი არის!

## იბაჰი სიკეთისა

ერთხელ ერთი ახალგაზრდა  
კაცი შემხვდა გზაზე.  
ცხვრისთვის თოკი მოება და  
მოდლიოდა ასე.  
მე ვუთხარი: “ალბათ-მეთქი  
რომ არ გებას თოკი,  
მოკურცხლავდა შენი ცხვარი  
მინდვრად როკვა-როკვით.”  
ბიჭმა ეს რომ გაიგონა,  
საბელს ეცა ხელად,  
თოკი ახსნა ცხვარს და თვითონ  
გაემართა ველად.  
ცხვარიც მყისვე აკუნტრუშდა,  
დაედევნა პატრონს,  
ერთხანს ასე ინავარდეს,  
მე დამტოვეს მარტო.  
რომ დაბრუნდნენ, ბიჭმა მითხრა:  
„კაცო, სიბრძნის მქონევე,  
აქ მიზეზი ეს საბელი  
იყოს, ტყულა ჰგონებ.  
მე ეს ცხვარი უსაბელოდ  
დამედევნა მყისვე;  
რადგან თოკი სიკეთისა  
ება იმის კისერს.  
მოფერება და პატივი  
არ წყენს ქვეყნად არვის,



კარგი ქცევით ავი სპილოც  
თვინიერი არის.  
ერთ ანდაზას გეტყვი, ძმაო,  
და ის ყურად იღე:  
ვის სახლშიაც ძალლი პურს ჭამს,  
მის ერლოზე იყეფს.“

## გაყიდე ბალი მამისეული

გაყიდე ბალი  
მამისეული  
და რაც აიღო იმ ბალში ფული,  
სულ ძმაკაცებში  
გაანიავე,  
ოღონდ მოიგე ძმაკაცის გული!  
მეგობარს ცეცხლზე  
თუ ქვაბი ედგას  
და შეშა აკლდეს, აიღე ცული,  
შეშად დაჩეხე  
და მის ქვაბს ცეცხლად  
შეუნთე შენი სახლი და ხული!  
ავის მდომელსაც  
სიკეთე უქენ,  
რა იცი, იქნებ იცვალოს რჯული;  
ძალღს პირი ლუკმით  
ამოუტენე,  
შენ კი მშვიდობით მოითქვი სული!

## ხოსროვის დარიგება

გამიგონია, რომ შირუიეს\*  
ხოსროვმა\*, თურმე კვდებოდა როცა,  
მისცა ასეთი რჩევა და მერე  
ალარ ისურვა ამ ქვეყნად მოცდა.  
„არ შეგეშინდეს, უბრალო ხალხი  
სულ კმაყოფილი შენით თუ არის;  
ხალხს მოუარე და უპატრონე,  
ხალხის ზრუნვაზე არ თქვა უარი!  
ხალხი შენ მუდამ გაგყვება უკან,  
თუ ხარ მის თვალში მუდამ სვიანად.  
ავ ნიადაგზე არ გადავა ფესვი,  
თორემ მოგთხრიან ძირფესვიანად!  
ესეც იცოდე, იმდენს ვერ იზამს  
განთქმული გმირის ნაქები ხმალი,  
რამდენსაც შესძლებს თავისი წყევლით

გულდათუთქული ბებერი ქალი.  
თავი აყვარე ღარიბთ, გახსოვდეს  
მუდამ ობოლი და ქვრივ-ოსერი! –  
მათი მფარველი რომ ყოფილიყავ,  
ამქვეყნად მეფედ მიტომ მოხვედი.  
მტერს კი მოექეც როგორც ეგების,  
ამოუთხარე ფესვი და ძირი, –  
შენს მომხვდურ მგელს თუ დანას დაასწრებ,  
ქების მაგივრად არ გითხრან ძვირი!“

## კარგი სახელი

სულ ამას ტირი:  
მრავალი მყავსო  
ცულის მდომი და ავის მოსურნე;  
სულ ამას ჩივი:  
ხალხში თავს მჭრის და  
აბრუს\* მიტეხსო ძველი მოშურნე;  
სულ ამას სწუნარ:  
დანას ლესავენ  
მტრები, რომ სისხლი ჩემი ღვარონო;  
სულ ამას შიშობ:  
კარგი სახელი,  
ძლივს რომ ვიშოვე, არ მომპარონო!  
აბა მე გეტყვი:  
სიკეთეს სდევდე  
და გიწოდებდნენ სიავის ჩამდენს,  
სჯობს, ვიდრე ჩუმად  
სიავეს თესდე  
და გარეგნულად კეთილი ჩანდე!

## განა ახლაც არიან

ქვეყნად ბევრი ყოფილა  
მეფე, ტახტის მპყრობელი,  
ბევრი გმირი შობილა,  
ბევრი ხალხის მფლობელი.  
ბევრ კაცს გადაუხდია  
ომები და ბრძოლები,  
ბევრს ჰყოლია ქვეყანა  
შიშით ანადრწოლები.  
ბევრი ტურფა სიბლავდა  
მხილველთ როგორც ნაძვები,  
ბევრს ჰქონია მზისფერად  
მოელვარე ღაწვები.

ზოგი სახელს ეძებდა,  
ზოგიც – ბედნიერებას,  
ზოგი იყო სიტუირფე,  
ზოგი – მშენიერება.  
განა ახლაც არიან?  
ისემც შენი მტერია!  
კარგნი იყვნენ თუ ცუდნი,  
დღეს სუყველა მტვერია.

## **ჩვენ განა გულით არ გვიყვარდა ერთიმეორე**

ჩვენ განა გულით  
არ გვიყვარდა ერთიმეორე!  
შენ მილალატე  
და დამაგდე (რა გცოდე, ნეტა?),  
შენ გამო ყველას  
და ყველაფერს ზურგი ვაქციე,  
რას ვიფიქრებდი,  
შენ თუ ჩემი გიმძიმდა ჭვერეტაც!  
თუ შერიგება  
გსურდეს, მოდი და მეყვარები,  
ძვირფასო,  
აღრე რომ მიყვარდი, იმაზე მეტად!

## **თუ ღარიბი ხარ**

შვილო, ეცადე,  
მოთმინება ჩაიგლო ხელში,  
თუ გინდა, ქვეყნად  
არ იცხოვრო ოხვრით და ხვნეშით!  
თუ ღარიბი ხარ,  
აიტანე, ნუ იწუწუნებ,  
რაა სიმდიდრე,  
სიღარიბეს, თქვი, რას უწუნებ?  
ან რად გრცხვენია,  
თუ გაცვია ძალიან ცუდად?  
მოციქულს\* ჩვენსას  
ფუფუნება ხომ ისე სძულდა!  
ქონება ერთ დღეს  
გაგიქრება, გაგემტვერება,  
თუ ღარიბი ხარ,  
ვინმე რატომ დაგემტვერება?!  
მდიდარი ოქროს ყარაულობს,  
შიშობს და დრტვინავს,

ღარიბს არაფრის ეშინია  
და მშვიდად სძინავს.

## თუ

არ შეგეშინდეს, იყავი მშვიდი,  
თუ მტრებს ურთიერთ უხდებათ ბრძოლა.  
და თუ შეთანხმდნენ, მოზიდე მშვილდი,  
ფრთხილად, არ გარგებს ძილი და წოლა!

## ხვაშიადი

მტერს მუდამ ხერხით  
ებრძოლო უნდა  
და გამარჯვებას ეწევი მალე.  
შენ შენს მიზანზე  
იფიქრე მუდამ,  
მაგრამ მიზანი სულ მუდამ მალე!  
გულში ხვაშიადს\*  
ინახავ როცა,  
ძეხორციელი არ გინდა მოწმედ,  
თორემ რამდენი  
შემთხვევა ვიცი,  
კაცს რომ ჯამში გვერდს ეჯდა მოძმედ.  
მაკედონელი\*  
აღმოსავლეთში  
როცა იბრძოდა ქვეყნის მზარავი,  
დასავლეთისკენ  
პირმიქცეული  
ედგა ყოველთვის თურმე კარავი.  
ბაჰმანს\* როდესაც  
ზაბულისთანში\*  
უნდოდა შეჭრა და მტრის სისხლს ღვრიდა,  
მარცხენა მხრიდან  
დასცა ყიჟინა,  
მაგრამ შეიჭრა მარჯვენა მხრიდან.

## ძალდი და კაცი

ძალდს თუ ერთხელ ძვალს გაღუგდებ,  
ახსოვს მისი გემო,  
იმ ამაგს არ დაივიწყებს,  
შემდეგ თუნდაც სცემო.

და კაცი კი, ზოგი კაცი,  
რომ გადაჰყვე თანაც,  
სულ პატარა წყენის გამო  
ყელს გაგიყრის დანას.

### **რა ვირიც იყო**

თუნდ მდინარეში შვიდჯერ განბანო  
ძალდი, იმ ძალდს რაც მოუვა, ვიცი:  
წყალში რაც უფრო გაილუმბება,  
მით უფრო ბილწი ხდება ის ბილწი.  
თუნდაც მექაში\* წააჩაქჩაქე  
მოსალოცავად იესოს კიცვი,\*  
რა ვირიც იყო, ისევ იმ ვირად  
ჩამოვა, განა ბუნებას იცვლის!

### **კაცის თვალი და მუცელი**

კაცის თვალი და კაცის მუცელი  
ვერ გაძლებიან ვერაფრით, ვერა.  
არადა იმის კუჭს და ნაწლავებს  
ცოტა ჭამა რგებს, ჩემი თუ გვერა.  
კიდევ ერთ იგავს გეტყვი: რაც უფრო  
შეუკეთებენ ჯოჯოხეთს შეშას,  
უფრო მეტ შეშას ითხოვს და ცოდვილთ  
საგეჰენიოდ უფრო მეტს გეშავს.  
იესო ქრისტე სულს დაფავს შენში,  
შენ კი განცხრომას ეძებ და შვებას,  
დაგიბამს ჩრდილში იესოს კიცვი,  
სამურველს უსვამ და ქერით კვებავ.  
ფრთხილად, საწუთრო არ შეისყიდო  
სარწმუნოების და სჯულის ფასად! –  
„სახარებას“ რომ ყიდდნენ და იმით  
ვირს ყიდულობდნენ, არ თქმულა არსად.

### **სიყვარულის სენი**

ძვირფასო, შენით ეს გული  
დამეჭრა, აღარ გამოეღდა.  
შენს სიახლოვეს ვიწვები,  
როგორც ფარვანა – სანთელთან.  
ვმაღლე და ველარ დაემალე  
ეს წყლული ჩუმად ნამალი,  
ექიმს შევჩივლე, ეგების  
მოეცა რამე წამალი.

ექიმმა მითხრა: „საადი,  
რაც შენ გჭირს, სიყვარულია.  
ჩვენ, ექიმები, ამ სენტან  
უძღურები ვართ სრულიად“.

## **მდიდარი და მანანწალა**

მდიდარი და მანანწალა  
გარჩეული მით არიან,  
რომ ის უფრო მწუხარეა,  
ვინც გგონია, მდიდარია.

## **ჭრელი სამყარო**

დააკვირდი ამ სამყაროს  
გუმბათს ოქროს მაგვარს! –  
არ აქვს ბოძი დასაყრდენი  
და მაინც დგას მაგრად.  
ერთი შეხე დიად კარავს  
ჩარხებზე მბრუნავ ცისას,  
დააკვირდი მოკაშკაშე  
უთვლელ სანთელს მისას!  
ერთი ქვეყნის მეფედ არის,  
მეორე კი – მწყემსად;  
ერთი ტახტს ფლობს და მეორე  
ძონძს ძონძებზე კემსავს;  
ერთი ცხოვრობს ნებიერად,  
მეორე კი დარდობს;  
ერთი ლოთობს და მეორეს  
წყალი უდგას მარტო.

## **შეიძლება**

ნუ გგონია დიდება  
გვირგვინისთვის მიგნება, –  
იგი ხომ სხვას ჰქონია,  
ისევ სხვისი იქნება.  
სულ აქ ყოფნის იმედსაც  
გულში ნუღარ დაბადებ! –  
ბრძანება რომ მოგივა,  
პატრონს უნდა ჩაბარდე.  
ბევრის მქონეს ბედის მქონე  
თავი ნუ გეგონება, –  
შეიძლება, ერთ წუთში  
ოხრად დაგრჩეს ქონება!

## ჯელალ ედ-დინი რუმი

(1207-1273)

### განა არ იცი?

მე ქვა ვიყავი,  
მოკვდი ქვა და მცენარედ მოველ,  
მოკვდი მცენარედ  
და ბუნაგი ცხოველში ვპოვე.  
მოკვდი ცხოველიც  
და ვიქეცი ადამის ტომად.  
მოკვდები აქაც,  
მაგრამ განა მადრწუნებს კვდომა!  
გარდავიცვლები  
ახალ დღეთა იმედით მთენი,  
რომ ანგელოზის  
გამომესხას სუბუქი ფრთენი.  
და ერთ დღეს, როცა  
ანგელოზის დადგება რიგიც,  
არავინ უწყის,  
იქ რა მელის, რა არის იქით.  
არარაობა დამანახვებს  
უსახო სახეს  
და მიგალობებს:  
“ნივთი თვისად მიიქცეს სახედ”.  
სიკვდილი ხარობს,  
შენ კი მასზე ტყუილად ცხარობ,  
განა არ იცი,  
ჯურღმულში ჩქეფს სიცოცხლის წყარო!  
წყალმანკიანო,  
წყალს რომ სვამ და ვერ იკლავ წყურვილს,  
სურვილი შენი  
შეუხამე ლოტოსის სურვილს,  
ლოტოსის მსგავსად  
შუა წყალში გაიდგი ფესვი  
და სვი ეს წყალი,  
რამდენიც გსურს, იმდენი შესვი,  
მაგრამ გახსოვდეს  
ამ ცხოვრების სასტიკი მცნება:  
წამალიც არის  
წყალმანკისთვის წყალი და სნებაც!

დაგვიწყებია სულის სატროფო,  
შენს ტკბილ სულს ჰყვარობ,  
იმახი კია: შემომხედეთ,  
მიჯნური ვარო!  
ლოქში ჩაგისხამს  
შენტვის ჩუმად წყალი წყაროსი  
და გიხარია,  
ჰკონებ, სულის გიდგას ტაროსი.  
გადააქციე ჩქარა წყალი,  
ნებაზე უშვი;  
იღინოს თავის კალაპოტში,  
ჩაუშვი რუში!

### მე ვარ მძერწავი

მე ვარ მძერწავი და ტანად ლერწამს  
რომ ჰგავს, სულ ისეთ  
ქვის კერპებს ვძერწავ,  
მაგრამ რა ერთწამს შენ შეგადგამ თვალს,  
არ მომწონს იგი  
და იქვე ვლეწავ;  
მე ვარ მხატვარი და სანამ სურათს  
სულს არ ჩავუდგამ,  
მანამდის ვხვეწავ,  
მაგრამ რა ერთწამს შევხედავ შენს ხატს,  
მე ვწვავ ჩემს ნახატს,  
მე ვთხზავ და მე ვწვავ.

### სხვა მძახის

განვედი, ძილო, და გულის სწორთ  
ჩემთ უშვი ხელი,  
თორემ სულ მარტოდმარტო დავრჩი  
აშიყი ძველი.  
ასე ქვაბივით რომ დამკიდე  
ნაჭაზე\* იჭვის,  
ქვეშ კიდევ ცეცხლი რომ შემინთე  
ასეთი მწველი,  
ეს მაინც მითხარ, ამ ჩემს სულში  
რას წალავ\* ასეთს,  
რა იხარშება ასე ნელი  
და ასე ძნელი?  
რა განდა მართლა, ერთხელ ცხვირიც  
რომ მოვიფხანო,  
ისე დამიბლვერ, კაცის ვიყო  
თითქოსდა მკვლეელი.



შენ კვნესა ჩემი არც კი გესმის,  
შენ არც მომხედავ,  
თუმც სახვეწნელად გამოწვდილი  
შენკენ მაქვს ყელი.  
ამაღე ხელი, სიცოცხლეო,  
ამაღე ხელი! –  
ამაოდ მელი, შინ მშვიდობით  
თუ მართლა მელი.  
მე სხვა გზა მიძევს,  
სხვა მეძახის,  
სხვა მელოდება, –  
ვიმ, რა წარმტაცად გადაშლილა,  
არყოფნის ველი!

### ეს შენ ხარ!

ჩვენ აბა რა ვართ!? –  
ჩვენ ვართ ერთი საკრავი ჩანგი,  
ეს შენ ხარ მხოლოდ მესაკრავე,  
შენია ჰანგი;  
ჩვენ აბა რა ვართ!? –  
ჩვენ ვართ ერთი ლიტონი სტვირი,  
ეს შენ ქვითინებ ჩვენს სხეულში  
და ჩვენში ტირი;  
ჩვენ აბა რა ვართ!? –  
კლდე ვართ მხოლოდ,  
რა უნდა გვექოს,  
ეს შენ ხმიანობ და ჩვენც შენი  
აგვიდის ექო.  
ლომი ვართ, მაგრამ  
მხოლოდ დროშის ტარზე  
თუ ვმარდობთ,  
გვიბერავს ქარი  
და ჩვენც ვშფოთავთ.<sup>63</sup>  
და ეს ვართ მარტო...  
ჩვენ რატომ გვითმენ,  
როცა შენთან ესოდენ ვსხვაობთ?  
შენ თავს შეხედე,  
სიუხვის და სიკეთის ზღვაო!

### წადი, ჩემო მეგობარო

წადი, ჩემო მეგობარო,  
შენს ბალიშზე დადექ თავი;  
ვერ მიშველი და ამაოდ  
ნუ დამყვები მდადესავით!

თავს ტყუილად ნუ იტანჯავ! –  
 კმარა, რაც სვე დამდევს ავი.  
 ჩემი ცრემლით მორწყულ ველზე  
 ყანასაც კი დათესავენ.  
 ღამით ვგოდებ, დღისით მოთქმის  
 ზარს ვარისხებ მნათესავით.  
 ჩემებრ ჯერე არ ტანჯულა  
 ქვეყნად კაცის ნათესავი.

## არავითარი ამ ქვეყნის ნივთი

ღმერთი არა გწამთ, მითხარით, ვინ ვარ?  
 ჩემს გაოგნებას დაუდეთ ზღვარი!  
 არც მუსულმანი არ ვარ მე გულით,  
 არც ქრისტიანთა გზაზე ვარ მდგარი;  
 არც მალრიბელი\* არა ვარ, ვიცი,  
 არც მაშრიყელთა\* მზით ვარ გამთბარი,  
 არც ზღვის ჭიპია სამშობლო ჩემი,  
 არც ეს ხმელეთი, ესოდენ მყარი;  
 არ მომდგამს მიწა, არ მომდგამს წყალი,  
 არ მომდგამს ცეცხლი, არ მომდგამს ქარი,  
 არავითარი ამ ქვეყნის ნივთი,  
 არავითარი იმ ნივთთა დარი;  
 არც ინდოელთა მოვსულვარ მთებით,  
 არც გამივლია ბოლღართა ბარი,  
 არც ვარ ჩინელი, არც – ხორასნელი,  
 არცა ვარ მკვიდრი ერაყის მხარის;  
 არც იმ ედემის იმედი მალხენს,  
 არც ჯოჯოხეთის არ მზარავს ზარი,  
 ადამი არ ვარ და ევაც არ ვარ,  
 არც მზიბლავს მათი სამოთხის კარი;  
 სამკვიდრო ჩემი არ არის არსად  
 და ყველგან ჩემი სამკვიდრო არის,  
 არავითარი ნიშანი არ მაქვს  
 და მარადისი წინ მიდგას დარი;  
 იმ გაორებას ვაქციე ზურგი  
 მე რომ მაწვნია დღეები მწარი,  
 ერთი ვცან მხოლოდ, ერთს ვეძებ მხოლოდ  
 და ენაც მხოლოდ ერთისთვის ვძარი;  
 ის მყავს პირველი, ის არის ბოლო,  
 ის არის ჩემი არსობის ფარი.  
 მხოლოდ მას ვარჩევ მე შორის სხვათა,  
 მხოლოდ მას აქებს დღეს ჩემი ქნარი.  
 ზომ საიქიო არ მწამს და არ მწამს,  
 სააქაოსაც რომ ხელი ვკარი!<sup>64</sup>  
 ტრფობისგან მთვრალი მივენდე რინდებს\*  
 და მაწანწალებს ავუბი მხარი.

მე სიყვარულმა ჩამიდგა სული,  
მაპკურა გულზე ციური ცვარი  
და ჯობს, იქ ტრფობით ვცოცხლობდე, ვიდრე  
უსიყვარულოდ აქ ვეგლო მკვდარი!  
რა საოცარი ბარტყი ვარ, კვერცხში  
დაფვრინავ, თუმცა კვერცხს ჯერ არც აქვს ბზარი!  
ჩაფლულვართ ქვეყნად არსობის ლაფში  
მე, ჩემი მოდგმა და ჩემი გვარი.  
შამს თავრიზელო,\* დავთვერი ძლიერ  
(პირს ძელგი ღვინის მოვიდგი ღარი).  
ახლა წანწალი დავიწყო უნდა  
და იქნებ სადმე შევჩერდე წყნარი.

### საზრიანი ღვთის ბლახა

არაბს ტომრის ორი ცალი,  
პირამდე რომ იყო სავსე,  
აქლემისთვის აეკიდა  
და მოჰქონდა გზაზე ასე.  
ვიღაც კაცი დაემგზავრა  
(ღარიბს ჰგავდა შესახედად),  
არაბს ტკბილად უსალამა,  
არც არაბი ეთავხედა.  
აქეთურზე, იქითურზე  
ისაუბრეს ასე დიდხანს.  
“ამ ტომრებით რა მოგაქვსო?”  
ბოლოს მგზავრმა არაბს ჰკითხა.  
“ხორბალი მაქვს ერთში, ძმაო,  
მეორით კი ქვიშა მომაქვს”.  
“ქვიშა? ტომრით ქვიშის თრევა  
რა ეშმაკმა მოგანდომა?”  
“მაშ, რა მექნა, ცალ ტომარას  
აქლემს როგორ ავკიდებდი!”  
“სრულ ჭკუაზე ვერ ხარ, ძმაო,  
როგორც ახლა გაკვირდები”.  
“იქნებ გზაში დამეყარა,  
ანდა სადმე გამეყიდა!”  
“ორად უნდა გაგეყო და  
აქეთ-იქეთ დაგეკიდა”.  
“ბიჭოს, ეს რა ბრძნული ხერხი  
მოიფიქრე კაცმა ერთმა,  
ეს რა კარგი რამ მასწავლე,  
აგაშენა მამაღმერთმა!  
მოდ, უკან შემომიჯექ,  
ვისაუბროთ გზაზე ტკბილად.  
ბრძენკაცივით მსჯელობ, თუმცა  
მოყმე ჩანხარ ჩემი კბილა.

ვინ ხარ, ძმაო, სადაური,  
 რა კაცი ხარ, ერთი, მითხარ!  
 ასე ჭკუით დატენილი  
 მეფე ხარ თუ ვეზირი ხარ?"  
 მგზავრს ამაზე გაეცინა,  
 არაბს მეტი არც აცალა:  
 "რისი მეფე, რა ვეზირი! –  
 ბოგანო ვარ, მაწანწალა".  
 "საქონელი რაერთი გყავს  
 ან აძოვებ რამდენ აქლემს?"  
 "რა აქლემზე მეუბნები?  
 მოიხედე, კაცო, აქეთ!  
 ერთი ვინმე გლახაკი ვარ,  
 ტიტველი და ძონძიანი,  
 ღმერთმა ასე მომისაჯა  
 სხვის კარდაკარ წოწიალი".  
 "ფული მაინც რამდენი გაქვს  
 შავი ღლისთვის შენახული?"  
 "ან თვალში ვერ იხედები,  
 ან არ გჯერა შენ ნახული.  
 რა ფერია, არ მინახავს  
 თვალით ფარაც გახვრეტილი.  
 ემათხოვრობ და სულს ვინახავ  
 მშიერი და გაღლეტილი".  
 ის არაბი იმ მათხოვარს  
 დააკვირდა მაშინ კარგად  
 (ბიჭოს, მართლაც ღვთის გლახაა,  
 შეძლებულ კაცს მართლა არ ჰგავს!).  
 "წადი, თავი გამანებე,  
 ნუ მოდიხართ ჩემკენ აქეთ!  
 ეს რა ბოთე რამ ყოფილხარ,  
 მიკვირს, წელან როგორ გაქე.  
 მე მიხვედრა არ მაქვს დიდი,  
 ხორბლის ცალად ვათრევე ქვიმას,  
 მაგრამ შენთან შედარებით,  
 როგორც ვატყობ, არა მიშავს.  
 მთლად გონებასუსტი ვიყო  
 და ქონება მქონდეს, ვარჩევ,  
 ვიდრე ვიყო მიხვედრილი  
 და შენსავით გლახად დავრჩე!"

## დედაბერი და ქორი

ერთხელ ერთმა დედაბერმა  
 მონადირე ქორი ნახა,  
 ქალს ფრინველმა გული დაწვა,  
 იწუნა და ივაგლახა.  
 ქორი ქათამს რომ არ ჰგავდა,

ეს დედაბერს არ მოსწონდა, –  
 რა ნისკარტი მოეგრიხა,  
 რა კლანჭები გამოსვლოდა!  
 „ძნელად სულაც არ ყოფილხარ  
 მომხმობისთვის მოსახმობი.  
 ხელზე ფრჩხილებს რად არ გაჭრის  
 დედა, ხელებმოსახმობი?!  
 ან კლანჭები ვით გაგზრდია,  
 ან ნისკარტი რად გქცევია,  
 ფრთები როგორ გაგიჩაჩხავს  
 ბოლო\* როგორ გაგქცევია!”  
 დაფაცურდა ბებრუცუნა,  
 მოიტანა მჭრელი ჯაყვა,  
 ჯერ დააჭრა ქორს კლანჭები,  
 მერე უფრო მაღლაც აჭყვა.  
 ქორის “მოვლას” არ დაზარდა,  
 საქმეც მალე მოათავა:  
 ფრთა და ბოლო დააგლიჯა  
 და ნისკარტიც მოათალა.  
 მერე ეს თქვა: “ამას, ალბათ,  
 შია კიდევ მოუვლელსო.  
 ფეტვი უნდა მოვუხარშო  
 და ფაფაში მოვუღესო!”

## ქუნნი არაბი

არაბს ძალლი უკვდებოდა  
 დავარდნილი შუაგზაზე.  
 ქოფაკს თავზე დადგომოდა  
 და მოთქვამდა მწარედ ასე:  
 “რა ვქნა, აწი მე უშენოდ  
 ვით ვიცოცხლებ, ბასარაო;  
 შენ თუ მოკვდი, ეს მე ვიცი,  
 რას ვიზამ და რას არაო!”  
 ერთი კაცი გზად მავალი  
 წამოადგა მტირალ არაბს.  
 “ჰა, რა მოხდა, რა გატირებს?  
 ღრიალს ვისმენ გულის მზარავს.”  
 “ახ, როგორ თუ რა მატირებს,  
 დავიღუპე, დავიღუპე!  
 ჩემი ძალლი!..” – და ხელახლა  
 ცრემლი წასკდა ღაპაღუპით.  
 “ძალლი ერქვა, თორემ ისე  
 არ ვარჩევდი, ძმაო, შვილში.  
 ან ერთგული არ მყოლოდა,  
 ან ჰქონოდა ქურდის შიში!  
 დღე დამყავდა სანადიროდ,

ხოლო ღამე მდარაჯობდა.  
 ღმერთო, ამას რომ მიკლავდი,  
 მე მოგეკალ, არა ჯობდა?!  
 ყურცქვიტი და თვალმანვილი  
 ჩემს კარებთან მდგომი იყო.  
 ხალხს ეგონა, ძალლი მყავდა,  
 არა, ხალხო, ლომი იყო.”  
 “საწამლავი ჩაჰყვა ალბათ  
 და იწვნია ვნება სრული.”  
 “არა, რისი საწამლავი,  
 შიმშილისგან ძვრება სული.”  
 “კარგი, გეყო მწუხარება,  
 ცრემლი შენი ზღვასაც ერთვის.  
 გაძლო უნდა, სხვა რა გზაა,  
 მოწყალეა ძალლა ღმერთი!”  
 მერე ჰკითხა: “ამ გუდაში  
 რა გიძევსო მძიმე ასე?”  
 “რა მექნება, სურსათით და  
 სანოვავით არის სავსე.  
 საჭმელ-სასმელს ვერ მოვიკლებ,  
 ნოყიერად მიყვარს ჭამა,  
 ამიტომაც თან სულ საჭმლით  
 გატენილი გუდა დამაქვს”.  
 “ეს კი, მაგრამ შენს ძალლს მშვიერს  
 ვერ აჭამე, თუ ასეა?”  
 “ძალლს ვაჭამო? ეს რას ამბობს,  
 შეშლილა თუ ჭკუაზეა?!  
 ძალლი მიყვარს, მაგრამ მისთვის  
 ვერ მოვუკლებ ამ ჩემს გუდას.  
 ცრემლი რაა, მუქთი არის,  
 ხოლო საჭმელს ფული უნდა!”

## სანთლით ხელში დღისით-მზისით

ერთი კაცი სანთლით ხელში  
 დადიოდა დღისით-მზისით.  
 რას ეძებდა, არ იცოდნენ,  
 გაუკვირდათ ქცევა მისი.  
 ერთმა უთხრა: “კაცო, შენი  
 საქმე მიკვირს მეტიხმეტად,  
 ამ მზე-პაპანაქებაში  
 რას დადიხარ სანთლით, ნეტა?!”  
 მან მიუგო: “ჩემო ძმაო,  
 ვერ ვპოულობ, ვისაც ვეძებ.  
 ან რა წყალში გადავვარდე,  
 ანდა რა კლდეს უნდა ვეცე!  
 კაცს ვეძებ და ვერ ვიპოვე,

ყოფა ჩემი საზარია.”  
 “კაცო, კაცის მეტი რაა;  
 შენე აგერ, ბაზარია!”  
 “მე ისეთ კაცს ვეძებ, ძმაო,  
 არ მისდევდეს ორსა გზასა:  
 გზასა მრისხანებისა  
 და ვნებათაღელვისასა.  
 მე კაცს ასეთს ვერ ვპოულობ  
 და სანთლითაც ვეძებ ღღისით.  
 თუ ვიპოვე, ფეხთ ვემთხვევი,  
 ჩემი თავი ალალ მისი!”

## მაცემული და აიაზი

ერთხელ თურმე მაცემულ დაზნელს  
 ხორასანის მორჭმულ\* მეფეს  
 ესხა ნაზირ-ვეზირები,  
 გაეშალა სუფრა სეფე.\*  
 უცებ მეფემ მარგალიტი  
 ამოიღო მსხვილზე მსხვილი,  
 თავის ვეზირს მიაწოდა,  
 მიანათა თეთრად სხივი.  
 უთხრა: “ჩემი ვეზირი ხარ,  
 შემეფასე, რა ღირს ესო?”  
 “ერთ საპალნე ოქროდ გავა,  
 რა დღეს იტყვი, იმავე დღესო.”  
 “აბა მიდი, დაამტვრიე,  
 დაგემტვრიოს კენჭი თითქოს!”  
 ვეზირს ფერი წაუვიდა:  
 “რა შეგცოდე, მეფე, ვითომ?!  
 ეს ობოლო მარგალიტი,  
 ფასით ძლივს რომ დავაფასე,  
 როგორ უნდა დავამტვრიო,  
 როგორ უნდა გიმტრო ასე!”  
 მეფემ ვეზირს დაუმაძღა  
 და უბოძა საჩუქარი,  
 გამოართვა მარგალიტი  
 ბნელი ღამის მაშუქარი.  
 კვლავ გააბეს მასლაათი,  
 ერთურთს თასით ღვინო ასვეს,  
 ილზინეს და იბაასეს  
 და გაერთო მეფე ასე.  
 უცბად იგივე მარგალიტი  
 მეფემ მისცა თავის ეჯიბს:\*  
 “თქვი, რა იცი ამის ფასის,  
 მიპასუხე, ნუკი ხვნიში!”  
 “ნახევარი სახელმწიფო

ეღირება, თუ არ მეტი.”  
 “აბა მიდი, დაამტვრიე,  
 ქვა აილე ანდა კეტი!”  
 “ნუ, მეფეო, გევედრები,  
 ნუ მიბრძანებ ასეთ საქმეს,  
 ან ეს ცოდო არ ამკიდო,  
 ან მომკალი ახლავ აქვე!  
 მარგალიტის დასამტვრევად  
 ვით აღვმართო, მეფეო, ხელი.  
 ხელი\* არ ვარ, თუმცა იქნებ  
 გეჩვენები ჭკუათხელი!”  
 მეფემ მასაც დაუმაძღლა  
 და ხალათი მისცა მასაც.  
 ჯამაგირი გაუდიდა,  
 სამსახური დაუფასა.  
 მარგალიტი ამის შემდეგ  
 ერთ ამირას\* გაუწოდა  
 და უბრძანა, ეპასუხა,  
 იმის ფასზე რა უწყოდა.  
 ამირამაც იმ მარგალიტს  
 დიდი დასდო მეტად ფასი.  
 დამტვრევაზე უარი თქვა  
 და გაგრძელდა საქმე ასე.  
 სათითაოდ მიჰყვა მეფე  
 და სუყველამ ასე უთხრა.  
 მეფემ ყველას დაუძღლა,  
 განიკითხა ყველა უხვად.  
 მარგალიტი ხელით ხელში  
 აგოგმანეს აი, ასე  
 მანამ, სანამ ბოლოს ჯერი  
 არ მივიდა აიაზზე.  
 მარგალიტი მან აიაზს  
 გაუწოდა, თავის მონას:  
 “თავად ხედავ, ამ მარგალიტს  
 ფასი დასდეს ქვეყნის წონა.  
 შენ რას იტყვი, მეგობარო,  
 რა ღირს იგი, შენი ფიქრით?”  
 “რაც უნდა ვთქვა, მასზე მეტი  
 ეღირება, მეფეო, იგი.”  
 “აბა მიდი და ახლავე  
 დაამტვრიე აქვე ჩქარა!”  
 ... არ მოტყუვდა აიაზი,  
 არ დაიბნა, არა, არა.  
 აიღო და მარგალიტი,  
 ვერ მიუსწრო ვერვინ, ისე  
 მეფისა და ხალხის თვალწინ  
 დაამტვრია იქვე მყისვე.  
 ამისთანა მძიმე საქმეს  
 განა მშვიდად ემზირება!



ჩოჩქოლი და მიხლა-მოხლა  
 შექნეს ნაზირ-ვეზირებმა:  
 “ეს რა ქნაო ამ ვერაგმა,  
 მეფე როგორ აზარალა!  
 თვისი მეფის ერთგულების  
 არ ესმისო მას არა-რა!”  
 მაშინ კი მათ აიაზმა  
 შეუძახა: “ფუჭად ბრაზობთ.  
 განა მეფის ბრძანებაზე  
 მარგალიტი უფრო ფასობს?!  
 თქვენ რას შვრებით, დაუფიქრდით,  
 ვით მიეცით მაცდურ ვნებას,  
 მარგალიტი არჩიეთ თქვენ,  
 ბრიყვნო, მეფის თქვენის ნებას!  
 გზას ამცდარხართ, უბედურნო,  
 გაჰყოლიხართ ავსულს ვერაგს.  
 თქვენ მარგალიტს ხედავთ მარტო,  
 ხოლო მეფეს თქვენსას – ვერა.  
 მე თვალს მეფეს არ ვაშორებ,  
 აღსავსე ვარ მეფით ერთობ.  
 როგორ, განა წარმართი ვარ,  
 ქვის ნატეხი გავალმერთო!  
 ეს იგავი დაისწავლეთ,  
 ეს გახსოვდეთ მაგალითი:  
 მხოლოდ მეფის, მხოლოდ მეფის,  
 ბრძანებაა მარგალიტი!”  
 დიდებულებს (ეს სიმართლე,  
 როგორც წმინდა აიაზმა,  
 როცა ასე დააფრქვია  
 გულით წრფელმა აიაზმა)  
 მრისხანება გაუნელდათ,  
 დაცხრა ყალბი აღტაცება,  
 ძირს ჩაქინდრეს მძიმედ თავი,  
 სახელმწიფოს თავკაცებმა.  
 დაეკარგათ გულზვიადებს  
 დიდკაცური მიხრა-მოხრა,  
 დააბნელა საკრებულო  
 გულდამწვართა შავმა ოხვრამ.  
 და მაშინ კი შაკ-მაჰმუდმა  
 თავის ერთგულ ჯალათს უხმო:  
 “წაიყვანე ეს წუწკები  
 და თავები დასჭერ უხმოდ!  
 ეჭვი არ მაქვს, არ ვუყვარვართ,  
 გვატყუებენ კბილის კრეჭით,  
 ჩვენი ნების შესრულებას  
 ურჩევნიათ თეთრი კენჭი!”  
 როცა მეფემ მათ სიცოცხლე  
 ასე მოკლედ დაუვადა,  
 წამოვარდა აიაზი

და ფეხებში დაუვარდა.  
ეხვეწა და ეთაყვანა:  
“ჰე მეფეო მეფეთაო,  
არ გადარჩა ქვეყნად, ვისაც  
შენი რისხვა ეფეთაო.  
ხოლო ვისაც ფრთათა შენთა  
ჩერო ფარავს, იგი ხარობს,  
შენა ხარო შეგების წყარო,  
კაცთ ვინც წყალობს, შენა ხარო!  
ამათ ახლა მხოლოდ შენი  
იმედია აბადიათ.  
აპატე, გევედრები!”  
... და მეფემაც აპატია.

## თაგვისა და ბაყაყის მეგობრობა

ერთხელ თაგვი და ბაყაყი  
ერთურთს შეხვდნენ რაღაც ბელად,  
ჯერ გაიცნეს ერთმანეთი,  
იჭუპკჭუპკეს მერე ერთად.  
უერთურთოდ ველარ ძლებდნენ,  
შეეჩვივნენ ერთურთს ისე.  
შეიყვარეს ერთმანეთი,  
შეიტკბეს და შეითვისეს.  
ერთ დღეს თაგვმა ბაყაყს უთხრა:  
“ჩემო ძმაო ყვაჭიჭინა,  
შორიშორი ასე ყოფნამ,  
ხედავ, საქმე გაგვიჭირა.  
მე ხმელეთზე ვცხოვრობ, აგერ,  
შენ კი წყალში გიდევს ბინა.  
პაემანზე ხან მე გასწრებ,  
ხან შენ მოხვალ ხოლმე წინა.  
მე რომ წყლის პირს მოვადგები  
და შენ რომ არ მხვდები აქო,  
გეძახი და აქეთ-იქით  
მიმოვრბივარ, როგორც მაქო.  
მე გეძახი, შენ არ გესმის,  
ველარ ვხვდებით ერთურთს ძმები,  
რა მოყვრობა გამოვიდა,  
ერთად ყოფნით თუ ვერ ვძლებით!  
მოდი, ისე გავაკეთოთ,  
არ ჩამოვწყდეთ ლოდინითო,  
ერთმანეთთან შეყრის დარდი  
გულს არ გვაწვეს ლოდივითო:  
ერთმანეთის მოსაგვრელად  
გამოვიბათ ფეხზე ძაფი.  
შენ ძაფს მოსწევ, მე შევიგრძნობ

და წამოვალ შენკენ სწრაფვით.  
 მე როდესაც მომინდები,  
 გამოვქაჩავ იმ დაფს ჩემკენ,  
 შენ მოხვალ და შევიყრებით  
 და ვიქნებით ასე შემდეგ.”  
 ყვაჭიჭამაც იმ წრუწუნას  
 მოუწონა მოსაზრება  
 და გაიქცნენ მაშინათვე  
 სადმე დაფის მოსაძებნად.  
 დაფი სადღაც დაითრიეს  
 და მოიბეს ფეხზე იგი.  
 აქეთ ჩვენი თაგვი ება  
 და ბაყაყი ება იქით.  
 ერთხანს ასე ნეტარებდნენ  
 ის ბაყაყი და ის თაგვი,  
 სანამ მძიმე ფათერაკის  
 არ დაეცათ თავზე რაგვი.\*  
 ერთხელ თაგვი დაფმობმული,  
 ფეხზე ადგა თურმე ნავსზე,  
 სად იყო და სად არ იყო,  
 ზედ დააცხრა ძერა თავზე.  
 თაგვი ცაში აიტაცა,  
 აიწია ნება-ნება.  
 ხელავს, მოსდევს თაგვს ბაყაყიც  
 (ის ზომ იმ თაგვს დაფით ება!).  
 ხალხმა მალლა აიხელა,  
 უცხო სურათს უწყო ცქერა:  
 “სად ძერა და სად ბაყაყი!”  
 გადახედეს ერთურთს ცერად.  
 ბაყაყს მწარედ გაეცინა:  
 “რას ერჩიან, ნეტავ, ძერას!  
 ვინც სხვის მოდგმას იმეგობრებს,  
 ასეთია მისი წერა.”

## მიდი მერე და იძიე!

ერთხელ ერთ კაცს ვიღაც უცხო  
 კაცი სახლში მოუვარდა.  
 იმ საცოდავს ხან ცხელოდა,  
 ხან ციება მოუარდა.  
 მასპინძელი შეეკითხა:  
 “კაცო, ვინ ხარ, მითხარ, შენო;  
 ვის გაურბი, რა მოგსვლია,  
 საბერველის მსგავსად ქმენო;  
 ასე რისი გეშინია?  
 აღარ გაძევს კაცის ფერი.  
 ნუ კანკალებ, დაჯე აგერ,

მომიყევი ყველაფერი!”  
მან ქლოშინით უპასუხა:  
“სადაღავად ვირებს კრებენ.  
რაც ვირია, ლაშქრობისთვის  
მიუყვანონ უნდა მეფეს!”  
მასპინძელი სახტად დარჩა:  
“აგროვებენ, ვთქვათ და, ვირებს.  
შენ ხომ ვირი არ ხარ მერე  
და რად შიშობ, ეს მაკვირვებს?!”  
იმ დამფრთხალმა უპასუხა:  
“კი, კაცი ვარ, ამბობ მართალს,  
მაგრამ იმათ არ-რა ახსოვთ  
ახლა ვირის ჭერის გარდა.  
დაგიჭერენ, დაგდალავენ,  
ნუ მდაღავთო, თუმცა ყვირი.  
მიდი მერე და იძიე,  
კაცი იყავ შენ თუ ვირი!”

## უფლის ნებით მოქურდული

ერთი ქურდი ვილაც უცხო  
კაცის ბალზე აძვრა ერთხელ.  
აუყვა და სულ გაჭამა,  
რაც კი ესხა ბალი ერთ ხეს.  
ბლის პატრონმა დაინახა  
და უყვირა: “ვინ ხარ მანდო?”  
“შიში ნუ გაქვს, არხეინად  
შეგიძლია, ბალი მანდო!  
მე ამქვეყნად გაჩენილი  
ვარ, ბატონო, უფლის ნებით.  
უფალმავე გააჩინა,  
რაც კი არის ქვეყნად ბლები.  
უფლის ნებით ამოვძვერი  
მე ამ ხეზე ასე მალლა  
და უფლის ძე ბალს უფლისას  
შევექცევი ტკბილად ახლა”.  
ბლის პატრონმა ბიჭს გასძახა:  
“მომიტანე, ერთი, თოკი! –  
ამ კაცს უნდა განვუმართო  
უფლის მცნება ზოგი-ზოგი.”  
ქურდი იგი ხეს მიაბა,  
ჩამოვიდა როცა ბლიდან,  
მივიდა და იმდენი სცა,  
თვლიდა, მაგრამ ველარ თვლიდა.  
ქურდმა მწარედ იღრიალა  
და ბლის პატრონს უთხრა ვიშით:  
“რას მიშვრები, უფლის მაინც

არა გაქვსო, კაცო, შიში?”  
ბლის პატრონმა უპასუხა:  
“რისი შიში უნდა მქონდეს,  
უფლის ნებით უფლის მონას  
უფლის ჯოხით ვცემდე ოდეს?”

## ორი მდიდარი

ერთხელ თურმე ავაზაკნი  
ოლუზიანთ თურქთა ტომის  
ერთ ღიდ სოფელს თავს დაესხნენ,  
გადიხადეს ცხარე ომი.  
მყის გაკოჭეს ორი კაცი  
მამულის და ფულის მქონე.  
ერთ-ერთს მოკვლა დაუპირეს  
და საბელი გაუქონეს.  
იმ საწყალმა იღრიალა:  
“ვაჟკაცებო, გმირნო დიდნო,  
უცოდველი სისხლი ჩემი  
რისთვის გინდათ ქედზე იდოთ!  
ჩემი მოკვლა რად დაგჭირდათ,  
არ მაქვს თქვენთან მტრობის თავი,  
ერთი ვინმე კაცი ვარო,  
ღარიბი და საცოდავი.”  
“შენი მოკვლა მისთვის გვინდა,  
საქმეს ვიზამთ საჩვენოსო,  
შენს მეზობელს შეეშინდეს  
და ფულები გვაჩვენოსო.”  
“თუ ასეა, თქვი, შე კაცო,  
რაღა მე მკლავთ? განა არ ჯობს,  
რომ ის მოკლათ, მე შევშინდე  
და ფულები ჩამოვყაჭო?!”

## რატომ არ ვიცი, ვინა ვარ?

დღე ამას ვდარდობ შუმი და საღა,  
ღამით ფიქრები ამიდის ცადაც,—  
რატომ არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ,  
ასე რეგვენი რაღა ვარ, რაღა?  
რაისთვის მოველ ამ ქვეყანაზე,  
აქეთ ვინ მხადა\* ან რატომ მხადა;  
საით მომიწევს აქედან წასვლა,  
სამკვიდრო ჩემი სად არის, საღა?  
მიკვირს და მიკვირს, რატომ დამბადა,  
ამ ქვეყანაზე ვინც მე დამბადა;

და თუ დამბადა, რატომ დამთრგუნა,  
 ამქვეყნად მოსვლა ღირდა კი ანდა?  
 ბარგი-ბარხანა ავიკრა უნდა,  
 გასამგზავრებლად რომ ვიყო მზადა,  
 მივდივარ მასთან, ამქვეყნად ყოფნის  
 გავიდა ყველა ყავლი და ვადა.  
 ნეტავი იმ დღეს, შენს შესაყრელად  
 როცა ვიქნები გასული გზადა!  
 ნეტავი იმ დღეს! – საიმნეჭტარო  
 უკვე აღმედრა აქედან მადა.  
 ვინ არის ის, ვინც ამიდგა ენა,  
 ვინც მე მამლერა და მალაღადა?  
 ვინ არის ის, ვინც მომაპყრა სმენა  
 კაცს გადაქცეულს მღერად და ხმადა?  
 გზა საით მიძევს, არავინ მითხრა,  
 ქვეყნად პატივი არავინ მცა და,  
 თავად უმწეო გონებამ ჩემმა  
 მიგნება მისი ამაოდ სცადა.  
 დამათვრე ღვინით, დამათვრე ღვინით,  
 რომ გალეშილმა ვთქვა: “მიდი, ჰკა!” და  
 მარადისობის დილეგის ბჭენი  
 წიხლების ცემით დავლეწო მთლადა!  
 აქ ნებით ჩემით როდი მოვსულვარ  
 ან როდი დავალ ბარად და მთადა,  
 ვინც მომიყვანა, წაყვანად მოვა,  
 ვითა მთესველი – თავთავთა მკადა.  
 თუ არ ვსვი ღვინო, როგორ ვიმღერო!  
 რომ დავლეგ, მყისვე ვიქცევი სხვადა.  
 ლექსის სათქმელი ენა მიშრება,  
 მასვი, ლექსები ვადინო ზღვადა!  
 შამს თავრიზელო,\* ოლონდ მეჩვენე,  
 ოლონდ გამეცი შორიდან ხმა და  
 მზად ვარ, ეს მძორი დავაგლო აქვე!  
 დრო დადგა, ხანჯლის მოვსინჯო ვადა?

## ქარი და ტირიფი

შეიცვალა ერთხელ დარი  
 და მიუხტა ტირიფს ქარი.  
 გაკვირვებით შეეკითხა:  
 “რად გადაგდის პირზე ძმარი?  
 მე მეგონა, მშვიდად იყავ  
 და მყუდროში იდექ წყნარი,  
 შენ კი ტოკავ და თავს იკლავ,  
 დაგცემოდეს თითქოს ზარი.”  
 “ქარო, განა შენ არ იცი,  
 ვის გავუღე გულის კარი?

მე იქ თავს ვით შევიმაგრებ,  
 სადაც მიტევს მძლავრი ქარი!  
 განა შენ არ ამატოკე,  
 განა მხარი შენ არ მკარი,  
 განა შენ არ გადამძალე,  
 განა ასე შენ არ მძარი;  
 თავბრუ შენ არ დამახვიე,  
 შენ არ მასვი ღვინო მწარი,  
 გულში ძარღვი ჩამიწყვიტე,  
 გამიჩინე სულში ბზარი!  
 ტრფობის ღვინო ვინც იგემა,  
 ვინ გინახავს ფეხზე მდგარი?  
 დალოცვილო, მეც ღვინო ვსვი,  
 განა წყაროს წყალი მტენარი!”  
 ამ იგავის არ იყოს, მეც  
 მეტყვის გულის მეგობარი:  
 “ეს რას ჰგავსო, რა მოგდისო,  
 რატომ გდისო ცრემლი ცხარი?”  
 “მეგობარო, როგორ გითხრა,  
 თუ ვით მეძრა მთა და ბარი,  
 შენი ქარი ვით მატოკებს,  
 ვით მახრუნებს შენი ღარი?!  
 ბრძენმა მკითხა: “რაც არ ჰგვიეს,\*  
 ის თუ ზეობს, ეს მითხარი?”  
 მე მას ჯიქურ ვუპასუხე,  
 განა გულში წილი ვყარი:  
 “სანამ შენ თავს ეფარები,  
 არსობის ბჭე არ გაქვს მყარი.  
 უარყავი თავი შენი  
 და არსობა დაიპყარი!  
 სატრფოს ტუჩს რომ ეტანები  
 და იადონს კოცნი მყვარი,\*  
 შენ ვინ ხარ და ის ვინ არი,  
 ხართ ერთურთის თანაბარი?  
 ჩვენ სალაძურს მისთვის ვკოცნით,  
 ის კი უკრავს, როგორც ქნარი,  
 შიდა არსი რომ არ უძევს,  
 გარსი კი აქვს გამომხმარი.  
 შენ თუ სატრფოს კოცნა გინდა,  
 ხარბი ნუ ხარ, უმაძლარი,  
 შეიძულე ეს საწუთრო  
 ბინძური და საზიზღარი!  
 ერთი ტურფა ბალი ვნახე  
 სულ წაღკოტი, სულ ვარდნარი,  
 არც ამ სოფელს ემიჯვნოდა,  
 არც იმ სოფლად ჰქონდა ზღვარი.  
 “ბალო, ბალო, — მე ვუთხარი, —  
 მთლად ედემის რომ ხარ ღარი,  
 რა ბალი ხარ ამისთანა? —

გამაცანი შენი გვარი!”  
 მიპასუხა: ”ის ბალი ვარ,  
 სულ რომ ნამავს ნაზად ცვარი,  
 ვერც ზაფხულის სვატი მანძობს  
 და ვერც მაზრობს ზამთრის ღვარი,  
 ბრიყვმა თვალით ვერ მიხილოს,  
 ვარდის წილ ხელთ შერჩეს ნარი.  
 და ნეტარ არს კაცი იგი,  
 ვინც ჩემს გზაზე არის მდგარი!”  
 მიტომ გეტყვი, მეგობარო,  
 ყური კარგად მომაპყარი:  
 თუ მზის თვალმა არ შეხედა,  
 ვერ იხარებს შენი ზვარი.  
 გეზი მზისკენ დიჭირე,  
 აუქციე წყვდიადს მხარი!

### “მედოლე” ქურდი

ერთხელ თურმე ერთი ქურდი  
 ღამის წყვდიადს მიეფარა,  
 ერთი კაცის სახლს მიაღვა,  
 ფეხაკრეფით მიეპარა.  
 დაყოვნება არ ვარგოდა,  
 გამოიღო მარჯვედ ხელი,  
 ქვა ქვას ურტყა და საძირკველს  
 გაუკეთა ვიწრო ხვრელი.  
 სახლის პატრონს ხმა მოესმა,  
 გამოვარდა ბანზე მყისვე.  
 მიაყურა, ქვების რეხვა  
 მოისმოდა ქვემოთ ისევ.  
 ჩაიხედა და რას ხედავს! —  
 კაცის ლანდი ზეზე ახტა.  
 “ვინ ხარ, კაცი, შუალამე  
 რა გინდაო ამ ჩემ სახლთან?  
 შიში ნუ გაქვს, მიპასუხე,  
 როგორც ძმას და გულის ტოლსო!”  
 “მედოლე ვარ ...”  
 “მედოლე ხარ?  
 აქ რას შვრები?”  
 “ვუკრავ დოლსო.”  
 “კი მაგრამო, — გაიკვირვა, —  
 რომ არ მესმის დოლის ხმაო?”  
 ქურდმა უთხრა: “შენ ამაზე  
 არ იდარდო, ჩემო ძმაო!  
 ცოტა კიდევ დაიცადე,  
 გათენდება მალე თანაც,  
 ხმა მოგივა, უკეთესი  
 რომ არ უნდა, იმისთანა!”



## მენავე და გრამატიკოსი

ერთხელ ნავში იჯდა ერთი  
გრამატიკოსი მცოდნე კაცი.  
მენავის წინ მედიდურად  
აიბოტა, როგორც ვაცი.  
“შენო, – ჰკითხა, – გრამატიკოსი  
თუ იციო რამე მაინც?”  
“რა ბატონო? – უპასუხა, –  
ვერ გავიგე, რაი, რაი?”  
განსწავლულმა ნიშნი უგო  
და ზედ ხალხი მოაქუჩა:  
“ნახევარი სიცოცხლისა  
დაგიკარგავს, ძმაო, ფუჭად.”  
ჩვენს მენავეს გული ჩასწყდა,  
აიწურა, როგორც ბავშვი,  
მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს  
ან რა უნდა ეთქვა მაშინ.  
... უცბად ქარი ამოვარდა  
და მოასკდა ტალღას ტალღა.  
იმ გრიგალში იმ მენავემ  
გრამატიკოსს ჰკითხა ახლა:  
“თქვენო ცურვა თუ იცითო? –”  
სიტყვებს უწყო განგებ წურვა.  
“ცურვა? – გრამატიკოსი მცოდნემ  
– არ ვიციო, – უთხრა, – ცურვა.”  
“თუ ასეა, მაშ სიცოცხლე  
დაგიკარგავს სულმთლად, ბიძი,  
რადგან ნავი იძირება,  
ხოლო ცურვა შენ არ იცი.”

## დიდგულა ყაზვინელი

ყაზვინელებს დასცინიან  
და კიდევაც ახი არი, –  
ცოტას მოირეგვენებენ,  
ცოტა ბოთე ხალხი არი.  
ჩვევად მოსდგამთ, კალამ-ნემსით  
იხატავენ მხრებს და ბეჭებს,  
მათ მკლავებზე ლომებს სძინავთ  
და ვეფხვები კბილებს კრეჭენ.  
ჩვეულებას არ დალატობს  
არა ჩვილი, არა ბერი,  
სხეულს ნემსით იჩხვლეტავენ  
ისე, თითქოს არაფერი.  
ერთხელ ერთმა ყაზვინელმა  
მიაშურა სადალაქოს, –  
სხვებს თუ ტანი მოუხატავთ,

მე ნახატი რად არ მაქო!  
 “რა სურათი დაგახატო?”  
 როს დალაქმა ჰკითხა მუშტარს, –  
 “ეს რა საკითხავიაო! –  
 ყაზვინელმა უთხრა კუმტად, –  
 მე ლომგული კაცი ვარო,  
 ჩემი საქმე ომი არის,  
 ტანიც უნდა დამქონდესო  
 გულმძვინვარე ლომიანი.”  
 “მაშინ ბარემ ესეც ბრძანე,  
 დაგახატო ლომი სადო?”  
 “ზედ ბეჭებზე დამასკუპე! –  
 რა ხელი გაქვს, უნდა გცადო.  
 როცა ომში გადავეშვები  
 და მომიწევს ცხარე ბრძოლა,  
 მე ძალ-ღონე მომემატოს,  
 მტერს – ზარი და შიშით ძრწოლა!”  
 და დალაქმაც იმ ყაზვინელს  
 წვრილი ნემსით უწყო ჩხვლეტა.  
 ტანში ნემსი მიჩხვლიტესო! –  
 შეგეხედათ მისთვის, ნეტა.  
 აღრიალდა: “რას მიშვრები,  
 რას მახატავ ასე მტკივანს?!  
 ვერ გავუძლებ შენს ხელობას,  
 თუმც ძლიერი კაცი კი ვარ.”  
 “აკი ლომი დამახატე  
 ზედ ბეჭზეო, ასე ბრძანე!”  
 “გითხარ, მაგრამ იმ ვერანას  
 განა რა აქვს ასე მწარე?”  
 “ლომის კუდის ხატვა ვიწყე,  
 მას გიჩხვლეტდი ბეჭის ქვემოთ.”  
 “რა ბედენა კუდი არი,  
 კუდს მოეშვი, ძმაო ჩემო!  
 თორემ ლომის კუდის გამო  
 მე დამადგა აქ დღე ცუდი,  
 ჯობს, ისევ მე შემრჩეს სული,  
 ვიდრე იმ ლომს – მისი კუდი!”  
 და დალაქიც რას იზამდა,  
 ახლა სხვა მხრივ უწყო ჩხვლეტა.  
 მაგრამ ჩხვლეტა ჩხვლეტა არი,  
 განსხვავება რაა, ნეტა!  
 იღრიალა ყაზვინელმა:  
 “რას უხატავ მაგ ლომს ახლა?”  
 “ახლა ლომის ყურებს ვხატავ,  
 მიტომ გჩხვლეტდი უფრო მაღლა.”  
 “ყურის ხატვას ხელი უშვი,  
 თორემ, ძმაო, გული მიმდის,  
 ლომს ყურები რომ არ ჰქონდეს,  
 რა იქნება ვითომ მითი!”

ადგა ჩვენი დალაქი და  
 სხვაგან იწყო ჩხვლეტა ნემსით.  
 ყაზვინელი ისევ ბლავის:  
 “დაიცადე, ძმაო, გესმის?  
 ასეთ მწარეს რას მახატავ,  
 რა ნაწილსო ლომის ტანის?”  
 “ლომის მუცელს გახატავდი,  
 სწორედ ამ დროს მომისწარი.”  
 “შენ რომ იქით ნემსით მჩხვლიტო,  
 მე აქ სული ამომხდება.  
 ვითომ იმ ლომს ის მუცელი  
 რომ არ ჰქონდეს, რა მოხდება!”  
 და ბლავდა ყაზვინელი: –  
 “ცოტა ჩხვლეტას დაუკელი!” –  
 როგორც ხარი დასაკლავი  
 და ჯერ კიდევ დაუკვლელი.  
 იმ დალაქმა სიმწრისაგან  
 ყელს დაისვა ლამის დანა:  
 “ხალხო, ვინ ხართ, ვის გინახავთ  
 ხათაბალა ამისთანა?  
 უკუდო და უმუცელო  
 ლომი ვინ თქვა, მითხარ, ერთი?  
 ლომი ღმერთმა გააჩინა,  
 მე ხომ არ ვარ ლომის ღმერთი!  
 შე ოხერო, თუ ვერ იტან  
 ნემსის ჩხვლეტას და მის ტკივილს,  
 აქ რა გინდა, ტანს რად იჩხვლეტ  
 და ქალივით რისთვის კივი?!”

## ყრუ და ავადმყოფი

ერთ ყრუს თურმე მეზობელი  
 განდომია ერთხელ ავად.  
 მისი ნახვა გადაწყვიტა, –  
 ვეწვიოლ უნდა თავად.  
 მაგრამ თავად ყრუ რომ იყო,  
 გულზე აწვა ამის ქუში.  
 რას მეტყვის და რა ვუთხრაო?  
 თათბირობდა თავის გულში.  
 ეს ამბავი აფიქრებდა,  
 დაიტანჯა კაცი მეტად.  
 რომ არ ნახოს, არ ივარგებს,  
 თუ არადა, რა ქნას, ნეტა?  
 ბოლოს ასე გადაწყვიტა,  
 მოიფიქრა საქმე ასე  
 (რომ გეკითხათ, კაცი იყო  
 ჭკუითა და სიბრძნით სავსე):

როცა მივალ, ასე ვკითხავ:  
 “როგორ ხარ-თქო, ჩემო ძმაო?”  
 ალბათ ასე მიპასუხებს:  
 “რა ვქნა, ვარო, ისე რაო.”  
 “მადლობა ღმერთს!” – ასე ვეტყვი.  
 “რას გაჭმევენ?” – ვკითხავ მერე.  
 “ფარეზები\* მითხრეს მხოლოდ  
 და მეც, რა ვქნა, დავუჯერე.”  
 ასეთ ქცევას მოვუწონებ,  
 “შეგარგოს-თქო! – ვეტყვი, – ღმერთმა!”  
 “ვინ გმკურნალობს?” – “ეს და ესო –  
 მეტყვის – ყველა აქებს ერთხმად.”  
 “ღმერთმა ხელი მოუმართოს! –  
 მე პასუხად ვეტყვი შემდეგ,  
 მისი ქება მეც მსმენია,  
 მორჩენილხარ, მას თუ ენდე.”  
 გულში ასე ითათბირა  
 და გასწია ავადმყოფთან.  
 მიეფერა, მიეტკბილა,  
 კარგს ვერაფერს ვერ ატყობდა.  
 “როგორ ხარო?” – ჯერ ეს ჰკითხა.  
 მან მიუგო: “კკვდები კაცი!..”  
 “მადლობა ღმერთს! – უპასუხა, –  
 არა გიშავს აბა აწიც.”  
 “საჭმელს მაინც რას ეწყოები?”  
 მან სნეულმა უთხრა: “შხამსო!”  
 “შეგარგოსო! – ყრუმ დალოცა, –  
 მოუხდება, ვინც მას ჭამსო.”  
 “მკურნალობით ვინ გმკურნალობს?” –  
 ყრუმან ჰკითხა შემდეგ ამის.  
 “მიქელ-გაბრიელი მადგას!”  
 (გადირია კაცი ლამის).  
 “ღმერთმა ხელი მოუმართოს!  
 სწორედ მასთან ვიყავ ახლა,  
 შენი სახლი მოვასწავლე  
 და საცაა კიდევ გნახავს.”

## მონუცი ოქრომჭედელი

ოქრომჭედელთან მივიდა  
 მონუცი ოქრომჭედელი  
 (გადამთიელი არ იყო,  
 დუქანს უყოფდა კედელი).  
 “ერთი, სასწორი მათხოვე,  
 ოქრო ავწონო უნდაო!”  
 “საცერი არ მაქვს, ბატონო,  
 რომ მქონდეს, მოგცემ უდავოდ.”

“ბიჭო, საცერი რად მინდა,  
 სასწორი გთხოვე, ყანთარი.”\*  
 “ცოცხი არა მაქვს, ღმერთმანი,  
 თუ გჯერა სიტყვა მართალი.”  
 “კაცო, რას მიედ-მოედე!  
 კარგი, გეყოფა სუმრობა,  
 სასწორი მინდა, გაიგე,  
 და ამისი მაქვს სტუმრობა.”  
 ოქრომჭედელმა მიუგო:  
 “მესმის, ყრუ ხომ არ გგონივარ?  
 მე შენისთანა სტუმარი  
 ვიცი, რისთვისაც მომივა.  
 რად ამეტუზე, კი ვიცი,  
 მოხუცო, ღუქნის კარებთან.  
 როცა ხელსაქმეს უჯექი,  
 ხელები გიკანკალებდა.  
 გულში ვთქვი: ამას რა ძალუმს,  
 ერთი ბებერი კაცია.  
 ისე ცახცახებს, იფიქრებ,  
 ეს არის, ახლა აცია.  
 ხელში აიღებ თუ არა  
 ოქროს პატარა ნამცეცებს,  
 ვიცი, რომ დაგიცვივდება,  
 თვალს აქეთ-იქით აცეცებ.  
 მაშინვე ჩემთან გადმოხვალ  
 ისე, ვით ახლა მოხვედი,  
 რომ ჩემგან ცოცხი ითხოვო  
 და ნამცეცები მოხვეტო.  
 მიწას მოხვეტავ თუ არა,  
 არც აციებ და აცხელებ,  
 მოხვალ და ახლა საცერი მთხოვ,  
 რომ მტვერი იგი გაცხრილო.  
 ეს ყველაფერი წინასწარ  
 გონების თვალით განვჭვრიტე.  
 წადი ახლა და ნუ მოხვალ,  
 კიდევ თუ რამე დაგჭირდეს!”

## მთვრალი და მუჭთასიბი

ერთი მუჭთასიბი\* იყო  
 ზნეობის და რჯულის მცველი,  
 მიზნად ჰქონდა, ლოთებისთვის  
 მოეწყვიტა უნდა წელი.  
 ერთხელ უბანს დაუარა  
 და საკბილო კიდევ ნახა, –  
 კედლის ძირას მთვრალი ეგდო,  
 დაებჩინა ოთხად ხახა.

შეუძახა: “დღეს რა სვიო?”  
 მთვრალს ხანჯალი გულზე ესვა.  
 “რაც ღოქში დგას, ის ვსვი, ძმაო,  
 აბა სხვა რა უნდა მესვა!”  
 “ღოქში ბევრი რამე უდგათ,  
 ზოგში – ღვინო, ზოგში – წყალი.  
 იმ შენს ღოქში რა ესხაო?”  
 მუჭთასიბი ჰკითხავს მწყრალი.  
 ის რამდენიც ჩააცივდა  
 ამან სიტყვა ბანზე უგლო.  
 (მუჭთასიბი კაცი იყო,  
 კი იცოდა მთვრალმა, უნდო).  
 ცოფებს ყრიდა მუჭთასიბი,  
 აღარ ჰქონდა არაქათი.  
 რა ქნას, მთვრალთან, კარგად ხედავს,  
 დაყვავება რომ არ გადის.  
 “აბა პირში შემომბერე,  
 დაიძახე, ერთი, “აჰი”! –  
 ახლავ გეტყვი, წყალი გისვამს,  
 თუ გიწრუპავს სადმე რახი.”  
 არც ამაზე დაჰყვა მთვრალი:  
 ”აჰი” იცის დარდიანმა,  
 მე კარგ გუნებაზე ვარო,  
 ვსვი და ვჭამე მაღიანად.”  
 “აბა ჩქარა წამოდექი,  
 მიგაბრძანო დილეგს ვინძლო!”  
 “კაცო, ვინ ხარ ან რას მერჩი,  
 წადი, ძმაო, მიცნობ, გიცნობ?!”  
 “მთვრალი ხარ და გაპატიმრებ,  
 ადექი და წამომყევი!”  
 მთვრალს ამაზე გაეცინა:  
 “ვინ ყოფილა ეს ოხერი!  
 შენს დილეგში რა მინდოდა,  
 რომ შემემლოს სიარული,  
 სახლში მშვიდად წავიდოდი  
 ნასვამი და მხიარული.”

### კატაა თუ სორცი?

ერთ კაცს თურმე ცოლი ჰყავდა  
 ღორმუცელა, როგორც სვაფი,  
 ამიტომაც შინ მოტანილს  
 არა ჰქონდა მისას ხვაფი.  
 რასაც ქმარი იშოვიდა,  
 გაატანდა ცოლი ქარს და  
 თვითონ კარგა სუქდებოდა,  
 ასიებდა ბოლმით ქმარსაც.

ერთხელ სტუმარს მოელოდა  
 და ქმარს ხორცი მოეტანა.  
 ცოლმა ხორცი ბურთად ნახა  
 ხოლო სუფრა – მოედანად.  
 მწვადი შეწვა და ჩიჩიას  
 მადიანად გაჰკრა კბილი.  
 გასისინდა და ზედ ღვინოც  
 დააყოლა ტკბილზე ტკბილი.  
 ქმარი სტუმარს შემოუძღვა  
 და ცოლს უთხრა: “ქალო, წადი,  
 სტუმარი გყავს, რას უყურებ,  
 შეგვიწვიო, ერთი, მწვადი!”  
 “ეჰ, რა გვაქვს და რა შეგიწვა! –  
 მოუსაწყლა თავი ქმარსა. –  
 იმ ხორცს კატა მიპარვია  
 და ერთიან გადუსანსლავს.”  
 ქმარი გაშრა: “მაშ, სასწორი  
 მომაწოდე აქეთ ახლავ! –  
 რას იწონის ჩვენი კატა,  
 ავწონი და თვითონ ვნახავ.”  
 მყის ყანთარზე\* დასვა კატა, –  
 ნახევარი იყო ოყა.\*  
 (ამდენივე იყო ხორციც)  
 და საბრალო ღრიალს მოჰყვა:  
 “ქალო, თუ ეს კატა არი,  
 მოპარული ხორცი სად აქვს;  
 ხოლო თუ ეს ხორცი არის,  
 სად წავიდა ჩვენი კატა?!”

## ჩიტი და მონადირე

ერთმა კაცმა ძუით ჩიტი  
 დაიჭირა თურმე ერთი.  
 ჩიტმა ენა ამოიდგა:  
 “შენა ხარ და შენი ღმერთი!  
 ჩემისთანა ციცქნა ჩიტზე  
 დამშეული ასე რომ ხარ,  
 ცოტა ცხვარი გიჭამია,  
 ცოტა თხა და ცოტა ძროხა!  
 მათი ხორცით ვერ გაძღარხარ  
 და ახლა რომ კიდევ გშია,  
 აბა მითხარ, მე რას გიზამ,  
 ერთი ჩიტი ტანად ჩია!  
 შემიწყალე, გეხვეწები,  
 საქმე მიქენ სასიკეთო  
 და სანაცვლო მეც მოგაგო,  
 მეც სიკეთე გაგიკეთო!

განმიტევე და მუქაფად  
 მე სამს მოგცემ დარიგებას.  
 სამივ ისე გამოგადგეს,  
 არ დამლოცო, არ იქნება.  
 პირველ რჩევას მანამ მოგცემ,  
 სანამ კიდევ ხელში გყავარ.  
 ბრძენი ვარ თუ ჩერჩეტი ვარ,  
 მით შემიცნო, მართლა რა ვარ.  
 ლობეზე რომ წამოვჯდები,  
 იმ მეორეს გეტყვი მაშინ.  
 კაცი ისე გაგახარო,  
 რომ შემოჰკრა კიდევ ტაში.  
 ხის წვერს როცა მოვევლები,  
 რჩევას მოგცემ მესამესაც.  
 აგაშენებ, თუ სიკეთის  
 შენგან სხივი მეც დამეცა!  
 პირველ რჩევას ამას გაძღვე  
 ჯერ ისევ შენს ხელში მყოფი:  
 უჯერებელს ნუ იჯერებ,  
 სანამ კიდევ ჭკუა გყოფნის!”  
 ერთი რჩევა როცა მისცა,  
 როგორც მისცა სიტყვა, ისე  
 აფრინდა და სარის თავზე  
 წამოსკუპდა ჩიტი მყისვე.  
 მერე უთხრა: “შენს მცარ ქცევას  
 ნუ ინანებ ნურასოდეს,  
 იგი უნდა დაივიწყო,  
 ოდნავ კიდევ თუ განსოვდეს!”  
 ამის შემდეგ ასე ამცნო:  
 “ჩიტი ვარო მაგალითი,  
 მე რომ მხედავ, კუჭში მიძევს  
 ერთი ოყა\* მარგალიტი.  
 შენ რომ იგი გქონებოდა,  
 შენს ბედს ძალდი არ დაჰყეფდა,  
 დაიმსხვრევედი, შე საწყალო,  
 სიღარიბის არტახებსაც.  
 ეს ობოლი მარგალიტი,  
 მიკვირს, ხელით როგორ უშვი!”  
 მონადირეს ელდა ეცა,  
 ამოუშვა ოხვრა-უში:  
 “ვაი, ვაი, ეს რა ვქენი,  
 როგორ ვკარი ხელი ბედსო,  
 ვის უქნია ამისთანა  
 ჩემისთანა ხელის\* მეტსო!  
 რატომ ადრე არ ვინმარე  
 მთელი ჭკუა, მთელი ღონე.  
 ასე როგორ წამიხვედი,  
 ასე როგორ მომადორე!”  
 ჩიტმა უთხრა: “დარიგება



ისევ უნდა შეგახსენო.  
 შენ შეცდომას ნუ ინანებ,  
 ხომ გირჩიე წელან შენო!  
 რაც წავიდა, წასულია.  
 სინანული მასზე კმარა.  
 რომ არ გესმის, ყრუ ხომ არ ხარ,  
 გულზე რომ არ მოგეკარა?  
 მეორედ რომ დაგარიგე,  
 რომ მოგეცი რჩევა მაშინ:  
 უჯერებელს ნუ ისმენ-თქო! –  
 მოიქეცი, როგორც ბავშვი.  
 მიკვირს, როგორ დაიჯერე  
 ვით მოტყუვდი კაცი ამით,  
 ოჟა მარგალიტი მქონდეს,  
 როცა ძლივს ვარ ათი დრამი\*.”  
 “დარიგებას სამს დამპირდი,  
 ჯერ კი მხოლოდ ორი ვიცი.  
 ის მესამეც მითხარ ბარემ,  
 შეასრულე შენი ფიცი!”  
 “შენ ისეთი საქმე მიქენ,  
 არ გისმინო, არ იქნება.  
 დამიცადე, სანამ მოგცე  
 ის მესამე დარიგება!”  
 ეს უთხრა და ფრთა გაშალა  
 და აფრინდა ნება-ნება.  
 კაცს კი ძუა შერჩა ხელში,  
 რითაც წელან ჩიტი ება.

## მონუსტი და ექიმი

ერთი ხანში გადამდგარი  
 შესჩიოდა ექიმს ასე:  
 “ცოტა ტვინი შემითხელდა,  
 წინათ ვიყავ ჭკუით სავსე.”  
 “ეს სიბერის ბრალი არი.  
 ასე იცის ხანში შესვლამ.  
 ამას მაინც ვერ მოირჩენ,  
 რა წამალიც უნდა შესვა.”  
 “რალაც გვერდი გამიკავდა,  
 ზურგიც მტეხავს, მტკივა წელი.”  
 “სიბერეა, რა უნდა ქნა,  
 სიკვდილამდე გაუძელი!”  
 “არაფერი მეამება,  
 დამეკარგა პირში გემო.”  
 “ეს სიბერემ იცის, რა ვქნათ,  
 შეურიგდი, ბიძაჩემო!”  
 “ხშირად სული მეხუთება,

ვიღლები და სულს ძლივს ვლაფავ.”  
 “დაბერდი და სიბერეში  
 როგორ გინდა იყო აბა?!”  
 “სულ ერთბაშად მოვწყდი კაცი,  
 გამიქარდა ყველა ვნება.”  
 “მოხუცი ხარ, ეგრე არი.  
 სხვანაირად არ იქნება.”  
 “ფენში ჯანი გამელია,  
 გზაზე მუხლი მეკეცება.”  
 “მაშ რა გინდა, ბერს სირბილი  
 ჯველივით შეგეძლება?” –  
 “წელშიაც რომ მოვიკაკვე,  
 მოვილუნე, როგორც მშვილდი!”  
 “ეჰ, დაბერდი და წავიდა  
 დრო, ბეჭებს რომ ლალად შლიდი!”  
 “თვალში ველარ ვიხედები,  
 ბნელა, კაცო, ირგვლივ ბნელა.”  
 “სიბერეა, ბერდები და  
 თვალს გაკლდება ნელა-ნელა.”  
 “ჰატ, შე ვირო, შე რეგვენო  
 (კაცი ცოფმა აიტანა),  
 ვინ გასწავლა, რა გასწავლა,  
 სად გამოხველ ამისთანა!  
 შე ჩერჩეტო, ეს არ იცი,  
 როცა ბალღმაც იცის ესო:  
 ღმერთს ტკივილი არ დაუდის,  
 წამალიც არ დაეწესოს!”  
 ექიმმა ბერს დააცადა,  
 მოეფხანა გული კარგად,  
 მერე უთხრა: “ დაბერდი და  
 მოთმინებას მიტომ კარგავ.  
 დაბერება კაცის სულის  
 და სხეულის მდაგველია, –  
 ჯანი როცა დაგისუსტდა,  
 მოთმინებაც დაგელია.”

## ქრისტეს ელიან

შენ ვარდის რტო ხარ და შენი ეშხი  
 ბალს ჩაუგდია ხელში, ვით დავლა.  
 შემოვა სიო, შენი ყონალი,  
 და ბალში ერთად დაუვლით დავლას.  
 შენ ღვთისმშობელი ხარ, მარიამი,  
 და სიო იგი გაბრიელია.  
 მან მუცლად ღება გამცნო და ახლა  
 აქ შენგან თოთო ქრისტეს ელიან.  
 ვაშა შენ და მას, ვინც შენთან ცეკვავს,

რომ უფლის ასეთ მადლს  
გულში იტევთ:  
თქვენს ხელში არის ყოველი არსის  
მარადისობის საუნჯის კლიტე!

## ქრისტეს ეზოში

... ნიგოზი იგი მოციქულისთვის  
ან მისართმევად როგორ ვარგოდა! –  
მას კაცი გემოს ვერც ჩაატანდა,  
ჩუტე იყო და გული არ ჰქონდა.  
ნიგოზით, შაქრით და ნუშით შეკმაზულს  
მაწვდი ტკბილეულს, მე რომ ვინატრე.  
შენ მე ამ ნუგბრით დამიტკობს სასას  
და ჩამიყენებ თვალში სინათლეს.  
შვილო, ნიგოზის გულს ჭამ და ნაჭუჭის  
გულისთვის არ ხამს, გადაირიო!  
ქრისტეს ეზოში ჩამოგსვეს, შენ კი  
ყვირი: „რა იქნა ჩემი ვირიო?!“

## მან ისე ტკბილად დამკოდა...

საჩემო წუხილს მახარებთ, როს მე  
ჩემ წილ შევებასაც მივუგდე კარი.  
გარდა იმ ერთის, სხვებს (ნეტარებას  
რომ მპირდებიან) სულ ხელი ვკარი.  
ჩავხტი კამკამა წყაროს ემბაზში  
და განვიბანე საამოდ მითი.  
აწი სათქვენო რაღა დამრჩა მე? –  
ალარც ფერი მაქვს, არც სუნი მიდის.  
რად მინდა აწი რამის განყოფა  
აქეთ – კარგებად, იქით – ავებად?!  
მან ისე ტკბილად დამკოდა, თქვენი  
მალამო რაში მეპიტნავენა!  
ტრფობის ბალიდან ფრენენ ჩიტები.  
საით? გზა-კვალი ცას არ აჩნია...  
კი, სოლომონი ვარ, მეფე მათი,  
მაგრამ ბეჭედი არ გამაჩნია.<sup>65</sup>  
ღიას, ვარ ქრისტე ტკბილად მღიმარი,  
ვაცოცხლებ მკვდარს და ვიცი, რაც მიწევს.  
მაგრამ ვარ მხოლოდ უფლის გუჯაბი,\*  
არ ვარ იესო მარიამის ძე.

## სხვა ჩარა არ გაქვს

სხვა რა ჩარა გაქვს, ვალდებულება  
უნდა იკისრო შენ ჩემი კოცნის.  
ნუ დავთვლით, დღეში რამდენს მაკოცებ,  
ათი იქნება იგი თუ ოცი.  
ღიმილიც უფრო უნდა დამიტკბო  
(დამასაჩუქროს, უფალს ვთხოვ, ამით!).  
ეს ჩემი თხოვნა ლოცვაა ჩემი.  
მაშ, შემაწიე შენც შენი “ამინ!”  
ნეტა, მე ამას სიზმარში ვნახავ  
(რომ დამეძინოს, ვთქვათ და) თუ მართლა?  
როცა გეწვევი, მოდი სტუმართან  
და დამიჯექი თავსასთუმალთან!  
ტუჩების შენის მოწვევტა ჩემთვის  
სიკვდილის კოცნის არის დაჩენა.  
მაშ, მოდი ჩემთან, ჩემო მესიავ,  
კაცის სიცოცხლის გადასარჩენად!

## და შენ გთხოვ: “მოვედ!”

ამ ქვეყანაზე დავრდომილთ შემწედ  
ბადალი შენი სხვა ვერვინ ვპოვე.  
ო, მაცხოვარო,  
მკოდოვანთ ყოველთ  
შენ ხარ მკურნალი  
და შენ გთხოვ: “მოვედ!”  
დამადე ხელი შუბლზე და სწეულს  
მკითხე: “როგორ ხარ, ჩემო მესავო?”  
რაც ცოდვა მაძეს, არ გამიხსენო,  
არ განმიკითხო: “რად ქმენ ესაო?!”  
სულ რძით და თაფლით  
მკვებავდი მუდამ  
და სულს მითბობდი  
დღისით და ღამით,  
ახლა მკერდიდან არ მომიწვევითო  
და თაფლის ნაცვლად  
არ მასვა შხამი!  
როგორ დამმეწყრე  
გამწყრალმა მაშინ  
და გამიმეტე მსგავსად წარმართის!  
როგორ წამლეკე წარღვნით  
და მეწყრით  
და რაც მებადა, როგორ წამართვი!  
გიწამე შენ და არ ვიცი, რაა  
გულზე სევდის და დარდის დაჩენა.  
როგორც კი გიხმე გადასარჩენად,

მოხველ და ჭირმაც ზურგი მაჩვენა.  
სამყარო ჩვენი ტანია ერთი  
და თავი მისი მხოლოდ შენა ხარ.  
თუ თავი მოსჭრეს,  
განა შეიძლებს  
უთავოდ ვინმე თავის შენახვას?!  
ნაჩვევს და უჩვევს  
ვინც სულ სულს უდგამ  
და მორჩილთაგან არ არჩევ ურჩებს;  
უკვდავების წყალს ვინც ასმევ მოკვდავთ  
და ვინც გულმოწყლულთ  
მალამოს ურჩევ,  
ხედავ? გამიშრა სიცოცხლის წყარო,  
მოგმართავ,  
სხვები ვით მოგმართავენ:  
მასვი ის წყალი, რაიც სიცოცხლის  
წყაროს სათავის არის სათავე!

## **მზესთან ზის მარიამის ქ**

თვითონ იოსებ ქანაანელი,\*  
რომ ვთქვათ, ვინ იყო განა ისეთი,  
მაგრამ შორს, მისრეთს\* რომ გარდახვეწეს,  
დაემორჩილა მთელი მისრეთი.  
მოსე\* იმრანის ძე? შენც ხომ გახსოვს,  
ვით გაატანეს წყალს აკვნით მოსე?  
მაგრამ ბელადად გახადეს ბოლოს  
და არნახული დიდებით მოსეს.  
ქრისტე სულ ხამლით ხვეტავდა მიწას,  
მაგრამ ამის წილ განა ამიწეს!  
იგი მეოთხე ცად აღიყვანეს  
და დღეს მზესთან ზის მარიამის ძე.  
გვახსოვს, მექიდან მიწა-წყლით თვისით  
როგორ მოუხდა მუჰამედს აყრა, <sup>66</sup>  
მაგრამ დიდებით დაბრუნდა უკან.  
და მექა უფლის სახლია ახლა.

## **შენ თუ ოპოლი მარგალიტი ხარ**

მთვრალი ვიყავი, მივედი მასთან  
და საყვედური ვუთხარი მღურვით:  
“ტურფავ, სიგიჟით ხომ გამაგაჟე, –  
ეს მაინც მიქენ:  
დამიგლე ყური!”  
გაწყრა: “წაილე ყური შენ შენი  
ვედრებით: ყური მიგლეო, ტურფავ!

ყურს ვით დაგიგდებ;  
 ვერ ხედავ, ყურზე  
 ვეება რგოლი მიყრია ყულფად!"  
 ეს რომ ვისმინე, წავეპოტინე  
 ყურზე (რა მექნა, ვიყავი ხელი\*).  
 ხელი მახლოო!  
 ხელი დამარტყა  
 ხელზე: "თავხედო, წაიღე ხელი!  
 ჩემს ხელუხლებელ საყურეს მხოლოდ  
 მაშინ მისწვდები  
 (გეტყვი წინდაწინ),  
 თუ შენ ობოლი მარგალიტი ხარ  
 თავად (გაიგე?),  
 თანაც წმინდა წყლის.  
 ფასი ოქროს აქვს, რკინას კი არა.  
 სულია განძი, განა ტანია.  
 იესო ზეცად ამალღდა, მაგრამ  
 თან კიცვი\* კი არ წაუტანია."

## მე მინა ვარ და შენ — გაზაფხული

მე მიწა ვარ და შენ — გაზაფხული,  
 ბაღში ყვავილებს კვირტებს რომ უშლი.  
 მოხვედი და მთელ ქვეყანას მოსდე,  
 რა ზვაშიადიც\* მელო მე გულში.  
 ჩიტს, ისრით მოკლულს, შემომკვივიან:  
 "იფრინე კვლავო!" და მიკვირს მათი, —  
 ვით გავაგრძელო თამაში, როცა  
 გაკეთებული მაქვს უკვე მათი?!  
 ფარვანა ვარ და სანთელს შევაწვი  
 ფრთენი და ჩემი სიცოცხლეც დავწვი.  
 "ფრთხილად იყავო!" — რომ მაფრთხილებთ თქვენ,  
 რას გავუფრთხილდე, მითხარით, აწი?  
 შენ ხომ უფრორე ახლოს ხარ ჩემთან,  
 ვიდრე გონება და ჭკუა ვიდრე,  
 მაშ, შენკენ აბა ვით გამოფერინდე,  
 როცა ჩემში ხარ?!  
 და ფეხებს ვითრეგ.  
 ვიცი, ყანდი ვარ და ეს წყალობაც,  
 გთხოვ, სხვა წყალობათ შენსას ამატო:  
 მიქნა სამადლო საქმე და ყანდი  
 თუ ვარ, ყანდივით ახლავ დამადნო!  
 და გეაჯები\*, ჩემზე მთლიანად  
 არ დაიბანო, უფალო, ხელი!  
 მე უშენობა არ ძალმიძს, იცი,  
 და კვლავ შენ გიცდი.  
 და კვლავ შენ გელი.

ო, ერთხელ კიდევ ერთ სხვა სასწაულს  
ნუ ღამამადლი, გნუკევ\*, შენმიერს:  
იესოს სულით გამაცისკროენე,  
რომ მიყურებდნენ მისებრ მშვენიერს!

### **სული აკვანში მიწევს**

ის გულქვა ისე გამცილდა, ჭვრეტა  
ჭვრეტა რომაა, ღირს არ მყო ჭვრეტად.  
ამ დაკოდელ გულს მე რას ვუწამლებ,  
ასე უგულოდ რად გამიმეტა!?  
სად არის მოსე, ხრიოკ ველებზე  
რომ აყენებდა წყლის ჭავლებს სვეტად?  
მისი სასწაულთმოქმედი კვერთხი  
ხომ არ გადექცა ისევ ხის კეტად?  
სული აკვანში, ვით ჩვილი ქრისტე,  
მიწევს, მაგრამ მყავს ტიტველი მეტად.  
და ვშფოთავ. მისი აკვანში ჩაკვრა  
მსურს.  
ლეთისმშობელო, სადა ხარ, ნეტავ?

### **ქრისტეს ყიდი და ვირს ყიდულობ**

კაცური კაცი ის არის და ზვალ  
მისგან დარჩება სახელი ღიდი,  
ვინაც იესო ქრისტეს ყიდულობს,  
ხოლო იესო ქრისტეს ვირს ყიდის.  
შენ კი ამ მცნებას არ ეზიარე  
და იმ ზომაზე დაეცი ფლიდი,  
რომ ქრისტეს ყიდი და ვირს ყიდულობ  
და არც არაფრის არა გაქვს რიდი.

### **შელოცვა იგი**

შენ აღმაცერად ნუკი უყურებ  
იესოს მიერ სიტყვით შელოცვას, –  
შენ მას შეხედე, როგორ ვერ შეძლო  
სიკვდილმა კაცის ტანში შემოსვლა;  
შენ ნუ გაკვირვებს, შელოცვა იგი  
ქრისტემ ვით ლოცვა რომ არ წარმოთქვა, –  
შენ მას შეხედე, თუ იმ შელოცვით  
ის მკვდარი ფეხზე როგორ წამოდგა;  
შენ მოსეს\* კვერთხი ნუკი გგონია  
რალაც კომბალი უბირი ჩობნის, –

შენ მას შეხედე, კომბალი იგი  
ზღვას როგორ აპობს  
და მტერს ვით სჯობნის!

## **ყველაზე დიდი საშინელება**

ერთხელ იესოს ერთმა სიმართლის  
მაძიებელმა ნაცნობმა ჰკითხა:  
„ყველაზე დიდი საშინელება  
ამ ქვეყანაზე რა არის, მითხარ?“  
მიუგო ქრისტემ: „ყველაზე დიდი  
საშინელება, სამყაროს რომ აქვს,  
რაც ჯოჯოხეთსაც კი აზანზარებს,  
არის ციური მეუფის წყრომა“.  
„მერე ის წყრომა რით ავიცილოთ?“ –  
ჰკითხა იმ კაცმა ვაით და უშით.  
მიუგო ქრისტემ: „მით, რომ ჩვენ ჩვენი  
წყრომა ჩავიკლათ საკუთარ გულში“.

## **იესოს ვუხმო!**

ძილის წინ ვიხდი მწირის ჯვალს და  
ვწვები, როგორც ეს ჩემი წესია,  
ვინძლო ხვალ დილით (როცა აღვსდგებით)  
კვლავ იმ ჯვალში დავხვდე მესიას.  
ანტიქრისტეა, აქეთ რომ მოდის,  
არ დაბუნაგდეს ის ჩვენთან ახლოს!  
ახლა ჩვენ ქრისტე თუ გადაგვარჩენს!  
იესოს ვუხმოთ, არიქა, ხალხო!

## **მე ვინ ვიყავი!**

სანამ შენ, მოსევ\*, ხელს შემახებდი,  
მე ხის უბრალო ვიყავი კვერთხი,  
ხოლო შენ ხელში გველად ვიქეცი,  
რადგანაც ნება იყო ეს ღმერთის.  
მე ვინ ვიყავი! ვიღაც ლაზარე  
საფლავში მწოლი ცხედარი ერთი,  
სანამ შენ, ქრისტე, სულს შთამბერავდი  
და აღმადგენდი მკვდარს ისევ მკვდრეთით.



## იმედს ნუ კარგავ!

იმედს ნუ კარგავ და ნურასოდეს  
„განწირული ვარ, – ნუ იტყვი, – ღვთითო!“  
ვისაც იმედი ჰქონდა, ეშველა,  
საშველი მუდამ არის და მიტომ.  
თუ დედას ღვთისას გამოეთხოვე,  
გამაგრდი, არც-რა მომხდარა ვითომ, –  
უფალმა თვისი ძე, ქრისტე, მხსნელად  
ხომ მოგივლინა მის ნაცვლად თვითონ!  
თუნდაც უძირო ჯურღმულში ეგდო,  
ნუ კარგავ იმედს, ჩამოვა ხვითო,  
ამოგიყვანენ შენც, იოსები\*  
ჭით ამოჰყავდეთ სოვდაგართ თითქოს!

## შენ

ამბავი ჩემი, ძვირფასო, მართლაც  
კაცის ჭკუაზე არის შემშლელი:  
მაცხოვრის სულთქმა მკლავს,  
კი არ მკურნავს,  
უკვდავების წყალს ვსვამ და  
ვერ მშველის.  
წამალი ჩემი, გაგიკვირდება,  
რა არის! რა და, თუ ეს შეეძელი,  
გიხილო, ჩემ წინ წელს რომ არწევდე  
შენ, კვიპაროსის ქალად შემცვლელი!

## სულელთა შესახებ

ერთხელ თურმე მაცხოვარი  
ველად რბოდა ფხოჭა-გლეჯით.  
გაუკვირდა ერთ კაცს ეს და  
კუდში სდია ერთი ეჯი.\*  
როგორც იქნა, დაეწია  
(გაუგრძელდა დევნა დიდხანს).  
„ასე მწარედ რას გაურბი,  
მითხარიო?“ – ქრისტეს ჰკითხა.  
მაცხოვარმა უპასუხა,  
ის რომ კითხვას მორჩა, ბოლოს:  
„მე ვის უნდა გავურბოდე,  
გავურბივარ სულელთ მხოლოდ“.  
გაუკვირდა იმ კაცს ეს და  
არც სხვა კითხვა დაახანა.  
მოახსენა: „მითხარი, შენ

მაცხოვარი არ ხარ განა?  
შენ ის არ ხარ, უფლისაგან  
ღვთაებრივი რომ გაქვს სულთქმა;  
სულთმობრძავეს რომ კურნავ და  
მიცვალებულთ სულს რომ უდგამ?“  
„დიახ, სწორედ ის გახლავარ  
(არ შეჩერდა ქრისტე დიდხანს),  
მკვდარს სულს ვუდგამ,  
სწორი არის.  
მერე რა გსურს, ამით მითხრა?“  
„რა მინდა და, ვერ მიმხვდარვარ,  
ამიხსენი, არ მაწვალო:  
ღმერთი ყოვლად მოწყალეა  
და სულელებს რად არ წყალობს?“  
მაცხოვარმა უპასუხა:  
„შორს შეტოპე, ძიაკაცო,  
უფლის ნების თაობაზე  
რაც მე ვიცი, გინდა, გამცნო:  
უფლის წყრომა ზოგს ავად ხდის,  
ზოგსაც კიდევ მისცემს ზარალს,  
მაგრამ სულელს რაც მან უქნა,  
მე რომ მე ვარ, ტანში მზარავს“.

# აუჰადი ისჰანელი

(გ. 1337 წ.)

## გულია იგი

შენს არსში ჯვარზე თუ გაკრულია  
რაიმე, იგი მხოლოდ გულია.  
გულია იგი, რაც ბაღში გალობს,  
შენ კი გგონია, რომ ბულბულია.  
გულია, იგი, რამაც აკვანში  
ჩვილ ყრმას, იესოს, აუდგა ენა.<sup>67</sup>  
ის გული იყო, აქ რომ გვაგულა  
ქრისტე, გულში კი ჩაიკრა ზენამ.  
ამენ გეტყვი შენ: დაიმასხოვრე  
სიბრძნე, სიმართლე რასაც სტანია:  
იესოს გული ქრისტეა, ხოლო  
იესოს კიცვი\* მხოლოდ ტანია.  
ეს ქრისტეს გული იყო, რომ ზეცად  
აღზდა და მზესთან დაიღო ბინა,  
თორემ იესოს კიცვი აქ არის.  
მას ჩვენთან ღვიძავს  
და ჩვენთან სძინავს.  
იმ გულს ნამდვილად ის ვერ მისწვდება,  
გზას იმ გულისკენ ის ვერ გაიგნებს,  
უფლის წინ ლოცვას  
ვინც ვერ აღავლენს  
და უფლის მცნებას  
ვინც ვერ გაიგებს.  
შენ გული იგი ტანის ნაწილი  
იყოს, გულშიაც არ გქონდეს ეჭვად! —  
იმ გულს პირს ძალლი ვერ დააკარებს,  
იმ გულს მშიერი კატა ვერ შეჭამს.  
ან რისი ძალლი, ან რისი კატა,  
როდესაც დღესაც, ვით იყო გუმინ,  
ანგელოზი რომ ანგელოზია,  
მასაც იმ გულის შური აქვს გულში!  
შენ შენს ბეთლემში (რასაც მე გეტყვი,  
აქ ესეც სიტყვად მოსატანია)  
მას, რაიც მხოლოდ შენი ხორცია,  
მას, რაიც მხოლოდ შენი ტანია,  
არ სცე თაყვანი, გულს კი ემონე

და სალოცავი მხოლოდ გულს უგე,  
გულის ტაძარში სანთელი ანთე,  
ხორცის ბუნაგი კი ცეცხლით ბუგე!  
მოუღე ბოლო შენს უვიცობას, –  
სხვა დაივიწყე ყოველი, ხოლო  
იცოდე, სოფლის ოთხი სტიქია  
მესიაშია მხოლოდ და მხოლოდ!  
და დაიხსომე (ტყუილისაგან  
მართლის გარჩევა ბრძენთა წესია):  
ჯვარზე ვინც აცვეს, ის იყო მიწა  
და ცად ვინც აღხდა, იყო მესია!

### **დააგდე მინა!**

შენ თუ ტანი ხარ, საჭმელ-სასმელზე  
და ტანსაცმელზე იზრუნე, ხოლო  
შენ თუ სული ხარ, მაშინ ამქვეყნად  
საზრდო სულისა ეძიე მხოლოდ!  
შენ თუ სამყოფელს იცვლი და იცი,  
იმ სოფლად გასვლის ვნებით რომ იწვი,  
მაშინ დააგდე აქ შენი კიცვი\*,  
დაყარე ბარგი, რაც ტანზე იცვი!  
მაშინ გზა გიძევს გრძელი და რთული,  
ნუ ხარ ამ სოფლის საქმით გართული,  
წინ კიბე გიდგას, შედექი მასზე  
და ზედ იარე სართულ-სართული!  
ქრისტე ცად აღხდა, ხოლო ყოველი,  
რაიც მას ახლდა, მიწაზე დარჩა.  
იესოს კიცვი აგერ ძოვს ბალახს,  
თავად იესო კი არსად არ ჩანს.  
ამ სოფლის ნივთი რაა, თუ იცი  
ან კიცვი, აქ რომ ყოფნა ახანა? –  
სულის ტვირთია, დააგდე იგი,  
დაყარე, რაც გაქვს ბარგი-ბარხანა!  
თუ ზეცად აღსვლა გსურს,  
დათმო უნდა.  
რაც აქ გეზადა, გეზა და გეცვა!  
იცოდე, ქრისტეც ვერ აღხდა ზეცად,  
სანამ ამქვეყნად ჯვარზე არ ეცვა.

### **ვინც აღადგინა მკვდრითი ლაზარე**

გამიგონია, ერთ დღეს იესო  
და გაბრძნობილი შეგირდნი მისნი  
ისხდნენ და ერთად სოფლის ხვაშიადს\*  
ჩხრეკდნენ გონებით და გულით მისნის.

და უცაბედად, როცა მოწაფეთ  
განუმარტავდა სიყვარულს ქრისტე,  
ცხარე ცრემლებით ატირდა იგი,  
ბაასი რომ ვერ შეიძლო, ისე.  
მოწაფეებმა იესო ქრისტე  
ასეთ ყოფაში იხილეს როცა,  
შეწუხდნენ ფრიად: „განა რააო  
ეს სიყვარული?“ – შეჰკადრეს მოძღვარს.  
მიუგო ქრისტემ:  
„წარმოთქმულ სიტყვას  
ხამს\*, შესატყვისი საქმე ენივთოს!  
თუ სიყვარული რაა, ხვალ ამას  
თქვენ თვითონ ნახავთ  
თვალით თქვენითო“.  
მეორე დღეს კი იესო ქრისტე  
ძელზე გააკრეს და ძმარი ასვეს.  
და სიყვარული რაც იყო, მაშინ  
მან განუმარტა მოციქულთ ასე:  
„ღრმად სიყვარულის არსში ჩაწვდომა  
ვისაც სურს, უნდა ახსოვდეს: მარად  
ასეთი არის იგი და ამის  
დასტურად ჩემი ძელს გასმაც კმარა.  
თუ ჯვარს არ გაცვეს და ხერხემალი  
შენი წამების ძელს არ ეხება,  
ზეცად ვერ ახვალ  
და ფუჭად ცდილობ  
სასუფეველის კარის შეღებას!  
თუ გეტყვის ვინმე: „ტანჯვა რას მომცემს  
ან ჯვარცმა უნდა მრგებდესო რაში?“  
მიუგე: „რათა დააგდო მიწა  
და გააგელვო ზეცაში რაში“.  
გეტყვის: „სამსჭვალე\* რისთვის ვიჭდიო  
და ვნების გესლი რად უნდა შევსვა?“  
მიუგე: „ზეცა რომ გაგინათოს  
და შანდლად ექმნეს კელაპტარს შენსას“.  
გეტყვის: „უძამოდ გაჩენილიყოს  
კაცი, არავის ასმია ჯერო“.  
მიუგე: „ზეცა ძეკაცს რომ მამად  
ექმნა, მაშ, არც ეს გსურს, დაიჯერო?!“  
გეტყვის: „ვით აღდგა კაცი,  
თუ მოკლეს  
და შეამთხვიეს სიკვდილს საზარელს?“  
მიუგე: „მაგრამ ეს ხომ ის იყო,  
ვინც აღადგინა მკვდრეთით ლაზარე!“

## საჯო ქირმანელი

(1290-1352)

### ისეთი კარგი ამბები მესმის

ისეთი კარგი ამბები მესმის  
მისგან და ისე ვიხარებ ამით,  
თითქოს მომაკვდავს ქრისტემ მიუსწრო  
ან ყანას წვიმამ ასხურა ნამი!  
ეს რა საამო სურნელი მოაქვს  
ზეფერს ყოველი წუთი და წამი! –  
ნელსაცხებლებით მოვაჭრემ  
დახლზე  
ხომ არ გადმოდგა  
მუშკ-ამბრის ჯამი?

## სალმან სავაჯი

(1300-1375)

### ყველა ღვთისკაცი

ყველა ღვთისკაცი (დასაბამიდან  
ასე იყო და ასეა ახლაც)  
მუდამ გზას ადგას და გზაზე მუდამ  
ხვდება სიკეთეს ახალს და ახალს.  
და ვინც არ ადგას გზას, ის არ არის  
არც საზრიანი და არც სვიანი;  
კაცი კი არა, იგი ახორში  
საბლით დაბმული ხვადაგი არი.  
სულ გზაზე რება გმართებს და არა  
ვაგლახად გდება გზად ყუნჭის დარად.  
ეს რომ ასეა, ამის დასტურად  
იესო ქრისტეს ცხოვრება კმარა:  
ქრისტე მიწიდან ზეცად აღზევდა  
(მას მიტომ ვაქებთ და ვესავთ\*),  
რადგან  
სულ გზაზე იყო გაბმული იგი,  
წინ სულ გზა ედო.  
და სულ გზას ადგა.

## ჰაფეზი

(გ. 1389)

### რას გვერჩით ახლა!

მას შემდეგ, რაც დღეს  
ჩვენ ვნახეთ, ხალხო,  
ღვთის მადლს რა ვუთხრათ ან კაცის ამაგს?  
დღეს ლოცვის ნაცვლად  
ჩვენს ფირს\* დუქანში  
ღვინის სმა ჰქონდა და პურის ჭამა!  
ჩვენ, მის შეგირდებს,  
რას გვერჩით ახლა,  
მეჩეთში ერთს თუ გამოვრჩით ნამაზს\*,  
როდესაც ღვინის  
სარდაფში უძევს  
ფუძე ჩვენს მოძღვარს და სჯულის მამას!

### ეს მერამდენი იქნება წელი

მე სულ ვარ მთვრალი,  
ნიავით წელით  
სულ ღელავს რადგან თმის შენის ღელი;  
მე სულ ვძრწვი, რადგან  
ერთს რომ გამხედავ,  
ვერ გამიმართავს წელიწადს წელი.  
ო, ღმერთო ჩემო,  
მომშენას ამდენს,  
რასაც მე ვუძლებ, ან ვით ვარ მრთელი!  
ნათლის წილ – ბნელი...  
წარბთა წინ შენთა  
სანთლად დანთებას ამაოდ ველი.  
იქნებ ისურვო,  
ედემად იქცეს  
ეს მწირი მიწა! – არ არის ძნელი:  
ნიავეს უბრძანე,  
აგხადოს რიდე  
და აჰა, კიდე სამოთხის ველის!  
ნიავეს გამბობდი, –  
ნიავი და მე,



ეს მერამდენე იქნება წელი,  
ორივე შენი  
ვართ ანაწერი\*  
(ორივე შენი მიჯნური ძველი), –  
მე თვალთა შენთა  
ისე დაძვნიდეს,  
ძირს ვგდივარ აგერ, ვით მძიმე ძელი,  
ის კიდევ ზილფთა  
შენთა სურნელმა  
ისე დაათრო, ველად რბის ხელი.\*

### კურთხეულ იყოს!

კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
შენ ჩემკენ ჩუმად გეჭირა თვალი,  
როცა ჯერ კიდევ  
დაწვებზე მაჩნდა  
ვნებათა შენთა ღელვათა კვალი;  
კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
იქით თვალით რომ მკილავდი მწყრალი,  
აქეთ ტუნებით  
ბადაგს მასმევედი  
და იყავ ვნების მორჩილი ქალი;  
კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
ნაქეიფარზე, ვით სიძე-სძალი,  
მე და შენ ერთურთს  
შემოვრჩით ერთხელ  
და შევაჯუფეთთ ცოდო და ბრალი;  
კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
ლოყათა შენთა ძოწი და ლალი  
გულს უმოწყალოდ  
მიფუფქავდა მე,  
ვითა ფარვანას – კელაპტრის ალი;  
კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
სუფრას გვილხენდი შენ, სუფრის თვალი,  
და როცა მთვრალი  
თვალით გვიმზერდი,  
გველევებოდა რბილი და ძვალი;  
ახლა რომ აგერ  
მეჩეთში ვგდივარ  
და ღვინის ნაცვლად წინ მიდგას წყალი,  
კურთხეულ იყოს  
ის ღრო, როდესაც  
სირაჯხანაში ვეყუდე მთვრალი!

## სანამ შენ ერთი

ათასი მტერი  
რომ მყავდეს ქვეყნად  
და ასაკლებად მომიხტეს კარად,  
სანამ შენ ერთი  
მყავხარ მოყვარე,  
არ ვშიშობ, რადგან შენ ხარ და კმარა!  
ეს მე შენია,  
რომ მაქვს იმედი,  
ჩემს გვერდით მღვარი მეგულვი ფარად,  
თორემ უშენოდ  
მე როგორ გაგძლებ, –  
სიკვდილის შიში მზაფრავს და მზარავს!  
თუ სუნთქვა შენი  
არ მოაქვს ნიავს,  
ჩემს ნიადაგზე ვერ ვდგავარ მყარად  
და ვარდის ღარად  
პირს ისე ვიხოკ,  
სისხლი ღაწვებზე ჩამომდის ღარად.  
ოცნება შენზე  
და მოსვენება?  
გაყრა შენი და რაიმე ჩარა?  
არა, სიცოცხლეკ,  
ასეთი რამე  
ჯერ არ მომხდარა, არა და არა!  
შენ რომ დამკოლო,  
უფრო მრგებს, ვიდრე  
სხვამ წყლულს საღბუნი დამადოს წყნარად;  
სხვის მოწვდილ თაფლს და  
გოლეულს\* მიჯობს  
შენი სამსალა და ძირიმწარა.  
სიკვდილით ჩემით  
დავთრგუნავ სიკვდილს,  
ხმლით შენით ჩემს სისხლს თუ ადენ ღვარად;  
მკვდრად ნუ მახსენებთ, –  
კვდები სიკვდილით,  
რათა სიცოცხლით ვიცოცხლო მარად!

## ის, უხილავი

რამდენჯერ მითქვამს  
და ახლაც ვამბობ  
(განვიმეორებ ჩემს ნათქვამს კიდევ): –  
ამ გზას მე ჩემით  
არ დავდგომივარ,  
„მომყევო!“ მიხმო და გავეკიდე.

ვით თუთიყუშმა  
არ უწყის, ვისას  
რას იმეორებს (მწვრთნელს ფარავს რიდე),<sup>68</sup>  
ის, უხილავი,  
მე მხმობს: „ეს თქვიო!“  
და მეც მის ნათქვამს ვფენ კილით-კიდე.  
არ ვიცი და არც  
კვითხულობ, ვინ ვარ,  
არც ვეძებ, ხელი რა საქმეს ვკიდე, –  
ეს მას მოჰკითხეთ  
ჩემთ გადამკიდეთ,  
მე ვარდად მკრეფდეთ თუ ეკლად მმკიდეთ!

### ჩემი შირაზი

ო, რა კარგია ჩემი შირაზი,  
ტურფა, წარმტაცი და საყვარელი!  
ღმერთო, დაიცავ კედლები მისი,  
ღმერთო, შენ იყავ მისი მფარველი!  
შენ რუქნაბადი\* აღინე ლაღად  
(ის უკვდავების წყაროა ტკბილი),  
მარად აყვავე ჩემი მოსალი\*,  
აქროლე მისი ნიავი გრილი!  
ო, ერთხელ მაინც ნახეთ შირაზი,  
და ხილვით მისით იცხონეთ სული!  
ო, გაიცანით შირაზელები –  
გულით კეთილნი და სიბრძნით სრულნი!

### ასეთი ჭირი სად გაგონილა!

ასეთი ჭირი სად გაგონილა,  
ამგვარი საქმე ვინმეს გსმენიათ, –  
იმ გულქვას ჩემთვის გულის მოკვლისგან  
ჯერ დღემდე რომ არ დაუსვენია!?  
წამალი ჩემი მას აქვს, ვით ქრისტეს,  
და ცრემლიც მიტომ უფრო მდენია:  
მხოლოდ მას ძალუმს, მიშველოს,  
რადგან  
მხოლოდ მან იცის, ეს რა სენია.

## წამო, მასთან წამო!

წალკოტიდან ისევ ისმის  
მუტრიბის\* ხმა ამო,  
გულში ცეცხლი გაგიჩნდება  
მისი ლექსის გამო.  
ისევ კენესის, ისევ მესმის  
მოწოდება მისი.  
ჩვენ გვეძახის. ვერ ვჩერდები.  
წამო, მასთან წამო!  
საყვარელი იყო ჩემი  
მერიქიფე ერთი,  
მზეს ჯაბნიდა სილამაზით,  
დალალით და მკერდით.  
ღვინო ჰქონდა ჩემთვის მუდამ  
გულის სამალამო.  
დავიწყებას დღეს იმისას  
მე ამაოდ ვლამობ.

## ღამით, მძინარეს

ვნებააშლილი, თმადაშლილი  
და ღვინით მთვრალი  
ღამით, მძინარეს, თავს დამადგა  
(შევხედე) ქალი.  
ხელში ეჭირა ღვინის სურა  
და მიღიმოდა,  
მის გადაღეღილ მკერდზე დამრჩა  
ორივე თვალი.  
დამიჯდა თავთან, მომეფერა  
და ასე მითხრა:  
„რატომ არ გინდა, მოიხადო  
მიჯნურის ვალი?  
განცხრომის დროა, მეც ამისთვის  
მოვსულვარ შენთან.  
შენ გეძინება, მე კი გულზე  
მედება ალი.  
მიჯნური თუ ხარ, მაშინ ღვინოც  
უნდა დალიო!  
თუ ღვინოს არ სვამ, სიყვარულით  
არა ხარ მთვრალი.“  
ჰე, ღვთისმოსავო, ნუ დამიშლი  
განცხრომას ქვეყნად;  
წადი ჯანდაბას, აგიღია  
ეშმაკის კვალი!  
ღვინო და ქალი, ჰეი ჰაფეზ,  
გიყვარდეს მუდამ,  
თუ გინდა, ქვეყნად გაღიხადო,  
რაც გაძევს ვალი!

## ჰაფეზ, ჭკუას მიტომ გიქებ

ირიჟრაჟა, მერიქიფევ,  
მომაწოდე ღვინის ჯამი, –  
ჩქარა, თორემ ეს საწუთრო  
არ დაიცდის ერთი წამიც!  
ჩქარა, თორემ ეს სიცოცხლე  
გაფრინდება, გაიქცევა;  
ჩვენ წავიქცეთ მანამ, სანამ  
დედამიწა დაიქცევა!  
ვინც აქ ვლოთობთ, ყველა წავალთ,  
ისევ ველარ წამოვდგებით.  
ჩვენგან დოქი გააკეთეთ! –  
ღვინის ჭურჭლად გამოვდგებით.  
უკვე თავი მოგვაბეზრა  
ღვთისმოსავთა დარიგებამ.  
ჩქარა ღვინო მომაწოდე,  
ჩქარა მორჩი ჩარიგებას!  
ჰაფეზ, ჭკუას მიტომ გიქებ,  
ღვინის ჯამს რომ ეტანები.  
მაშ, დალიე ტკბილი ღვინო  
და აღივსე ნეტრებით!

## ალიური ნაჰაი (ჟანი)

(1441-1501)

### უბარი ნამალი

ვინც სატრფოს მოსწყდა,  
იმის მოწყლულ გულს,  
თუნდაც უწამლოს ათასჯერ ქრისტემ,  
ვერას უშველის, წამალი მისი  
მასთან შერწყმაა ისევ და ისევ.  
ჩემს სატკივარზე ვის არ შევჩივლე,  
რა ჯურის ექიმს, რა სჯულის მამას,  
სანამდის აქვე, სამიკიტნოში  
არ მივაგენი უბარ წამალს.

### ამ სოფელს უნდა მოგორდე

მის გადამკიდეს, სად გაგონილა,  
შეეძლოს ძილი ან ჭამა, ან სმა;  
რა დროს სმა-ჭამა ანდა ძილია,  
როს გიწევს გულის სახმილზე დასმა!  
თქვენ მამშვიდებდით: „ყვითელი სახე  
სისხლის ცრემლებმა (რომ გდის)  
ეგება  
შეგიღებოსო წითლად!“  
პირიქით,  
მან თვითონ სისხლი ყვითლად შეღება!  
ფანი, შენ მართლა, ვითარცა ქრისტეს,  
დაახლოება თუ გინდა მზესთან,<sup>69</sup>  
მაშინ ამ სოფელს განშორდე უნდა,  
რომ იდგე მალლა ყოელთა ზესთა!

## სატრფო თუ გულში მოგიკალათდა

სატრფო თუ გულში მოგიკალათდა,  
ნუ შეგაღონებს შენ ამის შიში;  
რწმენის თვალთა წინ ეჭვების ბაღეს  
ვინმე თუ გიშლის, არაფერს გიშლის!  
ანგელოზების ფრთათა თვინიერ  
და გაბრიელის ნების გარეშე  
ცად ვერ აღხდები შენ, ვით იესო,  
და ზესკნელს შენ ვერ მოითარეშებ.

# ასირი ლაჰიჯანელი

(გ. 1506 წ.)

## მესამე გზა

ამ სოფელმა რომ მოგხიბლა,  
ვერ გამტყუნებ და მანდ მეც ვარ,  
მაგრამ გირჩევ, მის სიმუხთლეს  
არ დაურჩე წუთით ბეცად!  
სანამ თავი აქ დაგიბამს,  
სანამ ფრთა აქ დაგიკეცავს,  
შენ მაცხოვარს ვერ მიბაძავ,  
ვერ აღხდები ასე ზეცად.  
როგორ შეძლებ, სხვების თვალში  
ქვეყნის თვალი იყო თითქოს,  
როცა გულის შენის დაფას  
თხუპნი და თავს ამით ირთობ!  
ან აქ ყოფნა რა ხელს გაძლევს,  
ან იქ წასვლა რას გრგებს ვითომ?  
მესამე გზას დაადექი,<sup>70</sup>  
იქ უფალი გიცდის თვითონ!



# ფუზული

(1494-1556)

## თოთო იესო

ეს ჯეჯილია, ნაჯაფის\* ველზე  
რომ ლელავს და მე სიამით ვუცქერ,  
თუ თავის თბილ და ფაქიზ კალთაში  
ღვთისმშობელს თოთო იესო უწევს?

## თქვენში აქიეთ იგი!

ერთხელ იესო მარიამის ძემ,  
რომელიც უფლის ჩვენის სულია,  
რომელსაც სოფლის იდუმალების  
გასინჯული აქვს სიღრმე სრულიად,  
თავის ხალხს ასე მიმართა თურმე:  
„ვინც სიბრძნეს ეძებთ და ცოდნას იძენთ,  
ნუ ჰგონებთ, თითქოს სიბრძნე ზღვის ფსკერზე  
ილოს ან მთის ძრო მაღავდეს სიბრძნეს!  
ამაოდ ფიქრობთ, ის ცაში იყოს  
ანდა მიწაში სადმე ემარხოს;  
ნუ იმედოვნებთ, ის მოიხელთოთ  
სადმე თქვენგან შორს ანდა თქვენ ახლოს!  
მე გეტყვით, სიბრძნე სად არის და თუ  
მას ვერ მიაგნებთ, თქვენზე ახია:  
სიბრძნე თქვენს სულში ჰგვის\* ფარულად,  
სიბრძნე თქვენს გულში ჩუმად მარხია.  
და თუ გწადიათ, მის კვალს მიაგნოთ,  
მე აგისრულებთ ამ გულის წადილს:  
წადით და თქვენში ეძიეთ იგი! –  
მას ჰფარავს თქვენივე სხეული ხრწნადი.  
თქვენივე გულია მხოლოდ და მხოლოდ  
ამქვეყნად სიბრძნის და ცოდნის წყარო.  
ადექით თქვენც და ანგელოზივით  
ამცნეთ ღმერთს, რომ მას ესავთ\* და ყვარობთ!  
და განიხვენება თქვენ თვალწინ კარნი, –  
იხარეთ სიბრძნის ჭახჭახა დილით,  
დაბეჭდულ წყაროს დაეპატრონეთ  
და მოიზომეთ დახშული მტილი!“\*

## ჰაჰუი ზაფყელი

(1532-1583)

### როგორ გაიგებს?

ღამურა ბრმაა და ვით გაიგებს,  
როგორ კაშკაშებს ხარიპარია;  
როგორ მიხვდება, როდის დაბრძანდა  
წუხელ მოწმენდილ ცაზე არია?\*

მზის მცხუნვარება რა მწველიც არის,  
ამას იესო თუ გეტყვის მხოლოდ.  
ზელიხამ\* იცის, თუ უიმედო  
ტრფიალს როგორი მწარე აქვს ბოლო.

## მანფი ალამგირ-შაჰის ასული

(1638-1701)

### მოვედ, მესიაჲ!

სანამდის უნდა მივარდებოდეს  
შეჭირვებისგან ეს გული ბუდით;  
სანამდის უნდა ისხამდეს ეკალს  
სიცოცხლის ჩემის დანაკისკუდი?!\*  
იოსებივით\* ჩავარდნილს ჭაში  
დღეს ისევ ის მჭირს, რაც გუშინ მჭირდა.  
ღმერთი არა გწამთ? მიშველეთ, ხალხო,  
ამომიყვანეთ ამ ჭმუნვის ჭიდან!  
ჩემს გარდა ყველა კვლავ სამშვიდობოს  
გავიდა, ვინც ამ გზაზე იარა;  
ყველას გულის წყლულს შეეკრა პირი,  
პირს რად არ იკრავს ჩემი იარა?!  
განა არ მეყო, რაც დღემდე გულში  
ცეცხლი მენტო და დარდი მესია:  
ვერვინ ვერ მიხსნა ამ განსაცდლისგან,  
მხოლოდ შენ მიხსნი.  
მოედ, მესიაჲ!

### მხოლოდ მესია თუ მიხსნის ახლა!

კვლავ სამიკიტნოს კარს ავეტუზე,  
რომ უკეთესი ვერ ვპოვე კარი.  
თავს შენზე დარდის სპაც რომ დამესხას,  
აქ ვდგავარ და აქ ვიქნები მდგარი.  
მხოლოდ მესია თუ მიხსნის ახლა,  
გულზე ისეთი სევდა მესია,  
მაგრამ ტანზე თმა ნესტრად რომ მექცეს,  
მაინც არ ვუხმობ შეველად მესიას.  
ვაების ცეცხლში მინდა, ვიწვოდე.  
თქვენ გქონდეთ გრილი წალკოტი თქვენი!  
თავი არ მინდა ცოცხალი. მორჩა, –  
რაც მოხდა, მოხდა. რაც ვქენი, ვქენი!  
დღეს რომ მეორედ მოსვლის დღე დადგეს  
და მიხმონ, სადაც დგას ანგელოზი,

ვერ წამძლევს ფშვენა ედემის ბალის,  
ვერ მაცდენს ცვარი მისი მდელოსი.  
წინ იოსებიც რომ მედგას, ქვეყნის  
საქალეთს ვისი ცეცხლი ეკიდა,  
ის ქალი არ ვარ მე, გავეკილო  
მას, ვით ზელიხა გამოეკიდა.

### **იყუჩე, გულო!**

სიცილი კარგი რამე რომ არის,  
გაგიხარიათ, მეც კარგად ვიცი,  
მაგრამ ერთხელაც რისთვის არ მკითხავთ,  
რატომ ვერა და ვერ ვგუობ სიცილს?  
როგორ ვიციინო მეც სხვების მსგავსად,  
როცა ეს გული ჭმუნვამ გათანგა,  
როდესაც შეებას იმაში ვპოვებ,  
რომ სულ მდიოდეს ცრემლი თვალთაგან!  
არც კი ვკითხულობ, ჩემი მტკივანი  
გულის წამალი სად ძევს და ვის აქვს.  
არ ვეძებ საშველს. მიშველის, მაგრამ  
მაშველად მაინც არ ვუხმობ 'ისას.\*  
გულო, ჩვენ გულქვას გადავეყარეთ,  
იყუჩე, გულო, ფუჭად ნუ კვნესი!  
იმ ვარდს, რომელსაც ჩვენ ვეტრფიალეთ,  
გოდება ჩვენი არც ესმის.  
გესმის?

## დავლათუაჰ ყაჯარი

(გ. 1823 წ.)

### რატომ ვკენესოდი!

გამოზაფხულდა და, როგორც იქნა,  
ხეთა კვირტებმა მზის სხივი ნახეს  
და გულის ჩემის წყლულსაც სალბუნი  
სცხო მან, სიცოცხლე ვინც მისცა ბალებს.  
რატომ ვკენესოდი! რად არ ვიცოდი  
ის, რაც ზეციდან დანაწესია:  
მას სნების შიში რად უნდა ჰქონდეს,  
ვისთანაც შველად მოდის მესია!

### თენდება

თენდება. ჩიტმა გალობას  
გულიც თან ამოაყოლა.  
სადღაც მამალმა იყივლა,  
სხვებმაც დაუწყეს აყოლა.  
მაცოცხლებელმა ნიავმა  
კარდაკარ ჩამოიარა,  
თითქოს იესომ ჩაგვიდგა  
სული, ნიავმა კი არა.

## ვაყარ შირაზელი

(1816-1875)

### რომ შემომხედო

ქრისტეს სულთქმისებრ სულის ჩამდგმელი,  
ზომ ვიცი, არის დილის ნიავი,  
მაგრამ მას ჩემთვის არა მოაქვს რა,  
გარდა სიკვდილის და სხვა სიავის.  
ჯერ ოცდაშვიდი წლისა ვარ მხოლოდ,  
მაგრამ ზედ კაცმა რომ შემომხედოს,  
იტყვის ნამდვილად: „ეს ბერიკაცი,  
ნეტავი ყრმა თუ იყო ერთ დროს?!“  
ბედის მწერალი როცა ჩემს ბარათს  
წერდა (სიცოცხლე როგორ ვატარო),  
ის ან ფასკუნჯის ფრთას მიაჯღაბნა,  
ან დაათხაპნა ზურგზე ტარტაროზს.

### ვინ დამიჯერებს!

მე რომ დღეს ურცხვად დავიტრაბახო,  
თითქოსდა სულთქმით ვგავარ მესიას,  
ვინ დამიჯერებს! შემომხედავენ  
და თანაგრძნობის მზერას მესვრიან.  
ვთქვათ, ასეც მოხდეს, სხვა დავარწმუნე,  
რომ ქრისტეს მსგავსი აქ ერთხელ მეც ვარ,  
შემდეგ რას შვრები? მე აქ ვაგდივარ,  
ის კი აღმხდარი ბრძანდება ზეცად.  
ბაქია კაცი ბევრ ტყუილს იტყვის  
და არაკებით ხალხს დააოსებს,  
მაგრამ თავისი ენამჭევრობით  
ედრება იგი ენაბრგვილ მოსეს?\*

### ასე იაზად?

ბაგეთა შენთა სუნთქვა, ძვირფასო,  
იესო ქრისტეს მაგონებს სულთქმას,  
შენი სახე კი მოსეს ხელისგულს,  
ამბობენ, ჰგავსო სითეთრით სულ მთლად.

ტუჩების შენის ერთ კოცნას თურმე  
მკოცნელის სულის ფასად ჰყიდიან.  
ასე იაფად? ძალიან მიკვირს,  
ამგვარ ზარალზე რატომ მიდიან?!  
შენი მუშკივით შავი ზილფების  
დიდი შიში მაქვს, როცა მათ ვუმზერ:  
არ შევიშალო ჭკუიდან უცებ  
და არ ავილო ხელი ჩემს რჯულზე!

## მხოლოდ იმიტომ

მოსე\* თავისი ხალხის ბელადი  
მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გახდა,  
რომ უდაბნოში ატარა იგი, –  
აღთქმული ქვეყნის მიჰყავდა ბალთან.  
ხოლო იესო მიტომ აღზევდა  
ცად და მეოთხე სფერომდე აღხდა,  
რომ ჯვარზე ეცვა ხალხის გულისთვის.  
დღესაც მზეს ახლავს, ვით ადრე ახლდა.

## ვაყარი ქვეყნად ერთია

თუ მუსულმანი „ყურანს“ კითხულობს  
და მუჰამედის სჯულს გულით ესავს,\*  
მაშინ „ფსალმუნნი“ რაში სჭირდება,  
რად უნდა, ყურში „დავითნი“ ესმას?!  
იესო ქრისტემ თუ იცის, რომ მას  
წყალობს უფალი, ციური მამა,  
მოციქულების შეწევნა მაშინ  
რაში სჭირდება ან რაში ჰგამა?!\*  
ვაყარ, მოშურნე თუ გყავს, ნუ დარდობ,  
რადგან იცოდე, მოშურნეთ მყოლო:  
ისინი ბევრნი არიან, მაგრამ  
ვაყარი ქვეყნად ერთია მხოლოდ.

## თაი შამირანელი

(გ. 1853 წ.)

### დაუდევარი კაცი ვარ

დაუდევარი კაცი ვარ, თუმცა  
თმა მითეთრდება, წლები მიქრიან.  
ღამდება. მე კი რას შევაფარო  
თავი, ამაზე არც მიფიქრია.  
არც მაგონდება, აქ როს ვარ, მხოლოდ  
ცა როა სულის ჩვენის სამიზნე,  
თორემ ვინც კიცვზე\* შეჯდა, სუყველა  
იყო იესო მარიამის ძე?

### დიდება

დიდება, როგორ გგონია,  
გზაზე ვაგლახად იგდება?  
ღედის საშოდან მოგვსდევს ის,  
ხელთ მერე კი არ იგდება!  
ქრისტე რომ ასე აღზევდა,  
აბა ვის გაუკვირდება?!  
ღვთისმშობლის წმინდა კალთიდან  
აჰყვა მაცხოვარს დიდება.

### მხოლოდ თავისი ზნით

მხოლოდ თავისი ზნით და ბუნებით  
ქვეყნად იქმნება კაცის ღირსება.  
რა არის ბამბა! მაგრამ დიდებას  
აღწევს ის, როცა ღროშად იქცევა.  
ძე ღვთისნიერი თუ გამოგადგა,  
შენი მეხოტბე ღრო და ჟამია.  
ერთი იესოს ყოლის გამოა,  
რომ მარიამი მარიამია.



## ჰაბიზ ხორასნელი

(1849-1909)

### უდაბნოს ხვატში

უდაბნოს ხვატში ვეგდე მწყურვალი,  
მლუპავდა ღული\* ულთო ღუპვით.  
წყლის ერთი ყლუპი გადამარჩენდა,  
მაგრამ სად იყო ის ერთი ყლუპი!  
თურმე ხიზრს\* ჩემი მოესმა კვნესა,  
მომპარდა ცივი წყლით სავსე სურით.  
მასვა წყალი და დამიხსნა კაცი,  
ვისაც მედგა და არც მედგა სული.  
მკვდარი ვიყავი და, ვით წესია,  
სუდარაც მქონდა შემოხვეული;  
მოვიდა ქრისტე, შთამბერა სული  
და გამიცოცხლა მკვდარი სხეული.

### „ფსალმუნია“, ასე რომ გვატკობს?

წალკოტში ისე გამოჩნდა ვარდი  
სიტურფით გულში სიამის მძვრელი,  
თავის დიდებულ სამეფო ტახტზე  
დაბრძანდა თითქოს სოლომონ ბრძენი.  
ეს იადონის ხმა მოაქვს ზეფირს  
და მას ცისკარმა გაულო კარი,  
თუ „ფსალმუნია“, ასე რომ გვატკობს? –  
დავითმა ხომ არ მომართა ქნარი?  
კოკორმა კვირტში ხომ არ აიდგა,  
ვით ჩვილმა ქრისტემ აკვანში, ენა?  
ყლორტს გაბრიელი ხომ არ ასტუმრა,  
როგორც ოდესღაც ღვთისმშობელს – ზენამ?

# როუმან არდესთანელი

(გ. 1887 წ.)

## ჯვარცმოდან — ზეცად

წყარო მრავალი დის მიწის ზურგზე,  
მაშვნეა\* ის თუ უმაშვნო, ხოლო  
უკვდავების წყალს იმ წყაროთაგან  
ერთი წყაროა, რომ გვაწვნევს მხოლოდ.  
წვეთების მეტი რა არის ზღვაში,  
სადაფში მღვარ წვეთს  
სხვა წვეთიც ერთვის,  
მაგრამ მის გულში რომ მარგალიტად  
იქცევა, არის სხვა, სულ სხვა, წვეთი.  
კომბალზეც გეტყვი:  
რამდენს არ ეპყრა  
ხელთ იგი ან არ უპყრია დღესაც,  
მაგრამ სხვა იყო მოსე\* და სულ სხვა  
იყო კომბალი, მოსეს რომ ეპყრა.  
და ბოლოს ჯვარცმა:  
ამქვეყნად ჯვარზე  
რამდენი სიკვდილმისჯილი ეცვა,  
მაგრამ იესო ღირსიქმნა მხოლოდ,  
რომ აღმხდარიყო  
ჯვარცმოდან ზეცად.

# ადიზ ფარაჰანელი

(1860-1918)

## იციც კოკორმა

გამოზაფხულდა და გაიკოკრა  
წითელი ვარდი ხელახლა ბაღში.  
რაკი კოკორი გამოიყარა,  
მალე ხასხასა ფურცლებსაც გაშლის.  
იციც კოკორმა, წითელი ვარდი  
უზის ბუტკოში. და გამოსულა,  
თითქოს უბიწო იყოს ქალწული  
და მაცხოვარზე იყოს ორსულად.

## სად ხარ, იესოვ?

სად ხარ, როსტომო? –  
გმირი ბეჟანი\*  
ამოგვიყვანე  
ამ ბნელი ჭიდან;  
სად ხარ, იესოვ? –  
გადაგვირჩინე  
ეს ავადმყოფი  
დამთმენი ჭირთა!

## აფსარ ქირმანელი

(XIX ს.)

### შენ ჩემთან თუ ხარ

შენ ჩემთან თუ ხარ, მაშინ სულის  
ჩემის ქალაქი  
ღულს და გადაღულს, იფურჩქნება,  
ხარობს და ყვავის;  
ჩემთან თუ არ ხარ, მაშინ გულის  
ჩემის საუფლოს  
აღარ აქვს ხვათი და მის ნანგრევთ  
დაჩხავის ყვათი.  
შენ ჩემთან თუ ხარ, უკვდავების  
წყლად შემერგება,  
თუ გინდა, აქვე საწამლათი  
და შხამი მასვი;  
ჩემთან თუ არ ხარ, გინდ ბადათი  
დამალევინი  
და გინდა, მის წილ გესლით სავსე  
დამიდგი თასი.  
შენ ემთან თუ ხარ, ბაგე შენი  
ისე საამოდ  
მეტყველებს, თითქოს საუბრობდეს  
ჩემთან თვით ქრისტე;  
ჩემთან თუ არ ხარ ან თუ ხარ და  
მიბღვერი, მაშინ  
იქედნებით სავსე ველზე  
დავძრწივარ ისევ.

### გულო

„გულო, რატომ არ წყნარდები,  
სულო, ასე რატომ ღელავ?!  
გულო, სატრფოს ხომ ეწიე,  
სულო, სევდა ხომ არ გქელავს?!“  
„მიტომ ვღელავ, საბურთაოდ  
რომ გავდივართ მინდორ-ველად,  
მისი ზილფის ყვანჭი გულის  
ჩემის ბურთის ხელთ იგდებს ხელად.

ჩემს წამალს რომ მისი ტუჩი  
მაღავს, ალბათ იცით ყველამ,  
ის კი საქმეს მიტრიზავებს:  
„აბა, აბა! ცოტა ნელა!  
წადი, ქრისტეს სულთქმის მქონეს  
შეეხვეწე, როგორც ძველად, –  
ეგებ ისე გაგიმთელოს  
გული, როგორც გაგიმთელა!“

### ტუჩები შენი

ტუჩები შენი სიკვდილის პირას  
მიმდგარს სულს უდგამს, როგორც მესია.  
სნეულს ქრისტეზე უფრო შენ შეველი  
(ეს რა ვთქვი! – ვიცი, ქვას რომ მესვრიან).  
შენს მიერ მოწვდილ გესლს უმაღლეს ვეცხვამ  
(განწირულისთვის საფრთხე გესლია?!),  
ვიდრე გოლეულს\* სხვისგან მორთმეულს.  
რად გიკვირს? ეს ხომ მიჯნურთ წესია!

### ქრისტე წამოიჩინა

ეგ შენი ბაგე წვეთის მსგავსია,  
ჩემი გული კი ჭად დაგხვდა აგერ.  
მიკვირს და მიკვირს, ოკეანეში  
ვით ვერ თავსდება პატარა ბაგე!  
მღულარე ცრემლის დიდი ლანქერი  
შენ როგორ გინდა,  
ციცქნა ზღვას შერთო  
ან ოკეანეს პატარა ზღვაში  
ვით ტევ, აფსარო, შე მართლა შეთო?  
უბიწო ფიქრის უმანკო ბავშვმა  
შენს გულის ძვიდეს უწყო შეტევა.  
რად გიკვირს, ქრისტე წამოიჩინა,  
დედის კალთაში ველარ ეტევა!

# აპრაფ ედ-დინ გილანელი

(1871-1921)

## მხოლოდ იესოს

ზეციდან უფლის მიერ ამქვეყნად  
მოვლენილთა და მოციქულთ შორის  
მხოლოდ იესოს ადგას გვირგვინი,  
არვინ აღმოჩნდა იესოს სწორი.  
„მაინცდამაინც იესოს რადო?“ –  
თუ მკითხავს ვინმე, მე ვეტყვი, რატომ:  
მიტომ, რომ უფლის მოციქულთაგან  
მხოლოდ და მხოლოდ მან ბრძანა მართო:  
„სამეფო სკიპტრა მან უნდა იპყრას,  
გვირგვინი მხოლოდ მას უნდა ერქვას,\*  
ვინც თქვა პირველმა: „შევწყვიტოთ ომი!“  
როცა ეს სხვასაც შეეძლო, ეთქვა.“

## მოვედი ისევ

მოვედი ისევ, რათა გავუთბო  
გული მას, უფალს ვინც ესავს ისევ;  
მას, ვინც ირწმუნა ჭეშმარიტება  
და ამის გამო ფიქრს ფიქრზე ისევს.  
დროის დავთარში მსურს, ჩავეწერო,  
საამურია იგი თუ მქისე.\*  
მოვედი ისევ, რომ ანტიქრისტეს  
წელი მოვწყვიტო, ვითარცა ქრისტემ.

## სულელთა შესახებ

ერთხელ თურმე მაცხოვარი  
ველად რბოდა ფხოჭა-გლეჯით  
გაუკვირდა ერთ კაცს ეს და  
კულში სდია ერთი ეჯი.  
როგორც იქნა, დაეწია  
(გაუგრძელდა დევნა დიდხანს).

„ასე მწარედ რას გაურბი,  
მითხარიო?“ – ქრისტეს ჰკითხა.  
მაცხოვარმა უპასუხა,  
ის რომ კითხვას მორჩა, ბოლოს:  
„მე ვის უნდა გავეუბოდე,  
გავეუბივარ სულელთ მხოლოდ“.  
გაუკვირდა იმ კაცს ეს და  
არც სხვა კითხვა დაახანა.  
მოახსენა: „მითხარი, შენ  
მაცხოვარი არ ხარ განა?  
შენ ის არ ხარ, უფლისაგან  
ღვთაებრივი რომ გაქვს სულთქმა;  
სულთმობრძეებს რომ კურნავ და  
მიცვალებულთ სულს რომ უდგამ?“  
„დიახ, სწორედ ის გახლავარ  
(არ შეჩერდა ქრისტე დიდხანს),  
მკვდარს სულს ვუდგამ,  
სწორი არის.  
მერე რა გსურს, ამით მითხრა?“  
„რა მინდა და, ვერ მიმხვდარვარ,  
ამიხსენი, არ მაწვალო:  
ღმერთი ყოვლად მოწყალეა  
და სულელებს რად არ წვალობს?“  
მაცხოვარმა უპასუხა:  
„შორს შეტოპე, ძიაკაცო,  
უფლის ნების თაობაზე  
რაც მე ვიცი, გინდა, გამცნო:  
უფლის წყრომა ზოგს ავად ხდის,  
ზოგსაც კიდევ მისცემს ზარალს,  
მაგრამ სულელს რაც მან უქნა,  
მე რომ მე ვარ, ტანში მზარავს“.

# ალი-აქბარ დეჰსოდა

(1879-1956)

## სამშობლოს დაცვა

ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ერთხელ  
ქათმის ბუდეში  
ჩავყავი ხელი და ფათური  
ვუწყე მის რბილობს.  
უეცრად კრუნმა თითზე ისე  
ჩამინისკარტა,  
დღემდე იმ სიმწრის დავიწყებას  
ამაოდ ვცდილობ.  
მამას სიცილი აუვარდა  
იმ ჩემს ღნავილზე;  
ჯერ მომეფერა და შემდეგ კი  
იცვალა კილო:  
„ხედავ, რა კარგი გაკვეთილი  
მოგცა ქათამმა?  
სამშობლოს დაცვა კრუნისაგან  
ისწავლე, შვილო!“



## ადიზ ქაშანელი

(გ. 1933 წ.)

### ჩემს კალამს

რად აღარ მწყალობ, კალამო,  
ბერ კაცს რად აღარ მიცოდებ;  
ბრმას თვალში რატომ არ მაყრი  
თუთიას, ერთი, ვიცოდე?!<sup>71</sup>  
წავიდა სიყრმე, დრო დადგა,  
სიბერის ცეცხლში ვიწვოდე.  
ჩემს ხელში ისე დამძიმდი,  
თითქოს არც გსურდეს, იძროდე.  
რად შემომწყერი, არ ვიცი,  
სულ მუდამ ასე ვით ვძრწოდე?!  
კვვლები და, როგორც იესოს,  
სულის ჩამდგმელად გიწოდებ.

### შენ თუ განმიკითხავ

განკითხვის დღეს თუ შენ განმიკითხავ,  
მე არ მექნება განკითხვის შიში, –  
გულს შენ გიშლიდი, შენ კი არაფერს  
მე არ მიშლიდი და არც დღეს მიშლი.  
იესო ქრისტეს მრევლს გარეული  
ვარ, თუმცა არ ვარ მე მათი ჯიშის.  
ნოეს\* კიდობნის გულში ვზივარ და  
არც მესმის წარღვნილთ ვაი და ვიში.

### შენ, ვით იასო

რა თავში ვიხლი სამოთხეს ახლა  
ანდა რად მინდა მისი ჰურია, –  
როცა შენ მყავხარ, ჰურია ჩემთვის  
რა ამისთანა შესაშურია!  
ოღონდ მიკვირს კი: ეს სამართალი,  
ძვირფასო ჩემო, სადაურია:

ვით ქრისტე, შენ სხვა მომაკვდავს კურნავ,  
ვისაც სიცოცხლე ასე სწყურია,  
მე კი სულს ვლაფავ აქ, კოცნა შენი,  
იცი, არსობის ემის პურია.  
რატომ არ მკოცნი, არ გეცოდები?  
მაჰმადიანი ხარ თუ ურია?!

## შენდა საქებრად

შენ არ ხარ მოსე,\* მაგრამ იმათ, ვინც  
ხალხი ტყუილის სამოსით მოსეს,  
ჯაბნი და კალმის შენის ჯავარი  
ჯობნის კვერთხს, ხელში რომ ეპყრა მოსეს.  
შენ ბაგეთაგან მესიის სუნთქვა  
არ მოიფრქვევა, გამოვტყდეთ უნდა,  
მაგრამ ეს როგორ ხდება, რომ ას მკვდარს  
ერთი შებერვით პირში სულს უდგამ?!  
ხმა კი ამომდის მე საწყალს, მაგრამ  
შენდა საქებრად რას ვარგა ეს ხმა, –  
ზღვის წვეთს ვინ მისცა იმის შეძლება,  
მთელი ზღვის რომ თქვას  
ხოტბა და შესხმა.

## იოანემ თქვა

თეირანიდან მოსულო სიოვ,  
მზით დასიცხულებს გვაცოცხლებ ისე,  
თითქოს სიკვდილის პირად მისულ ხალხს  
სულს ისევ პირში უდგამდეს ქრისტე.  
შაბაშ იმ სუნთქვას, რომ გაგვაგრილა  
და მოგვაშორა ბული და ალხი!  
იოანემ თქვა: „ელოდეთ მხსნელსო!“ 72  
და ჰა, მის მოსვლას ეღირსა ხალხი.

# აბუ ლ-ყასემ ლაჰუთი

(1887-1957)

## მით უკეთესი!

შეიხი ჩივის: „დავკარგეთო ისლამის წესი!“  
მე ვეუბნები: „მით უკეთესი!“  
შეიხი ჩივის: „ხალხი აღდგა, ჩვენი არ ესმის.“  
მე ვეუბნები: „მით უკეთესი!“  
შეიხი ამბობს: „ძლივს გადვურჩით რევოლუციას.“  
მე ვუპასუხებ: „ეს კი ცუდია!“  
შეიხი ჩივის: „გაგვერია ნექტარში გესლი.“  
მე ვეუბნები: „მით უკეთესი!“  
შეიხი მკითხავს: „გაიმარჯვებს ღარიბი ხალხი?“  
მე ვუპასუხებ: „უეჭველია!“  
შეიხი ჩივის: „ხომ მოთხარეს მეფეთა თესლი!“  
მე ვეუბნები: „მით უკეთესი!“  
შეიხი მკითხავს: „მეჩეთებში რა იქნებოდა?“  
მე ვუპასუხებ: „კულტურის სახლი.“  
შეიხი ჩივის: „ხომ დამიდგა დღეები კენესის!“  
მე ვეუბნები: „მით უკეთესი!“  
შეიხი მკითხავს: „სახელმწიფოს ვინ გაუძღვება?“  
მე ვუპასუხებ: „მშრომელი ხალხი.“  
შეიხი კენესის: „მე მოგკვდები, დღეს ეს რა მესმის!..“  
მე ვანუგეშებ: „მით უკეთესი!“

## შენ მაგონდები

ტრფიალო ჩემო, მეტრფე შენი  
ნეტავ მაჩვენა! —  
დღედაღამ მოვთქვამ და დღედაღამ  
შენ მაგონდები.  
ვწყვევლი და ვწყვევლი ჩემს სიცოცხლეს  
და ჩემს გაჩენას  
და მეზობლებიც შევაწუხე  
ჩემი გოდებით.

\* ეს ლექსი ძალიან მოსწონდა მურმან ლებანიძეს, თარგმანსაც სულ მიქებდა.

ვარ დაბნეული, ვით შენი თმის  
შავი კულუღი,  
შენმა შემყურემ ვერ შევიძელ  
წელში გამართვა.  
ო, როგორ, როგორ გამომტაცეს  
მე ჩემი გული!  
არც გული შემრჩა და არც ის, ვინც  
გული წამართვა.

## რუჰ ულ-ლაც სომეინი

(1902-1989)

### სამყაროს გული

შენ, მხოლოდ შენ ერთს, მოგანდე გული  
და შენ თვინიერ მწედ არვის ვგულობ,  
მხოლოდ შენს ნებას მივანდე ვნება,  
ქვეყნიერების სულო და გულო.  
ეს ტრფობის შენის ბიძგია მხოლოდ,  
გულს რომ მიტოკებს მე, გულის დარდო,  
ოდენ შენს ტურფა ხატზე ვიფიცავ  
და ვნების შენის ცეცხლი მწვავს მარტო.  
შენთან ვარ მარად, არსობას ჩემსას  
შენით ვამთავრებ და შენით ვიწყებ,  
მაგრამ ჯერ ამას მე ვერ გიმტკიცებ,  
რადგან საშენო ჰიმნი ვერ გიძღვენ.  
გემუდარები, აიხსენ რიდე,  
ქენჯნილი კაცის ისმინე აჯა!\*

შენ გარდა არვის დანახვა არ მსურს,  
შენს იქით ჩემთვის არავინ არ ჩანს.  
ჩემ სიახლოვეს შენ თუ არ სუნთქავ,  
თავსაყუდარი ქვეყნად არსად მაქვს,  
თვითონ სამოთხეც რომ სამოთხეა,  
არ მიღირს იგი ჩალის ფასადაც.  
ნუ შემიწუხეთ სულ ამ ედემის  
და ჰურიების ხსენებით სული! –  
სანამდის შენ არ შეგადგამ მე თვალს,  
მანამდის გული არა მაქვს სრული.

### სატრფოს ბაბენი

ველარც ამ სოფლად ვიშვებ და არც იქ,  
სასუფეველში ცხონების მჯერა,  
მაგრამ ტრფიალი შენი მაქვს გულში  
და ეს მახარებს, ვითარცა ჯერ არს.  
თუ არსს რაიმე ფასი აქვს ქვეყნად,  
მას მხოლოდ შენი ხატით აქვს ფასი,  
განა ცოტაა ეს, ამ ცრუ სოფლად  
ყელამდე შენი ტრფობით რომ გვავსებ!

ბაგეთა შენთა წიაღში სუფევს,  
რაც საიდუმლო ამ ქვეყნად ჰგეის.\*  
განსენ ბაგენი, გულთამხილაგო,  
და რაც გულში გაქვს, გადმოგვაფრქვიე!  
ან აქ მომკალი, ანდა გამიღე  
ამ წუთისოფლის გაღია ვიწრო,  
ვინძლო დამცალო ფუჭი ვნებისგან  
და განვიწმინდო ბუნება ვინძლო!  
თუ ტაძრის შენის ირგვლივ ლოცვებით  
მე არ ვიყავი შემოვლის ღირსი,  
ტრფიალის წყალში მოხელილ მიწით  
რომ გამომძერწე, რატომ და რისთვის?

## წყალი და წირი

ამ უზომო ტანჯვისაგან  
დამინსენით, ღმერთი ვის გწამთ!  
ასო-ასო აქნილი ვართ,  
გულ-ღვიძლს ვნების ცეცხლი მიწვავს.  
განშორება რა ყოფილა,  
ვერ გამოვთქვამ ამას ენით,  
ხმელზე მოფართხალე თევზის  
მსგავსად განვლე დღენი ჩემნი.  
მე რომ მერგო, ის ცხოვრება  
რა ცხოვრება იყო ვითომ!  
ყბელობაში დაბერებულს  
მერცხვინება თავი თვითონ.  
არც მედრესემ\* მომცა რამე  
და არც სწავლა შემრჩა ხელში.  
წყალს ვეძებდი და წირს\* ვსდიე,  
მრცხვენია და ამაღ ვხვნიეში.  
რაც ვისწავლე და რაც ვწერე,  
რაც ვიკითხე და რაც ვფურცლე,  
არაფერი რომ არ იყო,  
ვერ მივუხვდი ამას უცებ.  
ყრმაო, კარგად დაიხსომე,  
ბერიკაცი რასაც გეტყვი:  
სიბერეში არაფერი  
არ მოგელის ძილის მეტი!..  
ჩვენ საკუთარ აუგს ვმაღავთ  
და ღირსებას არ ვცნობთ სხვისას,  
მოხუცს ვგავართ სასაცილოს,  
თეთრ წვერზე რომ ინას ისვამს...

## შმაგი მიჯნური

ჰეი ნიაგო, თუ გაიარო  
იმ მხარეს, სადაც ჩემი მზე სახლობს,  
ამცნე: მას თავი უნდა დადოს-თქო  
მხოლოდ და მხოლოდ შენს ფერხთა ახლოს.  
ესეც უთხარი: თვალთა წინ შენთა  
რომ მინდა მხოლოდ მომედოს ბოლო.  
მე თუ სულს რამე ამომხდის ქვეყნად,  
შენ ამომხდი-თქო მხოლოდ და მხოლოდ.  
შენ რაც დამშორდი, ვიწვები ცეცხლში,  
უშენოს გულზე დამესო დანა.  
შეყვარებულის ამგვარად დასჯა  
თქმულა-თქო განა (სატრფოსგან თანაც)?  
შმაგი მიჯნურის სამაგალითოდ  
საბრალო მაჯნუნს\* იტყვიან ჩვენში.  
მაგრამ არავინ აკენესოს ღმერთმა  
ისე, ვით ახლა მე შენზე ვკენესი!

## სატრფოს ხელადა

ისე გავიდა ცხოვრება ჩემი,  
ველარ შევადგი შენს შუკას თვალი.  
ვერ შეგიცანით მეჯლისში, ისე  
წამოიშალა მეჯლისი მთვრალი.  
წალკოტი ესე სურნელით შენით  
სავსეა, ვიცი, და ფშვინავს შენში,  
მაგრამ შენს სურნელს ჩვენ კი ვერ ვცნოსავთ,  
გეძებთ და შენი ვერ ვიღეთ გეშიც.  
რაც ჰკიეს\* ქვეყნად, შენი და შენი  
ხატების შუქით ხასხასებს იგი,  
ჩვენ კი შენ გეძებთ და ვით დამურა,  
ბნელს ვეფეთებით აქეთ და იქით.  
შეყვარებული ვინც კია, ღვინოს  
წრუპავს და თასი უპყრია ხელში,  
ჩვენ კი, საცოდავთ, სატრფოს დოქიდან  
წვეთიც არ გვერგო და მიტომ ვხვნემით.  
მიპყრობილი გვაქვს სატრფოსკენ ყური,  
ხმა მისი ერთხელ მოგვესმას იქნებ,  
ჩვენ მას ვერ ვისმენთ, თუ არადა ის,  
ჩვენ ვიცით, ისმის აქეთ თუ იქით.<sup>2</sup>  
ამცნეთ სუყველას, მხოლოდ გონებით  
ვინც თვლის, არს მისი ძიების ღირსი:  
ფუჭად ნუ შერებით, ხალხო, რადგანაც  
სუყველგან ჰკიეს\* ხატება მისი.  
მწდე რომ თასს გვაწვდის, ეს სატრფოს მიერ  
გამოგზავნილი თასია ჩვენთან.

ავწიოთ თასი, ავწიოთ თასი,  
დავლიოთ ერთად, დავლიოთ ერთად!

## მეგობრული თათვის

რაც ჩემს გულს უნდა, არ მეგულება  
არავითარი რჯულის სიაში.  
არც მუსულმანებს ჰყავთ ის მეჩეთში.  
არც ქრისტიანებს – ეკლესიაში.  
ფუჭი ყბედობა გამოუვიდათ  
აქეთ მორწმუნეთ, იქით – წარმართთაც.  
ვერაგინ შესძლო მისი აღწერა,  
ვინც მე მიყმო და გული წამართვა.  
ჭკუის კოლოფებს გეტყვით: სიტყვებით  
ნუ ავსებთ ფუჭად სქელ-სქელ რვეულებს, –  
თქვენ რას გაგვიგებთ, ჭკვათამყოფელნი,  
ჩვენ, მიჯნურებს და გადარეულებს!..  
შეყვარებულთა გულის ამბავი  
შეყვარებულმა თუ იცის მხოლოდ,  
როცა სატრფოს ხარ დაშორებული  
და მოთმინებას არ უჩანს ბოლო.  
მისი ზილფების და ეშხის ცეცხლი  
ლოთების გულში გიზგიზებს ახლა.  
ვინც სანთელს უნდა შეაწვას თავი,  
მხოლოდ და მხოლოდ ფარვანა გახლავთ.  
თავდავიწყების ნიშანი რაა  
და იღუმალი ლოთი რითია,  
მხოლოდ მიჯნურმა თუ იცის და ეს  
არც ზღაპარია და არც მითია.

## სიცოცხლის ნიშნი

წავიდა სიყრმის ნეტარი ხანა  
და მომაკითხა სიბერის მწუხრმა.  
მთელი სიცოცხლე ფეხი ცოდვაში  
მედგა და ამას ძალიან ვწუხვარ.  
უნდა მცოდნოდა, მხარაქცეული  
ვერ მივალწევდი სანუკვარ მიზანს.  
ამდენი ხანი რაც ვერ შევძელი,  
იმას სიკვდილის წინ როგორ ვიზამ!?  
სატრფოსთან თავი ვინც მიიტანა,  
ნეტარებს ახლა მასთან ტრფივით,  
მე კი ვერ ვპოვე სავანე და კვლავ  
მაბრუნებს სოფლის ორომტრიალი...



ვაი, რა ცუდი ჰქონდა წარსული  
და მომავალიც რა ცუდი ელის  
მას, ვინც ქონებას იხვეჭდა მხოლოდ  
და ედო მაღალ ადგილზე ხელი!..

## სიცოცხლის ქარაჴანი

ისე აღმოძნდა პირიდან სული,  
არ მინახულა მან ერთმა მხოლოდ.  
გასრულდა ჩემი სიცოცხლის დღენი  
მაგრამ ჩემს ტანჯვას არ უჩანს ბოლო.  
სიკვდილის თასი ისე დავცალე,  
ხელთ არ მჭერია ჯერ ჯამი ღვინის.  
ისე დაგებრდი, არ ვიცი კაცმა,  
რაა სატრფოსთან შვება და ღზინი.  
სიცოცხლის ჩიტი ფრთამოტეხილი  
მყავს ამ ყაფაზში გამომწყვდეული,  
ვინც იგი უნდა დამიხსნას, არ ჩანს,  
არც გამოჩნდება, მგონი, წლეულს ის...  
სიყვარულია, ვინც ცოცხალ მიჯნურს  
კლავს, უსულოთ კი სულს უდგამს პირში,  
მაგრამ რეგვენ ხალხს ამ გამოცანის  
არ გაეგება ინჩი და ბინჩი.

## ბახსენი გული

ფრთას გულის ჩიტი ზედ ფრთაზე ირტყამს,  
რომ დააღწიოს თავი გალიას;  
მაჯნუნის\* მსგავსი მეტრფე რომ გახდეს,  
რაც ძალი ჰქონდა, უკვე გალია.  
ამ გულდამწვარი ფარვანის ბედი  
არ ედარდება არავის ქვეყნად, –  
არსობის სანთლის მხურვალე ალზე  
სულ დახრუკულა ის თუნდაც ეხლავ!  
მგზავრებმა თვისი აიკრეს ბარგი,  
ქვეყანა ესე დააგდეს ოდეს;  
ვინც დარჩა, იგი ქუჩა და ქუჩა  
გზააბნეული დაძრწის და გოდებს.  
გაგვიხსენ გული, გადაიწიე  
მაგ შენი ტურფა პირიდან ჩადრი!  
შენზე დარდისგან მე რომ ცრემლი მდის,  
ჯეონად\* იქცა და ზღვაში ჩადის.  
მწდევე, ჩვენც მოგვხედე, დაგვისხი ღვინო,  
თორემ წყურვილმა გაგვიშრო ხახა!  
აგვივსე თასი პირამდე და ჩვენც

როგორ დავთვრებით, შენ თვითონ ნახავ.  
თუ ერთ მშვენიერ დღეს ცით ღრუბელმა  
წყლის ნაცვლად მწყურვალთ გვაწვიმა ღვინო,  
ნახავ, მთა-ველი როგორ სვამს თაფლუჭს\*  
და ძე კაცისა რარიგად ლხინობს.

### ვის შევჩივლო?

ჩემს სიგიჟეზე ვერვის შევჩივლებ  
შენს მეტს, ქვეყანა თუმცა დიდია.  
შენს გარდა ვერვინ ვერ მიმასწავლის  
იმ დუქანს, ღვინოს სადაც ყიდიან.  
ტრფობის ხვაშიადს\* ვინახავ და ის  
არავინ იცის ქვეყნად შენს გარდა.  
სიტყვით ვით გითხრა, სიშორის შენის  
გამო ვით ვდგავარ განსაცდლის კართან?  
გამოზაფხულდა, ღვინო გვწყურია,  
სირაჯხანები გაგვიღეთ ჩქარა!  
გამოზაფხულზე ღვინო უნდა ვსვათ,  
მთელი ზამთარი რაც ვერ ვსვით, კმარა...  
ლამაზო გოგოვ, ღვინოს რომ ყიდი,  
ამდენი ხვეწნა არ გეყო განა? –  
ჩამოიშალე ზილფები მათ წინ,  
შენი ტრფიალით გიჟებს რომ გვანან!  
დღეს სულ სხვა დღეა, უნდა იხაროს  
სატრფომ და მეტრფემ, ნუ მკითხავ, როგორ!  
გვიშველეთ ლოთებს, სანამდის დროა,  
და სავსე ჭურებს მოხადეთ როგო!\*

### ცისკრის პატარძალი

ამაღამ, როცა პატარძალივით  
მიწევხარ მკლავზე და მეხუტები,  
გაფიცებ, კიდევ გამიხანგრძლივე,  
შენი ხვევნის და კოცნის წუთები!  
ღამევ, ამაღამ ცისკრის პატარძალს  
უფრო ჩაეკარ გულს, ვიდრე გუშინ,  
რადგან, ხომ ხედავ, ეს პატარძალი  
ჩაკონებული როგორ მყავს გულში!  
ამ ბადაგივით ტკბილზე ტკბილ ტუჩებს  
როგორ მოვწყვიტო ჩემი ტუჩები,  
რაგინდ ცისკარი დამადგეს თავზე  
და ახმაურდეს რაგინდ ქუჩები!  
ნუ ამოიყვან დღეს მზეს საერთოდ,  
უფალო, ასეთ სათხოვარს გკადრებ,

ნუ გააღვიძებ მუეძინს\* დილით,  
ნუ ააყვილებ მამლებსაც ადრე!  
შენ რომ ამალამ გულს მეკონები,  
მე რომ ამალამ ვნეტარებ შენთან,  
აწი ბედნიერ კაცად არ მოვკვდე,  
რა უნდა მოხდეს ისეთი, ნეტავ!?  
რა უნდა მომცენ, რომ გათენება  
ვისურვო ამალამდელი ღამის, –  
სოლომონ მეფის\* ტახტზე რომ დამსვან,  
მაინც არა ვარ თანახმა ამის.  
მოვსულვარ ჰინდი\* ინდოთა ქვეყნით,  
რომ ვიყურეუტო შენს კარებს გარეთ.  
ვერ დაგთმობ, თუნდაც მომცენ შირაზი  
და დამისართონ ზედ თუსის\* მხარე.

### სატრფოსთვის ვნება

შენთან შეყრის და ყოფნის სურვილით  
მე ჩემს საკუთარ სულს გავყვარე.  
შენი გულისთვის დავტოვე სახლი,  
დავაგდე ჩემი სამშობლო მხარე.  
განა არ მყავდა მამულში თვისი,  
ძმა, მეგობარი და ნათესავი,  
„მაგრამ სუყველას გამოვეთხოვე,  
აქ მოველ და შენ შეგწირე თავი.“  
მქონდა წალკოტი და იმ წალკოტში  
მეკეთა ბუდე თბილი და მყუდრო,  
მაგრამ ის ბუდე შენ დამიშალე  
და დღეს არ ვიცი, სად დავეყუდო.  
პირუმტკიცარო, მე რომ მცოდნოდა,  
მომიკეტავდი შენ ცხვირწინ კარებს,  
იმ ჩემს წალკოტში ვირუდუნებდი,  
არ გამოვეყოფდი თავს სახლის გარეთ.

### მთვრალი თვალები

ტუნებთან ხალი რომ გიზის, იმ ხალს  
თვალს რომ შევადგამ, შენი ტყვე ვხდები.  
მთვრალი თვალებით რომ გამომხედავ,  
ფეხზე ძლივს ვდგავარ, მეც ისე ვთვრები.  
ვისხენი სული საკუთარ თავის  
ტყვეობისაგან, როგორც მანსურმა.\*  
„ეს მე ვარ თვითონ უფალი!“<sup>73</sup> – ვთქვი და  
ქოსებსაც\* დავსცხე ამის დასტურად.  
შენზე დარდებმა ცეცხლი შემინთო

ისეთი მწველი, ისეთი ცხელი,  
„აგე, რას ჰგავსო ტრფობისგან ხელი!“\* –  
მოშვერილი აქვს ხალხს ჩემკენ ხელი.  
რატომ არ გვიღებთ სირაჯხანის კარს,  
ეს მიკიტანი რატომ არ ღებება?  
ამომივიდა მედრესე\* ყელში,  
მომბეზრდა ამ თქვენს მეჩეთში გდება.  
შემოვიხიე ტანთ განდეგილის  
ჯვალო რომ მეცვა ამდენის მომთმენს.  
ღვინო მწყურია, ლოცვა კი არა,  
ამივსე თასი, აღარ ვარ მოთნე!\*  
„რატომ სცოდელ!“ – სჯულის მოძღვარმა  
მთათხა და ხალხში თითი მიქნია.  
დამისხი ღვინო, მან კი არჩიოს,  
მე რაც მიქნია და არ მიქნია!..

### ქვეყნის მასხარა

დალაღთა შენთა ქამანდის ტყვე ვარ,  
შეკრული ზილფთა შენთა კავებით.  
მთელი ქალაქი მე დამღევს უკან,  
რაც ამისთანა ჭირში გავები.  
ერთი კარიდან რომ გამომაგლო,  
გამოსავალი კვლავ მაქვს სხვაგვარი:  
მეორე კარით შემოვალ, რაკი  
ამოვიჩემე შენი სახლ-კარი.  
იმ ყალბმა სიბრძნემ და საქციელმა,  
რაც ვლოთობ, ჩემგან ბარგი აიკრა.  
დავლიე ღვინო და გამოვფხიზლდი, –  
არც ვიცი, ის ცრუ სიბრძნე რა იქნა.  
სნეულებაზე უკეთესს ქვეყნად  
ვერაფერს ვპოვებ, ახლა კი ვზვდები, –  
ოღონდ შენს სნეულ თვალებს<sup>74</sup> ვუყურო  
და ჩემივ ნებით სნეული ვზდები...

### სატრფოს ვიგონებ

ნეტავი იმ დღეს, შენმა ტრფიალმა  
რომ დამიმონა ისევ და ისევ;  
როდესაც შენკენ ავიღე გეზი  
და თავის თვისის გზას აღარ მივსდევ.  
შენი ზილფების კავების ცქერით  
მე მოვიკაკვე, ძვირფასო, წელში.  
ხალხი დამცინის: „შეხეთ, ამ გიჟმა  
როგორ დაგმლო ჭკვიანთა წესი!“

ნეტავი იმ დღეს, ხვევნა-ალერსში  
რომ დაგვათენდა მე და შენ, ჩემო!  
შენზე დარდისგან ისე გავლოთდი,  
რომ შემთვრალეთა მოგვობას ვჩემობ.  
ვის ვუთხრა გულის ჩემის სათქმელი,  
ან ვინ გამიგებს, ან ვინ მომისმენს,  
როგორ წამართვი ძალ-ღონე მიჯნურს  
და სასოება როგორ მომისპე?!  
შეყვარებული ჭიქა ღვინოზე  
სათქმელს გულის ტოლს თუ ეტყვი მხოლოდ,  
თორემ თუთიყუშს საქმეთა ჩვენთა  
არ გაეგება თავი და ბოლო.  
მაგ ავადმყოფი თვალებით, ამ სენს,  
რაც შენ შემყარე და მით ვნეტარებ,  
ნეტა, რა მქონდა მე ამის ნაცვლად,  
ამ ქვეყანაზე რაც კი ვეტარე?

## არსოზის სანთელი

დადგება დრო და ერთ მშვენიერ დღეს  
დავაგდებ იმ სახლს, სადაც ვეყუდე,  
შემოვკრავ ფრთას და ამ სოფლის მიღმა  
არყოფნის ტოტზე დავიდებ ბუდეს.  
მოვა ის ჟამი, როდესაც ჩემი  
სატრფოს არსებით ვიქნები სავსე,  
როგორც სანთელზე ღამის ფარვანა,  
დავინრუკები კელაპტრის ალზე.<sup>14</sup>  
როცა დავაგდებ მწირის ამ სენაკს  
და მწდეს ვთხოვ, ღვინის მოდგას დოქები,  
როცა მეჩეთში მუხლთმოყრის ნაცვლად  
სამიკიტნოს წინ დავიჩოქები!  
რა თავში ვიხლი შეიხის\* ჭკუას,  
სუფის\* სიბრძნეს და ვაეზის\* რჩევას,  
წავალ და ჩემი კერპის ქუჩაზე  
ვიგიჟებ, როგორც შეშლილთ აქვთ ჩვევა.  
ღაწვზე საკენკად გიგდია ხალი  
და კაკანათად თმის კავებს გვიშლი.  
გულის ფრინველი არ მომიტყუო,  
გულს სულ ამ ხრიკის მიქანებს შიში.  
ნეტავ, ოდესმე თუ დადგება დრო,  
არ მედოს ბინა ამ ახლომანლოს,  
გავშალო ფრთები და სამუდამოდ  
დავაგდო, კერპის მსახურთა სახლო?!

## ღვინო — საშველი

მწდევი, გეხვეწები, გაგვიღე ჩქარა  
საღვინე სახლის კარები ლოთებს!  
დავთმე სენაკი და საღვთო სჯული,  
აღარ მსურს ვიყო ქლესა და მოთნე.\*  
ზილფების შენის ხვეული ღერი  
დაგვიგე გზაზე ასე ლამაზი!  
აღარც ცოდნა მსურს, აღარც მედრესე,\*  
აღარც მეჩეთი, აღარც ნამაზი.\*  
დავითის\* მსგავსად ტკბილი გალობით  
მოდექ და ღვინის დაგვიდგი ჯამი! —  
არც დიდებაზე ვიფიქრო წუთით,  
არც ამ სოფელზე ვიღელვო წამით!  
ოღონდ მოიხსენ პირიდან რიდე,  
მაჩვენე შენი ელვარე სახე  
და მე არც ჰეჯაზს\* ვინატრებ როსმე  
და არც ვახსენებ ქაბის\* სახელს.  
ოღონდ ამივსე კამკამა ღვინით  
საღვინე ღოქი ჩემი პირთამდე,  
თათრის გომბიოს გავეკიდები,  
ღღეს მზეთუნახავ ქალს რომ ვირთავდე.  
კვლავ სატრფოს ვეძებ, კვლავ სატრფოს ვუხმობ,  
სატრფო კი, იცით, არ შემიცვლია.  
დამისხით ღვინო, თორემ უღვინოდ  
ყოფნა, ხომ ხედავთ, არ შემიძლია!

## სატრფოს სურნელი

გამჟღავნებულად არ ვიცით, თორემ  
მისი მეტრფე ვართ ამქვეყნად ყველა.  
მისი მშვენებით ვართ გაღეშილი,  
ვადგივართ შინ, თუ დავძრწვივართ ველად.  
მას მანამ ვსდიეთ კუღში, სანამდის  
ურწყულს არ შევხვდით ქვიშით მოფენილს.  
წუთისოფელი ჩვენ მისთვის დავთმეთ,  
მისთვის არ ვცანით ზესთასოფელიც.  
ჩვენ სიყვარულის სირაჯხანის წინ  
დასახლებულნი ვართ, ვინც ლოთნი ვართ. —  
მემთვრალეობას ახლა არ ვიწყებთ,  
დასაბამიდან ასე მოვდივართ.  
ჩვენ რომ სურნელი გვაბრუებს, იგი  
ფშვენაა ოდენ წალკოტის მისის.  
მას დაუშვადლოთ, ზეფირს რომ მოაქვს  
ნელსაცხებლების ფშვენა და ნისლი.  
მშვენიერება თუ სუფევს ქვეყნად,  
ეს სატრფოს სახის ეშხია მხოლოდ.

ის არის მოთქმის ჩვენის საგანი  
და დარდის ჩვენის თავი და ბოლო...

## სულის წალკოტი

სხვას ვის შევჩივლო გულის ტკივილი,  
როდესაც გულის ზიარი შენ ხარ;  
ქვეყანამ ზურგი რომ შემაქციოს,  
ჩემს გასაჭირში შენ მაინც შეხვალ.  
არავის ვუხმობ, მიხსენი-მეთქი,  
დაწუნებული მყავს შემწედ ყველა,  
რადგანაც შენ ხარ ოცნება ჩემი  
და ჩემი ოდენ შენ ძაღვიძს შველა.  
გზა შენკენ ვერვინ ვერ გამიკვალა,  
შეძრწუნებული მაინც არა ვარ,  
რადგან შენ თვითონ ამ უდაბნოში  
მიუძღვი, ვიცი, ამ ჩემს ქარავანს.  
მწვანე წალკოტებს არ ვეტანები  
და აინუნშიც არ ვაგდებ ბალებს,  
რადგან შენა ხარ წალკოტი ჩემი  
და ბალის კარებს ჩემ წინ შენ ალებ.  
არ ვეძებ სხვაგან მაღამოს, თუმცა  
ტკივილი მტანჯავს გულის მზარავი,  
მკურნალი ჩემი ამ ქვეყანაზე  
შენ, ხარ მხოლოდ და სხვა არავინ!  
გახელებული მიჯნური ვარ და  
გულს ცეცხლი მიწვავს, როგორც წესია,  
მაგრამ, რადგანაც შენ მყავხარ შემწედ,  
მე არასოდეს არ მიკვნესია...

# ათაშ ისკანელი

(გ. 1961 წ.)

## წამალი მისი

ვინც სიყვარულით არის სნეული,  
მას ვერ უშველის ვერაფრით ქრისტეც.  
შენი ტუჩების ბუტკოა მხოლოდ  
წამალი მისი ისევ და ისევ.  
დამისხით ღვინო, თუკი სატრფოსთან  
ვზივარ და გულს მით სიამით ვივსებ,  
მე არც ჰურია მჭირდება თქვენი,  
არც სალსაბილი!\* – რომ გითხრათ მქისედ!\*

## ვაზის ასული

დაცალე სისხლით სავსე ის თასი,  
სირაჩხანაში მწდე რომ მიგიტანს.  
ის ღვთაებრივი სასმელი არის  
მიბარებული ჩვენს მოგვს, მიკიტანს.  
ვაზის ასული\* მარიამია,  
შემოდგომაზე რომ შემოსულა  
და იგი, ჩვენ რომ ჩვენს ენაზე ვთქვათ,  
ახლა ქრისტეზე არის ორსულად.

## შენ თუ ასეთი იყავი

შენ თუ ასეთი იყავი გულით,  
გითხრა, ვერაფრით წარმომედგინა.  
აკი ფერია რკინას უფრთხისო! –  
მიკვირს, დღეს როგორ შეეწყვე რკინას!  
იესო, დღემდე ვინც სხვას კურნავდა,  
დღეს თვალთა შენთა ხიბლმა და ჯადომ  
თვითონ ჩააგდო ლოგინად. თურმე  
წევს და საკუთარ სატკივარს დარდობს.  
სანამდის ღუქნის კარს გააღებდი,  
ხალხის ზღვა დადგა იქ, გნახონ ვინძლო.



მათი ყაყანით ყურწალებული  
მეოთხე ცაზე მზე ყურებს იცობს.

### **ვგიჟდები ლექსზე**

ვგიჟდები ლექსზე. ლექსები იყო,  
მთელი ცხოვრება რომ მწვეს და მდაგეს.  
სჯობს ლექსს რაიმე? მით უფრო, თუ მას  
შენს ყურის ძირში გალობენ აგერ!  
იესოს რჯულზე ვარ გადასული  
(ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ),  
რადგან იესოს სულთქმა ამოაქვთ  
პირით თაფლივით ტკბილ მაგ შენ ბაგეთ.

## გოლჩინ მანდი

(დ. 1916 წ.)

### ჰინჯი

გამოკეთების არ მიჩანს პირი  
ტროფობისგან სნეულს და ვითვლი წამებს.  
კი ვთხოვდი შეველას მაცხოვარს, მაგრამ  
არა მგონია, მიშველოს რამე.  
ხმას არ გამოსცემს გოდება ჩემი,  
არც გმინვა, გვრინით გულის მზარავი.  
ვიწვი, კვამლი მდის, მაგრამ ეს კვამლიც  
არ დაუნახავს ქვეყნად არავის.  
მარტო მე არ ვარ ამ სატანჯველში,  
სხვებიც დრტვინავენ, ვხედავ და ვიცი.  
მთელი ქვეყანა იწვის უცეცხლოდ.  
მაგრამ რა მერე! იყავ და იწვი!

### ღვთის ქე მესია

სოლომონ ბრძენის\* საფლავთან როცა  
ვიდექი კდემით და მოკრძალებით,  
თვალწინ დამიდგა სასახლე მისი,  
მისი დიდება და ბრწყინვალება.  
ქრისტიანების წმინდა სავანე  
რომ ვნახე, იქაც, როგორც წესია,  
თაყვანი ვეცი მიწას, რომელიც  
მომაგონებდა ღვთის ძეს, მესიას.  
ვნახე ადგილი, სადაც იესოს,  
რწმენის გულისთვის ნაგვემს და ნაცემს,  
ჯვარი აჰკიდეს ზურგზე, მერე კი  
იმ ჯვარზე აცვეს და ძმარი ასვეს.

**კომენტარები**



1. მუსულმანური აპოკრიფების მიხედვით, ქრისტე იყო შეუღარებელი მუსიკოსი.
2. ჩვენი წელთაღრიცხვით 953 წლის 16 მარტი.
3. ე.ი. შენზე დარდით ღამეს თეთრად არ გავათენებდიო.
4. შუა საუკუნეების ასტროლოგიის მიხედვით, ეს შვიდი პლანეტა მდებარეობს 12 თანავარსკვლავედში. ადამიანის ბედი იმის მიხედვით წყდება, თუ ცაზე როგორ განლაგდებიან ისინი.
5. იგულისხმება სულთანი მაჰმუდ ღაზნელი (993-1030), რომელიც ზეობდა მაშინ, როცა ფირდოუსიმ “შაჰ-ნამე” დაასრულა.
6. სტუდენტობის დროს მაინცდამაინც გენიალურ “შაჰ-ნამეს” მივახტი სათარგმნელად. ზურაბის ეპიზოდის ჩემი ნახელავი მომწონდა და იგი ჩემს თანაკურსელსა და მეგობარს, თინათინ ლეონიძეს წაუკითხე. ნიჭით, სილამაზითა და ტაქტით გამორჩეული თინა, ვატყობდი, ალტაცებაში არ მოსულა, მაგრამ თხოვნაზე, დამხმარებოდა მწერალთა კავშირის საჯარო სხდომაზე ჩემი ოპუსის გატანაში (სოფლელი ვიყავი და თავის გამოჩენის სურვილი მჭამდა), კეთილი მეგობარი დამეხმარა, – მამამისს, გიორგი ლეონიძეს მოაწყობინა ეს საღამო. წავიკითხე. მეგონა, შემაქებდნენ, მაგრამ ტყავი გამაძვრეს და სამართლიანადაც მომექცნენ. ნაწყენი დავრჩი და მინდოდა, ხელნაწერი დამეხია, მაგრამ თინამ არ დამანება, ფურცლები ხელიდან ამართვა და შეინახა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ჩემი თარგმანების პირველ წიგნს, “ტაჯიკურ პოეზიას”, გამზადებული გამოსაცემად, თინას ის ტექსტი გამოვართვი. რაც შემეძლო, გავასწორე და დავბეჭდე. დაბეჭდვით კი დავბეჭდე, მაგრამ არც ახალი რედაქცია მომწონდა. მას აქეთ სულ ვჩაღხავ და ვჩაღხავ ზურაბის ეპიზოდს ახალი და ახალი გამოცემებისთვის, მაგრამ მაინც არ მომწონს და არა. მერჩია, მერე და მერე, თარგმანში რომ უფრო გავიწაფე, ხელახლა მეთარგმნა. ერთხელ თარგმნილის საფუძვლიანი გაჩაღხვა შეკერილი ტანსაცმლის გადაკეთებას ჰგავს, კარგი მაინც არ გამოვა. და დამრჩა ასე ზურაბის ეს ეპიზოდი. დღესაც არ მომწონს იგი, მაგრამ კრებულში მაინც შემაქვს აწ გარდაცვლილი ჩემი კეთილი მეგობრის მოსაგონებლად.
7. იხ. *თური*.
8. ზმაა: საკ. სახელი *როინი* სპარსულად რვალის ტანის მქონეს ნიშნავს.
9. მქონდა: “შე კაი კაცო?” არჩილ სულაკაურმა მირჩია: “შე დალოცვილო” აჯობებსო და ასეც გადავაკეთე.
10. ახალგაზრდობაში ომარ ხაიამს რომ ვთარგმნიდი, ჩემმა მეგობარმა, შემდგომში ცნობილმა მწერალმა გიგლა (გიორგი) ხუნაშვილმა შემომიარა. ხაიამის ერთ-ერთ სპარსულ რობაის დაადო თითი და მითხრა: ” აბა, აქ რას ამბობს ხაიამი, მითარგმნეო!”. რომ ვუთარგმნე, იქვე ჩამოჯდა და ის რობაი ასე გალექსა. მეგობრის მოსაგონებლად მომაქვს ხაიამის რობაის მისეული თარგმანი.
11. რვა საუკუნე არ ესმოდათ ირანისტებს ხაყანის ეს გამოთქმა, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ერთიმეორის გვერდით რითმად ორჯერ ნახმარი “მუი”, თუ იგი თმას ნიშნავს, ტავტოლოგიაა და არათუ ისეთ დიდოსტატს, როგორიც ხაყანი იყო, არამედ დამწყებ პოეტსაც არ ეპატიება. ცნობილი ქართველი ირანისტი იური მარი (1893-1935) მიუხვდა, რომ ამ ლექსში პირველი “მუი|მოი” თმას ნიშნავს, ხოლო მეორე კი ქართული “მოდი” სიტყვაა, რომელიც რატომღაც არ ჰქონდათ შემჩნეული, თორემ ხაყანის სხვაგანაც აქვს ქართულად მოტანილი. ეტყობა, იმ დროს უცხოელებს საერთოდ სტუმართმოყვარე ქართველებისგან ხშირად ესმოდათ სიტყვა ”მოდი!”. იგი დასტურდება შუა საუკუნეების თურქულ პოეზიაშიც. აშუღ ყარიბი ამავე სახელწოდების ხალხურ პოემაში (XVI-XVII სს.) ამბობს: “საქართველოში ვიყავი და სულ “მოი, მოი!” ვიძახეო“. ჩანს, ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორც დღევანდელ რუსებში ქართველების მეტაფორად გავრცელებული “კაცო”, რადგან ეს სიტყვა ჩვენს მეტყველებაში ხშირად ისმის. ხაყანის ეს ოთხტაეპიანი ლექსი ჩვენი, ქართველების, ერთგვარი პასპორტია და მას დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ლექსით დასტურდება შემდეგი ფაქტები: ხაყანი, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო ნამყოფი (ცხოვრობდა აქ),

გვეუბნება: 1) საქართველოს სპარსულად ეწოდება “აბხაზ” (ისე, როგორც იმ დროის ყველა აღმოსავლურ წყაროში). 2) ეს “აბხაზ” მეტყველებს ქართულ ენაზე (“გურჯი გუი”). 3) ვინმეს რომ გაუჩნდეს ეჭვი: XII საუკუნეში გურჯი ენაზე რომ მეტყველებდნენ, შეიძლება, ის ენა დღევანდელი ქართული ენა არ ყოფილიყო და ამაზედაც აგვიხიროდნენ, ხაყანი მათ პასუხობს ქართულ ციტატით: ”მოიო!”.

ჩემდათავად დავძენ: 1186 წ. ნიზამი თავის პოემაში “ზოსროვი და შირინი” ჩივის: ”სოფელ ჰამდუნთანში (რომელიც მას აზერბაიჯანში ებოძა) ჩემს ყანებს მე ვთესავ და აბხაზები მკიან, ე.ი. მეზობლად მოსახლე აბხაზები, ანუ ქართველები მავიწროებენო!. ამდენად, იმ დროს როგორც ყველა მუსულმანური (მათ შორის – ისტორიული) წყარო, ნიზამი ქართველს აბხაზობით მოიხსენიებს, მისთვის “აბხაზი” მთელი საქართველოა.

12. ჩვენი წელთაღრიცხვით XII საუკუნე.

13. აბხაზთა (ქართველთა. იხ. კომენტარი 11) მშვილდი, ისარი და მშვილდოსნობა მახლობელ აღმოსავლეთში სანიმუშო იყო.

14. თარგმანის ხელნაწერში მქონდა “ვეფხვი”. ნიზამის ლექსთა თარგმანების კრებულს გამოსაცემად რომ ვამზადებდი, მისმა რედაქტორმა, ჩემმა მეგობარმა კარლო ქილარჯიანმა მირჩია, “ჯიქი” აჯობებსო და იქვე გამახსენა რუთაველის “უწყალო, ვითა ჯიქია”.

15. *ოთხეუბა* – ოთხი სტიქია: წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი. *ექვსეუბა* – საგნის ექვსი მხარე: წინა, უკანა, ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა.

16. პოეტი გულისხმობს თავისი პოემის “ესქანდარ-ნამეს” (“წიგნი ალექსანდრეს [მაკედონელის] შესახებ”) ორ წიგნს: “ეყბალ-ნამეს” (“იბლის წიგნი”) და “შარაფ-ნამეს” (“დიდების წიგნი”).

17. ორი კვირის თავზე მთვარე ივსება. მაჯნუნის სახე შედარებულია სავსე მთვარეს. აქ ერთგვარ პირობით ანომალიასთან გვაქვს საქმე, რადგან სპარსულ პოეზიაში საერთოდ ვაჟის მეტაფორად მზე გამოიყენება, ქალისად – მთვარე.

18. *კარდი* წითელი ღაწვების მეტაფორაა, *ია* – შავი თმის კულულებისა.

19. *ელვარე ჩირალი* ლეილის ღაწვებია, *შავი ყვავი* – მისი ზილფები. ე.ი. წითელ ღაწვებზე შავი ზილფები ჰქონდა ჩამოყრილი.

20. არაბულად “ლეილი” ნიშნავს ღამეს.

21. იგულისხმება აღმოსავლეთში გავრცელებული ლეგენდა: იოსებ მშვენიერზე (იხ.) გამიჯნურებული ზოლეიხას (იხ.) სტუმარმა ეგვიპტელმა სეფექალემმა, რომლებიც საერთოდ მათ მასპინძელს საყვედურობდნენ – რამ შეგაყვარა ასე ის ყმაწვილიო! – მათთან შემოსული იოსების დანახვაზე ისე დაკარგეს თავი, რომ მას თვალი ვერ მოაცილეს და ფორთოხლის თლის ნაცვლად დანებით (ფორთოხალს საგანგებო, ძალიან მჭრელი და წვეტიანი დანით აცლიან კანს) ხელისგულები დაისერეს.

22. სულით ავადმყოფობაზე მთვარის მოქცევა უარყოფითად მოქმედებს.

23. მაჯნუნი თავისი გოდებით უფრო ხმაურობდა, ვიდრე ბაღდადის, ამ დიდი აღმოსავლური ქალაქის, ცნობილი ბაზარი. პოეტური ხატია, თორემ მაჯნუნი, როგორც ვნახეთ, ბაღდადელი არ იყო.

24. ე.ი. რძლად მოეყვანა ლეილი.

25. ობოლი მარგალიტი (დიდი, ძვირფასი მარგალიტი. ორიგინალშია: *ვაუხვრეტელი მარგალიტი*, რაც ქალწულის მეტაფორაა) ჩვენი ჯავარის (ძვირფასი ქვის) გვერდით ჩავსვათო. ე.ი. ლეილი და მაჯნუნი შევაუღლოთო.

26. დასაწყისი ფრაზა არაბული გამოთქმისა: ”ლა ჰავლა უა ლა ყუვათთა ილლა ბილ-ლაჰი-ლ-ალი ლ-აზიმი” (“არა არს ძალა და არა არს ღონე თვინიერ უზენაესი და ყოვლისშემძლე უფლისა”). მუსულმანები ამ გამოთქმას ხმარობენ უეცარი ელდისა და განსაცდელის დროს.

27. *იემენის ვარსკვლავი* – იგივე სოჰაილი (თავთირი, კონოპუსი), ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი სამხრეთის ცაზე. ძველი ლექსიკოგრაფების განმარტებებით, იემენურს მას იმიტომ უწოდებდნენ, რომ მის გამოჩენას პირველნი იემენელები ამჩნევდნენ.

28. იხ. კომენტარი 22.

29. იგულისხმება *ქაბის* (იხ. მომდევნო კომენტარი) ტაძრის კარების რგოლები.

30. *ქაბა* (არაბულად: "კუბი"; "კუბის ფორმის შენობა") – ისლამდელი არაბების ერთ-ერთი კერპი (სალოცავი) იყო და დღესაც არის მექაში (იხ.). არაბებში ერთადერთი და უზენაესი ღვთაების (ალლაჰის) კულტის შემომტანმა მუჰამედმა (იხ.) ყველა კერპი დაამსხვრია გარდა "შავი ქვისა", მას თავყანი სცა და ამით იგი წმინდა სალოცავად უქცია თავის მიმდევრებს (მუსულმანებს).

31. *გაუზრეტელი მარგალიტი* – უბიწო ქალწული.

32. ნიზამი მიგვანიშნებს ლეილისა და მაჯუნის სასიყვარულო ამბის პირველ მოხრობელებზე.

33. იგულისხმება მოციქული მუჰამედი (იხ.).

34. *ვარდის კოკობი გაზია* – ვარდით ფერადოვანი (წითელი) ტუჩები ღიმილით გააპო.

35. ამბრი შავია. დაღამდა.

36. ე.ი. როცა დაღამდა. ქართველი დიდგვაროვანი მამაკაცები ნიზამის წარმოდგენით (და სინამდვილეშიც) მაშინ გრძელ, მხრებამდე ჩამოყრილ თმას ატარებდნენ. რუსი კი ნიზამის თავის პოემებში სითეთრის (ასევე – სიწითლის) მეტაფორად ჰყავს გამოყვანილი.

37. *ვეშაჰი* ღამის მეტაფორაა, *ხვითო* – მზის.

38. მუშკს (იხ.) ამზადებდნენ ნიამორის (ერთგვარი ქურციკის) ჭიპის (უპის) ძარღვიდან.

39. *ჩინური* სარკე მზის მეტაფორაა, *ზანგი* – ღამისა. გათენდა.

40. ლეილის სიყვარული მას მხოლოდ საოცნებოდ ქცეოდა.

41. მეტაფორად გამოყენებულია ბიბლიური ამბავი: იოსებ მშვენიერი (იხ.) შურით აღვისილა ძმებმა ჭაში ჩააგდეს, რადგან იაკობს (იხ.) იგი შვილებში გამორჩეული ჰყავდა.

42. *ვარდი* მზის მეტაფორაა. გათენდა.

43. ე.ი. მზე ამოდიოდა. მზის მეტაფორად გამოყენებულია ქეიფისა და დროს ტარების მოყვარული ირანის მითიური მეფის, ჯამშიდის (იხ.) ჯამი.

44. *რუსი* თეთრია და მზის მეტაფორაა, *არაბი* შავია და ღამის მეტაფორადაა გამოყენებული. დღემ ღამე დაამარცხა. გათენდა.

45. იგულისხმება ბიბლიური ამბავი, იაკობი (იხ.) თავის დაკარგულ შვილს, იოსებს რომ მისტიროდა.

46. ცისკრის ვარსკვლავი (ასპიროზი, ვენერა) ძველ აღმოსავლეთში მუსიკის ღვთაებად ითვლებოდა.

47. საგნის მარჯვენა, მარცხენა, წინა, უკანა, ზედა და ქვედა მხარეები.

48. თარგმანში შერჩეული გვაქვს ხატობრივად შესაბამისი ქართული ასოები. ორიგინალში, რა თქმა უნდა, შესატყვისი არაბული ასოებია გამოყენებული.

49. ე.ი. წითელი ლოყები ზაფრანის ფერად ქცევია.

50. *ვარდისწყალი* სისხლის ცრემლებია, *ვარდი* – ლოყა. ტიროდა, ლოყაზე სისხლის ცრემლებს ღვრიდა და მზესავით ეღვარე სახე მწუნარებისგან მთვარესავით გაყვითლებოდა.

51. როგორც კომენტატორები გვარწმუნებენ, ძველად ღვინის თასში მარგალიტებს ყრიდნენ, რათა საწამლავე უვნებელეყოთ. გაკითხვა უნდა, მართლა ასე იყო?

52. ძველების წარმოდგენით, განძს გველი იცავს.

53. ძველად სარკედ ფოლადის გაპრიალებულ ფირფიტას ხმარობდნენ. *სარკისთვის ჟანვის მოკიდება* განსაცდელის, შეჭირვების მეტაფორაა.

54. გათენდა. მზე ამოვიდა.

55. იგულისხმება ბიბლიური იოსები (იხ. იაკობი).

56. მუსულმანურ აღმოსავლეთში მამაკაცები მათ ძირითად სამოსელს, ხალათს, იკრავდნენ მრავალკეცად დახვეული ფართო ქსოვილებით, რომელიც შემთხვევის და საჭიროების შესაბამისად, ქამრადც შეეძლოთ გამოეყენებინათ, ჩაღმდაც, ხელსახოცადაც და პირსახოცადაც. ასეთი ქამრის ნაკეცებში ინახავდნენ სხვადასხვა წვრილმან საგნებს, მათ შორის ფულს და ძვირფას ნივთებს.

57. ლეილი აქ ქალწულებრივ კდემას კი არ იჩენს, არამედ მისტიკური სიყვარულის წესს იცავს.

58. იგულისხმება ამ სოფლის დასაგდები საშუალება.

59. ე.ი. კოცნის შედეგად კანზე ლურჯი ლაქები დაგაჩნდეს. მომდევნო სტრიქონის *ა* კი შავი თმის მეტაფორაა.

60. აღმოსავლეთის ხალხთა რწმენით, ფერიისა და ავსულის შეკვრა რკინით შეიძლებოდა.

61. სუფიების მოსაზრებით ხომ ეს სოფელი აბსოლუტის ემანაციაა.

62. იგულისხმება ლომის სახედ ოთხში ამოღებული ტყავის დროშა, რომელსაც ქარი ბერავს და აფრიალებს. ასეთი დროშა ჰქონდათ სვანებსაც (“ლემი” – ლომი).

63. სუფიებს, როგორც საერთოდ ნეოპლატონიკოსებს, არც ამქვეყნიური რეალური სამყაროს დამოუკიდებლად არსებობა სწამდათ და არც, ბუნებრივად, – საიქიო ცხოვრება.

64. გადმოცემის მიხედვით, ბიბლიური სოლომონ მეფე ფლობდა ჯადოსნურ ბეჭედს.

65. ისლამის რელიგიის დამაარსებელ მუჰამედს (იხ.) ადგილობრივ წარმართ მოწინააღმდეგეებთან უთანასწორო ბრძოლის შედეგად 622 წელს მოუხდა მშობლიური ქალაქის, მექის (იხ.) დატოვება (იხ. *ჰიჯრა*), მაგრამ შემდეგ ძლიერადაა დაბრუნდა და ბრძოლით დაიბრუნა იგი.

66. მუსულმანური აპოკრიფების მიხედვით, ქრისტემ აკვანშივე აიღვა ენა და ღვთისმშობელს დაუდასტურა, რომ იგი უბიწოდ ჩაესახა დედას.

67. თუთიყუშს თურმე მწვრთნელი ლაპარაკს ასე ასწვლის: ფრინველს სარკის წინ დასვამს და თავად სარკის უკან ფარდას ამოფარებული წარმოსთქვამს სიტყვებს. თუთიყუშს სარკეში ასახული თავისი ხატება სხვა, მოლაპარაკე თუთიყუშში ჰგონია და იწყებს მის მიბაძვას.

68. “ყურანის” მიხედვით, როცა ქრისტე ზეცად აჰყავდათ, მას ტანსაცმელში უპოვეს ნემსი, რის გამოც იგი გზად, ცის მეოთხე სფეროში (აქაა მზეც) დატოვეს და დღემდე იქ სუფევს.

69. ეს გამოთქმა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში არა მეტაფორით (როგორც ეს სუფიურ პოეზიას ახასიათებს), არამედ ამკარად არის მითითებული, რომ ადამიანი უფლის ემანაციაა და მას მმართველს უფლის არსებაში განზავება (ამის შესახებ იხ. *“შესავალი”*).

70. ძველად აღმოსავლეთში თვალებს თუთიით მკურნალობდნენ.

71. იგულისხმება იოანე ნათლისმცემელი.

72. “მე ვარ ღმერთი” – ეს გამოთქმა ეკუთვნის დიდ სუფის, მანსურ ჰალაფს (რის გამოც იგი 922 წელს კოცონზე დაწვეს).

73. ორიგინალშია “ავადმყოფი თვალები”, რაც ქალის ვნებისაგან მიზნდომილ თვალებს გულისხმობს. ეს გამოთქმა პოეტს სხვაგანც აქვს (რაც ჩვენ ასევე გვაქვს დატოვებული), ამჯერად კი შევცვალეთ მისი წინამორბედი კლასიკოსების მიერ ხშირად ხმარებული ხატით.



ლექსიკონი

აბანოზი – “სხუათა ენაა, ქართულად ეკალმუხა ჰქვიან” (საბა).

აბასიანები – მუსულმანთა მოციქულის მუჰამედის (იხ.) ბიძის, აბასის, შთამომავლები, რომლებიც განაგებდნენ არაბთა სახალიფოს 749-1258 წლებში.

აბრამი – ბიბლიური ღვთისმოსავი, რომელიც მზად იყო, უფლისთვის შეეწირა საკუთარი შვილი ისაკი.

აბრუ – სახელი; პატივი; ავტორიტეტი.

აბსაზი – იხ. კომენტარი 10 ა).

აღარბაღაბანი – ძველი სახელმწიფო დღევანდელი სამხრეთი და ჩრდილო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

აქშაბი – მსტოვარი; ჯაშუში.

აზატი – თავისუფალი.

აზრად – ძველი აღმოსავლური სატრფიალო რომანის “ვამეყი და აზრას” მოემედი გმირი ქალი. მისი და ვამეყის ტრაგიკულ სიყვარულზე პოემა შექმნა სპარსული ლიტერატურის კლასიკოსმა ონსორიმ (გარდ. 1040 წ.). თავისთავად ამ პოემას საფუძვლად უდევს ძველბერძნული სიუჟეტი.

აღანი – დღევანდელი ე.წ. ჩრდილო ოსეთი.

აღვა – “გარემეთა წერილთა შინა სუნელად აღუწერიათ, საკმეველად” (საბა).

აღი – (602-661). მუჰამედის (იხ.) ბიძაშვილი და სიძე (მისი ქალიშვილის, ფათემას, მეუღლე), არაბთა მეოთხე ხალიფა (656-661). შიიტები მას მიიჩნევენ წმინდა მოწამედ.

აღყა – აბრეშუმის სიმი.

ამამა – არაბთა ერთგვარი თავსაბურავი.

ამბრა (ამბრი) – სურნეველოვანი ნივთიერება.

ამიანი – დღევანდელი ჰამადანი.

ამირა – ემირი.

ამოლი – ქალაქი ჩრდ. ირანში.

ამუ – მდ. ამუდარია.

ანდარაბი – ქალაქი ჰინდუქუშის მხარეში.

ანუშირვანი – ირანის შაჰი ხოსრო ანუშირვანი (531-578). აღმოსავლურ ლეგენდებში იგი მიჩნეულია მართლმსაჯული ხელმწიფის ეტალონად (რაც სინამდვილეს არ შეესაბამება).

არაპი – სამხრეთის ცხელი ქარი.

არაონი – ბე.

არამური – “ღრუბელ-ნისლი ძლიერი და ქარიანი” (საბა).

არმაღანი – “შორით მოსილისაგან მიღებული მის თემის ძღვენი” (საბა).

არჟანბი – იხ. მანი.

არღაჰანი – წითელი ყვავილი. აღმოსავლურ პოეზიაში გამოყენებულია ლამაზი ქალის წითელი ლოყების მეტაფორად (ან შედარებად).

არჯალი – “უცხოდ ანჩხლი” (საბა).

ასალი – ცხენის ზურგზე გადაფარებული ქსოვილი.

ასასი – დარაჯი.

ასპირიზი – ცისკრის ვარსკვლავი.

აფსაჰმთი – იხ. კომენტარი. 10.

აჰა – ხვეწნა.

აჰამი – არა არაბი; უცხოტომელი.

აჰრიმანი – ბოროტი სული ზორთასტრულ რელიგიაში. ხდებოდა ხოლმე; ერთი ხალხის კეთილი სული მეორე ხალხში ბოროტ სულად მიიჩნეოდა. მაგ., ზოგი ინდო-ევროპულ მოდემის ხალხის წარმოდგენით, დევი კეთილი სულია (ბერძნული მითოლოგიის ზევსი ამ ტერმინს უკავშირდება), ზოგთა (მათ შორის ქართველთა) მიხედვით კი – ბოროტი და ა.შ. ნიკო მარის

(1864-1934) მოსაზრებით, აპრიმანი (არიმანი) ზოგ, მათ შორის, ქართულ მითოსში მის ანტაგონისტად უნდა ქცეულიყო და ამირანის სახე უნდა მიეღო. შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ისიც, რომ ზოგ ვერსიაში ამირანს ქრისტე ერჩის.

## ბ

- ბამიანი – ცენტრალური ჰინდუქუშის მთებს შორის მდებარე ველი.  
ბარბითი – ერთგვარი აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.  
ბარი – შევარდნისნაირთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი.  
ბაჰმანი – ირანის მითიური მეფე.  
ბაჰრამი – თქმულებებში მორჭმული (იხ.) და ლეგენდურ პირად ქცეული ირანის მეფე ბაჰრამ (ვარჰრან V) გური (420-438).  
ბედასლი – ცუდი ბედის მქონე.  
ბედიტი – ცუდი; ავი.  
ბეითი – არაბული, სპარსული და თურქული ლექსების ორტაეპედი.  
ბელჰემელი – ავი სული.  
ბეჰანი – ირანის მითიური გმირი.  
ბინული – წყარო.  
ბოლღარი – მდ. ვოლგის სანაპიროზე არსებული ისტორიული სახელმწიფო.  
ბოსთი – ქალაქი სიითანში (იხ.) მდ. ჰილმენდის სანაპიროზე.  
ბრაჰმანი – ერთ-ერთი ინდური უზენაესი ღვთაების, ბრაჰმას ქურუმთა კასტის წარმომადგენელი.  
ბრმ – “მტკერი ბზენარევი” (საბა).  
ბუჰი – დიდ საყვირი.  
ბურჰი – “ვარსკვლავთა ზოდიათა უწოდებენ” (საბა).  
ბუსუნი – “სად არა ჰგონებდეს, მტერმან მუნ უმზიროს” (საბა).  
ბუჰუბანისი – მთა არაბეთის ნახევარკუნძულზე.

## ბ

- ბაკაზი – მტაცებელი ფრინველი შევარდნისებრთა ოჯახისა.  
ბანსმა – გაღება.  
ბესაჰ – იხ. ესავს.  
ბიკურთხეშ – (გულგ.) გაგინებს.  
ბოლქული – “თაფლის ნაკვეთი” (საბა).  
ბორაბი – ქალაქი იყო ჰამადანთან ახლოს.  
ბურზი – რქიანი ხარის სახედ გამოჭედილი რკინის საომარი იარაღი.  
ბუჰალი – საომარი რკინის კვერთხი.  
ბუჰაბი – ნათესავი; მკვიდრი.

## დ

- დაბა – ძველი კომენტატორების განმარტებით, აღმოსავლეთში ხარის ტყავს ბზით გამოტენილენ და სპილოს ათელვინებდენ, რათა მისთვის ბრძოლა ესწავლებინათ. ამ იარაღს ერქვა დაბა.  
დაბულვა – დაკეტვა.  
დავითი – ბიბლიური წინასწარმეტყველი.  
დაზმა – დაყოვნება.  
დანაკისკული – ფინიკი; ხურმა.

ღარაკა – ფარი.

ღარამა – დახურვა.

ღარაჭული – დაგებული.

ღასთანი – როსტომის (იხ.) მამის, ზაალის, მეტსახელი.

ღასთური – მრჩეველი, ვეზირი (შდრ. ქართული: “დასტური დასცა”).

ღაჰმსთანი – კასპიის ზღვის აღმ. სანაპიროზე მდებარე ისტორიული მხარე. როგორც ფიქრობენ, ის მიჯნავდა მომთაბარეთა ველებს დასახლებული პუნქტებისაგან.

ღემაჰმანი – მთა და მხარე თეირანის ჩრდილოეთით.

ღეჰანი – 1) მიწის მეურნე. 2) ფეოდალი.

ღივანი I – ირანელი შაჰების სამეფო კანცელარია.

ღივანი II – კრებული, რომელიშიაც თავმოყრილია სუფიური (ნეოპლატონური) სიყვარულის თემაზე დაწერილი ლირიკული მონორიმი (ერთრიტმიანი) ლექსები, დალაგებული რითმათა ანბანური რიგით (ჯერ მოდის ლექსები, რომელთა რითმები ანზე ბოლოვდება, შემდეგ – ლექსები, რომელთა რითმები ბანზე ბოლოვდება და ა.შ.).

ღინარი – ოქროს მონეტა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასი ჰქონდა.

ღირამი – ვერცხლის მონეტა.

ღრამი – მცირე ზომის ერთეული.

ღრაჰკანი – ოქროს ფულის ერთეული, იწონიდა ოთხ გრამს.

ღრკუ – მრუდი, არასწორი.

## ე

ეზრაჰიმ აღჰამის კმ – ისლამურ სამყაროში ცნობილი ღვთისმეტყველი და განდევნილი (VIII ს.).

ემთხვია – შეხვდა.

ერაჰი – მთლიანი, ისტორიული ერაყი, რომელიშიაც შედიოდა დღევანდელი ერაყის სახელმწიფო და ირანის დასავლეთი ნაწილი.

ერმი – ოტარიდი.

ესავ – იხ. ესავს.

ესავს – თაყვანს სცემს; საოებს.

ეტიჰი – გზის მცოდნე, გზის მაჩვენებელი წინამძღოლი.

ეჯი – “სამი მილი ერთი ეჯი არს” (სბა).

ეჯიზი – “წინამდევნი მეფეთა” (სბა).

## ვ

ვაჰი – მქადაგებელი მეჩეთში.

ვაჰის ასული – ღვინო.

ვამეჰი – იხ. აზრა.

ვამბა – ვაება.

ვამსავ – იხ. ესავს.

ვისმპარდი – ქალაქი იყო დღევანდელი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე.

ვიჰმანი – ვეძივნები; ვშორლები; უარყოფ.

## ზ

ზაბული – ზაბულისთანი (იხ.).

ზაბულისთანი – მხარე ირანში ქაბულსა და სიისთანს (იხ.) შორის.

**ზარღუშთი** – ზარათუშტრა, ზოროასტრული რელიგიის დამაარსებელი. ფიქრობენ, რომ ცხოვრობდა ძვ. წ. V-VI საუკუნებს შორის.

**ზატიპი** – დღესასწაული.

**ზელინა (ზოლქინა)** – იხ. იაკობი.

**ზემზემი** – ჭა მექის (იხ.) მახლობლად. ქაბის (იხ.) მომლოცველები მის წყალს ეწაფებიან, როგორც წმინდა და ღვთაებრივ წყაროს.

**ზემი (ზომი)** – ქალაქი იყო შუა აზიაში.

**ზეპრი** – “ზარკი, გინა ბაჟი” (საბა).

**ზინათი** – სამკაული.

**ზონარი** – მუსულმანურ აღმოსავლეთში არამაჰმადიანები, მათ შორის – ქრისტიანები, ატარებდნენ (ან აიძულებდნენ, ეტარებინათ) თვალში საცემი ფერის მქონე ზონარს, რათა ისინი შორიდანვე გაერჩიათ მუსულმანებისაგან.

**ზრუნი** – გოდება.

## თ

**თალყანი** – ქალაქი ხოროსანში.

**თაფლუჭი** – დამატობელი სასმელი.

**თაჯი** – გვირგვინი.

**თაჰამთანი** (ძვ.სპარსული: “ძლიერი ტანის მქონე”) – როსტომის (იხ.) ერთ-ერთი ეპითეტი.

**თეიმურაზი** – ირანის მითიური მეფე (იხ. სათანადო თავი ფირდოუსის პოემაში).

**თეთრი ძორი** – საუკეთესო მონადირე ფრინველი გაწვრთნილ ფრთოსანთა შორის.

**თერიაჟი** – იგივე თრიაქი (იხ.).

**თოზი** – ბრტყლად დახვეული ფართალი.

**თორქი** – საომარი თავსარქმელი.

**თრიაქი** – ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც ხმარობდნენ ტკივილის გამაყიჩებლად.

**თურანი** – თურქესთანი, შუა აზიის თურქულენოვანი სამყარო (მითების მიხედვით – სახელმწიფო).

**თური** – ირანის მითიური მეფის ფრიდონის ვაჟი, რომელმაც თავის ძმასთან, სელიმთან ერთად მოკლა მესამე ძმა, ირაჯი. თურმა დაუღო საფუძველი თურანს (იხ.), მის საუფლო სახელმწიფოს, ირაჯმა კი – ირანს. აქედან დაიწყო ირანისა და თურანის ურთიერთმტრობა.

**თულრა** – სამეფო კანცელარიის მდივნების მიერ შესრულებული ერთგვარი მონოგრაფა, რომელშიც ჩაწერილი იყო სულთანთა და შაჰთა შესაბამისი ლეგენდის ტექსტი. თულრა წინ უძღოდა სამეფო ბრძანებას.

## ო

**ობო** – დაკოდილი ცხენი, ლაფშა.

**ობგარი** – “სხვათა ენაა, ქართულად სახსენებელი ჰქვია” (საბა).

**ობღანი** – ზოროასტრული ღვთაება, იგივე იზადი.

**ობობი** – ბიბლიის მიხედვით, იაკობს (იხ.) შვილებში გამორჩეული ჰყავდა იოსებ მშენიერი. ამის გამო ძმები აღიესნენ იოსებისადმი შურით და იგი ამომშრალ ჭაში ჩააგდეს. სწორედ ამ დროს იქ ეგვიპტეში მიმავალმა ქარავანმა ჩამოიარა და ძმებმა იოსები ოც ვერცხლად ვაჭრებს მიჰყიდეს, იოსების პერანგი კი თიკნის სისხლში ამოსვარეს და მამას მიუტანეს – ჩვენი ძმა ნადირმა დაგლიჯაო. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით (ამ თემაზე უამრავი პოემა დაიწერა), იოსების საქმე შემდეგ ასე წარიმართა: მოქარავენებმა იოსები ეგვიპტეში ჩაიყვანეს და იქ ფარაონის კარისკაც პოტიფარს (მუსულმანური თქმულებით – აზიზს)

მიჰყიდეს. აზიზმა იოსები თავის მოურავად დანიშნა. მშვენიერებით გამორჩეული ყმაწვილი მის ქალბატონს, ზელიხას (ზოლეიხას) შეუყვარდა, მაგრამ თავისი კეთილისმყოფელი პატრონის ერთგული ახალგაზრდა საავხორცოდ ვერ დაიყოლია. მაშინ აღტყინებულმა ქალმა ძალით სცადა მისი ხელთ გდება და საამისოდ კაბის კალთაში სწვდა. იოსები არ დამორჩილდა, ქალს თავისი სამოსის ნახევი შეატოვა და ხელიდან დაუსხლტა. ქალმა რა დაინახა, რომ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, სახელი რომ არ გატეხოდა, კვილი მორთო: იოსებს ჩემი გაუპატიურება უნდოდაო! აზიზმა “უმაღური” იოსები დილეგში ჩააგდო. აქ იოსებს შემთხვევა მიეცა, ადრე გამოვლენილი თვისება, სიზმრების ახსნა გამოემჟღავნებინა. ამის გამო იგი ფარაონმა ციხიდან გაათავისუფლა და მთელი ეგვიპტის გამგებლად დანიშნა... იოსების დაკარგვით დამწუხრებულმა იაკობმა იმდენი ცრემლი ღვარა, რომ დაბრმავდა. მას იოსების სასწაულმოქმედი პერანგი ამოუსვეს თვალებზე და მოარჩინეს.

იარი – მეგობარი; საყვარელი.

იზნ – ძე; შვილი.

იზაღი – იხ. იაზდანი.

ინჯილი – სახარება.

იოსებნი – იხ. იაკობი.

ისა – ქრისტე.

ისაკი – იხ. აბრამი.

იცია – ძე. ქართული კითხვითი ფორმა: იცი?

### კ

კანჯარი – “ველური ვირი” (საბა).

კაპარჭი – ისრების ბუდე.

კეშანი – კაეშანი, სევდა.

კეშიტი – იგივე ღვრიტა, საყველედ რძის შესადელებელი მასალა, რომელსაც იღებენ ჩვილი მცოხნავი საქონლის კუჭიდან.

კინკი – იგულისხმება სახედარი, რომლითაც მაცხოვარი შევიდა იერუსალიმში.

კოჭობი – “მცირე ქოთანი” (საბა).

### ლ

ლეილი – ლეგენდარული არაბი ქალიშვილი, რომელსაც უყვარდა ყაისი (მაჯნუნი). მათი წრეგადასული, უიღბლო და ტრაგიკული სიყვარულის ამბავი მრავალმა ირანელმა (უპირველესად – ნიზამი განჯელმა) და მუსულმანური სამყაროს ბევრმა პოეტმა იქცია სალექსავ თემად (იხ. ამ კრებულში ნიზამის “ლეილი და მაჯნუნი”).

ლიბო – შენობის საძირკველი.

### მ

მაჰლანა – “ჩვენი ბატონი” (არაბ.). ასე მიმართავდნენ და მოიხსენიებდნენ სწავლულთ მუსულმანურ სამყაროში.

მაზღაქი – (V-VI ს.ს.) ირანში ქონებრივი თანასწორობისთვის მებრძოლი, ღარიბთა მოძრაობის სულისჩამდგმელი და მეთაური. მას მხარი აუბა მეფე ყობადმა (გარდ. 513 წ.).

მაკედონელი – ალექსანდრე მაკედონელი (356-323).

მანი – (212-278). მანიქეური მოძღვრების დამაარსებელი. ფიქრობენ, რომ რადგან მანიქეველთა ტაძრები და წიგნები (არჟანგი) მდიდრულად იყო მოხატული, მუსულმანურ სამყაროში ეს მხატვრობა თვითონ მანისთვის უნდა ჰქონდეთ მიწერილი.

**მანსური** – მანსურ ჰალაჯი (გარდ. 922 წ.), სუფი ფილოსოფოსი და პოეტი, რომელიც იმის გამო, რომ საჯაროდ გაიძახოდა: მე ვარ ღმერთი (რითაც ღვთაების ერთარსობას ამტკიცებდა), ხალიფამ სიკვდილით დაასჯევინა.

**მარვა** – მთა არაბეთის ნახევარკუნძულზე მექის (იხ.) მახლობლად.

**მაქცი** – ეშმაკი.

**მართალი** – 1) ჩვ. მნიშვნ. 2) ტანად სწორი, გამართული.

**მაღრიზი** – დასავლეთი.

**მაქახური** – ავი სული.

**მაჰი** – ძველი მიდია.

**მღვდელი** – “საყოველთაო საზრდო” (საბა).

**მღვდელი** – უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი მუსულმანურ სამყაროში.

**მითუნი** – თიხის ჭურჭლის მკეთებელი.

**მითხე სჰერი** – იხ. კომენტარი 64.

**მირსი** – დელგმა (მეგრ.).

**მმქა** – მუსულმანთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში. მუჰამედის (იხ.) მშობლიური ადგილი. მექაშია ქაბის (იხ.) ტაძარი, რომელშიც ინახება მუსულმანთათვის ყველაზე სანუკვარი სალოცავი – შავი ქვა.

**მმჰრაბი** – ნიში მეჩეთში, რომელიც მექისკენ (იხ.) მიმართულებას უჩვენებს.

**მიმბარი** – კიბეებიანი კათედრა მეჩეთში.

**მიმი** – ასო მანი არაბულ დამწერლობაში. ყულფსა ჰგავს.

**მისრეტი** – ეგვიპტე.

**მიჰრიტი** – სარკე.

**მაკალობელი** – კოჭლი.

**მოაბა** – ქეჯაო (იხ.).

**მოპელი** – მაზდეანთა სასულიერო პირი, მათი თემის ქურუმი.

**მოთნი** – მომწონებელი.

**მორჰმა** – “გასაქონლიანობა” (საბა). აქედან: მორჰმული.

**მორჰმული** – იხ. მორჰმა.

**მოსალი** – ბალი შირაზში. იგი ისეთივე სახე გახდა სპარსულ პოეზიაში, როგორც ორთაჭალის ბალი თბილისელ აშულთა ლექსებში.

**მოსე** – ბიბლ. იგი, ერთი უბრალო მწყემსი, უფალმა ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოძახებულ ბელადად აქცია. ეს ასე მოხდა: ერთხელ მოსემ ფარა შორს, ქორების მთებამდე, წაასხა. აქ მას ანგელოზი გამოეცხადა მაყვლის ბუჩქს მოდებული ცეცხლის ალის სახით, შემდეგ კი თავად უფალი გამოესაუბრა და ისრაელი ერის ეგვიპტიდან გამოყვანა დაავალა. ხოლო ნიშნად იმისა, რომ ეს მას უფლის ნებით უნდა ჩაედინა, მისცა სასწაულმოქმედის თვისებები: მწყემსის კომბალი, რომელიც მოსეს ხელთ ეჭირა, როცა მის პატრონს მოუნდებოდა, გველად გადაიქცეოდა. ამ კვერთხს უფალმა დიდი ძალაც მიანიჭა, – მოსეს შეეძლო მისი საშუალებით მოწინააღმდეგის დამარცხება, კლდიდან წყლის გამოყვანა, ზღვის გაპობა და ა.შ. თუ მოუნდებოდა, მოსე ხელს უბეში ჩაიყოფდა და ხელი ცარცივით თეთრი გაუნდებოდა, ხოლო თუ მოისურვებდა, რომ ხელს თავისი ბუნებრივი ფერი დაბრუნებოდა, ამას მისი ისევ უბეში ჩაყოფით შესძლებდა. ღმერთმა მოსეს კიდევ ერთი სასწაულის მოხდენის თვისება მიანიჭა: მას შეეძლო, ნილოსიდან პეშვით გადმოესხა წყალი და იგი უმაღლეს სისხლად იქცეოდა. მოსე ენაბლუ იყო და იმ მიზნით, რათა მისი საუბარი ისრაელ ხალხთან ეფექტური ყოფილიყო, უფალმა მას, მოსესვე თხოვნით, მეტყველება გაუმართა.

**მოქმნი** – ქენების (იხ.) მქნელი.

**მოციქული** – ისლამის რელიგიის დამაარსებელი მუჰამედი (იხ.), ალაჰის მოციქული.

**მტილი** – ბალი; ბოსტანი.

**მუჰამინი** – მეჩეთის მსახური, რომელიც დღეში ხუთჯერ ადის მინარეთზე და იქიდან ლოცვად უხმობს მრევლს.

მულიანი – მდინარე ბუხარის სანახებში.

მური – ერთგვარი სურნელოვანი სარიტუალო სითხე.

მუტრიზი – ჩანგზე დამკვრელი და მასზე დამღერებული.

მუქაფა – სამაგიერო.

მულანი – მტკვარ-არაქსის დაბლობი აზერბაიჯანში.

მუშთარი – იუპიტერი.

მუშკი – შავი ფერისა და მძაფრი სასიამოვნო სურნელების მქონე ნივთიერება, რომელსაც ღებულობენ მამალი მუშკის (შველისნაირი ცხოველის) უპის ჯირკვლიდან. მუშკით იგლისავდნენ თმას, რითაც იგი შავიც ხდებოდა და სურნელოვანიც.

მუჰთასიზი – ისლამის წეს-ჩვეულებათა დამცველი მოხელე (განსაკუთრებით – ბაზრებში).

## 6

ნაპრუზი – (სპარს. “ახალი დღე”) – ახალი წელი ირანული მზის კალენდრის მიხედვით. უწევს 21 მარტს.

ნაი – სალამური; ლერწმისგან დამზადებული ჩასაბერი ინსტრუმენტი (ფლეიტა).

ნამაზი – მუსულმანთა ლოცვა, რომელსაც ისინი დღეში ხუთჯერ ასრულებენ: დილით, შუადღისას, მზის ჩასვლის წინ, მზის ჩასვლის შემდეგ და ძილის წინ.

ნანდაური – სასურველი ადამიანი.

ნასიზი – ხვედრი; ბედი.

ნაჭა – ადგილი ერაყში.

ნაჯაფი – შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი თავისებური ჯაჭვი, – საკიდელი.

ნიში – ვაჟკაცი, გულადი.

ნიმრუზი – სიისტანის (იხ.) ძველი სახელწოდება.

ნიმპლი – ყმაწვილი.

ნიშატი – შეება, ღზინი.

ნიჭი – აქ: ქონება.

ნიმ – ბიბლ.

ნუკვა – ხვეწნა.

ნუშრამანი – იხ. ანუშირვანი.

## ო

ორღიბმჰში – ირანული მზის კალენდრის მეორე თვე (21 აპრილი– 21 მაისი).

ოტმბა – გაქცევა; გადახვეწა.

ოჰა – წონის ერთეული იყო ძველად, უდრიდა დაახლოებით 1200 გრამს.

ოცმბა – გაოცება.

## პ

პილოტანი – სპილოსტანია, როსტომის (იხ.) ერთ-ერთი ეპითეტი.

## რ

რაბვი – მახე.

რამაზანი – მუსულმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე. ამ თვეში მუსულმანები მარხულობენ, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე საჭმელს არ ჭამენ.

რაჯაბი – მუსულმანური მთვარის კალენდრის მეშვიდე თვე.



რქი – ქალაქი თეირანის მახლობლად.

რქმა – ცხენების ჯოგი.

რინელი – გულადი პიროვნება, რომელიც გარეგნულად თავზეხელადებული და დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, გულით კი უფალს იყო მინდობილი (შდრ. გარინდება). ვ. გაბაშვილმა ცხადჰყო, რომ “რაინელი” ამ ტერმინს უკავშირდება.

რიოში – ყალბი.

როზო – ქვევრის თავსახურავი მრგვალი და სქელი ფიცარი.

როსტომი – ირანის მითიური, უძველესი გმირი, “შაჰ-ნამეს” მთავარი პერსონაჟი.

რუმი – 1) ბიზანტია. 2) სელჯუყთა სასულთნო დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

რუმიანბალი – წყარო (არხი) შირაზში.

## ს

სალბუნი – მალამო.

სალსაბილი – სამოთხის წყარო (მუსულმანთა წარმოდგენით).

სამანბანი – ძველი დროის ქალაქი ამუდარიის სათავის სანახებში.

სამსჰვანი – ლურსმანი.

სარაპი – ქალაქი მაზანდარანში. აწინდელი სარი.

სარაჟარდა – დიდი (სასმეფო) კარავი.

სარონი – სავლელი.

საფი – მთა არაბეთის ნახევარკუნძულზე.

საჟურმი – იგულისხმება რგოლი, რომელიც მონას ყურზე ეკეთა და რომელზედაც მისი პატრონის სახელი ან ნიშანი იყო ამოტვიფრული.

საჟურჟი – ქონება.

სახელი – “მისით გასაგებელი” (საბა), თანამდებობა.

სახელიმანი – სახელის მქონე. “შაჰ-ნამეში” ეს სიტყვა ტერმინად გამოიყურება და მეომართა ერთ-ერთ იერარქიულ სახეობაზე უნდა მეტყველებდეს. იქ ასეთი წოდებები იკითხება: მეომარი, გმირი, ფალავანი (ფალავანი შემდეგ ერთგვარ ფეოდალურ კლასად ჩამოყალიბებული ჩანს), სახელოვანი.

სახიპი – ბორკილი.

სახმილი – „ესე არს ცეცხლთა საგზებელი კაცთა დასაწვავად, გინა აბანოს საგზებელი და მისთანა“ (საბა).

საჟი – მაგარი მერქნის მქონე, მაღალი და წიწვოვანი ხე (სოჭი?).

სამილი – მუჰამედის (იხ.) ჩამომავალი (დღეს მათ შავი ჩალმებით გამოარჩევთ). აქ: ტომის მეთაური.

სელიმი – იხ. თური.

სელიმუყის ძენი – აქ: ანატოლიის სელჯუყთა სახელმწიფოს (1077-1307) სულთნები.

სეჟაჰბოლი – ჯარის უფროსი, სარდალი.

სეჟე – სამეფო.

სეჟური – “ესე არს მრავალჯერ ქნითა საქმე გაიადვილოს, რაიც ენებოს საქნელად, გინა სწავლა” (საბა).

სიბაგუში – ხალხის წარმოდგენით, ტურის მსგავსი ცხოველი, რომელიც ლომს დასდევს თან და მას საკბილოს უძიებს. სამაგიეროდ მისი ნანდირევის ნარჩენებით იკვებება.

სიბაგუში – იხ. სიაუში.

სიბაგუშიშარი – ქალაქი, რომლის აშენება სიაუშს (იხ.) მიეწერება.

სიაუში – ირანის მითიური უფლისწული, მეფე ქაოსის ძე, რომელიც შეუყვარდა მისი მამის სხვა მეუღლეს, სუდაბეს და, რაკი სიაუშის წესიერების გამო მასთან წადილი ვერ აისრულა, იგი მეფე ქაოსთან ცუდად დააბეზდა და, როგორც უზნეო, გააძევებინა. თურანში (იხ.)

ჩასულმა სიაუშმა შეერთო ამ ქვეყნის მეფის, აფრასიაბის, ქალიშვილი ფარანგისი, მაგრამ აქაც უბედურება ეწია – ცილისწამების შედეგად სიმამრმა მოაკვლევინა.

სიაუშმბარდი – იხ. სიავანშგარდი.

სინისტიანი – ირანის სამხრეთ-დასავლეთი პროვინცია.

სინლი – მხარე ინდოეთში.

სირი – ფრინველი.

სოლომონ მფჳმ – ბიბლ.

სოლდი – ისტორიული ქალაქი და სამეფო მდ. ზარაფშანისა და ყაშყადარიის აუზებში, სამარყანდის ახლოს.

სოლდური დამფჳრლობა – იხ. სოლდი.

სპასკპტი – “მხედართ მთავარი” (საბა).

სტავრა – “სირმის ნაქსოვი” (საბა).

სუჳი – აქ: ორდინალური ისლამის მიმდევარი.

## ტ

ტავჳი – მეფეთა და დიდგვაროვანთა ფარლული.

ტაიჳი – ქალაქი არაბეთის მექის (იხ.) ახლოს.

ტარიჳი – „კრავი უბიწო“ (საბა).

ტჳჳრი – ტყე.

ტრელი – 1) მლიქენელი. 2) ლაჩარი.

## უ

უდი – “ხეა სუნნელი” (საბა).

უჳამბარი – ლომი.

ურჳათი – საცოლის გამოსაყიდი.

უსტარი – წერილი.

უჳენი – იხ. შენი.

უცჳი – ოცოდინარი (საბა).

## ფ

ფალაჳანი – იხ. სახელოვანი.

ფალაჳური დამფჳრლობა – არამეული ანბანის საფუძველზე შემუშავებული დამწერლობა სასანიანთა (III-IV სს.) ირანში.

ფალაჳური მნა – შუა საუკუნეების სპარსული ენა.

ფარდი – მუსიკალური ტონი (შდრ. შეფარდება).

ფარჳი – დიეტური საჭმელი.

ფარიჳი – ქალაქი ხოროსანში.

ფარრი – შარავანდი, რომელიც ძველი წარმოდგენით, გააჩნდათ ირანის მეფეებს.

ფარსახი – მანძილის საზომი, დაახლ. 6-7 კმ (შდრ. ეჯი).

ფირი (სპარ. “მოხუცი”) – მოძღვარი; სექტის წინამდგომი.

ფრთა – აქ: უნაგირის ფრთა.

ფრიდონი – ირანის მითიური მეფე; ირაჯის, თურისა და სელიმის მამა (იხ. თური).

ფუნდჳი – მოქარავენთა სადგომი სახლი.

## ქ

ქააბა – იხ. მექა.

ქაპსარი – სამოთხის წყარო მუსულმანთა წარმოდგენით.

ქანი – ტიტული, რომელიც ირანის მითიური მეფეების სახელებს (ქაიყობადი, ქაიქაოსი და ა.შ.) უკავშირდება. თავად ეს სიტყვა ნიშნავდა მეფეს.

ქანიანური დროშა – ირანელთა სამეფო დროშა, რომელიც მითიური ქაის (იხ.) დინასტიას უნდა უკავშირდებოდეს. ზოგი მეცნიერის აზრით, ის მჭედელი ქავასთვის (იხ. ამ წიგნში “მჭედელი ქავას აჯანყება”) მიწერილი მითიური დროშა უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ ასეთი სახელწოდების დროშა მართლაც ჰქონდათ ირანელებს და იგი 637 წ. არაბებმა იგდეს ხელთ ყადისიასთან მომხდარი ბრძოლის დროს. მასზე ასხმული უამრავი თვალ-მარგალიტი დაიტაცეს, თავად დროშა კი დაწვეს.

ქანიჰობალი – ირანის მითიური მორჩბული (იხ.) მეფე.

ქანგი – სამეფო შუა აზიის ჩრდილო ნაწილში III-IV სს.

ქელმღალი – აქ: სიამაყით თავაწეული; ძალით გამორჩეული.

ქენეზა – ხვეწნა, მუდარა.

ქეჯაო – აქლემებზე, სპილოზე ან ჯორზე აქეთ-იქით ხურჯინით გადაკიდებული ერთგვარი ჩასაჯდომი, რომელიშიაც მგზავრობის დროს ქალებსა და ბავშვებს სვამენ; მოაბა (იხ.)

ქიამანი – ?ოლაპი – მეფეთა და დიდებულთა გვირგვინი.

ქოსი – სპილენძჭური, შუაში გაჭრილი სფეროს ფორმის დიდი დოლი, რომელზედაც ტყავი იყო გადაკრული. ქოსს სცემდნენ ბრძოლის წინ.

ქოჰმსტიანი – მთიანი მხარე ერაცში (იხ.).

## ღ

ღაზელი – სპარსული ლირიკული მონორიმი, იგივე ყაზილი (იხ. დივანი).

ღორჩი|ღორჯმსტიანი – რადგან ეს ადგილი “შაჰ-ნამეში” ალანის (იხ.) მეზობლად იხსენიება, ფოქრობენ, რომ იგი იგივე გორჯი (საქართველო) უნდა იყოს.

ღრიანკალი – მორიელი.

ღული – უდაბნოს ავი სული ირანული ზრახრების მიხედვით.

## ყ

ყაზალი – იხ. ღაზელი.

ყანთარი – ხელის სასწორი.

ყარიზი – უცხოელი.

ყარუნი – ლეგენდათა ძუნწი მდიდარი, რომელიც მისი სიძუნწის გამო დასაჯა ღმერთმა, – ქონებიანად მიწაში შთანთქა.

ყარყუმი – კვერნის მსგავსი ცხოველი. ზაფხულობით მურაწითელი ბეწვი აქვს, ზამთრობით – თეთრი. “თეთრი ბეწვია ქრცვინსავით” (საბა).

ყასიდა – ვინმეს (უმეტესად, მეფეთა ან დიდი თანამდებობის მქონე პირთა) ან რაიმეს საქები (უმეტესად – გადაჭარბებული) მონორიმი (შდრ. ქართული: “ყასიდად ამბობს”, ე ი. სიმართლეს არ ამბობს, აჭარბებს).

ყაფი – მითიური მთა ირანში (შდრ. კავკასია).

ყვიროსტპირი – “მომცრო საყვირი” (საბა).

ყიბლა – მიმართულება მექისკენ (იხ.), საითაც პირი უნდა ჰქონდეს მიქცეული მუსულმანს ნამაზის (იხ.) დროს. ადრე იერუსალიმში ჰქონდათ ყიბლა.

ყისმათი – ნაწილი, წილი; ხვედრი, რომელიც ყოველ ადამიანს აქვს განსაზღვრული.

ყობალი – იხ. მაზდაქი.

## შ

შაბანი – მუსულმანური მთვარის კალენდრის მერვე თვე.

შაჰალი – მუსულმანური მთვარის კალენდრის მეათე თვე.

შამში – “მაღალი და სხვილი ბალახი” (საბა).

შარჰანშა – ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, შარჰანის (აზერბაიჯანშია) შაჰი. აქ იგულისხმება ახსეთან I (1149-1203), გიორგი III-ის (1156-1184) დისშვილი. შარჰანშაჰები ემოყვებოდნენ საქართველოს მეფებს და იყვნენ მათი ვასალები, ლოიალურად ეკიდებოდნენ ქრისტიანობას.

შედარი – გათავხედებულ ტირანი აღმოსავლური მითოლოგიის მიხედვით. მოისურვა ამქვეყნად მეორე ედემის გაშენება, რის გამო ღმერთმა დასაჯა.

შენი – ნაშენი; განაშენიანებული ადგილი.

შეიხი – მუსულმანური თემის ან სექტის წარმომადგენელი.

შვილი ყალამი – ქალის მოსაკაზში შვიდი ნივთი მუსულმანურ აღმოსავლეთში: ინა, ბასმა, ფერ-უმარილი, “თეთრი წყალი”, სურმა, მუშკ-ამბრი და “ოქროს ფურცელი”.

შირშიმ – ირანის მეფის, ხოსროვ ფარვიზის (590-628) შვილი.

შიჰნა – აქ: ტომის ბელადი.

შუნბანი – მთიანი მხარე მდინარე ფანჯის სათავესთან.

## ჩ

ჩაჩი – ქ. ტაშკენტი.

ჩინი – ჩინეთი.

## ძ

ძნობა – საკრავზე დაკვრა; გალობა.

## ჭ

ჭიუხი – შიშველი, წვეტებიანი ადგილი.

ჭიქა – აქ: შუშა.

ჭონი – ქუდის მკერავი.

ჭურჭელი – აქ: კუბო.

## წ

წალავ – იხ. წალვა.

წალვა – რაიმეს ოდნავ მოხარშვა.

წარემა, მომწარემა – ბუზის მოგერიება.

წიბნი – აქ: წერილი.

წირი – მირაჟი.

## ხ

ხადილი – მოხმობა; დაძახება.

ხათლანი – ოლქი ამუღარიის შუაწელში.

ხათუნი – დიდგვაროვანი ქალბატონი.

ხატამთი – ჩინეთი.

სატიზი – პროფესიით ხოტბის წარმომტქმელი; მოქადაგე.

საფთანი – საომარი ჯავშანი.

საყანი – მეფეთა ტიტული ჩინეთში, მონღოლეთსა და თურქულ სამყაროში.

საშური – “მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა ტბორისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა” (საბა).

სელი – გიჟი.

სპასტაბი – “მსხვილფეხა საქონელი” (საბა).

სპაშიალი – საიდუმლო.

სიზრი – ბიბლიური ელიას პროტოტიპი ისლამურ მითოსში, რომელმაც მიაგნო უკვდავების წყაროს. ეხმარება უდაბნოში ჩარჩენილ მწყურვალთ.

სოსროვი, სოსრო I – მეფე.

სოსროვი II – ირანის მითიური მეფე ქაიხოსროვი.

სოსროვი III – ირანის მეფე ხოსროვ ფარვიზი (590-628).

სუზისთანი – ირანის სამხრეთ-დასვლეთი პროვინცია.

## ჟ

ჯამა აქლემი – ჩქარმავალი აქლემი.

ჯამშილი – ირანის მითიური მეფე.

ჯიჰანი – მდ. ამუდარია.

ჯიონი – ჯეიჰუნი (იხ.).

ჯიზრაილი – გაბრიელ მთავარანგელოზი.

## კ

კამიანი – ქ. კამადანი (ირანში).

კაჯი – მუსულმანი, რომელიც მექას (იხ.) მოილოცავს, ღებულობს ასეთ არაოფიციალურ, მაგრამ საპატიო ტიტულს.

კბამა – ენაღვლება.

კბიჰს – არსებობს.

კეჯაზი – საუდის არაბეთის დასავლეთი პროვინცია. ჰეჯაზშია მუსულმანთა წმინდა ქალაქები: მექა (იხ.) და მედინა (იასრიბი). ამ ქალაქშია დასაფლავებული მუჰამედი (იხ.).

კინლი – “ინდოელი”. ხომეინის ლიტერატურული ფსევდონიმი. იგი წარმოშობით ინდოეთიდან (ქაშმირიდან) იყო.

კიჯრა – არაბ. [“სამშობლოს] დატოვება” – ემიგრაცია. 622 წლის 16 ივლისს მუჰამედი (იხ.) იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი მექა (იხ.) და, ამდენად, შეესრულებინა ჰიჯრა. აქედან არის ათვლილი მუსულმანური წელთაღრიცხვა. ჰიჯრა ორია: მთვარის ჰიჯრა – მთვარის მოქცევიდან მის მეორე მოქცევამდე, ე.ი. 28 დღის კვალობაზე ნიშანდებული თვეებით ნაანგარიშები (მდრ. მეგრული თუთა და რუსული месяц, რაც მთვარესაც ნიშნავს და თვესაც) და მზის ჰიჯრა – ასევე, მექსი დატოვებიდან ათვლილი, ოღონდ თვეთა დღეების ახალი, ევროპული ანგარიშით ნიშანდებული. დღეს ირანში ოფიციალურად ეს უკანასკნელია მიღებული. ახლა, ამას რომ ვწერ და ჩვენში 2007 წლის 24 დეკემბერი დგას, ირანში 1386 წლის მეათე თვის, დეის, 3 რიცხვია.